გ. ზ ი ვ ა ძ ე

ფეოდალური ევროპა X—XI საუკუნეებში

ლექციების კურსი

II

სტალინის სახელობია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1960

ავტორისაგან

უნივერსიტეტებში ისტორიის ფაკულტეტების სასწავლო გეგმის მიხედვით დასავლეთისა და სამხრეთ სლავების ისტორიის კურსი ცალკე საგნად შეისწავლება. პარალელიზმის თავიდან აცილების მიზნით ამ ხალხების ისტორიის საკითხები წინამდებარე ნაშრომში ფრაგმენტულად არაა განხილული.

თავი I

დასავლეთ-ევროპის ადრინდელი ფეოდალური საზოგადოება და მისი დამახასიათებელი ნიშნები

ფეოდალური საზოგადოების განმარტება ლენინის მიერ. მას შემდეგ, რაც ფრანკთა მონარქიაში ძირითადად დასრულდა ფეოდალური წყობილების განმტკიცება, დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში, მეათე და მეთერთმეტე საუკუნეებშიაც კვლავ გრძელდებოდა ფეოდალიზაციის პროცესები. ამ ხნის მანძილზე ფეოდალური წარმოების წესი გაბატონდა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, ბიზანტიაში და ა. შ. მეთერთმეტე საუკუნეში ფეოდალურმა სამყარომ დასრულებული სახე მიიღო არა მარტო დასავლეთ ევროპაში, არამედ ევროპის აღმოსავლეთი ნაწილის ძირითად სახელმწიფოებშიაც.

როგორი იყო ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები? რითი განსხვავდებოდა იგი დანარჩენი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციებისაგან?

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი თავის თხზულებათა III ტომში (იხ. „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში"), როცა ადარებდა ფეოდალური წარმოების წესს კაპიტალისტურს, პირველის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებად თვლიდა: „ჯერ ერთი, ნატურალური მეურნეობის ბატონობას. ბატონყმური მამული უნდა ყოფილიყო თვითკმარი, კარჩაკეტილი მთელი, რომელსაც ძალიან სუსტი კავშირი ჰქონდა დანარჩენ მსოფლიოსთან... მეორეც, ასეთი მეურნეობისათვის საჭიროა, რომ უშუალო მწარმოებელს მიცემული ჰქონდეს წარმოების საშუალებანი საზოგადოდ და მიწა კერძოდ; ესეც ცოტაა — საჭიროა, რომ ის მიმაგრებული

იყოს მიწაზე. რადგან სხვანაირად მემამულე მუშახელით არ იქნება უზრუნველყოფილი. მაშასადამე, ზედმეტი პროდუქტის მიღების წესები საბატონო და კაპიტალისტური მეურნეობის დროს დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს: პირველი დამყარებულია მწარმოებლისათვის მიწის მიცემაზე. მეორე — მიწისაგან მწარმოებლის განთავისუფლებაზე. მესამეც, მეურნეობის ამ სისტემის პირობაა გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულისაგან. მემამულეს რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შესძლებდა თავის სასარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიუღია და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა. საჭიროა, მაშასადამე, „გარეეკონომიური იძულება"... ბოლოს მეოთხეც... ტექნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული მდგომარეობა"[1].

ნატურალური მეურნეობის რაობა. ლენინის განმარტებით ნატურალურ მეურნეობის პირობებში საზოგადოება მეტწილ შემთხვევაში ერთგვაროვანი სამეურნეო ერთეულებისაგან (პატრიარქალური გლეხური ოჯახებისაგან, პრიმიტიული სასოფლო თემებისაგან, ფეოდალური მამულებისაგან) შედგებოდა. ყოველივე ასეთი ერთეული ყოველმხრივ სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა დაწყებული სხვადასხვა ნედლეულის მოპოვებიდან და დამთავრებული მოხმარებისათვის მისი საბოლოო გადამუშავებით[2]. ამგვარად, ყოველგვარი აუცილებელი მოთხოვნილების საგნები შიგნით, ფეოდალურ მეურნეობაში მზადდებოდა. იქნებოდა ის სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საპონი თუ სხვა. ფეოდალური საზოგადოების რომელიმე წევრს. თავისი რაიმე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში, არ სჭირდებოდა ბაზრისათვის მიემართა.

ნატურალურ მეურნეობაში საზოგადოებრივი შრომის დანაწილება შორს არ იყო წასული. ისე როგორც ამას ადგილი ჰქონდა სასაქონლო მეურნეობის დროს. განვითარებულ სასაქონლო მეურნეობაში საქონელი მზადდება არა პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. არამედ ბაზრისათვის. გასაყიდად. როცა სასაქონლო მეურნეობაში მესაათე, რომელიც დროის გარკვეულ

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი. ტ. 3. გამოცემა მეოთხე. გვ. 208—209. ამაკეთ საკითხთან დაკავშირებით იხ. ლენინი, თხზულებანი, ტ. XII, პირველი გამოცემა, გვ. 287.

[2] ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გამოცემა მეოთხე, გვ. 22.

მონაკვეთში, ვთქვათ, 100 საათს ამზადებს. ან მეჩექმე კერავს 100 წყვილ ფეხსაცმელს, განა ამას ისინი ამზადებენ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად? რა თქმა უნდა, არა, რადგან თვითეულ მათგანს ერთი წყვილი ფეხსაცმელი ან ერთი საათი სავსებით ეყოფოდა. განა კაპიტალისტი, რომელიც ათეულობით კუბოს ამზადებს, ამას თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აკეთებს? რა თქმა უნდა, არა, რადგან მისთვის ერთი ცალიც საკმარისი იქნებოდა.

მაშასადამე, ნატურალური მეურნეობა, რომელშიაც საზოგადოებრივი შრომის დანაწილება არაა შორს წასული, რომელშიაც ადგილი არა აქვს აღებ-მიცემობას, ან ვაჭრობას, უფრო სწორად, ნაკლებად აქვს მას ადგილი, სადაც ყველაფერი მზადდება საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, კარჩაკეტილი მეურნეობაა. მაგრამ სიტყვა „კარჩაკეტილი" არ უნდა ვიხმაროთ აბსოლუტური გაგებით. ნატურალური მეურნეობა სულაც არაა ე. მაიერისებური (1855—1930 წწ.) „საოჯახო (ოიკოსური) მეურნეობა", რომლის დროსაც, თითქოს არ წარმოებდა არავითარი გაცვლა-გამოცვლა და ვაჭრობა. როგორც მარქსი აღნიშნავდა, აღებ-მიცემობასა და ვაჭრობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მეტნაკლებად იგი წარმოებდა, როგორც ფეოდალური მეურნეობის, ისე მონათმფლობელობის პირობებში და თემური წყობილების დროსაც კი. ნატურალური მეურნეობა რაგინდ კარჩაკეტილიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც გულისხმობდა ერთგვარ ვაჭრობასა და გაცვლა-გამოცვლას. თუნდაც იმ გაგებით, რომ წიაღისეული სიმდიდრე ყველა ფეოდალის მიწა-წყალზე არ შეიძლებოდა ერთი და იგივე ყოფილიყო. მაგალითად, მარილი შეიძლებოდა მოეპოვებინათ მხოლოდ გახსაზღვრულ ადგილებში. ფეოდალი, რომლის მამულშიაც მარილი არ მოიპოვებოდა, რა თქმა უნდა, იძულებული გახდებოდა ვაჭრობის, ან გაცვლა-გამოცვლის საშუალებით იგი სხვა ადგილებიდან შეეტანა. ეჭვგარეშეა, ნატურალური მეურნეობა ძირითადად მაინც კარჩაკეტილი იყო, ვინაიდან მასში არსებული გაცვლა-გამოცვლა, ან ვაჭრობა სპორადული სასიათის მატარებელი ხდებოდა.

ტექნიკის განვითარების დაბალი დონე ფეოდალური წარმოების წესის დროს. ნატურალური მეურნეობა სხვა მხრივაც განსხვავდებოდა სასაქონლო მეურნეობისაგან. ცნობილია, რომ კაპიტალისტურ სასაქონლო მეურნეობაში კონკურენციაა გაბატონებული, რომ ამ კონკურენციაში იმარჯვებს ის, ვინც ეკონომიურად ძლიერია, ვისი წარმოებაც მსხვილია, ეს გარემოება აიძულებს

თვითეულ კაპიტალისტს შემდეგისათვის რაც შეიძლება მეტად გაზარდოს და გაამსხვილოს თავისი წარმოება. ყველა ამისი შედეგი კი. ეგრეთ წოდებული გაფართოებული რეპროდუქციაა. ასეთ ვითარებაში ტექნიკას განვითარების უფრო მეტი გასაქანი ეძლევა.

ნატურალური მეურნეობა, რომელიც გაანგარიშებული იყო ეხლოლოდ საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, სულაც არ საჭიროებდა გაფართოებულ რეპროდუქციას. ყმა გლეხის ოჯახი ერთი წლის განმავლობაში შეიძლებოდა ერთი ან ორი სულით გაზრდილიყო. მაშასადამე, ოჯახის მოთხოვნილებაც უმნიშვნელოდ გაიზრდებოდა. ამიტომ გლეხი მომავალი წლისათვის თავის მეურნეობაში სთესდა ერთი ან ორი ფუთი ხორბლით მეტ სათესლე მასალას. ამგვარად, წარმოების ხელახალი წარმოქმნა აქ არ ხდებოდა დიდი მასშტაბით. ტექნიკის განვითარებაც, ასეთ პირობებში ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მით უფრო, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა, რომელიც ფეოდალური ეკონომიკის ძირითად საყრდენს წარმოადგენდა, ტექნიკის სწრაფი განვითარების ყოველგვარ შესაძლებლობას მოკლებული იყო. ტექნიკის განვითარება ჩამორჩებოდა „რადგან მეურნეობის გაძღოლა წვრილ გლეხთა ხელში იყო, რომელნიც გაჭირვებისაგან წელში წყდებოდნენ და პირადი დამოკიდებულებით და გონებრივი სიბნელით დაბეჩავებული იყვნენ“[1].

მიუხედავად ამისა, ტექნიკისა და, საერთოდ, წარმოებითი ძალების განვითარების თვალსაზრისით, ფეოდალური წარმოების წესი მონათმფლობელურ წარმოების წესთან შედარებით უფრო პროგრესული აღმოჩნდა, ვინაიდან ფეოდალურ საზოგადოებაში უშუალო მწარმოებელი ყმა გლეხის სახით სამუშაო იარაღებთან ორგანულად იყო დაკავშირებული. სახნისი, გამწევი ძალა (ხარები), თოხი, ბარი და ნიჩაბი... ყმა გლეხის საკუთრებას წარმოადგენდა იმ დროს, როცა მონა მონათმფლობელური წარმოების წესის პირობებში, არამც თუ ფლობდა რაიმე სამუშაო იარაღს საკუთრებად, არამედ თვითონ იყო გადაქცეული სამუშაო იარაღად და უკანასკნელისაგან განსხვავდებოდა მხოლოდ იმით, რომ იგი, როგორც ანტიკური მოღვაწენი ამბობდნენ, მოლაპარაკე იარაღს წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ ყმა გლეხი უფრო მეტად იყო ტექნიკის განვითარებით დაინტერესებული, ვიდრე მონა, მით უფრო, რომ პირველს. გარდა ყველა ზემოთქმულისა, ჰქონდა თავისი მეურ-

---

[1] ლენინი, თხზულებანი, ტ. 3., გვ. 209.

ნეობა, ჰყავდა საკუთარი ოჯახი, რაც განვითარების უფრო მეტ იმპულსს იძლეოდა.

ყმის ექსპლუატაცია „გარეშეეკონომიურ იძულების“ საფუძველზე. ის გარემოება, რომ ფეოლადური წარმოებითი ურთიერთობის დროს, უშუალო მწარმოებელს გააჩნდა საკუთრებაში სამუშაო იარაღები, ჰქონდა თავისი მეურნეობა მოწყობილი, თუნდაც ფეოდალის საკუთარ მიწაზე, უშუალო მწარმოებელს არსებობის შესაძლებლობას აძლევდა. ამ თვალსაზრისით, კაპიტალისტურ ურთიერთობაში უშუალო მწარმოებელი — მუშა სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი აბსოლუტურად მოწყვეტილი იყო სამუშაო იარაღებს და ამდენად, არ გააჩნდა რა მას არსებობისათვის არავითარი შესაძლებლობა გარდა თავისი სამუშაო ძალისა. იძულებული ხდებოდა დაქირავებულიყო კაპიტალისტურ წარმოებაში. „ჩიტივით თავისუფალი“ მუშა ეკონომიურად დამოკიდებული ხდებოდა კაპიტალისტზე. შიმშილი, მაშასადამე. ეკონომიური ფაქტორი, აიძულებდა მას მოქცეულიყო კაპიტალისტის ულმობელი ექსპლუატაციის უღელში.

„შემოსავლის (ე. ი. ზედმეტი პროდუქტის) მისაღებად, — წერდა ლენინი, — მებატონე-მემამულეს თავის მიწაზე უნდა ჰყავდეს „ნადელის“ მქონე გლეხი ინვენტარით და პირუტყვით. უმიწაწყლო, უცხენო, უსახლკარო გლეხი — გამოუსადეგარი ობიექტია ბატონყმური ექსპლუატაციისათვის. შემოსავლის (მოგების) მისაღებად კაპიტალისტს უნდა ჰყავდეს სწორედ უმიწაწყლო. უსახლკარო მუშა, რომელიც იძულებულია თავისი სამუშაო ძალა გაჰყიდოს შრომის თავისუფალ ბაზარზე. მესამე, სანადელო გლეხი პირადად დამოკიდებული უნდა იყოს მემამულისაგან. ვინაიდან ის, როგორც მიწის მფლობელი, თუ არა იძულებით, საბატონო სამუშეკარზე არ წავა. მეურნეობის სისტემა აქ ბადებს „გარეშე ეკონომიურ იძულებას“, ბატონყმურობას, იურიდიულ დამოკიდებულებას, არასრულუფლებიანობას და სხვ. პირიქით, „იდეალური“ კაპიტალიზმი წარმოადგენს ხელშეკრულების სრულ თავისუფლებას თავისუფალ ბაზარზე — მესაკუთრესა და პროლეტარს შორის“[1].

ზემონათქვამიდან ცხადი ხდება, რომ თუმცა ყმა გლეხს გააჩნია საკუთარი წარმოების საშუალებანი და მუშასავით მშიერი არ რჩება, მაინც, რაკი თვითონ პირადად ნახევრად (ფეოდალს არა აქვს უფლება თავისი ყმის მოკვლისა) ბატონის საკუთრებას

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, პირველი გამოცემა, ტ. XII, გვ. 287.

წარმოადგენს. ამიტომ ამ პირადი დამოკიდებულების საფუძველზე ფეოდალს ენიჭება უფლება ყმა მათრახით აიძულოს ბატონის პამულში უსასყიდლოდ იმუშაოს (შრომითი ბეგარა) და გამოართვას მას შექმნილი ზედმეტი პროდუქტი სხვადასხვა გამოსაღების სახით (ღალა). ამგვარად, როგორც მუშა, ისე ყმა გლეხი ექსპლუატაციის ქვეშ არიან მოქცეულნი, ოღონდ, განსხვავება მათში ისაა, რომ მუშა ეკონომიურად ხდება იძულებული („შიმშილი მათრახზე უფრო მწვავეა") იმუშაოს კაპიტალისტის სასარგებლოდ, ხოლო ყმის ექსპლუატაცია გარეშე ეკონომიური იძულების საშუალებით ხდება.

უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ნორმა და ექსპლუატაციის ფორმათა გამოვლინება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფეოდალური მეურნეობისათვის არ იყო დამახასიათებელი ფართო რეპროდუქცია იმ დროს, როცა წარმოების ფართო რეპროდუქცია კაპიტალისტური მეურნეობის განუყოელ მოვლენას წარმოადგენდა. მაშასადამე, უშუალო მწარმოებლისაგან მიღებული ზედმეტი პროდუქტის განსაზღვრული ნაწილი კაპიტალისტს, როგორც კაპიტალი, წარმოების გაფართოებაში უნდა დაებანდებინა, ხოლო ფეოდალს ეს არ სჭირდებოდა; მაშასადამე, ყმა გლეხის ექსპლუატაციის ნორმა შედარებით მუშასთან უფრო ნაკლები უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, როცა ვლაპარაკობთ უშუალო მწარმოებლის ექსპლუატაციის ნორმაზე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნატურალური მეურნეობის პირობებში, რადგან ვაჭრობა უმნიშვნელო იყო, უშუალო მწარმოებლისაგან მიღებული ზედმეტი პროდუქტი არ გადაიქცეოდა ფულად (იგულისხმება ოქროსა და ვერცხლის მონეტა). ასეთ ვითარებაში უშუალო მწარმოებლისაგან იმაზე მეტი პროდუქტის ამოქაჩვა, რაც საკმარისი იქნებოდა ფეოდალის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, უაზრო ხდებოდა. ფეოდალის მიერ ზედმეტი პროდუქტის მიღების საშუალებით დიდი დოვლათის დაგროვება უმიზნო იქნებოდა იმ გაგებითაც, რომ დაგროვებული პროდუქტი, მისი ბაზარზე გაუსაღებლობის გამო, მალე დალპებოდა და გაფუჭდებოდა (პროდუქტების კონსერვირების თანამედროვე მეთოდები მაშინ უცნობი იყო).

რადგან კაპიტალისტური მეურნეობის ძირითადი ეკონომიური კანონი ზემოგების მიზანს ემსახურებოდა და არა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მეორე მხრივ კი ყოველივე დაგროვება კაპიტალად (ოქროდ და ვერცხლად) იქცეოდა, ამიტომ კაპიტალისტი ულმობლად მიილტვოდა ასეთი დაგროვებისაკენ. იგი ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, გაეზარდა უშუალო მწარმოებლის ექს-

პლუატაციის ნორმა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიაც კი არსებობდა უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ერთგვარი ზღვარი. ბოლოს და ბოლოს, დღე-ღამეში 24 საათია და. მაშასადამე. ამ დროის განმავლობაში კაპიტალისტი მუშას ვერ აიძულებდა 30 საათი ემუშავა: გარდა ამისა, სამუშაო დღის გაგრძელება 24 საათის განმავლობაშიც ფიზიკურად შეუძლებელი ხდებოდა. მუშას წინა დღით დახარჯული ენერგია ხომ უნდა აენაზღაურებინა. ამისათვის კი საჭირო იყო, რომ კაპიტალისტს მუშის დასაძინებლად 24 საათიდან გარკვეული დრო დაეთმო. ამგვარად. თუ ყმა გლეხის ექსპლუატაციის ნორმა, როგორც მარქსი ამბობდა, „ფეოდალის კუჭით" განისაზღვრებოდა, მუშის ექსპლუატაციის ნორმა მისი ფიზიკური შესაძლებლობის ფაქტორზე იყო დამოკიდებული.

ყოველივე ზემონათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ ისიც. რომ უშუალო მწარმოებლის ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის დროს სხვადასხვა იყო. ექსპლუატაცია ფეოდალურ ხანაში უფრო აშკარად და თვალსაჩინოდ გამოვლინდებოდა, ვიდრე კაპიტალისტური წარმოების დროს. ყმა გლეხი თვალსაჩინოდ ხედავდა, რომ მას. როგორც მიწაზე მიმაგრებულს. ძალით და უსასყიდლოდ ამუშავებდნენ ფეოდალის მამულში. ყმა-გლეხის შრომითი ბეგარა ზოგან კვირაში სამი დღით განისაზღვრებოდა. ზოგან კი. მას კვირაში ექვსი დღე ფეოდალის სასარგებლოდ უნდა ემუშავა, ხოლო თავისი მეურნეობის დასამუშავებლად მას რჩებოდა კვირა დღე და მთვარიანი ღამეები. გლეხებისათვის ასევე თვალსაჩინო იყო ის გარემოება. რომ ფეოდალის სასარგებლოდ. რაიმე სამაგიეროს მიღების გარეშე. ის იხდიდა სხვადასხვა გადასახადებს — ღალას.

მუშის ექსპლუატაცია კი. მუშისათვის არც თუ ისე თვალსაჩინო იყო. ჯერ ერთი, რომ მეშისა და კაპიტალისტის გარიგება თითქოს ნებაყოფლობით პრინციპს ეუყარებოდა. ყმისაგან განსხვავებით. მუშა ხომ იურიდიულად თავისუფალი იყო. მეორე. მუშა ყოველდღიურად ღებულობდა რა კაპიტალისტისაგან თავის გასამრჯელოს. ერთ ხანს ფიქრობდა. რომ ის ამით მთლიანად ინაზღაურებდა თავის მიერ დახარჯულ შრომას. მის მიერ შექმნილ ღირებულებას მთლიანად ღებულობდა და. მაშასადამე. თითქოს მას ექსპლუატაციას არ უწევდნენ. ზემოაღნიშნულ გარემოებამ კლასობრივი წინააღმდეგობა ფეოდალურ საზოგადოებაში უფრო მეტად უნდა გაემწვავებინა და ამით აეძულებინა გაბატონებული კლასი უფრო მონოლითურად შემჭიდროვებულიყო ყმების წინა-

ალმდეგ ბრძოლაში თავისი ბატონობის შემდგომი შენარჩუნებისათვის.

გარეშეეკონომიური იძულების საფუძველზე წარმოებული ფენების ექსპლუატაცია აილიერებდა ფეოდალური კლასის ეკონომიკას, მის ბატონობას უშუალო მწარმოებლებზე, მაგრამ ფეოდალური კლასის მონოლითური შემჭიდროება უფრო მეტად ფეოდალურ საკუთრებას ემყარებოდა. „რა თქმა უნდა, გარეშეეკონომიური იძულება დიდ როლს ასრულებდა მემამულე-მებატონეების ეკონომიური ძალაუფლების განმტკიცების საქმეში, მაგრამ იგი კი არა, არამედ მიწის ფეოდალური საკუთრება წარმოადგენდა ფეოდალიზმის საფუძველს"[1].

ფეოდალური საკუთრების თავისებურებანი. ვიდრე გადავიდოდეთ ზემოაღნიშნული საკითხების ფართო განხილვაზე, საჭიროდ მიგვაჩნია ფეოდალური საკუთრების დაპირისპირება ბურჟუაზიულ საკუთრებასთან. ბურჟუაზიული საკუთრება მის წინამორბედ (ფეოდალურ) საკუთრებისაგან იმითი განსხვავდება, რომ პირველი გვევლინება „წმინდა" სახით. კაპიტალისტურ ურთიერთობაში ყველაფერი ცალკეული პიროვნების, ან ჯგუფის (კომპანიის) განუსაზღვრელ საკუთრებას წარმოადგენს. ქარხნის მფლობელს თავისი ქარხანა შეუძლია დაანგრიოს, გაჰყიდოს, გააჩუქროს, მზითევში გაატანოს, ანდერძით ვინმეს დაუტოვოს და სხვ. ისე, რომ ამის შესახებ მას არ დასჭირდება სხვა ვინმესთან შეთანხმება, ან ნებართვის მიღება. ერთი სიტყვით, საკუთრების გასხვისება აქ წარმოებს ყოველივე შეპირობების გარეშე.

ფეოდალურ ურთიერთობაში არსებული კერძო საკუთრება ძირითად წარმოებით საშუალებაზე—მიწაზე პირობადებულობის გარეშე არ გამოვლინდება. ამ შემთხვევაში მიწაზე არსებული საკუთრება უფრო ჯგუფურ საკუთრებას წარმოადგენს, რომელიც დამყარებულია თავისებურ იერარქიულ პრინციპზე. მიწა, რომელზედაც მოწყობილია გლეხის მეურნეობა, იურიდიულად ბატონის საკუთრებას წარმოადგენს, ხოლო იგივე მიწა გლეხის ფაქტიურ მფლობელობაშია. რაკი ყმა გლეხი მიმაგრებულიცაა ამ მიწაზე, ამიტომ ამ მიწის გაყიდვა მასზე დასახლებული გლეხის გარეშე შეუძლებელი ხდება. მაშასადამე, ამ მიწის გაყიდვა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი შეისყიდის არა მარტო მიწას, არამედ მასზე დასახლებულ გლეხსაც. მაგრამ ამ შესყიდვის შეპირობება

---

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები საბჭოთა კავშირში, გამოც. 1953 წ., გვ. 45.

უფრო შორსაც მიდის, რადგან იგივე მიწის ნაკვეთი ბატონს მიღებული აქვს თავისი სენიორისაგან, როგორც ფეოდი და ამიტომ საბოლოო ანგარიშში იგი სენიორს ეკუთვნის. ამ უკანასკნელს ეს მიწა თავის მხრივ მასზე უფრო მაღლა მდგომი სენიორისაგან მიუღია. ამგვარად, მიწის გაყიდვის შემთხვევაში საჭიროა სათანადო შეთანხმება სენიორთანაც.

ფეოდალური საკუთრება, როგორც ფეოდალური ურთიერთობის საფუძველი. გამოდის რომ ფეოდალიზმის დროს ცალკე პირები კი არ გვევლინებიან კერძო მესაკუთრედ, არამედ ფეოდალების ჯგუფი და საბოლოო ანგარიშში კი მთლიანად ფეოდალური კლასი, რომელიც მონოპოლიურად ფლობს ყველა მიწას. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში გაბატონებული იყო დევიზი— „არ არსებობს მიწა სენიორის გარეშე“, მაგრამ ფეოდალური მიწათმფლობელობა ემყარებოდა პირობითობას — მიწა. როგორც წესი, მიღებულია ვინმეს მიერ ვინმესაგან გარკვეული პირობადებულებით. მიწის მიმღები ფეოდალი თავის სენიორს პირობას აძლევდა, რომ იგი თავის შეიარაღებული ძალებით ყოველთვის თავისი სენიორის დამხმარედ გამოვიდოდა, როცა ამ უკანასკნელს დასჭირდებოდა პირველის დახმარება. რა თქმა უნდა, სენიორს თავისი ვასალის დახმარება სჭირდებოდა არა მარტო მაშინ, როცა ის ბრძოლას ატარებდა გარედან შემოსეული მტრის წინააღმდეგ, არამედ უფრო მაშინ, როცა მის საფეოდალოში იწყებოდა ყმა გლეხების აჯანყება. რაკი მიწა ასეთნაირად აკავშირებდა ფეოდალური კლასის ცალკეულ წარმომადგენლებს და მათ კერძო ინტერესებს საერთო კლასობრივ ინტერესებად აქცევდა, ამიტომ ყმების აჯანყების შემთხვევაში, ფეოდალები ერთად ილაშქრებდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგ და ერთობლივი მოქმედებით ცდილობდნენ თავიანთი ბატონობის შენარჩუნებასა და გახანგრძლივებას. „მიწათმფლობელობის იერარქიული სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული რაზმების სისტემა თავადაზნაურობას ანიჭებდა ყმებზე ძალაუფლებას“[1].

ფეოდალური საკუთრების გამასხვავებელი ნიშანი მონათმფლობელური და კაპიტალისტური კერძო საკუთრებისაგან, ძირითადად, არის მისი იერარქიული სტრუქტურა. ამ იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურზე მეფე იდგა. განვითარებული ფეოდალური წეს-ჩვეულების თანახმად, სახელმწიფოში არსებული მიწების უმაღლეს მესაკუთრედ მეფე ითვლებოდა. მიღებული

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. III, изд. II, зд. 23.

ეყო. რომ ფეოდალური კლასის ყველაზე მაღალი ფენის წარმომადგენელნი (ჰერცოგები, გრაფები, ბარონები[1]) მეფის „წყალობით“ ფლობდნენ მიწებს. ამ უკანასკნელთა „წყალობით“ კი მამულები ეკანეკუთვნებოდათ უფრო დაბალ საფეხურზე მყოფთ: ვასალებს, ქვავასალებს და რაინდობას. თუ თვითეული მსხვილი ფეოდალი ერი რომელიმეს მიმართ იქნებოდა სენიორი, სხვის მიმართ (თავისზე უფრო მაღლა მდგომის მიმართ) იგი იყო ვასალი. ორსეული წესის თანახმად ვასალ-სენიორობა წვრილი რაინდებით თავდებოდა. ამ უკანასკნელთ არ უნდა ჰყოლოდათ თავიანთი ვასალები. გლეხობა კი ფეოდალურ-იერარქიული კიბურიდან გამოთიშული იყო და იგი ამ პირამიდის მხოლოდ საყრდენს წარმოადგენდა.

კლასები და წოდებანი. ფეოდალური საზოგადოება ძირითადად ორ ჯგუფად იყო დაყოფილი: მიწების მონოპოლიურად ფლობელი ფეოდალები, რომელნიც ექსპლუატაციას უწევდნენ უშუალო მწარმოებლებს და ექსპლუატაციაქმნილი ყმა გლეხობა. ამ ორი ანტაგონისტურად განწყობილი ჯგუფის გარდა ფეოდალურ წარმოებით ურთიერთობაში გვხვდება შინაკლასობრივი ჯგუფებიც, რომელნიც ცალკე წოდებათა სახით გვევლინებიან და რომელნიც ყოველთვის ზუსტად არ ემთხვევიან კლასებს![2] მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ კლასს მიეკუთვნებიან, თავიანთი უფლებრივი მდგომარეობით ერთი მეორისაგან განსხვავდებიან.

მაგალითად, ფეოდალურ საზოგადოებაში ყმა გლეხები და ხელოსნები, ფართო გაგებით, უშუალო მწარმოებლებს წარმოადგენდნენ, რომელნიც ექსპლუატირებულნი იყვნენ გაბატონებული კლასის მიერ. მაგრამ მათი მდგომარეობა წარმოებაში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, რადგან გლეხებისაგან განსხვავებით ხელოსნებს მიწა არ სჭირდებოდათ, როგორც ძირითადი წარმოებითი საშუალება. თუ ავიღებთ ფეოდალურ კლასს, დავინახავთ, რომ იგიც ორი წოდებისაგან შედგება: საერო (პირველი) წოდება და საერო ფეოდალობა (მეორე წოდება). ორივე ესენი ექსპლუატატორებს წარმოადგენდნენ, თუმცა თავიანთი მდგომარეობით ერთი მეორისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ. საერო ფეოდალებს მი-

---

[1] ბარონები XI—XII სს ორ ჯგუფად იყოფოდნენ: 1) ზედაფენა, — რომელნიც უშუალო მფლობელებად ითვლებოდნენ და მეფის ვასალებს წარმოადგენდნენ და 2) დაბალი ფენა, რომელნიც პირველთა ვასალები იყვნენ.

[2] Б. Ф. Поршнев, Очерк политической экономии феодализма. 1956 წ. გვ. 25.

წის იერარქიულ მფლობელობაში ინდივიდუალური საკუთრება გაანადგურა. ხოლო ეკლესიის თავისებური წესების გამო მიწათმფლობელობა სასულიერო წოდებაში არ იყო ინდივიდუალური ხასიათის მატარებელი. თუ საერო ფეოდალების მამულები მეძკვიდრეობით მამიდან შვილზე გადადიოდა, იგივე არ შეიძლება ითქვას სასულიერო წოდებაზე და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში ზემოაღნიშნული ჯგუფები წოდებათა სახით გვეელინებიან და ისინი ზუსტად არ ემთხვევიან კლასებს.—რის გამოც ერთგვარად იჩქმალება კლასობრივი, ანტაგონისტური სერათი.—ფეოდალური საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობა მთლიანად კლასობრივი. ანტაგონისტური, ექსპლუატატორული ხასიათის მატარებელია.

ფეოდალურ კლასობრივ დაჯგუფებათა შესაბამისად წოდებანი ორივის მხრივ იყოფოდნენ: პრივილეგიათა მქონე მაღალ წოდებად და დაბალ წოდებად, რომელიც ყოველგვარ პრივილეგიებს მოკლებული იყო და უუფლებო მასას წარმოადგენდა. უმაღლესი წოდებისათვის პრივილეგიათა საფუძველი ფეოდალური გაბატონებული კლასისადმი კუთვნილება იყო. მაღალი წოდების წარმომადგენელნი „გვარიშვილებად» ითვლებოდნენ. ზოგიერთ ქვეყანაში მათ ეკრძალებოდათ ისეთი „არაკეთილშობილი" საქმიანობა. როგორიც იყო ვაჭრობა, ხელოსნობა და სხვ. დაბალი წოდების წარმომადგენლებად ითვლებოდნენ ყველა ისინი, რომელნიც თავადაზნაურობასა და სასულიერო წოდებას არ ეკუთვნოდნენ. დაბალი წოდების წარმომადგენელნი თავიანთი ვალდებულების (გადასახადების გაღება) გამო მებეგრეებადაც იწოდებოდნენ. საფრანგეთში მ. კალითად. მებეგრე „მესამე წოდებას" მიეკუთვნებოდნენ გადასახადების ყველა გამღებნი: ვაჭრები, ხელოსნები, გლეხობის ყველა ფენა. უფრო გვიან — დაქირავებული მუშები.

ლენინი წერდა: „ცნობილია, რომ მონურ და ფეოდალურ საზოგადოებაში კლასების განსხვავება აღინიშნებოდა მოსახლეობის წ ო დ ე ბ რ ი ვ ი დაყოფითაც. რომ მას თან ახლდა განსაკუთრებული ი უ რ ი დ ი უ ლ ი ადგილის დაწესება სახელმწიფოში თვითეული კლასისათვის. ამიტომ მონური და ფეოდალური (აგრეთვე ბატონყმური) საზოგადოების კლასები ამავე დროს ცალკე წოდებანიც იყვნენ. პირიქით, კაპიტალისტურ, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იურიდიულად ყველა მოქალაქენი თანასწორნი არიან. წოდებრივი

დაყოფა მოსპობილია (ყოველ შემთხვევაში — პრინციპულად), და ამიტომ კლასები აღარ არის წოდებანი"[1].

საზოგადოების წოდებებად დაყოფის დამახასიათებელი იყო: წოდებათათვის გარკვეული უფლებებისა და მოვალეობათა მინიჭება, წოდებათა კარჩაკეტილობა, წოდებაზე მიკუთვნების ჰემკვიდრეობით გადასვლა, მაღალი წოდების პრივილეგიური მდგომარეობა და დაბალი წოდების უფლებამოკლებულობა. მაღალი წოდების წარმომადგენელნი, დაბალი წოდებისაგან უფრო მეტად გამიჯვნის მიზნით, თავიანთ თავს ადიდებდნენ და „ცისფერი სისხლის" მქონედ სთვლიდნენ. რომელიმე ფეოდალი, თუნდაც არანორმალური, „გვარიშვილად" ცხადდებოდა, ხოლო გლეხი, რა გინდ ზრდილი და ჭკვიანიც არ უნდა ყოფილიყო, ადამიანად არ ითვლებოდა. ფეოდალური წოდებრივი ეთიკის საწინააღმდეგოდ აღმავალი ბურჟუაზია, რომელიც ფეოდალურ სამყაროს დასასრულშიაც კი დაბალ წოდებად ითვლებოდა, პროტესტს აცხადებდა. ამ პროტესტის შორეული გამოხმაურება წოდებრიობის წინააღმდეგ საქართველოში აღინიშნა: გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოში":

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა, ღირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა გვარიშვილობას".

ფეოდალიზმი კაპიტალიზმისაგან მთელი რიგი სხვა ნიშნებითაც განსხვავდებოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვითეული ასეთი თავისებურება ფეოდალური საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მუდმივად უცვლელი კი არ რჩებოდა, არამედ ვითარდებოდა და სხვადასხვა სახეს ღებულობდა.

მაგალითად, ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში არსებული ნატურალური მეურნეობა უფრო გვიანდელ ხანაში, ისეთივე კარჩაკეტილი აღარ იყო. მასში ხასაქონლო წარმოება თანდათან ვითარდებოდა და ფართოვდებოდა. მიწის რენტაც ასევე იცვლიდა თავის სახეს. თუ თავდაპირველად ის უფრო შრომით ბეგარაში გამოიხატებოდა, ხოლო შემდეგ პროდუქტიულში, ფეოდალიზმის განვითარების უმაღლეს საფეხურზე, მასში ფულადი სახე მატულობდა. გვიანდელი ფეოდალიზმის ხანაში, საფრანგეთის აგრარული ისტორია არ ხასიათდება ფეოდალის საკუთარი მეურნეობის ფართო

[1] ლენინი, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 6, გვ. 134.

არსებობით. ამ დროისათვის ფეოდალების თითქმის ყველა მიწა-გლეხთა შორის იყო დანაწილებული და, მაშასადამე, გლეხისაგან რენტის მიღება შრომითი ბეგარის სახით ფეოდალს ნაკლებად შეეძლო. ამ შემთხვევაში ეგი გლეხებისაგან რენტას უფრო პროდუქტიული ან ფულადი სახით ღებულობდა. ამგვარად, ფეოდალიზმის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე რენტის სხვადასხვა სახე სჭარბობდა, მის განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურს შრომითი ხასიათის რენტა შეესაბამებოდა, შემდეგ — პროდუქტიული რენტა, ხოლო უფრო განვითარებულს—ფულადი რენტა. თუმცა შესაძლებელი იყო რენტის სამივე სახის ერთად არსებობაც.

ფეოდალიზმის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ცალკეულ ქვეყნებში, შეიმჩნეოდა აგრეთვე უშუალო მწარმოებლების პირადი დამოკიდებულების ხარისხის მეტნაკლებობა. დასავლეთ ევროპის უმრავლეს ქვეყნებში პირადი ბატონყმური დამოკიდებულება XIV—XV საუკუნეებიდან ძირითადად უკვე გაუქმებულია, მაგრამ წოდებრივი უთანაბრობა კვლავ განაგრძობა თავის არსებობას. გლეხები კვლავ ბატონის სასამართლოს ემორჩილებიან და შეზღუდულნი არიან უფლებებში[1].

გლეხობა X—XI საუკუნეებში. რაც უფრო უახლოვდებოდა განვითარების შემდგომ საფეხურს ფეოდალიზაციის პროცესი, სულ უფრო და უფრო მატულობდა უშუალო მწარმოებელთა ნიველირება. მონობა და კოლონობა თანდათანობით გაქრა. თავისუფალ გლეხთა რაოდენობა მეტად შემცირდა და მეთერთმეტე საუკუნისათვის გლეხთა დიდი უმრავლესობა დაყმევებული აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, გლეხობაში მაინც შეიმჩნეოდა სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაცია. მცირე რაოდენობის შეძლებულ გლეხობასთან ერთად იყო აგრეთვე საშუალო შეძლებისა და ბოგანო გლეხების დიდი რაოდენობა. ამ უკანასკნელთა მძიმე მატერიალური მდგომარეობა უფრო მეტად მწვავდებოდა იმით, რომ ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში მიწის ნაკვეთების დამუშავებას უხეში იარაღებით აწარმოებდნენ. ყანებს ხნავდნენ მძიმე სახნისით (გუთნით), რომელშიაც შებმული უნდა ყოფილიყო რამდენიმე უღელი ხარი. იშვიათად თუ ბოიპოვებოდა გლეხური ოჯახი, რომელსაც გუთნის ამოძრავებისათვის საკმარისი რაოდენობის ხარები ყოლებოდა. გლეხური ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი, ამ შემთხვევაში, ერთიანდებოდა („მოდგამი"), მაგრამ ზოგიერთს ამის შესაძლებ-

---

1 Б. Ф. Поршнев, Очерк политической экономии феодализма. 33-41.

ლობა სულაც არ გააჩნდა და იძულებული იყო თავისი ყანა ბარითა და ნიჩბით დაემუშავებინა. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში მოსავალი იმდენად ნაკლები იყო, რომ მას ყანებიდან ზურგით ეზიდებოდნენ შინ.

გამწევი ძალის ნაკლებობა ფრიად დამახასიათებელი იყო იმდროინდელი სოფლისათვის. ხშირად ხდებოდა, რომ ხარების უყოლობის გამო ძროხებს აბამდნენ უღელში. სხვადასხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ ზოგჯერ ძროხებთან ერთად გამწევ ძალად თხასაც იყენებდნენ. ცხადია, რომ ეს, პირველ ყოვლისა, ღარიბ გლეხებზე ითქმის. იმდროინდელი ჩვეულების მიხედვით ფეოდალები გადასახადებით ბეგრავდნენ პირუტყვებს, ამასთან გამწევი ძალის დაბეგვრის რაოდენობა სხვა იყო, ვიდრე არა გამწევისა. რაკი გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ძროხებსა და თხებს იყენებდა გამწევ ძალად, ხოლო ამით ბატონი ჰკარგავდა თავისი შემოსავლის ნაწილს, ამიტომ გადასახადების გაწერისას ასეთ ძროხებსა და თხებს მებატონე ხარებთან თანაბრად სთვლიდა. ერთ-ერთ სიგელში ამის შესახებ ნათქვამი იყო: „თუ გუთანში შებმულ ცხოველთან ერთად დამატებით შებმული იქნება თხაც, იგი ხარად უნდა ჩაითვალოს“[1], ე. ი. თხისაგან გადასახადი ისეთივე უნდა აიღონ, როგორც ხარისაგან.

ყმა გლეხების ეკონომიური მდგომარეობა. მოუსავლიანობა და შიმშილი. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა სოფლის მეურნეობის იმდროინდელი განვითარების დონითა და ფეოდალური ექსპლუატაციით განისაზღვრებოდა. მეთერთმეტე საუკუნეში სოფლის მეურნეობას დაეტყო ერთგვარი გაუმჯობესება. შემოღებულ იქნა მიწის დამუშავების სამმინდროვანი სისტემა, თუმცა მეურნეობის ორმინდროვანი სისტემა და „გადანაცვლება“ ჯერ კიდევ განაგრძობდა თავის არსებობას. გაუმჯობესდა მებაღეობა, მებოსტნეობა და მევენახეობა. ჯერ კიდევ კაროლინგების ეპოქაში იწყეს დაინტერესება ანტიკური აგროტექნიკური ლიტერატურით. გადაწერილ იქნა კოლუმელას, პალადიუსის და პლინიუსის ტრაქტატები. შედგენილ იქნა ეგრეთ წოდებული კაპიტულარი ვილების შესახებ (Capitulare de villis) იწყება ბრძოლა სარეველა მცენარეების წინააღმდეგ. მიწის ნაკვეთების მოხვნა და განოყიერება XI საუკუნიდან უკეთ წარმოებს, ვიდრე კაროლინგების ხანაში. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო მოსავლიანობის გადიდებას. XII საუ-

---

[1] История средних веков, ა. დ. უდალცოვის, ე. ა. კოსმინსკისა და რ. ლ. ვაინშტეინის რედაქ., 1941 წ., ტ. 1, გვ. 149.

კუნის შუალედის ერთ-ერთი ფრანგული წყაროს მიხედვით, საშეოდგომო და საგაზაფხულო ნათესების შემოსავალი ერთი—ექვსით განისაზღვრებოდა.

მაგრამ საწარმოო ძალთა განვითარება მაინც ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ფეოდალური ანარქიულობისა და ხშირი თავდასხმების პირობებში ძნელდებოდა მეურნეობის უკეთესი მოვლა და დამუშავება. ამასთან ხშირი იყო გვალვიანი წლები და მოუსავლიანობა. 970 წლიდან დაწყებული 1040 წლამდე, ე. ი. 70 წლის მანძილზე, 48 წელი მოუსავლიანი აღმოჩნდა. ფრანგი ბერი რაულ გლაბერი. რომელიც ბურგუნდიაში ცხოვრობდა, 1032 წელს წერდა: „...ადამიანთა მთელი შთამომავლობა გაწამებული იყო საკვების უქონლობით, მდიდარი და შეძლებული ხალხი შიმშილისაგან ღარიბებზე არა ნაკლებ იფიტებოდა, ვინაიდან საყოველთაო გასაჭირში ძლიერებს ვინმეს გაძარცვა აღარ შეეძლოთ... როცა საქონელი და ფრინველი გადაჭამეს და შიმშილმა ადამიანები უფრო მეტად შეაწუხა, მაშინ მათ ლეშებისა და სხვა გაუგონარ რამეების შთანთქვა იწყეს... საშინელია იმის გადმოცემა, თუ რამდენად დაეცა ადამიანთა ზოდგმა... ადამიანები შთანთქავდნენ ადამიანის ხორცს... ზოგიერთები ბავშვებს უჩვენებდნენ ვაშლს ან კვერცხს, გაიყვანდნენ განცალკევებულ ადგილზე, ჰკლავდნენ მათ და სჭამდნენ“.

გლეხობის ძირითადი ფენები. X—XI საუკუნეებში გლეხობა იყოფოდა: მიწაზე მიმაგრებულ (პირადად დამოკიდებულ) გლეხობად და გლეხებად, რომელთაც პირადი თავისუფლება ჰქონდათ, ოღონდ დამოკიდებულნი ხდებოდნენ ფეოდალისაგან მიწის მიღების საქმეში. მიმაგრებული ყმა გლეხები ფეოდალის კუთვნილებად ითვლებოდნენ „მიწების. ტყის ნაკვეთების, მინდვრებისა და წყლების“ თანაბრად. მეთერთმეტე საუკუნის მიწურულის ერთ-ერთ ჩიგელში პირდაპირ ნათქვამი იყო: «აი ალოდები.... რომელნიც აბატების მუდმივ მფლობელობაშია (ჩამოთვლილია ალოდები) თავიანთი კუთვნილებით, სახელდობრ—ყმურ მდგომარეობაში მყოფ მამაკაცებითა და ქალებით, დამუშავებული და დაუმუშავებელი მიწებით, ტყეებით, მინდვრებითა და წყლებით». აქედან ჩანს, რომ ყმაც აბატის ისეთივე კუთვნილებაა, როგორც მიწა. ტყე, მინდორი და ა. შ.

ადრინდელი ფეოდალიზმის საფეხურზე მყოფი ყმა გლეხი თავისი იურიდიული მდგომარეობით თითქოს შუალედ ადგილს იკავებდა ანტიკურ მონასა და თავისუფალ პიროვნებას შორის. რიგ შემთხვევაში ის თითქოს ფეოდალური მამულის დამატებითი ცოცხალი ინვენტარი იყო და განსხვისების ობიექტს წარმოადგენდა, რაც

მას მონურ მდგომარეობასთან ახლოებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მონისაგან ის იმითი განსხვავდებოდა, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იგი უშუალოდ მიწაზე იყო მიმაგრებული და თუ მოინდომებდნენ მის გასხვისებას, ეს უნდა მომხდარიყო მიწის ნაკვეთთან ერთად. მას თავის ნადელზე მტკიცე უფლება ჰქონდა და შეეძლო იგი შვილისათვის მემკვიდრეობით გადაეცა, თუმცა ეს უნდა მომხდარიყო გარკვეული გადასახადის წინასწარ გადების შემდეგ, რადგან ამ მიწის უზენაეს მესაკუთრეს მაინც ფეოდალი წარმოადგენდა.

ყმა გლეხები, რომელთაც საფრანგეთში სერვები ეწოდებოდათ, ვილანებისაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ ისინი დამატებით სპეციფიკურ გადასახადებს იხდიდნენ და ფეოდალურ ვალდებულებას კისრულობდნენ პირადად თავისუფალი გლეხებისაგან განსხვავებით. სერვები ვალდებულნი იყვნენ გაეღოთ „სულადი" გადასახადი (შევაჟი). თავისუფალ პირებთან შეუღლების, ან სხვა მემამულის ყმა ქალის შერთვის შემთხვევაში იხდიდნენ „საქორწილო" გადასახადს (ფორმარიაჟი). იმისათვის, რომ შვილს გარდაცვალებული მამის მეურნეობა მიეღო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნდა გაეღო ეგრეთწოდებული „მკვდარი ხელი" გადასახადი (მენმორტი). უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ორმაგად აჩანაგებდა ყმა გლეხს. ჯერ ერთი, რომ ამ გადასახადში მას ფეოდალისათვის თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ძროხა უნდა მიეცა და მეორე, მენმორტი ახსენებდა მას, რომ მისი მეურნეობა არ წარმოადგენს მის საბოლოო საკუთრებას და ამიტომ ამ მეურნეობის მოვლა-განვითარების იმპულსი უშუალო მწარმოებელში კლებულობდა. ყმა გლეხების ეკონომიური მდგომარეობა უფრო მეტად რთულდებოდა ეგრეთ წოდებული ნებისმიერი ტალიის გადასახადით. ფეოდალის ეს უფლება იმაში გამოიხატებოდა, რომ მას განუსაზღვრელად შეეძლო ამ გადასახადის აკრეფა გლეხობისაგან რამდენიც მას სურდა და როდესაც ამას საჭიროდ დაინახავდა.

თავისუფალი გლეხობა. ტალიის გადასახადს პირადად თავისუფალი გლეხებიც იხდიდნენ, ოღონდ ამ შემთხვევაში ეს გადასახადი განსაზღვრული რაოდენობით იყო დაწესებული. პირადად თავისუფალი გლეხების მდგომარეობა ნაწილობრივად იმითი იყო შემსუბუქებული, რომ ისინი, სერვების მსგავსად არ იხდიდნენ შევაჟს, ფორმარიაჟს და მენმორტის გადასახადს. ასე, ამრიგად, თავისუფალი გლეხობა, ანუ ვილანობა (როგორც მას საფრანგეთში უწოდებდნენ) ყმობისაგან იმითი განსხვავდებოდა, რომ პირველი გადასახადებს გაიღებდა მის მიერ დაკავებული მიწის ფართობის, ან მი-

სი შემოსავლის მიხედვით, ხოლო ყმები გადასახადებსა და ვალდებულებებს იხდიდნენ პირადი დამოკიდებულების საფუძველზე. ამასთან, თუ პირადად თავისუფალი გლეხის გადასახადების რაოდენობა მტკიცედ ფიქსირებული იყო და არ შეიძლებოდა მისი შეცვლა, სერვის გადასახადები უფრო ნებისმიერს წარმოადგენდა. იმდროინდელ ჩვეულებათა მიხედვით, ვილანები იმდენად იხდიდნენ გადასახადებსა და ვალდებულებებს, რამდენადაც ისინი ფლობდნენ ფეოდალის მიწას, ხოლო თუ ისინი ამ მფლობელობაზე უარს იტყოდნენ, მათ ეს ვალდებულება ეხსნებოდათ. სერვი ასეთ შესაძლებლობას მოკლებული იყო, რადგან ის მიწაზე მიმაგრებულად ცხადდებოდა.

პირადად თავისუფალი გლეხი იურიდიულ უფლებებშიაც უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ყმა. პირადად თავისუფალ გლეხს დაქორწინება შეეძლო ფეოდალის დაუკითხავად და ფორმარიაჟის გადაუხდელად. გარდა ამისა, პირადად თავისუფალ გლეხს სასულიერო წოდებაში შესვლის უფლება ჰქონდა. მას შეეძლო თავისუფლად ემოქმედა სასამართლოში არა მარტო როგორც მოწმეს, არამედ როგორც მოდავესაც. მაგრამ, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ასეთი გლეხი, რამდენადაც თავისუფალი არ უნდა ყოფილიყო, საბოლოო ანგარიშში, ის მაინც დამოკიდებული ხდებოდა ფეოდალზე. თუ ის უარს იტყოდა რომელიმე ფეოდალის მიწაზე და ამით ფეოდალურ ვალდებულებებს თავიდან მოიხსნიდა, იგი იძულებული იყო მიწის მისაღებად სხვა ფეოდალისათვის მიემართა და კვლავ ყმური ვალდებულებანი ეკისრა.

ფეოდალური ექსპლუატაციის ზრდა და კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება. ფეოდალურ საზოგადოებაში მცირედი რაოდენობით თავისუფალი გლეხებისა და მტკიცედ ფიქსირებული ღალის არსებობა ფეოდალს დროებით სჭირდებოდა იმის გამო, რომ იმ ხანებში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვებოდა ყამირი, დაუმუშავებელი მიწები. მათ მოსავლელად და დასამუშავებლად აუცილებელი იყო უშუალო მწარმოებლის ერთგვარი წაქეზება მისგან შედარებით უკეთესი პირობების შექმნით. გარდა ამისა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო ტყეების გაკაფვა და მეურნეობის მოწყობა გაკაფულ ადგილებზე. გადასახადებით შევიწროებული გლეხობის ნაწილი სტოვებდა თავის დასახლებულ ტერიტორიას და გარბოდა ახოს ასაღებად ასეთ ადგილებში. გახიზნულ გლეხებს ახალ ადგილებში შედარებით უკეთესი პირობები ხვდებოდათ.

მეთერთმეტე საუკუნეში ძირითადად დამთავრდა დასავლეთ ევროპის შინაგანი კოლონიზაცია. ამ დროისათვის წინათ არსებული ძველა თავისუფალი და დაუმუშავებელი მიწები ფეოდალთა შორის დანაწილებული აღმოჩნდა. ახლა ყმების გაქცევა დასახლებული ადგილებიდან შეუძლებელი გახდა. რაკი ფეოდალს აღარ ეშინოდა თავისი ყმების გაქცევისა, იგი თავშეუკავებლად ახდენდა უშუალო მწარმოებლის ღალითა და ბეგარით უზომო დატვირთვას. ძველად არსებულ ღალის სახეს მებატონე ახალი სახის გამოსაღებს უმატებდა. ბატონი ხშირად ღალის აკრეფის საზომ ერთეულსაც ზრდიდა იმ ანგარიშით, რათა გაეზარდა თავისი შემოსავალი.

ექსპლუატაციის ნორმის ზრდისაკენ ფეოდალის ლტოლვას ხელს უწყობდა სხვა გარემოებაც. ჯერ ერთი, რომ მეთერთმეტე საუკუნეში საბოლოოდ განმტკიცდა ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობა და, მაშასადამე, გაძლიერდა ფეოდალური კლასი. გარდა ამისა, მეთერთმეტე საუკუნეში ვაჭრობის გაცხოველება უფრო შესამჩნევი გახდა. ჯვაროსანთა ლაშქრობის წამოწყების შედეგად ფეოდალური კლასის მოთხოვნილება ფულზე შემდეგში უზომოდ გაიზარდა. აღმოსავლეთის ნარნარა ქსოვილებსა და სურნელოვან სანელებელს ევროპის ბაზარზე უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა. მათი შეძენა და მოხმარება ფეოდალის მიერ უშუალო მწარმოებლის ხარჯზე უნდა მომხდარიყო.

უშუალო მწარმოებლის მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად, იზრდებოდა კლასობრივი წინააღმდეგობა. ამასთან კლასობრივი ბრძოლის ფორმებიც იცვლებოდა. თუ წინათ კლასობრივი ბრძოლა ღალის გადახდაზე უარის თქმისა და გლეხების დასახლებული ადგილებიდან გაქცევაში გამოიხატებოდა, ახალა, რაკი გაქცევა შეუძლებელი გახდა, იგი უმთავრესად გლეხთა შეთქმულებებში და აჯანყებებში ვლინდებოდა. სამწუხაროდ, წერილობითი ცნობები ამ აჯანყებათა შესახებ ნაკლებად მოგვეპოვება. ვინაიდან გაბატონებული კლასის წარმომადგენელნი, რომელთა მონოპოლიას წერა-კითხვის ცოდნაც წარმოადგენდა, არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ გლეხობას და წერდნენ მხოლოდ ეკლესიაზე და ფეოდალურ-რაინდულ ყოფა-ცხოვრებაზე.

გლეხთა აჯანყებანი. ყველა ზემოთქმული—აუტანელი ღალა, ბეგარა, მოუსავლიანობა, შიმშილი და ფეოდალების მიერ ყმების საერთო შევიწროება,—გაწამებულ გლეხობას პირდაპირ აჯანყების გზაზე აყენებდა. ერთ-ერთ ასეთ აჯანყებაზე მოგვითხრობს მეათე საუკუნის მიწურულის თანამედროვის გილიომ ჟიუმეჟელის „ნორმანდიული ქრონიკა“. ამ ქრონიკიდან ის ადგილი, რომელიც ნორ-

მანდიაში მომხდარ საყოველთაო აჯანყებას ეხება. შემდეგნაირად არის დასათაურებული: „იმის შესახებ, თუ ჰერცოგმა რიჩარდმა როგორ მოახერხა ჩახშობა გლეხთა საერთო შეთქმულებისა, რომელიც მათ საყოველთაო მშვიდობის დარღვევით მოაწყეს“.

ამ დასათაურებიდანაც ჩანს, რომ ქრონიკის ავტორი ხოტბა-ქებით მოიხსენიებს ფეოდალური კლასის წარმომადგენელს ჰერცოგ რიჩარდ მეორეს, რომელიც ნორმანდიის მმართველი გახდა 996 წელს და, მაშასადამე, თვითონაც ფეოდალურ კლასს ეკუთვნის. მიუხედავად ავტორის მთელი სიმპათიისა ფეოდალური კლასის მიმართ, იგი იძულებულია ობიექტურად გადმოგვცეს გამარჯვებული ფეოდალების მხეცური დამოკიდებულება შესახებ დამარცხებულ აჯანყებულთა მიმართ. ამასთან ქრონიკის ავტორი იძულებულია აღიაროს, რომ გლეხთა ეს აჯანყება მოედო არა რამდენიმე სოფელს, არამედ მთელ ნორმანდიას. აი, როგორაა აღწერილი ქრონიკაში ნორმანდიის გლეხთა აჯანყება და მისი ჩახშობა ჰერცოგის მიერ რაინდების დახმარებით:

„ნორმანდიის სხვადასხვა საგრაფოში გლეხებმა საყოველთაო თავმოყრა იწყეს. იმათ დადგენილებები გამოჰქონდათ იმის შესახებ, რომ ეცხოვრათ თავის ნებაზე, რათა ესარგებლათ ტყიანი ადგილმამულებითა და წყლებით: თავიანთი კანონების მიხედვით ესარგებლათ ყოველგვარი ძველად შემოღებულ შემზღუდველ უფლებათა გარეშე. და რომ ეს გადაწყვეტილებანი დაემტკიცებინათ მღელვარე ხალხის ყოველ კრებაზე, ისინი ორ-ორ წარმომადგენელს ირჩევდნენ, რომელთაც მათი დადგენილებანი უნდა გაეტანათ ქვეყნის შიგნით მოწყობილ საერთო კრებაზე საბოლოო დასამტკიცებლად. როცა ამის შესახებ ჰერცოგმა შეიტყო, მათ წინააღმდეგ სასწრაფოდ გაგზავნა გრაფი რაული ეამრავი რაინდებით, რომელთაც სოფლური თაეხედობა და გლეხური ამხანაგობა უნდა აღეკვეთათ. და აი, რაულმა დაუყოვნებლივ და ფარულად შეიპყრო გლეხთა ყველა რწმუნებული ზოგიერთ სხვასთან ერთად, მოჰკვეთა მათ ხელფეხი და დასახიჩრებულნი გაუგზავნა თანამოაზრეებს, რათა მათ თავიანთი მაგალითით აჯანყებულნი დაერწმუნებინათ, რომ მათაც არ გაეზიარებინათ უარესი ბედი. ამგვარად შთაგონებული გლეხები დაჩქარდნენ შეეწყვიტათ ყრილობა და თავიანთ გუთნებს დაბრუნებოდნენ“.

რაინდობა. გლეხთა მღელვარებისა და აჯანყებების ჩახშობა უმთავრესად შეიარაღებული რაინდების მეშვეობით ხდებოდა. რაინდობა ვიწრო გაგებით, სამხედრო წოდება იყო და უმთავრესად საშუალო და წვრილი ფეოდალებისაგან შედგებოდა. რაინდობის ფარ-

თო გაგება კი. გულისხმობდა მსხვილ ფეოდალებსაც. რომელნიც რაინდად ეკურთხებოდნენ. შეიარაღებულ ძალებში რაინდობა უმთავრესად ცხენოსან რაზმებს ადგენდა. რაინდობის წარმოშობა ხდება მერვე საუკუნის მეორე ნახევრიდან. როცა ფრანკების არაბებთან ბრძოლაში გამოირკვა ცხენოსანი რაზმების უპირატესობა შედარებით ქვეით მებრძოლებთან. ამ მხრივ პირველი რეფორმები სამხედრო საქმეში კარლოს მარტელმა ჩაატარა.

მაგრამ რაინდობის წარმოშობის ძირითად მიზეზად არაბებთან ბრძოლა კი არ უნდა ჩაითვალოს, როგორც ეს მიღებულია ისტორიულ ლიტერატურაში, არამედ ის სოციალ-ეკონომიური ცვლილებები, რომელთაც ამ დროისათვის ადგილი ჰქონდათ ფეოდალიზაციის პროცესში მყოფი ფრანკების საზოგადოებრიობაში. როგორც ცნობილია, რაინდობამ სახალხო შეიარაღება შეცვალა. სახალხო შეიარაღება ფრანკებში თავის არსებობას ამართლებდა მაშინ, როცა საზოგადოება ჯერ კიდევ გვაროვნულ წყობილებაში იმყოფებოდა და საჭირო არ იყო ერთი რომელიმე კლასის მიერ მეორის დამორჩილება შეიარაღებული ძალით. ასეთ ვითარებაში სახალხო შეიარაღება მიზნად ისახავდა, ან საერთო მტრის უკუგდებას, ანდა საერთო ძალებით თავდასხმას მოწინააღმდეგეზე.

მას შემდეგ, როცა საზოგადოება კლასებად დაიყო და საჭირო გახდა ერთი კლასის მიერ მეორის დამორჩილება, საზოგადოების იმ ნაწილის განიარაღება უნდა მომხდარიყო, რომლის დამორჩილებაც გაბატონებული ჰქონდა ექსპლუატატორთა კლასს. ასეთ პირობებში სახალხო შეიარაღება ზედმეტი ხდებოდა. მარტო ექსპლუატატორთა კლასი უნდა გადაქცეულიყო მონოპოლისტად შეიარაღების საქმეშიც. ამგვარად, კარლოს მარტელის სამხედრო რეფორმები, უპირველეს ყოვლისა ამითი იყო ნაკარნახევი. არაბებთან ბრძოლა ამ პროცესის მხოლოდ დამაჩქარებელ ფაქტორად უნდა გამხდარიყო. სახალხო შეიარაღების ნაცვლად ფეოდალური კლასისაგან შემდგარი რაინდების ცხენოსანი რაზმები ექსპლუატატორთათვის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა თავიანთი ბატონობის შემდგომი შენარჩუნების საქმეში.

„დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნებში ტევტონური წარმოშობის მქონე ძლევამოსილი არისტოკრატიის განმტკიცებამ ჩაუყარა საფუძველი კავალერიის ისტორიის ახალი ერის საწყისს. დიდკაცობა ყველგან საკავალერიო სამსახურში შედიოდა. აბჯროსანთა (gens-d' armes) სახელწოდებით ის ადგენდა მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანთა რაზმებს. რომელშიაც არა მარტო მხედრები, არამედ ცხენებიც ლითონის საჭურველით იყვნენ დაფარულნი. პირველი

ბრძოლა. რომელშიაც ასეთი კავალერია გამოჩნდა, იყო ბრძოლა პუ-ატიესთან. სადაც კარლოს მარტელმა 732 წ. არაბთა შემოსევა უკუ-აგდო"[1].

რადგან რაინდობა გაბატონებული კლასის შეიარაღებულ ძალებს წარმოადგენდა და უმთავრესად უშუალო მწარმოებელთა დამორჩილებას ისახავდა მიზნად, ამიტომ მის შემადგენლობაში შეუძლებელი იყო დაბალი ფენის წარმომადგენელთა მიღება. ასე, მაგალითად, გერმანიაში იმპერატორ ფრიდრიხ პირველის ბრძანებულებით რაინდობაში შესვლა სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შვილებსა და გლეხობას აკრძალული ჰქონდათ. ეს რომ ასეც არ ყოფილიყო, გლეხის მოხვედრა რაინდების სამხედრო. წოდებაში მაინც შეუძლებელი იქნებოდა, რადგან საამისო მატერიალური პირობები მას არ გააჩნდა. რიპუარების სამართლის მიხედვით მუზარადი ღირდა—2 ძროხა, აბჯარი—4, მახვილი—2½, საბარკული—2 შუბი და ფარი—2/3. საბრძოლო ცხენი—4. სულ 15 ძროხა. ამ საკითხზე ე. ა. რაზინის მიერ მოცემული ცნობები შეიძლება გადაჭარბებულად ჩითვალოს[2].

ვასალ-სენიორალური დამოკიდებულება. გლეხის რაინდად აღორძინება ახალ თვალსაზრისითაც შეუძლებელი ხდებოდა. საქმე ისაა, რომ ყველა რაინდი ვინმეს „ვასალი" უნდა ყოფილიყო, ხოლო თანახმად არსებული წესებისა, გლეხი არ შეიძლებოდა ვისმეს ვასალად გამხდარიყო. ვინმეს რომ ვინმე აეყვანა თავის ვასალად, პირველს ეკანონებელისათვის უნდა მიეცა ეგრეთ წოდებული ფეოდი (აქედან „ფეოდალიზმი"). ფეოდად ვასალს შეიძლებოდა გადასცემოდა სამსახურისათვის არა მარტო მამულები, არამედ მოძრავი ქონება და რაიმე შემოსავლის წყარო. სენიორის მიერ ვასალისათვის ფეოდის გადაცემის ცერემონიას ინვესტიტურა ეწოდებოდა, ვინმეს ვასალად მიღების ცერემონიას კი—ომაჟი. ჩვეულებრივად ომაჟი ვასალის მიერ ერთგულების ფიცით—ფუათი (fui) უნდა განმტკიცებულიყო.

ჟან იბელინის[3] წიგნის მიხედვით ომაჟისა და ფუას ცერემონია შემდეგში მდგომარეობს: „როდესაც ვინმე—მამაკაცი ან ქალი—სა-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XI, ნაწ. 11, გვ. 444—445.

[2] Е. А. Разин. История военного искусства. 1957, т. II, გვ. 132—133.

[3] ჟან იბელინის წიგნი ასახავს ძველ ფეოდალურ ადათს, რაც მოცემული იყო იერუსალიმის ასიზებში.

მეფოს უზენაეს სენიორისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში შედის, ვან მის წინ მუხლი უნდა მოიყაროს, თავისი ხელები უნდა შეაერთოს და სენიორის ხელებში მათი ჩადებისას მას უნდა უთხრას: „ბატონო, ამა და ამ ფეოდისათვის,—და დაასახელებს ფეოდს, რომლის გამოც ცნობს ის ვასალურ დამოკიდებულებას,—მე თქვენ უშუალო ვასალად ვხდები და პირობას გაძლევთ, რომ დაგიფარავთ და დაგიცავთ ყველა ადამიანისაგან. ვინც (კი) თქვენს წინააღმდეგ ხელს აღიღებს“. ამის საპასუხოდ სენიორმა უნდა უთხრას: „გღებულობთ თქვენ ვასალურ დამოკიდებულებაში ღვთისადმი და ჩემდამი ერთგულების დაცვის პირობით, რომ თქვენ ჩემს უფლებებს არ დაარღვევთ“. და ნიშნად ერთგულებისა იგი ვასალს ტუჩებზე უნდა ეამბოროს“.

ვასალის ვალდებულებანი თავისი სენიორის მიმართ მეტად ძრავალფეროვანი და მასთან რთული შესასრულებელი იყო. ვასალი ვალდებული ხდებოდა დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო სენიორის მიერ წამოწყებულ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად. სენიორის მოთხოვნით ვასალს უნდა მოეწყო რომელიმე პუნქტის თავდაცვა და უნდა ჰყოლოდა გარნიზონი ამა თუ იმ კოშკში. ვასალი ომიანობის დროს მძევლადაც შეიძლებოდა გაცემულიყო თავის სენიორის მიერ. ვასალს თავის სენიორის მაგიერ პასუხი უნდა ეგო მატერიალურადაც და პირადადაც. გარდა ამისა, იგი მატერიალურ დახმარებას უწევდა სენიორს თუ კი ამას უკანასკნელი საჭიროებდა. ჩვეულებრივად ვასალი სენიორის საბჭოს (კურიის) წევრად ითვლებოდა და მონაწილეობა უნდა მიეღო მის სასამართლოში. სენიორის სასამართლო ეგრეთ წოდებულ პერებისაგან (თანასწორი ვასალებისაგან) შედგებოდა, რომლის თავმჯდომარედაც სენიორი ითვლებოდა. თუ ეს სასამართლო ცნობდა, რომ რომელიმე ვასალმა დაარღვია თავისი პირობა, დაადგენდა, რომ ურჩი ვასალისათვის ჩამოერთმიათ ფეოდი და სენიორისათვის უკან დაებრუნებინათ. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ხშირად შეუძლებელი ხდებოდა შეიარაღებული ძალების გამოყენების გარეშე.

ზემოაღნიშნული გარემოების თვალსაჩინო დამადასტურებელია გრაფ ოდონის (ბლუას გრაფი) საქციელი თავისი სიუზერენის მეფე რობერტის მიმართ. ორგულობის გამოჩენის გამო მეფემ გადასწყვიტა ჩამოერთმია ოდონისათვის ფეოდი, მაგრამ გრაფმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია და მეფეს 1025 წელს მისწერა: „როგორ შემეძლო მე დამეთმო ჩემი ფეოდი და არ დამეცვა ის? ღმერთსა და ჩემს სულს ვფიცავ, რომ უმალ ვამჯობინებ სიკვდილს ჩემს ფეოდში, ვიდრე ვცოცხლობდე ფეოდის გარეშე“.

რადგან ყოველი ვასალი თავისი სენიორის მოწინააღმდეგე ვასალის მტრადაც უნდა ჩათვლილიყო, ამიტომ იგი საკუთარი შეიარაღებული ძალებით, თავისი სენიორის მტრის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო. იმდროინდელი ჩვეულების თანახმად ვასალი შეიძლებოდა ერთსა და იმავე დროს ორი სენიორის ვასალი ყოფილიყო და მათთვის მიცემული ფიცით ვალდებული იყო ერთგულება გამოეჩინა ორივესადმი. თუ ეს ორი სენიორი ერთი-მეორის წინააღმდეგ დაიწყებდნენ ბრძოლას, ბუნებრივია, რომ მაშინ ვასალი ერთი რომელიმეს მხარეზე აღმოჩნდებოდა და, მაშასადამე, ერთ რომელიმესადმი მიცემულ ფიცს იგი დაარღვევდა, მაშინ ასეთ განდგომილ და მტრადქცეულ ვასალს სენიორი ფეოდს კვლავ ჩამოართმევდა, ხოლო ეს კი იწვევდა ახალ ბრძოლებს.

ფეოდალური ომები და ანარქია. X—XI საუკუნეებში ცენტრალური ხელისუფლების სუსტესტის გამო გაბშარებული იყო ფეოდალების ურთიერთ თავდასხმა. მათი ურთიერთ ბრძოლები მემკვიდრეობითაც კი გადადიოდა და საქმეს დასასრული არ უჩანდა. რაულ გლაბერი (985—1047 წწ.) თავისი II წიგნის X თავში წერდა: „მოხდა ისე, რომ სანსის ოლქში მდებარე ერთ-ერთი სოფელი, რომელსაც **Allanto** ეწოდებოდა. მათ (დასახლებულია ამ ფეოდის მიმღები ფეოდალი და მისი მთამომავლობა) წმინდა კოლუმბანის მონასტრის წინამძღვრებისაგან წყალობად მიიღეს. ოსერში მცხოვრებმა რაინდებმა კი ეს სოფელი მათ ძალით გამოსტაცეს. ყოფილი მეპატრონეები ყოველმხრივ ცდილობდნენ თავიანთი სოფლის უკან დაბრუნებას. მრავალ წელს გრძელდებოდა მოწინააღმდეგეთა შორის ეს დავა, ვიდრე ერთხელ, ყურძნის კრეფის დროს, თვით სოფელში ორივე მხარე ერთი მეორეს არ შეეჯახა. ამ ბრძოლაში ორივე მხრიდან ბევრი დაიხოცა. ხოლო ზემოაღნიშნულმა სახლმა თერთმეტი შვილი და შვილიშვილი დაკარგა. დროთა განმავლობაში მოწინააღმდეგეთა შორის ჩხუბი და უთანხმოებანი უფრო და უფრო მწვავდებოდა და 30 და მეტი წლის განმავლობაში ამ ოჯახის წევრთა და მათი ძტრების ეამრავი ხოცვა და განადგურება არ სწყდებოდა“.

ეს ფეოდალური ომები დაკანონებული იყო ფეოდალური წესჩვეულებით. ფეოდალი იურისტები განსაზღვრავდნენ ომის წამოწყებისა და ომში გამოწვევის წესებს. რადგან მოულოდნელი თავდასხმანი უფრო მეტ ბოროტებად მოჩანდა, ამიტომ დაწესებული იყო წინასწარი გაფრთხილება, მაგრამ სინამდვილეში ეს წესი ხშირად ირღვეოდა. ფეოდალების ერთი მეორეზე თავდასხმისას ყველაზე უფრო მეტი ზიანი გლეხებსა და გლეხურ მეურნეობას ადგებოდა.

ან ბრძოლებში შეუიარაღებელი გლეხობა ყველაზე უფრო მეტად წყდებოდა. რაინდების ცხენების ფეხქვეშ ითელებოდა და ნადგურდებოდა გლეხური მეურნეობა, მაგრამ რაინდების მიერ მოწყობილ ბარცვასა და რბევას არა ნაკლებ განიცდიდა საეკლესიო დოვლათი და მეურნეობა. გლეხობასთან ერთად რაინდები არბევდნენ მონასტრებსა და იტაცებდნენ მათ ქონებას.

ამით აღშფოთებული სასულიერო წოდება ცდილობდა საყოველთაო მშვიდობის დამყარებას, მაგრამ რადგან ამას ის საკუთარი ძალებით ვერ ახერხებდა. ამიტომ იგი (კერძოდ საფრანგეთის სასულიერო წოდება) მეათე საუკუნის ბოლოდან ცდილობდა, როგორმე შეინც ეს ომები შეენელებინა დროისა და ტერიტორიის განსაზღვრით. საეკლესიო კრებებზე დგინდებოდა ეგრეთ წოდებული „ღვთისა ზავი". მეთერთმეტე საუკუნის მეორე მეოთხედიდან დაწყებული ეკლესია დამატებით აცხადებს ეგრეთ წოდებულ „ღვთისა დროებით დაზავებას". რომლის მიხედვით თავდაპირველად ომის წამოწყება კვირა დღეებში იკრძალებოდა, შემდეგში კი ომი აკრძალული უნდა ყოფილიყო, დაწყებული ოთხშაბათ საღამოდან ორშაბათ დილამდე. ეკლესია ხანდახან იმასაც კი ცდილობდა, რომ ასეთი „აკრძალვა" სხვა უქმე და მარხვა დღეებზე გაეერცელებინა.

მუდმივი მშვიდობიანობა დაცული უნდა ყოფილიყო იმ ადგილებში. სადაც გაშენებული იყო ეკლესიები და მონასტრები. რადგან ეკლესია დაინტერესებული იყო შორიდან მოსული მლოცველებითა და ვაჭრობითაც, ამიტომ მიმოსვლის ადგილებში აღმართავდა ქვების ჯვრებს და ამით ასეთ ადგილებშიც კრძალავდა ომების წარმოებას. მაგრამ ეკლესიის ასეთი ღონისძიება, საბოლოო ანგარიშში, მაინც ვერ აღწევდა თავის მიზანს. ჯერ ერთი, რომ წელიწადში აკრძალული დღეების გარდა, კიდევ სხვა უფრო მეტი დღეები რჩებოდა და, მაშასადამე, ამ დღეებში ფეოდალური ომების წარმოებას ეკლესია თვითონ დასტურს აძლევდა და მეორე, თვით სასულიერო წოდებაში არ იყო ერთსულოვნება „მშვიდობის" პოლიტიკის ბოლომდე გატარებაში. ყოველივე ეს, აღვირახსნილ რაინდებს, რა თქმა უნდა, ვერ შეაჩერებდა ქვეყნის რბევა-აწიოკების საქმეში.

რაინდის კოშკი. იმდროინდელი ანარქიულობისა და ბოროტების ბუდედ გადაქცეული იყო რაინდის კოშკი. კოშკები ევროპაში დიდი რაოდენობით გავრცელდა მეცხრე საუკუნიდან, მას შემდეგ, როცა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოზე გახშირდა ნორმანების, უნგრელებისა და არაბების თავდასხმა. გერმანიაში, მაგალითად, საუკეთესო კოშკებს აშენებდნენ მსხვილი ფეოდალები და იმპერატორებიც კი. იმ მიზნით, რომ გარშემო მყოფი მოსახლეობა მტრის

შემოსევისაგან დაეცვათ. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ფეოდალების კოშკები ურთიერთ თავდასხმისათვის და მონასტერთა გასამაგრებლისათვის იყო გამიზნული. კოშკები იქცა იმ დასაყრდენ ადგილებად, საიდანაც სისტემატურად ახდენდნენ თავდასხმას, როგორც მეზობლებზე, ისე მგზავრებზე. ფეოდალის კოშკი მუქარას წარმოადგენდა თვით სამეფო ხელისუფლებისათვისაც კი, რადგან მიუდგომელ კოშკში მყოფი ფეოდალი ხშირად აღარ ემორჩილებოდა მეფეს და ცდილობდა, სამეფო ხელისუფლების ხარჯზე, თავისი გავლენა გავრცელებინა მოსახლეობაში.

864 წელს კარლოს მელოტის მიერ გამოქვეყნებულ კაპიტულარში კოშკების შესახებ ნათქვამი იყო: „ჩვენ გვსურს და დაბეჯითებით მოვითხოვთ იმას, რომ ვინც ბოლო ხანებში ჩვენს ნებადაურთველად კოშკები, სიმაგრეები და მესერები ააგო, აგვისტოს კალენდებისათვის სრულიად მოსპოს, რადგან მეზობლები და მახლობელი მცხოვრებლები მათგან ძარცვავენ და შევიწროებას განიცდიან“. ასეთივე ფრანკთა მონარქიაში, ისე როგორც ინგლისში, სადაც კოშკებს აგრეთვე უკანონოდ აგებულად სთვლიდნენ და უნდა დანგრეულიყვნენ, მეფეთა ამგვარ განკარგულებას ასრულებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეფო ხელისუფლება ძლიერი და გავლენიანი იქნებოდა.

კოშკებს უმთავრესად ბუნებრივ სიმაგრეებზე (გორაკებზე, ტბის შუაგულში არსებულ კუნძულზე და სხვ.) აშენებდნენ. თავდაპირველად X—XI საუკუნეებში კოშკების საამშენებლო მასალად უმთავრესად ხეს იყენებდნენ. ეს კოშკები პრიმიტიულნი იყვნენ და ვერ წააგავდნენ იმ კოშკებს, რომელთა ფართო მშენებლობა ქვის მასალით იწყება XII—XIII საუკუნეებში. უბრალო კოშკი ხშირად ორსართულიანი იყო. ზემო სართულში ცხოვრობდა რაინდი თავისი ოჯახით, ხოლო ქვემოთ მოთავსებული იყო სხვადასხვა საწყობი, ინვენტარი, ოთხფეხა საქონელი და ა. შ. რიგ შემთხვევაში ორი სართულის გარდა კოშკს „სარდაფსაც“ უკეთებდნენ. ეს უკანასკნელი უფრო ხელსაყრელად ჰქონდა წარმოადგენდა, რომელიც, ერთი მხრივ, წყლით მომარაგებას ისახავდა მიზნად, ხოლო მეორე მხრივ, უნდა გამოყენებულიყო როგორც ტყვეთა სამყოფელი.

კოშკის გარშემო მდებარე მიდამოები ჩვეულებრივ მესერით იყო შემოღობილი, ხოლო მესერს გარეთ თხრილი იყო გაყვანილი. ეს თხრილი ხშირად წყლით იყო სავსე, რათა მტერს ადვილად არ გადაელახა ის და უშუალოდ კოშკს არ მისდგომოდა. რადგან იმ ხანებში ჯერ კიდევ არ იყო ხმარებაში დენთი, ამიტომ შუბებით, ხახვილებით და ისრებით ამ სიმაგრეთა აღება შეუძლებელი ხდე-

ბოდა. კოშკის აღებისათვის და მასში მყოფ მცველთა ხელში ჩაგდებისათვის მოიერიშეს ან უნდა ხანგრძლივი ალყა გამოეყენებინა, ოათა კოშკის მცველნი შიმშილით აეძულებინა ჩაბარებულიყვნენ, ან არა და ცეცხლი უნდა წაეკიდებინა კოშკისათვის და მისი მისასვლელებისათვის. თუ კოშკის მცველებმა წინასწარ იცოდნენ, რომ კოშკზე თავდასხმა მოხდებოდა, ისინი ჰკლავდნენ საქონელს და მათ ტყავებს აკრავდნენ ხისაგან გაკეთებულ კოშკის კედლებს, რათა ცეცხლის წაკიდება კოშკისათვის შეუძლებელი გამხდარიყო.

მიუხედავად ამისა, ხის კოშკისათვის ცეცხლის წაკიდება და მისი ბოსპობა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ქვებისაგან აშენებული კოშკისა. მაგრამ თუ ხის კოშკის დაწვა ადვილი იყო, სამაგიეროდ, ხისაგან ახალი კოშკის აშენებაც უფრო ადვილი ხდებოდა. ხის კოშკის შენება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ხანდახან მას რამდენიმე დღის განმავლობაში და ხან კი ერთ ღამეშიაც აგებდნენ. დღისით რომელიმე მოძღვარი რომ დაათვალიერებდა მონასტრის მიდამოებს და ყველაფერი რიგზე ეჩვენებოდა. მეორე დილას მის ტერიტორიაზე შიშითა და ძრწოლით შეამჩნევდა ერთს ან ორ ასეთ კოშკს. ეს კი იმას ნიშნავდა ,რომ ამ კოშკებიდან უნდა დაწყებულიყო მონასტერზე რაინდთა თავდასხმა.

ფეოდალური ბრძოლების თავისებურებანი. ფეოდალური ანარქიის პერიოდში ბრძოლები ხშირად წარმოებდა, მაგრამ ამ ბრძოლებს უმრავლეს შემთხვევაში უფრო წვრილი შეტაკების ხასიათი ჰქონდა და მიზნად ძარცვასა და რბევას ისახავდა. ჰქონდა რა ფეოდალს გამაგრებული კოშკი. მას თავისი შეიარაღებული რაზმიც ჰყავდა. ამ რაზმის სიდიდე ფეოდალის შეძლებაზე იყო დამოკიდებული. ყველა ასეთი რაზმი მხოლოდ თავის სენიორს ემორჩილებოდა. თითქმის ყველა ფეოდალი ბრძოლას ერთი მეორის წინააღმდეგ აწარმოებდა. მათი დროებითი გაერთიანება ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ისინი დააპირებდნენ უცხო ქვეყნების დაპყრობას. პოლიტიკური დაქუცმაცება განსაზღვრავდა ფეოდალურ ბრძოლებს. კარლოს დიდის შემდეგ ფეოდალურ დასავლეთ ევროპას მნიშვნელოვანი ხნის განმავლობაში არ ახსოვს დიდი ომები გარდა გერმანიის იმპერატორების შეკრისა იტალიაში და ჯვაროსანთა ლაშქრობის წამოწყებისა. ეს იმ გარემოებით აიხსნებოდა, რომ საერთო არმია იმ დროს არ არსებობდა, ხოლო შეიარაღებული ცალკეული ჯგუფები ცალკეულ ფეოდალებს მიეკუთვნებოდნენ.

იმდროინდელი ბრძოლები მათში მონაწილეთა მცირე რაოდენობით და მეომართა თავისებური შეიარაღებითაც განისაზღვრებოდა. მძიმედ შეიარაღებული ფეოდალი — რაინდი ბრძოლისუნა-

რიანი იყო მაშინ, როცა ის ცხენზე ჯდებოდა, რადგან ცხენის გარეშე დამოუკიდებელი მოძრაობა საჭურველის სიმძიმის გამო მას არ შეეძლო. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჯავშანში ცხენიც იყო გამოწყობილი და ამიტომ არც ცხენს შეეძლო სწრაფი ხიარული. იგი ნაბიჯით დადიოდა და ჭენება ძალიან მოკლე მანძილზე შეეძლო. მხედრის ცხენიდან ჩამოგდებისა შემთხვევაში, ის ეგდო ადგილზე და თავისთავად ვერ დგებოდა მანამდე, ვიდრე მას მოწინააღმდეგე ტყვედ არ ჩაიგდებდა ხელში. სამაგიეროდ, ასეთი მეომრის დაჭრა, ან მოკვლა ისევე ძნელი საქმე იყო, როგორც მისი ფეხზე წამოდგომა. მუზარადს ან ჩაფხუტს, ფარსა თუ ჯაჭვის პერანგს, შუბი ან მახვილი, მით უფრო ისარი, დიდ ზიანს ვერ აყენებდა.

იმდროინდელი ფეოდალური ბრძოლების დამახასიათებელია შემდეგი ეპიზოდი: 1119 წელს დიდი შეჯახება მოხდა ინგლისელებსა და ფრანგ რაინდებს შორის. ამ გამწვავებულ ბრძოლაში ორივე მხრით ცხრაასი რაინდი მონაწილეობდა. ერთი შეხედვით, მოსალოდნელი იყო, რომ ეს ბრძოლა, რომელმაც დაღამებამდე გასტანა, დიდი მსხვერპლით უნდა დამთავრებულიყო. სინამდვილეში კი, ბრძოლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოკლული იყო მხოლოდ სამი კაცი, ხოლო ტყვედ წაიყვანეს 140. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მხარე გაფაციცებით ცდილობდა ტყვეთა მეტი რაოდენობა ჩაეგდო ხელში იმისათვის, რათა ტყვეთაგან მეტი გამოსასყიდი მიეღოთ.

რაინდული საზოგადოების ყოფა-ცხოვრება. ხშირი ომიანობა და ანარქიულობა რაინდობაში ანვითარებდა უხეშობას, სიმკაცრესა და ვერაგობას, გაშმაგებასა და სხვა მხეცურ ჩვევებს. თავის კოშკში მომწყვდეული რაინდი მოწყვეტილი იყო საზოგადოებრიობას და მტრულად იყო განწყობილი თავისი მეზობლების მიმართ, რის გამოც რაინდობაში განუწყვეტლივ იზრდებოდა ერთი მეორისადმი შუღლი და უნდობლობა. გერმანელი რაინდი—პოეტი ულრიხ ფონ-ლიხტენშტაინი მოგვითხრობს, რომ 1248 წლის 28 აგვისტოს ფრაუნბერგის კოშკში მას ეწვია ორი მისი მეგობარი: პილგერინი კარსიდან (Pilgerin v. Kars) და ვეინოლტი. ულრიხი სტუმრებს საღილით გაუმასპინძლდა. ნასადილევს სტუმრებმა მოითხოვეს შეკარდნებით სანადიროდ წასვლა.

ვიდრე ულრიხის კაცები შეაგროვებდნენ ძაღლებსა და შეკარდნებს სანადიროდ წასასვლელად, სტუმრებმა თვალით ანიშნეს თავიანთ საჭურველთმტვირთველებს, იშიშვლეს მახვილები, მასპინძელს თავს დაესხნენ, შებოჭეს ის, და მისი მოსამსახურენი სახლიდან გაჰ-

ყარეს. მძარცველებმა მთელი ქონება გაიტაცეს და ულრიხი წელიწადი და სამი კვირა ტყვედ ამყოფეს, ვიდრე უკანასკნელმა თავისი თავი არ გამოისყიდა ტყვეობიდან.

იმისათვის, რომ საკაკრო ქარავნებზე, მგზავრებზე და სხვ. მოეწყოთ თავდასხმა, რაინდები სტოვებდნენ თავიანთ კოშკებს და მიდიოდნენ შორეულ მოგზაურობაში. ხანდახან რაინდი რამდენიმე ოვით არ უბრუნდებოდა თავის ადგილსამყოფელს. იგი სახლიდ გარეთ ცეტიალსა და მოგზაურობაში პოულობდა გასართობს. კოშკში დარჩენილი რაინდის ოჯახი წინასწარ შეზიდავდა სურსათ-სანოვაგის მარაგს და ბაგრად ჩაიკეტებოდა, რომ რაინდის უკან დაბრუნებამდე მას ვინმე არ დასხმოდა თავს. რაინდის სახლში დაბრუნების შემდეგ კვლავ იწყებოდა მისი კარჩაკეტილი ცხოვრება და მისი უხეში ჩვეულების უფრო მეტად გამძაფრება. ანარქიულობის პირობებში ფიზიკური ძალა, რომელიც უგულებელყოფდა ყოველგვარ წესებსა და კანონებს, რაინდის სიამაყეს წარმოადგენდა.

მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული რაინდული ზრდილობა და თავაზიანობა. ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული ეგრეთ წოდებული რაინდული სიყვარული. რაინდის მიერ ცოლის შერთვა უმთავრესად შიშველ ანგარიშიანობას ემყარებოდა. თვითეული ფეოდალი თავისი მამულების გაფართოებას ცდილობდა აგრეთვე მდიდარი საცოლეს საშუალებით, რომელსაც მზითევში ძლიერი ფეოდი გაჰყვებოდა. მეორე მხრივ, ფეოდის უზენაესი მფლობელი სიუზერენი ცდილობდა, რომ მისი ფეოდი, რომელიც ქალიშვილის ან ახალგაზრდა ქვრივის მზითვად უნდა ყოფილიყო, არ ჩავარდნოდა ხელში ისეთ პირს, რომელიც სიუზერენისათვის მიუღებელი იქნებოდა. მაშასადამე, გათხოვების საქმეში არც ქალს შეეძლო თავისი სურვილისამებრ გადაედგა ნაბიჯი. მისი გათხოვება ამა თუ იმ პიროვნებაზე წინასწარ სენიორთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. კიდევ კარგი, თუ გასათხოვარ ქალს სენიორი საქმროდ რამდენიმე კანდიდატურას დაუსახელებდა. ხშირ შემთხვევაში იგი ერთზე მიუთითებდა და ქალი ვალდებული იყო სენიორის ნებასურვილს დამორჩილებოდა.

ერთ-ერთ საგმირო თქმულებაში—„Charroi de Nimes" გადმოცემულია, რომ მეფე ეუბნება გილიომს: „ამ დღეებში ერთ-ერთი ჩემი დიდებულთაგანი მოკვდება; თუ გსურთ, მე გაჩუქებთ მის მიწებსა და ცოლს". შემდეგში მეფე დასძენს—თუ გსურთ, აიღეთ მიწა მარკიზ ბერანჟესი, რომელიც ახლახანს გარდაიცვალა, და აიყვანეთ მისი ცოლი მისი ლენით (ფეოდით) ერთად". „ბატონო,—უპასუხებს გილიომი,—თქვენ მოკლე მეხსიერება გქონიათ. გაიხსენეთ

ის დღე, როცა სარკინოზებთან ბრძოლაში თქვენ ცხენიდან ჩამოგაგდეს, და სიკვდილი ის ის იყო თავზე უნდა დაგტეხოდათ. ერთ-ერთმა თქვენმა გრაფმა... გადაგარჩინათ. ეს იყო მარკიზი ბერანჟე, რომლის ცოლიც ახლა თქვენ გინდათ მე გადმომცეთ. მას დარჩა პატარა ვაჟიშვილი. მე მოვკლავ იმ პირველთაგანს, რომელიც ბავშვს დაჩაგრავს".

რაინდის უხეში და ტლანქი დამოკიდებულება ქალზედაც ვრცელდებოდა. რაინდის სახლიდან სადმე წასვლის შემთხვევაში, რომ ცოლს ქმრისათვის არ ეღალატნა, იგი ჩაკეტილი უნდა ყოფილიყო ქმრის დაბრუნებამდე და მასთან არავის მისვლა არ შეეძლო. ქმრის ეჭვიანობა იქამდეც მიდიოდა, რომ რაინდი წასვლის წინ ცოლისათვის სპეციალურ ქამარს დაამზადებინებდა, რომლის გასაღებს თან გაიყოლებდა ხოლმე. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მას ავიწყდებოდა, რომ გასაღების დამამზადებელ ხელოსანს სხვა მსგავსი გასაღების დამზადებაც შეეძლო. სხვა საგმირო თქმულებებში, ქალისადმი დამოკიდებულების საკითხში ვხვდებით შემდეგ დარიგებას: „თუ ქალი გეწინააღმდეგება ან სტყუის, აღიღე შენი მუშტი და პირდაპირ თავში დაჰკარ". ერთ-ერთმა რაინდმა ეს დარიგება გამოიყენა. როცა ცოლმა უსაყვედურა მას ღალატში, მან ცოლს ცხვირში ისე დაარტყა, რომ როგორც ეს თქმულებაშია აღნიშნული, „მას ცხვირიდან სისხლი წასკდა".

რაინდობაში ურთიერთის მიმართ ზრდილობიანი დამოკიდებულება, ქალებისადმი თაყვანისცემა და სხვ. აღმოსავლური ქვეყნების გავლენით მოხდა. მას შემდეგ, რაც ჯვაროსანთა ლაშქრობებმა დასავლეთი აღმოსავლეთს დაუახლოვა და აღმოსავლური კულტურა სხვადასხვა გზით შეიჭრა ევროპაში, რაინდული ყოფა-ცხოვრებაც თავისებურად გარდაიქმნა. შორეულ ქვეყნებში რაინდების ერთობლივმა მოქმედებამ საერთო მტრის წინააღმდეგ, რაინდების წოდებაზე უფრო მეტად შეამჭიდროვა და თუ მანამდე ისინი ერთი მეორეს ხშირად მტრულად ხვდებოდნენ, ახლა საჭირო იყო სოლიდარული დამოკიდებულების დამყარება, ერთი მეორისადმი დახმარების გაწევა და თავაზიანი მოპყრობა, თუმცა ქალებისადმი დამოკიდებულების საკითხში ისინი კვლავ ძველ ტრადიციას მისდევდნენ. რაინდები მხოლოდ უცხო ქალებს აღმერთებდნენ, ხოლო საკუთარ ცოლებს ძველებურად უხეშად ექცეოდნენ.

ყველაზე დიდ ბედნიერებად ითვლებოდა ფეოდალის ოჯახში, თუ რაინდს ვაჟიშვილი გაუჩნდებოდა. მამას ვაჟიშვილის გაჩენა უფრო მეტად უხაროდა იმის გამო, რომ მას მემკვიდრე ეყოლებოდა, რომლის ხელშიაც მამის ლენები (ფეოდები) გადავიდოდა. ეს

კი ამას ნიშნავდა, რომ რაინდის სიკვდილის შემდეგ აღნიშნული მიწები უმაღლეს სიუზერენს (მეფეს, ჰერცოგს, ან გრაფს) უკან აღარ-დაუბრუნდებოდა. ერთ-ერთ საგმირო თქმულებაში გადმოცემულია შემდეგი დიალოგი. ფრამონს, თქმულების გმირს, მახარობელი ეკითხება— ...მესამე დღეს თქვენ ვაჟიშვილი გაგიჩნდათ... ღვთის გულისათვის, გვითხარით რა სახელი გნებავთ, რომ მას უწოდოთ?"— „მისი სახელი ფრამონდინი იქნება", უპასუხებს ფრამონი, „რადგან ჩემს შემდეგ იგი იქნება მემკვიდრე ჩემი მიწებისა". ამის შემდეგ ფრამონი იწვევს ყველა თავის ვასალს და ეუბნება: „გიხაროდეთ და ამიერიდან იყავით დაწყნარებულნი. ის, — სენიორი დაიბადა, რომლის მიმართაც თქვენ იქნებით დავალიანებული თქვენი ფეოდებით, დაბადა ის, ვინც თქვენ მდიდარი ბეწვეულობით დაგასაჩუქრებთ. თხუთმეტი წლის შემდეგ ჩემი შვილი რაინდი გახდება".

ბავშვის, მომავალი რაინდის აღზრდაში დედებს მაინცა და მაინც დიდი შრომა არ მიუძღოდათ. ბავშვებს კვებავდნენ ძიძები. ძიძათა რაოდენობა კი დამოკიდებული იყო ბავშვის დიდგვაროვნობაზე. როცა ბავშვი 12 წლის ასაკს მიაღწევდა იგი უნდა წაეყვანათ მისი მომავალი სენიორის სახლში, სადაც ის 5—7 წლამდე დაჰყოფდა. აქ იგი თავისი სენიორის საჭურველთმტვირთველი უნდა ყოფილიყო და სენიორს ყველგან თან უნდა ხლებოდა. ეს იყო თავისებური სკოლა, სადაც ახალგაზრდას სამხედრო საქმიანობა უნდა შეესწავლა და დროთა განმავლობაში ერთგულების ჩვევები უნდა გამოემუშავნა თავისი სენიორის მიმართ.

ფეოდალის ოჯახში სადილი და მით უფრო წვეულება დიდი ხნით გრძელდებოდა. სტუმართა განლაგება სუფრის გარშემო გარკვეული წესებით წარმოებდა. სუფრის თავში სენიორი და ყველაზე გამოჩენილი პირები უნდა დამსხდარიყვნენ. დანარჩენ ადგილებს კი იკავებდნენ სენიორის ვასალები ისევ და ისევ რანგის მიხედვით. თუ რამდენად უხეში იყო სუფრაზე დამსწრეთა საზოგადოება, ჩანს უფრო გვიანდელი (XII—XIII ს.) დარიგებებიდან. სტუმარმა არ უნდა შეჭამოს პური, ვიდრე პირველ კერძს არ მოიტანენ სუფრაზე. თითები სუფთა და ფრჩხილებდაჭრილი უნდა იქონიონ იმიტომ, რომ ხორცის აღება საერთო თეფშიდან მათ ხელით მოუხდებათ. ჭამის დროს თითებით არ უნდა მოიფხანონ კისერი და არ უნდა ვამოიწმინდონ ცხვირის ნესტოები. გამოხრული ძვლები უკან არ უნდა გადაყარონ და რაც მთავარია—ჭამის დროს ქამრები არ უნდა შეიხსნან. აქედან ნათელი ხდება, თუ როგორნი უნდა ყოფილიყვნენ სტუმრები, რომელნიც ასეთ ელემენტარულ დარიგებას საჭიროებდნენ, მით უფრო, XII — XIII საუკუნეებში.

რაინდობის გართობა უმთავრესად ისეთ ვარჯიშში ვლინდებოდა, რომელსაც სამხედრო ხასიათი ჰქონდა. ასეთი იყო: ნადირობა, ფარიკაობა და ეგრეთ წოდებული ტურნირი. ძნელი ხდება ამ უკანასკნელის წარმოშობის ზუსტი თარიღის დადგენა. შუა საუკუნეების ჟამთაღმწერელნი ზოგჯერ ტურნირის გამოგონებას ეოფრუა დე-პრელს მიაწერენ, რომელიც 1066 წელს გარდაიცვალა. მაგრამ დიუკანჟმა დაამტკიცა, რომ ტურნირის შემოღება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. თავდაპირველად იგი საფრანგეთში გაჩნდა, ხოლო შემდეგში გავრცელდა ინგლისსა და გერმანიაში. ტურნირის განვითარების პირველ ეტაპს რაინდების ორი ჯგუფის სამაგალითო ბრძოლა წარმოადგენდა. დროთა მსვლელობაში უფრო ხშირად ორთა ბრძოლა (joute) გახდა იმ სანახაობად, რომელიც ფეოდალ მაყურებელს ასე ძლიერ აღელვებდა.

ტურნირის მოწყობის წინ, რამდენიმე დღით ადრე, იწვევდნენ მაყურებელს 100—130 კილომეტრის ფარგლებში; იქ, სადაც ტურნირი უნდა მოწყობილიყო, თვალსაჩინო ადგილას სახელდახელო სავარძლებს აწყობდნენ ქალებისა და მსაჯებისათვის. ტურნირის მიდამოებში სტუმრად მოსულ რაინდებისათვის სდგამდნენ კარვებს, ხოლო ქალაქი, რომელიც ტურნირით სანახაობას აწყობდა. მორთული იყო მოსული რაინდების დროშებით. ვიდრე ორთა შერკინება დაიწყებოდა, მაყურებელთ აცნობდნენ საჯირითო მოედნებზე გამოსულ რაინდის სახელსა და გვარს. ორთა შორის ბრძოლა წარმოებდა გარკვეული წესების მიხედვით. ამ წესების დაცვას თვალყურს ადევნებდნენ მსაჯები. მარცხდებოდა ის, ვინც ამ ბრძოლაში ცხენიდან იქნებოდა გადმოგდებული.

მიუხედავად საბრძოლო წესების დაცვისა და მიუხედავად იმისა, რომ შემდეგში, ტურნირის დროს, ჩვეულებად საბრძოლო იარაღის (მახვილისა და შუბის) დაბლაგვება შემოიღეს, რათა ერთი მეორისათვის დიდი ზიანი არ მიეყენებინათ, ასეთი შერკინების შედეგი ხშირად დიდი მსხვერპლის გაღებით თავდებოდა. დასავლეთ ევროპაში, მიუხედავად ამისა, ტურნირების მოწყობა დიდხანს გრძელდებოდა. ტურნირების მოწყობა აიკრძალა მხოლოდ XVI საუკუნიდან.

თავი II

საფრანგეთი X—XI საუკუნეებში

ვერდენის 843 წლის ხელშეკრულების მნიშვნელობა და შედეგები. როგორც ცნობილია, ვერდენის ხელშეკრულების შედეგად ფრანკთა მონარქია დაიშალა. ფრანკთა მონარქიის მნიშვნელობის შესახებ ენგელსი წერდა: „... რა რიგ უნაყოფოდაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ეს ოთხასი წელიწადი მან ერთი დიდი ნაყოფი მაინც დაგვიტოვა: თანამედროვე ერები, დასავლეთ ევროპის კაცობრიობის ვარდაქმნა და დანაწილება მომავალი ისტორიისათვის"[1].

ფრანკთა მონარქია ვერდენის ხელშეკრულებამდეც ხშირად ნაწილდებოდა. მაგრამ ფრანკთა სამეფოს მთლიანობა კვლავ აღდგენილა ხოლმე, ვიდრე ფრანკთა მონარქიის შიგნით თანდათან არ მომწიფდებოდა პირობები ცალკეული ხალხების შემდგომი ჩამოყალიბებისათვის. ამ მხრივ ძალზე დამახასიათებელია ეგრეთ წოდებული „სტრასბურგის ფიცი", რომელიც ძმებს-ლუდოვიკო გერმანელსა და კარლოსს შორის 842 წელს დაიდო. ეს ფიცი ორ ენაზე იქნა წარმოთქმული: „რომანულზე" (ლათინური ენა, რომელიც შერეული იყო ბარბაროსულ გამოთქმებთან და ასეთი სახით ათვისებული ფრანკების მიერ) და გერმანულ ენაზე, რომელზედაც რაინის მიღმა მყოფი გერმანელი ტომები ლაპარაკობდნენ. ორ ენაზე ფიცის წარმოთქმა უკვე იმას ნიშნავდა, რომ მოპირდაპირე მხარეებს ერთი მეორისა აღარ ესმოდათ.

ასეთ პირობებში სხვადასხვა ხალხებად დანაწილებული სამეფოს ხელახალი აღდგენა მთელ რიგ სიძნელეებს ეღობებოდა, მით უფრო,

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. 1938, გვ. 157—158.

რომ სამეფოს ცალკეული ნაწილების ეკონომიური მდგომარეობა სხვადასხვა იყო. ფრანკთა მონარქიის გაერთიანების უკანასკნელ ცდას ადგილი ჰქონდა 880—887 წლებში, მაგრამ მარცხით დამთავრდა და არავითარი ნაყოფი მან არ გამოიღო. ამგვარად, დაწყებული 843 წლიდან, ფრანკთა მონარქიის ნანგრევებზე სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიშვა: საფრანგეთი, გერმანია და იტალია.

მეათე საუკუნისათვის, ეგრეთ წოდებული დასავლეთი ფრანკების (შემდეგში—საფრანგეთის) სამეფოში ორი მონათესავე ხალხი ჩამოყალიბდა, რომელნიც რომანული ენების სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობდნენ. საფრანგეთის ჩრდილო ნაწილის მოსახლეობა, ბრეტანის გამოკლებით, მისთვის ჩვეული ძველი ფრანგული ენის ნორმანდიულ, პიკარდიულ და სხვ. დიალექტებზე ლაპარაკობდა. სამხრეთი საფრანგეთი დასახლებული იყო ფრანგი ან პროვანსელი ხალხით, რომელიც ლიმუზენურ, გასკონურ, ლანგედოკურ და სხვ. დიალექტზე ლაპარაკობდა. ამ ხალხთა ბუნებრივი შერწყმის პროცესი ერთ დროს შეჩერებულ იქნა ასწლიანი ომის წამოწყებით ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ხოლო XV საუკუნის მეორე ნახევარში იგი საბოლოოდ დამთავრდა.

ოთხასი დროვეთათვის ვერდენის ხელშეკრულების შედეგად ფრანკთა მონარქიის დანაწილება თითქოს არ წარმოადგენდა იმპერიის საბოლოო განაწილებას, რადგან სამივე ნაწილს ჯერ კიდევ კაროლინგთა დინასტიის წარმომადგენელნი განაგებდნენ. გარდა ამისა, სახელწოდება „გერმანია“ ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული ხმარებაში. ყველა იმ ოლქებს, რომელნიც შემდეგში გერმანიის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ „აღმოსავლეთ-საფრანგეთი“, ე. ი. ფრანკების აღმოსავლეთი მიწები ეწოდებოდათ ისე, როგორც რაინის დასავლეთით მდებარე მიწებს — „დასავლეთ-საფრანგეთი“.

იმპერიის მთლიანობის შთაბეჭდილებას მაშინ ჰქმნიდა თითქოს ის გარემოებაც, რომ ფრანკთა მონარქიის განაწილებისას ჩვეულებრივ კაროლინგთა შთამომავლობიდან უფროს ძმას უნდა დამორჩილებოდნენ უმცროსები. მაგალითად: ლუდოვიკო „ღვთისმოსავმა“ (814—840) ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში 817 წელს სამეფო თავის შვილებს გაუნაწილა. პიპინმა აქვიტანიის მიწები მიიღო გალიის შუა და სამხრეთ ნაწილში. მეორე შვილს ლუდოვიკოს, შემდეგში გერმანელად წოდებულს, წილად ხვდა ბავარია თავისი მომიჯნავე მარკებით (სამხედრო ოლქებით), ხოლო უფროსი შვილი, ლოტარი მამის მემკვიდრედ და თანამმართველად გამოცხადდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ უმცროსი ძმები ლოტარს უნდა დამორჩილებოდნენ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ დანაწილების (რომელიც საშეფოს მთლიანობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად) წინააღმდეგი იყვნენ სეპარატულად განწყობილი ის მაგნატები, რომელნიც უმცროსი ძმების პიპინისა და ლუდოვიკოს სამფლობელოში ცხოვრობდნენ. მათი წინააღმდეგობის შედეგად 823 წელს მოხდა იმპერიის ხელახალი გადანაწილება. ამჯერად ლოტარს თავისი წილის გარდა შერჩა მხოლოდ ტიტული. მისი ძალა-უფლება ძმების სამფლობელოებზე აღარ ვრცელდებოდა. მაშასადამე, ლუდოვიკოსა და პიპინის სამფლობელოები სავსებით დამოუკიდებლად ცხადდებოდა. ზემოხსენებული ხელახალი გადანაწილების საბაბად გახდა ის გარემოება, რომ ლუდოვიკო ღვთისმოსავს ამ დროისათვის გაუჩნდა კიდევ ერთი შვილი კარლოსი. შემდეგში კარლოს მელოტად წოდებული, რომლისთვისაც ცალკე იქნა გამოყოფილი საუფლისწულო.

ლუდოვიკო ღვთისმოსავის გარდაცვალების შემდეგ ხელახლა დაიწყო გამძაფრებული ბრძოლები ძმათა შორის. უფრო სწორად, ეს იყო ბრძოლები არა ძმებს შორის, არამედ მათ ურთიერთ წამქეზებელ მაგნატების ორ დაჯგუფებას შორის; ერთნი გამოდიოდნენ იმპერიის მთლიანობის დამცველად, მეორენი თავიანთი ხალხების დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. იმპერატორი ლოტარი, რომელიც ფაქტიურად განაგებდა მხოლოდ იტალიას, ჰელვეციას, პროვანსსა და ბელგიური გალიის პატარა ნაწილს, შემდეგი სიტყვებით მიმართავდა თავის ძმებს: „იცოდეთ, რომ იმპერატორის ტიტული მე უმაღლესი ხელისუფლებისაგან მომენიჭა და შეიგნეთ, თუ ხელისუფლების როგორი ფარგლები და როგორი ბრწყინვალება შეეფერება ამგვარ ტიტულს“[1].

ლოტარის ასეთი მიმართვა ფაქტიურად ცდა იყო იმისა, რათა დაეთრგუნათ ხალხთა ლტოლვა დამოუკიდებლობისადმი. იმპერატორს სურდა თავისი ძმების დამორჩილებით ახლად ჩამოყალიბებული ხალხები მმართველობის ძველი სისტემისათვის. ე. ი. გაერთიანებული მონარქიისათვის დაექვემდებარებინა. ბუნებრივია, რომ ლოტარის ამ საქციელმა აღაშფოთა ტევტონები და გალები (ველშები და ტეიცკები), რომელთაც მტკიცედ გადაწყვიტეს წინააღმდეგობა გაეწიათ კარლოს დიდის მიერ შექმნილი პოლიტიკური სისტემისათვის. თუმცა ისინი უკვე სხვადასხვა ხალხებს წარმოადგენდნენ, საერთო მტრის წინააღმდეგ მჭიდროდ გაერთიანდნენ და იწყეს ბრძოლა ლოტარის წინააღმდეგ.

---

[1] Огюстен Тьерри, Избранные сочинения, გამოც. 1937 წ., გვ. 236.

ცნობილი ბრძოლა მოწინააღმდეგეთა შორის ფონტენუაში, ოსკერთან ახლოს გაიმართა. კარლოს დიდის დროინდელი პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ მოკავშირეთა მიერ აღფრთოვანებული ბრძოლისათვის მზადება თანამედროვეთათვის აშკარად ხდიდა იმას, რომ ეს ბრძოლა იყო არა მარტო დინასტიური, არამედ უფრო მეტი— ბრძოლა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ეს მოკავშირე ორი სხვადასხვა ხალხი თუ კარლოს დიდის წაქეზებით ოდესღაც ერთი მეორის წინააღმდეგ გაშმაგებულად იბრძოდა. ახლა საერთო მიზნის გარშემო მჭიდროდ დაირაზმა და ლოტარის შეიარაღებული ძალები ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა.

ამ ხალხთა სოლიდარობა მკაფიოდ გამოვლინდა მტრის დამარცხების შემდეგ მოწყობილ გართობებში. პირველად საქსებმა, გასკონელებმა, ავსტრაზიელებმა და ბრეტონელებმა მოაწყეს შეჯიბრი რბენაში... და სხვადასხვა ხალხთა ასეთ დიდ მასაში არც ერთი არ ბედავდა ვისმესათვის რაიმე შეურაცყოფის მიყენებას ან ფიზიკური შეხებით, ან ლანძღვა-გინებით. ერთ-ერთი თანამედროვის თქმით.— „ეს იყო სანახაობა, რომელიც თავისი ჩინებულებითა და აქ დამყარებული წესრიგით ყურადღების ღირსი იყო. გართობათა ჩატარების შემდეგ ასეთ ვეებერთელა ბრბოში, სხვადასხვა წარმოშობის მქონე ადამიანთა შორის არ აღმოჩნდნენ არც დაჭრილები, არც შეურაცყოფილნი, რაც იშვიათი გარემოებაა იქაც კი. სადაც (პროფესიონალური) სამხედრო პირები მცირე რაოდენობით თავს იყრიან შეჯიბრების მოსაწყობად და ერთი მეორის მახლობელნი არიან“[1].

ყველა ზეპოთქმულით უნდა ავხსნა ის გარემოება, რომ ვერდენის 843 წლის ხელშეკრულებით ფრანკთა იმპერიის განაწილებას ძირითადად ეთნიკური პრინციპი დაედო. ამ განაწილებაში მონაწილეობას ღებულობდა 110 კაცი. როგორც ცნობილია, მთლიანად გალიის ის ნაწილი, რომელიც მდინარეების: შელდას, მაასის, სენასა და რონას დასავლეთით მდებარეობდა. ჩრდილო-ესპანეთის ჩათვლით მდინარე ებრომდე. წილად ხვდა კარლოს მელოტს. მიწები, რომელნიც მდებარეობდნენ მდინარე რაინისა და ალპების გასწვრივ და რომლებშიაც უმთავრესად გავრცელებული იყო გერმანული ენა, ლუდოვიკო გერმანელს მიეკუთვნა. მხოლოდ ლოტარის წილი, რომელიც შედგებოდა იტალიისაგან და გალიის აღმოსავლეთ ნაწილისაგან ხელოვნურად შეკოწიწებულ ერთეულს წარმოადგენდა. სამ-

[1] ტიერის აღნიშნული შრომა, გვ. 241.

ოთხ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა იყრიდა თავს. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში ფრანკთა ყოფილი მონარქიის პირველი ორი ნაწილი უფრო ცხოველმყოფელური აღმოჩნდა, ხოლო მესამე ბალე დაიშალა.

ცდები ფრანკთა იმპერიის ხელახალი აღდგენისა. ამგვარად, ცალკე საფრანგეთის, გერმანიის და სხვ. ისტორია იწყება მხოლოდ ვერდენის 843 წლ. ხელშეკრულებიდან და გერმანელი ფაშისტი „ოკვლევარების" მტკიცება-ომის შესახებ, თითქოს გერმანიის სახელმწიფოს არსებობა ორი ათასი წლით უნდა განისაზღვროს, სულ რომ არა იყოს, რა, ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციას წარმოადგენს. გერმანიის სახელმწიფოს პირველ მეფედ პირობით თუ შეიძლება ჩაითვალოს ლუდოვიკო გერმანელი ისე, როგორც საფრანგეთის პირველ მეფედ კარლოს მელოტი (840—877).

კარლოს მელოტი თავიდანვე მიისწრაფოდა იმპერიის ხელახალი აღდგენისაკენ, მაგრამ მისი ცდები ქვეყნის შემდგომი ფეოდალიზაციის გამო მარცხით თავდებოდა. მსხვილი ფეოდალები ცდილობდნენ ყველაფრის ბატონ-პატრონი გამხდარიყვნენ და სამეფო ხელისუფლებისაგან თავიანთი განდგომით ცენტრალურ ხელისუფლებას აუსტებდნენ. 847 წელს გამოცემული ეგრეთ წოდებული მერსენის კაპიტულარიით კარლოს მელოტი იძულებული იყო მსხვილი ფეოდალებისადმი მნიშვნელოვან დათმობაზე წასულიყო.

მიუხედავად ამისა, კარლოსმა გადაწყვიტა დაემორჩილებინა ალბის ჩრდილოეთ-საფრანგეთი რომის პაპის დახმარებით. ამ მიზნით მან 875 წელს იტალიაში მოაწყო ლაშქრობა და კიდევაც მიაღწია რომის პაპისაგან იმპერატორისა და იტალიის მეფის ტიტულის მიღებას. მაგრამ რეალური ძალა-უფლება მას არ ჰქონდა. მის მიერ 876 წ. ჩატარებული ცდა აღმოსავლეთ ნაწილის ძალით შემოერთებისა, სრული მარცხით დამთავრდა. სამეფოს შინაური ვითარება კვლავ რთულდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ კარლოს მელოტი ხელახლა იძულებული გახდა მსხვილ ფეოდალებისადმი დაბეგებით დათმობაზე წასულიყო.

877 წელს გამოცემულ იქნა ეგრეთ წოდებული კერსის კაპიტულარი, რომლის მიხედვითაც გრაფების დამოუკიდებლობა უფრო მეტად განმტკიცდა. თუ მანამდე გრაფები ფაქტიურად იყვნენ სასამართლოების თავჯდომარეები და სამხედრო ხელმძღვანელები თავიანთ ოლქებში, ამიერიდან ისინი გახდნენ ამ ოლქების სრული ბატონ-პატრონნი და მოხელეებიდან ერთგვარ პატარა მეფეებად გა-

დაიქცნენ თავიანთ სამფლობელოებში. მეცხრე საუკუნის ბოლოსათვის გრაფობა ეთლი ნად სამემკვიდრეოდ გადაიქცა და ასე ჩაეყარა საფუძველი „გვიანდელ მფლობელ მთავართა ტერიტორიალურ სუვერენიტეტს“[1].

რაც დრო გადიოდა, მსხვილი ფეოდალების მომძლავრების გამო კარლოსის ხელისუფლება მით უფრო სუსტდებოდა. ამას დაემატა ის გარემოებაც, რომ კარლოსის მოკავშირე რომის პაპის იოანე მერვის მდგომარეობა მეტის�eვი ალმოჩნდა. პაპის სამფლობელოებზე გახშირდა ბერძნებისა და არაბების თავდასხმები. პაპმა დახმარებისათვის კარლოს მელოტს მიმართა. 877 წელს უკანასკნელმა მეორე ლაშქრობა მოაწყო იტალიაში, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო, რადგან მას აცნობეს ბავარიის მეფის, კარლომანის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ კარლოსის სამეფოზე. იტალიიდან უკან გამობრუნებისას იგი 877 წლის ოქტომბერში გზაზე გარდაიცვალა.

ვიდრე კაროლინგების დინასტია გაბატონებული იყო ყოფილი ფრანკთა იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში, სახელმწიფოს მთლიანობის აღდგენის ცდები თითქოს არ წყდებოდა. კარლოს III („სქელი“) მეფობის დროს ერთ ხანს კიდევაც შესაძლებელი გახდა კარლოს დიდის მონარქიის აღდგენა. 881 წლიდან ვიდრე 887 წლამდე კარლოს მესამე ფრანკების იმპერატორად ითვლებოდა. მაგრამ „იმპერიის მთლიანობის აღდგენას რეალური მნიშვნელობა არ ჰქონებია — სინამდვილეში კაროლინგებს ნომინალური უზენაესობა შერჩათ“[2].

კარლოს მესამის დროსაც გრძელდებოდა მსხვილი მიწათმფლობელებისა და ადგილობრივი მაგნატების მომძლავრება, რაც ასუსტებდა არა მარტო სამეფო ხელისუფლებას, არამედ გარეშე მტრებისაგან ქვეყნის დაცვასაც. ასეთ პირობებში „ძველი სამხედრო წყობის შემდგომი შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ჯარის შეიარაღება და მისი შენახვა სახელმწიფო ხარჯზე ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა“[3] ნატურალური მეურნეობის იმ ეპოქაში, რომელიც თითქმის სრულიად არ იცნობდა არც ვაჭრობას, არც ფულს. სამხედრო საქმე ახლა ძირითადად მსხვილი ფეოდალებისა და მათი შეიარაღებული ძალების ხელში გადავიდა. მეფის მიერ თავისუფალი ფრანკებისაგან შემდგარი ლაშქრის ნაცვლად გაჩნდა ისეთი ჯა-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XVI, ნაწ. I, გვ. 409.
[2] Архив Маркса и Энгельса. т. V. 1938 წ., გვ. 45.
[3] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XVI, ნაწ. I, გვ. 409.

ჯი. რომელიც მსხვილი ფეოდალის მსახურთაგან შედგებოდა. ამის უშუალო შედეგი იყო ჯარის რაოდენობის მკაცრი შემცირება.

დასავლეთ ევროპის პოლიტიკური დაქუცმაცება, რასაც ძალზე ხელს უწყობდა სათავადოების შემოღება, თავის მხრივ შეიარაღებული ძალების დეცენტრალიზაციას იწვევდა. სენიორის ლაშქარი დამოუკიდებელ პატარა ერთეულად გადაიქცა, რომელსაც უფრო შინაბრძოლებისათვის იყენებდნენ. ლაშქრობაში ყოფნის ვადა წელიწადში განსაზღვრული იყო 40 დღით. ამ ვადის დამთავრებისას ვასალი სტოვებდა თავის სენიორს მაშინაც კი, როცა გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა. ასეთ პირობებში ზედმეტი იყო ლაპარაკი ჯარების ცენტრალიზაციაზე და 'სამხედრო დისციპლინაზე'. ბუნებრივია, რომ ასეთი ჯარი ხშირად გარეშე მტრებთან ბრძოლაში დაზარცხებული გამოდიოდა.

მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში ევროპა დიდ საგარეო გართულებებს განიცდიდა. აღმოსავლეთ ევროპის ნაწილს ერთ დროს შემოუტიეს სლავებმა და უნგრელებმა. ამავე დროს იტალიის სამხრეთ ნაწილსა და საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს არაბები, ან როგორც მათ დასავლეთში უწოდებდნენ—სარაცინები არბევდნენ. ისინი ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ აფრიკიდან და სიცილიიდან. შიგნით გალიაში იწყებოდა აკვიტანელებისა და ბრეტანელების აჯანყებანი. გაცილებით უფრო ადრე, დაახლოებით 800 წლიდან, ევროპაში იწყება ნორმანების განუწყვეტელი თარეში, რომლის გამანადგურებელი შედეგი უფრო მეტად საფრანგეთმა გადაიტანა.

ნორმანები და მათი თარეში ევროპაში. ევროპის მატერიკის ჩრდილოეთი ნაწილი, დაახლოებით თანამედროვე სახელმწიფოების: ნორვეგიის, შვეციის და დანიის ტერიტორია, ე. ი. სკანდინავიის ნახევარკუნძული და იუტლანდია ადრევე დასახლებული იყო ნორმანებით. ეს სახელწოდება წარმომდგარია სკანდინავური გამოთქმიდან „northman", რაც ჩრდილოეთის კაცს ნიშნავს.

ნორმანებით დასახლებული ტერიტორია შვეციის გამოკლებით მთა-გორიან ადგილებს წარმოადგენდა. იგი დასერილი იყო მდინარეებით და მისი ნაპირები ბევრ ადგილას შეჭრილი იყო ზღვით, რაც ხელს უწყობდა ნაოსნობის განვითარებას. მუდმივი თოვლით დაფარული მთები და მზის სხივების სიმკრთალე არ იძლეოდა ხორბლის მოყვანის შესაძლებლობას. ასეთ ვითარებაში მომრავლებული მოსახლეობის გამოკვება სკანდინავიას არ შეეძლო. ხშირი მოუ-

---

[1] Е. А. Разин, История военного искусства, ტ. II, გვ. 166.

საკლიანობითა და შიმშილით იძულებული ნორმანები თავიანთი არსებობის საშუალებას სხვა ქვეყნებში ეძებდნენ.

მათი საწარმოო ძალებისა და საერთო განვითარების დონე მეტად ჩამორჩენილი იყო. ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში ისინი პირველყოფილ თემურ წყობილებაში იმყოფებოდნენ. კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ე. ი. მაშინ, როცა დაიწყო გვარის წევრთა მასობრივი გაღატაკება, სკანდინავიაში ცხოვრება აუტანელი გახდა. მართალია, ნორმანები მისდევდნენ მეთევზეობას და ვაჭრობას, მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას.

შუა საუკუნეების ქამთაღმწერელნი გადმოგვცემენ, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ახალგაზრდობა ჯგუფ-ჯგუფად სტოვებდა სამშობლოს და შორეულ ქვეყნებში მიდიოდა ბედის საძიებლად. უფრო მეტიც — სკანდინავიაში ჩვეულებად გადაიქცა ოსტრაკიზმი, რომელიც ძველ საბერძნეთში შემოღებული ანალოგიური წესისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ „კენჭის ამოღების" დროს, ვისაც წილად შეხვდებოდა უცხოეთში წასვლა, დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა სამშობლო მხარე და შედგომოდა საზღვაო მოგზაურობას.

მერვე საუკუნის დასასრულს თემური წყობილების რღვევის შედეგად გამოყოფილმა გვაროვნულმა არისტოკრატიამ წამოიწყო ნახევრად მძარცველური, ნახევრად სავაჭრო ხასიათის ექსპედიციები უცხო ქვეყნებში. ამ ექსპედიციებში მან უმთავრესად ჩააბა თავისი თანამემამულენი, რომელნიც კერძო საკუთრების აღმოცენების შედეგად გაღატაკებულნი აღმოჩნდნენ. თავდაპირველად (მეცხრე საუკუნის შუალედამდე) ეს ექსპედიციები მიზნად ისახავდნენ სამხედრო ნადავლისა და მონების ხელში ჩაგდებას და მათ გაყიდვას სხვადასხვა სახელმწიფოში. ნორმანელი მოლაშქრეები ასი და უფრო მეტი კაცის რაოდენობით, ეგრეთწოდებულ ვიკინგის მეთაურობით აწყობდნენ შორეულ მგზავრობას ჩრდილოეთსა და ბალტიის ზღვებზე, ატლანტის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვაზე.

ნორმანები თარეშობდნენ სხვადასხვა მიმართულებით. დანიელები და ნორვეგიელები უფრო მეტად ილტვოდნენ დასავლეთისაკენ. მეცხრე საუკუნის დასაწყისისათვის ისინი ხშირი სტუმრები იყვნენ ინგლისის, ირლანდიისა და საფრანგეთისა. ნორვეგიელები ღრმად იჭრებოდნენ სენას, ლუარასა და გარონას მიდამოებში, ხოლო აქედან პირენეის მიღმაც გადადიოდნენ. მალე ისლანდია და გრენლანდია მათი კოლონიებით დაიფარა. არქეოლოგიური განათხ-

ლების შედეგად დასტურდება. რომ დაახლოებით 1000 წლისათვის ჩრდ. ამერიკის ჩრდილო სანაპიროებსაც კი მიაღწიეს.

აღმოსავლეთის ნორმანები (შვედები) კი მიილტვოდნენ უფრო ბიზანტიისაკენ და რუსეთისაკენ. რუსეთში ისინი ცნობილნი იყვნენ ვარიაგების სახელწოდებით. ისინი გადიოდნენ ვოლგაზე და კასპიის ზღვის სანაპიროებზე, სადაც არაბებთან აწარმოებდნენ ნადავლით ვაჭრობას. რუსეთში ისინი მეორე მიმართულებითაც მიდიოდნენ — დნეპრით შავი ზღვისაკენ. ამ მიმართულებით ისინი კონსტანტინეპოლში ჩადიოდნენ. სადაც გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ. ხშირად ისინი დაქირავებულ რაზმებად მსახურობდნენ ბიზანტიის ჯარებში და რუს მთავრებთან. იმ დროს, როცა რუსი მთავრები, უმრავლეს შემთხვევაში, ახერხებდნენ ვარიაგების თავდასხმათა უკუგდებას, ფეოდალურ ევროპას ამის უნარი არ შესწევდა და იქაური მეფეები ფულით იცილებდნენ ნორმანების რბევას.

ნორმანების თავდასხმები ევროპაზე მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში ახალ ფაზაში გადადის. ახლა ისინი აღარ კმაყოფილდებიან რომელიმე კუთხის ძარცვა-რბევით. გარკვეული დროის განმავლობაში ხეტიალით ნორმანები გაეცვნენ უფრო მაღალ კულტურას და იწყეს მათ მიერ დაპყრობილ ადგილებში მუდმივი დასახლება. დაბინადრება. მაგალითად, მეცხრე საუკუნეში დანიელებმა დაიპყრეს ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, მათ ქრისტიანული სარწმუნოება მიიღეს და მუდმივად დასახლდნენ ამ ადგილებში. მეთერთმეტე საუკუნის ბოლოსათვის ნორმანებმა მთლიანად დაიპყრეს სამხრეთ-იტალია და სიცილია და აქ დააარსეს თავიანთი სახელმწიფო — სიცილიის სამეფოს სახელწოდებით. 1066 წელს ნორმანდიელებმა ვილჰელმ დამპყრობელის მეთაურობით დაიპყრეს მთელი ინგლისი და ა. შ.

ნორმანების თავდასხმები საფრანგეთზე. ლუდოვიკო „ღვთისმოსავის" გარდაცვალების შემდეგ, როცა მისი შვილების ურთიერთ ბრძოლების შედეგად ფრანკთა მონარქია რამდენიმე დამოუკიდებელ სამეფოდ დანაწილდა, ნორმანების თავდასხმები ყველაზე უფრო მეტად საფრანგეთმა განიცადა. საფრანგეთის მეფე კარლოს მელტი სრულებით უმწეო აღმოჩნდა. იგი ვერ ბედავდა ნორმანებისათვის რაიმე წინააღმდეგობის გაწევას და დიდი თანხების გაღებით ნორმანების ძარცვა-რბევას თავიდან იშორებდა. ნორმანები. ღებულობდნენ რა მეფისაგან თანხებს, მართალია, თავს ანებებდნენ მიზანში ამოღებული ადგილის დარბევას, მაგრამ მცირე დროის განვლის შემდეგ ისინი სამეფოს სხვა ნაწილში გამოჩნდებოდნენ და აწიოკებდნენ მას.

საფრანგეთში ყველაზე უფრო საშინელი მდგომარეობა იყო მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა აქ კვლავ შემოიჭრნენ ნორმანები ვინმე ჰასტინგის ხელმძღვანელობით. ამჯერად ისინი მდინარე ლუარას შესართავიდან დაიძვრნენ და ამ მდინარის კალაპოტით მთელი ქვეყანა აოხრეს. ქალაქი ნანტი მთლიანად გაანადგურეს და ცეცხლს მისცეს. დაარბიეს მდინარე გარონის მიდამოებიც. შემდეგში ჰასტინგის მეკობრეები მდინარე სენით გაეშურნენ პარიზისაკენ. ამ დროს კარლოს მელოტი თავისი ჯარებით სენ-დენის მიდამოებში იყო დაბანაკებული და ვერ ბედავდა ბრისხანე მტრის წინააღმდეგ გალაშქრებას. ამასობაში ჰასტინგის ლაშქარში გადამდები სენი გაჩნდა და ამით კარლოს მელოტს შესაძლებლობა მიეცა 7000 გირვ. ვერცხლის გაღებით ზავი დაედო ჰასტინგთან.

ჰასტინგი ამის შემდეგაც არ სცილდებოდა საფრანგეთის ტერიტორიას. სკანდინავიიდან დამატებითი ძალების შემოერთების შედეგად იგი თავს ეუხმოდა სამეფოს ხან ერთ, ხან მეორე ნაწილს. მოხუცებულობისას ჰასტინგმა გადასწყვიტა თავი მიეძღვნა ბერობისა ძარცვა-რბევისათვის. ქრისტიანული სარწმუნოების მიღების შემდეგ კარლოს მელოტს შარტრის საგრაფო ჩამოართვა და „მშვიდობიან“ ფეოდალურ ბარონად გადაიქცა.

არა ნაკლებ მწვავე იყო ნორმანების თავდასხმები საფრანგეთზე კარლოს მესამის (სქელის) მეფობის დროს. ნორმანების უაძრავი ხროვა კვლავ დაიძრა მდინარე სენასაკენ და 885 წელს მიადგა ქალაქ პარიზს. კარლოს მესამე, რომელმაც ამ დროისათვის გააერთიანა კარლოს დიდის იმპერია და მიიღო იმპერატორის ტიტული, ყოვლად უმსგავსო ადამიანს წარმოადგენდა. იგი უფრო მეტად ბერთული იყო სასახლის ინტრიგებით. აღსანიშნავია, რომ მას განუწყვეტელი თავის ტკივილი ჰქონდა, რასაც ის სიგიჟემდე მიჰყავდა. კარლოსი არ ღებულობდა სათანადო ღონისძიებებს შემოსეული მტრის წინააღმდეგ, რისთვისაც პარიზს საკუთარი ძალებით მოუხდა თავის დაცვა ნორმანებისაგან. პარიზის დაცვას გრაფი ედი ხელმძღვანელობდა. პარიზს ნორმანებმა ალყა შემოარტყეს და ათი თვის განმავლობაში იერიშები მიჰქონდათ. ბოლოს, როგორც იქნა, იმპერატორის ჯარები გამოჩნდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კარლოს მესამემ ვერ გაბედა ნორმანებთან პირდაპირი შებმა და არჩია ფულით გამოსყიდვა. ფულის მიღების შემდეგ ნორმანებმა პარიზს ალყა მოხსნეს.

ნორმანების თავდასხმები საფრანგეთზე შემდეგშიაც გრძელდებოდა. მეათე საუკუნის დასაწყისისათვის თავდასხმები გახშირდა

და მან იმდენად ფართო ხასიათი ჰქონდა, რომ მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გაწევა სრულიად შეუძლებელი გახდა. ამ ხანას უნდა მიეკუთვნოს ეკლესიებში შემდეგი ლოცვის შემოღება: „ღმერთო, გვიხსენი ნორმანების გააფთრებისაგან!". გახშირებული შემოსევების შედეგად 911 წელს საფრანგეთის მეფე კარლოს „მიამიტმა" (898—923) ნორმანების ხელმძღვანელს როლონს. სენას შესართავთან დაუთმო ტერიტორია, რომელზედაც წარმოიშვა ნორმანდიის სამემკვიდრეო საჰერცოგო. ნორმანებმა მიიღეს ქრისტიანობა და სცნეს ვასალური დამოკიდებულება საფრანგეთის მეფეთაგან.

კაროლინგების საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელნი საფრანგეთში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფრანკთა მონარქია სხვადასხვა ნაწილად დაიყო. თვითეული ნაწილი შემდეგში ცალკე დამოუკიდებელ სამეფოდ იქცა. მიუხედავად ამისა, ამ სამეფოებში 843 წლის (ვერდენის) ხელშეკრულების შემდეგაც ერთ ხანად ძველი, კაროლინგების დინასტია განაგებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ სამეფოებში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა არ უჭერდა მხარს კაროლინგებია წარმომადგენლებს. ამ გარემოებამ აშკარად თავი იჩინა ჯერ კიდევ კარლოს მესამის მეფობაში. პარიზის ამბებიდან ერთი წელიც კი არ იყო გასული, რომ დიდებულებმა კარლოს მესამე ტახტიდან ჩამოაგდეს.

თანახმად არსებული წესებისა, სამეფო ტახტზე კაროლინგების უკანასკნელი წარმომადგენელი მცირეწლოვანი კარლოსი (შემდეგში „მიამიტად" წოდებული) უნდა ასულიყო, მაგრამ მის ნაცვლად ფრანგებმა პარიზის დაცვის გმირი გრაფი ედი აირჩიეს საფრანგეთის მეფედ. მართალია, ედი წარმოშობით ფრანგი არ იყო, მაგრამ ფრანგებმა ის არჩიეს კაროლინგთა დინასტიის წარმომადგენლებს, ოადგან ეს დინასტია მათ საფრანგეთის დამოუკიდებლობის მტრად მიაჩნდათ. საჭირო იყო ერთხელ და სამუდამოდ ფრანკთა იმპერიის ნაშთებისაგან სრული გამიჯვნა.

კარლოს „მიამიტმა" მალე დაამტკიცა თავისი უღირსობა პოლიტიკურ მართვა-გამგებლობის საქმეში. როცა ის დარწმუნდა თავის უძლურებაში, გერმანიის მეფის, არნულფის მფარველობაში შევიდა. „უმწეო აღმოჩნდა რა ედის ძლიერების წინაშე,—ამბობს ძველი ისტორიკოსი,—მან ქედმოხრილად იწყო მეფე არნულფის მფარველობის ძიება. ქალაქ ვორმსში მოწვეული იყო საჯარო კრება. კარლოსი იქ მივიდა და არნულფს მიართვა რა მდიდარი საჩუქრები, მისგან სამეფო ძალაუფლება მიიღო, რის შემდეგ თავის თავს მეფეს უწოდებდა"[1].

[1] ო. ტიერის დასახელებული შრომა, გვ. 248.

მაგრამ კარლოსი ფაქტიურად მაინც ვერ გახდა მთელი საფრანგეთის მეფედ. საფრანგეთის ერთი ნაწილი კვლავ ედის ხელში იმყოფებოდა. იწყება ხანგრძლივი ომი ედსა და კარლოსს შორის. მხოლოდ ედის გარდაცვალების (898 წ.) შემდეგ გახდა კარლოსი მთელი საფრანგეთის მეფედ. როგორც მარქსი აღნიშნავს, მისი მმართველობის დროს გრაფები და ჰერცოგები თავიანთ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიას თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ და სრულიად დამოუკიდებელნი გახდნენ სამეფო ხელისუფლებისაგან[1].

საფრანგეთიდან კაროლინგთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთა განდევნისათვის ბრძოლა შემდეგშიაც გრძელდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაშიაც ბრძოლა ჩრდილო-საფრანგეთის, კერძოდ, პარიზის მესვეურთა ინიციატივით ხდება. ამჟამად გაცხარებულ ბრძოლას საფრანგეთის დამოუკიდებლობისათვის პარიზის გრაფი ჰიუგი ანუ ჰუგო იწყებს. მან მოახერხა ნორმანდიის ჰერცოგის თვის მხარეზე გადაბირება და გაერთიანებული ძალებით 945 წელს კარლოსის შვილი, ლუდოვიკო ზღვისმოყვარე დაამარცხა, უკანასკნელი ტყვედ ჩავარდა. იგი ლანის ციხეში ჩასვეს. შემდეგში 946 წელს გერმანიის მეფის ოტონის დახმარებით ლუდოვიკო განთავისუფლებულ იქნა ტყვეობიდან. იგი გარდაიცვალა 954 წელს.

კაროლინგთა დინასტიის შემდეგი წარმომადგენელი ლუდოვიკო ზღვისმოყვარის შვილი ლოტარი, საფრანგეთში გამეფდა ისე, რომ ოპოზიციის მხრით მას ამ საქმეში დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ეს აიხსნება, ჯერ ერთი, იმ გარემოებით, რომ ამ ოპოზიციის სულისჩამდგმელი გრაფი ჰუგო ლოტარის გამეფების ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა, მეორე, თვით ლოტარმა, რომელმაც ანგარიში გაუწია ოპოზიციურად განწყობილ დაჯგუფებას, შესცვალა თავისი დამოკიდებულება გერმანიის მიმართ. მან კავშირი გასწყვიტა გერმანულ სამფლობელოებთან და იწყო საფრანგეთის ტერიტორიის გაფართოება უკანასკნელთა ხარჯზე. ყოველივე ამის შედეგად ლოტარის მეფობის განმავლობაში ადგილი არ ჰქონდა რაიმე აჯანყებებს მის წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, ლოტარის ავტორიტეტი და გავლენა საფრანგეთში თანდათან ეცემოდა. „ლოტარი მხოლოდ სახელწოდებით არის მეფე, — წერდა ერთ-ერთ თავის წერილში X საუკუნის

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. V, стр. 47.

ერთი გამოჩენილი მოღვაწე,—ჰუგოს ტიტული არ გააჩნია. მაგრამ ფაქტიურად ისაა მეფე"[1]. ამ ამონაწერში ლაპარაკია ზემოხსენებულ ჰუგოს შვილზე, ჰუგოზე, რომელიც ანჟუსა და ილ-დე-ფრანსის გრაფი იყო და რომლის პოლიტიკური გავლენაც საფრანგეთზე შეუჩერებლად იზრდებოდა. მალე მას საფრანგეთის დიდებულთა უმრავლესობა მიემხრო და 987 წელს (ლოტარი გარდაიცვალა 986 წ). მეფედ ჰუგო (შემდეგში „კაპეტად", ან „შაპეტად" წოდებული) აირჩიეს. ასე დაიწყო საფრანგეთში ახალი, კაპეტინგების დინასტიის ბატონობა.

საფრანგეთის სამეფოს საზღვრები და ჰუგო კაპეტის დომენი. საფრანგეთის პირვანდელი საზღვრები მთლიანად არ ემთხვეოდა არც თანამედროვე საფრანგეთის საზღვრებს და არც რომის იმპერიის დროინდელი გალიის ტერიტორიას. სახელმწიფოს საზღვარი იწყებოდა შელდას შესართავიდან, გადიოდა ვაასის ოლქზე და გეტზე. მიემართებოდა მდინარის გასწვრივ, ტურნე და ვალანსიენი საფრანგეთს ეკუთვნოდა, ხოლო კამბრეს სტოვებდა საფრანგეთის გარეშე. შელდას სათავეებიდან ეს საზღვარი დასავლეთიდან მიემართებოდა აღმოსავლეთისაკენ მაასამდე, ჰენეგაუმდე და მობეჟამდე. შემდეგ სამხრეთისაკენ უხვევდა, ჰყოფდა შამპანს ლოტარინგიისაგან და ბურგუნდიის სამეფოს ბურგუნდიის საგრაფოსაგან (ფრანშ-კონტე) და მიჰყვებოდა მდინარე სონას. სამხრეთში ეს საზღვარი პირინეებზე გადადიოდა და მოიცავდა ბარსელონის საგრაფოს[2].

როცა ვეხებით სახელმწიფოს საზღვრებს, უნდა გვახსოვდეს, რომ ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში, როდესაც ჯერ კიდევ სავსებით არ იყვნენ ჩამოყალიბებულნი ცალკეული ხალხები და მით უფრო ერები, საზღვარი მხოლოდ პირობითი ხასიათის მატარებელი თუ იყო. იმდროინდელი საფრანგეთის სამეფოში უკვე კარგა ხანია არ არსებობდნენ არც კელტების რელიგიური განმასხვავებელი ტერიტორიის ნიშნები, არც რომაელების მიერ აღმართული გასამიჯნი ბოძები, წარწერები, თხრილები და სხვ. იმ დროს წარმოქმნილი ფეოდალური ურთიერთობა რომელიმე სამეფოში მუდმივი და მყარი საზღვრების გატარებას ბუნებრივად ვერ ეგუებოდა. ძნელი იყო სახელმწიფოს ქვეშევრდომისა და ვასალის ერთი მეორისაგან განსხვავება.

---

[1] ტიერის დასახელებული შრომა, გვ. 254.

[2] Шарль Пти-Дютайи, Феодальная монархия во Франции и в Англии X—XIII в., 1938 წ., გვ. 9.

ვასალი, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს მეფის წინაშე ერთგულების ფიცსა სდებდა, თავისი სამფლობელოთი შეიძლებოდა სულაც არ ყოფილიყო ტერიტორიულად მომიჯნავე თავისი სენიორისა. რომელიმე ფრანგი ფეოდალი შეიძლებოდა ყოფილიყო გერმანიის მეფის ვასალი და პირუკუ—გერმანელი ფეოდალი საფრანგეთის მეფის ვასალი. მაგალითად, მთელი საუკუნის მანძილზე შამპანის გრაფები ჰოჰენშტაუფენების ვასალებად ითვლებოდნენ. იყვნენ ისეთი სენიორებიც, რომელთაც საზღვრის აქეთაც და იქითაც გააჩნდათ ფეოდალური სამფლობელოები. მაგალითად: ფლანდრიის, შალონისა და მაკონის გრაფები ისე, როგორც აბატი ბოლიე, გრაფი ვალენტინუა და სხვ. ფეოდალური წესების თანახმად ვასალები, პირველყოვლისა თავიანთ სენიორს ემორჩილებოდნენ და არა თავიანთ მეფეს.

ყველაფერი ეს გერმანიასა და საფრანგეთს შორის არსებულ საზღვრებს იმდენად რევდა, რომ უფრო გვიან პაპი კლიმენტი IV საფრანგეთის მეფეს, ლუი IX (1226—70) ამ საზღვრის შესახებ წერდა:—„ჩვენ ვერ ვხედავთ მის განსაზღვრას ვერც ერთ წერილობით დოკუმენტში, თუმცა დიდი ხნის წინათ გვსმენია, რომ ის აღინიშნებოდა მდინარეებით, ან საეკლესიო პროვინციებით, ანდა ეპარქიებით. მაგრამ ჩვენ არ ძალგვიძს მისი ზუსტად დადგენა: ჩვენ სრულებით არაფერი ვიცით"[1].

ჩვეულებრივად დომენი ფეოდალის პირად სამფლობელოს წარმოადგენდა და არსებითად განსხვავდებოდა ვასალების მიწებისაგან. ამ მიწებისათვის სენიორი უზენაესი მესაკუთრის მხოლოდ ნომინალური უფლებით იყო აღჭურვილი. ფეოდალური დაქუცმაცების პერიოდში მეფეთათვის ძირითად ეკონომიურ დასაყრდენს მათი საკუთარი დომენი წარმოადგენდა. ჰუგო კაპეტის დომენი ეგრეთ წოდებული ილ-დე-ფრანსი, რომელიც მან 956 წელს მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო, მდებარეობდა ჩრდილო-საფრანგეთში, მდინარე ლუარას მიდამოებში. იგი შედგებოდა ორლეანის, პარიზის ეტამპის, არპაჟონის, პუასის და სანლისის ოლქებისაგან. გარდა ამისა, ჰუგო კაპეტს ეკუთვნოდა ნავსადგური მონტრეილი, რომლითაც შემდეგ საფრანგეთი ზღვაში გასასვლელს პოულობდა.

საფრანგეთის უაღრესად ფეოდალური დაქუცმაცების პირობებში ჰუგო კაპეტის სამეფო ხელისუფლება ფაქტიურად მხოლოდ მისი საკუთარი დომენით განისაზღვრა. საფრანგეთის ჰერცოგები და გრაფები, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, დამოუკი-

---

[1] Шарль Пти-Дютайи, Феодальная монархия во Франции и в Англии X—XIII в., 1938 წ., გვ. 10—11.

ლებელ მმართველებს წარმოადგენდნენ და რიგ შემთხვევებში მეფისადმი ურჩობას იჩენდნენ. ამ ხანებში სამეფო ხელისუფლების სისუსტე იმაშიაც გამოვლინდა, რომ დაწყებული კარლოს სქელის გადაყენებიდან (887 წ). მეფეთა არჩევის პრინციპი თანდათან იმარჯვებდა ტახტის მემკვიდრეობით გადაცემაზე. ედი. რობერტი. რაული და ჰუგო კაპეტი არჩევითი და არა მემკვიდრეობითი მეფეები იყვნენ. იმათ, ვინც ჰუგო კაპეტი მეფედ აირჩიეს. ამით სრულებითაც არ უნდოდათ ახალი დინასტიის წარმოქმნა. უფრო მეტიც— საფრანგეთის ფეოდალები, რომელთაც მეფეთა არჩევის წესი დაამყარეს, ფიქრობდნენ, რომ ეს გარემოება შემდეგში უზრუნველყოფდა მათი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

თვით ჰუგო კაპეტის დომენი ყველგან არ წარმოადგენდა კომპაქტურ მასას. მდინარე სენასა და ლუარას მიდამოებში დომენის მნიშვნელოვანი ნაწილი გაფანტული იყო სხვა სენიორების სამფლობელოებში. ამგვარად, ჰუგო კაპეტი. კაცმა რომ თქვას. არ იყო ნამდვილი მეფე არც საკუთარ დომენში, ვინაიდან აქ მას ჰყავდა ისეთი ვასალები, რომელნიც მას მხოლოდ ფორმალურად სთვლიდნენ თავიანთ სიუზერენად. იმისათვის, რომ მეფე თავისი სამფლობელოს (დომენის) ერთი ადგილიდან მეორეში წასულიყო, მას თან უნდა ხლებოდა შეიარაღებული მცველები. პარიზიდან ორლეანამდე გზა გადიოდა ისეთი ვასალების სამფლობელოებზე, სადაც მტაცებელთა კოშკები იყო აგებული და სადაც ადგილი ჰქონდა სავაჭრო ქარავნების ძარცვას. რა თქმა უნდა, ასეთ სახიფათო გზაზე გავლა შეიარაღებულ მცველთა გარეშე ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა.

საფრანგეთის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა. კაპეტინგების დინასტიის პირველ წარმომადგენელთა ხანაში (X—XI ს.) პოლიტიკური, კულტურული და ეთნიკური თვალსაზრისით საფრანგეთი არ წარმოადგენდა ერთ მთლიან ერთეულს. მას შემდეგ, რაც საგრაფოები და საჰერცოგოები გრაფებისა და ჰერცოგების საკუთარ სამფლობელოებად გადაიქცნენ და ამით საფუძველი ჩაეყარა სათავადოების სისტემას, საფრანგეთი პოლიტიკურად უაღრესად დაქუცმაცებული აღმოჩნდა, თვითეული მსხვილი ფეოდალი ცდილობდა თავის სამფლობელოში სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო და ამიტომ იგი ნომინალურად თუ ემორჩილებოდა სამეფო ხელისუფლებას. მაგრამ თვით ამ მსხვილი ფეოდალების ვასალებიც ასევე ცდილობდნენ თავიანთი სენიორების მიმართ ყოფილიყვნენ დამოუკიდებელნი და ისინიც ხშირ შემთხვევაში თავიანთ გრაფებსა და ჰერცოგებს არ ემორჩილებოდნენ.

ამ მხრივ ერთგვარად თავისებურ გამონაკლისს ნორმანდიის საჰერცოგო წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საჰერცოგოშიც ხდებოდა ცალკე ფეოდალების განდგომა ჰერცოგის ხელისუფლებისაგან, წარმოებდა ფეოდალური ბრძოლები და სხვ., ნორმანდიის ჰერცოგები მაინც ახერხებდნენ განდგომილთა დამორჩილებას და საერთო წესრიგის დამყარებას. შედარებითი მშვიდობიანი მდგომარეობა საჰერცოგოში ხელს უწყობდა ნორმანდიის სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებას. ნორმანდიის საჰერცოგოს პოლიტიკური სიძლიერე აიძულებდა ჰუგო კაპეტს ნორმანდიის ჰერცოგთან კარგ დამოკიდებულებაში ყოფილიყო. ჯერ კიდევ ჰუგო კაპეტის გამეფებამდე, ჰუგოს მამა ურჩევდა თავის შვილს, რომ ეს ბეგობრული კავშირი დაეყარებინა ნორმანდიის ჰერცოგ რიჩარდთან (943—996). ამგვარად, ნორმანდიის საჰერცოგოს დაარსებისას (911 წ.) კარლოს მიამიტი ფიქრობდა, რომ ნორმანდიაში დასახლებული ნორმანები უკუაგდებდნენ სხვა ნორმანების შემოსევას საფრანგეთში და საფრანგეთის მეფის მორჩილნი იქნებოდნენ. მაგრამ ნორმანდიის საჰერცოგო შემდეგში აქტიურ ჩარევას იწყებს საფრანგეთის საშინაო პოლიტიკაში, ვიდრე 1066 წელს პოლიტიკურად გაერთიანებოდა ინგლისს.

ნორმანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფლანდრიის საგრაფო მდებარეობდა. რომელსაც ეკონომიური თვალსაზრისით მოწინავე ადგილი ეჭირა. ჯერ კიდევ X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში იგი ევროპის ერთ-ერთ მთავარ სამრეწველო და საგაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. მისი საფეიქრო მრეწველობა იმდენად განვითარებული იყო, რომ ძირითადად აკმაყოფილებდა ცალკეული სამეფოების მოთხოვნილებას. ფლანდრიის ტერიტორიაზე გადიოდა ევროპის სავაჭრო გზები. საიდანაც გაჰქონდათ როგორც შალეულობის ნაწარმი, ისე სხვა საქონელი. ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან და ამის შედეგად ფეოდალური ქალაქების წარმოშობა ფართო მასშტაბით, ყველაზე უფრო ადრე, ფლანდრიაში დაიწყო.[1] შემდეგში კი მისი ქალაქები გენტი, ბრიუგე და იპრი მთელი ევროპისათვის ცნობილ სამრეწველო ცენტრებად გადაიქცნენ.

ნორმანდიის საჰერცოგოს სამხრეთ-დასავლეთით ბრეტანის საჰერცოგო მდებარეობდა. მისმა ისტორიულმა წარმოშობამ იგი მნიშვნელოვნად განასხვავა საფრანგეთის სხვა ფეოდალური ერთე-

---

[1] იხ. А. Пиренн. Средневековые города Бельгии, 1937, გვ. 169.

ულებისაგან. უძველესი დროიდან ამ ოლქს არმორიკა ეწოდებოდა. მეხუთე და მეექვსე საუკუნეებში, როცა ბრიტანეთს თავს ესხმოდნენ ანგლო-საქსები, ბრიტების ერთმა ნაწილმა დასტოვა თავისი სამშობლო და არმორიკაში გადმოსახლდა, რის შედეგადაც ამ ადგილს ბრიტების სახელი — ბრეტანი ეწოდა. ბრეტანის მოსახლეობა დიდი ხნის მანძილზე კელტურ ენაზე ლაპარაკობდა და თავის საკუთარ ზნე-ჩვეულებებს ინარჩუნებდა. ნორმანებისაგან განსხვავებით, იგი სწრაფად არ გათქვეფილა ფრანგ მოსახლეობაში და თავისი ყოფაცხოვრებით უკანასკნელისაგან კარგა ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად განსხვავებული რჩებოდა.

მსგავსად ნორმანდიის ჰერცოგისა და ფლანდრიის გრაფისა, ბრეტანის ჰერცოგი, ნომინალურად თუ ითვლებოდა მეფის ვასალად. ხშირ შემთხვევაში ის დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა როგორც საშინაო, ისე საგარეო დარგში. ბრეტანის ჰერცოგებმა თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობა დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნეს. ბრეტანის საჰერცოგოს შემოერთება საფრანგეთთან მხოლოდ 1532 წელს მოხერხდა.

ბრეტანის საჰერცოგოსა და ილ-დე-ფრანსის შუა, მდინარე ლუარას გასწვრივ ანჟუს, ტურენის და, მათზე ცოტა ჩრდილოეთით, მენის საგრაფოები იყო განლაგებული. ამ საგრაფოების მფლობელნი, განსაკუთრებით ანჟუს გრაფი ფულკი ნერა, განუწყვეტელ ბრძოლებს აწარმოებდნენ თავიანთი სამფლობელოს ტერიტორიის გაფართოებისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზემოთ ჩამოთვლილი ჩრდილოეთ საფრანგეთის ჰერცოგები და გრაფები ნომინალურად მაინც მეფის ვასალებს წარმოადგენდნენ და რიგ შემთხვევებში მეფის ფეოდალურ სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ. ისინი ესწრებოდნენ აგრეთვე მეფის რეიმსში კურთხევას.

უფრო მეტი უნდა ითქვას სამხრეთ და აღმოსავლეთ საფრანგეთის ჰერცოგებზე და გრაფებზე. ეს უკანასკნელნი, არა მარტო ფაქტიურ, არამედ ნომინალურ დამოუკიდებლობასაც იჩემებდნენ. აკვიტანიის ქრონიკის ავტორმა ადემარ დე შაბანიმ დაახლოებით 1030 წლისათვის შეთხზა დიალოგი, რომელიც თითქოს გაიმართა ჰუგო კაპეტსა და ოდებერტ პერიგორელს შორის. პირველი ეკითხება მეორეს — „ვინ გაგხადა შენ გრაფად?“ უკანასკნელი პირველს ასეთივე კითხვით უპასუხებს — „ვინ გაგხადა შენ მეფედ?“ სამხრეთის მთავრები მეფეს უკავშირდებოდნენ მხოლოდ მაშინ, როცა ამ კავშირში ისინი რაიმე სარგებლობას დაინახავდნენ.

მდინარე ლუარას სამხრეთით პუატუს საგრაფო მდებარეობდა მასზე უფრო სამხრეთით კი აკვიტანიის დიდი საჰერცოგო. ეს უკანასკნელი თავის მხრივ დაყოფილი იყო რამდენიმე ნაწილად. აკვიტანიის სამხრეთით გასკონის საჰერცოგო იყო პირინეებამდე. ამ საჰერცოგოს სახელწოდება მოწმობს იმას, რომ საჰერცოგოს მოსახლეობა ძირითადად ბასკებისაგან შედგებოდა. აკვიტანიას აღმოსავლეთით კი ტულუზის საგრაფო მეზობლობდა. ამ საგრაფოს სხვანაირად ლანგედოკი ეწოდებოდა. ლანგედოკი გარკვეულ დროის მანძილზე დაყოფილი იყო სხვადასხვა ნაწილებად, რომელთაგან ყველაზე უფრო დიდი იყო ტულუზის საგრაფო. ტულუზის საგრაფო ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, საფრანგეთში ყველაზე მოწინავედ ითვლებოდა.

საფრანგეთის აღმოსავლეთით ბურგუნდიის საჰერცოგო იმყოფებოდა. იგი მდებარეობდა მდინარეების სენასა და ლუარას ზემო წელზე.

ბურგუნდიის ჰერცოგები თავიდანვე ილტვოდნენ დამოუკიდებლობის მენარჩუნებისაკენ. ცდილობდნენ თავიანთი სამფლობელო სამეფოდ გადაექციათ. ბურგუნდიის ჩრდილოეთით მდებარე შამპანის საგრაფოში განვითარებული იყო მეევნახეობა და სოფლის მეურნეობა. ჯერ კიდევ კაროლინგების ხანაში შამპანში ეწყობოდა ბაზრობანი, რომელნიც XII—XIII საუკუნეებში უფრო მეტად განვითარდნენ.

საფრანგეთში არსებობდა ერთგვარი წვრილი ფეოდალური ერთეული. მსხვილი ფეოდალური ერთეულების რაოდენობა კი XI საუკუნეში 30-მდე აღწევდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის მეფე არ წარმოადგენდა ყველაზე მსხვილ ფეოდალს დანარჩენ მთავრებთან შედარებით.

სამეფო ხელისუფლების სისუსტე კაპეტინგების დინასტიის პირველ წარმომადგენელთა დროს. ყველა ზემოჩამოთვლილ გარემოებასთან ერთად საფრანგეთის სამეფო ხელისუფლების სისუსტეს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მას არ ჰყავდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არმია, რომლის საშუალებითაც მეფისათვის შესაძლებელი იქნებოდა ცალკეულ მსხვილ ფეოდალთა დამორჩილება. გარდა ამისა სამეფო ხელისუფლების ეკონომიური ბაზაც ძალზე სუსტი იყო. რადგან სახელმწიფო გადასახადები არ არსებობდა, ყველა ყმა-გლეხი გადასახადებს უხდიდა არა სახელმწიფოს, არამედ თავის უშუალო ბატონს. სახელმწიფო აპარატს მეფე თავისი დომენის ხარჯზე ინახავდა. მეფის დომენის შემოსავალი კი ამ საქმისათვის სრულიად უმნიშვნელო იყო.

იმდენად დაძაბულ ეკონომიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი, რომ იმდროინდელი მეფეები, რომელთაც საკმარისი სურსათ-სანოვაგე არ გააჩნდათ თავიანთი ჯარისა და ამალის გამოსაკვებად, იძულებულნი იყვნენ მიემართათ თავიანთი დომენებისათვის და ეგრეთ წოდებულ „გაჩერების უფლებისათვის". ისინი გამოკვების მიზნით, დახეტიალობდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე. მეფეთა სასახლეები სხვადასხვა მხარეში იყო აგებული ჯერ კიდევ კაროლინგების ხანაში. მაგრამ მაინც მეფეთა ძირითად სამყოფელ ადგილად ქალაქი ორლეანი და პარიზი ითვლებოდა. უფრო მეტიც, რაკი მეფეთა დომენების შემოსავალი საკმარისი არ იყო, ნადირობა უფრო ხშირად ეწყობოდა არა გართობის მიზნით, არამედ დამატებითი შემოსავლის მისაღებად. მაშინდელი მეფეები არაფერს არ თაკილობდნენ დამატებითი შემოსავლის წყაროს გამოსანახად. ეწეოდნენ სხვადასხვა გამოძალვებსა და მექრთამეობას. საფრანგეთის მეფე ლუი მეექვსემ, რომელსაც 700 ლივრი უნდა მიეღო ქრთამად ლანის ეპისკოპოს გოდრისაგან, უარი განაცხადა თავის ხელმოწერაზე ქ. ლანისათვის კომუნის მინიჭების საკითხში.

ამ დროისათვის საფრანგეთში ქალაქების წარმოშობით რეალური ძალა იქმნებოდა სამეფო ხელისუფლების განსამტკიცებლად. ქალაქები ფილიპე პირველის მეფობის დროს უკვე იწყებენ ბრძოლას ფეოდალების წინააღმდეგ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ბრძოლას კომუნისათვის. ქალაქებზე დაყრდნობით მეფეებს შეეძლოთ ურჩი ფეოდალების დათრგუნვა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერება. მაგრამ ფილიპე პირველი ვერ ჩასწვდა ახალი მოძრაობის მნიშვნელობას და ნაცვლად ქალაქებისადმი პრინციპული პოლიტიკის წარმოებისა, ხან ხელს უწყობდა მათ ბრძოლას სენიორების წინააღმდეგ, ხან კი სენიორებს ეხმარებოდა ქალაქების დამორჩილების საქმეში. ამ შემთხვევაში ფილიპე პირველი და მისი მომდევნონიც[1], პირადი სარგებლობით გატაცებულნი, ორივე მებრძოლ მხარეთაგან იღებდნენ ჯეროვან გასამრჯელოს.

კაპეტინგების დინასტიის პირველი წარმომადგენელნი პირადი შემოსავლის გაზრდის მიზნით უმსგავსო საშუალებებსაც კი მიმართავდნენ — მეზობლებზე მოულოდნელად თავდასხმას და ყაჩაღობას. მაგალითად, იგივე ფილიპე პირველი, რომელიც გატაცე-

---

[1] მხოლოდ ლუი მეექვსემ, ქალაქების მიმართ პრინციპული პოლიტიკის გატარებისას, მათი დახმარებით შეძლო სამეფო ხელისუფლების განმტკიცება.

ბული იყო ასეთი ყაჩაღობით. ერთხელ იტალიელების სავაჭრო ქარავანსაც დაესხა თავს, როცა უკანასკნელი იმის დომენში გადიოდა და მთლიანად გაძარცვა.

ამრიგად, კაპეტინგების პირველი წარმომადგენელნი შექმნილ ეითარებაში უძლურნი აღმოჩნდნენ და იძულებულნი იყვნენ „თავაზიანად და მოწიწებით" მოპყრობოდნენ თავიანთ ვასალებს. რომელნიც ზოგ შემთხვევაში მეფეზე უფრო ძლიერნი იყვნენ. მეფეთა მიერ გატარებული პოლიტიკაც მცირე მასშტაბისა იყო. ისინი კმაყოფილდებოდნენ საკუთარი ქონების უმნიშვნელო დაგროვებით და ბრძოლით თავიანთი წვრილი ვასალების წინააღმდეგ. ისიც საკუთარ დომენში. ერთადერთი მათი წარმატება სამეფო ხელისუფლების გაძლიერების საქმეში გამოიხატებოდა მხოლოდ იმაში. რომ მათ თანამმართველობის შემოღებით მოახერხეს სამეფო ტახტის გადაცემა მამიდან შვილზე.

ჰუგო კაპეტის მეფედ არჩევამ ორი საუკუნის განმავლობაში მოსპო სამეფო ტახტის მემკვიდრეობითი გადაცემა. ამ ორი საუკუნის მანძილზე (პტი-დიუტაის მტკიცებით. სამეფო ტახტის მემკვიდრეობითი გადაცემის წესი აღდგენილ იქნა მხოლოდ 1223 წელს) საფრანგეთში მეფობა არჩევითი იყო. მეფობის პირველი წელი იწყებოდა იმ დღიდან. როცა მოხდებოდა მეფის კურთხევა. ჰუგო კაპეტმა (987—996) ისარგებლა რა ეკლესიის მხარდაჭერითა და მაგნატების ურთიერთ ქიშპობით. მოახერხა თავისი შვილი რობერტი სამეფო ტახტზე აეყვანა თანამმართველად თავისივე სიცოცხლეში. რობერტი და მისი მამა ერთად მეფობდნენ ისე. რომ სამეფო მათ არ გაუყვიათ და არც ფუნქციები გაუნაწილებიათ. ასევე მოიქცა შემდეგში რობერტი (996—1031). რომელმაც თავისი შვილი ჰენრიხი. შემდეგში პირველად წოდებული (1031—1060), თავისივე სიცოცხლეში თანამმართველად გაიხადა. ასევე „არჩევითი" მეფე იყო ფილიპე პირველი (1060—1108). ამგვარად. ფაქტიურად შენარჩუნებულ იქნა დინასტია კაპეტინგებისა.

რობერტ II „ღვთისმოსავი" თავისი მამის. ჰუგოს მსგავსად ცდილობდა. მოკავშირედ ეკლესია გაეხადა. იგი და მისი მამა ყოველნაირად მხარს უჭერდნენ ეკლესიის რეფორმების გატარებისათვის კლუნში დაწყებულ მოძრაობას. გვირგვინის მიღებისას ეკლესიის წინაშე ფიცსა სდებდნენ. რომ ეკლესიას ჯეროვან დახმარებას გაუწევდნენ. ეკლესია თავის მხრივ მეფეთა სასარგებლოდ ფულად საჩუქრებს გაიღებდა. მეფის ჯარში აგზავნიდა თავის ვასალ რაინდებს. მეფის საბჭოს განათლებულ მრჩევლებს აწვდიდა და ა. შ.

რობერტ მეორემ ეკლესიაზე დაყრდნობით ბრძოლები წამოიწყო ზოგიერთი მსხვილი ფეოდალის წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში ბეფემ გაიმარჯვა და დაწყებული 1002 წლიდან ვიდრე 1016 წლამდე ბურგუნდიის საჰერცოგო დაიპყრო და თავის დომენს სანსის, დიჟონის და დრეს საგრაფოები შემოუერთა. მისი მეფობის ხანაში სასტიკად იქნა ჩახშობილი ნორმანდიაში 997 წელს მომხდარი ვლეხთა აჯანყება. ასეთივე ბედი ეწვია გლეხთა იმ აჯანყებას, რომელიც მოხდა ბრეტანში 1024 წელს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რობერტის სამეფო ხელისუფლება ჯერ კიდევ ძალზე სუსტი იყო და მას არ შეეძლო რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიება დაესახა ქვეყნის გაერთიანების საქმეში.

რობერტ მეორის გარდაცვალების შემდეგ (1031 წ.) სამეფო ტახტზე მისი შვილი, ჰენრიხ პირველი ავიდა. რომელიც მამის თანამმართველი იყო 1027 წლიდან. მან არამც თუ რაიმე ახალი შემატა სამეფო დომენს. პირიქით, მამის მიერ შემოერთებული ბურგუნდიის საჰერცოგო დაკარგა. მიუხედავად ამისა, ჰენრიხ პირველი ისეთ მიზნებს ისახავდა, რომელთა მიღწევა მას არ შეეძლო. მეფეთა ხელისუფლების მოსპობით ადრევე ბლუას გრაფები იმუქრებოდნენ და თუ ჰუგო კაპეტმა და მისმა შვილმა რობერტმა სამეფო ამ ხიფათს გადაარჩინეს, ეს მოხდა იმის გამო, რომ მათ ნორმანდიის ჰერცოგი ჰყავდათ მოკავშირედ.

ნორმანდიის ჰერცოგებისა და კაპეტინგების ეს ტრადიციული კავშირი ჰენრიხ პირველმა მოულოდნელად დაარღვია. ათი წლის განმავლობაში ჰენრიხი ცდილობდა ნორმანდიის ჰერცოგის ვილჰელმ „...უკანონოდშობილის“ წინააღმდეგ კოალიციის ჩამოყალიბებას. მაგრამ საბოლოოდ მან სასტიკი მარცხი განიცადა 1058 წელს მომხდარ ბრძოლაში ვარავილესთან. მიუხედავად ამისა, ჰენრიხი მაინც არ ისვენებდა და ალმოსავლეთისაკენ ექსპანსიისათვის ემზადებოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ საფრანგეთის სამეფო ხელისუფლება უფრო მეტად დაუძლურებული აღმოჩნდა.

ჰენრიხ პირველის გარდაცვალების შემდეგ(1060 წ.) სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი ფილიპე პირველი, რომელიც 1059 წლიდან მამის თანამმართველად ითვლებოდა. იგი მეფობდა 48 წლის განმავლობაში. ფილიპე პირველი, მეტად ჩასუქებული, ტკბილეულობის მოყვარული და ავხორცა იყო. ორდერიკე ვიტალიუსისა და „წმინდა ბენედიქტეს სასწაულთმოქმედების“ ავტორის თქმით, ის იყო „ზარმაცი და ბრძოლის უუნარო“. „დამძიმებული

თავისი მაცოცხლებელი ტანით ის უფრო ცდილობდა მეტი ეჭამა და მეტი დაეძინა, ვიდრე ეწარმოებინა ბრძოლა"[1].

ფილიპეს დროს ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა იმისათვის, რომ ნორმანდია ჩამოეცილებინათ ინგლისისაგან და კვლავ საფრანგეთისათვის დაებრუნებინათ. ფილიპეს კარგად ესმოდა, რომ ამისათვის საჭირო იყო კოალიციის ჩამოყალიბება ინგლისის მეფის ვილჰელმ დამპყრობელის წინააღმდეგ. მაგრამ რაკი ასეთი ნაბიჯი ბრძოლას გამოიწვევდა, ამიტომ მან ხელი აიღო ნორმანდიაზე. საშინაო პოლიტიკის დარგშიაც ის ასეთივე უდარდელობას იჩენდა. სამეფო სასამართლოს ის იშვიათად თუ აწყობდა და ისიც მხოლოდ საკუთარ დომენში. ამ მხრივ საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ფილიპე საკუთარი ვასალების განაც კი არ მოითხოვდა ფიცის დადებას. მეფეს რომ მხარი დაეჭირა ეკლესიისათვის ეგრეთ წოდებულ „საღმრთო ზავისა" და „საღმრთო დროებითი დაზავებისათვის" წარმოებულ საქმეში, თავდასხმებსა და ძარცვა-რბევას სამეფოში ნაკლებად ექნებოდა ადგილი.

საერთოდ ფილიპე პირველი, თავის წინაპართაგან განსხვავებით, მხარს არ უჭერდა კლუნიერ მოძრაობას იმ მოსაზრებით, რათა მეტი შემოსავალი შერჩენოდა საეკლესიო მიწებისაგან. ამან გამოიწვია ხანგრძლივი კონფლიქტი პაპებთან, რომელთაც ფილიპე პირველი არაერთხელ განკვეთეს ეკლესიისაგან, მაგრამ ფილიპე მაინც ახერხებდა ინვესტიტურით ვაჭრობასა და ძარცვას. ის ცდილობდა საკუთარი ქონების დაგროვებასა და სამეფო დომენის გაფართოებას. ამ მხრივ მან რამდენიმე ანექსიაც კი მოაწყო. ისარგებლა რა ბარონების ოჯახური უთანხმოებით, ფილიპემ აიძულა ისინი 1068 წელს მეფისათვის დაეთმოთ გენტინე. ხოლო 1071 წელს — კორბი. 1074 წელს, თავისი ბიძამრის რაულ ვერმენდუას გარდაცვალების შემდეგ, ფილიპემ ფრანგული ვექსენიც მიისაკუთრა.

ამგვარად, ფილიპე პირველის დროს მოხდა სამეფო დომენის ერთგვარი გაფართოება. მაგრამ საფრანგეთის სამეფო ხელისუფლება XI საუკუნის ბოლოსათვის კვლავ უძლური დარჩა. საფრანგეთის პოლიტიკურ გაერთიანებაზე ჯერ კიდევ ზედმეტი იყო ლაპარაკი მანამდე, ვიდრე საფრანგეთის მსხვილი ფეოდალები თავაშვებულობას გრძნობდნენ, ვიდრე კლასობრივი ბრძოლები და ქალაქთა კომუნალური მოძრაობა დღის წესრიგში რადიკალურად არ დასვამდა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნის აუცილებლობის საკითხს. ასეთი გარდატეხა საფრანგეთში იწყება ფილიპე II ავგუსტუსის მეფობიდან.

---

[1] პტი-დიუტაინის დასახელებული შრომა, გვ. 68.

თავი III

გერმანია X—XI საუკუნეებში

გერმანია კაროლინგების დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთა ხანაში. მეროვინგების დინასტიის ექსპანსიურმა პოლიტიკამ გერმანელი ტომები: ალემანები, ტიურინგები, ბავარიელები და სხვ. მეექვსე საუკუნეში ფრანკთა მონარქიას დაექვემდებარა და მათი ტომობრივი ჰერცოგები ფრანკთა მეფეების მორჩილად გახადა. ყველაზე უფრო გვიან, მეცხრე საუკუნის დასაწყისში, ფრანკთა მონარქიის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა საქსონია. რომლის გერმანული მოსახლეობა დაიპყრო კარლოს დიდმა. ზემოხსენებული გერმანული ტომების დაპყრობასთან ერთად ამ მხარეებში დაჩქარდა გვაროვნული წყობილების რღვევა და კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლა. აგრესორებმა ახლად დაპყრობილ მხარეებში ცეცხლითა და მახვილით დანერგეს ქრისტიანობა, რომელსაც დამპყრობელთა შემდგომი ბატონობა უხდა უზარუნველეყო და ხელი შეეწყო ფეოდალიზაციის განვითარებისათვის.

843 წლის ვერდენის ხელშეკრულების შემდეგ ფრანკთა მონარქია, რომელსაც არ გააჩნდა თავისი ეკონომიური ბაზა და წარმოადგენდა დროებითსა და არამყარ სამხედრო-ადმინისტრაციულ გაერთიანებას, ტომებისა და ხალხების კონგლომერატს, არ ჰქონდა საკუთარი ჩვეულები და ერთიანი სალაპარაკო ენა. ხუხულასავით დაიშალა. ფრანკთა მონარქიას ამიერიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გერმანია გამოეყო. ვერდენის ხელშეკრულებით კარლოს დიდის შვილისშვილს ლუდოვიკო (გერმანულად-ლუდვიგი) გერმანელს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წილად ხვდა „ფრანკების აღმოსავლეთი მიწები“. არსებითად ესენი იყვნენ ტომობრივი ჰერცოგების სამფლობელოები: საქსონია, ფრანკონია, შვაბია (ყოფილი

ალემანია) და ბავარია. ცოტა ეფრო გვიან მათ მიეკუთვნა დასავლეთით მდებარე ლოტარინგიის საჰერცოგო.

გერმანიის ზემოაღნიშნული ტერიტორია სავსებით და საბოლოოდ IX საუკუნის დასასრულსა და X საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. მისი მოსახლეობა დიდხანს ერთფეროვანი არ იყო. მხოლოდ XII საუკუნიდან უწოდებდნენ ისინი თავიანთ თავს ტევტონებს. ეს ძველი სახელწოდება გერმანელებმა დღემდე შემოინარჩუნეს, ხოლო ფრანგები და თურქები გერმანელებს დღესაც ალემანებს უწოდებენ. რუსები კი „ნემცებს". „რადგან უკანასკნელთ გერმანული ენის არაფერი ესმოდათ და გერმანელობა მათთვის მუნჯის სინონიმად იყო გადაქცეული"[1].

კაროლინგების დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთა ხანაში გერმანია დაქუცმაცებული იყო არა მარტო ეთნიკური და ეკონომიური თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკურადაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი დანაწილებული იყო ოთხ ეხვადასხვა დამოუკიდებელ საჰერცოგოდ. ზემოხსენებული შვაბიის საჰერცოგო დუნაის ზემოწელზე მდებარეობდა და ფაქტიურად დამოუკიდებელი იყო სამეფო ხელისუფლებისაგან. ბავარიის საჰერცოგო, რომლის ჰერცოგებიც ასევე დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავი, იყოფებოდა მდინარე ლეხის აღმოსავლეთით. ფრანკონიის საჰერცოგო მოქცეული იყო მდ. რაინისა და მაინის შუა დინებასთან. ხოლო საქსონიისა—ტიურინგიასთან ერთად—დასავლეთით მდინარე ვეზერიდან მდინარე ელბამდე.

კაროლინგთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენლებს განუწყვეტელი ბრძოლა უხდებოდათ, როგორც გარეშე მტრების, ისე ურჩი მაგნატების წინააღმდეგ. ამ მაგნატებს შორის პირველი ადგილი ტომობრივ ჰერცოგებს ეკავათ. კარლოს დიდის დროს ისინი უბრალო მოხელეებად ითვლებოდნენ, რომელნიც ინიშნებოდნენ ან იხსნებოდნენ მეფის ბრძანებულებით. შემდეგში ჰერცოგები, როგორც დანარჩენი მოხელეები—გრაფები, მარკგრაფები და სხვ. თავიანთ თანამდებობებს მემკვიდრეობითად და სამეფო ხელისუფლებისაგან თითქმის დამოუკიდებლად აქცევდნენ. ჰერცოგების ძალაუფლების ზრდის საქმეში ისინი თავიანთი ტომების მთლიანობას ემყარებოდნენ.

კაროლინგთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენლებთან ბრძოლისას ეს ჰერცოგები გარდა იმისა, რომ იცავდნენ საკუთარ დამოუკიდებლობას სამეფო ხელისუფლებისაგან, ცდილობდნენ აგრეთვე შეძლებისდაგვარად წესრიგი დაემყარებინათ თავიანთ სამ-

[1] История средних веков, ტ. I. 1941 წ., გვ. 130.

ფლობელოებში. ჰერცოგები თავიანთი ვასალების მოთვინიერებასთან ერთად ვალდებულნენ აგრეთვე თავიანთ სამფლობელოში მყოფი ეპისკოპოსებისა და აბატების საჰერცოგო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებისაკენ.

გერმანიის პოლიტიკური ვითარება კაროლინგების დინასტიის წარმომადგენელთა შემდეგ. კაროლინგების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის ლუდოვიკოს („ყმაწვილის") გარდაცვალების შემდეგ გერმანიის სამეფო ტახტზე კონრად ფრანკონელი ავიდა (911—919). მისი მეფობის მთელ მანძილზე შეუწყვეტელი შინა ბოძოლები წარმოებდა, როგორც ცალკე მსხვილ ფეოდალებს, ისე ფეოდალებსა და მეფეს შორის. მეფე ამაოდ ცდილობდა ურჩი ფეოდალების დათრგუნვას. ამბობენ, რომ სიკვდილის წინ კონრადმა გერმანიის სამეფო ხელისუფლება „ნებაყოფლობით" გადასცა თავის ყველაზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს, საქსონიის ჰერცოგს—ჰენრიხს, რომელიც გამეფების შემდეგ ჰენრიხ პირველის („ფრინველთმჭერის") სახელით იყო ცნობილი.

ჰენრიხ პირველის გამეფებით (919—936) გერმანიაში საფუძველი ჩაეყარა საქსონური დინასტიის ბატონობას. თავისი მეფობის პირველ ხანებში, ჰენრიხმა გაითვალისწინა რა თავისი წინამორბედის, კონრადის პოლიტიკის მარცხი დიდებულებთან ბრძოლაში, მთელი თავისი ყურადღება საგარეო ექსპანსიურ პოლიტიკაზე გადაიტანა. მან გადასწყვიტა, ბრძოლები ეწარმოებინა აღმოსავლეთში სლავთა ტომების წინააღმდეგ. ასე ჩაეყარა საფუძველი ყბადაღებულ „დრანგ ნახ ოსტენის" პოლიტიკას, რომელსაც ასე დაჟინებით განაგრძობდა შემდეგში ოტონ I.

ჰენრიხ პირველმა მნიშვნელოვანი დათმობები გაუკეთა ტომობრივ ჰერცოგებს. სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მიზნით მან გული მოუგო და თავის მხარეზე გადმოიბირა გერმანიის წვრილი ფეოდალობა, რომლის წარმომადგენელთაგან ძლიერი ცხენოსანი რაზმები შეადგინა. მათი დახმარებით თავის დომენში—საქსონიაში მნიშვნელოვანი რაოდენობით ააგო ეგრეთ წოდებული ბურგები (ციხესიმაგრეები). გერმანიის სხვა ნაწილების დახმარებით ჰენრიხმა 928 წელს იწყო სისხლისმღვრელი იერიშები სლავთა სხვადასხვა ტომზე.

საქსონიის მეზობლად მაშინ მოსახლეობდნენ პოლაბეთის სლავები: სერბები, ლუჟიჩანები, გლომაჩები, ლუტიჩები, ობოდრიტები და სხვ. ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნის დასაწყისში სლავთა ეს ტომები გვაროვნულ წყობილებაში იმყოფებოდნენ და ცხოვრობდნენ ვანცალკევებულად. მათში სახელმწიფოს არ არსებობის გამო სლავ-

თა პოლიტიკური სიძლიერე, არც თუ ისე მნიშვნელოვანი იყო. ჯერ კიდევ კარლოს დიდმა აიძულა ისინი ხარკი ეხადათ ფრანკთა სახელმწიფოსათვის. კარლოს დიდის გარდაცვალების შემდეგ სლავებმა ხარკის გაღება შეწყვიტეს და უნგრელებთან ერთად ახლა თვითონ ესეოდნენ გერმანიის ტერიტორიას. რადგან საქსონია იყო მათი უშუალო მეზობელი, ბუნებრივია, რომ სლავთა თავდასხმები პირველ რიგში საქსონიაზე უნდა მომხდარიყო.

ჰენრიხ პირველმა მოახერხა ის, რომ გლომაჩების ქალაქი გაანადგურა აიღო და სერბო-ლუჟიცების სხვა ტომებიც დაიმორჩილა. შემდეგში გერმანელები ლუტიჩების მიწა-წყალზე შეიჭრნენ და აიღეს მათი ქალაქი ბრანიბორი, რომელსაც შემდეგში ბრანდენბურგი ეწოდა. დაპყრობილ სლავთა ყველა ტომს მძიმე ხარკი შეაწერეს. დაპყრობილი ადგილები გააბაგრეს და მათში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს იმ მიზნით, რომ სლავთა მოსახლეობა მუდმივ მორჩილებაში ჰყოლებოდათ. მათ სურდათ, რომ მოეხდინათ სლავთა ტომების სრული გერმანიზაცია. მაგრამ სლავები მაინც თავიანთ ხელმძღვანელთა გარშემო იკრიბებოდნენ, აჯანყებებს აწყობდნენ დამპყრობელთა ბატონობის წინააღმდეგ და ინარჩუნებდნენ თავიანთ წესებსა და ადათ-ჩვეულებებს.

ჰენრიხ პირველს მადიარებთან, ანუ უნგრელებთანაც მოუხდა ბრძოლა. მორავიის სამთავროს დაცემის შემდეგ უნგრელებმა პანონია დაიკავეს და გერმანიის უშუალო მეზობლები გახდნენ. მანამდე ისინი ცხოვრობდნენ გვაროვნულ წყობილებაში და მოხეტიალენი იყვნენ. მისდევდნენ უმთავრესად მესაქონლეობას და განსაკუთრებით ცხენების მოშენებას. ეს გარემოება უნგრელებს ძლიერი ცხენოსანი რაზმების ჩამოყალიბების შესაძლებლობას აძლევდა. უნგრელთა ცხენოსანი რაზმები სისტემატურად თავს ესხმოდნენ სხვადასხვა სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი გერმანიას. მეათე საუკუნის დასაწყისში ისინი გერმანიას თავს ესხმოდნენ ორი მიმართულებით: ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ელბაზე გავლით, თავს ესხმოდნენ საქსონიას, ხოლო აღმოსავლეთიდან უშუალოდ ბავარიაში იჭრებოდნენ და აქედან შვაბიაში გადადიოდნენ.

უნგრელების ასეთი თარეშები გერმანიაში აიხსნებოდა გერმანიის პოლიტიკური სისუსტით[1]. გერმანელთა ქვეითი ჯარი არ იყო ისეთი მობილური, როგორც უნგრელების ცხენოსანი რაზმები.

---

[1] გარდა ამისა, შემოსევებს გერმანიაში აადვილებდა ის, რომ მასში ცოტა იყო გამაგრებული ადგილები. ჰენრიხმა, უმთავრესად საქსონიაში ააგო სიმაგრეები, რომლებსაც ბურგები ეწოდებოდათ.

ხოლო მას შემდეგ, როცა ჰენრიხ პირველმა გერმანიის პოლიტიკური ვითარება ერთგვარად განამტკიცა და რეორგანიზაცია მოახდინა ჯარებში, შესაძლებელი გახდა უნგრელების იერიშების შეჩერება. 933 წელს უნგრელები დიდი ძალებით შეესივნენ გერმანიას, მაგრამ გერმანელებმა მხრივ მედგარი წინააღმდეგობის გაწევის შედეგად ისინი უკუგდებელნი იქნენ გერმანიის ტერიტორიიდან, თუმცა ამის შემდეგაც უნგრელები ზოგჯერ ახერხებდნენ გერმანიაში შეჭრას.

ოტონ პირველის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ჰენრიხ პირველმა ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში გადასწყვიტა თავისი შვილის ოტონის გამეფება. მან ერფურტში მოიწვია ჰერცოგების, გრაფებისა და ეპისკოპოსების თათბირი, რომელზედაც სამეფო კანდიდატად ოტონი წამოაყენა. თათბირმა მიიღო ეს წინადადება და მალე, ჰენრიხის გარდაცვალების შემდეგ (936). ოტონ პირველი ავიდა სამეფო ტახტზე. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ერთი წელიც არ იყო გასული დღიდან მისი გამეფებისა, რომ გერმანიაში დაიწყო შინაარეულობა. გარდაცვალა ბავარიის ჰერცოგი არნულფი. მისმა უფროსმა შვილმა ებერჰარდმა თავისი თავი დაუყოვნებლივ ბავარიის ჰერცოგად გამოაცხადა ისე, რომ არამც თუ ნებართვა არ გამოითხოვა მეფისაგან, არამედ ფიცის დადებაზეც კი უარი უთხრა მას.

ოტონმა შეიარაღებული ძალებით ბავარია დალაშქრა. იქიდან ებერჰარდი გაიქცა, და მის ნაცვლად მეფემ ბიძა ბერტოლდი დანიშნა ჰერცოგად. ეს ღონისძიება იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ჰერცოგობა აღარ უნდა ყოფილიყო მემკვიდრეობითი და რომ მეფეს ამ თანამდებობაზე შეეძლო დაენიშნა ის, ვინც მას სურდა. ბავარიის ჰერცოგის პრივილეგიები შეზღუდულ იქნა იმითაც, რომ ბერტოლდს აეკრძალა საჰერცოგოში ეპისკოპოსების დანიშვნა, რაც მხოლოდ მეფეს შეეძლო. გარდა ამისა, მეფემ ბავარიაში პფალცგრაფის თანამდებობა დააწესა. პფალცგრაფი, როგორც მეფის წარმომადგენელი, უზენაეს სასამართლოში უნდა ყოფილიყო[1]. იგივე ითვლებოდა სამეფო კოშკების, მამულებისა და ლენების გამგებლად. მას ევალებოდა სამეფო შემოსავლის აკრეფა საჰერცოგოში.

დიდი ხანი არ იყო გასული ბავარიის ჰერცოგის არნულფის განდგომიდან, რომ გერმანიის სხვა ჰერცოგებმა, რომელთაც თავიანთ-

---

1 Виталий Эйнгорн, Оттон Великий (იხ. Книга для чтения по истории средних веков под ред. П. Г. Виноградова, выпуск второй, издание четвертое, გვ. 288).

თავის საშიშად მიიჩნიეს ოტონ პირველის გაძლიერება, მეფის ხელისუფლებისაგან განდგომა იწყეს. ასე მოიქცა, მაგალითად, ფრანკონიის ჰერცოგი ებერჰარდი. მან ისარგებლა ძმებმა ოტონ პირველისა და ტანკმარისა უთანხმოებით. უკანაკნელი თავის მხარეზე გადმოიბირა და მეფის წინააღმდეგ აჯანყდა. ბრძოლა მხარეთა შორის მეფის საბოლოოდ დამთავრდა. ებერჰარდი ბრძოლაში ეოკლეს. ხოლო ებერჰარდი იძულებული გახდა მეფისათვის ჭორჩილება გამოეცხადებინა. ძაინცის არქიეპისკოპოსი, დიდი თხოვნის შედეგად ებერჰარდი დატოვებულ იქნა ჰერცოგის თანამდებობაზე.

მეფის ოჯახში მალე ახალმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი. ამჯერად ოტონს განუდგა ძმა მეორე ძმა ჰენრიხი, რომელმაც გადაწყვიტა მეფის ტახტიდან ჩამოგდება. ჰენრიხს მხარი დაუჭირეს ისევ ფრანკონიის ჰერცოგმა ებერჰარდმა და ლოტარინგიის ჰერცოგმა გიზელბერტმა. ამ უკანაკნელთა მხარეზე აღმოჩნდა აგრეთვე საფრანგეთის მეფე ლუი IV. ოტონ პირველის ბრძოლა ძმისა და ურჩი ჰერცოგების წინააღმდეგ ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ ბრძოლაში ებერჰარდი და გიზელბერტი მოკლეს, ხოლო საფრანგეთის მეფე იძულებული გახდა ზავი დაედო ოტონთან. ჰენრიხი, როგორც იქნა, ძმას შეურიგდა. ოტონმა შემდეგში თავისი ძმა ჰენრიხი ლოტარინგიის ჰერცოგად დანიშნა, ხოლო ფრანკონიის ჰერცოგად თავისი თავი გამოაცხადა.

ოტონ პირველმა ჰერცოგთა უფლებების შეკვეცა შემდეგშიაც განაგრძო. პფალცგრაფობის თანამდებობა ყველა ჰერცოგოში შემოიღო. ჰერცოგებს ომის დამოუკიდებლად დაწყებისა და ზავის დადების უფლება ჩამოართვა. ჰერცოგის გარდაცვალების შემთხვევაში მეფე ჰერცოგად ისეთ პიროვნებას ნიშნავდა, ვინც ადგილობრივი არ იყო და ვინც თავის ერთგულად მიაჩნდა. შემდეგ ხანებში ის ჰერცოგებად ნიშნავდა მხოლოდ თავის მახლობლებსა და ნათესავებს. 948 წელს შვაბიის ჰერცოგად თავისი შვილი, ლიუდოლფი გახადა. ამავე დროს ლოტარინგიის ჰერცოგს კონრადს თავისი ქალიშვილი, ლიუტჰარდი მიათხოვა ცოლად და ა. შ.

ოტონ პირველი ფიქრობდა, რომ მისი ნათესავები უფრო საიმედონი აღმოჩნდებოდნენ, მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლებულა. 953 წელს გერმანიაში კვლავ დაიწყო შინაარეულობა, რომლის პირველი ინიციატორები იყვნენ ოტონის შვილი, ლიუდოლფი (შვაბიის ჰერცოგი) და ოტონის სიძე ლოტარინგიის ჰერცოგი, კონრადი. ოტონს მოუხდა შეიარაღებული ბრძოლის წამოწყება შვილისა და

სიძის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ცვალებადი წარმატებით 954 წლამდე გრძელდებოდა და დამთავრდა მეფის გამარჯვებით. როგორც ლიუდოლფს, ისე კონრადს ჩამოერთვათ ჰერცოგობა[1]. ამ წინააღმდეგობათა გადალახვის შემდეგ ოტონმა გადასწყვიტა ახლა თავის დასაყრდენ ბაზად გერმანიის სასულიერო წოდება და ეკლესია გაეხადა.

გერმანიის ეპისკოპოსები ჯერ კიდევ ადრე უკმაყოფილონი იყვნენ ჰერცოგებისა, რომელნიც ცდილობდნენ მათ დამორჩილებას. როდესაც ოტონმა ეპისკოპოსებსა და აბატებს მოუწოდა სამეფო ხელისუფლებისათვის მხარი დაეჭირათ, ისინი სიამოვნებით გადავიდნენ მეფის სამსახურში. ურჩი ფეოდალებისაგან ჩამორთმეულ ძეწებსა და მამულებს ოტონი ეპისკოპოსებს გადასცემდა როგორც ბენეფიციუმს. სასულიერო წოდების წარმომადგენელნი, რომელნიც მეფის წყალობას ღებულობდნენ, ერთგულების ფიცსა სდებდნენ მეფის წინაშე. ეპისკოპოსებს სამფლობელოების მიღებასთან ერთად ენიჭებოდათ სახელმწიფოებრივი უფლებები და ხშირ შემთხვევაში გრაფობაც.

ამგვარად, რამდენადაც მატულობდა მეფის წყალობა გაცემული სასულიერო პირებზე, იმდენად იზრდებოდა სასულიერო პირთა საერო ხელისუფლება მთელს სამეფოში. ეპისკოპოსები იქცეოდნენ მთავრებად და, როგორც მეფის უშუალო ვასალები, უმაღლეს ფეოდალურ არისტოკრატიაში შედიოდნენ. დროთა განმავლობაში ეპისკოპოსობა და საერო ხელისუფლებიანობა ერთი მეორეში შეირწყა. გასაგებია, რომ ასეთი თანამდებობა მეფეს უნდა გადაეცა თავისი ერთგული პიროვნებისათვის; მაშასადამე, საეპისკოპოსო თანამდებობაზე დანიშვნა მეფის უფლებებში შედიოდა. მეფის უფლებას, რაც გულისხმობდა ეპისკოპოსის თანამდებობასთან დაკავშირებული ბენეფიციუმის ვინმესათვის გადაცემას, ინვესტიტურა ეწოდებოდა.

ინვესტიტურის ფართო გავრცელებით ოტონმა მართლაც მოახერხა სასულიერო წოდების მხარდაჭერის მოპოვება და მასზე დაყრდნობით ჰერცოგებისა და სხვა ურჩი ფეოდალების ალაგმვა, მაგრამ ამავე გარემოებამ, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად გააძლიერა სასულიერო ფეოდალობა. სასულიერო წოდების მიერ სამეფო ხელისუფლების მხარდაჭერა პირობითი იყო, რადგან გერმანიის ეპისკოპოსები და აბატები რომის პაპის მორჩილებაშიც იყვნენ.

---

[1] სეპარატულ მისწრაფებათა აღკვეთის მიზნით ოტონმა ლოტარინგია ორად დაანაწილა: ზემო და ქვემო ლოტარინგიად.

რის გამოც, რომის პაპს აღვილად შეეძლო გერმანიის მეფის მძლავრი მოკავშირე მის წინააღმდეგ გამოეყენებინა. გერმანიის ეპისკოპოსების მუდმივ მოკავშირეებად გადაქცევისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა თვით რომის პაპის მეფის ხელისუფლებისადმი დაქვემდებარება. მაგრამ პაპის დამორჩილებისათვის, თავის მხრივ, საჭირო იყო იტალიის დაპყრობა. სადაც პაპების რეზიდენცია იმყოფებოდა.

ამგვარად, მზადდებოდა სათანადო საფუძველი გერმანიის აგრესიული პოლიტიკისათვის, რომელიც უნდა წარმართულიყო იტალიისაკენ. გერმანიის ამ აგრესიას ხელს უწყობდა სხვა გარემოებებიც. ჯერ ერთი, რომ იტალიის ქალაქების იმდროინდელი განვითარება და მსოფლიო ვაჭრობით მათ მიერ დაგროვებული დოვლათი გერმანელ მტაცებელთათვის მეტად სახარბიელო აღმოჩნდა და მეორე, იტალიის დაპყრობის საქმეში აგრესორებს დიდი წინააღმდეგობათა გადალახვა არ მოელოდათ, რადგან იმ ხანებში იტალია არ წარმოადგენდა მთლიან და მძლავრ პოლიტიკურ ერთეულს. შეიძლება ითქვას, რომ იტალია მეათე საუკუნის შუალედში, პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალიან დაქუცმაცებული და უძლური იყო.

იტალიაში ბევრი საერო და სასულიერო ფეოდალი ერთი მეორის წინააღმდეგ განუწყვეტლივ ბრძოლას აწარმოებდა პირველობისათვის. არანაკლები ბრძოლები წარმოებდა შუა იტალიაში პაპის ტახტის გარშემო. რომის არისტოკრატიული საგვარეულონი ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ პაპის ტახტის ხელში ჩასაგდებად. იტალიის სამხრეთი მიწები ნაწილობრივად ბიზანტიას ჰქონდა დაპყრობილი, ხოლო სხვა ნაწილებში არაბები თარეშებს აწყობდნენ კუნძულ სიცილიიდან. ასეთ ვითარებაში მყოფ იტალიას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო რაიმე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გაწევა გერმანელ დამპყრობელთათვის.

ოტონ პირველის გალაშქრებისათვის იტალიაში შემდეგი საბაბი გამოინახა. იტალიის მეფედ 950 წლამდე ლოტარი ითვლებოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მას დარჩა ახალგაზრდა ქვრივი ადელაიდა. ლომბარდიის მმართველმა, ბერენგარიუსმა თავისი თავი მეფედ გამოაცხადა და, რომ იტალიის სამეფო გვირგვინი მას კანონიერად დარჩენოდა, ადელაიდას მისცა წინადადება ბერენგარიუსის შვილს, ადალბერტს ცოლად გაჰყოლოდა. ამ წინადადებაზე უარის თქმის შემდეგ ადელაიდა დატუსაღებულ იქნა, მაგრამ ის თავისი მომხრეების დახმარებით სატუსაღოდან გაიპარა და კანო-

საში გადავიდა. აქედან მან დახმარებისათვის თხოვნით მიმართა გერმანიის მეფეს.

ოტონმა მოისურვა არა მარტო დახმარების აღმოჩენა ადელაიდასათვის, არამედ მისი ცოლად შერთვა. ოტონის ასეთი გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო იმითაც, რომ იტალიაში გალაშქრების დროს ადელაიდას მომხრეები ოტონის მხარეზე გადმოვიდოდნენ. 951 წელს ოტონი დიდძალი ჯარის თანხლებით ლომბარდიაში შევიდა. ბერენგარიუსის პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალები მართლაც ოტონის მხარეზე გადავიდნენ. ოტონმა ლომბარდიის სატახტო ქალაქი პავია დაიკავა, ლანგობარდების მეფის ტიტული მიიღო და ადელაიდა შეირთო ცოლად. ამის შემდეგ მან დააპირა თავისი უფრო ფართო გეგმის—მთელი იტალიის დაპყრობის—განხორციელება. მაგრამ იგი იძულებული გახდა ამჯერად დაკმაყოფილებულიყო მიღწეული წარმატებით და უკან წასულიყო გერმანიაში, რადგან თვით გერმანიაში დაიწყო ფეოდალების (ლიუდოლფისა და კონრადის) აჯანყება ოტონის წინააღმდეგ.

აჯანყებული ფეოდალების დათრგუნვის გარდა, ოტონ პირველი დაინებით განაგრძობდა ანტისლავურ პოლიტიკას. ჯერ კიდევ ჰენრიხ პირველმა შოახერხა ჩეხების მთავრის ვაცლავის დამორჩილება. მაგრამ მალე ჩეხები აჯანყდნენ გერმანელთა ბატონობის წინააღმდეგ და ბოლესლავის ხელმძღვანელობით დაიწყეს გაფთრებული ბრძოლა. ოტონ პირველს მოუხდა მათ წინააღმდეგ გამოსვლა, ცხრა წელიწადი დასჭირდა მას იმისათვის, რომ ჩეხები კვლავ მოხარკედ გადაექცია. ელბას ქვემოდინებაზე მცხოვრები სლავთა ტომები ჰენრიხ პირველის გარდაცვალებისთანავე ასევე აჯანყდნენ გერმანელთა მხეცობის წინააღმდეგ. ოტონ პირველს პირადად მოუხდა მათ წინააღმდეგ გამოსვლა. გერმანელებმა ცეცხლსა და მახვილს მისცეს სლავთა ტომების ადგილ-სამყოფელი. ისინი არ ინდობდნენ არავის — არც ბავშვებს, ქალებსა და არც მოხუცებს.

ოტონ პირველმა დამორჩილებულ სლავთა ტომებში „წესრიგის დამყარება“ და სხვა სლავთა ტომების დამორჩილება პირსისხლიანსა და ვერაგ მარკგრაფს, გერონს დაავალა. ეს უკანასკნელი ყოველგვარ ვერაგულ ხერხებს ხმარობდა სლავების ამოსაყლეტად და გერმანელთა კოლონიზაციისათვის აღმოსავლეთში. სლავებთან ერთ-ერთი დაზავების შემდეგ მან სადილზე სლავების 30 მთავარი დაპატიჟა და როცა ისინი დაათრო, მათი დახოცვა უბრძანა თავის რაზმელებს. გერონის ასეთმა ვერაგობამ სლავები უფრო მეტად აღაშფოთა. ამიერიდან ისინი უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლებს. ეტყობოდა, რომ მარტო ცეცხლითა და მახვილით

სლავთა ტომების საბოლოო დამორჩილება და მათი გერმანიზაცია შეუძლებელი იყო. ოტონ პირველმა გადასწყვიტა ამ საქმეში დამხმარედ ეკლესია გამოეყენებინა. მან სლავთა ტომებში საქსონიის საპოვდელოება გააგზავნა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების მიზნით. ლუჟიჩანების, რატარებისა და გავოლიანების მხარეში ოტონმა ორი საეპისკოპოსო დააარსა. ამგვარად. ჯვარმა და მახვილმა ერთად იწყო საქმიანობა სლავთა ტომების გერმანიზაციის საკითხში. მაგრამ, მიუხედავად ყოველგვარი მკაცრი ღონისძიებებისა, სლავები მაინც განაგრძობდნენ გმირულ ბრძოლას დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

სლავები ყოველთვის ელოდებოდნენ ხელსაყრელ მომენტს გერმანელთა ბატონობის უღლის გადასაგდებად. როცა ოტონ პირველი უკანასკნელ ბრძოლას აწარმოებდა ურჩი ჰერცოგების წინააღმდეგ (954.), სლავები აჯანყდნენ ენერგიული მთავრის სტოიონევის მეთაურობით. აჯანყებულებმა გერმანელთა მიერ აშენებული ბურგების დიდი უმრავლესობა დაანგრიეს და ოკუპანტები გარეკეს თავიანთი მიწა-წყლიდან. უფრო მეტიც, ოტონისაგან განდგომილი საქსონელი ვიხმანის მითითებით. ბაინი საქსონიაშიც კი შეიჭრნენ. მიუხედავად იმისა, რომ 954 წლის ბოლოსათვის ოტონმა ყველა განდგომილი გერმანელი ფეოდალები დაიმორჩილა, ამჯერად მან მაინც ვერ მოახერხა აჯანყებული სლავების წინააღმდეგ გალაშქრება, რადგან მთელი თავისი ძალები უნგრელების შემოსევის წინააღმდეგ უნდა წარემართა.

955 წელს უნგრელები შეიჭრნენ ბავარიაში და აუგსბურგს ალყა შემოარტყეს. ამავე წლის ივლისში ოტონი თავისი ჯარებით დაიძრა უნგრელების წინააღმდეგ. აუგსბურგს იცავდა მისი გარნიზონი ეპისკოპოსის მეთაურობით. მაგრამ მას დიდი ხნით თავდაცვა არ შეეძლო სურსათ-სანოვაგის უქონლობის გამო. ოტონის ჯარები, რომელნიც მიდიოდნენ ქალაქის გასათავისუფლებლად და უნგრელების უკუსაგდებად გერმანიიდან, რვა ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. თვითეულ მათგანში 1000 კაცი ითვლებოდა გარდა დამხმარე პირებისა, რომელთაც საბრძოლო მნიშვნელობა არ გააჩნდათ. გერმანელების ცხენოსანთა რაზმები უკეთ იყვნენ შეიარაღებული, ვიდრე უნგრელები. ამასთან არასწორად უნდა ჩაითვალოს ცნობები უნგრელების რაოდენობაზე, რომელიც მოცემულია გერმანელი ეამთაღმწერლების შრომებში. უნგრელები არამც თუ მეტნი არ იყვნენ გერმანელებზე, არამედ გაცილებით უფრო ნაკლებნი.

ოტონის ხელმძღვანელობაში მყოფი ჯარების პირველი სამი დანაყოფი ბავარიელებისაგან შედგებოდა, მეოთხე—ფრანკონელები-

საგან. მეხუთე—სამეფო დომენიდან იყო თავმოყრილი. მეექვსე და მეშვიდე—შვაბიელების. ხოლო მერვე—ჩეხელი ცხენოსნებისაგან იყო შემდგარი. მეხუთე დანაყოფს პირადად ოტონი მეთაურობდა, ხოლო პირველ სამ დანაყოფს ლოტარინგიის ყოფილი ჰერცოგი კონრადი. დელბრიუკის თქმით, გერმანელთა ჯარები, რომელთა წინა რიგები ბავარიელებს ჰქონდათ დაკავებული. უნგრელებს უახლოვდებოდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. უნგრელების ერთ-ერთმა დანაყოფმა გერმანელთა ჯარის ნაწილების განლაგების მარჯვენა ფლანგს ზურგიდან შემოუარა, თავს დაესხა მათ აღალს და გაანადგურა ჩეხელი რაინდების შენაერთი, მაგრამ მალე იძულებული გახდა უკან დაეხია.

მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ზურგიდან შემოვლის საშიშროება თავიდან აიცილეს, მთელი თავისი ძალებით გადავიდნენ შეტევაზე. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა 955 წლის 10 აგვისტოს მდინარე ლეხზე აუგსბურგიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით. მიუხედავად იმისა, რომ უნგრელები მამაცურად იბრძოდნენ, მაინც დამარცხდნენ. გერმანელები გაქცეულთ უკან დაედევნენ, ბევრი უნგრელი დახოცეს და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ტყვედ იგდეს ხელში, მათ შორის უნგრელების მეფეც. გერმანელთა ამ გამარჯვების პოლიტიკური მნიშვნელობა პირველყოვლისა იმაში გამოიხატა, რომ უნგრელებმა ამ ბრძოლის შემდეგ სამუდამოდ შესწყვიტეს გერმანიაზე თავდასხმები. საერთოდ კი უნგრელების თავდასხმები სხვა მეზობელ სახელმწიფოებზე შეწყდა იმის გამო, რომ უნგრელები მომთაბარეობიდან ბინადრულ ცხოვრებაზე გადავიდნენ.

აქტიური საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარების შედეგად 960 წლისათვის ოტონ პირველმა განამტკიცა გერმანიის მდგომარეობა, როგორც შიგნით, ისე საერთაშორისო ვითარებაში. მას შეეძლო ახლა განეგრძო იტალიის დაპყრობის კამპანია, რომელიც 952 წელს შეწყვეტილ იქნა ზემო აღნიშნული მიზეზების გამო. მაგრამ, ვიდრე ოტონი თავის მეორე ლაშქრობას წამოიწყებდა იტალიაში, მან 961 წლის მაისში სასულიერო და საერთო დიდებულთა კრება მოიწვია ვორმსში, სადაც თავისი 7 წლის შვილი ოტონი მეფედ და თავის თანამმართველად აარჩევინა. ახალ მეფეს გვირგვინი დაადგეს მისმა ბიძამ კელნის არქიეპისკოპოსმა და მისმა ძმამ მაინცის არქიეპისკოპოსმა. ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ ოტონი პირველს ადვილად შეეძლო განეახლებინა თავისი ლაშქრობა იტალიაში.

იტალიაში მეორე ლაშქრობის წამოწყებისათვის კვლავ გამოჩნდა საუკეთესო საბაბი. ამჯერზე ოტონს დახმარებისათვის 22 წლის

ჟმაწვილი პაპი იოანე XII ეპატიჟებოდა, რომელსაც რომაელი ბა-ბონები აუჯანყდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ. 961 წლის შემოდგომით ოტონმა დაიწყო თავისი მეორე ლაშქრობა. მას ახლ-და თავისი მეუღლე და დიდძალი ჯარი, რომელშიაც სლავებიც კი მონაწილეობდნენ. გერმანულ ლაშქრობას იტალიაში არავითარი წი-ნააღმდეგობა არ შეხვედრია. 962 წლის 31 იანვარს ოტონი ქალაქ რომში შევიდა. 2 თებერვალს ოტონსა და ადელაიდას. პაპმა იმპერა-ტორის გვირგვინი დაადგა. ასე ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული „რომის საიმპერო იმპერია", რომლის სახელწოდებასაც შემდეგ (XII ს.) დაემატა — „გერმანული ნაციის".

რა თქმა უნდა, ასეთი სახელწოდება სრულებითაც არ ასახავ-და შექმნილ სინამდვილეს. თუ ასეთ სახელწოდებაში ვიგულ-ისხმებთ იმას, რომ თითქოს მოხდა კარლოს დიდის იმპერიის აღ-დგენა, ეს არ იქნებოდა სწორი, რადგან ოტონ პირველის მიერ შექ-მნილი იმპერია ტერიტორიულად უფრო მცირე იყო. იგი აერთიანებ-და მხოლოდ გერმანიასა და იტალიას, უფრო სწორად კი. იტალიის ნაწილს. რადგან სამხრეთ იტალიაში ბიზანტიელები ბატონობდნენ. იმპერიის ზემოხსენებული სახელწოდება არასწორად უნდა ჩაით-ვალოს კიდევ იმიტომ, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდნენ ნა-ციები და მით უფრო „გერმანული ნაცია".

ახლად შექმნილი იმპერიის იგივე სახელწოდება თეორიულად გულისხმობდა იმასაც, რომ იმპერიის მმართველობაში როგორც იმპერატორი, ისე პაპი თანაბარი უფლებებით აღჭურვილი მესვე-ურნი უნდა ყოფილიყვნენ. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს არ ხორციელდებოდა. ფაქტიურად პაპის ოლქი იტალიის მსხვილ ფეო-დალებს ჰქონდათ მიტაცებული და, მაშასადამე, პაპებს აღარ გა-აჩნდათ რეალური საერო ხელისუფლება. ამგვარად, იმპერიის ნამდ-ვილ მმართველად და ბატონპატრონად გერმანიის მეფე (იმპერა-ტორი) რჩებოდა მით უფრო, რომ იმდროინდელმა პაპებმა თითქ-მის სრულიად დაკარგეს სულიერი მმართველობის სადავეებიც. ფეოდალიზაციის განვითარების შედეგად თვითეული ეპისკოპოსი და აბატი ცდილობდა პაპებისაგან განდგომას და თავისი მრევლი-სადმი დამოუკიდებელ ხელმძღვანელობას.

რა თქმა უნდა, ასეთი სუსტი ძალაუფლების მქონე პაპებთან ოტონ პირველი თანაბარ უფლებებში ვერ ჩადგებოდა. გახდა რა ოტონი იმპერატორად, მან უზენაესი უფლება რომზეც მოიპოვა და პაპი გადაიქცა მის ვასალად. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ოტონი რომიდან პავიაში წავიდა და, როგორც ეკლესიის უზენაესმა მმართ-ველმა, იქ მოიწვია საეკლესიო კრება. ამ კრებას უმაღლესი სასუ-

ლიერო წოდების თითქმის ყველა წარმომადგენელი (არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, აბატები და სხვ.) ესწრებოდა, ხოლო თვით პაპი კრებაზე არ იყო მიწვეული. აქედან ჩანს, რომ იმპერატორი პაპებს არავითარ ანგარიშს აღარ უწევდა.

როცა გამოირკვა პაპი იოანე XII-ის ურჩობა იმპერატორისადმი, ოტონმა რომში საეკლესიო კრება მოიწვია პაპის გასასამართლებლად. კრებამ, რომელსაც თვით იმპერატორი თავმჯდომარეობდა, დაადგინა, რომ „გარყვნილებისათვის" იოანე გადაყენებულიყო. მის ნაცვლად რომის პაპად არჩეულ იქნა ოტონის კანდიდატი ლეონ VIII. როცა შემდეგში რომის მოქალაქეებმა აჯანყება მოაწყვეს ლეონ VIII-ის წინააღმდეგ და მის მაგივრად ბენედიქტე XI აირჩიეს, ოტონ პირველმა შეიარაღებული ძალებით დაიკავა ქ. რომი, ბენედიქტე XI გადააყენა და რომაელები აიძულა ისევ ლეონ VIII ეცნოთ პაპად. ამგვარად, საბოლოოდ გამოირკვა, რომ პაპების არჩევა და გადაყენება ამიერიდან მხოლოდ იმპერატორის საქმეს წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ გაკვრით იყო აღნიშნული, სამხრეთი იტალია ნეაპოლის ჩრდილოეთ მიდამოებამდე დაპყრობილი იყო ბიზანტიის მიერ. ბიზანტიის იმპერატორი ნიკიფორე ფოკა დაჟინებით ცდილობდა ამ ადგილების შენარჩუნებას და, ხელსაყრელ პირობებში, მათ გაფართოებასაც. ოტონმა, თავის მხრივ, მიზნად დაისახა სამხრეთ იტალიის ხელში ჩაგდება, მაგრამ პირდაპირი ბრძოლებით ეს ვერ მოახერხა და იძულებული გახდა დიპლომატიური ხერხისათვის მიემართა. მან მიაღწია თავის შვილისათვის (ოტონ მეორისათვის) ცოლად მოეყვანა ბიზანტიის მეფის ასული თეოფანო. ეს გარემოება შემდგომში საფუძვლად უნდა გამხდარიყო სამხრეთ იტალიაზე გერმანიის პრეტენზიების წამოყენებისათვის. ოტონ პირველი 973 წელს გარდაიცვალა.

ფეოდალიზაციის პროცესების ნელი მსვლელობა გერმანიაში და მისი მიზეზები. რაინის მიღმა მდებარე ყოფილ ფრანკთა მონარქიის ნაწილში, რომელზედაც ვერდენის 843 წლის ხელშეკრულების შემდეგ გერმანიის სამეფო ჩამოყალიბდა, ფეოდალიზაციის პროცესები უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე საფრანგეთში. ჯერ კიდევ X. საუკუნის დასაწყისში გერმანია, შედარებით, უფრო ნაკლებად იყო ფეოდალიზირებული. თავისუფალი გლეხობა იქ კარგა ხანს ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობასა და საკუთარი მეურნეობის დაცვას სხვისი ხელყოფისაგან, რის გამოც, თავდაპირველად მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა გერმანიაში ძირი-

თადად ხდებოდა მეფეთა მიერ სიგელებით გაცემული მიწების ხარჯზე და ეს ზრდა არც თუ ისე შესამჩნევი იყო.

ასეთ პირობებში, ცხადია, რომ ფეოდალური კლასის ბატონობა სრულყოფილ სახეს ვერ მიიღებდა და მისი პოლიტიკური გავლენაც მოსახლეობაზე სრულად არ უნდა გამოვლინებულიყო. გერმანიაში მემამულე სამემკვიდრეო მამულში მყოფ მოსახლეობაზე არ სარგებლობდა სრული პოლიტიკური უფლებით. ამ პოლიტიკურ უფლებებში მას ცენტრალური (სამეფო) ხელისუფლების წარმომადგენელი. გრაფი შეეზიარებოდა. თუ საფრანგეთის ფეოდალები თავიანთ სამემკვიდრეო მამულებში სრული იმუნიტეტით სარგებლობდნენ და საკუთარი სასამართლოები ჰქონდათ, სადაც თითქმის ყველა სადავო საკითხს მეფის მოხელის დაუსწრებლად სწყვეტდნენ, გერმანიაში ეს ასე არ იყო. გერმანელი ფეოდალის სასამართლოს შეეძლო მხოლოდ მეორეხარისხოვანი საკითხების გადაწყვეტა. დანარჩენები კი მეფის მოხელე გრაფის სასამართლოსადმი იყო დაქვემდებარებული.

ზემოთქმულის გარდა, სამემკვიდრეო მამულებში გადასახადების აკრეფისა და ჯარის შეგროვების ეფლებებიც ჯერ კიდევ განაწილებული იყო მემამულესა და მოხელე გრაფს შორის. ამგვარად, ფეოდალიზმის დამახასიათებელი: იმუნიტეტი. ლენი და სხვ. გერმანიაში ჯერ კიდევ სრულყოფამდე არ იყო განვითარებული. სამემკვიდრეო მამულმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა თავისი დასრულებული სახე. ამიტომ იყო, რომ საფრანგეთისაგან განსხვავებით, გერმანია მთლიანად არ იყო დანაწილებული ცალკე ფეოდალურ დამოუკიდებელ სენიორიებად და სამეფო ხელისუფლებაც აქ იმ ხანებში უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე საფრანგეთში.

ფეოდალიზაციის დაგვიანება გერმანიაში პირველყოვლისა უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ გვაროვნული წყობილების ნაშთითემი (მარკა) ფრანკთა მონარქიის აღმოსავლეთ ნაწილში (გერმანიაში) უფრო დიდხანს იქნა შენარჩუნებული. მართალია, თემში სოციალურ-ეკონომიური უთანაბრობა თემის წევრებს შორის მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ თემი ჯერ კიდევ შემჭიდროებული გამოდიოდა თავისი წევრების დასაცავად მსხვილ მემამულეთა მომძლავრების წინააღმდეგ. მსხვილი ფეოდალების მიერ გლეხობის დამორჩილების ცდებს თემებში გაერთიანებული გლეხები აჯანყებებით პასუხობდნენ.

გლეხთა ასეთი ფართო აჯანყება, მოხდა მაგალითად, საქსონიაში 841 წელს, რომელიც 843 წლამდე გრძელდებოდა და რომელიც ისტორიაში ცნობილი გახდა „სტელინგას“ სახელწოდებით. აჯანყე-

ბის მონაწილენი მოითხოვდნენ ძველი წესებისაკენ დაბრუნებას და თავისუფალ (ფეოდალიზმამდე არსებულ) თემების აღდგენას. აჯანყებულებმა შეძლეს ცენტრალურ ხელისუფლებასთან უმრავლესობის განდევნა საქსონიიდან. 843 წლის გაზაფხულზე ლუდოვიკო გერმანელმა ეს აჯანყება სასტიკად ჩააქრო. მიუხედავად ამისა, გერმანული მარკა გლეხთა დაუმვეებისა და მათი მიწა-წყლის მიტაცების საქმეში ხანგრძლივ წინააღმდეგობას უწევდა ფეოდალებს. გერმანიის 10—11 საუკუნეების დროინდელი ისტორია სავსეა ამგვარი ბრძოლის ფაქტებით.

თვით თემის (მარკის) ხანგრძლივი არსებობა გერმანიაში, თავის მხრივ, აიხსნება იმით, რომ ბარბაროსული ტომების რომის იმპერიის ტერიტორიაზე დასახლებისას ზემოაღნიშნულმა გერმანელმა ტომებმა ამ ტერიტორიის ის ნაწილები დაიკავეს, რომელნიც ყველაზე უფრო ნაკლებად რომანიზებულნი იყვნენ. ამგვარად, გერმანულმა მარკამ ცივილიზაციის დამრღვევი გავლენა ნაკლებად განიცადა.

გერმანიის ეკონომიური განვითარების სხვა თავისებურება მდგომარეობდა აგრეთვე იმაში, რომ მისი სხვადასხვა რაიონები ამ განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებოდნენ. ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ ფრანკთა მონარქიის ფორმირებისას გერმანელი ტომების დამორჩილება სხვადასხვა დროს ხდებოდა. როგორც ცნობილია, ფრანკების მიერ საქსონიის დამორჩილება მხოლოდ IX საუკუნის დასაწყისში მოხერხდა. ცხადია, რომ საქსონიაში ფეოდალიზაცია დაგვიანებით უნდა მომხდარიყო.

მარკის რღვევა და მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარება. მიუხედავად ყველა ზემონათქვამისა, მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც წარმოებდა მარკის რღვევა, რადგან მასში წარმოიშვა კერძო საკუთრება. ჰუფი, გლეხის ნადელი განუსაზღვრელ საკუთრებად გადაიქცა. თავისუფლად შეიძლებოდა მისი ყიდვა-გაყიდვა, გასაჩუქრება, ანდერძით გადაცემა და ა. შ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო იმას, რომ ზოგი ჰუფი დანაწილდა, ზოგი დამსხვილდა, ზოგიერთი ჰუფები გაერთიანდა ერთი პიროვნების ხელში. ამგვარად, მსხვილ მიწათმფლობელობის ზრდასა და განვითარებას საფუძველი ჩაეყარა, ხოლო მარკის ეკონომიური საფუძველი შეირყა.

რაც დრო გადიოდა, მსხვილი მიწათმფლობელობა უფრო ფართოდ იკვლევდა გზას. თემის ყოფილი წევრების უმრავლესობა თანდათან ღატაკდებოდა სასამართლო ჯარიმების გადახდით, ეკლესიის სასარგებლოდ „მეათედის“ გაღებით, ბრძოლებში სისტემატური მონაწილეობის მიღებით, მევახშეობის გავრცელების შედეგად და სხვა. გლეხობის ეს ნაწილი ჰკარგავდა თავის მიწებს და ეგრეთ

წოდებულ „ჩინშის“ (იჯარით მიწის აღება) გამღებლად იქცეოდა. ეველა ამით სარგებლობდნენ მემამულეები, როგორც საერონი, ისე სასულიერონი და ზრდიდნენ თავიანთ მამულებს გლეხების მიწების ხარჯზე.

მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდას გერმანიაში ისე, როგორც სხვა ფეოდალურ სახელმწიფოებში, დიდად ხელს უწყობდნენ მეფეები. ისინი უხვად აძლევდნენ სიგელებს მიწებით დასაჩუქრების შესახებ, როგორც საერო მიწათმფლობელებს, ისე სასულიერო წოდების წარმომადგენლებს. გერმანიაში ასეთი სიგელები უფრო მეტად ეპისკოპოსებსა და აბატებს ეძლეოდათ. 911 წლიდან დაწყებული 1002 წლამდე გერმანიის მეფეთა მიერ გაცემული სიგელებიდან 310 სიგელი მიწებით დასაჩუქრებისა გაცემული იყო ეპისკოპოსებისა და მონასტრებისათვის. მათვე მიეცათ 287 სიგელი სხვადასხვა პრივილეგიების მინიჭებაზე, ხოლო 67 სიგელი მიწებით დასაჩუქრების გამო გაცემული იყო საერო ფეოდალობისათვის.

X და XI საუკუნეებში მარკის შინაგანი შესუსტება, ხოლო მეორე მხრით, მსხვილი მიწათმფლობელობის გაძლიერება, ამ ორ მოწინააღმდეგე მხარეთა ბრძოლაში პირველს მეორეს უმორჩილებდა. თემებისა დამორჩილება ფეოდალების მიერ ორი გზით წარიმართებოდა: ბრძოლებისა და ეგრეთ წოდებული „ფოგტობის“ (მფარველობის) საშუალებით: იქ, სადაც ფეოდალი ძალის გამოყენებით ვერ ახერხებდა თემის დამორჩილებას, უკანასკნელს „მფარველად“ ევლინებოდა. სასამართლოს პროცესებში და ზოგიერთ სხვა საქმეებში ფეოდალი თემის მომხრედ გამოდიოდა და ამ მფარველობისათვის თემს თავის სასარგებლოდ გარკვეულ გადასახადს ახდევინებდა. დროთა მსვლელობაში მარკული ორგანიზაცია ფორმალურად განაგრძობდა თავის არსებობას. მაგრამ ზემოხსენებულის გამო ბინამდვილეში იგი საფოგტო ორგანოდ გადაიქცა და დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა.

საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია და ფეოდალიზაციის შემდგომი ზრდა. მსხვილ მიწათმფლობელობის ზრდამ და მარკის რღვევამ გერმანული საზოგადოება ორ, ერთი მეორისაგან მკაფიოდ განსხვავებულ ჯგუფებად დაანაწილა: ერთი მხრივ, მღიდრები, რომელთაც გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს, მეორე მხრივ, ღარიბები, რომელნიც პირველ ჯგუფზე გახდნენ დამოკიდებულნი. ასეთი სოციალური უთანასწორობა იურიდიულად გაფორმდა ჯერ კიდევ ადრე, ჰენრიხ ფრინველთმჭერის მიერ ჩატარებული სამხედრო რეფორმების შედეგად.

ამ რეფორმის მიხედვით, ყველა, ვისაც კი სამხედრო მოვალეობის მოხდა შეეძლო ცხენით, სამხედრო წოდებაში გადადიოდა და გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა, ხოლო ის, ვისაც ცხენის შეძენა არ შეეძლო, გადასახადების გამღებ წოდებაში ირიცხებოდა. ამგვარად, გერმანიაში მაშინ ორი ძირითადი წოდება წარმოიშვა: სამხედრო წოდება და გადასახადების გამღები წოდება. პირველ წოდებაში, გარდა მსხვილი და წვრილი ფეოდალებისა, მოხვდნენ აგრეთვე შეძლებული გლეხებიც. რომელთაც ცხენები ჰყავდათ, ისინი სამხედრო სამსახურისათვის მეფისაგან ან მსხვილი ფეოდალისაგან ღებულობდნენ ფეოდს და არაფრით აღარ განსხვავდებოდნენ წვრილი რაინდებისაგან. ამ გარემოებამ გერმანია სხვა ფეოდალურ სახელმწიფოთაგან შნიშვნელოვნად განასხვა. არცერთ ფეოდალურ სახელმწიფოში იმდენი წვრილი რაინდი არ მოიპოვებოდა, რამდენიც გერმანიაში.

ჰენრიხ ფრინველთმჭერის დროს მიღებული ეს წესი შემდეგშიაც ძალაში რჩებოდა. რამდენადაც გერმანელი ფეოდალები ანეითარებდნენ ექსპანსიურ პოლიტიკას აღმოსავლეთ ევროპაში სლავთა ტომებისა და უნგრელების წინააღმდეგ, რამდენადაც მატულობდა მათი ლაშქრობანი სამხრეთით იტალიაში, მით უფრო გერმანელი წვრილი რაინდობის რაოდენობა თანდათან მატულობდა. რაინდობაში ახლა გადადიოდნენ ეგრეთ წოდებული მინისტერიალები—შინაყმები და სხვ., რომლებიც თავიანთ ბატონებს დამხმარეებად ომში მიჰყვებოდნენ. წარმოშობის თვალსაზრისით მეთორმეტე საუკუნის გერმანიაში ჯერ კიდევ ანსხვავებდნენ ერთი მეორისაგან „კეთილშობილ“ რაინდს და „არაკეთილშობილს“ (Edelritter და Knechtritter) და მხოლოდ მეცამეტე საუკუნეში მოხდა მათი სრული გათანაბრება[1].

ისე, როგორც სამხედრო წოდება არ იყო ერთფეროვანი, გადასახადთა გამღები წოდებაც სხვადასხვა ფენისაგან შედგებოდა. ამ წოდებაში პირველყოვლისა თავისუფალი გლეხები შედიოდნენ, რომელთა ნაწილს თავის საკუთრებაში ჯერ კიდევ მოეპოვებოდა მიწები, ხოლო მეორე ნაწილმა დაკარგა თავისი საკუთრება და მოიჯარადრედ (ჩინშის გამღებად) იქცა. გლეხობის ორივე ეს ნაწილი მებეგარე, ღალის გამღები იყო, მაგრამ ფეოდალის სასამართლოს არ ემორჩილებოდა. გლეხობის უდიდესი ნაწილი მეთერთმეტე საუკუნეში ყმებს წარმოადგენდა. ეს ნაწილი არა მარტო ღალას გაიღებ-

---

[1] В. Ф. Семенов. История средних веков. 1956. გვ. 53.

და, არამედ იხდიდა ფეოდალურ ბეგარას, ემორჩილებოდა ფეოდალის სასამართლოს და მიმაგრებული იყო მიწაზე.

ასეთი გლეხების გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე, როგორც წესი, შეუძლებელი იყო. ყმა გლეხების მიწიდან მოცილება დაუშვებლად ითვლებოდა. მიწის გაყიდვა, ან საერთოდ გასხვისება მასზე მიმაგრებულ ყმებით ერთად უნდა მომხდარიყო. ფრანკონული დინასტიის პირველი წარმომადგენელი კონრად მეორე (1024—1039) აღშფოთებული იყო იმით, რომ ვერდენის საეპისკოპოსოში ყმები გაეყიდათ მიწების გარეშე. მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში გლეხობის დიდი უმრავლესობა მიწაზე მიმაგრებული და, მაშასადამე, დაყმევებული იყო.

რამდენადაც ძლიერდებოდა ფეოდალიზაცია და იგი თავის დასრულებულ სახეს პოულობდა, იმდენად ფეოდალური კლასის მიერ ძლიერდებოდა უშუალო მწარმოებელთა ექსპლოატაცია. რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა გლეხობაში და კლასობრივ ბრძოლებს ამწვავებდა. ერთ-ერთი ჟამთაღმწერელი მოგვითხრობს, რომ ბამბერგის ეპისკოპოსმა ეკონომიურად გაანადგურა მონასტრისადმი დაქვემდებარებული ყმა გლეხობა. მეორე ჟამთაღმწერელი ბრემენის ეპისკოპოსის ადალბერტის შესახებ აღნიშნავდა: „მან იმდენად შეავიწროვა გლეხობა, რომ სიგიჟემდე მიიყვანა“. ცნობილ მკვლევარს ვაიცს თავის შრომებში მნიშვნელოვანი რაოდენობით განხილული აქვს მეფეთა სიგელები, რომლებშიაც ისინი იძულებულნი არიან გააფრთხილონ მემამულეები იმის შესახებ, რომ ყმების ბეგარითა და ღალით უზომო გადატვირთვა კარგს არაფერს მოუტანთ მათ.

განაწამები გლეხობა კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ხერხს მიმართავდა. გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი გარბოდა დასახლებული ადგილებიდან მიუვალ ტყეებში, ქალაქებში და სხვ. ზოგან გლეხები პირდაპირ უარს აცხადებდნენ გადასახადების გაღებაზე. ტრირის მაქსიმიანეს სახელობის მონასტრის აბატი 1050 წელს სიგელში წერდა, რომ ვასერბილიხის მცხოვრებნი გადასახადის გაღების წინააღმდეგ წავიდნენო. მაინცმიუნსტერში აბატმა გლეხობის ზოგიერთი ვალდებულებანი გააუქმა, რადგან გლეხები მათ მაინც არ ასრულებდნენ და სხვ. გარდა პირდაპირი აჯანყებისა, გლეხობა ინდივიდუალურ ტერორსაც კი მიმართავდა. იმავე ვაიცის თქმით, 1103 წელს მარკგრაფი ჰენრიხი მოჰკლა ფრიზელმა გლეხმა. უფრო ადრე (1102 წ.) მსხვილი ფეოდალი ლუდვიგ მემპელგარდელი მოჰკლა მისმა ყმამ და ა. შ.

გლეხთა შეთქმულებებსა და აჯანყებებს გაბატონებული ფეოდალური კლასი ცეცხლითა და მახვილით ახშობდა. იგი ცდილობდა გლეხობა საბოლოო მორჩილებაში მოეყვანა, მაგრამ უშუალო მწარმოებელთა წინააღმდეგობის დათრგუნვა ყოველთვის ადვილ საქმეს არ წარმოადგენდა. გლეხთა საბოლოო დამორჩილება უფრო ძნელი ხდებოდა წვრილი ფეოდალებისათვის. ამ უკანასკნელთ ყმების დამორჩილების საქმეში დამხმარე ძალა სჭირდებოდათ ძლიერი სამეფო ხელისუფლების სახით. ამასთან ერთად წვრილი ფეოდალობა შურის თვალით უყურებდა მსხვილი ფეოდალების უფრო მეტად პრივილეგირებულ მდგომარეობას და რადგან მსხვილი ფეოდალები მიილტვოდნენ სამეფო ხელისუფლების შესუსტებისაკენ, ამიტომ პირველნი მზად იყვნენ, სამეფო ხელისუფლების დასაყრდენ სოციალურ ბაზად გადაქცეულიყვნენ.

საქსონური დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელნი გერმანიაში. ოტონ პირველის შვილი — ოტონ II და შვილიშვილი — ოტონ III განაგრძობდნენ ოტონ პირველის მიერ წამოწყებულ იტალიურ პოლიტიკას. ოტონ პირველის გარდაცვალების შემდეგ (973) გამეფდა მისი შვილი ოტონ მეორე. გამეფებისთანავე იგი მოემზადა სამხრეთ იტალიის დასაპყრობად. მან კიდეეაც შესძლო ნეაპოლისა და ტარენტის დაკავება. მაგრამ კალაბრიაში ბრძოლისას ბიზანტიელებმა და არაბებმა 982 წელს იგი სასტიკად დაამარცხეს. 983 წელს, როცა ოტონ მეორე კვლავ ეპზიდებოდა სამხრეთ-იტალიაში გასალაშქრებლად, რავენაში მოულოდნელად გარდაიცვალა.

ოტონ მეორის მმართველობის დროს გერმანიაში უფრო მეტად გაძლიერდნენ სასულიერო და საერო მსხვილი ფეოდალები, რომლებმაც გერმანიაში მეფის არყოფნით ისარგებლეს და იწყეს სამეფო ხელისუფლებისაგან განდგომა. ამგვარად, გერმანიის შინაგანი ვითარება დაძაბული აღმოჩნდა. შექმნა ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ პოლაბეთის სლავთა ტომები განთავისუფლებულიყვნენ გერმანელთა ბატონობისაგან. 983 წელს მოხდა მათი ძლავრი აჯანყება, რის შედეგადაც ის სლავები, რომელნიც მდინარე ლაბას (ელბას) შუაწელზე მოსახლეობდნენ, განთავისუფლდნენ გერმანელ დამპყრობელთაგან. ამავე წელს გერმანელთა ბატონობა დანიაში დანიელებმა დაამხეს და ქრისტიანული სარწმუნოება უკუაგდეს.

ოტონ მესამის მეფობა (983—1002) უფრო რთულ ვითარებაში წარიმართა. იგი სამი წლის ბავშვი იყო, როცა მეფედ აკურთხეს. მისი მეფობის პირველ ხანაში გერმანიის სამეფო ხელისუფლება მნიშვნელოვნად შესუსტდა. სამაგიეროდ, უფრო მეტად გაიზარდა მსხვილი ფეოდალების დამოუკიდებლობა. გარდა ამისა, მდგომარეობა

კვლავ გართულდა იმით, რომ პოლაბეთის სლავებმა, რომელიც 983 წელს აჯანყდნენ. გერმანელი ფეოდალები მთლიანად გარეკეს მდინარე ელბის მიღმა. ამით შეჩერებულ იქნა გერმანელების სვლა აღმოსავლეთში. გერმანელების „დრანგ ნახ ოსტენ“ გადადებულ იქნა, სულ ცოტა, საუკუნე ნახევრით.

სრული ასაკის ძიღწევის შემდეგ, როცა გერმანიის შინაგანი მდგომარეობა ნაწილობრივად გამოსწორდა, ოტონ მესამემ განუწყვეტლივ იწყო ოცნება ისეთი იმპერიის შექმნაზე, რომელიც მოიცავდა ქრისტიანულ დასავლეთს მთლიანად. მან რამდენიმეჯერ (996, 998, 1001) მოაწყო იტალიაში გალაშქრება, მაგრამ ყველა ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

საქსონური დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო მეფე ჰენრიხ მეორე (1002—1024). იგი გაცილებით უფრო ფრთხილ პოლიტიკას აწარმოებდა, ვიდრე მისი წინამორბედნი. ჰენრიხ მეორე კმაყოფილდებოდა იტალიის ფეოდალებისა და ზოგიერთი ქალაქების ვასალური დამოკიდებულებით და უფრო მეტად გერმანიაში იმყოფებოდა, რადგან სურდა გერმანელი მსხვილი ფეოდალების მორჩილებაში მოყვანა. განდგომილ ფეოდალებთან ბრძოლაში ის საეპისკოპოსო სისტემას ემყარებოდა, რის გამოც სასულიერო წოდებასა და ეკლესიას უხვად ასაჩუქრებდა და პრივილეგიებს ანიჭებდა.

აღმოსავლეთით ჰენრიხ მეორემ ბრძოლები აწარმოვა პოლონეთის წინააღმდეგ, მაგრამ ბოლესლავ პირველის დროს გაძლიერებულმა პოლონეთის სამეფომ იგი სასტიკად დაამარცხა. ომი დამთავრდა 1018 წელს (დაიწყო 1003 წ.) ბუდიშინის ზავით, რომლითაც ამიერიდან საზღვარი პოლონეთსა და „რომის საღმრთო იმპერიას“ შორის მდინარე სპრეევის (შპრეეს) დასავლეთით გადიოდა. ქალაქი ბუდიშინი პოლონეთის ტერიტორიაში შევიდა. ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე ჰენრიხ მეორე ბრძოლებს წამოიწყებდა პოლონეთის წინააღმდეგ, იმის შიშით, რომ ვილცებსა და ობოდრიტებს მისთვის ზურგიდან არ დაერტყათ, მათ დამოუკიდებლობა დაუმკვიდრა და დაკმაყოფილდა მათგან უმნიშვნელო ხარკის გაღებით. ჰენრიხ მეორის გარდაცვალებით დამთავრდა საქსონური დინასტიის ბატონობა.

გერმანიის პოლიტიკური ვითარება კონრად მეორისა და ჰენრიხ მესამის მმართველობის ხანაში. 1024—1125 წლებში გერმანიაა მართავდა ფრანკონული დინასტია. მისი პირველი წარმომადგენელი იყო კონრად მეორე (1024—1039). როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქსონური დინასტია თავის საქმიანობაში, პირველყოვლისა, სასულიერო ფეოდალობასა და ეკლესიას ემყარებოდა. სასულიერო ფეოდალები

ოტონ პირველისაგან უხვად ღებულობდნენ მიწებსა და სარგებლობ-დნენ სხვადასხვა პრივილეგიებით. კონრად მეორის გამეფებისას ისინი ადვილად გაძლიერდნენ. რომ საშიში გახდნენ სამეფო ხელისუფლებისათვის. ახლა მათზე სამეფო ხელისუფლების დაყრდნობა საეჭვო საქმედ გადაიქცა. გერმანიაში მსხვილი სასულიერო ფეოდალები განდგომას იწყებდნენ, ხოლო იტალიის მსხვილი ფეოდალები, როგორც ნოეპრიანებოდათ, ისე ექცეოდნენ იმპერატორის მიერ დანიშნულ პაპებს.

კონრად მეორემ გადასწყვიტა თავის დასაყრდენ ბაზად ახლა წვრილი რაინდობა გადაექცია. მან მოითხოვა სამხედრო სამსახური იმ რაინდებისაგანაც, რომელნიც მის უშუალო ვასალებს არ წარმოადგენდნენ. წვრილი რაინდობის გულის მოსაგებად და მათი თავის მხარეზე გადასაყვანად მან ჯერ (1037 წ.) იტალიისათვის გამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც წვრილი რაინდობის (ვასალსორების) ლენები სამემკვიდრეოდ იყო გამოცხადებული. ამ კანონით კონრად მეორემ თავის გარშემო მართლაც დარაზმა იტალიის წვრილი რაინდობა იტალიის მსხვილი ფეოდალების (კაპიტანების) წინააღმდეგ.

შემდეგში იგივე კანონი გავრცელდა გერმანიის წვრილ რაინდობაზეც. ამით ახლა შესაძლებელი გახდა გერმანიაში მსხვილი განდგომილი ფეოდალების დათრგუნვა. გერმანიაში ჰერცოგობის მემკვიდრეობითობა მოისპო და მის ადგილას მეფის მიერ ჰერცოგების დანიშვნა შემოვიდა პრაქტიკაში. ასეთ ღონისძიებათა გატარებით კონრად მეორემ საკმარისად გააძლიერა სამეფო ხელისუფლება. გერმანიაში მყარი პოლიტიკური სიტუაციის დამყარებამ შესაძლებლობა მისცა კონრად მეორეს აქტიური საგარეო პოლიტიკაც ეწარმოებინა.

კონრად მეორემ მთელი რიგი ომები ჩაატარა სხვადასხვა მიმართულებით. მან 1030 წელს გაილაშქრა უნგრეთზე. 1032 წლიდან 1035 წლამდე ის ბრძოლას აწარმოებდა ლიუტიჩების წინააღმდეგ. მისი პირველი გალაშქრება იტალიაში დაიწყო 1026 წელს და დამთავრდა 1029 წელს. მეორე გალაშქრება გრძელდებოდა 1037—38 წლებში. კონრად მეორის მეფობის დროს (1032 წ.) მოხდა ბურგუნდიის სამეფოს[1] შემოერთება. ამგვარად, იმპერატორების ხელისუფლება გერმანიაში განმტკიცდა და გერმანიის ავტორიტეტი იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობაში გაიზარდა.

---

[1] სონასა და რონას აუზში, მეხუთე საუკუნეში, წარმოიშვა ბურგუნდიის სამეფო, რომელიც მეექვსე საუკუნეში ფრანკებმა დაიპყრეს.

კონრად მეორის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი ჰენრიხ III შავი (1039—1056). იგი თავის წინამორბედთა პოლიტიკას განაგრძობდა რომის პაპებზე გავლენის მოსაპოვებლად. მის დროს რომის ფეოდალები კვლავ ცდილობდნენ პაპის ტახტზე თავისი კანდიდატები ჰყოლოდათ. ერთხანად მათ პაპის სამი კანდიდატურა წამოაყენეს. ერთი მათგანი სულ ათი წლისა იყო, რომ პაპი გახდა. საერთოდ, ამ დროს პაპების ავტორიტეტი მოსახლეობაში ძალზე დაეცა. ჰენრიხ მესამე ცდილობდა გაეძლიერებინა პაპები და ისინი თავისი გავლენის ქვეშ ჰყოლოდა. მან ამ მიზნით 1046—47 წ. მოაწყო იტალიაში გალაშქრება, სამივე პაპი გადააყენა და პაპად გერმანელი ეპისკოპოსი დანიშნა. ამის შემდეგაც ის პაპებად გერმანელებს ნიშნავდა.

გავლენიანი და ძლიერი პაპების თავის მორჩილებაში ყოფნის აზრმა ჰენრიხ მესამე იმდენად გაიტაცა, რომ მან დროზე ვერ შენიშნა ის საშიშროება, რომელიც გაძლიერებული პაპებისაგან იმპერატორის ხელისუფლებას ემუქრებოდა. მის მიერ პაპად დანიშნული ლეონ IX კლუნიერი მოძრაობის ფანატიკური მომხრე იყო, ხოლო კლუნიური მოძრაობის უკიდურესი მიმდინარეობა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სასულიერო ანუ პაპის ძალა-უფლებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე საერო ხელისუფლებას.

„კლუნიური მოძრაობა“ და მისი რაობა. ამ მოძრაობის სახელწოდება ბენედიქტიანური მონასტრის — კლუნის სახელიდანაა წარმომდგარი. კლუნის მონასტერი დააარსა აკვიტანიის ჰერცოგმა 910 წელს საფრანგეთის ბურგუნდიაში, სადაც აღნიშნული მოძრაობა დაიწყო. ეს მონასტერი მალე მსხვილ ფეოდალურ მიწათმფლობელად გადაიქცა. მისმა ეკონომიურმა სიძლიერემ კლუნის მონასტრის გავლენა სხვა მონასტრებზედაც გაავრცელა. მეთერთმეტე საუკუნის შუალედში მისი მეთაურობით დაარსდა მონასტრების კონგრეგაცია (გაერთიანება), რომელმაც ასობით მონასტერი გააერთიანა საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში და ინგლისშიაც კი, და მათში ახალი წესები შემოიღო.

ადრინდელი ფეოდალური ეპოქის მიწურულში მონასტრებმა დიდი რაოდენობით საეკლესიო მიწები ჩაიგდეს ხელში. მონასტრების მამულები საერო ფეოდალების მამულებთან შედარებით უფრო ორგანიზებულნი აღმოჩნდნენ. ბერების დახმარებით უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაცია ამ მამულებში უფრო მკაცრი ხასიათის მატარებელი იყო, რაც თვალსაჩინოდ ადასტურებს გლეხთა ხშირი აჯანყება სხვადასხვა საეპისკოპოსოში. მონასტრების დიდი დოვლათის დაგროვებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ბერე-

ბი, როგორც შაკი საეკლესიოების წარმოადგენელნი, თავიანთ ოჯახებს არ ქმნიდნენ და მონასტრის ქონებაც ისე არ ნიავდებოდა. ბონასტერში ჭარბად დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ხოლო მეორე მხრით მონასტრების ბოთხოვნილება ისეთ საგნებზე, რომელთა დამზადება საკუთარ მეურნეობაში არ ხერხდებოდა, მონასტრებს ადრევე ბაზრებთან აკავშირებდა და მარტივ სასაქონლო მეურნეობაში აბამდა.

ვაჭრობითა და აღებ-მიცემობით დაინტერესებული მონასტრები ცდილობდნენ ვაჭრობისათვის ხელისშეწყობას. სავაჭრო გზების დაცვას ფეოდალ-მტაცებლების თავდასხმისაგან და სავაჭრო კავშირის განმტკიცებას სხვადასხვა ადგილებთან. გარდა ამისა, ფეოდალური ანარქიულობის პირობებში ფეოდალ-მტაცებლები უფრო მეტად მონასტრებს ესხმოდნენ თავს, რის გამოც კლუნიური მოძრაობის მონაწილენი აქტივობას იჩენდნენ ფეოდალური შინა არეულობის შენელების საქმეში „ღვთისა" და „ღვთისა" დროებითი დაზავების" შემოღებით. კლუნიური მოძრაობის ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო იყო, რომ დაქუცმაცებულ ფეოდალურ ევროპაში შექმნილიყო ისეთი მძლავრი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც ადვილად შესძლებდა წინააღმდეგობათა გადალახვას.

ერთის შეხედვით, თითქოს მაშინდელი კათოლიკური ეკლესია, ფეოდალურ სამყაროში მძლავრ ორგანიზაციას წარმოადგენდა თითქმის ევროპის ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში საუკეთესო მიწებისა და მამულების მფლობელი ეკლესია იყო. ქრისტიანობა გავრცელებული იყო გარდა ინგლისისა, გერმანიისა, საფრანგეთისა და იტალიისა, ჩრდილოეთით—სკანდინავიის ქვეყნებში, სამხრეთით — ჩრდილო აფრიკაში, დასავლეთით — ესპანეთში, აღმოსავლეთით — კიევის რუსეთში და ბიზანტიაში, მცირე აზიის მიმართულებით საქართველოსა და სომხეთში. ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე თუ რომის პაპის ძალაუფლება არა, ყოველ შემთხვევაში, მისი გარკვეული გავლენა მაინც იგრძნობოდა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, კათოლიკურ ეკლესიას მაშინ არც თუ ისე მყარი საფუძვლები გააჩნდა. ჯერ ერთი, რომ ფეოდალიზაციის პროცესების გაძლიერებასთან ერთად ეპისკოპოსები, აბატები და სხვ. თავიანთ სამფლობელოებს დამოუკიდებლად ხდიდნენ და თვითონ პაპებს აღარ ემორჩილებოდნენ, რის გამოც ეკლესიის იერარქიული სტრუქტურა სუსტდებოდა; ამასთან ერთად გერმანიაში ოტონების მიერ საეპისკოპატო სისტემის შემოღებით მოხდა ეკლესიის და საერო ხელისუფლების ისეთი შერწყმა, რომელმაც

პირველი მეორეს დაუმორჩილა. მაღალი სასულიერო წოდების თანამდებობაზე დანიშვნის უფლება პაპს ხელიდან გამოეცალა და მეფეს დაექვემდებარა: ყველა ზემოხსენებულმა გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი ეკლესიის შიგნით დისციპლინის საბოლოო რღვევას.

თვით რომის პაპები XI საუკუნეში დაკნინდნენ და გადაგვარების გზას დაადგნენ. მიუხედავად იმისა, რომ რომის პაპის დახმარებით ვილჰელმმა მოახერხა ინგლისის დაპყრობა, იგი აღარავითარ ანგარიშს არ უწევდა რომის პაპს და ცდილობდა ინგლისის ეკლესია მთლიანად პაპისაგან მოეწყვიტა. გერმანიის იმპერატორები რომის პაპებს თვითონ ხსნიდნენ და ნიშნავდნენ და ხშირად პაპის ისეთ კანდიდატებს აყენებდნენ, რომელთაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ ეკლესიასთან არც ცოდნა-მომზადების მხრივ, არც ასაკის მხრივ, არც მორალური თვალსაზრისით და ა. შ.

სასულიერო წოდების უვიცობამ, უხეშობამ და გარყვნილმა ყოფა-ცხოვრებამ მოსახლეობაში ეკლესიის ავტორიტეტი საშინლად დასცა. ამას არა ნაკლებ ხელს უწყობდა ეკლესიის პრაქტიკაში შემოღებული ეგრეთ წოდებული ინვესტიტურა. ძველად არსებული საეკლესიო წესების მიხედვით, ეპისკოპოსები თავისუფლად უნდა აერჩიათ დიოცეზის სასულიერო წოდებასა და მრევლს. XI საუკუნის გერმანიაში და იტალიაში ეპისკოპოსთა ასეთი არჩევა ფაქტიურად აღარ ხდებოდა. ვინმე ეპისკოპოსად რომ გამხდარიყო, გარკვეული თანხა უნდა მიეცა მეფისათვის და ნის წინაშე ერთგულების ფიცი უნდა დაედო. ამგვარად, ეპისკოპოსის, აბატის და სხვ. თანამდებობა მეფის ხელში უნდა გადაქცეულიყო სავაჭრო ობიექტად. საეკლესიო თანამდებობათა გაყიდვას კლუნიური მოძრაობის მონაწილენი „სიმონიას" უწოდებდნენ (ლეგენდის მიხედვით სიმონ-მოგვმა სთხოვა ქრისტეს მოციქულებს მიეყიდათ მისთვის სასწაულთქმედობის ძალა).

საერო ხელისუფლების მიერ ინვესტიტურის გაცემა ნიშნავდა იმას, რომ ეპისკოპოსები და აბატები დამოკიდებულნი იყვნენ არა ერთ მთლიან სასულიერო ხელისუფლებაზე, არამედ სხვადასხვა მეფეებზე და საერო ხელისუფლების პირებზე. ივიწყებდნენ რა თავიანთ ღირსებასა და ხარისხს, ეპისკოპოსები და აბატები სასულიერო წოდებიდან საერო მოხელეებად იქცეოდნენ, ისინი სტოვებდნენ თავიანთ სამწყსოს და უახლოვდებოდნენ სამეფო კარს, ეწეოდნენ საერო ყოფაცხოვრებას და ინვესტიტურის მიღების შემდეგ უფრო მეტად დაინტერესებულნი იყვნენ საერო საქმიანობაში წარ-

მატების მოპოვებით, დიდი შემოსავლითა და ჯილდოებით, ვიდრე საეკლესიო საქმეებით.

კლუნიური მოძრაობის პირველები მოითხოვდნენ აგრეთვე ეგრეთ წოდებულ „ცელიბატის“ დაცვას არა მარტო შავ სამღვდელოებაში, არამედ მთელ სასულიერო წოდებაში. სამღვდელოებაში უცოლობის წესი დამკვიდრდა ჯერ კიდევ IV საუკუნეში (ელვირის საეკლესიო კრება). გრიგოლ VII-ის პონტიფიკატამდე (რომის პაპის ხელისუფლება) ცოლიანობის აკრძალვას სასულიერო წოდებაში ხშირად ჰქონდა ადგილი, თუმცა პრაქტიკაში მისი განხორციელება ხვდებოდა დიდ წინააღმდეგობებს. ცელიბატის დაცვა საჭირო იყო იმისათვის, რომ ცოლშვილიანი სასულიერო წოდების წარმომადგენელნი ყოველთვის ცდილობდნენ საეკლესიო ქონების (იქნებოდა ეს მოძრავი, თუ უძრავი) მოვისებასა და შემდეგ მის მემკვიდრეობით გადაცემას თავისიანებზე. ცოლშვილიანი ღვთისმსახური ივიწყებდა ასკეტიზმსა და ფუფუნებას მისდევდა, რაც აგრეთვე სცემდა ეკლესიის ავტორიტეტს ფართო მოსახლეობაში.

მილანში და ჩრდილო-იტალიის ზოგიერთ ქალაქში კლუნიური მოძრაობის ზეგავლენით, მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო მასების გამოსვლები მსხვილი ფეოდალების—კაპიტანებისა და ლომბარდიის მდიდარი სასულიერო წოდების წინააღმდეგ. გამოსვლებს ხელმძღვანელობდნენ: არიალდი და ლანდულფი, რომელნიც მოითხოვდნენ სიმონიის აღკვეთასა და სასულიერო პირთა ცოლიანობის აკრძალვას. ლანდულფის მოქმედების შესახებ „მილანის არქიეპისკოპოსთა მოღვაწეობის“ ავტორი არნულფი წერდა: „ერთ დიდად საზეიმო დღეს ის ბაზრიდან წამოყვანილ ბრბოთი ეკლესიაში გამოცხადდა, ღვთის მსახურნი ყველა გარეკა და იწყო მათი დევნა ჩიხებსა და სხვა ადგილებში, სადაც მათ თავი შეაფარეს. ამის შემდეგ ის ოფიციალურად შეეცადა იმაზე, რათა ხელი მოეწერათ უცოლობის დოკუმენტზე, რომელიც, მიუხედავად საეკლესიო კანონებისა, შედგენილი იყო სამოქალაქო წესების საფუძველზე. ამ დოკუმენტზე, ლანდულფისა და სხვა მოქალაქეების იძულებით, თავიანთი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, ხელს აწერენ მილანის დიოცეზის ყველა ხარისხის მქონე ღვთისმსახურნი“.

ეს მოძრაობა, რომელიც ცნობილი გახდა პატარიას სახელწოდებით (სახელწოდება აღებულია მილანის იმ კვარტალის სახელიდან, სადაც ღარიბები და მეძველენი ცხოვრობდნენ), თავდაპირველად ასტიში და პავიაში დაიწყო, საიდანაც გერმანიის იმპერატორის მიერ დანიშნული ეპისკოპოსები განდევნეს, აქედან მოძრაობა სხვა მხარეებშიაც გავრცელდა, ხოლო მოძრაობის ცენტრად მილანი გა-

ლაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ პატარიის წინააღმდეგ გერმანიის ხელისუფალნი მოქმედებდნენ, მოძრაობამ გაიმარჯვა პაპა გრიგოლ VII მხარდაჭერით.

ამგვარად, კლუნიურმა მოძრაობამ, რომელიც მიზნად ისახავდა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტის აღდგენასა და რომის პაპების ხელისუფლების გაძლიერებას, ჩაატარა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი კათოლიკური ეკლესიის გარდაქმნის საქმეში. ეს ღონისძიებანი გულისხმობდა შემდეგს: მონასტერთა ცენტრალიზებული კონგრეგაციის შექმნას, მასში მკაცრი წესდების შემოღებას, რომელიც დამყარებული უნდა ყოფილიყო მორჩილებასა და ასკეტიზმზე, სასულიერო წოდებაში უცოლობის (ცელიბატის) დაცვაზე კონტროლის დაწესებას; საეკლესიო თანამდებობით ვაჭრობის (სიმონიის) აკრძალვას და კარდინალების კოლეგიის მიერ პაპების არჩევის ასეთი წესის შემოღებას, რომელიც უზრუნველყოფდა იმპერატორების ამ საქმეში ჩაურევლობას.

ჯერ კიდევ 1059 წელს ლატერანის საეკლესიო კრებაზე რომში პაპმა ნიკოლოზ მეორემ გამოაცხადა პაპების არჩევის ახალი წესის დეკრეტი. ამ დოკუმენტის მიხედვით, პაპი უნდა აერჩია კარდინალების კოლეგიას. მეხუთე მუხლში ნათქვამია: „იმათ პაპი უნდა აირჩიონ ამავე ეკლესიის შემადგენლობიდან, თუ აღმოჩნდება მასში ღირსეული პიროვნება და თუ ასეთი ჯასში არ აღმოჩნდება, მაშინ სხვა ეკლესიიდან". ყველა ის, ვინც პაპობის ულირსი იქნება და სიმონიის, ანუ ინვესტიტურის ბოროტებით პაპი გახდება „...ის ყველას მიერ უნდა ჩაითვალოს არა პაპად, არამედ ეშმაკად" და „ანათემას" უნდა მიეცეს, ე. ი. შეირისხოს.

კლუნიური მოძრაობის მემარცხენე ფრთა არ კმაყოფილდებოდა მარტო იმით, რომ საერო ხელისუფლება, მეფეების, ან იმპერატორების სახით, ჩამოეშორებინა პაპების დანიშვნის უფლებისაგან. იგი უფრო შორსაც მიდიოდა. ემყარებოდა რა იმ დევიზს, რომ ღმერთია ყველაფერი როგორც ცაში, ისე დედამიწაზე და, რომ ღვთის მოადგილე ამ ქვეყნად პაპია, ეს მიმდინარეობა გულისხმობდა, რომ პაპი უფრო მაღლა დგას საერო ხელისუფლებაზე (მეფეზე, იმპერატორზე), როგორც „სული სხეულზე". მაშასადამე, პაპები კი არ უნდა ემორჩილებოდნენ მეფეებს, პირიქით, მეფე პაპის ვასალი უნდა იყოს, ხოლო მეორე — პირველის სენიორი.

პაპი გრიგოლ VII (ჰილდებრანდი). კლუნიური მოძრაობის რადიკალური მიმდინარეობის გამოჩენილი მოღვაწე იყო კლუნის ბერი ჰილდებრანდი (ცხოვრობდა 1020—1085 წწ.) ჰილდებრანდი წარმოშობით იტალიელი იყო (ტოსკანიდან). მან განვლო მკაცრი

ასკეტიზმის სკოლა და კლუნიური მოძრაობის ყველაზე რადიკალური იდეები გაიზიარა. შემდეგ დაწინაურდა და 25 წლის განმავლობაში წამყვანი ადგილი ეკავა პაპის კურიაში. აქ მან დაიწყო მოღვაწეობა პაპა ლეონ IX-ის დროს და თავის გავლენას ახდენდა შემდგომ ორი პაპის მმართველობაზეც და, ბოლოს, ის თვითონ გახდა პაპად (1073—1085) გრიგოლ VII-ის სახელწოდებით.

ჰილდებრანდი თავიდანვე ამჟღავნებდა დიდ ნებისყოფას, მოქნილ დიპლომატობას და ჯიუტურ ფანატიზმს. ამავე დროს ის იყო მძაფრი ადამიანი, რომელსაც არავითარ დათმობაზე წასვლა არ უყვარდა. იგი ამპარტავნულად ყველაზე მაღლა აყენებდა პაპის ხელისუფლებას და თვლიდა, რომ პაპებს შეუძლიათ ყველა მეფეთა გადაყენება იმ დროს, როცა პაპის გასამართლება არ უნდა მომხდარიყო ამ ქვეყნიური ძალების მიერ. პაპის ეგრეთ წოდებულ „დიქტატის“ მე-9 მუხლში სიტყვა-სიტყვით ნათქვამი იყო: „ყველა თავადი ფეხებზე ეამბორება მარტო პაპს“. ამავე „დიქტატის“ მე-12 მუხლში ვკითხულობთ: „პაპს შეუძლია იმპერატორების გადაყენება“. მაშასადამე, ყველა მეფენი რომის პაპის ხელმძღვანელობისათვის მორჩილნი უნდა ყოფილიყვნენ.

თავისი მიზნების განსახორციელებლად ჰილდებრანდმა მოხერხებული მომენტი შეარჩია. ჰენრიხ მეოთხე (1056—1106) ექვსი წლისა იყო რომ გაჩეფდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჰენრიხის გამეფების სამი წლის თავზე (1059 წ.) პაპმა ნიკოლოზ მეორემ ჰილდებრანდის უშუალო კარნახით პაპების არჩევის ახალი წესი გამოაცხადა, რომლის მიხედვითაც იმპერატორებმა დაკარგეს თავიანთი უფლებები პაპების დანიშვნის საქმეში. უფრო ადრე (1056 წ.), თავისი პოზიციები რომ განემტკიცებინა და მოესპო თავისი მძლავრი მოწინააღმდეგე, მილანის არქიეპისკოპოსი, ჰილდებრანდმა დემაგოგიურად მხარი დაუჭირა პატარიის მოძრაობას. იმპერატორის ხელისუფლების წინააღმდეგ გასალაშქრებლად მან თავის მხარეზე გადმოიბირა სამხრეთ იტალიის ნორმანების ხელმძღვანელი რობერტ გიუსკარი, რომელსაც აპულიისა და კალაბრიის ჰერცოგობა უბოძა.

კათოლიკური ეკლესიის განსამტკიცებლად და პაპის ხელისუფლების გაძლიერების მიზნით გრიგოლ VII-ემ მეორე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებაც მოასწრო. მან საბოლოოდ დაადგინა ცელიბატის შემოღება არა მარტო შავი სამღვდელოებისათვის, არამედ თეთრისათვისაც, ე. ი. ყველა მღვდლისთვის ეპისკოპოსების ჩათვლით. ვიდრე ჰენრიხ IV მცირეწლოვანი იყო, სამეფო ხელისუფლებამ ამ ორი ძირითადი ღონისძიების გატარებას ვერ შეუშალა

ველი, მაგრამ, როცა გრიგოლ მეშვიდემ მოისურვა და კიდეც გამოიტანა დადგენილება (1075 წ.) ინვესტიტურის გაუქმების შესახებ (ჰენრიხი ამ დროს 25 წლისა იყო), ინვესტიტურის საკითხის გარშემო გაშმაგებული ბრძოლა დაიწყო პაპსა და გერმანიის სამეფო ხელისუფლებას შორის.

საქსონიის აჯანყება. მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიტურის გაუქმების შესახებ გამოტანილი დადგენილების დროს ჰენრიხ IV სრულასაკოვანი იყო და შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა ამ დადგენილებისათვის, მაინც გრიგოლ VII-ის მიერ დადგენილების გამოტანისათვის შერჩეული წელი (1075) ხელსაყრელი იყო, რადგან ამ ხანებისათვის ჰენრიხის წინააღმდეგ დაიწყო საქსონიის მძლავრი აჯანყება (1073—1075), რომელიც გამოწვეული იყო ჰენრიხის საშინაო პოლიტიკით.

ჰენრიხ მეოთხემ დაიწყო დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება 1065 წლიდან. იგი თავიდანვე შეუდგა თავისი მამის, ჰენრიხ მესამის პოლიტიკის გაგრძელებას მსხვილი ფეოდალების თვითნებობის აღკვეთის საქმეში და კონრად II-ის მსგავსად დასაყრდენად გამოიყენა ნაცადი წვრილი რაინდობა. ჰენრიხ მეოთხე თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებულ ადამიანად ითვლებოდა. ამასთან ერთად ნიჭიერი მხედართმთავარი და დიპლომატი იყო. ამაყსა და თავმოყვარე ახალგაზრდა მეფეს, როდესაც საჭირო იყო, მოხერხებულად შეეძლო თავის მოკატუნება და ფარული მზადება მოწინააღმდეგესთან გადამწყვეტი შებმისათვის. მან თავისი ეს უნარი სავსებით გამოაჩენა საქსონიის დამორჩილებისათვის ბრძოლაში.

საქსონიის მსხვილი საერო და სასულიერო ფეოდალები დამოუკიდებლად თვლიდნენ თავიანთ თავს და მტრულადაც კი იყვნენ განწყობილნი სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ჰენრიხმა საქსონიაში მსხვილ ფეოდალებს ძალით ჩამოართვა მათ მიერ მიტაცებული სამეფო მიწები და მათი დათრგუნვის მიზნით დასავლეთ საქსონიაში იწყო საიმპერატორო კოშკების აგება. საიმპერატორო მამულების რაოდენობა საქსონიაში თანდათან გაიზარდა ისე, რომ XI საუკუნის ბოლოსათვის იმპერატორს საქსონიაში არანაკლები რაოდენობით ჰქონდა მამულები, ვიდრე საკუთარ დომენში, ფრანკონიაში. გარდა ამისა, ჰენრიხის განკარგულებაში აღმოჩნდა საქსონიის ტყეები. მეფის მამულებში მომუშავე მოხელეები ავიწროვებდნენ საქსონიის გლეხობას და არ აძლევდნენ მათ შესაძლებლობას ჩვეულებისამებრ ესარგებლათ სათემო ტყეებით და საძოვრებით. ამასთან ერთად საქსონიის გლეხობის თავისუფალ ნაწილს შეაწერეს დამატებითი გადასახადები.

ამგვარად, ჰენრიხ IV-ის სამეფო ხელისუფლების გაძლიერებით, საქსონიაში უკმაყოფილო დარჩა არა მარტო მსხვილი ფეოდალობა, არამედ გლეხობაც. ამან 1073 წელს გამოიწვია მძლავრი აჯანყება. რომელშიაც, ერთ ხანს, მონაწილეობას ღებულობდა საქსონიის თითქმის მთელი საზოგადოებრიობა. აჯანყებულები სწვავდნენ და ანადგურებდნენ საიმპერატორო კოშკებსა და მამულებს. მათ შეწყვიტეს გადასახადების გაღება და ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულება. აჯანყებამ ისეთი ფართო და მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ჰენრიხ მეოთხე იძულებული გახდა საქსონიიდან გაქცეულიყო, რათა აჯანყებულებს ტყვედ არ ჩავარდნოდა ხელში.

მაგრამ შემდეგში საქსონიის აჯანყების გამძაფრებამ დააშინა არა მარტო იმპერატორი, არამედ საქსონიის მსხვილი ფეოდალებიც, და თუ ისინი აჯანყების დაწყებისას ერთგვარ აქტივობას იჩენდნენ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ახლა, პირიქით, იწყებენ მასთან დაახლოებას და შევაჭრებას დათმობების თაობაზე. ჰენრიხ IV-ემ მოხერხებულად გაითვალისწინა საქსონიის დიდებულთა ახლანდელი განწყობილება და 1075 წელს დიდძალი ჯარით ხელახლა შეიჭრა საქსონიაში. ამავე წლის 9 ივნისს ჯერ თავს დაესხა მოწინააღმდეგის იმ ნაწილს, რომელიც უმთავრესად გლეხებისაგან შედგებოდა და გაანადგურა ლანგეზაცთან. ხოლო შემდეგ მან დაამარცხა აგრეთვე მსხვილი ფეოდალებიც. მთელი საქსონიის მხარე ჯარებმა აოხრეს. მაგრამ საქსონიის დიდებულებთან მეფემ მაინც ვერ გამონახა საერთო ენა. დიდებულები ერთხანად მორჩილებაში აღმოჩნდნენ, მაგრამ, მაინც მოელოდნენ თავიანთთვის ხელსაყრელ მომენტს.

ბრძოლა ჰენრიხ IV-სა და გრიგოლ VII-ეს შორის. საქსონიის აჯანყების ჩახშობის შემდეგ საქსონიის ეპისკოპოსებმა, რომელნიც ის-ის იყო დაემორჩილნენ ჰენრიხ მეოთხეს, ამ უკანასკნელზე საჩივარი აღძრეს პაპის წინაშე. გრიგოლ VII-ემ იმპერატორს მოსთხოვა, რათა საქმე განეხილათ საეკლესიო კრებაზე პაპის თანდასწრებით, რაზედაც უარი მიიღო. ამასთან ჰენრიხ მეოთხემ, პაპის მიერ ინვესტიტურის გაუქმების შესახებ გამოტანილ დადგენილების საწინააღმდეგოდ, რამდენიმე პირი დანიშნა ეპისკოპოსებად ვაკანტურ ადგილებზე. ამის საპასუხოდ გრიგოლ VII-ემ, თავის მხრივ, 1075 წლის დეკემბერში იმპერატორს მუქარით აღსავსე წერილი გაუგზავნა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ჰენრიხმა 1076 წლის იანვარში ვორმსში საეკლესიო კრება მოიწვია და ამ კრებაზე გრიგოლ VII პაპობიდან გადაყენებულად გამოაცხადა.

ვორმსის საეკლესიო კრების მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მეფემ გრიგოლ VII-ს ლანძღვის წერილი გაუგზავნა შემდეგი მისამართით „ჰილდებრანდს, ამჟამად უკვე არა პაპს, არამედ ცრუ-ბერს". ამ წერილში მეფე აღშფოთებით წერდა: „შენ ჯერ უგუნური თავხედობით შეურაცხყოფილი პატივი მოგაცალ, რომელიც მე მეკუთვნოდა პაპის ტახტისაგან; ხოლო შემდეგ უფრო შორსაც წახვედი და ულირსი ხრიკებით შეეცადე ჩემგან იტალიის გვირგვინის ჩამოცილებას". წერილი თავდებოდა შემდეგი მიმართვით: „ჩვენ, ღვთის წყალობით კურთხეული მეფე ჰენრიხი, ყველა ჩვენი ეპისკოპოსებით გეუბნებით შენ — ჩქარა ჩამოხტი! ჩქარა ჩამოხტი!"

ჰენრიხ მეოთხე სასტიკად შეცდა. მან მოახდინა თავისი ძალების გადაფასება. გრიგოლ VII სრულებითაც ვერ დააშინა მეფის მუქარამ. თავის მხრივ პაპმა ლატერანის ტაძარში საეკლესიო კრება მოიწვია 1076 წლის თებერვალში და ჰენრიხ IV გადაყენებულად და ეკლესიისაგან განკვეთილად გამოაცხადა. ამასთან გერმანიის მსხვილ ფეოდალებს მოუწოდა, რომ ისინი აღარ დამორჩილებოდნენ უკანონოდ ცნობილ მეფეს. რადგან ისინი მეფის წინაშე დადებულ ერთგულების ფიცისაგან თავისუფალნი არიან. რომ მსხვილ ფეოდალებს უფრო ენერგიულად დაეწყოთ მეფის წინააღმდეგ ამბოხება და ეჭვი არ შეპაროდათ პაპის გადაწყვეტილების სისწორეში, პაპმა ახსნა-განმარტებითი წერილი გაუგზავნა მათ, რომელშიაც მოტანილი იყო ჰენრიხ მეოთხის გადაყენების მოტივები.

პაპის მიერ გატარებულმა ღონისძიებამ გასჭრა. პაპის მოწოდება ნიშანი გახდა იმისათვის, რომ გერმანიაში დაწყებულიყო მსხვილი ფეოდალების მოძრაობა ჰენრიხი. წინააღმდეგ. 1076 წ. ოქტომბერში ქალაქ ტრიბურში ბოიერებისა და პრელატების კრება იქნა მოწვეული. სადაც დადგინდა, რომ მეფე გადაყენებული უნდა იქნეს მანამდე, ვიდრე ის არ შეურიგდება რომის პაპს და პატიებას არ მოიპოვებს. ამასთან ერთად, კრებამ ჰენრიხისაგან კატეგორიულად მოითხოვა პაპთან შერიგება არა უგვიანეს 1077 წლის თებერვლისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰენრიხი უნდა საბოლოოდ გადამდგარიყო.

ტრიბურის კრების მიერ დადგენილი ეს ვადა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. ასეთ რთულ პირობებში ჩავარდნილმა მეფემ გადასწყვიტა მოსაჩვენებლად ალბერ წასულიყო რომში და პაპს შეერიგებოდა. 1077 წლის იანვარში, ცოლ-ქალით ალპებს წავიდა, იტალიისაკენ, მაგრამ, როგორც ანალების ავტორი, ლამბერტ გერსფელდე-

ლი აღნიშნავს. იტალიისაკენ მიმავალი გზების გასასვლელები ჰერ-ცოგებმა რუდოლფ ველფმა და ბერტოლდმა ჩაკეტეს იმ მიზ-ნით, რათა ხელი შეეშალათ იმპერატორისათვის იტალიაში გადა-სულიყო. ამგვარად, ჰენრიხი იძულებული გახდა ბურგუნდიის მიმართულებით წასულიყო. ის ცინისში (ახლანდელი—მონ-სენი) მივიდა, სადაც მას დახვდნენ სიდედრი და მისი შვილი ამედეი. ეს უკანასკნელნი მეფეს კარგად გაუმასპინძლდნენ, მაგრამ საფასურად იმისა, რომ მეფეს თავისი ამალით გაატარებდნენ თავიანთ სამფლო-ბელოს ტერიტორიაზე, უკანასკნელს მოსთხოვეს იტალიაში ხუთი საეპისკოპოსო.

მოლაპარაკებაში დიდი დროისა და ენერგიის დახარჯვის შემ-დეგ, ჰენრიხი თავის მოყვრებს დასთანხმდა იმაში, რომ საფასურად მათ გადასცემდა ბურგუნდიის ერთ-ერთ პროვინციას, რომელიც კარგი შემოსავლის მომცემი იყო. დიდის ვაივაგლახითა და წვალე-ბით მეფის ამალამ გადალახა თოვლიანი მთები და იტალიაში შევი-და. პაპს ეგონა, რომ მეფე მიდიოდა მის საწინააღმდეგოდ, ამიტომ ის კანოსია ციხე-სიმაგრეში ჩაკეტა, რომელიც მარკგრაფის ქვრივს გრიგოლ VII მეგობარს, მატილდას ეკუთვნოდა. ჰენრიხ მეოთხე კა-ნოსაში გამოცხადდა იანვრის სუსხიან დღეებში. სამი დღე-ღამის განმავლობაში იგი თავმოხდილი და ფეხშიშველა ელოდებოდა პა-პის აუდიენციას. ბოლოს, როგორც იქნა, პაპმა მიიღო ის და პატიე-ბაზე მუხლმოდრეკითი მისი თხოვნა შეიწყნარა.

კანოსაში წასვლით ჰენრიხ მეოთხემ სამარცხვინო მარცხი განი-ცადა. მაგრამ კანოსამ მაინც ვერ უზრუნველყო პაპის საბოლოო გამარჯვება საეფო ხელისუფლებაზე. როცა მეფემ თავისი მოწინა-აღმდეგე გერმანელ მსხვილ ფეოდალთა შორის შეატყო უთანხმოე-ბა, მალე განახლა ბრძოლა გრიგოლ VII-თან. ამის საპასუხოდ პაპმა ფეოდალები კვლავ გათავისუფლა ხელისადმი მიცემული ერთ-გულების ფიცისაგან და მათ წინადადება მისცა ჰენრიხის ნაცვლად ახალი მეფე აერჩიათ. გერმანიის ფეოდალები ასეც მოიქცნენ. მეფედ შვაბიის ჰერცოგი რუდოლფი აირჩიეს, რომელმაც ჰენრიხის წი-ნააღმდეგ ომი წამოიწყო, მაგრამ 1080 წელს გამართულ ერთ-ერთ ბრძოლაში იგი მოკლეს.

გერმანიაში ერთგვარი წესრიგის დამყარების შემდეგ, ჰენრიხ მეოთხე ხელახლა შეუდგა იერიშების მზადებას გრიგოლ VII-ის წინააღმდეგ. 1084 წელს ჰენრიხი დიდძალი ჯარებით შეიჭრა იტა-ლიაში და რომს ალყა შემოარტყა. ამჯერად გრიგოლ VII აღმოჩნ-და დატყვევების საშიშროებაში, მაგრამ მას მალე დახმარება აღ-

ბოუჩინეს მისმა ვასალებმა სიცილიის ნორმანებმა, რომელთაც ვერმანელების რომიდან გაძევების შემდეგ თვითონ იწყეს ქალაქში ხოცვა-ჟლეტა. გრიგოლ VII გაიქცა სამხრეთ იტალიაში, სადაც მალე გარდაიცვალა (1085 წ.)[1]. მაგრამ მან მოასწრო ანდერძი დაეტოვებინა თავის მომდევნო პაპებისათვის იმის შესახებ, რომ მათ ბრძოლა ეწარმოებინათ იმპერატორების წინააღმდეგ და არავითარ დათმობაზე არ წასულიყვნენ.

ვორმსის კონკორდატი. ამის შემდეგ ბრძოლები სამეფო ხელისუფლებასა და პაპებს შორის დიდხანს არ შეწყვეტილა. ინვესტიტურისათვის გამძაფრებულ ბრძოლაში განსაკუთრებულ თავგამოდებას პაპი ურბან მეორე იჩენდა. ჰენრიხ მეოთხის წინააღმდეგ პაპები რაზმავდნენ არა მარტო ფეოდალობას, არამედ მეფის შვილებსაც. ამ მხრივ მამის წინააღმდეგ დიდ აქტივობას მისი შვილი მომავალი ჰენრიხ V (1106—1125) ამჟღავნებდა, მაგრამ, გახდა თუ არა ის მეფედ, თავისი დამოკიდებულება პაპებისადმი შეცვალა და იწყო რომის პაპის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს ბრძოლა ჰენრიხ V-ესა და პაპა კალიქტს მეორეს შორის 1122 წელს ვორმსის კონკორდატით დამთავრდა.

ვორმსის კონკორდატი კომპრომისულ შეთანხმებას წარმოადგენდა. მისი მიხედვით, ეპისკოპოსთა არჩევა პრინციპში სასულიერო წოდების მიერ უნდა ყოფილიყო, თუ ეს არჩევნები გერმანიაში ჩატარდებოდა. მას იმპერატორი ან მისი წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა, ხოლო თუ ბურგუნდიაში და იტალიაში ხდებოდა ეპისკოპოსის არჩევა, იმპერატორის დასწრება არ იყო გათვალისწინებული. თვით ინვესტიტურა ორმაგი ხასიათისა გახდა: ინვესტიტურა სასულიერო, რომელიც გულისხმობდა ახლად არჩეული ეპისკოპოსის გაფორმებას პაპის მიერ ბეჭდისა და კვერთხის გადაცემით და ინვესტიტურა საერო, რომელიც გულისხმობდა ახლად არჩეული ეპისკოპოსის გაფორმებას იმპერატორის, ან მისი წარმომადგენლის მიერ სკიპტრის (სამეფო კვერთხის) გადაცემით. ეს უკა-

---

[1] მეთერთმეტე საუკუნის 30—40-იან წლებში ნორმანებმა სიცილიაში და აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში დააარსეს სახელოგო, რომელიც შემდეგში სამეფოდ გადაიქცა (იხ. В. Ф. Семенов. История средних веков, გვ. 69).

ნასკნელი ნიშნავდა იმას, რომ ეპისკოპოსი მეფის ვასალად უნდა ყოფილიყო.

ვორმსის კონკორდატი ორმხრივ შეთანხმებად წარმოადგენდა და, გასაგებია, რომ მან საეკლესიოთ ვერ მოსპო ორ მხარეს შორის არსებული წინააღმდეგობა, უთანხმოების მოგვარება დროებითი ხასიათისა აღმოჩნდა. ვორმსის კონკორდატი შემდეგ დიდი ხანი არ იყო გასული, რომ არსებულმა უთანხმოებამ უფრო მეტი სიმძლავრით იფეთქა.

თავი IV

იტალია X—XI საუკუნეებში

იტალია ვერდენის (843 წ.) ხელშეკრულების შემდეგ. ვერდენის ხელშეკრულების შედეგად ყოფილ ფრანკთა იმპერიის ის ნაწილი, რომელიც იტალიისაგან შედგებოდა, იმ ჰიწებთან ერთად, რომელნიც რაინისა და რონის შესართავებს შუა იყვნენ მოქცეულნი, წილად ხვდა უფროს ძმას ლოტარს. ლოტარის გარდაცვალების შემდეგ ლოტარის საბოლოოდ ხელახალი დანაწილება მოხდა, ლოტარის უფროს შვილს ლოტარს ამჯერად მხოლოდ რაინზე მდებარე მიწები ხვდა წილად, რის გამოც შემდეგში მათ ლოტარინგია ეწოდა. ლოტარის ძმას კარლოს პროვანსი შეხვდა, ხოლო ლუდოვიკოს — იტალია. ამის შემდეგ კვლავ ხდებოდა იტალიის ფორმალური დაქვემდებარება იმპერატორის ხელისუფლებისადმი. ა. მ. 875—877 წწ. იმპერატორად ითვლებოდა კარლოს მელოტი, 880—887 წწ. იმპერატორად გახდა ლუდოვიკო გერმანელის შვილი კარლოს სქელი, მაგრამ მეათე საუკუნის დასაწყისში იმპერატორობის ტიტულმა სრულად დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა და იტალიაც, როგორც იტყვიან, ბედის ანაბარად დარჩა.

იმპერატორ კარლოს სქელის ტახტიდან გადაყენების შემდეგ (887) იტალიაში გაძლიერდა ფეოდალური ანარქია. გაჩნდა უამრავი ფეოდალური ერთეულები, რომელნიც დამოუკიდებლობას ჩემულობდნენ და პირველობისათვის ერთი მეორეთან განუწყვეტელ ბრძოლებში იმყოფებოდნენ. ყველას იტალიაში გამეფება უნდოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ივრეისა და ფრიულის მსხვილი მთავრები, მარკგრაფები გაბოროტებულნენ. მათ ამ საქმეში არ ჩაპორჩებოდნენ არც სპოლეტოს ჰერცოგები. ისინი სამეფო ხელისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში ბურგუნდიისა და პროვანსის ფეოდალებსაც

აბაჰდნენ. როგორც წინა ლავში იყო აღნიშნული პროვანსის მფლობელი ლოტარი იტალიის მეფედ იქნა გამოცხადებული. მან ბურგუნდიელი ადელჰაიდა შეირთო ცოლად და ამით ორ ჯგუფად დაყოფილ ფეოდალებს შორის თითქოს დაზავება მოხდა.

იტალიის პოლიტიკური დაქუცმაცება იტალიის ფეოდალიზმის შედეგი იყო. ფეოდალიზაციის პროცესები იტალიაში დაიწყო ჯერ კიდევ ლანგობარდების შემოსევის შემდეგ. „დანიშნეს რა ჰერცოგები, ლანგობარდების მეფეებმა ამით ფეოდალური სისტემის სათავეში მდგომნი წარმოშვეს. კარლოს დიდმა ფეოდალური სისტემა უფრო დაბლა დაუშვა და გააფართოვა იგი"[1]. იტალიის დაკავებისას კარლოს დიდმა იგი ოლქებად დაანაწილა და თვითეულ მათგანში გრაფი, ანუ კაპიტანი დანიშნა. იმ გრაფებმა, რომელთაც საზღვრების დაცვა ევალებოდათ, მიიღეს მარკიზის ტიტული. ამასთან ზოგიერთი ოლქი მუდმივ მმართველობაში მემკვიდრეობით იქნა გადაცემული. ქალაქებმა, ეკლესიებმა და მონასტრებმა მიიღეს აგრეთვე მარკიზების, გრაფების და სხვ. ფეოდალების უფლებები.

ამგვარად, იტალიის ფრანკთა მონარქიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ფეოდალიზაციის პროცესები მასში უფრო დაჩქარდა. მსხვილმა ფეოდალებმა თანდათან იწყეს თავიანთი გავლენის გავრცელება სამოქალაქო ცხოვრებაზე და საქმე იქამდე მივიდა, რომ თუ წინათ მარტო სამხედრო თანამდებობანი გადადიოდა მემკვიდრეობით, ახლა სამოქალაქო თანამდებობანიც მემკვიდრეობითი ხდებოდა. კარლოს დიდის განცხადება იმის შესახებ, რომ ის იტალიელებსა და ლანგობარდებს უტოვებს უფლებას, იცხოვრონ თავიანთი კანონების მიხედვით, მოჩვენებითს წარმოადგენდა. ჰერცოგები დაჟინებით მიილტვოდნენ სამოსამართლო უფლებებიც ხელში ჩაგდებისაკენ და სასამართლოს ხაზით უხეშ ძალაზე დამყარებულ ფეოდალურ კანონებს ჰქმნიდნენ. მიუხედავად ამისა, გრაფები და მარკიზები უფრო მეტ გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ვიდრე ჰერცოგები, რადგან პირველნი უფრო მეტი რაოდენობით მოიპოვებოდნენ და უფრო ღრმად იჭრებოდნენ ცხოვრებაში, ვიდრე უკანასკნელნი.

იტალიის შემდგომი ფეოდალიზაცია. ფეოდალების შინა ბრძოლებმა, ერთი მხრივ, არაბების თარეშობამ უმთავრესად სამხრეთსა და შუა იტალიაში, ხოლო მეორე მხრივ, მეცხრე საუკუნის ბოლოს უნგრელების შემოსევებმა ჩრდილო იტალიაში, ხელი შეუწყვეს

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. V, зд. 33.

წვრილი და საშუალო მესაკუთრე გლეხების ეკონომიურ გაჩანაგებას. ეს უკანასკნელნი იძულებული იყვნენ ეამხლარიყვნენ მსხვილ მიწათმფლობელებზე დამოკიდებულნი, როგორც პირადად, ისე ქონებრივად. გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათან ყმის მდგომარეობაში ექცეოდა. მეათე საუკუნეში იტალია მნიშვნელოვნად იყო ფეოდალიზირებული, ფეოდალიზაციის ხოგიერთი პროცესი აქ უფრო შორს იყო წასული, ვიდრე გერმანიაში.

მიუხედავად ამისა, მეათე საუკუნეში გლეხთა მასების მთლიანი მიმაგრება მიწაზე ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. იტალიის ფეოდალიზაციის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ბატონყმობა აქ უფრო შერბილებულ ფორმებში ვლინდებოდა. თუ რიგ ფეოდალურ სახელმწიფოებში გლეხობა ფეოდალის ნებისმიერად იხდიდა ღალას და ასრულებდა ფეოდალურ ვალდებულებებს, იტალიის გლეხობის ღალა და ბეგარა განსაზღვრული იყო გარკვეული წესებითა და ჩვეულებებით. იტალიელი მებატონე ვერ არღვევდა ამ წესებს და ნებისმიერად ვერ ზრდიდა რენტას. იტალიაში ყმა გლეხებთან ერთად ბევრი თავისუფალი გლეხიც მოიპოვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გლეხობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მიწები დაკარგა, იგი მაინც არ აღმოჩნდა ყმურ მდგომარეობაში. ასეთი გლეხები მიწათმფლობელთა დროებით მოიჯარადრეებად იქცეოდნენ. მათ ლიბელარიები ეწოდებოდათ.

იტალიაში ბატონყმური ურთიერთობის შერბილება და იტალიის გლეხების მიერ ნაწილობრივი თავისუფლების შენარჩუნება უნდა აიხსნას შემდეგი ძირითადი გარემოებებით: I. ლანგობარდებმა ჩრდილო და შუა იტალიაში მთლიანად მოსპეს მონათმფლობელობა, მონათმფლობელთა კლასს ჩამოართვეს მიწები და დაურიგეს თავისუფალ გლეხობას, რამაც უკანასკნელი გააძლიერა, II. ლანგობარდული თემი კარგა ხნის მანძილზე მტკიცედ იცავდა თავისუფალ გლეხობას დაყმევებისაგან, III. იტალიაში ქალაქებმა ადრევე იწყეს განვითარება, რის გამოც იტალიის სოფელი არ იყო ისე კარჩაკეტილი, როგორც სხვა ფეოდალურ სახელმწიფოებში. იგი ქალაქს აწვდიდა სოფლის მეურნეობის ნაწარმს, რის გამოც დაყმევებულ გლეხს ფულის დაგროვების საშუალებით ეძლეოდა შესაძლებლობა თავის თავის გამოსყიდვისა და ბოლოს — IV. ბატონის მკაცრი მოპყრობის შემთხვევაში გლეხი ქალაქში გარბოდა და იქ მოიპოვებდა თავისუფლებას.

იტალიის ფეოდალიზაციის თავისებურება გაბატონებულ ფეოდალურ კლასსაც დაეტყო. რადგან ფეოდალიზაცია იტალიაში ადრე დაიწყო, ამიტომ აქ ფეოდალები დიდი რაოდენობით იყვნენ. ამას

ხელს უწყობდა ისიც, რომ იტალიის საკუთარი მეფეები თავიანთი სუსტის გამო ვერ ახერხებდნენ განდგომილ ფეოდალთა ძალით დათრგუნვას, ხოლო გერმანიის იმპერატორები იტალიაში ხშირად არ იმყოფებოდნენ. ამით სარგებლობდნენ რა იტალიის ფეოდალები, ისინი განუწყვეტლივ აწარმოებდნენ შინა ბრძოლებს იმ მიზნით, რათა თავიანთი გავლენისათვის მნიშვნელოვანი ქალაქები დაემორჩილებინათ და ძირითადი სავაჭრო გზები ხელში ჩაეგდოთ.

იტალიის ქალაქები ადრევე მიმზიდველნი გახდნენ ფეოდალებისათვისაც. ფეოდალების მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქებში სახლდებოდა და ქალაქური ცხოვრების გავლენას განიცდიდა. იტალიელი რაინდები ასევე ქალაქის მცხოვრებლებში ითქვიფებოდნენ, იმ გაგებით, რომ თვითონაც ვაჭრებად იქცეოდნენ, თუმცა როგორც სტოკლიცკაია-ტერეშკოვიჩი აღნიშნავს (იხ. მისი — «Классовая борьба в Милане в XI в. и зарождение Миланской коммуны» «Средние века», т. V, изд. 1954, გვ. 147) ვალვასორები თავიანთ წოდებას დიდი ხნით ინარჩუნებდნენ. იტალიის ფეოდალობაც თავისი ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერის მიხედვით ძირითადად ორად იყო დაყოფილი: მსხვილი ფეოდალები, რომელთაც კაპიტნები ეწოდებოდათ და წვრილი ე. წ. ვალვასორები, ანუ ვავასორები. როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, კონრად მეორის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად ვალვასორების მდგომარეობა გაუმჯობესდა იმით, რომ მათი ლენები მემკვიდრეობითი გახდა.

გარდა საერო ფეოდალებისა, მეათე საუკუნის იტალიაში დიდი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი სასულიერო ფეოდალებიც: პაპი, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები და უამრავი მონასტრები. ყველა ესენი არა ნაკლებად განუდგებოდნენ ხოლმე სამეფო ხელისუფლებას და ცდილობდნენ ქვეყნის ბატონ-პატრონი თვითონ გამხდარიყვნენ. ხშირად ისინი საერო ფეოდალებთან აწარმოებდნენ ბრძოლას და საჭირო შემთხვევაში სამეფო ხელისუფლებას უკავშირდებოდნენ კიდეც. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლები ჩაღდებოდა რომის გამოჩენილ საგვარეულოებსა და რომის პაპებს შორის. ამგვარად, მეათე საუკუნის იტალიაში იქმნებოდა სოციალურ წინააღმდეგობათა მრავალფეროვანი და უკიდურესი გამწვავება, რაც იტალიის პოლიტიკურ ვითარებას მძიმე დაღს ასვამდა.

იტალიის ქალაქები. მეათე საუკუნიდან იტალიაში ძლიერდება ხელოსნობა და ვაჭრობა, რომელთა ცენტრებადაც ქალაქები გადაიქცნენ. ამ ხანებში საშუამავლო ვაჭრობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და დასავლეთ ევ-

რიპას შორის. სატრანზიტო ვაჭრობით იტალიის ქალაქებმა დიდი სიმდიდრე დააგროვეს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, გერმანიის მეფეების (დაწყებული ოტონ პირველიდან) ანექსიური პოლიტიკა იტალიის მიმართ ნაკარნახევი იყო აგრეთვე იტალიის მდიდარი ქალაქების ქონების დატაცებით. გერმანიის იმპერატორების მტაცებლურმა პოლიტიკამ იტალიის ქალაქების აჯანყება გამოიწვია. ქალაქ რომში ოტონ მეორის წინააღმდეგ 980 წელს მოხდა მძლავრი აჯანყება, ხოლო ოტონ მესამის წინააღმდეგ ამავე ქალაქში ორი აჯანყება მოეწყო: პირველად 998 წელს და მეორედ -- 1001 წელს.

ჩრდილოეთ იტალიის ქალაქების უმრავლესობას სენიორებად ეპისკოპოსები ჰყავდათ. რომელთაც გარკვეულ გადასახადებს უხდიდნენ და მათ მმართველობას ემორჩილებოდნენ. ეპისკოპოსების ბატონობა ქალაქებზე უფრო მეტად გაძლიერდა მას შემდეგ (962 წ.), რაც იტალია „რომის სალმრთო იმპერიის" შემადგენელ ნაწილად გადაიქცა. ოტონ პირველმა თავისი საეპისკოპატო პოლიტიკით იტალიის ეპისკოპოსებიც გააძლიერა და თუ მანამდე ჩრდილოეთ იტალიის ქალაქები ცდილობდნენ თავიანთი სენიორებისაგან განთავისუფლებას (კრემონას ბრძოლა ეპისკოპოს სენიორების წინააღმდეგ 850, 924, 996 წლებში, გენუის ბრძოლა 956 წ., მილანის ბრძოლა 980 წ. და ა. შ.), ახალ ვითარებაში იგი შენელდა.

მეთერთმეტე საუკუნის ბოლოსა და მეთორმეტეს დასაწყისში ეს მდგომარეობა ნაწილობრივად შეიცვალა. იმპერატორების ბრძოლამ პაპობასთან ინვესტიტურის გარშემო და ამ ბრძოლის დამთავრებამ ვორმსის კონკორდატით, იმპერატორების გავლენა იტალიაზე მნიშვნელოვნად შეამცირა და საეპისკოპატო სისტემაც შეასუსტა. ამან ხელი შეუწყო ქალაქების ბრძოლას სენიორ ეპისკოპოსების წინააღმდეგ და ქალაქთა უმრავლესობაც დამოუკიდებელი გახდა. ჩრდილო იტალიის ქალაქებმა დამოუკიდებელი თვითმმართველობა (კომუნა) შექმნეს და მალე ზოგიერთი მათგანი ქალაქ-რესპუბლიკადაც გადაიქცა.

იტალიის პოლიტიკური დაქუცმაცება. ლომბარდიის დამოუკიდებელი ფეოდალური სამფლობელოები. შეიძლება ითქვას, რომ მეთერთმეტე საუკუნის იტალია, პოლიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე უფრო დაქუცმაცებულს წარმოადგენდა. იგი დაყოფილი იყო მრავალ დამოუკიდებელ საჰერცოგოდ, საგრაფოდ, საეპისკოპოსოდ, დამოუკიდებელ ქალაქებად, ქალაქ რესპუბლიკებად და ა. შ. იტალიის ჩრდილო- დასავლეთით, დაწყებული კოტის ალპებიდან, ვიდრე გენუის სანაპიროებამდე და მონეიზიდან ქალაქ

ასტიმდე წარმოადგენდა დამოუკიდებელ სამარკიზოს, რომლის მმართველობა XI საუკუნის დასაწყისში სუზელ მანფრედს ეკუთვნოდა, ხოლო ქალაქი ასტი მისი ღვიძლი ძმის, ეპისკოპოსის საშფლობელოს წარმოადგენდა.

ამ სამარკიზოს მეზობლად ქალაქი მილანი მდებარეობდა. ქალაქ მილანს არქიეპისკოპოსები განაგებდნენ, მაგრამ ამ არქიეპისკოპოსების უფლებამოსილება სხვა მახლობელ ქალაქებზედაც ვრცელდებოდა. არქიეპისკოპოსები უძლიერესი ფეოდალები იყვნენ და დამოუკიდებლად ეწეოდნენ მართვა-გამგეობას. მათი სასამართლო სხვას არავის ექვემდებარებოდა და სისხლის სამართლის ისეთი მძიმე დანაშაული, როგორიცაა მკვლელობა და სხვ. მის კომპეტენციას წარმოადგენდა. არქიეპისკოპოსთა ძალა-უფლებაში არ შედიოდა მხოლოდ ფულის მოჭრა. ეს უფლება მეფეს ეკუთვნოდა. აბა ისიც უნდა მიუმატოთ, რომ ქალაქები მეფის სასარგებლოდ იხდიდნენ გარკვეულ გადასახადს. ეს იყო და ეს. დანარჩენ საქმეებში არქიეპისკოპოსები ისე იქცეოდნენ, როგორც მათ მოეპრიანებოდათ.

რაც შეეხება პროვინციული ქალაქების მმართველ ეპისკოპოსებს, ისინი მილანის მმართველებს სულაც არ ჩამორჩებოდნენ. ამ უკანასკნელთა წაბაძვით ცდილობდნენ ყოველმხრივ გაეფართოვებინათ თავიანთი უფლებამოსილება. ისინი იყვნენ პატარა მეფეები, რომელნიც ძალიან ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი გერმანიის იმპერატორებზე და იტალიის მეფეებზე. ეპისკოპოსის მფლობელობაში იმყოფებოდნენ აგრეთვე ცნობილი ქალაქები მოდენა და რეჯიო. კარლო ბოტას თქმით, ცნობილი იტალიელი ისტორიკოსი და არქეოლოგი მურატორი (1672 — 1750) ამ ქალაქებს არა სწორად დესტეს გვარეულობას მიაკუთვნებს.[1]

იტალიის ცალკეულ სამარკიზოებსა, საჰერცოგოს და საგრაფოებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეგრეთ წოდებულმა ვერონის ოლქმა მოიპოვა, რადგან მას სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა გააჩნდა. მასზე გადიოდა გზა, რომელიც გერმანიას იტალიას უკავშირებდა, ამიტომ გერმანიის იმპერატორები ვერონის ოლქს მეტად უფრთხილდებოდნენ. რადგან ვერონის ოლქი მათი თვალსაზრისით იტალიის გასაღებს წარმოადგენდა, ამიტომ ისინი ცდილობდნენ ვერონის ოლქის მმართველად დაენიშნათ გერმანელები და, საერთოდ, თავიანთთვის ერთგული პირნი. ჩვეულებრივად ამ ოლქის მმართველნი

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. V, гз. 410.

კარინთიელი ჰერცოგები იყვნენ, რომელნიც ჰენრიხ მეორის და კონრად მეორის (სალიკელის) მახლობელი ნათესავები იყვნენ. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში ამ ოლქის დამოუკიდებლობაც მეტად შეზღუდული იყო.

ჯერ კიდევ კარლოს დიდის მიერ იტალიის დაპყრობიდან ეგრეთ წოდებული ორივე სიცილიის სამეფოს ჩრდილოეთ საზღვრის ზემოთ მდებარე მხარე დაიყო ორ სხვადასხვა ერთეულად: ლომბარდიად, რომელშიაც უმთავრესად ლანგობარდები ცხოვრობდნენ და რომელმაც მათგან მიიღო თავისი სახელწოდება, და რომანიად. ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საჰერცოგოები და საგრაფოები ლომბარდიას მიეკუთვნებოდა. რომ მოვათავოთ ლომბარდიის ძირითადი ფეოდალური სამფლობელოების განხილვა, საჭირო იქნება მკითხველთა ყურადღება შევაჩეროთ კიდევ ერთ ფეოდალურ სამფლობელოზე. ეს იყო ტოსკანის სამარკიზო.

ტოსკანის სამარკიზოს დასავლეთით აკრავდა ტირენის ზღვა. ჩრდილოეთით მას მეზობლობდა გენუა და კანოსა, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით — რომანია. შეიძლება ითქვას, რომ ტოსკანა სხვა ფეოდალურ სამფლობელოებთან შედარებით უფრო „მოწესრიგებული“ და დამოუკიდებელი იყო. მარკიზების ხელისუფლება აქ უფრო ცენტრალიზებული აღმოჩნდა. მასში ისე ხშირად არ წარმოებდა ფეოდალების შინაგანი ბრძოლა და დამყარებული მშვიდობიანობა ხელს უწყობდა მეურნეობის განვითარებას. ყველა ამ გარემოების დამატებით ხელშემწყობ პირობად შეიძლება ჩაითვალოს ერთი მხრით ის, რომ ტოსკანაჲ გარშემორტყმული ჰქონდა მთები და ბუნებრივად გარეშე მტრისათვის მიუწვდომელი ხდებოდა, მეორე მხრით კი, მისი მარკიზების მოხერხებული პოლიტიკა. მარკიზები რენიე და შემდეგ ბონიფაციუსი თავის დროისათვის გამოჩენილ მთავრებს წარმოადგენდნენ.

რომანიის სამარკიზოები, საჰერცოგოები და საგრაფოები, იტალიის დამოუკიდებელი ქალაქები. რაც შეეხება რომანიას, იგიც დანაწილებული იყო სხვადასხვა დამოუკიდებელ ფეოდალურ სამფლობელოებად. ასეთები იყვნენ: ჩრდილოეთით — ეგრეთ წოდებული რავენის საეგზარქო, ცოტა უფრო სამხრეთით — ანკონის სამაკირზო, რომის სამხრეთ-დასავლეთით სპოლეტოს საჰერცოგო მდებარეობდა და ბოლოს პაპის ოლქი, ანუ წმ. პეტრეს მამული. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ადრე, კაროლინგების ნაბოძვართა წყალობით, საკმაოდ გაძლიერდა. ცნობილია, რომ ქალაქი რომი თავიდანვე კათოლიკური რელიგიის ცენტრს წარმოადგენდა და

ამიტომ პაპების გავლენა ვრცელდებოდა არა მარტო პაპის ოლქზე, არამედ მთელ იტალიასა და სხვა ფეოდალურ სამეფოებზეც. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას რომ პაპის ოლქში უფრო ხშირად წარმოებდა შინა ბრძოლები და შეხლა-შემოხლა. თვით ქალაქ რომში არაერთხელ ადგილი ჰქონდა აჯანყებას პაპის ამა თუ იმ კანდიდატის წინააღმდეგ. რომში მყოფ ძლიერ გვარეულობათა სხვადასხვა დაჯგუფებანი და პარტიები განუწყვეტლივ იბრძოდნენ პირველობისათვის. რაც შეეხება პაპის ოლქის სხვა ნაწილებს, იქ არანაკლებად თარეშობდნენ სხვადასხვა ბარონები, რომელთა შორის პირველობას ტუსკულანის მსხვილი ფეოდალები იჩემებდნენ.

სპოლეტო, ისე როგორც კამერინის საჰერცოგო, დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენდნენ და თვითეულ მათგანს საკუთარი მართვა-გამგეობა გააჩნდა. მათი ჰერცოგები მხოლოდ მაშინ ცნობდნენ იტალიის მეფეთა სიუზერენიტეტს, როცა უკანასკნელნი პირადად მათ ჰერცოგების სამფლობელოში მივიდოდნენ და ძალით აიძულებდნენ დამორჩილებას. სხვა შემთხვევებში კი ტოსკანის მარკიზებისა და ლომბარდიის სხვა სასულიერო და საერო სენიორების მსგავსად ისინი დამოუკიდებელ საქმიანობას ეწეოდნენ. რაც შეეხება რავენას, მისმა არქიეპისკოპოსებმა ადრევე მოიპოვეს რავენის საეგზარქოზე საერთო ძალა-უფლება და საიმპერიო ჰერცოგებად გადაიქცნენ.

იტალიის სხვადასხვა დაქუცმაცებული ფეოდალური სამთავროებიდან და პატარ-პატარა სამეფოებიდან თავიანთი ეკონომიკითა და მმართველობის ფორმებით გამოირჩეოდა ოთხი ქალაქი, რომელთაგანაც ერთი არასოდეს არ ყოფილა დაქვემდებარებული რომელიმე ფეოდალის სიუზერენობისადმი, ხოლო დანარჩენი სამი ახლად ცდილობდა ასეთ სიუზერენობისაგან თავის დაღწევას. პირველი იყო ვენეცია, რომელიც იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა. იგი XI საუკუნიდან სავსებით დამოუკიდებელს წარმოადგენდა და რესპუბლიკური მმართველობა ჰქონდა. ვენეცია ადრევე გადაიქცა მსოფლიო ვაჭრობის სატრანზიტო ცენტრად და შემდეგ ხანებში იმდენად გაძლიერდა, რომ ევროპის სხვა სახელმწიფოთა მოწინავე რიგებში იმყოფებოდა.

რაც შეეხება გენუას, რომელიც ჩრდილო-იტალიის დასავლეთით მდებარეობდა და ტოსკანის ზღვის სანაპიროზე მდებარე პიზას მართალია სრული დამოუკიდებლობა ვენეციასავით ჯერ კიდევ

ვერ მოიპოვეს, მაგრამ ისინი მაინც დამოუკიდებლად ეწეოდნენ საგაჭრო ოპერაციებს, არა მარტო მეზობელ კუნძულებთან—სიცილიასთან, კორსიკასთან და სარდინიასთან, არამედ სხვა ქვეყნებთანაც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთგვარ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ იტალიის ძეფეებთან და ტოსკანას მარკიზთან, მაინც ახერხებდნენ მათთან შეუთანხმებლად ომის გამოცხადებასა და ზავის დადებას. შემდეგ ხანებში კი გენუა იმდენად გაძლიერდა, რომ ვენეციასაც კი დაუწყო ქიშპობა მსოფლიო ვაჭრობის საქმეში.

სამხრეთ-იტალია. სამხრეთ-იტალიის ის ნაწილი, რომელზედაც შემდეგში ნეაპოლიტანიის სამეფო წარმოიშვა, XI საუკუნეში ისევე პოლიტიკურად დაქუცმაცებული აღმოჩნდა, როგორც იტალიის სხვა ნაწილები. აქ იყვნენ ისეთი დამოუკიდებელი საჰერცოგოები, როგორიცაა: სალერნო, კაპუია და ბენევენტი. ჩრდილოეთით ამ მხარეს რომანია საზღვრავდა, ხოლო სამხრეთით — აპულია და კალაბრია. თვითეული ეს საჰერცოგო (სალერნო, კაპუია და ბენევენტი) თავის მხრივ ცალკე პატარ-პატარა საგრაფოებად იყო დაყოფილი და თვითეული გრაფი ისეთივე დამოუკიდებლად გრძნობდა თავს, როგორც ჰერცოგი, თუმცა ფორმალურად ის ჰერცოგის სიუზერენობის ქვეშ ითვლებოდა. ლანგობარდების სამეფოს დაცემის შემდეგ ლანგობარდული წარმოშობის მთავრები ამ ადგილებში კიდევ ერთი საუკუნის მანძილზე განაგრძობდნენ თავიანთ ბატონობას, შემდეგში მათ ყოველგვარი მნიშვნელობა დაჰკარგეს.

მას შემდეგ, რაც მარცხით დამთავრდა ოტონ მეორის ლაშქრობა სამხრეთ იტალიაში (ოტონ მეორემ ნეაპოლი და ტარენტი დაიკავა, მაგრამ 983 წელს გამართულ ბრძოლაში იგი დამარცხდა და გარდაიცვალა რავენაში). აპულია და კალაბრია ბიზანტიელების ხელში დარჩა. ბიზანტიის იმპერატორები ამ მხარეებს განაგებდნენ თავიანთი მოხელეების რექტორების ან, როგორც მათ ზოგჯერ უწოდებდნენ, „კატაპანების“ მეშვეობით. აპულიისა და კალაბრიის დაკავებით ბიზანტიის იმპერატორები უშედეგოდ ცდილობდნენ ყოფილი რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილის ბიზანტიასთან შეერთებას.

სიცილია მთლიანად დაპყრობილ იქნა არაბების მიერ ჯერ კიდევ 878 წელს, რის შემდეგაც აქ განსაკუთრებული საემირო ჩამოყალიბდა. აქედან არაბები სამხრეთ იტალიის სხვა ნაწილებშიაც შეიჭრნენ. მეთერთმეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან იწყება სამხრეთ იტალიის ნორმანების ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ სიცილიის დასაპყრობად. ამ ბრძოლების შედეგად არაბებმა თავიანთი

სამფლობელოების დიდი ნაწილი დაკარგეს, მაგრამ მონტე-გარგანოს მახლობლად შეინარჩუნეს თავიანთი დასაყრდენი პუნქტი, საიდანაც ისინი ხშირ თავდასხმებს აწარმოებდნენ ბიზანტიელების იტალიურ სამფლობელოებზე, ბენევენტსა და სხვა საპერცოგოებზე და აგრეთვე რომის პაპის ოლქზე.[1] ეს გარემოება განუწყვეტელ ბრძოლებს იწვევდა მუსლიმანებს, ერეტიკოსებსა და კათოლიკებს შორის, რაც იტალიის ისედაც ანარქიულ მდგომარეობას უფრო მეტად ამწვავებდა.

ამგვარად, იტალიის შესვლამ „რომის სალმრთო იმპერიაში" და იქ გერმანელი იმპერატორების ბატონობამ, იტალიაზე არამც თუ რაიმე დადებითად იმოქმედა, არამედ ის პოლიტიკურად უფრო მეტად დააქუცმაცა და მისი შინაგანი წინააღმდეგობანი ერთიორად გაზარდა.

---

1 იხ. Архив. Маркса и Энгельса, ტ. V, გვ. 411.

თავი V

ინგლისი X — XI საუკუნეებში

ინგლისისა და სკანდინავიის ურთიერთობა XI საუკუნის დასაწყისამდე. ბრიტანეთის კუნძული, რომელზედაც შემდეგში ინგლისის სახელმწიფო წარმოიშვა, საუკუნეების მანძილზე გარეშე მტრების თავდასხმებს განიცდიდა. ჯერ იყო და, მას თავს ესხმოდნენ რომაელები (რომაელების პირველი შესევა ბრიტანეთში ცეზარის დროს 55 და 54 წ., რომაელების მიერ ბრიტანეთის დაპყრობა კლავდიუსის დროს, 43 წ. ახ. წ.). შემდეგ III საუკუნიდან აქ იჭრებიან ფრიზები, ანგლები და საქსები, ხოლო რომაული ლეგიონების გაყვანის შემდეგ მეხუთე საუკუნიდან აქ საბოლოოდ მკვიდრდებიან ანგლო-საქსები და აარსებენ თავიანთ სახელმწიფოებს. ერთხანს თითქოს შეწყდა გარეშე მტრების შესევები, მაგრამ 793 წლის 18 ივნისს, — მოგვითხრობს ქრონიკა, — წარმართებმა ლინდისფარნეში ძარცვისა და მკვლელობის საშუალებით ღვთის ეკლესია საშინლად გაანადგურეს.

„ამ მოკლე ჩანაწერით იწყება თხრობა იმ უბედურებასა და ბრძოლებზე, რაც დაახლოებით 300 წლამდე გრძელდებოდა; ამ ხნის განმავლობაში უცხოელებმა ინგლისის ნახევარი დაიპყრეს, ხოლო სკანდინაველებმა და ჭათმა ჩვეულებებმა ამ ქვეყანას წარუშლელი დაღი დაასვეს“[1]. ამ ხანებში ინგლისზე თავდასხმას სკანდინავიის ორი სახელმწიფო აწარმოებდა: დანია და ნორვეგია. პირველი უმთავრესად თავს ესხმოდა ინგლისს, ხოლო მეორე — ირლანდიასა და შოტლანდიას. მეცხრე საუკუნის განმავლობაში ნორმანების, დანიელების თავდასხმები ინგლისზე უფრო მეტად

---

[1] А. Л. Мортон, История Англии, 1950, გვ. 47.

გახშირდა. დაპყრობლებმა თანდათანობით ხელთ იგდეს ანგლო-საქსების ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მათი ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა: ნორტუმბრია, მერსია და აღმოსავლეთი ინგლისი. იმ ოლქებს, რომელნიც დანიელების ხელში აღმოჩნდა შემდეგში, „დანიური უფლებების მხარე" ეწოდა. ინგლისის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ამჯერად დანიელთა ბატონობის გარეშე დარჩა. იგი უესექსის ჰეგემონობით დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდა.

ინგლისელების დანიელებთან ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა უესექსის მეფის ალფრედ დიდის დროს (871—900 წ.). ალფრედის გამეფების პირველსავე წლებში ინგლისელები რამდენიმეჯერ დაამარცხდნენ დანიელებთან ბრძოლაში. 876 წელს დანიელები კვლავ შეიჭრნენ უესექსში. მდგომარეობა მეტად გართულდა. ალფრედი იძულებული გახდა მოლაპარაკება დაეწყო მოწინააღმდეგესთან და დიდძალი თანხა მიეცა მისთვის ზავის დადების მიზნით. მალე დანიელებმა ეს ზავი დაარღვიეს და ახალი ბრძოლები წამოიწყეს. ამგვარად, ინგლისელები უფრო დარაზმულად ეკვეთნენ მტერს და 879 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში იგი დაამარცხეს. დანიელთა ხელმძღვანელი გუტრუმი იძულებული გახდა ზავი დაედო. ამ ზავის მიხედვით. მთელი ქვეყანა დანიელებსა და ინგლისელებს შორის ორად განაწილდა. პირველთ ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთი დარჩათ, მეორეებს კი სამხრეთ-დასავლეთი. ქალაქი ლონდონი დანიელებს გადაეცა. ხოლო შემდეგში ალფრედმა ის კვლავ უკან დაიბრუნა.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა ისეთ ღონისძიებათა გატარებას, რომელნიც უზრუნველყოფდნენ ქვეყანაზე მტრების ახალი თავდასხმების თავიდან აცილებას. ალფრედმა თავის დასაყრდენ ბაზად თავისუფალი გლეხობა გახადა, რითაც შეძლო ზოგიერთი განდგომილი მსხვილი მიწათმფლობელის მორჩილებაში მოყვანა. მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია გატარდა სამხედრო საქმეში. მთელი ქვეყანა დაიყო რამდენიმე სამხედრო ოლქად. თუ ადრე ომი სახალხო შეიარაღებით წარმოებდა, ახლა პროფესიონალური შეიარაღებული რაზმები ჩამოყალიბდა. დადგენილ იქნა, რომ მოსახლეობას ხუთ ნადელზე („ჰაიდა") ერთი მეომარი უნდა შეენახა. ამგვარად შესაძლებელი გახდა მძიმედ შეიარაღებული ჯარის ნაწილების შექმნა. შემოღებულ იქნა აგრეთვე ციხე-სიმაგრეების გაკეთების სისტემა. ციხეებში მძიმედ შეიარაღებული მეომრები ჩაა-

ყენეს. გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე ისიც, რომ ნორმანებთან ბრძოლის წარმატება მეტად დამოკიდებული იყო საზღვაო ფლოტზე. ამ მიზნით ალფრედმა 100 ხომალდი აგებინა, რომელნიც „ორჯერ გრძელი და ორა ნაკლებ სწრაფმავალი, გამძლე და უფრო მაღალი იქნებოდნენ მტრის ხომალდებზე...“

ალფრედ დიდი ცდილობდა აგრეთვე სამეფოს ეკონომიური შემოსავლის გაძლიერებაზეც. მან პირველად შემოიღო ინგლისის მოსახლეობაზე მუდმივი გადასახადი „დანეგელდის“[1] სახელწოდებით. „დანიელთა ფულის“ ეს გადასახადი გაჩენილი იყო დანიელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ადმინისტრაციული საქმიანობის მოწესრიგებასთან ერთად ალფრედი დიდ მნიშვნელობას აძლევდა სამართლის საქმის მოგვარებასაც. დაახლოებით 890 წლისათვის შედგენილ იქნა კანონთა კრებული, რომელსაც მეფე ალფრედის სამართალი ეწოდა. მანამდე ყოველ ცალკე ანგლოსაქსურ სამეფოს ინგლისში თავისი საკუთარი სამართალი გააჩნდა. ასე მაგალითად, მოქმედებდნენ კენტის, უესექსის, მერსიის და სხვ. მეფეთა სამართლები. ახლა ალფრედის სამართალში თავი მოიყარა ყველა ამ სამართლის ძირითადმა კანონებმა და ამგვარად, ალფრედის სამართალი გაერთიანებულ ინგლისს ემსახურებოდა.

ალფრედი თავის საქმიანობაში წაადგა კარლოს დიდს. ალფრედის დროს ხელს უწყობდნენ სწავლა-განათლების საქმეს, საზღვარგარეთიდან მიჰყავდათ მასწავლებლები და სასახლის მსახურთა შვილებისათვის სკოლებს აყალიბებდნენ. ლათინურიდან ანგლოსაქსონურ ენაზე თარგმნიდნენ სახელმძღვანელოებს. ამ დროს გადაითარგმნა ოროზიუსის მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო, ბედას — „ანგლების საეკლესიო ისტორია“, პაპი გრიგოლის ნაწარმოებნი და სხვა. ამ ხანებში იწყება ქრონიკების წერაც, რომლებშიაც მოთხრობილია ალფრედ დიდის მეფობის შესახებ. სწავლა-განათლების დანერგვის მიზნით, საეპისკოპოსო კათედრებთან სასულიერო პირთათვის ჩამოყალიბდა აგრეთვე სკოლებიც.

ამგვარად, მეათე საუკუნის დასაწყისისათვის ინგლისის პოლიტიკური მდგომარეობა საკმაოდ განმტკიცდა. სკანდინავიელების შემოსევები თანდათანობით შეწყდა. დანიელებისა და ნორვეგიელების თარეშის სიმძიმე ახლა უმთავრესად გადატანილ იქნა საფრანგეთის ტერიტორიაზე, სადაც ფეოდალური ანარქიისაგან შესუსტებულ ქვეყანას მათთვის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. მეათე საუკუნის შუალედში ინგლისი იმდენად

[1] ეს გადასახადი გაიღებოდა ვერცხლის ფულით.

გაძლიერდა, რომ თვითონ დაიწყო იერიშები დანიელების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში ინგლისელებმა გაიმარჯვეს. მეფე ედგარმა (950 — 975) დაიმორჩილა „დანიელთა უფლებების მხარე“ და ამგვარად, მთელი ინგლისი გააერთიანა.

მერსიის მსხვილმა ფეოდალებმა 957 წელს ედგარი ჯერ მერსიის მეფედ, ხოლო შემდეგ (959 წ.) უესექსის მეფედ და ბოლოს გაერთიანებული ინგლისის მეფედ გამოაცხადეს. ედგარის დროს ქვეყნის ფაქტიური მმართველი იყო კენტერბერის არქიეპისკოპოსი — დუნსტანი. მაშასადამე, სამეფო ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს ეკლესია წარმოადგენდა. ედგარი ვაჭრობისათვის ხელშეშეწყობ პოლიტიკას ატარებდა. მის დროს ქალაქი ლონდონი საკმაოდ მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი გახდა. პტი-დიუტაინის თქმით — „ეგბერტის, ალფრედ დიდის, ატელსტანის და ედგარის მეფობა ბრწყინვალე იყო. ატელსტანი და ედგარი ტრაბახობდნენ და ბაზილევსის, ცეზარის ტიტულს —Imperator Augustus მიიკუთვნებდნენ“[1].

დანიელთა ახალი შემოსევები ინგლისში. ინგლისის პოლიტიკური დასუსტება. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში, ფეოდალიზაციის შემდგომ განვითარებასთან ერთად, ინგლისის სამეფო ხელისუფლება კვლავ იწყებს შესუსტებას. ძლიერდება მსხვილი მიწათმფლობელების პარტიკულარიზმი. ინგლისის იმდროინდელმა მეფემ ეტელრედმა სამეფო ავტორიტეტი დაკარგა. მას დამცინავ სახელად „მოუხერხებელი“ ანუ „უგუნური“ შეარქვეს. ამავე დროს ინგლისისათვის კვლავ დაიწყო საგარეო გართულებანი.

მეათე საუკუნის ბოლოს, დანიის მეფემ სვენმა, ნორვეგიაზე თავისი გავლენა გაავრცელა. გაერთიანებული ძალებით სვენმა და ნორვეგიის მეფემ ოლაფმა იწყეს ინგლისზე იერიშის მიტანა. სკანდინაველებისათვის ახლა უკვე საფრანგეთი აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო ხელსაყრელი თავდასხმის ობიექტი, რადგან იქ მათ მიერვე ჩამოყალიბებული ნორმანდიის საჰერცოგო X საუკუნის ბოლოსათვის საკმაოდ ძლიერი და ახალი თავდასხმებისათვის ხელშემშლელი გახდა.

დანიელებთან ბრძოლებში ეტელრედი უძლური აღმოჩნდა მით უფრო, რომ ახლა ინგლისზე თავდასხმებს აწყობდნენ არა ორგანიზაციის არამქონე დანიელთა ცალკეული დაჯგუფებანი, არამედ სკანდინავიის გაერთიანებული სამეფო. კრიტიკული მდგომარეობა

---

[1] პტი-დიუტაინის დასახელებული შრომა, გვ. 37.

დან გამოსვლისათვის ეტელრედმა იწყო მოკავშირედ გარეშე ძალის გამონახვა. დახმარებისათვის ეტელრედმა მიმართა ნორმანდიის ჰერცოგს. ნორმანდიის ჰერცოგის და, ემა ცოლად შეირთო. ემას ინგლისში ნორმანდიის დიდებულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა გაჰყვა. ამით პირველად ჩაეყარა საფუძველი ძველი ინგლისის და ნორმანდიის ურთიერთობას. უფრო სწორად — ნორმანდიის გავლენას ინგლისზე.

ნორმანდიის დახმარებამ ვერ უშველა ეტელრედის მდგომარეობას. დანიელებმა და ნორვეგიელებმა ინგლისის მნიშვნელოვანი ნაწილები დაიკავეს. ათი წლის ბრძოლების შემდეგ ეტელრედის ხელისუფლება სამარცხვინოდ დაეცა, თუმცა ქალაქი ლონდონი აელავ განაგრძობდა თავდაცვას მანამდე, ვიდრე ინგლისის ყველა სხვა ნაწილები არ გამოაცხადებდნენ მორჩილებას; ეტელრედი ცოლითა და შვილებით ნორმანდიაში გაიქცა. მის მაგივრად ინგლისის მეფედ სვენი გამოაცხადეს. მაგრამ სვენიც მალე გარდაიცვალა და მის მაგივრად გაერთიანებული ინგლისის, დანიისა და ნორვეგიის მეფედ სვენის შვილი კნუდი იქნა გამოცხადებული.

ინგლისელებმა თავის მხრივ მეფედ კვლავ ეტელრედი მოიწვიეს. ბრძოლები სკანდინაველებსა და ინგლისელებს შორის ხელახლა გამწვავდა. ეტელრედს ნორმანდიიდან გამოჰყვა თავისი შვილი ედმუნდი — „რკინის ფერდიანი". თავდაპირველად იგი სარდლის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ გახდა მეფედ. ედმუნდმა ბრძოლებში დიდი ენერგია და ნიჭი გამოიჩინა. მან შვიდი თვის განმავლობაში შვიდი დიდი ბრძოლა გადაიხადა. არაერთხელ უკუაგდო მტრების ალყა ლონდონიდან და მოაწყრო ინგლისის სამხრეთი ნაწილის განთავისუფლება უცხოელებისაგან. დიდი და ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ ედმუნდმა და კნუდმა დადეს ზავი, რომლითაც ინგლისი ორივე მხარემ გაინაწილა. საზღვრად აღიარებულ იქნა მდინარე ტემზა. მაგრამ ზავის დადების რამდენიმე დღის შემდეგ ედმუნდი მოულოდნელად გარდაიცვალა და გაერთიანებული ინგლისის მეფედ კნუდი ანუ კანუტი გახდა. ასეთი გამარჯვებით დამთავრდა დანიელების ბრძოლა ინგლისისათვის და ამით დაიწყო დანიელთა მეფის კნუდ დიდის 18-წლიანი მმართველობა (1017 – 1035).

ინგლისი კნუდის მმართველობის ხანაში. დანიელი მეფის კნუდის გაერთიანებულ სამეფოში შედიოდა: ინგლისი, დანია, შვეციისა და ნორვეგიის ნაწილები, პრუსების ლიტველთა ტომის ოლქი და პომერანია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კნუდი თავისი შვიდი სამფლობელოდან უპირატესობას ინგლისს აკუთვნებდა.

თავისი ტიტულის დასახელებისას. პირველ რიგში ინგლისს მოიხსენიებდა. მან თავის რეზიდენციად ინგლისი გახადა და ცხოვრობდა არა „დანიური უფლებების მხარეში", არამედ სამხრეთ-ინგლისში, საქსების ძირითად ოლქში — უესექსში.

კნუდი ცდილობდა უფრო მეტად ინგლისელებს დაახლოებოდა. სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე ის ძირითადად ინგლისელებს ნიშნავდა. ამიერიდან ინგლისელი დიდებულებისათვის ფართოდ იყო კარი გაღებული დანიაში. აგვე, ინგლისელებთან დაახლოების მიზნით, მან ცოლად შეირთო ეტელრედის ქვრივი ემა, რომელიც თავისი შვილებით ედუარდითა და ალფრედით ნორმანდიაში იმყოფებოდა. ემამ შვილები ნორმანდიაში დატოვა და თვითონ კნუდთან წავიდა ინგლისში.

ვიდრე კნუდი მოექცეოდა მმართველობის სათავეში, ინგლისი დაყოფილი იყო 39 ცალკე საგრაფოდ ანუ, როგორც მაშინ ინგლისში უწოდებდნენ, შაირებად. შაირების სათავეში იმყოფებოდნენ სამხედრო ხელმძღვანელნი: ელდორმენი (ealdorman) და შერიფი (sheriff), მოხელენი, რომელთაც სამეფო შემოსავალთა აკრეფა ევალებოდათ. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ უესექსი წარმოადგენდა. მას ცალკე არ ჰყავდა ხელმძღვანელები ელდორმენებისა და შერიფების სახით, იგი მეფის საკუთრებად ითვლებოდა. კნუდმა ეს გარემოება შეცვალა. უესექსზე თავისი უშუალო მმართველობა გაუქმა და მასაც შერიფი დაუნიშნა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უესექსის მმართველი სხვებთან შედარებით მოწინავე ადგილს იკავებდა და მეფის მოადგილედ ითვლებოდა. კნუდმა უესექსის მმართველად და, მაშასადამე, თავის მოადგილედ ინგლისელი გოდვინი დანიშნა. ამით ჩაეყარა საფუძველი ინგლისში გოდვინების საგვარეულოს გაძლიერებას.

კნუდის პოლიტიკა ნაკარნახევი იყო ფეოდალიზაციის გზაზე დამდგარი მსხვილი მიწათმფლობელობის ინტერესებით. მან საყოველთაო გადასახადი „დანიელების ფული" კვლავ შემოინარჩუნა და კიდეც განამტკიცა, მიუხედავად იმისა, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი გროვდებოდა დანიელების საწინააღმდეგოდ. ეს გადასახადი მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას და მისი მიწაზე მიმაგრების პროცესი დააჩქარა. მეორე მხრივ, ამავე გადასახადმა ადგილობრივი მაგნატების ძალა-უფლება გააძლიერა. რადგან ეს უკანასკნელნი პასუხისმგებელნი იყვნენ ამ გადასახადის სრულად აკრეფაზე, ცხადია, რომ გადასახადების გამღები გლეხობა მათ უნდა დამორჩილებოდა.

კნუდის დროს ინგლისში გრძელდებოდა კანონმდებლობის გაერთიანება და კიდეც გამოიცა კანონთა კრებული, რომელსაც საფუძვლად დაედო როგორც ანგლო-საქსების, ისე დანიელების კანონები. ამ ორი, სხვადასხვა მოდგმის ხალხის კანონთა გაერთიანება მოწმობს იმას, რომ ინგლისში მყოფი დანიელების სოციალურ-ეკონომიური წყობილება და ყოფა-ცხოვრება ინგლისელებისას გაუთანაბრდა. და, რომ ფეოდალიზაცია ინგლისში თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. კნუდის კანონმდებლობა ეს იყო ფეოდალიზაციით შექმნილი მდგომარეობის იურიდიული კაფორმება.

მიუხედავად ამისა, კნუდის გაერთიანებული სამეფო დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. თუ ინგლისში მყოფ დანიელებსა და ინგლისელებს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიური სხვაობა წაიშალა, სამაგიეროდ ნორვეგიისა და დანიის ეკონომიური განვითარება სრულად არ ემთხვეოდა ინგლისისას. პირველ ორში, მართალია, ფეოდალიზაცია დაწყებული იყო. მაგრამ თემური წყობილების ნაშთები მათში ჯერ კიდევ ძლიერი იყო და შედარებით ეკონომიურად განვითარებულ ინგლისთან ყოფნა მათ არ შეეძლოთ. ამგვარად, ამ ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანება დამოკიდებული აღმოჩნდა უფრო მეტად მეფის უნარიანობაზე და ამიტომ იგი დაიშალა კნუდის გარდაცვალებასთან ერთად. ამას თან მოჰყვა დანიელთა ბატონობის მოსპობაც ინგლისში.

ინგლისი ნორმანების შემოსევის წინ. კნუდი გარდაიცვალა 1035 წელს. მის შვილებს ჰაროლდსა და გარდიკანუდს შორის ატყდა ბრძოლა პირველობისათვის. იგი დამთავრდა იმით, რომ ინგლისი კვლავ დანაწილდა. ჩრდილოეთში ჰაროლდი გამეფდა, ხოლო სამხრეთში—გარდიკანუდი. ინგლისში ატეხილი შინაგანი ბრძოლით ისარგებლა ნორმანდიამ და მისმა ჰერცოგმა, ინგლისის ყოფილი მეფის უმცროსი შვილი ალფრედი 900 რაინდით გააგზავნა ინგლისში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. მაგრამ ნორმანდიის ჰერცოგის ეს ექსპედიცია მარცხით დამთავრდა. მართალია, ალფრედმა ინახულა გოდვინი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ალფრედი ხელთ იგდეს ჰაროლდის კაცებმა და თვალები დასთხარეს, ხოლო მისი თანამხლებლები ამოსწყვიტეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ალფრედი გარდაიცვალა.

ჰაროლდის გარდაცვალების შემდეგ ინგლისი გარდიკანუდმა გააერთიანა. მან შეცვალა თავისი მამის პოლიტიკა და შეეცადა ყველაფერში დანიელები გაებატონებინა. ინგლისელებისაგან ის ჰკრეფდა ხარკს დანიელთა სასარგებლოდ და ცდილობდა ყველა

ბალალ თანამდებობებზე ეს უკანასკნელნი დაენიშნა. ყველაფერმა ამან ინგლისელებში გამოიწვია დიდი უკმაყოფილება. რის შედეგადაც ქვეყნის ცალკეულ მხარეებში დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობა. ასეთ ვითარებაში გარდიკანუდი მოულოდნელად გარდაიცვალა. ამ მოძრაობას სათავეში გოდვინი ჩაუდგა და ვიდრე დანიელები მოასწრებდნენ ახალი მეფის არჩევას, მან ზედიზედ დაამარცხა დამპყრობლები და ინგლისიდან განდევნა. ამის შემდეგ ინგლისელებმა გადასწყვიტეს, რომ მეფედ ეტელრედის უფროსი შვილი ედუარდი მოეწვიათ, რომელიც ნორმანდიაში იმყოფებოდა.

ედუარდ „აღმსარებელი" (1042 — 1066) ბავშვობიდანვე ნორმანდიაში იზრდებოდა. ცხადია, რომ ის ნორმანდიის ჰერცოგის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. როცა იგი ნორმანდიიდან ინგლისში დაბრუნდა სამეფო ტახტის მისაღებად, მას თან ახლდნენ უამრავი მრჩეველი და ამალის წევრი ნორმანდიელ, ბურგუნდელ და ფლამანდიელ დიდებულებიდან. მათი რიცხვი შემდეგში კვლავ იზრდებოდა ახლად მოსული პირებით. ინგლისური წარმოშობის მეფემ სამეფო სასახლე უცხოელებით გაავსო. მათთვის მეფის მიერ შექმნილი პრივილეგირებული მდგომარეობა შურს აღვივებდა ინგლისელ დიდებულთა შორის, მით უფრო, რომ მეფე მთლიანად უცხოელთა გავლენის ქვეშ აღმოჩნდა.

სახელმწიფო აპარატში ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობანი ახლა ნორმანდიელებმა დაიკავეს. კენტერბერის არქიეპისკოპოსის ადგილიც კი, მათ ხელში აღმოჩნდა მიუხედავად ამ თანამდებობის არჩევითი ხასიათისა, ედუარდმა მასზე ნორმანდელი ბერი რობერტი დანიშნა. გოდვინი, რომლის ხელიდანაც ედუარდმა მიიღო სამეფო გვირგვინი და ცოლად მისი ქალიშვილი შეირთო, სულ უფრო და უფრო სცილდებოდა მართვა-გამგებლობის საქმეებს. უკმაყოფილოდ დარჩენილი გოდვინი თავის მხრივ, თავის გარშემო იკრებდა ყველა იმ პირებს, რომელნიც მეფის ნორმანდული პოლიტიკის ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ედუარდ აღმსარებლის მმართველობის ისტორია სამეფო ხელისუფლებაზე გავლენის მოპოვებისათვის გოდვინებსა და ნორმანდელებს შორის — განუწყვეტლად წარმოებული ბრძოლის ისტორიაა.

განხეთქილება გოდვინსა და მეფეს შორის დუვრში მომხდარი ამბებით დაიწყო. მეფის ნორმანდულ ამალაში იმყოფებოდა აგრეთვე ბულონელი გრაფი, ამაყი და ამავე დროს მეტად გოროზი პიროვნება. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, ის თავისი რაინდებით დუვრში გაჩერდა ღამის გასათევად. ნორმანდელების უხეშმა საქ-

ციელმა მოქალაქეთა ამბოხი გამოიწვია. დუვრელებმა ბრძოლაში 19 რაინდი მოკლეს. თვით გრაფმა ძლივძლივობით მოასწრო დუვრიდან გაქცევა. დუვრი უესექსის საგრაფოს ეკუთვნოდა, რომლის გრაფიც გოდვინი იყო.

მეფე ედუარდმა გამოიძახა გოდვინი და მისცა წინადადება — დუვრის მოსახლეობა სასტიკად დაესაჯა, მაგრამ უკანასკნელმა მეფის ბრძანება არ შეასრულა და თავისი თანამხლებლებით გაიქცა. ამას მოჰყვა გოდვინის ქონების კონფისკაცია. თვით გოდვინს უიტენაგემოტმა დაუსწრებლად გაძევების განაჩენი გამოუტანა, ხოლო გოდვინის ქალიშვილი მონასტერში გაგზავნეს. ამგვარად, მეფის სასახლის კარზე ნორმანდიელებმა და მათი ორიენტაციის მომხრეებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს. გოდვინის გაქცევის შემდეგ ნორმანდიელთა საწინააღმდეგოდ ვეღარავინ ბედავდა გამოსვლას. ასეთ ვითარებაში ინგლისს სტუმრად ეწვია თვით ნორმანდიის ჰერცოგი ვილჰელმი, რომელსაც ინგლისში მყოფმა ნორმანდიელებმა დიდი ზეიმი მოუწყვეს.

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემონათქვამს ნორმანების შესახებ, არც ისე საკვირველი გახდება ნორმანდიის ჰერცოგის ვილჰელმის გადაწყვეტილება ინგლისის დაპყრობის შესახებ. ინგლისის დაპყრობა ნორმანდელების მიერ დიდი ხნით ადრე მზადდებოდა. ვიდრე ვილჰელმი თავის შეიარაღებულ ძალებს გადმოსხამდა ინგლისის ტერიტორიაზე. ამჟამად კი ნორმანდელების სიხარული მოპოვებული წარმატებით, ცოტა არ იყოს, ნაადრევი აღმოჩნდა.

რაც მეტ თავაშვებულობას იჩენდნენ ნორმანდელები მეფის სასახლეში, იმდენად იზრდებოდა გოდვინის მომხრეთა წინააღმდეგობა, გოდვინის სახელი უცხოელთა წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ გადაიქცა. ინგლისში დღითი-დღე იზრდებოდა მოძრაობა ნორმანდელების წინააღმდეგ. როცა მოძრაობამ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია, გოდვინი თავისი შვილით, ჰაროლდითა და შეიარაღებული რაზმებით ინგლისში გადმოვიდა და იწყო ლონდონისაკენ სვლა. გზა და გზა მისი შეიარაღებული ნაწილები თანდათან იზრდებოდნენ. ლონდონის მოსახლეობაც მალე გოდვინის მხარეზე გადავიდა და ედუარდ აღმსარებელი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.

ბოლოს და ბოლოს, გოდვინებმა გაიმარჯვეს. მათ მეფე მთლიანად თავიანთი გავლენის ქვეშ მოიქციეს. ამ დროისათვის მთელი ინგლისი ექვს დიდ საგრაფოდ იყო დაყოფილი. აქედან სამი საგ-

რაფო გოდვინების კუთვნილებაში აღმოჩნდა. ნორმანდელები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ინგლისი და თავიანთ სამშობლოში -- ნორმანდიაში წასულიყვნენ. ძალე გოდკინი გარდაიცვალა. მისი შვილი ჰაროლდი უკუექსის გრაფად და მეფის მოადგილედ დაინიშნა. 1066 წლის დასაწყისში, ედუარდ „აღმსარებლის" გარდაცვალების შემდეგ ინგლისის უიტენაგემოტმა ჰაროლდი მეფედ გამოაცხადა.

ჰაროლდის მეფედ გამოცხადებას თუმცა უიტენაგემოტმა ერთსულოვნად მხარი დაუჭირა, მაგრამ ჩრდილოეთ-ინგლისის ორი ოლქი: მერსია, და ნორტუმბერლანდი ანუ ნორტუმბრია ასეთი არჩევანის წინააღმდეგ წავიდა. ამ ოლქებმა ჰაროლდი მეფედ არა აღიარეს. შემდგომში ჰაროლდს პირადად ჩრდილოეთში წასვლა დასჭირდა ამ ოლქების დასამორჩილებლად. ამ ოლქების გრაფები: ედვინ მერსიელი და მორკერ ნორტუმბრიელი იძულებულნი გახდნენ მას დამორჩილებოდნენ, მაგრამ ხელსაყრელი პირობების შექმნის შემთხვევაში ისინი კვლავ მოისურვებდნენ დამოუკიდებლობის მოპოვებას. ინგლისის შინაგანი მდგომარეობა იმითაც რთულდებოდა, რომ ნორმანდელების ინგლისიდან წასვლის შემდეგ ინგლისში მნიშვნელოვანი რაოდენობით ნორმანდიის ორიენტაციის მქონე პირები აღმოჩნდნენ.

იმდროინდელ ინგლისს სხვა მხრივაც მოელოდა საფრთხე. ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე ჰაროლდი მეფედ გახდებოდა, მისი ძმა ტოსტი ნორტუმბერლანდის გრაფად იყო დანიშნული. ამ უკანასკნელმა საქმე ისეთნაირად წარმართა, რომ მას ნორტუმბერლანდის მოსახლეობა აუჯანყდა. ჰაროლდს დაევალა აჯანყების მიზეზის გამოკვლევა. სამეფო ხელისუფლების წინაშე მან განაცხადა, რომ აჯანყების საქმეში დამნაშავეა მისი ძმა. ტოსტი ამის შემდეგ ნიდერლანდებში გაიქცა და იქ ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს ძმისათვის სამაგიეროს გადასახდელად.

ნორმანდიის ჰერცოგის ვილჰელმის მზადება ინგლისის დასაპყრობად. ედუარდ „აღმსარებლის" გარდაცვალებისთანავე, იმის გამო, რომ თითქოს ედუარდმა თავისი ანდერძით, როგორც უშვილომ, მას გადასცა ინგლისის სამეფო ტახტი, ვილჰელმმა ინგლისზე პრეტენზია განაცხადა და იწყო მზადება მის დასაპყრობად. პირველ რიგში საჭირო იყო მოკავშირის მოძებნა. ასეთ მოკავშირედ ძლიერი რომის პაპი გამოდგებოდა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, რომის პაპი უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ვილჰელმის ასეთი ავანტურისტული წამოწყებით.

ფეოდალურ ევროპაში არსებულ კათოლიკურ ეკლესიათა შორის რომის პაპს ყველაზე ნაკლებად ინგლისის ეკლესია ემორჩილებოდა. ინგლისის ეკლესიაში დაშვებული იყო მრავალი თავისებურება. რაც პაპისათვის მიუღებელი იყო. ნაცვლად იმისა. რომ ინგლისის ეკლესიაშიც გაბატონებულიყო ლათინური ენა. წირვა-ლოცვას ანგლო-საქსონურ ენაზე აწარმოებდნენ. გარდა ამისა. ლუნიერი მოძრაობის საწინააღმდეგოდ საეკლესიო საქმეებს საერო და საერო წოდებათა წარმომადგენელნი ერთად აგვარებდნენ. ცალკე საეკლესიო კრებები არ იმართებოდა. სასულიერო წოდება მთლიანად დაქვემდებარებული იყო საერო კანონმდებლობისადმი. რომის პაპი უკმაყოფილო იყო იმითაც. რომ ინგლისში ეპისკოპოსების დანიშვნა ხშირად პაპების ნება-სურვილის გარეშე ხდებოდა.

როდესაც ვილჰელმმა დახმარებისათვის რომის პაპს მიმართა. უკანასკნელმა მას სიამოვნებით აღუთქვა დახმარება. პაპმა გამოაქვეყნა ბულა. რომელშიაც ჰაროლდი გამოცხადებული იყო უზურპატორად. ხოლო ინგლისის კანონიერ მეფედ — ვილჰელმი. ამასთან პაპი ყველას მოუწოდებდა ვილჰელმს გაჰყოლოდნენ „საღმრთო საქმეში“ ინგლისის დასაპყრობად. ამიტომ „ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობა ერთდროულად შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სკანდინაველების უკანასკნელი შემოსევები და როგორც ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა“[1].

პაპის ბულის გამოქვეყნების შემდეგ ვილჰელმმა მთელ საფრანგეთში დაგზავნა თავისი აგენტები. რომელნიც დაუცხრომლად მოუწოდებდნენ მოსახლეობას ამ ჯვაროსანთა ლაშქრობაში მონაწილეობისაკენ. ნორმანდიის საჰერცოგოს შეიარაღებულ ძალებს დღითი დღე ემატებოდნენ ყველა ჯურის ავანტიურისტები და თავზეხელაღებული ადამიანები. საფრანგეთის თითქმის ყველა საჰერცოგოდან და საგრაფოდან. მალე ჰაროლდის ნაწყენი ძმა ტოსტიც გამოჩნდა. ვილჰელმის წაქეზებითა და დახმარებით იგი გაეშურა ჩრდილოეთისაკენ ინგლისზე სხვა მიმართულებით დასარტყმელად და ძმისათვის სამაგიეროს გადასახდელად.

სათანადო წყაროების მიხედვით მეტად გაზვიადებულია ვილჰელმის შეიარაღებული ძალების რაოდენობა. მაკლაკოვი თავის ნაშრომში «Завоевание Англии норманнами»[2] წერს, რომ ვილჰელმმა თავი მოუყარა 60000-ზდე კაცსა და 700 ხომალდს, მორ-

---

[1] მორტონის აღნიშნული შრომა. გვ. 56.

[2] Книга для чтения, под редак. П. Виноградова, выпуск третий, გვ. 22.

ტონის მიხედვით, ვილჰელმის ჯარების რაოდენობა 12 000 კაცს არ აღემატებოდა[1], ხოლო რაზინი (История военного искусства. ტ. II გვ. 178) ნორმანების შეიარაღებულ ძალებს განსაზღვრავს 7—10 ათასი კაცით. ვფიქრობთ, რომ მორტონის მონაცემები ჰასტინგსთან ვილესთან უფრო ახლო უნდა იდგეს. მთელ ამ ავანტიურისტთა ხროვას წინ მიუძღოდა ვილჰელმი (შემდეგში დამპყრობელად წოდებული), რომელიც იბრძოდა რომის პაპის მიერ ბოძებული საბრძოლო დროშით.

ნორმანდელების ბრძოლა ინგლისელებთან და ინგლისის დაპყრობა. ვილჰელმის მზადება ომისათვის ჰაროლდმა ადრევე შეიტყო და ამიტომ ინგლისიც მოემზადა თავდაცვისათვის. ჰაროლდმა ინგლისის ჩრდილოეთ საგრაფოების თავდაცვა ედვინსა და მორკერს დაავალა, თვითონ კი შეიარაღებული ძალებით გაემართა სამხრეთ სანაპიროსაკენ, საიდანაც მოსალოდნელი იყო ნორმანდელების (ვილჰელმის) თავდასხმა. იგი მთელი ოთხი თვის განმავლობაში (1066 წლის გაზაფხულის ბოლო და ზაფხული) ელოდებოდა მოწინააღმდეგესთან შეხვედრას. ჰაროლდის ჯარებში ჩამოვარდა უკმაყოფილება. მტერი არ ჩანდა, ხოლო ყანების მომკის დრო კი ახლოვდებოდა. მეომრები მოითხოვდნენ შინ დაბრუნებას. რამდენიმე დღის შემდეგ ჰაროლდის ბანაკში მიღებულ იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ ჰაროლდის ძმამ ტოსტიმ და მისმა სეხნიამ, ნორვეგიის მეფემ გადმოლახეს ინგლისის ჩრდილოეთი საზღვრები და იორკი დაიპყრეს.

საჭირო შეიქნა სწრაფი მოქმედება. ჰაროლდმა თავი მიანება სამხრეთს და ჩრდილოეთისაკენ გაეშურა. თავისი ჰაუსკერლებით (ცხენოსანი ნაწილები) იგი სწრაფად მიადგა სტამფორდბრიჯს, რომლის მახლობლადაც გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა. 25 სექტემბერს ჰაროლდმა მტრები სასტიკად დაამარცხა და ინგლისიდან განდევნა. ამ ბრძოლაში მოკლულ იქნა, როგორც ნორვეგიის მეფე. ისე — ტოსტიც.

ვიდრე ჰაროლდი ჩრდილოეთში იმყოფებოდა, ვილჰელმ „დაპყრობელი“, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე თავისი ჯარებით პევენსში გადავიდა. ნორმანდელების ინგლისში გადასვლის შესახებ ჰაროლდმა ცნობა მიიღო მხოლოდ პირველ ოქტომბერს. იგი სასწრაფოდ დაიძრა სამხრეთისაკენ. ლონდონში მან რამდენიმე დღე დაჰყო იმისათვის, რათა მაშველი ძალებიც მოსულიყვნენ. მაგრამ ედვინი და მორკერი თავიანთი ძალების გამოყვანას განგებ

[1] იხ. მორტონის დასახელებული შრომა, გვ. 56.

აგვიანებდნენ. მათ ეგონათ, რომ ვილჰელმის ხელში ისინი უფრო მეტ დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ, ვიდრე ჰაროლდის მმართველობის დროს. ჰაროლდს დაყოვნება აღარ შეეძლო. შექმნილი ვითარება მოითხოვდა სწრაფ მოქმედებას და იგი მთელი თავისი ძალებით გაემართა ჰასტინგსისაკენ, დაბანაკდა სენლაკის გორაკზე. ჰასტინგსთან ახლოს, რომლის მახლობლადაც განლაგებული იყო ვილჰელმის ჯარი.

მოწინააღმდეგეთა ჯარები თავიანთი სამხედრო მნიშვნელობით ერთი-მეორისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდნენ. ნორმანდელი რაინდები მთლად ჯავშანში იყვნენ ჩამსხდარნი და ძირითადად ცხენოსან რაზმებს წარმოადგენდნენ. მათ საბრძოლო იარაღიც უკეთესი ჰქონდათ, ვიდრე ანგლო-საქსებს, რომელნიც უმთავრესად ცულებით და შვილდ-ისრებით იყვნენ შეიარაღებულნი და თავდაცვისკარგი საშუალებებიც არ გააჩნდათ. ნორმანდელ რაინდებთან შეიძლებოდა მხოლოდ ჰაუსკერლების დაპირისპირება. მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ჩრდილოეთში წარმოებული ბრძოლების დროს დაიღუპა, ხოლო დანარჩენი მოქანცული აღმოჩნდა. გარდა ამისა, ანგლო-საქსები ძლიერნი იყვნენ მხოლოდ მწყობრში, ორთა ბრძოლებში კი ისინი ძალზე მოისუსტებდნენ.

ანგლო-საქსების ერთადერთი უპირატესობა ის იყო, რომ მათ მოხერხებული პოზიცია დაიკავეს. ისინი ტყით დაფარულ გორაკებზე განლაგდნენ ისე, რომ მტერს ზურგიდან შემოვლა არ შეეძლო. პირდაპირ მისვლა კი მწყობრში ჩამდგარ ანგლო-საქსებზე დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. საქსების მიზანი იყო მტრის წინმსვლელობის შეჩერება. მაშასადამე, ჰაროლდს პირველ ხანებში მხოლოდ თავდაცვითი ბრძოლა უნდა ეწარმოებინა.

ბრძოლა ჰასტინგსთან 1066 წლის 14 ოქტომბერს დაიწყო. იერიშები ნორმანების მეისრეებმა დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ მათი ძალები რიცხობრივადაც და ისრების შორს ტყორცნითაც მოწინააღმდეგეს სჭარბობდნენ, მაინც იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ, რადგან ანგლო-საქსები მაღლობებიდან მტერს უფრო მეტ ზიანს აყენებდნენ. ადგილმდებარეობამ ხელი შეუწყო ჰაროლდის ნაწილებს მტერი მეორედაც უკუექციათ, როცა ნორმანების ცხენოსნებმა და ქვეითებმა ერთად მიიტანეს იერიში. აღმართზე სვლა ნორმანდელებს გაუჭირდათ. მაშინ ვილჰელმმა „სკვითების ტაქტიკა“ გამოიყენა. უბრძანა თავის ცხენოსნებს ერთხელ კიდევ მიეტანათ იერიში მოწინააღმდეგეზე და უცებ უკან გამოქცეულიყვნენ იმ მიზნით, რომ მოწინააღმდეგეს მიეტოვებინა თავისი ხელსაყრელი ადგილი და უკან დადევნებოდა. მოხერხებულმა ტაქტი-

ცამ გასჭრა. ანგლო-საქსები გამოიტყუეს ვაკეზე. აქ კი, რაინდობას ჭრის განადგურების მეტი შესაძლებლობა მიეცა. ანგლო-საქსები დამარცხდნენ. ჰაროლდი მოკლეს.

ნორმანდელებისათვის ჰასტინგსთან ბრძოლის მოგება ნიშნავდა მთელი ინგლისის ხელში ჩაგდებას, ვინაიდან ორგანიზებული წინააღმდეგობა დამპყრობლებს თითქმის აღარ შეხვედრიათ. პევენსიან ნორმანდელების მოსვლიდან სამი თვის შემდეგ. 25 დეკემბერს ვილჰელმ დამპყრობელი ლონდონში ინგლისის მეფედ იქნა გამოცხადებული. დაპყრობილ ადგილებში დაიწყო ინგლისელების მიწების კონფისკაცია და მათი გადაცემა ნორმანდელ დამპყრობლებისათვის. მიწებით, პირველ ყოვლისა, დასაჩუქრებულნი იქნენ ვილჰელმის ნათესავები, თანამებრძოლნი და ნორმანდიიდან მოსული სასულიერო პირები. ნორმანდელებმა დაიტაცეს აგრეთვე მოძრავი ქონება — ოქროსა და ვერცხლის სახით. ნადავლის მნიშვნელოვანი ნაწილი რომის პაპს გაეგზავნა საჩუქრად. ნორმანდელების მიერ წარმოებული ძარცვა-რბევა და არაადამიანური მოპყრობა სწრაფად გავრცელდა ინგლისის ჩრდილოეთ ნაწილშიაც, სადაც ნორმანდელების ძირითადი ძალები ჯერ კიდევ არ იყვნენ მისულნი.

დამპყრობელთა ასეთმა ქცევამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში. დამპყრობელთა წინააღმდეგ ჯერ აჯანყდა ინგლისის დასავლეთი ნაწილი, რომელშიაც მოძრაობის ცენტრად ხალხმრავალი ქალაქი ეკზეტერი გადაიქცა. ვიდრე აჯანყებულთ სხვა რაიონები დაეხმარებოდნენ, ვილჰელმ დამპყრობელმა მოასწრო ამ ქალაქის დაკავება და აჯანყება სისხლში ჩაახშო. ქალაქს უზომო ხარკი გადაახდევინა, მან თავისი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით ამ მხარეებში ააგო ციხე-სიმაგრეები და შიგ ნორმანდელთა გარნიზონები ჩააყენა. ყველაფერი ეს მან მოახერხა მანამდე, სანამ ჩრდილოეთში დაიწყებოდა ახალი და უფრო საშიში აჯანყება დამპყრობელთა წინააღმდეგ.

ჩრდილოეთ ინგლისის აჯანყება საშიში იყო, რადგან მის შეიარაღებულ ძალებს ჰასტინგსთან ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია და ცოცხალი მებრძოლი ძალა შენარჩუნებული ჰყავდა. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ნაწილში თავისუფალი გლეხობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვებოდა. ნორმანდელ დამპყრობლებს ინგლისში თან მოჰქონდათ დაყმევების უფრო მკაცრი ფორმები, რის წინააღმდეგაც არ შეიძლებოდა არ ამხედრებულიყვნენ თავისუფლებისმოყვარე გლეხები. მაგრამ ვიდრე ამ ადგილებში მოძრაობა აჯანყებაში გადაიზრდებოდა, ვილჰელმ დამპყრო-

ბელი თავისი ჯარებით იორკს მიადგა. იქ მყოფი ჩრდილოეთის ჯარის ნაწილი დაშალა და ციხე-სიმაგრეები ააგო. ამის შემდეგ კი, აქაც დაიწყო მიწების კონფისკაციის გატარება.

იორკიდან ვილჰელმის დაბრუნების შემდეგ იორკი კვლავ აჯანყდა. ამჯერად აჯანყებულებს დანიელებიც დაეხმარნენ. იორკში ორივე ციხე-სიმაგრე აჯანყებულებმა დაანგრიეს და იქ მყოფი ნორმანდული გარნიზონები ამოხოცეს. ვილჰელმმა კვლავ გაილაშქრა აჯანყებულთა წინააღმდეგ და 1069 წელს იორკი აიღო. დამპყრობლებმა მთელი იორკის ველი ცეცხლით გადასწვეს. გლეხთა დიდი რაოდენობა ბრძოლაში გაწყდა, ყველაფერი, რისი განადგურებაც კი შეიძლებოდა, მტერმა გაანადგურა. ჩრდილოეთის საგრაფოების შესახებ. ჩვიდმეტი წლის შემდეგ ჩატარებული ინგლისის საყოველთაო აღწერის მასალებში ნათქვამი იყო: „უკაცრიელი ადგილი"; „ცხრა წლის განმავლობაში არავის უცდია მიწების დამუშავება", „იორკსა და დიორგებს შორის არც ერთი ქალაქი არ გადარჩენილა" და სხვ. ნორმანდიელების მხეცობა ისეთი საშინელი აღმოჩნდა, რომ ამის შემდეგ რაიმე ახალი აჯანყების მოწყობა სრულიად უაზრო ხდებოდა. დამპყრობელთა ბატონობა ახლა ურყევი შეიქმნა.

ინგლისის გაბატონებულ კლასში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები ნორმანდელების დაპყრობის შემდეგ. ვილჰელმსა და მის დამქაშებს ამიერიდან თავისუფლად შეეძლოთ ინგლისზე თავიანთი გამარჯვებით ფართოდ ესარგებლათ. მიწების დაწყებულმა კონფისკაციამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ინგლისური წარმოშობის მქონე არისტოკრატიამ დაკარგა რა თავისი ეკონომიური ძლიერება, პოლიტიკურადაც არარაობად იქცა[1] მისი პრივილეგიები და პოლიტიკური უფლებები ახლა ნორმანდელ დამპყრობელთა ხელში გადავიდა. მაგრამ ვილჰელმს კარგად ესმოდა, რომ განდიდებული ნორმანდელი ფეოდალები არანაკლებ სახიფათონი იქნებოდნენ ცენტრალური, სამეფო ხელისუფლებისათვის, ამიტომ მათთვის მიწების გადაცემა თავისებური ხერხით წარმართა. ნორმანდელ ფეოდალებს მიწები გადაეცათ არა კომპაქტურად, არამედ სხვადასხვა საგრაფოში. მიწების ამგვარი განაწილების დროს ფეოდალი რაგინდ მსხვილი მიწათმფლობელიც არ უნდა გამხდარიყო, მისი ძალები დაქსაქსული იქნებოდა ქვეყნის სხვადასხვა მხა-

---

[1] ანგლოსაქსელ ლორდთა მნიშვნელოვანი ნაწილი ან დაიღუპა ან ინგლისიდან გადაიხვეწა.

რეში და, მაშასადამე, განდგომის შემთხვევაში იგი სამეფო ხელისუფლებისადმი დიდად საშიში ვერ იქნებოდა.

ახალმა ფეოდალობამ რაკი მიწები უშუალოდ მეფის ხელისუფლებისაგან მიიღო, ამიტომ მათი ვასალური დამოკიდებულება მეფესთან უფრო მტკიცე უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა კონტინენტალურ ევროპაში. ამის საფასურად ფეოდალები ვალდებულნი იყვნენ მეფისათვის სამხედრო სამსახური გაეწიათ. გარდა ამისა, მათ მნიშვნელოვანი გადასახადები უნდა გაეღოთ მეფის სასარგებლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფეოდალის მამული მემკვიდრეობით გადავიდოდა მამიდან შვილზე („რელიეფი"). ამას დაემატა ისიც, რომ ვილჰელმმა ფეოდალურ ევროპაში არსებული წესი — „ჩემი ვასალის ვასალი, არაა ჩემი ვასალი" დაარღვია და მის ნაცვლად ყველა ვასალისაგან მოითხოვა მეფის ხელისუფლებისადმი უშუალო დამორჩილება.

1086 წელს, ინგლისის აღწერის ჩატარების შემდეგ ვილჰელმმა, ქრონიკის გადმოცემით, — „არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებს, აბატებს, გრაფებს, ბარონებსა და შერიფებს უბრძანა თავიანთი რაინდებით პირველ აგვისტოსათვის მასთან გამოცხადებულიყვნენ სოლსბერიში და როცა ყველა მათგანი გამოცხადდა, მან აიძულა ისინი ერთგულების ფიცი დაედოთ მისთვის". ამგვარად, ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობის შედეგად სამხედრო-ფეოდალურმა სისტემამ მკაცრი ცენტრალიზებული ხასიათი მიიღო, რაც ინგლისის სამეფო ხელისუფლება მნიშვნელოვნად განამტკიცა.

არანაკლები ცვლილებები მოხდა გაბატონებული კლასის მეორე ფენაში — სასულიერო წოდებაში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვილჰელმ დამპყრობელმა თავისი გამარჯვება რომის პაპის დახმარებით მოიპოვა. პაპს იმედი ჰქონდა, რომ ვილჰელმის სახით ინგლისში მას საიმედო მოკავშირე ეყოლებოდა და მისი დახმარებით ინგლისის ეკლესიას ისე გარდაჰქმნიდა, როგორც ამას კლუნიური მოძრაობა მოითხოვდა. მართლაც, ინგლისში გაბატონების შემდეგ ვილჰელმმა მოხსნა კენტერბერის არქიეპისკოპოსი სტიგანდი და მის ნაცვლად ცნობილი ლანფრანკი დანიშნა. მოხსნილნი აღმოჩნდნენ თითქმის ყველა დანარჩენი ეპისკოპოსები და აბატები, რომელთა ადგილი ფრანგებმა და ნორმანდელებმა დაიკავეს.

ვილჰელმმა ამის შემდეგ ეკლესია უხვად დაასაჩუქრა. მან ახალ სასულიერო წოდებას შეუქმნა მეტად პრივილეგირებული მდგომარეობა. ვილჰელმის ერთგული ეპისკოპოსები და აბატები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეფო საბჭოს საქმიანობაში. დიპ-

ლომბარდიული მისიების შედგენისას მეფე ცდილობდა მათში სასულიერო პირებიც შეეყვანა. ინგლისის ეკლესიისათვის ჩამოყალიბებულ იქნა სპეციალური საეკლესიო სასამართლო. ამიერიდან ყველა სადავო საქმე, რაც კი წამოიჭრებოდა საეკლესიო ხაზით, უნდა განხილულიყო არა ასეულების სასამართლოში, არამედ „ეპისკოპოსთა კანონების" საფუძველზე. სასულიერო პიროვნება, ყველაზე დიდი ბოროტმოქმედების ჩადენის შემთხვევაში საეკლესიო სასამართლოს მიერ გამოტანილი ლმობიერი განაჩენით ისჯებოდა. ამ შემთხვევაში საეკლესიო სასამართლო დამნაშავესათვის საკვედურის მიცემითა და მითითებით კმაყოფილდებოდა.

ლანფრანკმა მნიშვნელოვანი ცვლილებები ჩაატარა ინგლისის ეკლესიაში, რაც ნაკარნახევი იყო კლუნიური მოძრაობის ინტერესებით. მან იწყო მონასტრებში ასკეტიზმის დანერგვა. მართალია, ცელიბატის გავრცელება პირდაპირ თეთრ სასულიერო წოდებაზე მან ვერ გაბედა, მაგრამ მაინც შეეცადა შერბილებულ ფორმებში ცხოვრებაში მის გატარებას. ძველი ქორწინებანი ძალაში დატოვა, მაგრამ ახალი დაქორწინება აკრძალულად გამოაცხადა. ცოლიანი მღვდლები კათედრალურ ტაძრებიდან მოხსნა და სოფლის სამრევლოებში გადაიყვანა. მიუხედავად ამისა, საეკლესიო რეფორმების ძირითადი საკითხი — პაპისა და მეფის დამოკიდებულება ინვესტიტურის საქმეში, უკანასკნელის (მეფის) სასარგებლოდ გადაწყდა ვილჰელმის მოთხოვნით. ლანფრანკი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ინგლისის ეკლესია რომის პაპისაგან დამოუკიდებელი ყოფილიყო.

ქრონიკა გადმოგვცემს, რომ ვილჰელმის ბრძანებით პაპის მოწერილობანი ინგლისში ძალაში ჩაითვლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს მოწერილობანი მოწონებული იქნებოდა მეფის მიერ. მეფის არც ერთი ვასალი არ უნდა განკვეთილიყო ეკლესიისაგან, არ უნდა გადასცემოდა მისი საქმე საეკლესიო სამართალს. თუ ამაზე წინააღმდეგ არ იქნებოდა მეფესთან შეთანხმება. ეპისკოპოსების დანიშვნა ინგლისში, მათთვის ინვესტიტურის გადაცემა ხდებოდა უშუალოდ ვილჰელმის და არა პაპის მიერ. მიუხედავად ამისა, გრიგოლ მეშვიდე, რომელიც ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა ანალოგიურ მოვლენათა წინააღმდეგ გერმანიაში, ინგლისის მიმართ ხმას ვერ იღებდა იმის გამო, რომ მძლავრი ვილჰელმის ძტრად გადაქცევისა ეშინოდა.

სამეფო ხელისუფლების განმტკიცება. ყველა ზემოთქმული ღონისძიებანი მიმართული იყო ცენტრალური, სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო.

დამპყრობელთა რაოდენობა დაპყრობილებთან შედარებით ძალიან უმნიშვნელოს წარმოადგენდა. რომ ნორმანდელებს ინგლისში განემტკიცებინათ თავიანთი ბატონობა, აუცილებლად უნდა მომხდარიყო ძალა-უფლების კონცენტრაცია ვილჰელმის ხელში. ამას აუცილებელს ხდიდა სხვა გარემოებაც. მტკიცე სამეფო ხელისუფლების გარეშე ახლად აღზევებული ფეოდალები, მიუხედავად მათი ნორმანდული წარმოშობისა, მაინც შეეცდებოდნენ პარტიკულარიზმი განევითარებინათ და თავიანთი შემდგომი ბატონობის საკითხი კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩაეგდოთ.

ეს ყველაფერი კარგად ესმოდა ვილჰელმ დამპყრობელს. მას ამისი გამოცდილება ადრევე გააჩნდა, როცა იგი ნორმანდიის ჰერცოგი იყო და თვალსაჩინოდ ხედავდა კაპეტინგების საფრანგეთში არსებულ ფეოდალურ ანარქიას. „ვილჰელმი რკინისებური ხელით მართავდა. პირქუში შეხედულების მქონე ამ გიგანტს, დაღვრემილსა და მიუკარებელს, განრისხებაში ულმობელს, თავის ხელქვეითებში შიშის შთანერგვა და მათი მორჩილებაში მოყვანა შეეძლო. ანადგურებდა რა ყოველგვარ წინააღმდეგობას, საიდანაც ის არ უნდა გამომდინარებულიყო, ვილჰელმი თანმიმდევრულად აძლიერებდა სამეფო ხელისუფლებას".

ინგლისის ადგილობრივი მოსახლეობისათვის მძიმე იყო ვილჰელმისა და მისი მიმდევრების — ფრანგულ-ნორმანული წარმოშობის მქონე ფეოდალების მიერ დამყარებული რეჟიმი. იმ შემთხვევაში, როცა უთანხმოება ჩამოვარდებოდა ანგლო-საქსსა და ფრანგ-ნორმანდელს შორის, ვილჰელმის ხელისუფლება დაუყოვნებლივ გამოდიოდა უკანასკნელის მხარდასაჭერად და დამპყრობელის მოკვლის შემთხვევაში სასტიკ პასუხს აგებინებდა არა მარტო მკვლელს, არამედ მთელ იმ ოლქს (ასეულს), რომელსაც მკვლელი ეკუთვნოდა. ვილჰელმი მკაცრი და საშინელი ტერორით უპასუხებდა ყველა იმათ, ვინც ცდილობდა დამპყრობელთაგან განთავისუფლებას.

როგორც აღინიშნა, ინგლისში ვილჰელმის გამეფებამდე მთელი ქვეყანა „შაირებად" იყო დაყოფილი. ვილჰელმმა ინგლისური წარმოშობის მქონე ყველა ხელმძღვანელი დახსნა და ნორმანდული წარმოშობის მქონე შერიფები დანიშნა. ამიერიდან თვით შაირებსაც ფრანგული ტერმინი — საგრაფო შეარქვეს. მეფის მოხელე-შერიფები რაკი მეფეზე იყვნენ დამოკიდებულნი, ყურმოჭრილ მონებსავით თანმიმდევრულად ასრულებდნენ მეფის ბრძანებებს. ახალმა სამეფო ხელისუფლებამ ქვეყნის მართვა-გამგებლობაში ძველად არსებული ანგლო-საქსონური დაწესებულებანიც შემოინა-

ხა. ფისკალური მიზნებისათვის გამოყენებული იყო ასეულებისა და საგრაფოების კრებები. სასამართლოს წარმოება. გადასახადების აკრეფა და სხვ. მათი მეშვეობით სრულდებოდა. ანგლო-საქსონურ ეპოქაში არსებული ყველა სახის გადასახადი ვილჰელმმა ძალაში დატოვა და სხვა ახალიც დააწესა.

ამგვარად, უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაცია დამპყრობელთა ბატონობის პირობებში უფრო მეტად გაძლიერდა. მათი დაყმევების პროცესიც უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა. საკმარისი იყო დაემოწმებინათ, რომ ესა თუ ის გლეხი წინათ ლორდს უხდიდა მცირე ღალატს, ანდა მის სასარგებლოდ ბეგარას ეწეოდა, და მან დაუყოვნებლივ ვილანების კატეგორიაში ჩასწერდნენ, რაც სრულ ყმობას ნიშნავდა[1]. თავისუფალი გლეხობა ნორმანდელებისმიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგაც მნიშვნელოვანი რაოდენობით შემორჩა, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იქ, სადაც დანიელთა მოსახლეობა ჭარბობდა. მიუხედავად ზემოთქმულისა, თავისუფალი გლეხობა შეძლებული ნაწილი მეფის მომხრედ გამოდიოდა, რადგან ნორმანდელთა ბატონობის პირობებში გლეხობაზე გაწერილი გადასახადი, ასე თუ ისე, ფიქსირებული იყო და არა ნებისმიერი. გარდა ამისა, ვილჰელმის ხელისუფლებამ შესძლო საბოლოოდ შეეწყვიტა უკხოელების შემოსევა ინგლისში. სასტიკ ღონისძიებათა გატარების შედეგად შინაგანი ფეოდალური არეულობა აღარ ხდებოდა. შეიქმნა მშვიდობიანი პირობები და გლეხობას უკვე შეეძლო თავისი მეურნეობის უკეთ მოწყობა და მოვლა.

გაითვალისწინა რა თავისუფალი გლეხების ასეთი განწყობა, ვილჰელმმა ფეოდალურ ჯარებთან ერთად ძალაში დატოვა აგრეთვე ძველად არსებული თავისუფალი გლეხების ლაშქარი. მათი დახმარებით ვილჰელმმა მეფის ხელისუფლებით უკმაყოფილოდ დარჩენილი ბარონების აჯანყება 1075 წელს სასტიკად ჩაახშო. ამ მძლავრი ადმინისტრაციული სიტენით, ძლიერი შეიარაღებული ნაწილებითა და მნიშვნელოვანი ეკონომიური რესურსების გამოყენებით ვილჰელმმა შეძლო ხელისუფლების ისეთი განმტკიცება, როგორიც ინგლისის ისტორიას მანამდე არ ახსოვდა.

სამეფო ხელისუფლების ეკონომიური სიძლიერე, უპირველესყოვლისა, მიწების სამეფო ფონდის შექმნაში გამოიხატა. ინგლისის დაპყრობის შემდეგ ვილჰელმმა თავის განკარგულებაში დაიტოვა ჩამორთმეული სახნავ-სათესი მიწების 1/7 ნაწილი. მიწებს

[1] ასეთივე ბედი ეწვიათ ნახევრად თავისუფალ გლეხებს — სოკმენებს.

სამეფო ფონდს შემდეგში კვლავ ემატებოდა ცალკეული ბარონების მიწები მათი კონფისკაციის შედეგად. გარდა ამისა, ინგლისის ტყეების ერთი მესამედი აგრეთვე მეფის საკუთრებად გამოცხადდა[1]. ტყეების ცალკეული რაიონები, რომლებიც მეფის სანადირო იყვნენ განკუთვნილნი, ნაკრძალად იქნა აღიარებული. ამ ადგილებიდან გლეხური მოსახლეობა აიყარა. ვინც მეფის ნებართვის გარეშე დაიწყებდა აქ ნადირობას, თვალებს სთხრიდნენ. ეტყობა, რომ ვილჰელმის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათაგან ყველაზე აზიზღარს „ტყის კანონების" შემოღება წარმოადგენდა. ამის დასამოწმებლად საკმარისია აღვნიშნოთ ვილჰელმის ორი შვილისა და შვილიშვილის მკვლელობა „ახალ ტყეში" ვინჩესტერის მახლობლად.

ეკონომიური და ფინანსური საქმეების მოგვარების მიზნით და თავისი ვასალების ეკონომიური ძალის გამოსავლენად ვილჰელმმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც ინგლისის საყოველთაო აღწერა დაევალა. მსგავსი რამ ფეოდალური ევროპის ისტორიას მანამდე არ ახსოვს. აღწერა ჩატარდა 1086 წელს. ყველა სოფელი, დასახლებული პუნქტი და ქალაქი აღწერეს ადგილზე ნახვითა და საათანადო დამოწმებით. აღწერის სიებიდან შედგენილ იქნა დავთარი, რომელსაც ინგლისის მოსახლეობამ საუკუნე ნახევრის შემდეგ „საშინელი სამსჯავროს წიგნი" (Domesday Book) უწოდა[2].

ეს წიგნი შეიცავს დაწვრილებით ცნობებს იმის შესახებ, თუ თვითეულ საგრაფოში რამდენი სამეფო მამული იყო, რამდენი მამული ეკუთვნოდა საერო და სასულიერო ფეოდალებს, თუ თვითეულ მამულში რამდენი გამწევი ძალა და გუთანი გააჩნდათ, რამდენი იყო მასში ვილანები, ბორდარიები, კოტერები, სერვები, თავისუფალი გლეხები და სხვ. ამასთან აღწერის მასალებში დადგენილი იყო ისიც, თუ თვითეულ მამულს რა შემოსავალი ჰქონდა ფულად ანგარიშში გადატანით. ყველაფერი ეს საჭირო იყო, კიდევ იმიტომ, რომ ამ მონაცემების მიხედვით შემდეგში მოეხდინათ გადასახადების გაწერა და დაევალებინათ ფეოდალური სამსახური. ამგვარად, „საშინელი სამსჯავროს წიგნი" ძალიან მნიშვნელოვან

---

[1] იხ. მორტონის დასახელებული შრომა, გვ. 60.

[2] დავთრის ასეთი სახელწოდება გამართლებულია მასების ამ წიგნისადმი გამოყენებელებით, რადგან აღწერის ჩატარებით მათი მდგომარეობა უფრო ცუდ რეცდა.

დოკუმენტს წარმოადგენს იმდროინდელი ინგლისის ისტორიის შესწავლის საქმეში.

„საშინელი სამსჯავროს წიგნის“ მიხედვით, ინგლისში უკვე ოთხმოცამდე ქალაქი არსებობდა. ინგლისის მოსახლეობის 5% ქალაქებში ცხოვრობდა. მართალია, ეს ქალაქები ჯერ კიდევ მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას და სოფლებისაგან ძირითადად თავიანთი ციხე-სიმაგრეების აშენებით განსხვავდებოდნენ. მაგრამ ამავე დროს მათში ვითარდებოდა ხელოსნობა და ვაჭრობა. ამ მხრივ ლონდონი მოწინავე ადგილს იკავებდა. იგი ვაჭრობას ეწეოდა არა მარტო ინგლისის შინაგან რაიონებთან, არამედ ნორმანდიასთან და ფლანდრიასთან. ამ ადგილებიდან ინგლისელი ვაჭრები სხვა სახელმწიფოებთანაც კი ამყარებდნენ სავაჭრო ურთიერთობას.

ვილჰელმის მიერ ინგლისის დაპყრობით ინგლისელ ვაჭრებს უკეთესი პირობები შეექმნათ ჯერ ერთი იმით, რომ ნორმანდია და მენი, რომელიც საფრანგეთში მდებარეობდა და რომელიც ვილჰელმის საკუთრებას წარმოადგენდა, ინგლისს შემოუერთდა პოლიტიკურად; გარდა ამისა, ვილჰელმმა ცოლად ფლანდრიის გრაფის ქალიშვილი შეირთო და ამით მიიღო შესაძლებლობა, რომ ფლანდრიასთან ვაჭრობა თავისი მფარველობის ქვეშ მოექცია. შიგნით ინგლისში „წესრიგის დამყარებით“ სავაჭრო გზები უხიფათო გახდნენ. აღარ მეორდებოდა სავაჭრო ქარავნებზე თავდასხმა და ძარცვა. ყველა ეს ერთად აღებული ხელს უწყობდა ვაჭრობის შემდგომ განვითარებას. ხოლო ქალაქებს მეფის მოკავშირედ აქცევდა.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერების პოლიტიკას ვილჰელმ დამპყრობელის გარდაცვალების შემდეგ, მისი შვილი ვილჰელმ მეორე „მწითური“ (1087—1100) განაგრძობდა. ეს უკანასკნელი ცდილობდა სამეფო ხელისუფლების გაფართოება მოეხდინა ფეოდალ-მაგნატების შესუსტების ხარჯზე. მეფემ და მისმა მრჩეველმა რანულფ ფლამბარდმა გაზარდეს ფეოდალური გამოსაღები, რომელსაც ახდევინებდნენ მეფის უშუალო ვასალებს. როდესაც რომელიმე მათგანი გარდაიცვლებოდა და მისის მემკვიდრეობა შვილს უნდა გადასცემოდა, უკანასკნელს მეფის სასარგებლოდ გაზრდილი „რელიეფი“ უნდა გადაეხადნა. ეპისკოპოსის ან აბატის გარდაცვალების შემთხვევაში დარჩენილი ქონება მეფის მემკვიდრეობად ცხადდებოდა. გარდაცვალებულის ვაკანტურ ადგილზე დიდი ხნის განმავლობაში ახალი პირი არ ინიშნებოდა იმ მოსაზრებით, რომ მონასტრებისა და ტაძრების შემოსავალი სამეფო ხელისუფლებას დარჩენოდა.

მეფის მიერ მოსახლეობისაგან ფულის „ამოქაჩვის“ პოლიტიკა ისე შორსაც მიდიოდა, რომ არ თაკილობდნენ ყოვლად უმსგავსო საშუალებებსაც კი. ქრონიკა გადმოგვცემს, რომ ერთხელ (1094 წ.) ვილჰელმ მეორემ მოითხოვა სახალხო ლაშქრის 20.000 ქვეითი მეომარი მასთან ნორმანდიაში გამოცხადებულიყო „მტერთან ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად“. რანულფმა გასცა განკარგულება, რომ მათ ჰასტინგში მოეყარათ თავი. როცა ლაშქარი დანიშნულ ადგილზე გამოცხადდა, მის მონაწილეებს ფული რაც კი რამ ჰქონდათ, ჩამოართვეს და შემდეგ სახლებში დააბრუნეს.

ბსხვილი ფეოდალური მაგნატების შესუსტება ხდებოდა აგრეთვე იმით, რომ ამ ფეოდალების სასამართლოს ფუნქციები თანდათანობით სამეფო სასამართლოზე გადადიოდა. სამეფო სასამართლოს განსამტკიცებლად უფრო მნიშვნელოვანი რეფორმები გატარებულ იქნა შემდეგში ჰენრიხ პირველის დროს. სამეფო ხელისუფლების სიმტკიცემ ინგლისში ჰენრიხ პირველის სიკვდილამდე გასტანა.

ინგლისის სოციალურ-ეკონომიური ვითარება. „საშინელი სამსჯავროს წიგნის“ მიხედვით ნორმანდელების მიერ ინგლისის დაპყრობამდე. როგორც უკვე ვიცით „საშინელი სამსჯავროს წიგნი“ შედგენილ იქნა 1086 წელს. ამ დიდი აღწერის მასალები ძირითადად განეკუთვნება სამ პერიოდს: I — ხანა, რომელიც ნორმანდელების დაპყრობას წინ უძღოდა (Tempore Regis Edvardi), II — ინგლისის დაპყრობის პერიოდი (1066 წ. quando Rex Wilhelmus in Angliam venit) და III — ოცი წლის შემდგომი პერიოდი, დღედან ინგლისის დაპყრობისა (1086 წ. Tempore Regis Wilhelmi). ე. ი. ინგლისის აღწერის მომენტი.

ინგლისში X—XI საუკუნეებში საგრძნობლად შეიჩნეოდა წარმოებითი ძალების ერთგვარი განვითარება შედარებით წინა პერიოდთან. სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობა მიწის გაუმჯობესებული დამუშავების შედეგად უფრო მეტად გაიზარდა. მეთერთმეტე საუკუნის ისტორიული მასალებიდან ჩანს, რომ ყანების გასანოყიერებლად შეჰქონდათ ბუნებრივი სასუქები. ამასთან ყანების დამუშავება წლის განმავლობაში უკვე რამდენიმეჯერ წარმოებდა (გაზაფხული, ზაფხული და ზამთარი). იმდროინდელი სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ხორბლეულის მოყვანასთან ერთად ტექნიკური კულტურების მოშენებაც დაიწყეს. ა. შ. მეთერთმეტე საუკუნეში უკვე მოიპოვებოდა: გოდორყურა (hauga), ენდრო, რომლიდანაც საღებავს ამზადებდნენ და აგრეთვე ელი, ხორბალთან და ქერთან (რომელიც

გავრცელებული იყო ჯერ კიდევ VII—VIII საუკუნეებში) ერთად გვხვდება პარკოსანი მცენარეების სახელწოდებანიც და ა. შ.

ვიდრე მოხდებოდა ნორმანდელების მიერ ინგლისის დაპყრობა, მეათე-მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ფეოდალიზმი უკვე ძირითად საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობას წარმოადგენდა. რომელიც შემონარჩუნებულ ნაშთებს სხვა სოციალურ ურთიერთობათა ფორმებისაკენ თანდათან იმორჩილებდა. ზემოხსენებული წარმოებითი ძალების ერთგვარი განვითარება გამოწვეული იყო ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის ხელშეწყობით. საზოგადოების წარმოების ძირითადი ეჯრედი - გლეხური მეურნეობა ფეოდალ მესაკუთრის ბატონობაში იმყოფებოდა. გლეხი სულ უფრო და უფრო ბატონის პირად დამოკიდებულებაში ექცეოდა. ხოლო მისი მეურნეობა ფაქტიურად ფეოდალის საკუთრებაში გადადიოდა. დაყმევების პროცესს განიცდიდა გლეხობის თითქმის ყველა ჯგუფი და ფენა. ზოგიერთი თემებიც კი X—XI საუკუნეებში ყმურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მასების დაყმევების პროცესს მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა თვით ფეოდალური სახელმწიფოებრივი აპარატი. მეფე ეტელსტანი იმ მიზნით, რომ შეემსუბუქებინა მართვა-გამგებლობის ტვირთი. ლორდებისაგან მოითხოვდა. რათა ისინი თვითონ ყოფილიყვნენ პასუხისმგებელნი მათდამი დაქვემდებარებულ ადამიანებზე, რომელნიც შემჩნეულნი იქნებოდნენ ქურდობაში ან სხვა რაიმე ბოროტმოქმედებაში. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ლორდთაგანს ბევრი ჰყავდა დაქვემდებარებული პირი და ვერ შესძლებდა პირადად ყველასთვის გაეწია მეთვალყურეობა. მას თავის ყველა ეოფელში უნდა დაენიშნა ისეთი მმართველი, რომელიც ძალიან ნდობით იქნებოდა აღჭურვილი და რომელსაც შეეძლო პასუხისმგებლობა ეკისრა.

გლაფორდატი (პატრონობა) ინგლისში ადრევე იყო ცნობილი, მაგრამ თუ ის წინათ კერძო ხასიათს ატარებდა, X—XI საუკუნეებში საყოველთაო მოვლენად გადაქცა. ჯერ კიდევ „ეტელსტანი კანონების“ მიხედვით ყველა ვალდებული იყო თავისათვის „პატრონი“ მოენახა[1]. ასეთ ვითარებაში მფარველები. მფარველობის ქვეშ აყვანილ პირთა მიწებსაც თვითონ მიისაკუთრებდნენ. რაც დრო გადიოდა, ფეოდალების ბატონობა-უფლება უფრო და უფრო იზრდებოდა. გლეხობა ჰკარგავდა თავის მიწასა და დამოუკიდებლობას. ანგლო-საქსთა პერიოდის მიწურულში უშუალო მწარმოებელთა რამდენიმე ფენა იყო. გენიტები — თავისუფალი გლეხები. რომელთაც

---

[1] ეტელსტანი ანგლო-საქსების მეფედ გახდა 924 წელს.

საკუთარი მიწები ჯერ კიდევ გააჩნდათ და იხდიდნენ გადასახადს ნაწილობრივ მეფის სასარგებლოდ. ხოლო ზოგ შემთხვევაში მეზობელ ლორდის სასარგებლოდ, გებურები — ყმები, რომელთაც ექონდათ ფეოდალისაგან მიცემული ნადელები და რომელნიც ჰძიმე ღალას იხდიდნენ. ისინი მთელი წლის განმავლობაში კვირაში რამდენიმე დღეს ფეოდალის საკუთარ მეურნეობაში უფასოდ მუშაობდნენ და, გარდა ამისა, იხდიდნენ ღალას ოთხფეხა საქონლით, ხორბლით, ფულით და სხვ. და ბოლოს, კოტერები — მცირე მიწის მფლობელნი, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ აგრეთვე ფეოდალური ვალდებულებანი შეესრულებინათ.

მიუხედავად ამისა, ანგლო-საქსონებში ჯერ კიდევ მთლიანად ფეოდალიზაცია არ იყო დამთავრებული. ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისში მოიპოვებოდა თავისუფალი გლეხობის მნიშვნელოვანი რაოდენობა. ინგლისის გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეგრეთ წოდებული „მფარველობის" ქვეშ იმყოფებოდა და მხოლოდ ამითი იყო ვალდებული ინგლისელი ფეოდალის მიმართ. არც გებურების მდგომარეობა იყო სავსებით გარკვეული. რიგ შემთხვევებში ისინი დამოკიდებულნი იყვნენ თავიათ ბატონზე. მაგრამ ისინი ბატონყმურ მდგომარეობაში ჯერ არ იყვნენ სავსებით მოქცეულნი. ამასთან იმუნიტეტის (ინგლისში იმუნიტეტს სოკი ეწოდებოდა) გავრცელება უფრო ცალმხრივი იყო. ფეოდალების კერძო სასამართლოები ჯერ-ჯერობით ბრძანებობდა, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი საბეფო სასამართლოს ექვემდებარებოდა.

ინგლისის სოციალურ-ეკონომიური ვითარება „საშინელი სამსჯავროს წიგნის" შედგენის შემდეგ. ნორმანდელების მიერ ინგლისის დაპყრობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან ინგლისის ფეოდალიზაციის პროცესები დააჩქარა. მარქსი, როდესაც წერდა თავისუფალ ფრიჰოლდერების რაოდენობის შემცირებაზე, დაამატებდა: „ფეოდალიზმის მიერ ინგლისში ძველად არსებული თავისუფლების შეზღუდვის ეს ტენდენცია (ვილჰელმის) დაპყრობამ გააძლიერა და დააჩქარა"[1]. ნორმანდელების დაპყრობამ ხელი შეუწყო ინგლისში ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის საბოლოო ჩამოყალიბებას. მარქსი, ადარებს რა ინგლისის ფეოდალურ წყობილებას საფრანგეთისას, აღნიშნავს, რომ ინგლისის ფეოდალიზმი უფრო დასრულებული ხასიათისა იყო, ვიდრე საფრანგეთის, სადაც ფეოდალიზმის ჩამოყალიბება ბუნებრივი გზით ხდებოდა[2].

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. VIII, гл. 324.

[2] К. Маркс. Формы, предшествующие капиталистическому производству, 1940, гл. 23.

ზემოხსენებულ გარემოებას მარქსი შემდეგით ასაბუთებდა. თუ დაპყრობილ ქვეყანაში გადმოიტანება სხვა ნიადაგზე წარმოქმნილი ურთიერთობის მზა ფორმა, რომელიც „უფრო განვითარებულ წარმოებით ძალებს“ შეესაბამება, ახალ ადგილზე. მისთვის უზრუნველყოფილი იქნება უფრო აჩქარებული განვითარება, რადგან „იმ დროს, როდესაც ის თავის სამშობლოში ჯერ კიდევ დამძიმებულია ძველი ეპოქიდან ნაანდერძევი ინტერესებითა და ურთიერთობებით, ახალ ადგილზე მას შეუძლია და კიდეც უნდა მთლიანად გატარდეს, ყოველგვარ შეფერხებათა გარეშე. თუნდაც იმიტომ, რომ დამპყრობელთათვის უზრუნველყოფილ იქნეს ხანგრძლივი ბატონობა (ნორმანების დაპყრობის შემდეგ ინგლისი და ნეაპოლი, როდესაც მათ ფეოდალური ორგანიზაციის დასრულებული ფორმა მიიღეს)“[1].

„საშინელი სამსჯავროს წიგნის“ მიხედვით ინგლისის უშუალო მწარმოებელთა სოციალური ფენები და მათი რაოდენობა შემდეგ სურათს იძლევა:

სოციალური ფენები	პროცენტული შეფარდება	რაოდენობა
მონები.	9%	25 000
ბორდარიები და კოტერები	32%	89 000
ვილანები	38“	106 000
თავისუფალნი	12“	33 000[2]

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ვილანების ფენა უფრო ხალხმრავალი იყო, ვიდრე დანარჩენები. ნაწილობრივ ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ქვეყნის აღწერის დროს დამპყრობლები ცდილობდნენ მათ რიცხვში იმოექციათ თავისუფალი გლეხიც, რადგან მათი ვილანად აღიარების შემდეგ მათზედაც გავრცელდებოდა ფეოდალური ღალა და ბეგარა, ისე როგორც საერთოდ ვილანობაზე. ვილჰელმ დამპყრობელის აღმწერლებმა ნაცვლად ტრადიციული კერლების, გებურების და გენიტების ფენებისა ინგლისის მოსახ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. IV, გვ 62—63.
[2] იხ. მორტონის დასახელებული შრომა, გვ. 63.

ლეობაში ორი ძირითადი კატეგორია დაინახეს: „ვილანები“ და „თავისუფალნი“. ეტყობა, რომ ვილანების ფენა წარმოშობილა ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობის წინ, ხოლო გავრცელებულა უფრო მეტად აღწერის ჩატარების შემდეგ.

ვილანები ინგლისის მანორის (ფეოდალური მამული) მთავარ და წამყვან ძალას წარმოადგენდნენ. ისინი მიმაგრებულნი იყვნენ მიწაზე. თვითეულ მათგანს გააჩნდა მიწის ნაკელი და ფეოდალს უხდიდა როგორც ღალას, ისე ბეგარას. მას ფეოდალის მამულში მთელი წლის მანძილზე უფასოდ უნდა ემუშავნა კვირაში სამი დღე. გარდა ამისა, ვილანი ვალდებული იყო გადაეხადა საქორწინო გადასახადი ე. წ. „მერკეტი“. ვილანის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მეურნეობის შვილზე გადაცემის დროს ფეოდალს უხდიდნენ ერთდროულ გადასახადს, რომელსაც „ჰერიოტი“ ეწოდებოდა. ამგვარად, ინგლისელი ვილანი როგორც მიწით, ისე პირადად დამოკიდებული იყო ფეოდალისაგან, ეს მაშინ, როცა ფრანგი ვილანი ფეოდალის პირადი დამოკიდებულებისაგან თავისუფალი იყო. მაშასადამე, ინგლისელი ვილანი უფრო წააგავდა ფრანგ სერვს, ვიდრე ვილანს. ინგლისის ვილანობა ძირითადად თანაბრად მოსახლეობდა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. მათი ნაკლებობა შეიმჩნეოდა მხოლოდ აღმოსავლეთ-ინგლისსა და ლინკოლნშირში.

ბორდარიები, როგორც ეს ჩანს „საშინელი სამსჯავროს წიგნიდან“, ვილანებზე უფრო დაბლა იდგნენ. ისინი შედარებით მიწების უფრო ნაკლებ ფართობს ჰფლობდნენ და, მაშასადამე, ეკონომიურადაც უფრო ღარიბები იყვნენ, ვიდრე ვილანები. ამგვარად, ეკონომიური შეძლების თვალსაზრისით, ისინი ვილანებსა და მათზე უფრო ღარიბ კოტარებს შუა იყვნენ მოქცეულნი. შესაძლებელია, რომ წარმოშობით ისინი გებურებს ეკუთვნოდნენ. ბორდარიების ეს ფენა გაჩნდა ნორმანდელების დაპყრობამდე მათი ნადელების დაქუცმაცების შედეგად. მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს ბორდარიების რაოდენობა დაახლოებით გლეხობის ერთ მესამედს შეადგენდა. დროთა განმავლობაში ბორდარიების ერთი ნაწილი ვილანებად გადაიქცა, ხოლო მეორე, რომელიც გაღატაკდა, კოტარიების ფენაში გადავიდა.

კოტარიებს უწოდებდნენ გლეხების ყველაზე უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ფენას. მასში გაერთიანებულნი იყვნენ მცირე მიწის მფლობელნი და სრულიად უმიწო გლეხები. ეს უკანასკნელნი

უფრო მეტად დამოკიდებულნი იყვნენ მიწათმფლობელებზე. ბეგარას იხდიდნენ თავიანთი მიწების ფართობის მიხედვით. ხშირად კოტარიები იძულებულნი ხდებოდნენ დაქირავებოდნენ რაინდებს მუშებად და ზოგჯერ კი შეძლებულ გლეხებთანაც მუშაობდნენ. ბორდარიებისა და კოტარიების დიდი რაოდენობა მოიპოვებოდა ესექსში და ჰემპშირში.

უშუალო მწარმოებელთა უკანასკნელ ფენას მონები (სერვები) წარმოადგენდნენ. ზემოთ განხილულ სტატისტიკურ ცნობებში ისინი მთელი მოსახლეობის 9% შეადგენდნენ, მაშასადამე, ინგლისის აღწერის მომენტში მათი ჯგუფი თანდათან მცირდებოდა. ამიტომ საკვირველი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ XII საუკუნის აღწერებში ტერმინი „სერვი“ აღარ გვხვდება. მონები ჯერ კიდევ XII საუკუნის დასაწყისში მანორის ყმათა მასაში გაითქვიფნენ და გადაიქცნენ კოტარიებად, ან უკეთეს შემთხვევაში, ბორდარიებად. მონების „გათქვეფის“ ფაქტი შედეგია იმ ახალი ფეოდალური ღონისძიებისა, რომელიც გატარებულ იქნა დამპყრობლების მიერ 1066—1086 წლებში.

მონების როლი მეურნეობაში ადრევე ინგლისშიაც ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც სხვა ქვეყნებში. გვაროვნული წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლისას მონობა დამოკიდებულების პრიმიტიულ ფორმას წარმოადგენდა. ამ მონობის ყმური დამოკიდებულებით შეცვლა შეიძლებოდა მხოლოდ თემის ინტენსიური დაშლით და თემის წევრების სწრაფი სოციალური დიფერენციაციით. რამდენადაც ასეთი პროცესები VII—VIII საუკუნეების ინგლისში ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მონობა დიდხანს ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას. მონობის დიდი ხნით შენარჩუნებას ხელს უწყობდა აგრეთვე დანიელებთან წარმოებული ხშირი ომები. ტყვეთა უმრავლესობა მონებად იქცეოდა.

„ხაშინელი სამსჯავროს წიგნიდან“ ჩანს, რომ მონები, ანუ სერვები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი „დომენის გუთნებთან“ (carucae). ესენი იყვნენ შინაყმები, რომელნიც მიეკუთვნებოდნენ დომენის (მამულის) ინვენტარს ისე, როგორც ხარები, რომელთათვისაც ისინი მიჩნეულნი იყვნენ მოსავლელად. მაშასადამე, საბატონო მამულის (რომელიც უფრო განმტკიცდა ნორმანდელების დაპყრობის შემდეგ) ინტერესები მონის მიმაგრებას მოითხოვდა არა პირადად ბატონზე, არამედ მანორის მიწაზე. როგორც მისი განუყრელი შემადგენელი ნაწილი.

მეთერთმეტე საუკუნეში გახშირდა მონათა „განთავისუფლება“, რაც ფაქტიურად წარმოადგენდა მათი ყმებად და მიწაზე მიმაგრე-

ბულ პირებად გადაქცევას. მეთერთმეტე საუკუნეში შედგენილ ერთ ანდერძში ნათქვამია, რომ მონების მფლობელი ათავისუფლებს თავის მონებს თავიანთი ქონებით, რაც კი გააჩნდათ მათ მონობაში ყოფნის დროს. მეორე ანდერძში ეს უფრო მკაფიოდ არის გამოთქმული: „...დაე, ყველა ჩემი კაცები (mine men) იყვნენ თავისუფალნი და თვითეულმა მათგანმა მიიღოს თავისი ნაკვეთი (toft), თავისი ძროხა და ხორბალი". სხვა, ანალოგიურ დოკუმენტში განთავისუფლებული პირები მონებად კი არ იყვნენ წოდებულნი, არამედ „მიწაზე დასახლებულ" (landsethlen))პირებად: ეს პირები „თავიანთ განკარგულებაში" (to awen aihte) ღებულობდნენ ნაკვეთებს, რომლებზედაც შრომობდნენ მაშინ, როცა ისინი მონებად ითვლებოდნენ[1].

ამგვარად, რამდენადაც ფეოდალიზაცია თავის დასასრულს უახლოვდებოდა, იმდენად ხდებოდა უშუალო მწარმოებელთა ნიველირება და, მაშასადამე, როგორც თავისუფალი გლეხები, ისე ყოფილი მონები ფეოდალური კლასის ძირითად საექსპლუატაციო ობიექტად — ყმებად იქცეოდნენ.

ბოლოს, „საშინელი სამსჯავროს წიგნი" ჩამოთვლის რამდენიმე ათას სასულიერო წოდების პირს და „წარჩინებული ოჯახის" მეთაურებს, რომელნიც წარმოშობით ან ნორმანდელები არიან ან ინგლისელი „ტენები", რომელთაც შეწყნარების გამო დამპყრობლებმა მიწები არ ჩამოართვეს. „საშინელი სამსჯავროს წიგნის" სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მორტონი ინგლისის მოსახლეობის რაოდენობას 1,75—2 მილიონი კაცით განსაზღვრავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ აქედან მოსახლეობის 5% ქალაქებში იმყოფებოდა.

---

1 А. Я. Гуревич, Английское крестьянство в X — начале XI в. (Средние века. т. IX, 1957 წ., გვ. 95).

თავი VI

ესპანეთი არაბთა დაპყრობიდან XI საუკუნემდე

ესპანეთის დაპყრობა არაბების მიერ. მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ვესტგუთების სამეფოში დაწყებულმა ფეოდალიზაციამ თავისი განვითარების შემდგომ საფეხურს მიაღწია. უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ზრდამ ესპანეთის გლეხობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რამაც უფრო მეტად გააძლიერა კლასობრივი ბრძოლა. ამ დროისათვის ვესტგუთების ზედაფენა შეეერთდა ადგილობრივ მაგნატებს და წარმოიშვა მიწათმფლობელთა მთლიანი კლასი, რომლის ბატონობა უფრო განმტკიცდა, მაგრამ ამავე პროცესმა ზოგიერთი მაგნატი იმდენად გააძლიერა, რომ მისი პარტიკულარული ტენდენცია სახიფათო გახდა. კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებასთან ერთად დაიწყო ცალკეული მაგნატების განდგომა ცენტრალური სამეფო ხელისუფლებისაგან.

ვესტგუთებში ძლიერი სამეფო ხელისუფლების უკანასკნელი მატარებელი მეფე ვამბა იყო, რომელიც ტახტიდან გადმოგდებულ იქნა მისივე ნათესავის ერვიგის მიერ. გამეფების შემდეგ უკანასკნელსაც მოუხდა ბრძოლების წარმოება ურჩი მაგნატების დასამორჩილებლად. ერვიგის შემდეგ სამეფო ტახტი ვამბას ნათესავის, ეგიკას ხელში გადავიდა. ახლა დაიწყო ვამბას მოწინააღმდეგეთა დევნა, რასაც მოჰყვა ცალკეულ დიდებულთა შეთქმულება. შეთქმულების ხელმძღვანელი ამჯერად ტოლედოს ეპისკოპოსი სისბერტი იყო. მართალია, შეთქმულება დროზე იყო გამომჟღავნებული და მისი მონაწილენი დაისაჯნენ, მაგრამ სამეფო ხელისუფლება მაინც დასუსტდა. მეფე ვიტიცას დროს შეთქმულებები კვლავ განმეორდა. სამეფო ხელისუფლებას კორდოვას ჰერცოგი ტეუდეფრედა და

ვინმე პელაიო ვანდგენ. შეთქმულების გამომეღავნებისას პირველს თვალები დასთხარეს, ხოლო მეორე — გაძევებულ იქნა[1].

მეფეები ცდილობდნენ სამეფო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის წესის დადგენას. მათი აზრით, ეს გარემოება განამტკიცებდა სამეფო ხელისუფლებას, მაგრამ ასეთი წესის დამყარების სასტიკ მოწინააღმდეგენ ვესტგუთების წარჩინებულნი გამოდიოდნენ. ამგვარად, სამეფო ხელისუფლება სუსტდებოდა და ანარქიულობას ფართო გასაქანი ეძლეოდა. ვესტგუთების უკანასკნელი მეფის, როდრიგის დროს სახელმწიფოს შინაგანი ვითარება მეტად დაძაბული აღმოჩნდა. ამას დაემატა ისიც, რომ არაბებმა იწყეს იერიშების მიტანა ესპანეთზე.

არაბთა ისტორიაში დამასკოს სახალიფოს (661—750) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამ ხანებში არაბეთის სახელმწიფოს ტერიტორია ისე გაფართოვდა, რომ მისი დასავლეთის საზღვარი ატლანტიკურ ოკეანეს აღწევდა, აღმოსავლეთისა კი,—ჩინეთსა და ინდოეთს. აღნიშნული ტერიტორია მნიშვნელოვნად აღემატებოდა ძველი დროის უდიდეს მონარქიებს, ისეთებისაც კი, როგორიც იყო ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფო და ავგუსტუსისა და ტრაიანეს დროინდელი რომის იმპერია. მერვე საუკუნის დასაწყისში არაბებმა ჩრდილოეთი აფრიკა დაიპყრეს; მთელი მავრიტანია, უმეტესი ბერბერთა ტომებით, არაბთა ბატონობის ქვეშ მოექცა. ამგვარად, არაბები პირენეის ნახევარკუნძულის უშუალო მეზობლები გახდნენ. ერთადერთი, რაც არაბებს პირენეის ნახევარკუნძულის სამხრეთის საზღვარს აცილებდა, ეს იყო ქალაქი სეუტა, რომელიც ესპანელებმა ბიზანტიას ჩამოართვეს და რომელიც გიბრალტარის სრუტის აფრიკულ ნაპირზე მდებარეობდა.

ქ. სეუტას კომენდანტად იმ დროს ვესტგუთელი გრაფი იულიანე ითვლებოდა. ისტორიოგრაფიაში მიღებულია ის აზრი, რომ იულიანეს ქალიშვილს მეფე როდრიგომ შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც განაწყენებული იულიანე განუდგა მეფეს და იწყო მოლაპარაკება ხალიფას მოადგილე მუსა-იბნ-ნოსაირთან იმის შესახებ, რათა უკანასკნელი წაექეზებინა როდრიგოს წინააღმდეგ. ეს გარემოება, ერთი მხრივ, დაემთხვა იმას, რომ იულიანე მანამდე დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა და, მეორე მხრივ, რომ არაბებს ადრევე გადაწყვეტილი ჰქონდათ ესპანეთში შეჭრა. მუსა დაუკავშირდა ხალიფა ვალიდას და

---

[1] Рафаэль Альтамира-и-Кревеа, История Испании, ტ I, 1951, გვ. 69.

საკითხის მასთან შეთანხმების შემდეგ იწყო ლაშქრობისათვის მზადება.

ცნობილია, რომ არაბების დაპყრობებს, როგორც წესი, წინ უძღოდა დასაპყრობი ადგილის წინასწარი დაზვერვა მცირე ლაშქრობის მოწყობის მეშვეობით. 710 წელს მუსამ გამოჰყო მცირე ლაშქარი 400 ქვეითისა და 100 ცხენოსნის რაოდენობით. ამ ლაშქრის მეთაურად მან დანიშნა აბუ-ზორა-თარიფა, რომელსაც დაავალა გადაეღახა გიბრალტარის სრუტე და ესპანეთში შეეჭრილიყო. ეს ლაშქარი მოთავსებულ იქნა ოთხ ხომალდზე, რომელიც იულიანემ არაბებს მიაწოდა. გადავიდა რა სრუტის მეორე სანაპიროზე, ამ ლაშქარმა ალხესირასის მიდამოები დაარბია და უკან დაბრუნდა აფრიკაში.

არაბების შემდგომი უფრო მნიშვნელოვანი ლაშქრობა მოეწყო 711 წელს. ამ შემთხვევაშიაც ხელსაყრელი მომენტი იქნა შერჩეული. ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში როდრიგოს ბასკები აეჯანყდნენ. როდრიგო იძულებული გახდა თვითონ წასულიყო იქ აჯანყების ჩასახშობად. მუსამ ამ ლაშქრობისათვის გამოჰყო 7.000 კაცი, რომელთა ხელმძღვანელებადაც თარიკ-იბნ-ზიადა და გრაფი იულიანე დანიშნა. არაბებმა ჯერ დაიკავეს გიბრალტარის მთა (იმ დროიდან გიბრალტარს ჯებელ-ალ თარიკი ეწოდებოდა, რაც ნიშნავს „თარიკის კლდეს“), ალხესირასი და ქ. კარტეია. ამის შემდეგ არაბები გაემართნენ კორდოვასაკენ. არაბებმა ბრძოლებში წარმატებები მოიპოვეს, მაგრამ მათი შემდგომი სვლა შეჩერებულ იქნა წინააღმდეგობის გაწევის შედეგად.

ამასობაში როდრიგომ გაიგო არაბების შემოჭრის ამბავი და თავისი შეიარაღებული ძალებით საჭრეთისაკენ გაეშურა. თარიკმა მუსას სთხოვა სასწრაფოდ გაეგზავნა მისთვის დამხმარე ძალები. მალე თარიკის შეიარაღებულმა ძალებმა 12 000 კაცამდე მიაღწია. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ხანდას ტბის სანაპიროებთან 711 წლის 19 ივლისს. წყაროებიდან ჩანს, რომ როდრიგოს შეიარაღებული ძალები მტერს მნიშვნელოვნად აღემატებოდნენ, მაგრამ როგორც ეტყობა, მეფის ჯარების ერთი ნაწილი მოსყიდული აღმოჩნდა როდრიგოს მტრების მიერ, რომელთა შორის იყვნენ ეპისკოპოსი ოპასი და იგივე სისბერტი. ბრძოლაში არაბებმა გაიმარჯვეს, ხოლო როდრიგო თავისი ამალით გაიქცა.

არაბების ამ გამარჯვების შემდეგ ვესტგუთებში ადგილი ჰქონდა საერთო ანარქიას. გლეხებს აღარ უნდოდათ ბრძოლა თავიანთი ბატონებისათვის. ებრაელები, რომელნიც როდრიგოს ხელისუფლებით შევიწროებულნი იყვნენ, აჯანყდნენ და არაბების მხარეზე გა-

დავიდნენ[1]. სოფლებისა და ქალაქების მნიშვნელოვანი ნაწილი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ბარდებოდა მტერს. ყველაფერმ ამან არაბები გაათამამა. მათ განაგრძეს შეტევები. დაიპყრეს კორდოვა, ტოლედო — ვესტგუთების სატახტო ქალაქიც მალე დამპყრობელთა ხელში აღმოჩნდა. წინააღმდეგობის გაწევა ყველაზე დიდ ხანს ხალხმრავალმა სევილიამ განაგრძო. მისი ალყა რამდენიმე თვით გაგრძელდა.

ქვეყნის საბოლოო დაპყრობისათვის საჭირო გახდა არაბების დამხმარე ძალები. 712 წლის ზაფხულში 18000 კაცით თვით მუსა მოვიდა. მან სევილია აიღო, დაიპყრო მთელი რიგი ციხე-სიმაგრეებისა და შემდეგ მერიდისაკენ გაემართა. ერთწლიანი ალყის შემდეგ იერიშების მიტანისას მერიდაც დაეცა. 713 წლის შემოდგომაზე მუსას და თარიკის გაერთიანებული ძალები სეგოუელთან ეცვეთნენ ვესტგუთებს. ეს ბრძოლაც არაბების წარმატებით დამთავრდა. როდრიგო ბრძოლაში მოკლეს. ამით დამთავრდა ვესტგუთების ბატონობა. ესპანეთში დაიწყო არაბთა ბატონობის ხანა.

კორდოვას დამოუკიდებელი საემირო. არაბების დაპყრობები ჩრდილოეთ-ესპანეთში შეჩერებულ იქნა. მთაგორიანი ასტურია დამოუკიდებელი დარჩა. არაბების ახალი სარდლის ალ-ხურამის აგრესია ახლა გალიისაკენ წარიმართა. რიგი ბრძოლების შემდეგ არაბებმა სამხრეთ-გალიის ერთი ნაწილი დაიკავეს, მაგრამ 732 წელს ტურისა და პუატიეს შუა კარლოს მარტელმა ისინი დაამარცხა და ამით არაბთა აგრესიაც შეჩერებულ იქნა.

ცოტა ხნის შემდეგ, 755 წელს არაბეთში დამთავრდა ბრძოლა ომაიდებსა და აბასიდებს შორის უკანასკნელთა გამარჯვებით. ომაიდების დინასტიის თითქმის ყველა წარმომადგენელი დახოცეს. მხოლოდ ერთი მათგანი—აბდ-ერ-რაჰმანი გაიქცა ესპანეთში, ხელთ იგდო ძალაუფლება და იქ არაბების დამოუკიდებელი ემირი გახდა. 756 წელს. ასე ჩაეყარა საფუძველი ჯერ კორდოვას დამოუკიდებელ საემიროს, ხოლო შემდეგ 929 წლიდან — კორდოვას სახალიფოს. ასე დაიწყო ომაიდების დინასტიის გაგრძელება ესპანეთში.

არაბებმა ესპანეთის დაპყრობისას მიწების 1/5 სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადეს, შემდეგ ხანებში კი დამპყრობელთა ხელში მიწების უფრო დიდი რაოდენობა გადავიდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 711 წელს თარიკის ხელმძღვანელობით ესპანეთში შეიჭრნენ არაბები, მაგრამ სიზუსტისათვის უნდა ითქვას, რომ

---

[1] ზოგიერთი ცნობების მიხედვით, ესპანეთში ებრაელთა რაოდენობა თითქმის 90 000 კაცამდე აღწევდა.

თარიკმა აქ მოიყვანა უმთავრესად ბერბერები, ხოლო შემდეგში მოსული მუსას შეიარაღებული ძალები უმეტესად არაბები იყვნენ. ბრძოლების დანაწილებისას არაბებმა ბერბერებს ესპანეთის ჩრდილოეთი პროვინციები (გალისია, ლეონი და სხვ.) არგუნეს, ხოლო თვითონ ანდალუზია დაიკავეს. ამ გარემოებამ შემდეგ ხანებში მნიშვნელოვანი უკმაყოფილება წარმოშვა დამპყრობელთა შორის, რადგან ბერბერებმა უნაყოფო მთაგორიანი ადგილები დაიკავეს, სადაც კლიმატური პირობები გაცილებით უფრო მკაცრი იყო, ვიდრე აფრიკაში, სადაც ხალხი უფრო მცირედ იყო დასახლებული და ამასთან შედარებით უფრო მეტ წინააღმდეგობას იჩენდა დამპყრობელთა მიმართ.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში, ვიდრე მოხდებოდა ესპანეთის სახალიფოდ გადაქცევა, არაბთა ბატონობა საერთოდ არ იწვევდა მაინცა და მაინც დიდ წინააღმდეგობას დაპყრობილ მოსახლეობაში. მთელი მერვე საუკუნის მანძილზე, წყაროები მხოლოდ ერთხელ იხსენიებენ ქრისტიანული მოსახლეობის ერთი ნაწილის უკმაყოფილებას[1]. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ ხანებში არაბთა კულტურის განვითარების დონე ჯერ კიდევ დაბალი იყო, რის გამოც მათ არ შეეძლოთ შეეგრა დაპყრობილ ხალხის შინაგან, სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში და იძულებულნი იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ შედარებით ხარკის იოლი აკრეფითა და ზოგიერთი გადასახადის დაპყრობილ მოსახლეობაზე გაწერით.

ესპანეთში, დაპყრობის შემდეგ ერთხანს ძირითად გადასახადს წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული „ხარაჯა". ეს იყო გადასახადი მიწაზე, რომელიც გაანგარიშებული იყო ამ მიწის შემოსავლის მიხედვით. ხარაჯის სიდიდე ზოგან გლეხის შემოსავლის 1/3-ს, ზოგან კი 1/5-ს უდრიდა. ხარაჯის გადასახადი უნდა გაეღო ყველა უშუალო მწარმოებელს იქნებოდა ის ქრისტიანული, თუ მუსლიმანური სარწმუნოების მიმდევარი. ამ მხრივ სხვა ხასიათის მატარებელი იყო არაბების მეორე ძირითადი გადასახადი ეგრეთ წოდებული „ჯიზია". იგი წარმოადგენდა სულადობრივ გადასახადს და ეხებოდა მხოლოდ ქრისტიანულ მოსახლეობას. ისლამის სარწმუნოების მიმდევარნი ამ გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ. „ჯიზია" დიფერენცირებული იყო: შეძლებულები სულზე გაიღებდნენ 48 დირჰემს, საშუალო შეძლების შქონენი — 24-ს, ხოლო უფრო დაბალი ფენებიდან— 12 დირჰემს; ქალები, ბავშვები, ინვალიდები და მონები ამ გადასახადიდან თავისუფლდებოდნენ.

---

[1] Н. Аммон, Арабы в Испании (Книга для чтения по истории средних веков под редакц. П. Виноградова, выпуск третий, зз. 192).

ამგვარად, უშუალო მწარმოებელთა მდგომარეობა, წარსულთან შედარებით, ერთგვარად გაუმჯობესდა. გარდა ამისა, მიწების ჩაჰორთმევამ მსხვილ მიწათმფლობელთაგან და მათმა დარიგებამ წვრილ მწარმოებლებზე, ერთი მხრივ, ესპანური წარმოშობის არისტოკრატია შეასუსტა, მეორე მხრივ კი, წვრილგლეხური მეურნეობის გაძლიერებაა ხელი შეუწყო. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მონების მდგომარეობა, მით უფრო, რომ თვითეული მათგანის მიერ ისლამის სარწმუნოების მიღება უკანასკნელს ათავისუფლებდა მონობიდან და პრივილეგირებულ მდგომარეობაშიც კი აყენებდა.

პირველ ხანებში არაბები ქრისტიანული სარწმუნოების მიმართაც ერთგვარ რჯულშემწყნარებლობას იჩენდნენ. მაშინ არ ხდებოდა ისლამის ძალდატანებით გავრცელება. ეს აიხსნება იმით, რომ საკმაოდ ძლიერად შემოსავალს, როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანულ მოსახლეობაზე გაწერილი „ჯიზიას" გადასახადი წარმოადგენდა. რამდენადაც მეტი ქრისტიანი ისლამის სარწმუნოებას მიიღებდა, ეს გადასახადი იმდენად შემცირდებოდა. მაშასადამე, არაბებისათვის ქრისტიანობის მაობრივად გამაჰმადიანება ასეთ პირობებში არც თუ ისე ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, თითქოს სულ არ ჰქონდეს ადგილი ესპანეთში ქრისტიანული სარწმუნოების მქონე პირის მიერ ძველი სარწმუნოების უარყოფას და ისლამის მიღებას. მაგრამ, როგორც ვიქვით, ეს ხდებოდა პირველად ნებაყოფლობის საფუძველზე[1]. იმ პირებს, რომელთაც მოწინააღმდეგის სარწმუნოებაში ფლობდნენ რენეგატებს (აქედან სიტყვა — „რენეგატი") უწოდებდნენ.

ქრისტიანული სამეფოები და სამთავროები ესპანეთში. ქრისტიანული სარწმუნოებისადმი რჯულშემწყნარებლობა აიხსნება სხვა გარემოებითაც. საქმე ისაა, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არაბებმა თავის დროზე ვერ შეძლეს ესპანეთის ჩრდილოეთი ნაწილების დაპყრობა და, მაშასადამე, ბრძოლები ქრისტიანულ სამთავროებთან და სამეფოებთან კვლავ გრძელდებოდა. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ასტურია, მერიდაში, კასტილიაში და სხვა ადგილებში არაბების მიერ დამარცხებული ვესტგუთების დიდებულები ცენტრალურ და სამხრეთ ესპანეთიდან მთა-გორიან ასტურიაში მიდიოდნენ, სადაც, მათი აზრით, შეიძლე-

[1] ადგილობრივ მოსახლეობის მასობრივი და ძალდატანებითი გამაჰმადიანება ხდება მას შემდეგ, როცა არა არაბული წარმოშობის მაჰმადიანებმა ქრისტიანებთან თანაბრად იწყეს ჯიზიას გადასახადის გაღება.

ბოდა ადგილობრივი მოსახლეობის დარაზმვა არაბების წინააღმდეგ. როდრიგოს გარდაცვალების შემდეგ ასტურიაში მეფედ არჩეულ იქნა პელაიო. 718 წელს მის წინააღმდეგ გაილაშქრეს არაბებმა, რომელთაც ალკამა ხელმძღვანელობდა, მაგრამ კოვადონგის ველზე არაბები დამარცხდნენ, ხოლო ალკამა ბრძოლაში მოკლულ იქნა.

კოვადონგის ბრძოლის შემდეგ პელაიოს ხელისუფლება უფრო მეტად გაძლიერდა. მას გალისიისა და კანტაბრიის მეზობლად მყოფი გრაფები შეუერთდნენ, რომელთაც სურდათ არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლება. პელაიოს ახალი ცდები არაბების სხვა ადგილებიდან განდევნისა, მარცხით დამთავრდა. მთელი მერვე საუკუნის განმავლობაში ასტურია თითქმის ყოველ აშარმოებდა ბრძოლას არაბების წინააღმდეგ. ასტურიის იმდროინდელი მეფეები მხოლოდ შინაგანი საქმეებით იყვნენ გართულნი. ისინი ცდილობდნენ სამეფო ხელისუფლების განმტკიცების სამეფო ტახტის მემკვიდრეობითად გადაქცევის მეშვეობით, მაგრამ ამ ცდებს წარჩინებულნი სისტემატურად ეწინააღმდეგებოდნენ.

მეფე ალფონსის მემკვიდრეებმა თანდათანობით მოახერხეს ასტურიის სამეფოს ტერიტორიის გაფართოება არაბებთან ბრძოლების მეშვეობით, მაგრამ მეთერთმეტე საუკუნის დაწყებამდე მათ მაინც სერიოზული წარმატებები არ ჰქონდათ. არაგონიის ნაწილი ცალკე რჩებოდა არაბების ბატონობის ქვეშ. ალფონს პირველის დროს ხდებოდა ახლად დაკავებული მიწების დასახლება და სამეფოს საზღვრების განმტკიცება. ალფონს პირველის გარდაცვალება (756 წ.) დაემთხვა აბდ-ერ-რაჰმანის მიერ კორდოვას დამოუკიდებელი საემიროს ჩამოყალიბებას, რითაც არაბთა მდგომარეობა ესპანეთში განმტკიცდა.

ასტურიის სამეფოს ვითარება ნაწილობრივად შეიცვალა ალფონს მეორის მეფობის ხანაში (792—842). მან კვლავ იწყო ბრძოლა არაბების წინააღმდეგ. იგი არბევდა პორტუგალიის მხარეს, იტაცებდა ნადავლსა და ხელთ იგდებდა ტყვეებს. თავისი მდგომარეობის უფრო მეტად განმტკიცების მიზნით ალფონს მეორე ცდილობდა ძლიერი მოკავშირის მოძებნას არაბების წინააღმდეგ. იგი დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს კარლოს დიდთან და მის შვილთან ლუდოვიკო ღვთისმოსავთან.

ასტურიის გარდა პირენეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილებში არაბთა ბატონობის წინააღმდეგ იქმნებოდა ახალი ცენტრები. ერთი მათგანი ნავარაში წარმოიქმნა, ხოლო მეორე — არაგონიაში. ესენი თავგამოდებით ბრძოლას აწარმოებდნენ არაბების წინააღმდეგ. განუწყვეტელი ბრძოლები საჭიროებდნენ ორგანიზებას.

ირჩევდნენ სამხედრო ხელმძღვანელებს, რომელნიც შემდეგში მეფეებადაც ხდებოდნენ. თავდაპირველად ნავარა და არაგონი ერთობლივად მოქმედებდნენ, როგორც არაბების, ისე ფრანკების წინააღმდეგ. ისინი ცდილობდნენ პირენეების მიღმა მყოფი ადგილებიც უკან დაებრუნებინათ. მეათე საუკუნის ბოლოს არაგონი ნავარაში გაერთიანდა და ამ უკანასკნელის შემადგენელი ნაწილი გახდა. 1037 წელს კი არაგონი გამოიყო დამოუკიდებელ ერთეულად.

არანაკლებ მნიშვნელოვან ცენტრად, საიდანაც აგრეთვე დაიწყო ეგრეთ წოდებული რეკონკისტა (ბრძოლა არაბების წინააღმდეგ ესპანური მიწების დასაბრუნებლად), გადაიქცა „ესპანური მარკა". მერვე საუკუნის დასასრულს, ჯერ კიდევ კარლოს დიდის დროს ფრანკებმა იწყეს შეტევები კორდოვას საემიროს წინააღმდეგ. 785 წელს მათ დაიკავეს ციხე-სიმაგრე ხერონა, 809 წელს — ტარაგონა და 811 წელს — ტორტოსა. ამ ადგილების დაკავების შემდეგ მათ შეჰქმნეს „ესპანური მარკა", რომელიც ოთხი საგრაფოსაგან შედგებოდა: რუსილიონი, ამპურიასი, ბესალუ და ბარსელონა. ერთ ხანს აღნიშნული საგრაფოების ხელმძღვანელები ფრანკების მიერ ინიშნებოდნენ და ფრანკთა მონარქიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ, ხოლო შემდეგში, „ესპანურმა მარკამ" დამოუკიდებლობა მოიპოვა ფრანკებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო ესპანეთში არაბთა საწინააღმდეგო ცენტრები შეიქმნა და ცალკეულ შემთხვევებში ამ წვრილი ერთეულებიდან წარმოიქმნენ დამოუკიდებელი საგრაფოები და პატარა სამეფოებიც კი, არ შეიძლება ითქვას, რომ მეთერთმეტე საუკუნემდე მათ მხრივ წარმოებდა რაიმე მნიშვნელოვანი ომები არაბების წინააღმდეგ[1]. ეს აიხსნება, ერთი მხრივ, იმით, რომ შიგნით ამ ერთეულებში ფეოდალიზაციის განვითარების შედეგად ჯერ-ჯერობით შეუძლებელი იყო მძლავრი ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების ჩამოყალიბება, ხოლო მეორე მხრივ, არაბთა ბატონობა ესპანეთში განმტკიცდა.

კორდოვას საემირო მერვე საუკუნის 80-იანი წლებიდან კორდოვას სახალიფოდ გადაქცევამდე. არაბებმა ესპანეთში ფეხმოკიდების შემდეგ ოფიციალურ ენად არაბული ენა გამოაცხადეს. გაიზარდა უშუალო მწარმოებელთა (გლეხებისა და ქალაქების ხელოსანთა) ექსპლოატაცია. თუ აბდ-ერ-რაჰმან პირველის დროს მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადების რაოდენობა 300 ათას დინარს

---

1 იხ. Рафаэль Альтамира-и-Кревеа. История Испании, ტ. I, გვ. 90.

არ აღემატებოდა, აბდ-ერ-რაჰმან მეორის დროს (822—852) მან ერთ მილიონს მიაღწია, ხოლო აბდ-ერ-რაჰმან მესამის ხანაში (912—961) მოსახლეობისაგან გადასახადები 5 მილ. 408 ათასი დინარის რაოდენობით იყო აკრეფილი. გარდა ამისა, კორდოვას ემირებმა კვლავ გაიხსენეს 700 წლის დადგენილება, რომლის მიხედვითაც ყველა მუსლიმანს, რომელიც არაბული წარმოშობისა არ იყო, გადასახადები უნდა გადაეხადა სხვა არამუსლიმანურ მოსახლეობასთან ერთად. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების შედეგად ესპანელ რენეგადებსაც პრივილეგიები მოეპოვოთ.

ამრიგად, ფართო მასების უკმაყოფილებას, რაც გამოწვეული იყო ფეოდალიზაციის განვითარებით, რენეგადების უკმაყოფილებაც დაემატა. ამასთან ფეოდალიზაციის წარმატებანი თვით არაბული წარმოშობის მქონე ზედაფენებში იწვევდნენ ძველად არსებული ყოფაცხოვრებისა და ჩვეულების გარკვეულ შეცვლას. ემირების სასახლეში ჩვეულებად იქცა ბრწყინვალე პორთულობა და განცხრომით ცხოვრება. თვით ემირებმაც კი იწყეს ახლა მაგარი სასმელების ხმარება, ნადირობის მოწყობა და სხვ. ყველაფერი ეს პირველი ხალიფების დროის ისლამის სარწმენოების წინააღმდეგ ხდებოდა, რის გამოც არაბთა სასულიერო წოდების ერთი ფენა, განსაკუთრებით თეოლოგი ფაკიხები ოპოზიციაში ჩადგნენ. ფანატიკურად განწყობილი ამ პირების რაოდენობა და მათი გავლენა ხელისუფლებაზე თანდათან იზრდებოდა.

ეს გარემოება იგრძნობოდა ჯერ კიდევ აბდ-ერ-რაჰმან პირველის მემკვიდრის ჰიშამ პირველის დროს (788—796). ამ უკანასკნელის ემირობა დაიწყო ბრძოლებით ურჩი მმართველების წინააღმდეგ, რათა ემირის ცენტრალური ხელისუფლება გაეძლიერებინა. ჰიშამ პირველმა ბრძოლები აწარმოა ავარეთვე ასტურიის, გალისიის, ბასკებისა და ფრანკების წინააღმდეგ, მაგრამ მის მთავარ საზრუნავს მაინც რელიგიური მხარე წარმოადგენდა. ის იძულებული იყო თეოლოგ ფაკიხებისათვის უფრო მეტი პრივილეგირებული მდგომარეობა შეექმნა და ქვეყნის მმართველობის საქმეში მათთვის მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო.

ახალი ემირის ჰაკამ პირველის დროს (796—822) მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ფაკიხების საქმიანობა ჰაკამის მიერ აღებული პოლიტიკური ხაზისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა მით უფრო, რომ თვით ჰაკამი სვამდა ღვინოს, ნადირობდა და ა. შ. ახალმა ემირმა იწყო ფაკიხების გამოთიშვა ქვეყნის მმართველობის საქმეებიდან და მათი შევიწროება. თავის მხრივ, ფაკიხების პარტიამ, რომლის ხელმძღვანელადაც იახია-იბნ-იახია იყო, იწყო დემაგოგიური

აგიტაცია კორდოვას მოსახლეობის უკმაყოფილო ფენებში. ქ. კორდოვას ხელოსნები და ღარიბი ფენები აღდგნენ ესპანური და არაბული წარმოშობის მქონე ექსპლუატატორების წინააღმდეგ და მოითხოვეს ქონების გადანაწილება. აჯანყებულთა აზრით, „ისლამის წახდენა“ პირველი ხალიფების სოციალური პროგრამის უარყოფით იყო გამოწვეული. 814 წელს კორდოვას ეს აჯანყება ცეცხლითა და მახვილით ჩაახშეს. კორდოვაში მყოფი რენეგადების დიდი ნაწილი გაიხიზნა ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში და ეგვიპტეში.

კორდოვას აჯანყების ჩახშობამ და ფაკიხების ოპოზიციის დათრგუნვამ ჰაკამს მისცა იმის შესაძლებლობა, რომ ახლა უფრო მეტად ვანეკუტკიცებინა მას თავისი ძალა-უფლება. ემირმა გადაწყვიტა ბოლო მოეღო ქ. ტოლედოს დამოუკიდებლობისათვის. პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობისას ქ. ტოლედო, რომლის მოსახლეობა ვესტგოთებისაგან და ესპანელ რომაელებისაგან შედგებოდა, უბრძოლველად ჩაბარდა არაბებს და მისი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისლამის სარწმუნოება მიიღო. ამის გამო დამპყრობლებმა ამ ქალაქს მაშინ დამოუკიდებლობა შეუნარჩუნეს და მასთან დაღეს ხელშეკრულება. რომლის მიხედვითაც უმნიშვნელო ხარკით დაკმაყოფილდნენ. საერთოდ, პირველი ხალიფების დროს ის ადგილები, რომლებიც უბრძოლველად ბარდებოდნენ დამპყრობლებს, ინარჩუნებდნენ ერთგვარ დამოუკიდებლობას და შეღავათებს, მაგრამ ეს გარემოება ჰაკამ პირველს დრომოჭმულად მიაჩნდა და ამიტომ გადაწყვიტა ტოლედოს დამოუკიდებლობისათვისაც ბოლო მოეღო.

საქმე დაიწყო იმით, რომ ჰაკამმა ტოლედოში მმართველად რენეგადი გააგზავნა. ამით ემირს უნდოდა ტოლედოს მოსახლეობის გულის მოგება. ტოლედოს ახალმა მმართველმა თავის სასახლეში ქალაქის თვითმმართველობის ყველა გამოჩენილი პირი მიიპატიჟა და ვერაგულად დაახოცინა. ამის შედეგად ქალაქი იძულებული გახდა ემირის ხელისუფლებას დამორჩილებოდა, მაგრამ შვიდი წლის შემდეგ (829 წ.) მან ხელახლად დამოუკიდებლობა გამოაცხადა ისე, რომ მისი საბოლოო დამორჩილებისათვის აბდ-ერ-რაჰმან მეორეს შვიდი წლის ბრძოლა დაჭირდა. ასევე ჩახშობილ იქნა ის მოძრაობა, რომელიც ემირის ხელისუფლების წინააღმდეგ დაიწყო მერიდაში და მურსიაში და, რომელიც გამოწვეული იყო ამ ადგილებში ხარკის მნიშვნელოვანი გადიდებით.

კორდოვას სახალიფო. ყოველგვარი აჯანყებები წამოწყებული რენეგადებისა, თუ მოსარაბების (ასე უწოდებდნენ ესპანეთის ადგილობრივი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც არაბთა ბატონობაში იყო და მხოლოდ ინარჩუნებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას) მიერ

მარცხით თავდებოდა, თუმცა კვლავ გრძელდებოდა მათი განმეორება მანამდე, ვიდრე კორდოვას ემირად აბდ-ერ-რაჰმან მესამე (912-961) არ გახდა. ეს უკანასკნელი ძალიან ენერგიული, სამხედრო საქმის კარგი მცოდნე და მოხერხებული მმართველი აღმოჩნდა. აბდ-ერ-რაჰმან მესამემ ძირითადი ყურადღება შეიარაღებული ძალების გაძლიერებას მიაქცია. მან დაქირავებული პირებისაგან, ეგრეთწოდებულ „საკალიბებისაგან"[1], მუდმივი ჯარი შეადგინა, რომელიც 15 ათასი კაცისაგან შეიკრა. ეს იყო ძირითადი ბირთვი და საუკეთესო ნაწილი არაბთა მთელი შეიარაღებული ძალებისა. ომიანობის შემთხვევაში იგი სახალხო შეიარაღებულ ძალებთან ერთად მოქმედებდა და ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა.

აბდ-ერ-რაჰმან მესამე თავიდანვე აქტიური საგარეო და საშინაო პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა. მას მიზნად ჰქონდა დასახული მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების შექმნა. იგი ცდილობდა ყველა თავისი ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა და თვითონ აბსოლუტური მმართველი გამხდარიყო. მან ბერბერთა დამოუკიდებელი შეიხების წინააღმდეგ გაილაშქრა პორტუგალიის სამხრეთ ნაწილში, ალიკანტეში, ვალენსიაში, ბადაჰოსში და სხვ. ადგილებში. ყველა ესენი თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა და ტოლედოც დაიპყრო. ასეთი წარმატებების მოპოვების შემდეგ ემირობის ტიტული თავის საკადრისად აღარ ჩათვალა და 929 წელს თავისი თავი ხალიფად გამოაცხადა.

კორდოვას ხალიფი, სამეფო ტერიტორიის გაფართოების მიზნით, დაუცხრომელ ბრძოლებს აწარმოებდა ქრისტიანულ ქვეყნებთანაც. ამ ბრძოლებში მან რიგი ქალაქებისა დაიპყრო. თვით ქ. პამპლონაც კი. იქ, სადაც ხალიფა ძალით ვერ ახერხებდა თავისი გავლენის გავრცელებას, ქრისტიანული სამეფოების შინაგან საქმეებში ერეოდა. მხარს უჭერდა ახალი მეფის ისეთ კანდიდატურას, რომელიც გამეფების შემდეგ მისი მორჩილი შეიქმნებოდა. მაგ., ასე იქცეოდა ის ლეონის სამეფოს მიმართ. აბდ-ერ-რაჰმან მესამე აქტიურ და აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდა ჩრდილო-აფრიკის მიმართაც. მისმა ჯარებმა აღნიშნული მხარე დაიპყრეს და კორდოვას სახალიფოს შემოუერთეს. ამგვარად, კორდოვას სახალიფო პოლიტიკურად იმდენად გაძლიერდა, რომ მან საერთაშორისო ასპარეზზე მოწინავე ადგილი დაიკავა. არაბების საზღვაო ფლოტი ხმელთაშუა ზღვაზე ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა.

---

[1] არაბები ტყვედ ჩაგდებულ პირებს საკალიბას უწოდებდნენ. ეს ტერმინი შემდეგში „აუგებრობის ნიადაგზე — სლავების სინონიმი გახდა.

პროვინციალური ფეოდალებისა და ბერბერთა ტომების დაპირისპირებამ კორდოვას სახალიფოს მიმართ ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, წარმატებით წარმოებულმა ბრძოლამ ქრისტიანულ ქვეყნებთან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კორდოვას სახალიფოს ეკონომიურ გაძლიერებასაც. ახლა უფრო გაძლიერდა აღებ-მიცემობა და ვაჭრობა. ხელოსნური წარმოებაც ქალაქებში უფრო გაიზარდა. ამასთან გადიდდა სახელმწიფო შემოსავალი გადასახადების ზრდით, საბაჟოების შემოსავლის გაორკეცებით, ნადავლებითა და ხარკით, რომელიც გაწერილი იყო ომში დამარცხებულ ქვეყნებზე. ამ უდიდესი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი, რა თქმა უნდა, სამხედრო საქმეზე და ადმინისტრაციულ აპარატზე იხარჯებოდა, მაგრამ სხვა ნაწილი მიდიოდა კულტურულ მშენებლობაზე და აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

ჰაკამ მეორის დროს ჩატარებული აღწერის მიხედვით ესპანეთში ექვსი დიდი ქალაქი საპროვინციო ცენტრი იყო; გარდა ამისა, ითვლებოდა 80 ქალაქი მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობით. წვრილ ქალაქთა რაოდენობა 300-მდე აღწევდა. კორდოვაში აღრიცხული იყო: ორასი ათასამდე სახლი, 900 აბანო და ბევრი სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა. ხალიფებისა და სხვა მაღალი თანამდებობის მქონეთა სასახლეები გაკვირვებას იწვევდნენ თავიანთი არქიტექტურითა და საუცხოო ბაღებით[1]. დიდი მეჩეთი, რომლის მშენებლობაც აბდ-ერ-რაჰმან პირველის დროს დაიწყო, სხვა ხალიფების დროს დამთავრდა. იგი გრანდიოზულ შენობას წარმოადგენდა, რომელსაც აღმოსავლეთის მხრიდან დასავლეთამდე 19 თაღი ჰქონდა გაკეთებული, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან სამხრეთამდე — 30. 21 ალაყაფის კარი ემსახურებოდა მეჩეთში შემსვლელებს. მეჩეთს ჰქონდა 1293 სვეტი, რომლებიც გაკეთებული იყო ეშმის ქვისაგან და ძოწეულისაგან; ყველა სვეტის თავი ოქროთი იყო მოვარაყებული.

არაბთა ბატონობა ესპანეთში თავდაპირველად ხასიათდებოდა იმით, რომ დამპყრობლები უფრო სამხედრო საქმიანობას მისდევდნენ, ვიდრე მეურნეობის მოვლა-მოშენებას, მაგრამ სულ მალე მათ ითვისეს სამეურნეო საქმეც, და თუ პირველ ხანებში სოფლის მეურნეობაზე დაწერილი შრომების ავტორებად მოსარაბები ითვლებოდნენ, შემდეგში სოფლის მეურნეობის საქმიანობას არაბები

---

[1] ოტონ პირველის თანამედროვე მონაზონი გროსვინტა აღტაცებული დარჩა ქალაქ კორდოვას ნახვით. მან ამ ქალაქს „მთელი ქვეყნის" მარგალიტი უწოდა.

იმდენად დაეუფლნენ, რომ მიუხედავად ყურანის მიერ ღვინის სმის აკრძალვისა, ისინი მოხერხებულად რგავდნენ ვაზებს და სოფლის მეურნეობას ანვითარებდნენ. არაბებმა ესპანეთში პირველად დანერგეს ისეთი კულტურები, როგორიცაა: ბრინჯი, შაქრის ლერწამი, ბროწეული, ზეთის ხილი და სხვ.

არაბების ბატონობის დროს განვითარდა მეაბრეშუმეობა, მეევნახეობა და მებაღეობა. ისეთ ადგილშიაც კი, როგორიც იყო „ახალი კასტილია" ანუ ტოლედოს ოლქი, მებაღეობა ფართოდ იყო გავრცელებული სოფლებში და თვით ქალაქ ტოლედოშიც კი. ტოლედოს რამდენიმე სოფელი არაბული სიტყვებიდან: ჯანან, ალმუნია (რაც ბაღს ნიშნავს) წარმოდგებოდა. მაგ., ჯანან დაუდ, ალმუნია და ა. შ. ზეთის ხილის გავრცელებას მოწმობს, სოფლების შემდეგი სახელწოდებანი: აზეიტე, აზეიტუნა (ზეიტუნ-ზეთისხილი), მაზარამბროს (სიტყვიდან — al mazar, — ზეთისხილის საწნეხელი) და ა. შ.

სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს აღმოსავლეთიდან გადმოტანილი საირიგაციო სისტემა. მარქსი თავის „კაპიტალის" პირველ ტომში აღნიშნავდა, რომ ესპანეთში და სიცილიაში არაბთა ბატონობის დროს სოფლის მეურნეობის განვითარების საიდუმლოება ხელოვნურ მორწყვაში მდგომარეობდა[1]. ამისათვის შუა საუკუნეებში გამოყენებული იყო ძირითადად „ნორია", ე. ი. ბორბალი, რომლითაც წყალი აჰქონდათ მაღლა და შემდეგ სპეციალური არხებით რწყავდნენ მიწებს. ბორბლების ამოძრავება მდინარეების მეშვეობით წარმოებდა. მეთორმეტე საუკუნეში მოღვაწე არაბი ავტორი იდრისი გადმოგვცემს, რომ ასეთი „ნორიები" გაკეთებული იყო ტოლედოში, კორდოვაში, მდინარე ხენილზე ესიხაში, კასტრო დელ რაიონში და სხვ. ზოგიერთი მათგანის დიამეტრი 9 მეტრამდე აღწევდა.

იგივე ავტორი აგვიწერს „ნორიას", რომელიც მდინარე ტახოზე მდებარეობდა და რომელსაც თანამედროვენი განცვიფრებაში მოჰყავდა. იგი მოცულობით უზარმაზარი იყო. მას წყალი 90 კოდას (42,3 მეტრის) სიმაღლეზე აჰქონდა. მაგრამ ეს ნორია გამონაკლისს არ წარმოადგენდა. არაბი ავტორები განცვიფრებულნი იყვნენ მეორე ნორიათიც, რომელიც აგრეთვე მდინარე ტახოზე მდებარეობდა და რომლითაც ტოლედოელ ალ მამუნის განთქმული ბაღები ირწყვებოდა მეთერთმეტე საუკუნეში. ნორიების ფართო გავრცელებას ესპანეთში ადასტურებს აგრეთვე ამ სიტყვებიდან წარმომდგარი

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, 1951, გვ. 648.

სხვადასხვა დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი: Anora კორდოვაში, Nora ლეონში და ოვიედოში, Nora მურსიაში, Nora ბურგოსში და სხვ.

ხილი ფართოდ საღდებოდა არა მარტო კორდოვას სახალიფოს სხვადასხვა ნაწილში, არამედ საზღვარგარეთაც. განსაკუთრებით განთქმული იყო ტოლედოსა და სხვა ადგილების ბროწეული და ყურძენი, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა ნუშსა და კაკალს. სელი და კანაფი იხმარებოდა ქაღალდის დამზადებაში. დუბლერის თქმით, ქაღალდს ამზადებდნენ არა მარტო სახალიფოს შიგნით მოხმარებისათვის, არამედ უცხოეთში გასაყიდადაც[1]. აშენებდნენ ვარდის სპეციალურ პლანტაციებს, სადაც მნიშვნელოვანი რაოდენობით ვარდი მოიპოვებოდა. ამ პლანტაციებში წარმოებდა ვარდის ფურცლების პირველადი დამუშავება. ამზადებდნენ ვარდის ეაენციებსა და ზეთებს, რომელთა ნაწილი წამლების დასამზადებლად გამოიყენებოდა, ხოლო დანარჩენი სურნელებას ხმარდებოდა.

მეათე საუკუნეში მნიშვნელოვნად განვითარდა წარმოებაც, რასაც ხელს უწყობდა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები. ხაენეს, ბულჩეს, აროჩეს და სხვ. მაღაროებში წარმოებდა ოქროს, ვერცხლისა და სხვა ლითონების მოპოვება. ხშირი ომების გამო პირენეის ნახევარკუნძულზე დიდი მოთხოვნილება წარმოიშვა საომარ იარაღებზე. ალმერიაში, მურსიაში, სევილიაში, ტოლედოში, გრანადაში და თვით კორდოვაში საომარი იარაღების დამზადება ინტენსიურად მიმდინარეობდა. კორდოვაში მზადდებოდა აგრეთვე ყოველგვარი ტყავი სხვადასხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ტყავის დამუშავება ფართოდ წარმოებდა აგრეთვე ტოლედოში. ამას მოწმობს, თუნდაც ის გარემოება, რომ ქალაქში ცალკე იყო გამოყოფილი მეტყავეთა მთელი უბანი და ქალაქის ალაყაფის კარი მეტყავეთა სახელწოდებას (დარ ადიბაგ) ატარებდა. ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში იბნ-ფირნასმა მინის დამზადების თავისებური საშუალება გამოიგონა, რამაც გასაქანი მისცა მინის წარმოებას ესპანეთში.

კორდოვას სახალიფომ თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს ჰიშამ მეორის (976—1009) დროს მიაღწია. მისმა სარდალმა ალ-მანსურმა რიგი ახალი ადგილებისა დაიპყრო და ქრისტიანული სამეფოების და სამთავროების მმართველნი ფაქტიურად სახალიფოს დაუმორჩილა. დამოუკიდებლობა შეინარჩუნა მხოლოდ ასტურიისა

---

[1] იხ. Б. Карасс, О хозяйстве толедской деревни. «Средние века», 1955, გვ 62).

და გალიის ზოგიერთმა ნაწილმა. მიუხედავად ამისა, კორდოვას სახალიფოს სიძლიერე, მასში ფეოდალიზაციის განვითარების გამო სწრაფად დაეცა. მასების მკაცრი ექსპლუატაციის შედეგად გლეხებისა და ხელოსნების აჯანყებათა რიცხვი იზრდებოდა. ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები, როგორც რენეგატების, ისე მოსარაბების მხრით მატულობდა. უთანხმოებანი გამწვავდა აგრეთვე ბერბერთა ტომებსა და თვით არაბებს შორის. ყოველივე ამან დაემატა ბრძოლები სამეფო ტახტისათვის.

1031 წელს ტახტიდან გადმოგდებულ იქნა ესპანური ომაიდების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ჰიშამ მესამე. ამგვარად, კორდოვას საემირო, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა აბდ-ერრაჰმან პირველის მიერ და, რომელიც შემდეგ სახალიფოდ გადაიქცა, 275 წლის არსებობის შემდეგ დაიშალა. ცალკეულმა მსხვილმა ფეოდალებმა და ზოგიერთმა ქალაქებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს: მათ ქვეყანა პოლიტიკურად დააქუცმაცეს და მრავალი წვრილი საემიროები შექმნეს. მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისათვის სახალიფოში უკვე 23 დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული წარმოიშვა. ამ ფეოდალურ ერთეულებს შორის გაჩაღდა განუწყვეტელი ბრძოლა პირველობისათვის. ასე დაიწყო ფეოდალური ანარქია ყოფილ კორდოვას სახალიფოში.

რეკონკისტა. რეკონკისტა, რომელიც ნიშნავდა ბრძოლების საშუალებით არაბების მიერ ესპანეთს მიტაცებული მიწების ესპანელთა მიერ უკან დაბრუნებას, თითქმის რვა საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. რეკონკისტას მნიშვნელობის შესახებ მარქსი თავის ღროზე აღნიშნავდა, რომ ესპანეთის სახელმწიფოს შინაგანი ვითარება, მისი ცალკე პროვინციებისა და კომუნების დამოუკიდებლობა, ესპანეთის სახელმწიფო ფორმირებაში შექმნილ თავისებურებაში და სხვ. თავდაპირველად შეპირობებულ იქნა პირენეის ნახევარკუნძულის სპეციფიკური მდგომარეობით. ხოლო შემდეგში კი მათი განვითარება წარიმართა იმისდა მიხედვით, თუ როგორ ხდებოდა ესპანეთის მიწების თანდათანობით განთავისუფლება მავრების (ამ სახელწოდებით მოიხსენებენ არაბებსა და ბერბერებს) ბატონობისაგან[1].

როგორც აღნიშნული იყო, რეკონკისტა ესპანეთში დაიწყო ჯერ კიდევ 718 წელს კოვადონგის ბრძოლით. ამ ბრძოლას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. დამარცხებული მავრები იძულებულნი გახდნენ ასტურიის აღმოსავლეთი ნაწილი დაეტოვებინათ და სამხრეთი-

---

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. X, გვ. 721 — 722.

საკენ უკან დაეხიათ. ასტურიის სამეფო არაბებთან დაუცხრომელი ბრძოლებით თანდათან აფართოებდა თავის ტერიტორიას. მეცხრე საუკუნის დამლევისათვის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი, დაწყებული გალისიიდან ვიდრე კატალონიამდე, დამოუკიდებელი გახდა, როგორც არაბებისაგან, ისე ფრანკებისაგან, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისამდე ქრისტიანული სამეფოებისა და სამთავროების იერიშები ისლამის სამყაროზე უმნიშვნელო იყო. საუკეთესო და ხელსაყრელ პირობებშიაც კი მათი საზღვარი გვარდარამის ხაზს არ გასცილებია. კორდოვას სახალიფოს დაშლასთან ერთად (1031 წ.), როგორც ისლამის მიმდევართათვის, ისე ქრისტიანულ სამეფოთათვის იწყება ახალი ერა, რომელიც არსებით სხვაობაშია წინა ეპოქასთან.

კორდოვას სახალიფოს დაშლის შემდეგ კასტილია ცალკე სამეფოდ გამოიყო. მისმა მეფემ ფერნანდო პირველმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და იწყო აქტიური პოლიტიკის გატარება მეზობელ მუსლიმანურ სამფლობელოთა წინააღმდეგ. მის სამოქმედო ასპარეზად, პირველ რიგში, პორტუგალია გადაიქცა. 1057 წელს ფერდინანდომ სწრაფად მოახერხა ქალაქების: ვიზეუსა და ლამეგუს დაკავება. შემდეგში იერიშები მიტანილ იქნა არაგონიის მუსლიმანურ სამფლობელოებზე. ბრძოლების წარმატებით ჩატარების შედეგად ბადაჰოსის, ტოლედოსა და სარაგოსის მუსლიმანი მმართველების ფერნანდო პირველის მოხარკედ გადაიქცნენ. 1063 წელს თავი მოხარკედ გამოაცხადა აგრეთვე სევილიის ემირმა ალ-მუტატიდმა.

მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში მუსლიმანურ სამფლობელოთა შორის დიდი ანარქია დაიწყო. გახშირდა ურთიერთ შორის ბრძოლა პირველობისათვის, რამაც თვითეული მათგანი პოლიტიკურად შეასუსტა. ამ გარემოებამ კასტილიის მეფეები უფრო მეტად გაათამამა. ახლა არაბთა მფლობელების მოხარკეობა კასტილიის მეფეთათვის აღარ იყო ხელსაყრელი. საჭირო გახდა კასტილიის სამეფოს ტერიტორიის გაფართოება საემიროების ხარჯზე. ალფონს VI-ემ (1072—1109) დიდძალი ჯარი შეაგროვა (რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე ფრანგი რაინდები) და ბრძოლებით ქ. ტოლედოს მიადგა. 1085 წლის 25 მაისს ესპანელები ტოლედოში შეიჭრნენ და იგი გაათავისუფლეს არაბთა ბატონობისაგან.

ესპანელების მიერ ტოლედოს დაკავებამ სამხედრო და პოლიტიკური ვითარება პირენეის ნახევარკუნძულზე არსებითად შეცვალა. ტოლედო ამიერიდან რეკონკისტას ძირითად დასაყრდენად გა-

დაჭერა. ტოლედოს სტრატეგიული მდებარეობა ესპანელებს საუკეთესო პირობებს უქმნიდა შემდგომი შეტევების გასაფართოებლად მუსლიმანურ სამყაროს წინააღმდეგ. კასტილიის ჯარების ერთმა ნაწილმა სარაგოსას შემოარტყა ალყა, მეორემ ვალენსია დაიკავა. რაინდების ერთმა რაზმმა ალედოს ციხე-სიმაგრე აიღო და მურსიასა და ალმერიას დაემუქრა.

ტოლედოს დაცემამ დიდი არეულობა გამოიწვია საემიროებში. მომხდარი ფაქტით დაშინებულმა ემირებმა იწყეს მფარველობის ძიება თვით ალფონსთან. მას ეხვეწებოდნენ ზავის დადებაზე, მზად იყვნენ გაეღოთ უამრავი ხარკი ოღონდ შეენარჩუნებინათ თავიანთი საემიროების დამოუკიდებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში მოხერხებული დიპლომატიით კიდეც აღწევდნენ თავიანთ მიზანს, მაგრამ ამავე დროს გრძნობდნენ, რომ ამ მხრივ მათ მიერ მოპოვებული წარმატება დროებითი ხასიათისა იყო. მდგომარეობის მნიშვნელოვანი გამოსწორებისათვის უფრო საიმედო გამოსავლის გამონახვა იყო საჭირო. ამ მიზნით, ემირთა შორის ჩატარებული მოლაპარაკების შედეგად ბადაჰოსის, სევილიის, გრანადისა და კორდოვას ყადიები დახმარების მისაღებად ალმორავიდების წარმომადგენლებთან, იუსუფთან გაემგზავრნენ.

ალმორავიდები ფეოდალურ ბერბერთა დინასტიას ეწოდებოდა. ალმორავიდების სამეფო მეთერთმეტე საუკუნის შუალედში დაარსდა კორდოვას სახალიფოს დაშლის შემდეგ. აბდალაჰ იბნ-იასინის მეთაურობით სამხრეთ-სახარის ბერბერებმა მაროკოს სამხრეთი ნაწილი დაიპყრეს. შემდეგში ალმორავიდებმა იუსუფ იბნ-ტაშფინის (1061—1106) მეთაურობით მთელი მაროკო და თანამედროვე ალჟირის ნაწილი დაიპყრეს და ამით უფრო მეტად გააძლიერეს თავიანთი სამფლობელო. 1086 წელს ესპანელი ემირების მიწვევით ისინი ესპანეთში შეიჭრნენ. აზ-ზალიაკასთან (ბადაჰოსის მახლობლად) სასტიკ ბრძოლაში მათ დაამარცხეს ესპანელები და მთელი ანდალუზია დაიპყრეს, მაგრამ ამის შემდეგ ალმორავიდებს ხანგრძლივი ბრძოლების წარმოება მოუხდათ ქრისტიანებთან, რომელთაც სათავეში ედგათ სახელგანთქმული მებრძოლი სიდი (როდრიგო დიას ღე ბივარი).

ალფონს VI-ის მმართველობის ხანაში სამხედრო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოდის კასტილიელი რაინდი როდრიგო დიას ღე ბივარი, უფრო სწორად — ვივარი (Rodrigo Diaz de Vivar), რომელიც შემდეგში ცნობილი გახდა სიდი (არაბულად sidi — „ჩემ ბატონს“ ნიშნავს) კამპეადორის (კამპეადორ, ესპანურად—მებრძოლი) სახელწოდებით. მისი დაბადების წელი ზუსტად არაა დადგენი-

ლი. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, იგი დაბადებული უნდა იყოს 1040 წელს[1], ხოლო სხვა ცნობის მიხედვით — 1043 წ[2]. სიდი გარდაიცვალა 1099 წელს. სიდმა რეკონკისტაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. მან არა ერთხელ დაამარცხა მავრების შეიარაღებული ძალები. მისი ლაშქარი ბრძოლების დროს უმრავლეს შემთხვევაში გამარჯვებული გამოდიოდა. სიდის სახელი უმთავრესად პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ალმორავიდები სასტიკად დაამარცხეს და ამით 1094 წელს ესპანელებს შესაძლებლობა მიეცათ ვალენსიის დაკავებისა.

ყოველივე ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ სიდი რიგ შემთხვევებში თავისი შეიარაღებული ძალებით მავრების ცალკეულ ემირებსაც ეხმარებოდა სხვა ემირებთან ბრძოლებში და ხანდახან თვით ესპანელების წინააღმდეგაც გამოდიოდა, დიდი პატრიოტული აღმავლობის ატმოსფეროში, ესპანელმა ხალხმა სიდი მაინც სახალხო გმირად წარმოიდგინა და მას გმირული ეპოსის ნაწარმოები — „სიმღერა ჩემ სიდზე" მიუძღვნა. ამგვარად, ამ ნაწარმოების შინაარსი ისტორიულ საფუძველზეა აგებული. თუმცა რიგ შემთხვევებში იგი სინამდვილეს სცილდება. ამ პოემაში სიდი გამოყვანილია პატრიოტად, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე მავრებთან ბრძოლას მოანდომა. ფაქტიურად კი, როგორც აღვნიშნეთ, სიდი მავრების მომხრედაც გამოდიოდა. გარდა ამისა, სიდი აღნიშნულ ნაწარმოებში ისეთ პირადაც კია გამოყვანილი რომელიც იბრძვის მოსახლეობის დაბალი ფენების ინტერესებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში სიდი ულმობელი და მკაცრი ფეოდალი იყო, რომელიც თავის პირად გამდიდრებასა და ძალაუფლების მოხვეჭას ემსახურებოდა.

პოემაში ისტორიული სინამდვილიდან ცალკეული გადახვევები ჭარბად ხდება იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხალხს ასეთ დადებით პირად უნდოდა წარმოედგინა თავისი გმირი. გარდა ამისა, ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ პოემა ერთი საუკუნის შემდეგ (XII საუკ. შუალედი) შეიქმნა დღიდან ისტორიული სიდის მოღვაწეობისა. ამ ხნის განმავლობაში სიდის უარყოფითი მხარეები ხალხის მიერ ან დავიწყებულ იქნა, ან არადა მას აპატია. ერთადერთი ხელნაწერი „სიმღერა ჩემ სიდზე", რომელმაც დღემდე მოაღწია, მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის.

---

[1] იხ. БСЭ, მეორე გამოც.; ტ. 39, გვ. 10.

[2] იხ. «Хрестоматия по зарубежной литературе средних веков», 1953, გვ. 439.

თავი VII

სკანდინავიის ქვეყნები ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში

სკანდინავიის ქვეყნების საერთო ვითარება ფეოდალიზაციის დაწყებამდე. სკანდინავიის უძველეს ხანაზე რაიმე მნიშვნელოვანი წყაროები არ მოგვეპოვება. მხოლოდ ტაციტუსის ხანიდან იწყება სკანდინავიის თავისებური შესწავლა რომაელების მიერ და ისიც არა სრულად, რადგან მათი ურთიერთობა ამ ქვეყნებთან უფრო მეტად, სხვა გერმანელ ტომების მეშვეობით ხდებოდა. ტაციტუსი თავის შრომაში — „გერმანია" პირველად იხსენიებს სვიონების ტომს, რომელიც მისი აზრით, ლუგიებზე, გოტონებზე, რუგიებზე და ლემოვიებზე უფრო დაცილებით ცხოვრობდა. შემდეგში, 150 წელს ჩვ. წელთ აღრიცხვით ბერძენმა მოღვაწემ პტოლემეოსმა პირველად შეადგინა ცოტად თუ ბევრად სწორი რუკა იმ ქვეყნებისა, რომელნიც განლაგებულნი იყვნენ ბალტიის ზღვის მახლობლად. ამ რუკაზე აღნიშნულია ოთხი კუნძული. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც მოთავსებულია აღმოსავლეთით, ის სკანდის უწოდებს, რაც ნიშნავს სკონეს ანუ სკანდინავიას [1]. ავგვარად, გამოდის რომ პტოლემეოსმაც კარგად არ იცოდა სკანდინავიის ქვეყნები, რადგან სკანდინავია მას წარმოდგენილი ჰქონდა არა ნახევარკუნძულად, არამედ კუნძულად. შედარებით უფრო მეტ ცნობებს სკანდინავიის ხალხებზე პროკოპი კესარიელი გვაწვდის.

შუა საუკუნეების დასაწყისში სკანდინავიის ნაწილი და იუტლანდია დაკავებული ჰქონდა გერმანელ ტომების ჩრდილო განშტოებას. იმ ტომთა შორის, რომელნიც ადრევე იყვნენ დასახლე-

---

[1] Андерссон, История Швеции, 1951. გვ. 29.

ბულნი სკანდინავიის ნახევარკუნძულზე, ყველაზე პირველად ცნობილი გახდნენ: გიუთები (იუთები) ანუ გუთები და სვეონები, ანუ სვიონები (სვენები) შემდეგში—შვედები. რადგან პირველნი (გიუთები) უმთავრესად თანამედროვე შვეციის სამხრეთ ნაწილში ცხოვრობდნენ ვენერნისა და ვეტერნის ტბებს შუა, ამიტომ ამ ადგილმა დღესაც შეინარჩუნა თავისი სახელწოდება, გუთლანდი, რაც გუთების მიწას ნიშნავს. დაახლოებით თანამედროვე შვეციის ცენტრალურ ნაწილში, გუთების ჩრდილოეთით ტბა მელანერის ირგვლივ კი დაბინადრებული იყვნენ სვენები, აქედან—სვეალანდი ანუ შვედების მიწა.

სკანდინავიის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში (თანამედროვე ნორვეგიაში) მოსახლეობდნენ ფილკების (fylka გერმანულად— volk) უამრავი წვრილ-წვრილი ტომები: რაუმები, ხალეიგები, ხარდები, რიუგიები და სხვ., რომელნიც თანამედროვე ნორვეგიელთა წინაპრებს წარმოადგენდნენ. ყველა ესენი ერთი-მეორისაგან ძალზე მოშორებით ცხოვრობდნენ ნახევარკუნძულზე ღრმად შეჭრილ ყურეების სანაპიროებზე და გათიშულნი იყვნენ ერთი მეორისაგან მაღალი მთებით. დანიის არქიპელაგის კუნძულებზე — სკანდინავიის სამხრეთ ნაწილის მიდამოებში და აგრეთვე იუტლანდიის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ დანები ანუ დანიელები, შვეციისა და ნორვეგიის ჩრდილოეთ ნაწილებში კი, ფინების ტომები.

სკანდინავიის მოსახლეობა უფრო ნაკლებად მისდევდა მიწათმოქმედებას, ვიდრე მესაქონლეობას, ნადირობას, მეთევზეობას და სხვ. ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ იქ არსებული კლიმატური პირობები, მთა-გორიანი ადგილები და ნიადაგის სიმწირე ხელს არ უწყობდა მიწათმოქმედების განვითარებას. ამ შემთხვევაში ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდნენ: იუტლანდია, სკანდინავიის სამხრეთი ნაწილი. შვეციის ცენტრალური ადგილები და უპლანდში ის ადგილები, რომლებიც მელანერის ტბას ემიჯნებოდა. ამ ადგილებში თავდაპირველად მოჰყავდათ ჭვავი და ქერი, ხოლო შემდეგში იწყეს შვრიის, სელის და სხვ. მოყვანაც.

მიწათმოქმედების დარგში სკანდინავიის ნახევარკუნძულის ძალზე დიდი ტერიტორია აუთვისებელი რჩებოდა. ნორვეგიისა და შვეციის მიწების დიდი ნაწილი მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარი იყო. ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი იუტლანდიის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილშიც. ჩამოთვლილი მხარეები უხვად იყო დაფარული გაუვალი ტყეებით. ტბებითა და ჭაო-

ბიანი ადგილებით. მართალია, აქაც აწარმოებდნენ აქა-იქ ხვნა-თესვას, მაგრამ ეს სრულიად უმნიშვნელო იყო. ამგვარად, სკანდინავიაში ჯერ კიდევ ფეოდალიზაციის დასაწყისში, უფრო მეტად ნადირობას, მესაქონლეობას და მეთევზეობას მისდევდნენ, მაგრამ სკანდინავიის მომრავლებული მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილება მარტო ზემო აღნიშნულით შეუძლებელი ხდებოდა.

ასეთ პირობებში უფრო მეტად უნდა განვითარებულიყო მეურნეობის ის დარგი, რომელსაც უკეთესი შესაძლებლობა გააჩნდა გაფართოებისათვის. სკანდინავიის მდინარეები, ტბები და უამრავი ყურეები მდიდარი იყო თევზით, რის გამოც მეთევზეობა ყველაზე მეტად გავრცელდა. თევზს იჭერდნენ არა მარტო ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. არამედ უცხოეთში გასასყიდადაც. მეთევზეობის განვითარებას თან სდევდა ზღვაოსნობის განვითარებაც. სკანდინავიის შეპრილ-შემოპრილი ნაპირები და სამდინარეო მიმოსვლა ნორმანების („ჩრდილოეთის ხალხის") დახელოვნებას ზღვაოსნობაში დიდად უწყობდა ხელს. ნავებისა და ხომალდების გაშენება იმითაც ხდებოდა იოლი, რომ სკანდინავიაში უხვად მოიპოვებოდა მათთვის საშენი მასალა საუკეთესო ტყეების სახითა და რკინის მარაგით.

სკანდინავიელები ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ ზღვაოსნობას და დიდ გულადობას იჩენდნენ შორეულ საზღვაო მიმოსვლაში. რომელიმე „ვიკინგის" (სიტყვიდან „ვიკ", რაც ნიშნავს ყურეს) ხელმძღვანელობით რაზმი, რომელიც 100-მდე კაცისაგან შედგებოდა, ჩასხდებოდა ხომალდში „ზღვის მგელში", ან „ზღვის ცხენში" და გაუდგებოდა შორეულ გზას. ამასთან, ნორმანები მიზნად ისახავდნენ არა მარტო თევზის ჭერას, არამედ ვაჭრობასაც, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული იყო ყაჩაღობასთან და ძარცვა-გლეჯასთან. ამგვარად, ზღვად გასულ ნორმანებში თვითეული პიროვნება ასრულებდა ყაჩაღობას, მებრძოლის მოვალეობას და სავაჭრო საქმიანობას[1].

სკანდინავიელები, ისე როგორც სხვა ხალხები, თემურ წყობილებაში იმყოფებოდნენ. სხვა გერმანელი ტომები, რომლებიც რომის იმპერიის მახლობლად ცხოვრობდნენ განიცდიდნენ რომანიზაციას. სკანდინავიას ასეთი გავლენა არ განუცდია და ამიტომ იქ მყოფი ხალხების თემური წყობილება დიდ ხანს უცვლელი რჩებოდა. სკანდინაველების თვითეულ ტომს თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა, რომელსაც იარლი ეწოდებოდა. რამდენიმე ტომი ჰქმნიდა

---

[1] ნორმანების ლაშქრობათა შესახებ იხ. ამ წიგნის მეორე თავი.

უფრო მსხვილ ტომობრივ გაერთიანებას, რომლის მნიშვნელოვან საქმეებს საერთო კრება განიხილავდა. იყო აგრეთვე უხუცესთა საბჭოებიც. თვითეული ტომი თავის მხრივ ასეულებად იყოფოდა, რომელსაც ასეულის უფროსი (hersir) განაგებდა. საზოგადოების საფუძველს თავისუფალი გლეხები შეადგენდნენ, რომელთაც ბონდები (bonde) ეწოდებოდათ.

როგორც აღვნიშნეთ თემური წყობილება სკანდინავიაში უფრო მყარი იყო, ვიდრე ძველი გერმანელების სხვა ტომებში, მაგრამ რაც დრო გადიოდა აქაც თემური წყობილება ირღვეოდა და ხდებოდა კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიაც მნიშვნელოვანი როლი მონობას მიეკუთვნებოდა. მართალია, სკანდინავიის ქვეყნებს არ გაუვლიათ განვითარების მონათმფლობელური საფეხურები კლასიკური სახით, მაგრამ პატრიარქალური მონობა ამ ქვეყნებში ყველგან გავრცელებული იყო. განსაკუთრებით განვითარდა ის IX—XI საუკუნეებში. როდესაც სკანდინაველი მოსახლეობის გარკვეული ფენა სისტემატურად აწარმოებდა ლაშქრობას შორეულ ქვეყნებში.

სკანდინაველები ამ ლაშქრობებში ხშირად ხელთ იგდებდნენ უამრავ ტყვეებს, რომელთაც ნაწილობრივად გარეშე ქვეყნებში მონებად ჰყიდდნენ, ხოლო დანარჩენ ნაწილს თავიანთ მეურნეობაში იყენებდნენ და მათ ექსპლოატაციას ეწეოდნენ. ეკონომიურად განვითარებულ სკანდინავიის რაიონებში განსაკუთრებით დანიაში, სამხრეთ შვეციაში და ნაწილობრივ მის ცენტრალურ ადგილებში მონური შრომა ფართოდ იყო გავრცელებული. მონებისათვის სპეციალურად გამოყოფილი იყო ცალკე ნადელები, რომლებზედაც ისინი მუშაობდნენ და იხდიდნენ გადასახადებს თავიანთი ბატონების სასარგებლოდ.

მონობამ ეგრეთ წოდებული წარჩინებულები უფრო მეტად გააძლიერა ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც. ისინი მკვეთრად გამოჰყო თემის თავისუფალი წევრებისაგან. თემის თავისუფალი წევრები, თემური წყობილების რღვევასთან დაკავშირებით, თანდათან ვარდებოდნენ წარჩინებულთა დამოკიდებულებაში. თემური წყობილების რღვევა და კლასების წარმოშობა ყველაზე ადრე შესამჩნევი გახდა შვედებში, ანუ სვიონებში. ჯერ კიდევ ადრე, ამის შესახებ ტაციტუსი წერდა: „სიმდიდრე სვიონებში ქებულია, ამიტომ მათ ერთი პიროვნება მართავს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე...“ ტაციტუსი სვიონებში სხვადასხვა ფენებს ასახელებს: წარჩინებულნი, თავისუფალნი, გააზატებულნი და მონები.

საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია და კლასების ფორმირების პროცესი სკანდინავიაში ხანგრძლივი აღმოჩნდა. მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარშიაც კი აქ მნიშვნელოვნად შემონარჩუნებული იყო თემური წყობილების ნაშთები სოხ�აღებისა და სტუმართმოყვარეობის სახით. იმ ეპოქის თანამედროვე (XI საუკ.) ადამ ბრემენელი შვედების შესახებ წერდა: „მხოლოდ ქალთა საკითხში მათ ზომა არ იციან: თვითეულ შვედს, მისი ქონებისა და მიხედვით ორი, სამი და უფრო მეტი ცოლი ჰყავს. მდიდრებსა და წინამძღოლებს ცოლები უამრავი რაოდენობით გააჩნიათ... თუმცა ყველა ჰიპერბორელი (სკანდინაველი— გ. ტ.) სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შვედების სტუმართმოყვარეობა. მათთვის უარის თქმა მოგზაურის მიღებაზე—ყველაზე დიდი სირცხვილია; ისინი ენერგიულადაც კი ეჯიბრებიან ერთმანეთს იმაში, თუ ვინ უფრო ღირსია სტუმრის თავისთან მიღებისა...“[1]

თემური წყობილების რღვევის გაპიანურების შედეგი იყო ის, რომ სკანდინავიაში ფეოდალიზაციის პროცესი მხოლოდ IX—XI საუკუნეებში დაიწყო. ამავე გარემოებამ განაზღვრა ფეოდალიზაციის ნელი ტემპებიც. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, თუმცა ნაკლები რაოდენობით, მაგრამ თავისუფალი გლეხობა სკანდინავიაში, მაინც არსებობდა. ამასთან დიდი ხნის მანძილზე შემონარჩუნებულ იქნა თემური საკუთრება დაუმუშავებელ მიწებზე, საძოვარ მინდვრებზე, ტყეებზე და სხვ. ყოველივე ამან თავის მხრივ გავლენა იქონია თვით ყმობაში მოქცეულ გლეხზე, რომელმაც სხვა ქვეყნების ყმისაგან განსხვავებით პირადი თავისუფლება დიდი ხნით შემოინარჩუნა. ასეთი იყო ფეოდალიზმის განვითარების თავისებურებანი სკანდინავიაში.

სკანდინავიაში ფეოდალიზაციის პროცესის დაგვიანებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ქრისტიანულმა სარწმუნოებამ, როგორც ფეოდალურმა იდეოლოგიამ მეცამეტე საუკუნემდე იქ ფეხი ვერ მოიკიდა, მიუხედავად იმისა, რომ ფრანკებმა არაერთხელ სცადეს იქ ქრისტიანობის დანერგვა. ამ მისიით ჯერ კიდევ 829 წელს სკანდინავიაში ბერი ანსგარი გაემგზავრა. მართალია, მან თავდაპირველად ერთგვარ, უმნიშვნელო წარმატებას მიაღწია, მაგრამ მალე მისი საქმიანობა ჩაიშალა. ასეთივე უშედეგო აღმოჩნდა მეორე მი-

---

[1] ი. ანდერსონის აღნიშნული შრომა, გვ 54.

სიონერული ცდა, რომელიც ჰამბურგის არქიეპისკოპოსმა უნიმ წამოიწყო X საუკუნის 30-იან წლებში, იგი ნაადრევად ბირკეში გარდაიცვალა და ქრისტიანობის გავრცელების ცდა კვლავ უშედეგოდ დარჩა.

დანიის სამეფოს წარმოშობა. ზემონათქვამიდან უმნიშვნელო გამონაკლისს დანია წარმოადგენდა. ამ უკანასკნელში ფეოდალიზაცია შედარებით ადრე დაიწყო. მას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ დანიაში, შედარებით სკანდინავიის სხვა ქვეყნებთან, უფრო მეტად მიწათმოქმედებას მისდევდნენ. გარდა ამისა დანია ტერიტორიულად ახლოს იმყოფებოდა ფრანკთა მონარქიასთან, სადაც ყველაზე უფრო ადრე ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ფეოდალური ურთიერთობა. ფრანკების გაბატონებული ფეოდალური კლასი ყოველმხრივ ცდილობდა თავისი გავლენა მეზობელ ქვეყნებზედაც გადაეტანა. დანიაში ფეოდალიზაციის შედარებითმა ადრე დაწყებამ სკანდინავიის სხვა ქვეყნებთან, ასევე ადრე წარმოქმნა პირვანდელი ფეოდალური სამეფო.

ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში დანიის მეფემ (კონუნგმა) ჰარალდმა „მებრძოლმა კბილმა" გააერთიანა დანია და სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი: სკონე, ჰალანდი და ბლეკინგი. მეფე გოდფრიდის (გარდაიცვ. 810 წ.) დანიის სამეფოში გაერთიანდა აგრეთვე შლეზვიგი. IX—X საუკუნეში დანიის სამეფო იმდენად გაძლიერდა, რომ იწყო აგრესიული პოლიტიკის გატარება ძლიერი მეზობელი სახელმწიფოების მიმართაც კი. დანიელი ვიკინგების ლაშქარი სისტემატურ თავდასხმებს აწარმოებდა კაროლინგების იმპერიაზე (პირველად 834 წელს, ხოლო 885 წ. დანიელებმა პარიზს ალყა შემოარტყეს). დანიელებმა 866 წელს აღმოსავლეთი ინგლისი დაიპყრეს და იქ გაბატონდნენ მეათე საუკუნის დასაწყისამდე. 911 წელს მათ მდინარე სენას შესართავთან ნორმანდიის საჰერცოგო დააარსეს.

მეათე საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალიზაციის განვითარებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ქრისტიანული რელიგიის შემოღება. დანიის მეფე ჰარალდ „ლურჯ კბილიანმა" (დაახ. 940—985)[1] ქრისტიანობა მიიღო. მან ეკლესია მიწებით დააასაჩუქრა და ფეოდალური პრივილეგიები მიანიჭა მას. ჰარალდ „ლურჯ კბილიანი" ექსპანსიურ პოლიტიკას აწარმოებდა ლიტველი მოდგმის ტომებიან,

---

[1] ლევიცკის მიხედვით, ჰარალდის მეფობა იწყება დაახლოებით 950 წლიდან (იხ. Всемирная история, ტ. III, გვ. 197).

პრუსებთან და აგრეთვე ზღვისპირეთის სლავებთან. მან რამდენიმეჯერ მოაწყო გალაშქრება ინგლისში. მის დროს დანია მძლავრ პოლიტიკურ ერთეულად გადაიქცა.

მეფე სვენის დროს (986—1014) დანიამ კვლავ დაიმორჩილა ინგლისი და ნორვეგიის ნაწილიც დაიპყრო, მაგრამ დანიელების ბატონობა იმ ჯერად მოკლე ხნისა აღმოჩნდა. ინგლისზე ხელახალი თავდასხმები კვლავ წამოწყებულ იქნა მეფე სვენსონის დროს (1014—1017), მაგრამ ეს მეფე ვერ მოესწრო ინგლისის საბოლოო დამორჩილებას და ამიტომ მის მიერ დაწყებული საქმე განაგრძო მისმა შვილმა კნუდმა (1017—1035). მან საბოლოოდ მოახერხა ინგლისის დაპყრობა. მისი მეფობის დროს გაერთიანდა ერთ სახელმწიფოში დანია, ნორვეგია, ინგლისი და აგრეთვე შვეციის ერთი ნაწილი. კნუდის ასეთი პოლიტიკა ნაკარნახევი იყო დანიის ფეოდალების მიერ. მაგრამ კნუდის გაერთიანებული სახელმწიფო არ აღმოჩნდა მყარი. მის გარდაცვალებასთან ერთად ეს სახელმწიფოც დაიშალა. დანიელების მიერ ყველა დაპყრობილი ტერიტორიიდან დანიის სამეფოს შემადგენლობაში დარჩა მხოლოდ სამხრეთ-სკანდინავია.

ფეოდალიზაციის პროცესი ნორვეგიაში. სკანდინავიის ქვეყნების ფეოდალიზაციის პროცესის მიმდინარეობის თავისებურება უფრო გასაგები ხდება ნორვეგიის მაგალითიდან. ამიტომ მის განხილვაზე ჩვენ მეტ ყურადღებას შევაჩერებთ.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნიდან სკანდინავიის ნახევარკუნძულის დასავლეთი ისევე დასახლებული აღმოჩნდა ძველი გერმანელი ტომებით, როგორც ამ ნახევარკუნძულის სხვა ნაწილები. ძველ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად აქ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ტომები: ხოლმრუგიები, აუგანდიები, გრანიები, რაუმები და სხვ. მათ საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებას დიდი ხნის მანძილზე თემური წყობილება განსაზღვრავდა. ნორვეგიელთა გვარი, რომელიც ეკზოგამიის მკაცრ პრინციპს ემყარებოდა, მოიცავდა ნათესაობის ფართო წრეს მეექვსე თაობის ჩათვლით. ამასთან იგი შედგებოდა მსხვილი ოჯახებისაგან, რომლებშიაც 20—40 მამაკაცამდე მოითვლებოდა. ნორვეგიელ არქეოლოგების მიერ ასეთი დიდი ოჯახების ბევრი ძველი დასახლებული ადგილებია აღმოჩენილი. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში შემონარჩუნებულია III—VI საუკუნეებში არსებული კარმიდამოების ნაშთები. მათში სახნავ-სათესი ნაკვეთები მცირე ფართობისა იყო, რადგან ქვიანი ნიადაგის დამუშავება სიძნელეს წარმოადგენდა. ასეთ კარმიდამოში ერთი ან ორი სახლი იდგა. თვითეული სახლის სიგრძე 15—30 მეტრს აღემატებოდა, ხოლო სიგანე 5—10 მეტრს.

ნორვეგიის სოფლები რომლებიც განლაგებულნი იყვნენ კერძოდ, ტრონდელაგეში უფრო წვრილ ერთეულებს წარმოადგენდნენ და უფრო პატარა ხუტორებს ემსგავსებოდნენ, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა მცირე იყო. ასეთი დასახლება აიხსნებოდა ნორვეგიის ბუნებრივი პირობებით. აქ დიდი რაოდენობით არ მოიპოვებოდა ფართო ვაკე ადგილები, რომლებზედაც შესაძლებელი იყო დიდი სოფლების მოწყობა. ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ ნორვეგელები დასახლებულნი იყვნენ პატარ-პატარა ოლქებში (ფიოლკებში), რომლებიც მაღალი მთებით მოწყვეტილნი იყვნენ ერთი-მეორისაგან და რომელთა დაკავშირებაც ხდებოდა მხოლოდ ყურეების (ფიორდების) მეშვეობით და რომ თვითეულ ტომს მართავდა უხუცესი — იარლი.

რამდენიმე ტომი ერთიანდებოდა ტომობრივ კავშირში. ამ გაერთიანების საქმეებს სახალხო კრება „ტინგი" (thing) ხელმძღვანელობდა. თავდაპირველად სახალხო კრებაზე გვარის ყველა თავისუფალი წევრი უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ შემდეგში, ტომობრივი კავშირის გაფართოებასთან ერთად ეს გარემოება მეტად ძნელდებოდა, რადგან ტინგზე გამოცხადებისათვის შორეულ ადგილებიდან წამოსული გვარის წევრი დიდი ხნით უნდა მოწყვეტილიყო თავის მეურნეობას და ხშირ შემთხვევაში დანიშნულ ადგილას დროზე ვერ ცხადდებოდა. გვარში მომხდარ სოციალურ დიფერენციაციასთან ერთად ტინგების ხასიათიც იცვლებოდა. სამხედრო ხელმძღვანელები და სხვა წარჩინებული პირნი თავიანთი ამალითა და მათზე დამოკიდებული კაცებით ცხადდებოდნენ სახალხო კრებაზე (მათ ამისი შესაძლებლობა უფრო მეტი ჰქონდათ) და თავიანთ ნება-სურვილს სახალხო კრებას უკარნახებდნენ.

ტომთა უფრო მსხვილ გაერთიანებას ეგრეთწოდებული „რიკი" წარმოადგენდა. თვითეულ ასეთ გაერთიანებას სათავეში ედგა „მეფე" (კონუნგი), რომელსაც ტინგის საერთო კრება ირჩევდა. იმ შემთხვევაში თუ „მეფე "არ დააკმაყოფილებდა სახალხო კრების მოთხოვნებს, მას კრება გადაყენებულად აცხადებდა. ტომთა გაერთიანების შედეგად ნორვეგიაში წარმოიქმნა ოთხი ერთი-მეორისაგან დამოუკიდებელი ოლქი, რომელთაც თავიანთი ტინგები, გააჩნდათ. ჰქონდათ საკუთარი კანონები და საკუთარი ადგილობრივი წესები. რა თქმა უნდა, მათში არსებული სხვაობა გამოწვეული იყო მათი სხვადასხვა ეკონომიური განვითარების დონითა და სოციალური წყობით. ამ მხრივ ჩრდილო-ნორვეგია, მაგალითად, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სამხრეთისაგან.

ტრონდელაგის მხარე უფრო კონსერვატიული აღმოჩნდა თავის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი მოსახლეობა, რომელიც მიწათმოქმედებასთან ერთად მისდევდა მესაქონლეობას, მეთევზეობას, ნადირობასა და სხვ. მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ნორვეგიის მეფეებს, რომელნიც ცდილობდნენ მის დამოუკიდებლობის მოპობას და არა ერთხელ აიძულებდა მათ დათმობებზე წასულიყვნენ. სამხრეთ-დასავლეთ ნორვეგიის მცხოვრებლებთან შედარებით ტრონდელაგის მოსახლეობა უფრო უმნიშვნელო მონაწილეობას ღებულობდა ვიკინგების საზღვაო ექსპედიციებსა და ლაშქრობებში.

ფეოდალიზაციის დასაწყისს ნორვეგიაში, ისე როგორც სკანდინავიის სხვა ქვეყნებში, დიდი ხნით ადრე წინ უძღოდა კერძო საკუთრების წარმოშობა მიწაზე და თემური წყობილების რღვევა. ნორვეგიაში თემური წყობილებიდან ფეოდალიზმზე გადასვლის პერიოდი (როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკანდინავიის საზოგადოებრიობამ ამ საქმეში გამოსტოვა კლასიკური მონობის საფეხური), ევროპის სხვა ქვეყნებთან განსხვავებით, გაცილებით უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა. ეს გარემოება უპირველეს ყოვლისა უნდა აიხსნას თვით სკანდინავური თემის თავისებურებებით. მისი კონსერვატიული ბუნებით. თემის ძირითადი საყრდენი მსხვილი ოჯახი საუკუნეების მანძილზე უცვლელი რჩებოდა, იმდენად უცვლელი, რომ იგი XI საუკუნის საქართველოს წიგნებშიაც კი მოიხსენიება.

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მსხვილი ოჯახის მეურნეობის დაყოფა მემკვიდრეთა შორის არ არის დაშვებული. „გულატინგის კანონებში" პირდაპირ მითითებულია იმაზე, რომ თუ ოდალის (მემკვიდრეობით მიღებული მიწა—გ. ტ.) მემკვიდრედ ორი ძმა დარჩება, მაშინ მიწა ერთერთ მათგანზე გადადის კენჭისყრის წესით..."[1] ეს გარემოება მემკვიდრეობის ვარეშე დარჩენილ ძმას აიძულებდა საცხოვრებლად დარჩენილიყო თავისივე ძმის ოჯახში და ამგვარად, ოჯახის დაყოფაც არ მოხდებოდა. გამოდის, რომ დიდი ოჯახისადმი განკუთვნილი მიწის ესა თუ ის ფართობი ინდივიდუალურ საკუთრებას კი არა, დიდი ოჯახის კოლექტიურ საკუთრებას წარმოადგენდა.

კერძო ინდივიდუალური საკუთრების გაჩენასთან ერთად მსხვილ ოჯახებს „მცირე" ოჯახები გამოეყოფა, მაგრამ კერძო საკუთრების გაჩენასა და მის შემდგომ განვითარებას ისევ და ისევ თემური ტრადიციები აფერხებდა. ჯერ ერთი, რომ არსებული ტრა-

---

[1] А. Я Гуревич. Большая семья в Сев.-Зап. Норвегии в раннее средневековье (იხ Средние века. ტ. VIII. 1956, გვ. 77).

დიციების მიხედვით, თუ ვინმე გადასწყვეტდა თავისი მიწის გაყიდვას, მიწა უნდა გაყიდულიყო მის ნათესავზე. გარეშე პიროვნებას მისი შესყიდვის უფლება არა ჰქონდა მანამდე. თუ ვინმე ნათესავთაგანი არ მოისურვებდა ამ მიწის შესყიდვას, და მეორე, გამყიდველს უფლება ჰქონდა 20 წლის განმავლობაში უკან გამოესყიდა თავისი გაყიდული მიწა იმავე ფასში, როგორშიაც მან გაჰყიდა. თუ მიწის მყიდველს ამ ხნის განმავლობაში ნაყიდ მიწაზე გაშენებული ჰქონდა რამე, მას შეეძლო აღნიშნულის საფასური დამატებით გამოერთმია. იმ შემთხვევაში, თუ მიწის გამყიდველი 20 წლის განმავლობაში გარდაიცვლებოდა, მის მემკვიდრეს შეეძლო გაყიდული მიწის უკან გამოსყიდვა 10 წლის განმავლობაში სრულასაკოვნების მიღწევის შემდეგ.

ინდივიდუალური კერძო საკუთრების განვითარების ეს შემფერხებელი პირობები იქცეოდნენ აგრეთვე ფეოდალიზაციის პროცესების დაგვიანების, ან მისი შერბილების მიზეზადაც. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაცია თანდათან მატულობდა, თემი ჰკარგავდა თავის ცხოველმყოფელობას და იზრდებოდა კლასობრივი წინააღმდეგობანი, რაც გარდუვალს ხდიდა, ამ შემთხვევაში, ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოშობას.

ნორვეგიის სამეფოს ჩამოყალიბება და მისი შემდგომი ვითარება. ყოველივე ამის პარალელურად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ცალკეული ნორვეგიელი ტომები ჰქმნიდნენ უფრო მსხვილ ტომობრივ გაერთიანებებს. მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში ნორვეგიის ყველაზე უფრო ეკონომიურად განვითარებული ოლქის, ვესტფოლის კონუნგმა ჰაარალდ ჰაარფაგრმა გააერთიანა თავის ძალაუფლების ქვეშ ნორვეგიის აღმოსავლეთი ნაწილი ეგრეთწოდებული ესტლანი. იგი აწარმოებდა ბრძოლებს აგრეთვე დასავლეთ-ნორვეგიის, ვესტლანის გაერთიანებისათვისაც. მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტისათვის საკმაო სოციალური ბაზა არ გააჩნდა.

როგორც ნორვეგიაში, ისე სკანდინავიის სხვა ქვეყნებში მეფეთათვის ქვეყნის პოლიტიკურად გაერთიანების საქმეში მნიშვნელოვან საშუალებას ქრისტიანული ეკლესია წარმოადგენდა. ნორვეგიაში ქრისტიანობა ვრცელდებოდა მეათე საუკუნის შუალედში. ამავე საუკუნის ბოლოს მეფე ოლაფ პირველმა (995—1000) იგი ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა. ქრისტიანობის გავრცელებას უწინააღმდეგებოდნენ ხალხის მასები და აგრეთვე საგვარეულო არისტოკრატია, რომელიც ადგილობრივ წარმართულ კულტებს ემყარებოდა. ქრისტიანული ეკლესია უფრო მეტად გაძლიერდა მეფე

ოლაფ მეორის დროს (1015—1028). ეს უკანასკნელი უხვად აჯილდოვებდა ეკლესიას და მას მეტ პრივილეგირებულ მდგომარეობას უქმნიდა, რისთვისაც ეკლესიამ იგი „წმინდანად“ აღიარა და გარდა ამისა დიდი დახმარება აღმოუჩინა მას ქვეყნის პოლიტიკურად გაერთიანების საქმეში.

ამგვარად, ნორვეგიის ცალკეული ტომებისა და მათი კავშირების გაერთიანება ერთი მეფის ძალაუფლების ქვეშ მოხდა X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში. მაგრამ ნორვეგიის პოლიტიკური გაერთიანება მაინცა და მაინც ხელსაყრელად არ მიიჩნია დანიის სამეფომ. 1025 წელს მან ომი წამოიწყო ნორვეგიის წინააღმდეგ. სკონეში მდინარე ხელგესთან გამართულ ბრძოლებში დანიელებმა ნორვეგიელები დაამარცხეს. 1028 წელს დანიის მეფემ კნუდმა ოლაფ მეორე აიძულა გაქცეულიყო. უკანასკნელმა თავი შეაფარა ნოვგოროდს. ამგვარად, ნორვეგია ერთხანად დანიის სამეფოს შემადგენელ ნაწილად იქცა. დანიელთა ბატონობისაგან ნორვეგია მაშინვე განთავისუფლდა, როცა კნუდი გარდაიცვალა და მისი სამფლობელო დაიშალა. ოლაფ მეორის შვილმა 1035 წელს შეძლო ნორვეგიის სამეფო ტახტის დაკავება, ხოლო 1042 წლიდან 1047 წლამდე იგი დანიის მეფედაც კი ითვლებოდა.

მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს ნორვეგიის სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას მნიშვნელოვანი ცვლილებები დაეტყო. მიწათმოქმედების ხვედრი მეურნეობაში თანდათან გაიზარდა. უფრო მნიშვნელოვანი გახდა ტექნიკის განვითარება. ვაჭრობა და აღებ-მიცემობა გაფართოვდა. ამას შესაფერისი სოციალური ცვლილებებიც მოჰყვა. თავისუფალი გლეხობა ეკონომიურად უფრო მეტად დამოკიდებული აღმოჩნდა მემამულეებზე. ქვეყნის ფეოდალიზაციამ ამიერიდან განვითარების მეტი გასაქანი მოიპოვა.

შვეცია. როგორც აღნიშნული იყო შვეციაში მოსახლეობდნენ გერმანელი ტომები: გერულები, გიუთები, ანუ გუთები. განსაკუთრებით კი სვიონები ანუ შვედები. აღნიშნული იყო ისიც, რომ შვეციის მოსახლეობა დიდი ხნის მანძილზე გვაროვნულ წყობილებაში იმყოფებოდა. აქ გვაროვნული წყობილების რღვევა შესამჩნევი გახდა VI—VII საუკუნეებში. იგი თანდათანობით ძლიერდებოდა მერვე საუკუნისათვის, როდესაც თემის შინაგან რღვევის პროცესს დაემატა გარეგანი ფაქტორის გავლენაც. აღნიშნულ ხანაში შვედებმა უფრო მეტად გააფართოვეს აღებ-მიცემა და ვაჭრობა მეზობელ სახელმწიფოებთან—განსაკუთრებით ფრანკებთან და აღმოსავლეთის ქვეყნებთან. შვედელი ვიკინგების ლაშქრობანი სკანდინავიის სხვა ქვეყნების ვიკინგების ლაშქრობებთან, შედარებით ისეთ მტაცებლურ

ბასიათს არ ატარებდნენ. ისინი უფრო მეტად სავაჭრო ურთიერთობაში გამოვლინდებოდნენ. მეცხრე საუკუნეში ვარიაგები მიემგზავრებოდნენ რუსეთში, ბიზანტიაში და არაბულ ქვეყნებში ვაჭრობის გასაფართოებლად, რის შედეგადაც შვეციის პირველი ქალაქი ბირკა, რომელიც მელარენის ტბასთან მდებარეობდა, ბალტიის ვაჭრობის ცენტრად გადაიქცა.

თავადური წყობილებიდან კლასობრივ ასაზოგადოებაზე გადასვლის ნელი პროცესი კარგა ხნის განმავლობაში არ ჰქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო ჩამოყალიბებისათვის, რაც უნდა აიხსნას შემდეგი გარემოებით: შვეციაში ისე, როგორც ნორვეგიაში, უმრავლეს შემთხვევაში, ბუნებრივი პირობების გამო მიწათმოქმედება სოფლის მეურნეობაში ვერ გადაიქცა წამყვან დარგად. შვედელები საარსებო საშუალებად უმთავრესად გახდა მესაქონლეობა, ნადირობა, მეთევზეობა და სამთამადნო მრეწველობა. ასეთ პირობებში მსხვილი ფეოდალური მეურნეობის წარმოქმნა შეუძლებელი გახდა. თუ დასავლეთ-ევროპის სხვა სახელმწიფოებში ფეოდალებს ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა, რომელშიაც გამოყენებული იყო ყმის შრომა ბეგარის სახით, შვეციის ფეოდალები უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ ყმებისაგან მარტო ღალის მიღებით, ე. ი. როგორც მარქსი ამბობდა — პროდუქტიული რენტით. შვეციის ფეოდალური განვითარების თავისებურებას, გარდა ამისა, ახასიათებდა ისიც, რომ მასში არაებული გლეხური თემი თავისი მყარი ფორმით კარგა ხანს იცავდა თავისი წევრების თავისუფლებას ფეოდალთა ხელყოფისაგან.

შვეციის სამხედრო-მიწათმოქმედ არისტოკრატიას, რომელიც ფლობდა მიწებს მონებით დასახლებულს და რომელიც თავის გავლენის ქვეშ თავისუფალ გლეხობასაც აქცევდა, ჰყავდა პატარ-პატარა მეფეები (კონუნგები), რომელთა შორისაც განუწყვეტელი ბრძოლები წარმოებდა პირველობისთვის. მეათე საუკუნეში, მეფეთა ურთიერთ ბრძოლის შედეგად შვეციაში ორი სამეფო ჩამოყალიბდა: ერთი, შუა შვეციის დიდი ტბების ჩრდილოეთით, საკუთრივ შვეცია (Svealand), რომლის ცენტრი უპსალე იყო, მეორე [illegible]ის სამხრეთით, ეტალანდი.

[illegible]ის გამო, რომ უპსალეა ოლქი ნაყოფიერი მიწების შემცველი იყო, ახლოს კარგად დაცული უბეები გააჩნდა და სამხედრო-სავაჭრო ურთიერთობას ამყარებდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან. მალე გადაიქცა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრად. დროთა განმავლობაში ჩრდილოეთის სამეფო საკმაოდ გაძ-

ლიერდა. რაც შეეხება შვეციის სამხრეთ ნაწილს, ეტალანდს, იგი უფრო მეტად დაკავშირებული აღმოჩნდა დანიასთან და გერმანიასთან. სამხრეთ შვეციის მეფეები უცხოელ-დანიელების დახმარებით ცხარე ბრძოლებს აწარმოებდნენ უპსალეს სამეფოსთან. ეს ბრძოლები, დაწყებული მეათე საუკუნიდან მეთერთმეტე საუკუნემდე გრძელდებოდა. ბრძოლებში გამარჯვებული უპსალელები გამოვიდნენ[1]. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში მოხდა ამ ორ სამეფოთა გაერთიანება, რომლის პირველი მეფე ოლაფ შეტკონუნგი იყო.

ეტყობა, რომ ოლაფმა ქვეყნის გაერთიანების საქმეში ქრისტიანული ეკლესია გამოიყენა, რადგან მისი მეფობის დროს (დაახ. 1000 წ.) დაიწყო შვეციაში ქრისტიანობის გავრცელება, რამაც გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა მხოლოდ XII საუკუნეში. ოლაფის სახელმწიფო, შეიძლება ითქვას, რომ ადრინდელ ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რადგან ფეოდალური ურთიერთობანი მაშინ იწყებენ განმტკიცებას და უფრო გვიან (XIII—XIV საუკუნეებში) ხდება მათი საბოლოო ჩამოყალიბება.

---

[1] იხ. И. Андерссон. История Швеции, გვ. 42—43.

თავი VIII

ფეოდალური ქალაქები

ბურჟუაზიული მკვლევარების კრიტიკა ქალაქის ცნების გაგების საკითხში. დასავლეთ-ევროპის საზოგადოებისათვის მეთერთმეტე საუკუნე მეტად მნიშვნელოვან ხანას წარმოადგენს. ამ დროს ძირითადად დამთავრდა ფეოდალურ სახელმწიფოთა საბოლოო ჩამოყალიბება; გარდა ამისა, მეთერთმეტე საუკუნის მიწურულში დაიწყო ჯვაროსანთა ლაშქრობანი, რასაც ევროპის საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. ამავე დროს, მასობრივად ხდება ფეოდალური ქალაქების წარმოშობა სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფის ნიადაგზე.

ვიდრე შევეხებოდეთ ქალაქების წარმოშობის შესწავლას, ზედმეტი არ იქნება, თუ გავეცნობით ზოგიერთ ბურჟუაზიულ მკვლევარის შეხედულებას ქალაქის ცნების საკითხებზე. ბურჟუაზიული მკვლევარები ქალაქს სოციალურ-ეკონომიურ კატეგორიად არ თვლიან. მისი განსაზღვრის დროს ისინი იურიდიულ, ან სხვა მეორეხარისხოვან ფაქტორებს აქცევენ ყურადღებას. ნეოკანტიანელი მაქს ვებერის (1864—1920) აზრით ქალაქი უნდა ეწოდოს ისეთ დასახლებულ პუნქტს, სადაც მეზობლები ერთი-მეორეს ვერ იცნობენ. ერთი შეხედვით ასეთი გაგება სწორი უნდა იყოს, რადგან სოფელში ქალაქისაგან განსხვავებით, ყველა ერთი-მეორეს იცნობს, მაგრამ სინამდვილეში, ვებერის მოსაზრება მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძვლებს. გამოდის რომ ყოველივე ადგილი, ან ჯარის ნაწილების ბანაკი, სადაც თავს იყრიან ისეთი პირები, რომელნიც ერთი-მეორეს ვერ იცნობენ, ქალაქს წარმოადგენს.

ქალაქის განსაზღვრის საკითხში არა ნაკლებ მცდარ შეხედულებას გამოსთქვამდა ცნობილი ბურჟუაზიული მკვლევარი მაურერი. მისი აზრით, ქალაქი უნდა ეწოდოს ყველა იმ ადგილს, რომელიც გარშემოვლებულია კედლებით ანუ გალავნით. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქალაქი კედლებით გარშემორტყმული სოფელია". ამგვარად, გამოდის, რომ ყველა ციხე-სიმაგრე ქალაქად უნდა იყოს აღიარებული, რაც მეცნიერულ სინამდვილეს არ შეეფერება. ქალაქის განმარტების საკითხში უფრო ხსვანაირ აზრს გამოსთქვამდა ბურჟუაზიული ისტორიკოსი გერმანელი როტი (Roth 1820—1892). მისი შეხედულებით ქალაქის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია თვითმმართველობა, ამიტომ დასახლებული პუნქტი, თუ გააჩნია თვითმმართველობა, ქალაქია. როგორც ვხედავთ აქ მხოლოდ იურიდიულ მსჯელობასთან გვაქვს საქმე. ქალაქის განმარტებას, ეკონომიური თვალსაზრისით, თითქოს ახდენს ვერნერ ზომბარტი (1863—1941). ამ გერმანელ ვულგარულ-ბურჟუაზიული ეკონომისტის აზრით ქალაქი უნდა ეწოდოს ყველა იმ „დასახლებულ ადგილს, რომელიც სოფლის ნაწარმს მოიხმარს". ამგვარად, ქალაქის განმარტებაში გადამწყვეტ ფაქტორად ზომბარტის მიერ „მოხმარება" და არა წარმოება არის წამოყენებული.

ბურჟუაზიულ მკვლევართა კრიტიკა ქალაქების წარმოშობის საკითხში. ისე როგორც „ქალაქის" განმარტების საკითხში, ბურჟუაზიული მკვლევარები არამეცნიერულ საფუძველზე დგანან ქალაქების წარმოშობის მიზეზთა გაშუქების დროსაც. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ქალაქების წარმოშობის დროის განსაზღვრის საკითხში ბურჟუაზიულ მკვლევართა შორის ორი ძირითადი მიმართულება წარმოიშვა. ეგრეთ წოდებული რომანისტული თეორიის[1] წარმომადგენელნი (რენუარი, ტიერი, გიზო, სავინი) ამტკიცებდნენ, რომ ფეოდალური ქალაქები ანტიკური ქალაქების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენენ, ამიტომ ქალაქების წარმოშობის სათავეები, მათი აზრით, ანტიკურობაში უნდა ვეძიოთ. ისინი ფიქრობენ, რომ ფეოდალური ქალაქების დაწესებულებანი გვიანდელი რომის იმპერიის მუნიციპალურ ორგანოებიდანაა წარმოშობილი; ტიერის თქმით „ახლად წარმოშობის პროცესში მყოფი

---

[1] „გერმანისტულ" და „რომანისტულ" მიმდინარეობათა შესახებ იხ. გ. ტივაძის „ფეოდალიზმის გენეზიის დასავლეთ ევროპაში", თავი მეორე.

ქალაქები მათში მოიპოვებდნენ ქალაქური თემის, მისი წესებისა და ჩვეულებათა ნიმუშს"[1].

როგორც აქედან ჩანს, რომანისტული თეორიის წარმომადგენელნი ემყარებოდნენ ევოლუციური განვითარების პრინციპს. მათი გაგებით ქალაქი თავისუფლების აკვანია. ძველი რომის მუნიციპალურ ქალაქებში არსებული თავისუფლება გერმანელებმა ვერ მოსპეს. „ძიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური დაწესებულებანი ამ თავისუფლებას მოსპობით ემუქრებოდნენ, იგი ცოტად თუ ბევრად ხელშეუხებელი რჩებოდა და ამასთან ერთად განაგრძობდა არსებობას მისი მდგომარეობის მაჩვენებელი მოქალაქის ძველი სახელწოდება (citoyen)".[2]

თავისუფლების მატარებელ ქალაქში წარმოიშვა ეგრეთ წოდებული „მესამე წოდება" ანუ ბურჟუაზია. რომანისტული თეორიის წარმომადგენელნი ამტკიცებდნენ, რომ ბურჟუაზიას უფრო მეტი ხნის ისტორია გააჩნია, ვიდრე თავადაზნაურობას. ცნობილია, რომ თავად-აზნაურობა წარმოიშვა ფეოდალიზმის გამარჯვების შედეგად, ეს კი მოხდა არა უადრეს მეცხრე საუკუნისა. რადგან ბურჟუაზიის წარმოქმნა ქალაქებთანაა დაკავშირებული, ხოლო ქალაქების არსებობა უძველესი დროიდან იწყება, ამიტომ ბურჟუაზიის წარმოქმნაც წინ უსწრებს თავად-აზნაურობის გაჩენას. ასეთია რომანისტული თეორიის წარმომადგენელთა გარკვეული ტენდენციის მქონე შეხედულება ქალაქების წარმოშობის საკითხში.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რომანისტულ თეორიას დაუპირისპირდა ბურჟუაზიულ მკვლევართა მეორე მიმდინარეობა, რომელიც ადრინდელ შუა საუკუნეებს წარმოიდგენდა, როგორც ნატურალურ-კარჩაკეტილ მეურნეობის ეპოქას. ამ დროისათვის ადგილი არ ჰქონდა ფართო აღებ-მიცემობასა და ვაჭრობას, ქალაქებიც ფაქტიურად არ არსებობდნენ მით უფრო, რომ „ხალხთა დიდი გადასახლების" დროს ძველად არსებული ქალაქები დაინგრნენ და განადგურდნენ. თუკი რამ გადარჩა ანტიკურობიდან, ასეთი ქალაქი უფრო ციხე-სიმაგრე, ან ადმინისტრატიული ცენტრი იყო მეფეთათვის, გრაფებისათვის და ეპისკოპოსთათვის. მაშასადამე, X—XI საუკუნეებამდე ევროპაში ნამდვილი ქალაქი არ არსებობდა. ამგვარად, საჭირო გახდა გარკვევა იმისა, თუ რა მიზეზებით წარმოიშვა ფეოდალური ქალაქი.

ქალაქთა წარმოშობის მიზეზის გარკვევის საკითხში ამ ბურჟუ-

---

[1] Огюстен Тьерри, Избранные сочинения, 1937, გვ. 18.
[2] იქვე.

ახალგაზრდა მკვლევარებმა უფრო ფორმალური მიდგომა გამოიჩინეს. ამ ნიადაგზე შეიქმნა მთელი რიგი სხვადასხვა თეორიებისა. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავა ეგრეთ წოდებულ „სამამულო თეორიას", რომლის სულის ჩამდგმელები თავდაპირველად იყვნენ �ახორნი და ნიჩი. სამამულო თეორიის წარმომადგენელთა თვალსაზრისით ფეოდალური ქალაქის დაწესებულებანი წარმოიშვნენ მამულის მმართველობიდან: ქალაქის მოხელეები — მინისტერიალებიდან, ქალაქის საბჭო — მამულის ადმინისტრაციიდან და ა. შ. ეს „თეორია" რეაქციონერ იუნკრების იდეათა ამსახველი იყო. ამ „თეორიის" დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა მსხვილი ფეოდალური მამულის როლის გაზვიადება შუა საუკუნეების დროის დასავლეთ ევროპის განვითარების საქმეში. ეს მცდარი „თეორია" XIX საუკ. ბოლოსა და XX საუკ. დასაწყისში მკაცრად გააკრიტიკეს თვით ბურჟუაზიულ მკვლევართა წარმომადგენლებმა: ბელოვმა, დოპშმა, კარომ და სხვ.

ქალაქების წარმოშობის საკითხში არა ნაკლებ დამახინჯებებს ვხვდებით ეგრეთ წოდებულ „სათემო (სამარკო) თეორიაში", რომელიც გ. მაურერმა განავითარა და, რომელსაც შემდეგში ბელოვი მიემხრო. ამ შეხედულებით ქალაქური წყობილება თავისუფალი სოფლის თემიდან წარმოიშვა, ქალაქის თანამდებობანი მარკის თანამდებობებიდან განვითარდა და სხვ. ამგვარად, აქაც ადგილი აქვს ფორმალურ-ლოგიკურ მსჯელობას. ასევე შეცდომათა შემცველია „ბურგული თეორია" (ლოტგენი, რიჩელი და სხვ.), რომლის მიხედვითაც ქალაქის დაწესებულებანი წარმოქმნილია გამაგრებული ადგილებისაგან მიღებული განსაკუთრებული უფლებებიდან. ანალოგიურად მსჯელობდნენ „საბაზრო თეორიის" წარმომადგენელნი ქალაქის წარმოშობის საკითხზე. ზოგიერთი იურიდიული ტერმინის ანალიზით ქალაქის უფლება მათ საბაზრო უფლებაზე დაჰყავდათ და ამიტომ ფიქრობდნენ, რომ ქალაქი ბაზრიდანაა წარმოშობილი. დაახლოებით ამასვე აღიარებდნენ ვილდა და გირკე. მათი აზრით ქალაქების წარმოშობას საფუძვლად გილდები (ვაჭართა კავშირები) დაედო.

ა. პირენის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ წყაროები საკმაო რაოდენობით არ მოგვეპოვება, ჩვენ მაინც შეგვიძლია მივუთითოთ XI საუკუნის ქალაქებში სავაჭრო კორპორაციების არსებობაზე. ქვეყნის ყველა გერმანულ ნაწილში ისინი იწოდებოდნენ გილდიებად, ან ჰანზებად. შემდეგ პირენი განაგრძობს: „სავაჭრო კოლონიამ, რომელსაც ის (გილდია—გ. ტ.) ფაქტიურად ხელმძღვა-

ნელობდა, თანდათანობით მიიღო სახე ქალაქისა ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით"... „სავაჭრო კოლონიების გამაგრებულ ბურგებად გადაქცევა შეიძლება ჩაითვალოს ბელგიის ქალაქთა უმრავლესობის ახალი განვითარების ამოსავალ პუნქტად"[1].

ა. პირენისა და რიტშელის ეს დებულება შუა საუკუნეების ქალაქის წარმოშობაზე და მის განვითარებაზე ამერიკელმა ისტორიკოსმა სტეფენსონმაც გაიზიარა. მისი აზრით, დაწყებულმა კომერციულმა გამოცოცხლებამ XI საუკუნეში მისცა საწყისი ქალაქების წარმოშობას იტალიაში, საფრანგეთში, ფლანდრიაში, გერმანიაში და სხვ. „მანამდე (ამბობს სტეფენსონი), ვიდრე XI საუკუნეში არ მოხდებოდა ვაჭრობის გაცხოველება, შუა საუკუნეების ქალაქს პოლიტიკური ავტონომია, უფლებრივი მთლიანობა და ეკონომიური დამოუკიდებლობა არ გააჩნდა. მისი მოსახლეობა სოციალურად სოფლის მცხოვრებლებისაგან არ განსხვავდებოდა"[2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბურჟუაზიულ მკვლევართა უმრავლესობა იდეალისტური პოზიციებიდან აშუქებს როგორც ქალაქის ცნებას, ისე ქალაქების წარმოშობის საკითხს. მათი მთავარი არგუმენტებია მეორეხარისხოვანი, ან ფორმალურ-იურიდიული კატეგორიები. ამ თეორიათაგან ეკონომიურ ფაქტორს თითქოს „საბაზრო" და პირენის თეორიები უახლოვდება, მაგრამ ვაჭრობა მეტ-ნაკლებად ყველა ხანაში არსებობდა, მაშინაც კი როცა ქალაქები როგორც სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები ჯერ კიდევ არ იყვნენ აღმოცენებულნი. გარდა ამისა, თვით ვაჭრობის განვითარება, თავის მხრივ, დამოკიდებულია წარმოების განვითარებაზე, მაშასადამე, შედეგი არ შეიძლება მიზეზად ჩაითვალოს. რაკი მრეწველობა ძირითადია, ხოლო ვაჭრობის განვითარება მისი შედეგი, ამიტომ ქალაქების წარმოშობის მიზეზი ჩვენ უნდა წარმოებაში, უფრო სწორად, წარმოებითი ძალების განვითარებაში ვეძიოთ.

საზოგადოებრივი შრომის მეორე დიდი განაწილება. ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან. მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ წარმოებითი ძალების განვითარება საზოგადოებრივი შრომის განაწილების განმსაზღვრელ პირობას წარმოადგენს. თავდაპირველად შრომის განაწილების უმარტივესი ფორმა შრომის ბუნებრივი განაწილება იყო, რაც გამოიხატებოდა შრომის განაწილებაში სქესისა და ასაკის მიხედვით. მამაკაცები

---

1 А. Пиренн, Средневековые города Бельгии, 1937, გვ. 183.

2 А. Левицкий, Средневековый город в кривом зеркале американского историка, (იხ. «Средние века», ტ. III, 1951, გვ. 288).

მონადირეობასა და მეთევზეობას ეწეოდნენ, ქალები კი საკვებ მცენარეულობას ჰკრეფდნენ და ოჯახურ საქმიანობას მისდევდნენ. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გაჩენით მოხდა საზოგადოებრივი შრომის პირველი დიდი განაწილება. წარმოებითი ძალების შემდგომი განვითარება უფრო შესამჩნევი გახდა, რის შედეგად შესაძლებელი შეიქნა ზედმეტი პროდუქტის დამზადება. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ექსპლუატაციის ობიექტად გადაიქცა. საზოგადოებაში გაჩნდნენ კლასები მონებისა და მონათმფლობელების სახით.

მონათმფლობელური წყობილების პირობებში, წარმოებით ძალთა შემდგომი განვითარების შედეგად დაიწყო საზოგადოებრივი შრომის მეორე დიდი განაწილება. მიწათმოქმედებას ცალკე გამოეყო ხელოსნობა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ქალაქის გამოყოფას სოფლისაგან და წინააღმდეგობის წარმოშობას ქალაქსა და სოფელს შორის. ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან სასაქონლო წარმოების ჩასახვას ნიშნავდა. გაცვლა-გამოცვლის შემდგომ განვითარებასთან ერთად საზოგადოებრივი შრომის მესამე დიდი განაწილება დაიწყო. ახლა ხელოსნობას ცალკე გამოეყო ვაჭრობა, რასაც ვაჭართა ფენის ჩამოყალიბება მოჰყვა, მაგრამ მონათმფლობელურ საზოგადოების ხრწნამ, რომის იმპერიაში დაწყებულმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა, მძლავრმა სოციალურმა მოძრაობამ და სხვ., მდგომარეობა არსებითად შეცვალა.

ასეთი ცვლილების შესახებ ენგელსი წერდა: „ვაჭრობა, რომელიც მათ (ლაბარაკია რომაელებზე.—გ. ტ.) პროვინციებში დასვდათ, განადგურდა მოხელეების ძალმომრეობის წყალობით; მხოლოდ ცოტა რამ გადარჩა, ისიც იმპერიის აღმოსავლეთ, ბერძნულ ნაწილში... საყოველთაო გაღატაკება, ალებ-მიცემობის, ხელოსნობის დაქვეითება, მოსახლეობის შემცირება, ქალაქების განადგურება, მიწათმოქმედების დაბალ საფეხურზე დაბრუნება, — აი რა მოჰყვა საბოლოოდ რომის მსოფლიო ბატონობას“[1]. ამას ენგელსი დასძენდა: „რომის იმპერიის უკანასკნელ საუკუნეებში ქალაქმა დაჰკარგა თავისი წინანდელი ბატონობა სოფელზე, ხოლო გერმანელების ბატონობის პირველ საუკუნეებში იგი აღარ მოუპოვებია“[2].

---

[1] ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გამოც. 1938 წ., გვ. 151.

[2] იქვე, გვ. 157.

ამრიგად, დაწყებული რომის იმპერიის უკანასკნელი საუკუნეებიდან, ვიდრე მეცხრე (ზოგ შემთხვევაში მეათე) საუკუნემდე ძველი ქალაქები არამც თუ ფაქტიურად არ არსებობდნენ, არამედ უმეტეს შემთხვევაში ფიზიკურადაც მოისპნენ ბარბაროსთა ტომების შემოსევების შედეგად. ევროპაში გაბატონებულმა თვითკმარმა ნატურალურმა მეურნეობამ ხელოსნობა და მიწათმოქმედება აკლავ გააერთიანა. ამიერიდან მიწათმოქმედი იგივე ხელოსანი იყო. ყმა გლეხი ვალდებული ხდებოდა მიეცა თავისი ბატონისათვის არა მარტო სურსათ-სანოვაგე, არამედ ხელოსნური ნაწარმიც. ამის შესახებ „ანტი-დიურინგში" ენგელსი წერდა:

„შუა საუკუნეების საზოგადოებაში, განსაკუთრებით პირველ საუკუნეებში, წარმოება უმთავრესად თვითმოხმარებას ემსახურებოდა. იგი უპირატესად მხოლოდ მწარმოებლის და მისი ოჯახის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. სადაც, ისე როგორც სოფლად, პირადი დამოკიდებულების ურთიერთობანი არსებობდა, წარმოება აგრეთვე ფეოდალი მებატონის მოთხოვნილებებსაც აკმაყოფილებდა. მაშასადამე, აქ გაცვლა არ არსებობდა. ამიტომ პროდუქტები არც ღებულობდნენ საქონლის ხასიათს. გლეხის ოჯახი თითქმის ყველაფერს აწარმოებდა, რაც მას სჭირდებოდა. როგორც ხელსაწყოებსა და ტანსაცმელს, ისე საარსებო საშუალებებს"[1].

მეცხრე საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ კარლოს დიდის დროს, შესამჩნევად ვითარდება სოფლის მეურნეობა. მიწის დამუშავების სამმინდროვანი სისტემა, რომელიც წარსულთან შედარებით უფრო პროგრესული აღმოჩნდა, ფართო გასაქანს ღებულობს. ამავე ხანებში მნიშვნელოვნად ვრცელდება ბაღებისა და ვენახების მოშენება. სოფლის მეურნეობის განვითარებით დაინტერესება ჩანს იქიდანაც, რომ ამ ხანაში დაწყებულა გადმოწერა კოლუმელას და პალადიუსის შრომებისა, რომელნიც სოფლის მეურნეობას ეხებოდა. გადმოუწერიათ აგრეთვე პლინიუსის „აგროტექნიკა". ამავე გარემოებას მოწმობს ისიც, რომ IX საუკუნის დასაწყისში გამოიცა სამეფო ინსტრუქცია (Capitulare de villis) სამეფო მამულების მოვლა-დამუშავების შესახებ.

„კაპიტულარე დე ვილისიდან" ჩანს, რომ უკვე მაშინ სასურველად იყო აღიარებული ყველა სამეფო მამულში ჰყოლოდათ რაოდენიმე ათეული ხელოსანი (მჭედლები, დურგლები, მეტყავეები, ოქრომჭედლები, ხარატები და სხვ.), რომელნიც განთავისუფლებუ-

---

[1] ფრიდრიხ ენგელსი. ანტი-დიურინგი. 1952. გვ. 323.

ლი იქნებოდნენ სამწათმოქმედო საქმეებიდან და რომელთაც მხოლოდ ხელოსნური საქმიანობა დაეკისრებოდათ. ამგვარად, უშუალო მწარმოებელთა უმნიშვნელო ნაწილი მიწათმოქმედებას ჩამოცალდა და ხელოსნობა დაიწყო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ხელოსნობის სრულ გამოყოფას სოფლის მეურნეობისაგან, რადგან ზემოაღნიშნული პირები მიმაგრებულნი იყვნენ ფეოდალის მამულზე და მათი ნაწარმი მზადდებოდა არა გასასყიდად, არამედ ფეოდალური მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მსხვილი ფეოდალური მეურნეობის ხელოსნები გარკვეული დროის განმავლობაში ამთავრებდნენ ამ მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხელოსნურ ნაწარმზე და შემდეგ რჩებოდნენ უსაქმოდ. ასეთ შემთხვევაში ისინი ბატონთან შეთანხმებით სამუშაოს საძებნელად მიემგზავრებოდნენ იქ, სადაც მათ შრომაზე არსებობდა მოთხოვნილება. მაგრამ ასევე იქცეოდნენ სხვა ყმა გლეხები, რომელნიც დახელოვნებულნი იყვნენ ამა თუ იმ სპეციალობაში. მეათე საუკუნიდან ევროპაში გაიზარდა მოხეტიალე ხელოსნების რაოდენობა. რიგ შემთხვევებში მათში იყვნენ უცხოელებიც, რომელნიც მოდიოდნენ იტალიიდან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (სირიელები, ბერძნები, არაბები და სხვ.). უნდა ითქვას, რომ სწორედ მოხეტიალე ხელოსნობა გადაიქცა საქალაქო ხელოსნობისაკენ გარდამავალ საფეხურად.

ხელოსნები თანდათანობით სტოვებდნენ მიწათმოქმედებას და მთლიანად ხელოსნობაზე გადადიოდნენ. წარმოებით ძალთა შემდგომი განვითარების შედეგად X—XI საუკუნეებში უამოუკიდებელ პროფესიებად იქცა ფეიქრობა და რკინეულობის დამზადება. უკანასკნელის განვითარებას ხელი შეუწყო გაზრდილმა მოთხოვნილებამ საომარ იარაღებზე (მახვილები, შუბები, ჩაფხუტები და სხვ.) და აგრეთვე მიწათმოქმედების წარმოებით საშუალებაზე (ლურსმნები, სახნისები, ბარი, წერაქვი და სხვ.). რაც შეეხება ფეიქრობას, იგი, უპირველეს ყოვლისა, ფლანდრიაში განვითარდა. ბეწვეულისაგან დამზადებული ტანსაცმელი ძალზე ძვირი ჯდებოდა და ამავე დროს სატარებლად მოუხერხებელი იყო. ბეწვეული შალეულობამ შეცვალა. ხმარებიდან განიდევნა აგრეთვე ტილოს ტანსაცმელი, რომელიც ცივ ამინდებში არ გამოდგებოდა.

თუ რამდენად მიჩნეული იყო ფლანდრიაში შალის ტანსაცმელი, ეს ჩანს მეთერთმეტე საუკუნეში იქ დაწერილ ლათინური ლე-

ქსიდან „conflictus Ovi et lini“. (ცხვრისა და სელის დავა), რომელშიაც შექებულია დამზადებული მატყლის ხარისხი და მისი ქსოვილის ფერი. ასეთი საუცხოო ტანსაცმელი, ნათქვამია ლექსში, „ეშსახურება სენიორების მოთხოვნილებასო“ [1]. მაგრამ საფეიქრო მრეწველობის განვითარება XI საუკუნეში არა ნაკლებ შესამჩნევი ხდებოდა სხვა ადგილებშიაც. ხელოსანთა რაოდენობა ფრანდლანდიაში და, განსაკუთრებით, ჩრდილო იტალიაში დღითი-დღე მატულობდა. ამ ადგილებში საფეიქრო მრეწველობა იმდენად გაიზარდა, რომ წარმოებისათვის ადგილობრივად დამზადებული ნედლი მასალა — მატყლი აღარ აღმოჩნდა საკმარისი და მისი შემოზიდვა იწყეს სხვადასხვა სახელმწიფოებიდან.

ფეოდალური ქალაქების წარმოშობა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მოხეტიალე ხელოსნობა ქალაქური ხელოსნობისაკენ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა. მოხეტიალე ხელოსნები დადიოდნენ სხვადასხვა ადგილებში სამუშაოს საძებნელად, თავდაპირველად ისინი შემკვეთის ნედლი მასალით მუშაობდნენ. როცა დადგებოდა სოფლის მეურნეობის სამუშაოთა სეზონი, ისინი კვლავ სოფელს უბრუნდებოდნენ. დროთა განმავლობაში ამ ხელოსნების მოწყვეტა სოფლის მეურნეობისაგან თანდათან სრულყოფილ სახიათს ღებულობდა. რადგან ხელოსნობა შედარებით სოფლის მეურნეობასთან, უშუალო მწარმოებლისათვის უფრო მომგებიანი იყო. ხელოსნური შრომა, რომელიც ფეოდალ-მებატონის თვალყურის დევნების გარეშე ტარდებოდა, ყმურ შრომასთან შედარებით უფრო თავისუფალი და უფრო ნაყოფიერი იყო. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში ხელოსანი ცდილობდა სოფელს აღარ დაბრუნებოდა და მუდმივად დასახლებულიყო იმ ადგილებში, სადაც ხელოსნობისათვის უკეთესი პირობები დახვდებოდა.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სოფლიდან გაქცეული ყმა გლეხი, ახლა უკვე ხელოსანი, დასახლებლად მიდიოდა ან რომელიმე ციხე-კოშკის მახლობლად, ან რომელიმე მონასტრის მიდამოებში, ან საკვანძო ადგილებში, ან იქ, სადაც საშღინარეო მიმოსვლა წარმოებდა (ხიდები, გადასასვლელები და სხვ.). აქ მას ხვდებოდა მნიშვნელოვანი რაოდენობით ნედლი მასალა და მის მიერ დამზადებული ნაწარმის გასაღების მეტი შესაძლებლობა. ხელოს-

---

[1] А. Пиренн. Средневековые города Бельгии, გვ. 175.
ამ შრომაში ლექსის ლათინური სათაური არასწორად არის ნათარგმნი, რადგან linum ნიშნავს სელს და არა ირემს.

ნების ასეთ ადგილებში თავმოყრა საფუძველს ქმნიდა ქალაქების წარმოშობისათვის. თვით სახელწოდება ახლად წარმოშობილი ქალაქებისა, უმეტეს შემთხვევაში, მიგვითითებს მათი წარმოქმნის ადგილებზე. ასე მაგალითად, გამაგრებული ადგილიდან „ბურგიდან“ გაჩნდნენ ქალაქები: სტრასბურგი, აუგსბურგი, ჰამბურგი და სხვ. მონასტრებისა და „წმინდა“ ადგილების სახელწოდება დაერქვა ქალაქებს: სენ-ჟერმენს, სენტ-ოლბანს და სხვ. მდინარეებზე გადასასვლელ ადგილთა სახელწოდება დაერქვათ ქალაქებს: ოქსფორდს, ფრანკფურტს-მაინზე, ფრანკფურტს-ოდერზე, როსტოვს-დონზე, ბრიუგეს (ხიდი) და სხვ.

„ბურგული თეორიის“ მომხრეები ცდილობენ ზემოაღნიშნული გარემოება გამოიყენონ და დაამტკიცონ, რომ თითქოს ციხე-სიმაგრეებიდან წარმოიშვა ქალაქები, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ქალაქი შეიძლებოდა წარმოშობილიყო ყველგან, სადაც კი მოხდებოდა სოფლიდან გაქცეული ხელოსნების ერასახლება. მაშასადამე, ძირითადი მიზეზი ფეოდალური ქალაქის წარმოშობისა ისევ და ისევ ხელოსნობის სოფლის მეურნეობიდან გამოყოფა იყო. ეს პროცესი კი, როგორც აღვნიშნეთ, ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში მეთერთმეტე საუკუნეში აღწევდა თავისი განვითარების მაღალ საფეხურს. ამ საფეხურზე ფეოდალური საზოგადოების კლასობრივი წინააღმდეგობა უფრო მეტად გამწვავდა. მაშინ დამთავრდა ევროპის ქვეყნების შინაგანი კოლონიზაცია. ამით მოისპო ეგრეთ წოდებული „ჰოსპიტობა“ (ხიზნობა). რომელიც მანამდე ყმა გლეხის მდგომარეობას ერთგვარად ამსუბუქებდა და ფეოდალს ხელს უშლიდა უშუალო მწარმოებლის ექსპლუატაციის ნორმის გაზრდაში.

გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წარმოებითი ძალების განვითარების შედეგად, საზოგადოებრივი შრომის განაწილების ნიადაგზე, მარტივი სასაქონლო მეურნეობა შესამჩნევად განვითარდა. ამ გარემოებამ კარჩაკეტილობა შეასუსტა, რამაც მეტი გასაქანი მისცა აღებ-მიცემობასა და საერთოდ ვაჭრობას. ბაზრობათა ქსელი გაფართოვდა. აღმოსავლეთის ნარნარა ქსოვილებზე და სურნელებაზე ფეოდალთა მოთხოვნილება გაიზარდა. ამიერიდან კომუტაციის პროცესი (პროდუქტიული გადასახადების შეცვლა ფულადი გადასახადით) უფრო მეტად დაჩქარდა. ამან კი, თავის მხრივ, გაზარდა ფეოდალის ლტოლვა უშუალო მწარმოებლის ექსპლუატაციის ნორმის გაზრდისაკენ.

მეთერთმეტე საუკუნეში სოფლად ყმა გლეხის მდგომარეობა აუტანელი გახდა. ვისაც კი რაიმე ხელობით შეეძლო თავის რჩენა, სტოვებდა სოფელს და სხვადასხვა ადგილისაკენ გარბოდა. ქალა-

ქებია...წერდნენ მარქსი და ენგელსი...„წარსული ისტორიიდან მზაჭზარეულად კი არ გადმოვიდნენ შუა საუკუნეებში, არამედ წარმოიქმნენ ახალად განთავისუფლებული ყმების მიერ"[1], „შუა საუკუნეების ყმებიდან წარმოიშვა პირველ ქალაქთა თავისუფალი მოსახლეობა"[2].

ამრიგად, მეთერთმეტე საუკუნიდან იწყება ქალაქების წარმოქმნა. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ გამონაკლისს წარმოადგენდნენ ბიზანტიის, იტალიის და ნიდერლანდების ქალაქები, სადაც ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობიდან ადრევე მოხდა. რაც შეეხება ანტიკური დროის ქალაქებს (რომი, ლიონი, მარსელი, იორკი, აახენი, ტრირი, კელნი, მაინცი, აუგსბურგი და სხვ.), რომელნიც ფიზიკურ განადგურებას გადარჩნენ, ადრინდელ შუა საუკუნეებში ისინი აღარ წარმოადგენდნენ სამრეწველო, ან საკაჭრო ცენტრებს. მათში მიწათმოქმედება, მებაღეობა და მესაქონლეობა ისევე იყო ფეხმოკიდებული, როგორც სოფელში. სოფლებისაგან მათი ერთადერთი განსხვავება შეიძლებოდა ყოფილიყო იმაში, რომ ისინი აღნიშნული დროისათვის ფეოდალების ან ეპისკოპოსების რეზიდენციებად იყვნენ გადაქცეულნი. რომაული ქალაქების უმრავლესობა კი ფიზიკურადაც მოისპო. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ რომაელების ბატონობის ხანაში ნიდერლანდებში არსებული ერთადერთი ქალაქი ტონგრი გაჰქრა მონათმფლობელობის მოსპობასთან ერთად, ბარბაროსთა შემოსევის დროს კი ევროპაში არსებული ანტიკური ქალაქების დიდი ნაწილი მიწასთან იქნა გასწორებული.

თავდაპირველი ფეოდალური ქალაქების მდგომარეობა. იმის გამო, რომ ფეოდალური ქალაქების წარმოშობის დროისათვის ლაპარაკი ევროპის ქვეყნებში ყველა არსებული მიწა ეკუთვნოდა ამა თუ იმ ფეოდალს (მეთერთმეტე საუკუნეში უკვე გაბატონებული იყო ის აზრი, რომ „არ არსებობს მიწა სენიორის გარეშე"). იქნებოდა ეს მეფე, გრაფი, ეპისკოპოსი, თუ აბატი, ქალაქი, სადაც არ უნდა გაჩენილიყო იგი, რომელიმე მათგანის სამფლობელოში მოყვებოდა; მაშასადამე, ყველა ახლად აღმოცენებული ქალაქი ამა თუ იმ ფეოდალის კუთვნილებად გადაიქცეოდა.

რიგ შემთხვევაში, როცა ქალაქი მეზობელი ფეოდალების ტერიტორიაზე წარმოიშვებოდა, მაშინ იგი ეკუთვნოდა არა ერთს.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. IV, зд. 41.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი. 1952 წ. зд. 38.

არამედ რამდენიმეს. ასე მაგალითად, პარიზი გაიყვეს მეფემ და ეპისკოპოსმა, ამიენი დაყოფილი იყო ოთხ სენიორს შორის: მეფესა, ეპისკოპოსსა, გრაფსა და კასტელანს შორის და სხვ. დაყოფაში, რა თქმა უნდა, ყველაზეა არა მარტო ქალაქის ტერიტორია, არამედ ქალაქის მოსახლეობა და მათგან ანაკრეფი გადასახადები. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ქალაქი, როგორც ფეოდალის კუთვნილება, შეიძლებოდა მის პატრონს გასესხებინა, გაეყიდნა, მემკვიდრეობით ვინმესათვის გადაეცა, ან ლენად მიეცა და სხვ.

წარმოიშვებოდა თუ არა ქალაქი რომელიმე ფეოდალის ტერიტორიაზე, მას სათავეში დაუყოვნებლივ მოექცეოდა სენიორი, რომელიც ქალაქის მართვა-გამგებლობას ხელში ჩაიგდებდა. ამგვარად, თავდაპირველად ქალაქს მართავდნენ ფეოდალის მოხელეები. ქალაქის სასამართლო, ასევე, ფეოდალისა იყო. თუ ქალაქი ეკუთვნოდა სასულიერო და საერო ფეოდალებს ერთად, ერთსა და იმავე ქალაქში წესდებოდა სხვადასხვა მმართველობა, სხვადასხვა სასამართლო, სხვადასხვა წესი და ა. შ. ყოველივე ეს, ფეოდალურ ქალაქში მეტად რთული და დასალართული ურთიერთობა-ურთიერობას ჰქმნიდა. იმდენად, რამდენადაც ფეოდალები ხდებოდნენ ქალაქის წამყვან ძალად, ფეოდალური ქალაქი, ბურჟუაზიული ქალაქისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენდა წამყვანს. არამედ ფეოდალური სოფელი გამოდიოდა წამყვანის როლში. მაშინ ფეოდალური სოფელი ახდენდა ქალაქის ექსპლუატაციას. ფეოდალური სოფლის წეს-ჩვეულებანი ინერგებოდა ქალაქში და, საერთოდ, ფეოდალების ნება-სურვილს უნდა აჰყოლოდა ქალაქი.

მიუხედავად ამისა, ქალაქებში ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება საფუძველს უყრიდა ახალ სოციალურ ურთიერთობას, კლასობრივი ბრძოლის ახალ ფორმებს, თავისებურ ყოფა-ცხოვრებას, რაც ასე მნიშვნელოვნად განასხვავებდა ქალაქს სოფლისაგან. ყოველივე ამან განსაკუთრებული საქალაქო უფლება შეჰქმნა. მართალია, სხვადასხვა ქალაქმა დროთა განმავლობაში მეტნაკლებად სხვადასხვა სახის თავისუფლება მოიპოვა, მაგრამ მათი საერთო მაინც ის იყო, რომ ადამიანს „ქალაქის ჰაერი თავისუფლებას ანიჭებდა“: კაცი, რომელიც ქალაქად დაჰყოფდა წელიწადსა და ერთ დღეს, თავისუფლდებოდა სენიორალურ დამოკიდებულებისაგან. თავდაპირველი ქალაქების მცხოვრებლებმა მშობლიურ სოფლებიდან თან გამოიყოლიეს თემური წყობილების ტრადიციები: მიწების თემური წესებით მფლობელობა, სახალხო კრება და სხვ. ქალაქური უფლებით ხდებოდა მოწესრიგება როგორც ვაჭრობისა, ისე კრედიტებისა და ქონებათა მემკვიდრეობით

ვადაცემისა. ყველა ეს ახალი სოციალური ურთიერთობანი მძაფრ წინააღმდეგობას უქმნიდა სენიორების მიერ ახლად წარმოშობილ ქალაქებში დამყარებულ წესებს.

ქალაქების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. რამდენადაც ქალაქი ეკონომიურად ძლიერდებოდა, იმდენად იზრდებოდა მისი ლტოლვა დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ. მეორე მხრივ, იგივე გარემოება აქეზებდა ქალაქის სენიორს მოეხდინა ქალაქის მეტი ექსპლუატაცია მის მოსახლეობაზე დამატებითი გადასახადების გადახდევინებით. ამგვარად, გაძლიერდა წინააღმდეგობა სოფელსა და ქალაქს შორის, ქალაქის მოსახლეობასა და სენიორს შორის, რამაც შეიარაღებული ბრძოლა გამოიწვია. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მოქალაქეებს უფრო მეტი შემჭიდროვება დასჭირდათ. საჭირო გახდა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მოქალაქეების ბრძოლას სენიორთან წარმატებით დააგვირგვინებდა. ამ ბრძოლაში ჩამოყალიბდა ქალაქის ორგანიზაციის ისეთი ახალი ფორმა, რომელმაც ჩრდილოეთ-საფრანგეთში კომუნის სახელწოდება მიიღო. მაგრამ კომუნა იყო არა მარტო ის ორგანიზაცია, რომლის საშუალებითაც ქალაქი ცდილობდა თავის დამოუკიდებლობის მოპოვებას, არამედ ორგანიზაცია, რომელიც შემდეგში საფუძვლად დაედო ქალაქის თვითმმართველობას.

სენიორების წინააღმდეგ თავისუფლების მოპოვებისათვის ქალაქების ბრძოლა ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში იწყება იქ, სადაც ქალაქების წარმოშობა ადრე მოხდა (იტალია, ფლანდრია), მაგრამ ქალაქების მასობრივი მოძრაობა „კომუნისათვის" საფრანგეთში და სხვაგან XI—XII საუკუნეებში გაიშალა. კომუნის ჩამოყალიბების პირველ ცდას ქ. მაინში (Mans) ჰქონდა ადგილი 1063 წელს, მაგრამ მას დიდხანს არ უარსებია და განადგურდა. 1076 წელს სენიორის წინააღმდეგ ქ. კამბრე აჯანყდა. მისმა სენიორ-ეპისკოპოსმა ეს აჯანყება ჩაახშო, მაგრამ კამბრეს კომუნა კვლავ აღსდგა და განაგრძო თავისი არსებობა 1103 წლიდან 1106 წლამდე, ვიდრე იგი იმპერატორმა ჰენრიხ მეხუთემ არ მოსპო.

კამბრეს აჯანყება გადაიქცა კომუნისათვის დაწყებულ მოძრაობის ამოსავალ წერტილად, რომელიც სწრაფად მოედო პიკარდიასა და ფლანდრიას. 1080 წელს კამბრეს მაგალითს სენ-კანტენმა მიბაძა. 1099 წელს ქ. ბოვეში დაიწყო მძლავრი აჯანყება. 1100 წელს ქ. მანტმა მეფეს კომუნის უფლება მოსთხოვა და ნაწილობრივად იგი მიიღო კიდეც. 1113 წელს აჯანყება დაიწყო ქ. ამიენში. ეს აჯანყება წარმატებით დამთავრდა. ამიენმა კომუნის უფლება მიიღო

1117 წელს და დიდი ხნის მანძილზე შეინარჩუნა იგი. 1139 წელს აჯანყდა რეიმსი, რომელმაც ასევე კომუნის უფლება მიიღო. მაგრამ შამპანის ახალმა არქიეპისკოპოსმა ლა გრანჟმა იგი გაანადგურებს.

კიდევ შეიძლებოდა ბევრი მაგალითის მოტანა ქალაქების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, მაგრამ ზემოთქმულიდანაც სავსებით აშკარა ხდება ის გარემოება, რომ ფეოდალური ქალაქები თავისუფლდებოდნენ სენიორების დამოკიდებულებისაგან უმთავრესად ბრძოლების წარმოების მეშვეობით[1]. ბურჟუაზიული მკვლევარები ცდილობენ ქალაქთა განთავისუფლება ქალაქის მიერ თავისი სენიორისაგან გამოსყიდვის მეშვეობით ახსნან. ანდა მეფეების მიერ ქალაქებისადმი მხარდაჭერით განმარტონ ქალაქების დამოუკიდებლობა. რა თქმა უნდა, ზოგ შემთხვევაში ქალაქი მართლაც ახერხებდა გამოსყიდვის მეშვეობით თავისუფლების მოპოვებას, მაგრამ ეს იშვიათი იყო და გარდა ამისა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ასეთი შემთხვევის შემდეგ სენიორი კვლავ ცდილობდა „თავისი" ქალაქის დამორჩილებას, და, თუ ქალაქს არ ჰქონდა საკუთარი ძალა თავისუფლების შენარჩუნებისა, ის კვლავ სენიორის მორჩილებაში ვარდებოდა.

რაც შეეხება მეფეთა მხარდაჭერას ქალაქისადმი მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ამას ერთგვარი მნიშვნელობა მართლაც ჰქონდა. სამეფო ხელისუფლება რიგ შემთხვევაში, როცა იწყებოდა ბრძოლა ქალაქსა და სენიორს შორის, პირველის მხარეზე გადადიოდა, ან არა და არბიტრის როლში გამოდიოდა. ამით სამეფო ხელისუფლება თავის პოლიტიკურ პოზიციებს ამტკიცებდა, რის შედეგადაც შემდეგში ქალაქები მის მოკავშირედ ხდებოდნენ სამეფო ხელისუფლებისაგან განდგომილ ფეოდალებთან ბრძოლაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეფეების პოლიტიკა ამ საკითხში ყოველთვის ერთნაირი რიდი იყო. მაგალითად, საფრანგეთის მეფე ლუი VI, რომელიც მოსყიდული იყო ქალაქის მოსახლეობის, ან სენიორების მიერ, ხან კომუნის ქარტიებს ამტკიცებდა, ხან კი აუქმებდა. ლუი VII უფრო სწორად მიუდგა საკითხს. მან კარგად გაითვალისწინა ქალაქებთან კავშირის მნიშვნელობა და ამიტომ ბევრ ქალაქს კომუნის ქარტია დაუმტკიცა. ფილიპე II ავგუსტუსი ამ მხრივ უფრო შორსაც წავიდა, სამაგიეროდ ის იყე-

---

[1] В. Ф. Семенов, История средних веков, გვ. 170, იხ. აგრეთვე БСЭ, მეორე გამოც., ტ. 12, გვ. 178, 216.

ნებდა ქალაქების შეიარაღებულ ძალებს და ქალაქებისაგან მიღებულ სახსრებს თავისი მტრების წინააღმდეგ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორც აღვნიშნეთ, ქალაქების თავისუფლებისათვის მოძრაობის საქმეში, როგორც სამეფო ხელისუფლების მხარდაჭერა, ისე ქალაქების მიერ თავის გამოსყიდვა მოკლებული იყო დიდ მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ ფაქტორად ისევ და ისევ შეიარაღებული ბრძოლა რჩებოდა, მით უფრო, რომ ფეოდალები ყოველ ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ ქალაქებთან დადებული გარიგების დარღვევისათვის. ამ გარემოებაზე თვალსაჩინოდ მიგვითითებს ქ. ლანის დამოკიდებულება მის სენიორთან.

ქ. ლანის კომუნის ისტორია. ქ. ლანი (Laon) პარიზის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა (იგი ახლა დეპარტამენტ ენის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს). ეტყობა, რომ ძველ დროში იგი გალიის ერთ-ერთი გამაგრებული პუნქტი იყო. ხელოსნობის განვითარების შედეგად ლანი ჩრდილოეთ საფრანგეთის მსხვილ ქალაქად გადაიქცა. მეხუთე საუკუნიდან დაწყებული იგი საეპისკოპოსო ცენტრი გახდა და ამიტომ ქალაქად გადაქცევის დროს ეპისკოპოსების განკარგულებაში აღმოჩნდა. მეთერთმეტე საუკუნეში ლანი მდიდარ ქალაქს წარმოადგენდა და თავის სენიორ ეპისკოპოსს დიდ შემოსავალს აძლევდა. ეპისკოპოსები და მათი რაინდები ყოველგვარ თაღლითურ ხერხს მიმართავდნენ იმისათვის, რათა, რაც შეიძლება მეტი თანხები ამოექაჩათ ქალაქის მოსახლეობისაგან: ისინი შეიპყრობდნენ ხოლმე მდიდარ მოქალაქეებს და შემდეგ მოითხოვდნენ მათ გამოსყიდვას; ეპისკოპოსები განუწყვეტლივ ზრდიდნენ გაღასახადებს და ვინც არ გადაისდიდა, სასამართლოს გადასცემდნენ ხოლმე და აჯარიმებდნენ.

გვიბერტ ნოჟანელის (ცხოვ. 1053 — 1124 წლებში) თქმით, ლანის სენიორი ეპისკოპოსი გოდრი წავიდა ინგლისში მეფესთან ფულის მოსათხოვათ იმის გამო, რომ ის ადრევე ინგლისის მეფეს ემსახურებოდა, და ვიდრე იგი ლანში დაბრუნდებოდა, მისმა მოადგილეებმა არქიდიაკონმა გოტიემ და გვიდონმა გადასწყვიტეს ქალაქისათვის დიდი რაოდენობით თანხა გამოერთმიათ ეპისკოპოსის სასარგებლოდ. „საერო წარჩინებულებმა და სასულიერო წოდებამ არიქიდიაკონების მეთაურობით,—ამბობს გვიბერტი,—მოისურვეს რა ყოველგვარი ხერხებით ფული გამოერთმიათ მოქალაქეთათვის, უკანასკნელთ შუამავალთა მეშვეობით აგრძნობინეს, რომ, თუ ისინი მნიშვნელოვან თანხას გადასდებდნენ, კომუნის შექმნის

შესაძლებლობას მიიღებდნენ“... „მოქალაქეებმა მოისურვეს შექმნილი მდგომარეობით ესარგებლათ და გათავისუფლებულიყვნენ, გაიღეს გროვა ვერცხლისა, რათა ამდენი ანგარებიანი სასულიერო პირების წყურვილი დაეკმაყოფილებინათ“.

ინგლისიდან დაბრუნებულმა ეპისკოპოსმა გოდრიმ მიიღო რა ეს დიდი თანხა, ფიცი დასდო, რომ ის ქალაქს კომუნის უფლებას მიანიჭებდა. ეპისკოპოსისა და მოქალაქეების მიერ დადებული ხელშეკრულება მეფემ (რომელმაც აგრეთვე მიიღო „საჩუქრები“ მოქალაქეებისაგან) დაამტკიცა. ლანის მიერ კომუნის უფლების მიღება მოხდა 1109 წელს. გავიდა დრო, ეპისკოპოსმა მიღებული თანხები გაფლანგა. ახლ ამან კვლავ გაიხსენა „თავისი“ ქალაქი და გადასწყვიტა კომუნის გაუქმება. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო, რომ საფრანგეთის მეფეს ლუი VI-ეს უარი ეთქვა მის მიერ დამტკიცებულ კომუნაზე. ეპისკოპოსმა სპეციალურად მიიპატიჟა მეფე, რომელსაც 700 ლივრი ქრთამი შესთავაზა იმისათვის, რომ მეფეს თავის ხელმოწერა დადებულ შეთანხმებაზე გაეუქმებინა.

გვიბერტ ნოჟანელი წერს: „მოქალაქენი, დაშინებულნი იმით, რომ კომუნა არ გაეუქმებინათ, მეფესა და მის თანმხლებლებს დაჰპირდნენ 400 ლივრის (შეიძლება უფრო მეტსაც, მე ეს ზუსტად არ ვიცი) მიცემას. თავის მხრივ, ეპისკოპოსმა სენიორები დაითანხმა, რათა ერთად მოლაპარაკებოდნენ მეფეს და დაჰპირებოდნენ მას 700 ლივრს... სიხარბემ აიძულა მეფე მიმხრობოდა იმათ, ვინც მეტი შეაძლია; მეფის დასტურით მის მიერ წინათ დადებული ფიცი, ისე როგორც ეპისკოპოსისა და სენიორთა ფიცი, გამოცხადდა ძალადაკარგულად. ეს მოხდა ღვთის მცნებათა საწინააღმდეგოდ, სინდისის ყოველგვარი ქეჯნის გარეშე და ვნების კვირის წმინდა დღეებისათვის უპატივცემულობით“.

ამრიგად, 1112 წელს ლანის კომუნა გაუქმდა. ეპისკოპოსი შეეცადა, რომ მეფისათვის დაპირებული 700 ლივრი ქალაქის მოსახლეობისაგან აეკრიფა. ამ გარემოებამ ქალაქში მძლავრი აჯანყება გამოიწვია. „კომუნას“ შეძახილებით აჯანყებულებმა რაინდები დახოცეს. უნდოდათ მოეკლათ ეპისკოპოსიც, მაგრამ ის დაიმალა. კარგანნის ძიების შემდეგ აჯანყებულებმა სარდაფში აღმოაჩინეს. გორდი ბოჭკაში ჩამძვრალიყო. იგი დაუყონებლივ მოჰკლეს და მის სახლ-კარს ცეცხლი წაუკიდეს.

ლუი VI-ემ და ჩრდილო- საფრანგეთის ფეოდალებმა გადასწყვიტეს აჯანყებულნი სასტიკად დაესაჯათ. ვიდრე დამსჯელი ჯარები ლანს მიუახლოვდებოდნენ, ქალაქის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა დასტოვა ქალაქი, რომელიც მეფისა და ფეოდალების შეიარაღე-

ბულმა ნაწილებმა აიღეს და გაძარცვეს. კომუნა კვლავ გაუქმებულ იქნა. ახალმა ეპისკოპოსმა ქალაქში ძველად არსებული წესები დაამყარა. მაგრამ მაინც იძულებული იყო ერთგვარი შეღავათი მიეცა მოქალაქეთათვის. მიუხედავად ამისა მოქალაქეთა ბრძოლა სენიორის წინააღმდეგ ამით არ დამთავრებულა. 1128 წელს ბრძოლებით ლანმა კვლავ მოიპოვა კომუნის უფლება. ეპისკოპოსების შემდგომი ცდები მისი გაუქმებისა მარცხით თავდებოდა. ლანის კომუნამ განაგრძო არსებობა 1331 წლამდე. მის შემდეგ იგი მოისპო, თუმცა ამჯერად სენიორის ნაცვლად ლანი, ისე როგორც სხვა ქალაქები, დაემორჩილა გაძლიერებულ სამეფო ხელისუფლებას. ლანის კომუნის ისტორია წარმოადგენს ფეოდალური ქალაქების სენიორებისაგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს.

ქალაქის მმართველობა და საქალაქო უფლებები. ლანის კომუნის ისტორიიდან ჩანს, თუ საბოლოო ანგარიშში რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბრძოლას ქალაქების დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. მაგრამ ქალაქთა ეს ბრძოლები სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვანაირად ვითარდებოდა. ბრძოლების სხვადასხვაობა დამოკიდებული იყო ქალაქების ეკონომიურ განვითარების სიძლიერეზე, იმაზე, თუ სახელმწიფოში რამდენად იყო გაძლიერებული ცენტრალური სამეფო ხელისუფლება; რა თქმა უნდა. ერთგვარი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმასაც, თუ თავიდან ქალაქი როგორ სენიორს მიეკუთვნებოდა. მაგალითად, ქალაქებს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის უფრო ხშირად ბრძოლა უხდებოდათ სენიორ-ეპისკოპოსებთან იმ დროს, როცა სენიორ-მეფის. ან ტერიტორიულად ძლიერი სენიორ-ჰერცოგის, ან გრაფის წინააღმდეგ ქალაქების ბრძოლის შემთხვევები შედარებით ნაკლები იყო.

სენიორის ძალაუფლებისაგან განთავისუფლებული ქალაქი შედარებით დამოუკიდებელი არსებობის სტადიაში გადადიოდა. ქალაქის დამოუკიდებლობის ხარისხი ძალზე სხვადასხვაგვარი იყო. ზოგან ქალაქი სრულ დამოუკიდებლობას აღწევდა, ზოგან კი ნაწილობრივს. ფეოდალურად დაქუცმაცებული გერმანიის ეგრეთწოდებული საიმპერიო ქალაქები თავიანთი მდგომარეობით უფრო მეტად ქალაქ-რესპუბლიკას წააგავდნენ. მათ მინიჭებული ჰქონდათ თვითმმართველობის უფლება, ჰქონდათ უმაღლესი სასამართლო, ჰყავდათ საკუთარი შეიარაღებული ძალები, ჰქონდათ ხელშეკრულებათა დადებისა და ფულის მოჭრის უფლება და სხვ. იმ დროს, როცა ამავე გერმანიის ის ქალაქები, რომელნიც ტერიტორიალუ-

რად მთავრებს ექვემდებარებოდნენ და აგრეთვე თავისუფალ ქალაქებად ითვლებოდნენ, სარგებლობდნენ მხოლოდ დაბალი ინსტანციის სასამართლოს უფლებებითა და თვითდაბეგვრით.

ქალაქ-რესპუბლიკების წარმოქმნა უფრო ფართო მასშტაბით იტალიაში ხდებოდა. ამ გარემოებას მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა იტალიის პოლიტიკური დაქსაქსულობა. იტალიის ქალაქებმა ადრევე გაზარდეს თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა. ამ ქალაქების მოსახლეობაში გაითქვიფა იტალიის რაინდობა. იტალიის ისეთმა ქალაქებმა, როგორებიც იყვნენ გენუა, ვენეცია, ფლორენცია და სხვ. თავიანთ ბატონობას ტერიტორიულად ახლო მდებარე სოფლები დაუმორჩილეს. როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ეს ქალაქები, საგარეო პოლიტიკაშიაც დამოუკიდებელნი იყვნენ. აწყობდნენ ომებს ერთმანეთის წინააღმდეგ და ეომებოდნენ აგრეთვე სხვა სახელმწიფოებსაც. აღნიშნული ტიპის ქალაქები ჯერ კიდევ XIII საუკ. პირველ ნახევარში გვხვდება სამხრეთ საფრანგეთშიც (მარსელი და სხვ.).

საერთოდ საფრანგეთში უფრო მეტად გავრცელდა კომუნის ტიპის ქალაქი. მათ მიიღეს თვითმმართველობა. მაგრამ ისინი მთლიანად დამოუკიდებელნი არ იყვნენ. მართალია. მათ შეეძლოთ თავიანთი მოხელეების არჩევა, ჰქონდათ თავიანთი სასამართლო. თავიანთი ფინანსები, თვითდაბეგვრის უფლება, საკუთარი შეიარაღებული ძალები ქალაქის დაცვისათვის და სხვ., მაგრამ საგარეო საკითხებში ისინი დამოკიდებული რჩებოდნენ მეფეზე ან გრაფზე. რაც შეეხება საფრანგეთის იმ ქალაქებს, რომელთა სენიორად მეფე ითვლებოდა, ისინი ამგვარ უფლებებსაც კი მოკლებული იყვნენ. ასე მაგალითად, სამეფო ქალაქები პარიზი. ორლეანი, შარტრი, ტური, ნანტი, ლიონი და რუანი არ სარგებლობდნენ კომუნის უფლებით. ამ ადგილებში ქალაქის მმართველობა ნაწილდებოდა ქალაქსა და სამეფო ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის. საფრანგეთში ქალაქებს, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ არასრული დამოუკიდებლობა, ბურჟუაზიული ქალაქები ეწოდებოდათ (villes de bourgeoisie).

თითქმის ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ინგლისში. ამ ქვეყნის ქალაქთა უმრავლესობამ ვერ მოიპოვა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ეს აიხსნება ჯერ ერთი იმით, რომ ინგლისის სამეფო ხელისუფლება XI—XII საუკუნეებში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე დასავლეთ-ევროპის სხვა ქვეყნებში და გარდა ამისა, ახლად წარმოშობილი... ფეოდალური ქალაქების უმრავლე-

სობა განლაგებული აღმოჩნდა არა ცალკეული ფეოდალების ტერიტორიაზე, არამედ სამეფო მიწებზე.

კომუნის ტიპის ქალაქისათვის მინიჭებულ უფლებათა თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის მოგვაქვს ამონაწერი ქალაქ სენტ-ომერის ქარტიიდან, რომელიც გაცემული იქნა ფლანდრიის გრაფის ვილჰელმის მიერ 1127 წელს; მასში ნათქვამია: „1. რომ მე უზრუნველვყო მშვიდობა ყველა მოქალაქეთათვის, რომ მე, ყოველგვარი ფარული განზრახვის გარეშე, მხარი დავუჭირო მათ და დავიცვა ისინი, როგორც ჩემი ადამიანები და რომ ეშევენების[1] სათანადო სამართალი დავამყარო მათსა და ყველა სხვა ადამიანებს შორის (ჩემს გამოუკლებლად), ხოლო თვით ეშევენებისათვის მე უნდა დავადგინო ისეთი თავისუფლება, როგორიც მინიჭებული აქვთ ჩემი ჰიწა-წყლის საუკეთესო ეშევენებს.

2. თუ სენტ-ომერის რომელიმე მოქალაქე თავის ფულს სხვას ასესხებს... და ეს უკანასკნელი დროზე არ გადაუხდის ვალს, მაშინ ვალის ამღები, ან მისი ქონება დაკავებული უნდა იქნეს მანამდე, ვიდრე ვალი სრულიად არ იქნება დაფარული.

3. თუ რომელიმე მოქალაქის წინააღმდეგ ვინმე საქმეს აღძრავს ქრისტიანული კანონის დარღვევის შესახებ, სამართლის საძიებლად, დაე მომჩივანი ნუ წავა სხვა ადგილებში და ეძიოს იგი ამავე ქალაქში ან ეპისკოპოსის წინაშე, ანდა მისი არქიდიაკონის წინაშე.

4. მე ვანიჭებ მოქალაქეებს თავისუფლებას ისეთს, რომელსაც ისინი ჰფლობდნენ ჩემი წინაპრების დროს. სახელდობრ, რომ სენტ-ომერელები არასოდეს არ უნდა გამოდიოდნენ ბრძოლაში თავიანთი ქალაქის ფარგლების გარეთ, იმ შემთხვევის გამოკლებით, როცა მტრის ჯარი თავს დაესხმება ფლანდრიის ტერიტორიას; მაშინ მათ უნდა დაიცვან ჩემი მიწა-წყალი და ჩემი პიროვნება. ყველა იმათ, ვინც მათ გილდიაში შედის და მასთან ურთიერთობა აქვს ქალაქში ცხოვრებით, მე ვათავისუფლებ ბაჟებისაგან ნავსადგურ დიკსმიუდეში და გრეველინგენში და აგრეთვე მთლიანად ფლანდრიის მიწაზე..., ხოლო ბაპომში მათთვის ვაწესებ ისეთივე ბაჟს, როგორსაც არასის მოქალაქენი იხდიან.

---

[1] ეშევენები ქალაქის საბჭოს მიერ გამოყოფილ მოსამართლეთა კოლეგიის წევრები იყვნენ. მათი რაოდენობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ქალაქს რაგვარი დამოუკიდებლობა ენიჭებოდა

5. რომელი მათგანიც არ უნდა წავიდეს თავის სავაჭრო საქმეებზე იმპერიის[1] ფარგლებში, ჩემ კაცთაგან არავინ უნდა აიძულოს ის ჰანზის გადახდაში.

7. ფლანდრიის ყველა ბაზარზე, თუ ვინმე მათ წინააღმდეგ საჩივარს აღძრავს, დაე ისინი ყოველგვარ საჩივარში ეშევენების სასამართლომ განსაჯოს ორთა ბრძოლის გამოუყენებლად; და შემდეგშიაც ორთა ბრძოლა მათზე არ უნდა ვრცელდებოდეს.

8. ყველას, ვინც ამჟამად ცხოვრობს, ან იცხოვრებს სენტ-ომერის კედლებში, მე ვათავისუფლებ სულადობრივი გადასახადისაგან და საფოსტო გამოსაღებისაგან.

10. მე ბრძანებას ვცემ, რომ მათმა კომუნამ, რომელიც მათ ჩამოაყალიბეს ფიცის დადებით, განაგრძოს შემდეგშიაც არსებობა, და არავის ნებას არ მივცემ დაშალოს. აგრეთვე მათ ვანიჭებ ყოველგვარ უფლებას და მართლმსაჯულებას იმ სახით, როგორიც არსებობს ჩემს მიწა-წყალზე, ესე იგი ფლანდრიაში....“

თვითმმართველობის მქონე ქალაქებს შეეძლოთ თვითონ აერჩიათ ქალაქის უმაღლესი ხელმძღვანელობა — ქალაქის საბჭო, რომელიც განაგებდა ქალაქის შეიარაღებულ ძალებს, ქალაქის ფინანსებს, თვალყურს ადევნებდა ხელოსნურ წარმოებასა და ვაჭრობას, სცემდა მოქალაქეთათვის სხვადასხვაგვარ სავალდებულო დადგენილებებს, ამყარებდა ქალაქში წესრიგს და სხვ. საბჭოს სათავეში არჩეული ქალაქის თავი იდგა, რომელსაც გერმანიაში ბიურგერმაისტერს (Bürgermeister) უწოდებდნენ, ხოლო ინგლისსა და საფრანგეთში — მერს (maire, mayor), იტალიის ქალაქებს კი კონსულები ჰყავდათ სათავეში. სამოსამართლო ფუნქციებს ხანდახან თვით საბჭოები ასრულებდნენ და ხან კი სპეციალურად გამოყოფილი სასამართლო კოლეგიები, რომელთა წევრებს ჯერ სკაბინები ეწოდებოდათ, ხოლო შემდეგში — ეშევენები (საფრანგეთში), ან შეფენები (გერმანიაში).

ქალაქებში არჩევნები არ ტარდებოდა დემოკრატიულ საფუძვლებზე. სენიორების წინააღმდეგ მოქალაქეთა აჯანყების შედეგად ჰთელი ძალაუფლება ეგრეთწოდებულ პატრიციატის ხელში გადადიოდა. ქალაქის წარჩინებულთა საგვარეულოს მცირე ჯგუფი (მაგ. ქ. კელნში მათი ოჯახების რაოდენობა მხოლოდ 15-მდე აღწევდა) განაგებდა მთელი ქალაქის ბედ-იღბალს. პატრიციატის ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ მდიდარი ვაჭრები, ფეოდალები (როგორც სასულიე-

[1] ესე იგი რომის საღმრთო იმპერიაში.

ოო, ისე საერო), მევახშეები და საერთოდ ის პირები, რომელნიც ქალაქში მიწების მნიშვნელოვან ფართობებს ფლობდნენ. პატრიციატი, როგორც ფეოდალური საზოგადოების გარკვეული ფენა, საბოლოოდ ჩამოყალიბდა იტალიაში XI საუკუნეში, ფლანდრიაში და ბრაბანტში — XII საუკუნეში, ხოლო გერმანიის ქალაქებში XIII საუკუნეში.

ფეოდალური ქალაქის გარეგნული სახე. ფეოდალური ქალაქების წარმოშობისას დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ არ იყო მძლავრი ცენტრალური სამეფო ხელისუფლება. ფეოდალური ანარქიის პირობებში ძნელდებოდა ქალაქების საქმიანობა. განსაკუთრებით ფერხდებოდა ვაჭრობა იმის გამო, რომ ფეოდალები თავს ესხმოდნენ საეკლესიო ქარავნებს და მათ ძარცვავდნენ. ერთ-ერთი ფეოდალი ლანდრიკ „მსხვილი" 1076 წელს ტრაბახით აღნიშნავდა, რომ მან ტყვედ იგდო ვაჭრები და მთელი ქონება ჩამოართვა მათ, ხოლო შემდეგ ლანგრის ეპისკოპოსისა და კლუნის ხელმძღვანელთა თხოვნით ისინი გაათავისუფლა და წართმეული საქონლის ნაწილი დაუბრუნა. 1140 წელს ბლუას გრაფი სენ-დენის აბატს სუგერიუსს ატყობინებდა, რომ რენო დე კურტნემ გაძარცვა მეფის ვაჭრები და მთელი საქონელი ჩამოართვა და სხვ. ასეთ შემთხვევებს მაშინ ხშირად ჰქონდა ადგილი.

მაგრამ ფეოდალები თავს ესხმოდნენ არა მარტო გამვლელ ვაჭრებს, არამედ ახლად წარმოშობილ ქალაქებსაც. ამიტომ ქალაქი ვარშემორტყმული იყო გალავნით, რათა დაეცვა თავი ყოველგვარი თავდასხმებისაგან. ქალაქების მოსახლეობა გამუდმებით ეწეოდა სადარაჯო და საგარნიზონო სამსახურს. როგორც ხელოსნები, ისე ვაჭრები, ეჩვეოდნენ სამხედრო საქმეს და ერთობლივად გამოდიოდნენ მტრის წინააღმდეგ. მათ არაერთხელ დაუმარცხებიათ რაინდები ხელჩართულ ბრძოლებში. ქალაქის მოსახლეობა თანდათან მატულობდა გარედან მოსული მოსახლეობის ხარჯზე. რადგან ქალაქის თავდაპირველი გალავანი ამისთვის არ იყო გაანგარიშებული, ამიტომ გალავნის შიგნით მოსახლეობა ძალზე შემჭიდროებული რჩებოდა. ასეთ შემთხვევებში ახლად მოსული პირები გალავნის გარშემო სახლდებოდნენ. ამგვარად, დროთა განმავლობაში საჭირო ხდებოდა მეორე გალავნის შემოვლება. შემდეგში გალავანთა რიცხვი მატულობდა, მაგრამ გაზრდილი მოსახლეობისათვის ის მაინც არ იყო საკმარისი.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქებში დიდი რაოდენობით მოდიოდნენ სოფლებიდან გამოქცეული ყმა გლეხები და სხვ., იმდროინდელ ქალაქებში მაინც არ იყო მოსახლეობის დიდი რიცხვი. დასავლეთ ევროპის ყველაზე დიდ ქალაქად XII—XV საუკუნეებში

პარიზი ითვლებოდა. ის მსოფლიოს პირველი ქალაქიც იყო. ფიქრობენ, რომ XIII საუკუნის პარიზში 100.000-მდე მოსახლე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს რიცხვი ზუსტი არ უნდა იყოს, იგი გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს. პარიზის შემდეგ ლონდონი ითვლებოდა დიდ ქალაქად. მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისისათვის იქ 35.000-მდე კაცი თუ ცხოვრობდა. „საშინელი სამსჯავრო წიგნიდან" ჩანს, რომ XI საუკუნეში ინგლისის მოსახლეობის მხოლოდ ხუთი პროცენტი ცხოვრობდა ქალაქებში. გერმანიის ქალაქთა შორის XIV XV საუკუნეებში მხოლოდ რამდენიმე ქალაქში (ნიურენბერგში. სტრასბურგში. ლიუბეკში. ულმში) 20.000-მდე კაცი თუ ცხოვრობდა. ისეთი ქალაქებიც კი, როგორიც იყო ლაიპციგი და ფრეზდენი 3 4 ათასი მცხოვრებით — მსხვილ ქალაქებად ითვლებოდა. ქალაქთა დიდ უმრავლესობაში კი მოსახლეობა 1—2 ათას კაცს არ აღემატებოდა.

რითი უნდა აიხსნას ზემოხსენებული წინააღმდეგობა? სოფლებიდან მოზღვავებულ ხალხს ხომ უნდა გაეზარდა ქალაქის მოსახლეობა დიდი მასშტაბით? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავითვალისწინოთ იმდროინდელი ქალაქის ცხოვრების პირობები.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქალაქისათვის გალავნის შემოვლების აუცილებლობა არ იძლეოდა შესაძლებლობას იმისათვის, რომ ქალაქი გაგანიერებულიყო, ამიტომ თავდაპირველ ქალაქებში სახლებს აგებდნენ ერთმანეთთან შემჭიდროებულად და ყოველგვარი დაგეგმვის გარეშე. ყოველივე ამის გამო ქუჩები მიხვეულ-მოხვეული, ვიწრო და გაუვალი იყო, განსაკუთრებით წვიმიანობის დროს. ამასთან. რაკი ქუჩები ქვებით არ იყო დაფენილი, ცხენოსანიც კი იფლებოდა. მართალია, კარგ დარში ასეთი ხირთულე არ იყო. მაგრამ სამაგიეროდ მტვერი და ხიბინძურე აუტანელი ხდებოდა. ქალაქების ანტისანიტარული მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო კანალიზაციის უქონლობითა და სხვ., ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ყოველგვარ გადამდებ სნეულებათა გავრცელებისათვის. ხანდახან ზაფხულის რამდენიმე თვის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობის მეათედი. მეოთხედი და ხან ნახევარი გადამდები სნეულებებით იხოცებოდა.

ქალაქის მოსახლეობის განადგურებას არა ნაკლებ უწყობდა ხელს უვიცი ექიმებისა და უფრო მეტად კი ექიმბაშების საქმიანობა. თუ ამას დავუმატებთ ხშირ ომიანობასა და თავდასხვებს. ადვილად ვასაგებია. თუ რატომ მიმდინარეობდა ქალაქის მოსახლეობის ზრდა

ნელი ტემპით. აქვე უნდა აღინიშნოს ქალაქებში მოქმედ სასამართლოს მიერ გამოტანილი მკაცრი განაჩენები, რომელთა სისრულეში მოყვანა ქალაქის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ფიზიკურად ანადგურებდა, ან ასახიჩრებდა. ქ. აუგსბურგის XIII საუკუნის დროის კონსტიტუციის იმ განყოფილებაში, რომელიც ჯალათის საქმიანობას ეხება, ნათქვამია: „ჯალათმა სისრულეში უნდა მოიყვანოს დაწვა, კბილების შუალედების მოწვა, ყურების დაჭრა, ენის ამოჭრა, ხელების მოკვეთა, თვალების დათხრა". ბუნებრივია, რომ ამის შედეგად ქალაქებში მათხოვრების რიცხვი თანდათან მატულობდა, დასახიჩრებული პირები მათხოვრებად იქცეოდნენ.

საქალაქო ხელოსნობა და ხელოსნები. ფეოდალური ქალაქის წარმოების საფუძველს ხელოსნობა წარმოადგენდა. საზოგადოებრივი შრომის დანაწილების სხვადასხვა ეტაპზე ხელოსნობა თავისი განვითარების ხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდა: 1. შინახელოსნობა ნიშნავდა — მეურნეობის საკუთარ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ხელოსნური ნაწარმის დამზადებას იმათ მიერ, ვინც ამ მეურნეობის წევრები იყვნენ. ხელოსნობის ასეთი ფორმა ნატურალური მეურნეობის განუყოფელი კუთვნილება იყო. 2. ხელოსნობა დაკვეთით გულისხმობდა ხელოსნობის განვითარების შემდგომ საფეხურს, როცა ხელოსანი მისდევდა მიწათმოქმედებას. მაგრამ ამასთან ხელოსნურ ნაწარმს ის შეკვეთით ამზადებდა შემკვეთისათვის თავის ან სხვის მეურნეობაში და 3. ხელოსნობა, რომელიც ნიშნავდა ხელოსნური ნაწარმის დამზადებას ბაზრისათვის.

საქალაქო ხელოსნობა ხელოსნობის ორ უკანასკნელ ფორმას შეიცავდა. ესე იგი, ხელოსანი მუშაობდა სხვადასხვა შეკვეთაზე და თავისი მასალით კიდეც ამზადებდა ხელოსნურ ნაწარმს გასაყიდად. ქალაქების განვითარების პირველ საფეხურზე ხელოსნისათვის, ხელოსნურ წარმოებასა და ვაჭრობასთან ერთად, მნიშვნელობა ჰქონდა მებაღეობა-მებოსტნეობას და წვრილფეხა შინაური ცხოველების მოშენებას. თუმცა მათი განვითარების ძირითად პირობას ხელოსნობა წარმოადგენდა. ხელოსანს ჰქონდა თავისი სახელოსნო და თავისი საწარმოო საშუალებანი, ამიტომ ის დამოუკიდებელი იყო და ყმასავით ბატონს არ ემორჩილებოდა.

ფეოდალური ქალაქების მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა ძალზე ჭრელი იყო. ქალაქებში ცხოვრობდნენ ხელოსნები, ვაჭრები, სასულიერო წოდების წარმომადგენელნი, რაინდები, მევახშეები, დღიური მუშები და სხვ., მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა მაინც ხელოსნებისაგან შედგებოდა. ვიდრე ხელოსნები

შეკავშირდებოდნენ ამქრებში და ქალაქებში ხელოსნობაზე ძოხოპოლია არ გამოცხადდებოდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ცდილობდა ხელი მოეკიდა ხელოსნობისათვის. მით უფრო, რომ ხელოსნის მარტივი სამუშაო იარაღები არც ისე ძვირი იყო და თითქმის ყველას შეეძლო მათი შეძენა.

ვაჭრების სიმცირე პირვანდელ ფეოდალურ ქალაქებში აიხსნება იმავე ხელოსნური წარმოებით. თვითონ ხელოსანი ერთსა და იმავე დროს მწარმოებელიც იყო და გამყიდველიც. ამიტომ იმდროინდელ ვაჭართა მოქმედების ასპარეზიც შევიწროებული იყო. ვაჭრები ჰყიდდნენ მხოლოდ გარედან შემოტანილ საქონელს: მარილს, ღვინოს, ქაშაყებს და აგრეთვე აღმოსავლეთის სურნელებასა და ნარნარა ქსოვილებს. ბითუმად მოვაჭრე პირთა რაოდენობა ხშირად 15—20 კაცს არ აღემატებოდა. მაგრამ ცალობით მოვაჭრენიც არც თუ ისე დიდი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი. ვაჭართა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, როცა მოხდა საზოგადოებრივი შრომის ახალი განაწილება, როცა ხელოსნობას გამოეყო ვაჭრობა.

ხელოსანი თავის სახელოსნოში მუშაობდა და ამიტომ იგი უშუალო მწარმოებელი იყო. რადგან ხელოსნობაში იყენებდნენ მარტივ სამუშაო იარაღებს, ხოლო მეორე მხრივ აუცილებელი ხდებოდა უკეთესი ხელოსნური ნაწარმის დამზადება, რომელიც შესძლებდა ერთგვარი კონკურენციის გაწევას შინახელოსნობისათვის, ამიტომ საჭირო იყო, რომ უშუალო მწარმოებელი უკეთ დახელოვნებულიყო თავის პროფესიაში. ეს კი მუშაობის გარკვეულ სტაჟს მოითხოვდა. იმას, ვისაც უნდოდა ხელოსნობა, ხელობა ადრევე უნდა შეესწავლა. ამას უშუალოდ მოჰყვა შეგირდების გაჩენა.

შეგირდები და მათი მდგომარეობა საქალაქო ხელოსნობის განვითარების პირველ საფეხურზე. ხელოსნის გარდა სახელოსნოში გარკვეული რაოდენობით შეგირდებიც მუშაობდნენ. სახელოსნოებში მუშაობისას მათი მიზანი იყო ხელობის შესწავლა. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ საკითხს, შეგირდი თავისი სოციალური მდგომარეობით არ წააგავდა არც კაპიტალისტურ ურთიერთობაში მოქცეულ მუშას, რომელიც ეკონომიურად იძულებული იყო ჩაბმულიყო კაპიტალისტურ წარმოებაში და ექსპლუატაციის უღელი გაეწია და არც ყმა გლეხს, რომელიც გარეშე ეკონომიური იძულების საფუძველზე მუშაობდა ფეოდალურ-მებატონის სასარგებლოდ. შეგირდი თავის ნება-სურვილით მიდიოდა სახელოსნოში ხელობის შესასწავლად.

შეგირდის მდგომარეობა ყმა გლეხისაგან და მუშისაგან იმითიც განსხვავდებოდა, რომ იგი ხელოსნის ოჯახის წევრად ითვლებოდა და ხელოსანთან ერთად ერთ მაგიდაზე იკვებებოდა და, საერთოდ, ცხოვრობდა ხელოსნის ოჯახში. გარკვეული სტაჟის გავლის შემდეგ შეგირდი ხელოსნის უფლებებს მოიპოვებდა. იგი საკუთარ სახელოსნოს ხსნიდა და ამქრის თანასწორუფლებიანი წევრი ხდებოდა. ყოველივე ამის გამო თავდაპირველად ის ხელოსნისაგან თავის შრომაში (მუშისაგან განსხვავებით) არავითარ გასამჯელოს არ ღებულობდა: პირიქით, ზოგჯერ შეგირდი თვითონ გაიღებდა ხელოსნისათვის გარკვეულ თანხას იმის გამო, რომ მისგან ხელობას სწავლობდა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, შეგირდის ექსპლუატაციას მაინც ჰქონდა ადგილი. ახლად მიღებული შეგირდები ვაშინ-ვე არ დაიშვებოდნენ სახელოსნოში ხელობის შესასწავლად. ერთი-ორი წლის მანძილზე ისინი ხელოსნის ოჯახში უნდა დარჩენილიყვნენ და მისთვის მომსახურება გაეწიათ: ეზიდათ წყალი, დაეპოთ შეშა, წაელოთ ცომი გამოსაცხობად, გაჰყოლოდნენ ხელოსანს ან მის ცოლს ბაზარზე სურსათ-სანოვაგის წამოსაღებად და სხვ. ამგვარად, ხელოსნებისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელი და სასარგებლო იყო მეტი რაოდენობით შეგირდების ყოლა. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ამქარი ზღუდავდა ერთ ხელოსანთან 2—3-ზე მეტი შეგირდის მუშაობას, რათა დაეცვა თავის წევრებს (ხელოსნებს) შორის ეკონომიური თანაბრობა, კვლავ მოწმობს იმას, რომ გამონაკლისის სახით მაინც ადგილი ჰქონდა შეგირდების ექსპლუატაციის ხარჯზე ამა თუ იმ ხელოსნის გამდიდრებას.

ზემონათქვამიდან ისეთი დასკვნა კი არ უნდა გავაკეთოთ, რომ თითქოს ხელოსნის წვრილი წარმოება გაანგარიშებული იყო მოგების მიღებაზე, ან გაფართოებულ კვლავწარმოებაზე. მისი მიზანი იყო საშუალებების გამოძებნა მხოლოდ არსებობისათვის. „მ ი ს ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს შ ე ს ა ფ ე რ ი ა რ ს ე ბ ო ბ ა, — და არა გაცვლითი ღირებულება როგორც ასეთი, არა გამდიდრება როგორც ასეთი"[1],- იყო ხელოსნის შრომის მიზანი. მაშასადამე, სახელოსნოში დაშვებული შეგირდების ექსპლუატაცია არ შეიძლება მთლიანად გათანაბრებული იყოს მუშათა ექსპლუატაციასთან კაპიტალისტურ წარმოებაში. მაშასადამე, შეგირდებიც არ უნდა ჩაითვალონ დაქირავებულ მუშებად.

---

[1] «Архив Маркса и Энгельса», ტ. II (VII), გვ. 111.

ევროპული ამქრები და მათი საქმიანობა. პირვანდელ ფეოდალურ ქალაქებში ხელოსნობის განვითარებას წინ ეღობებოდა მთელი რიგი სიძნელეებისა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო გახდა ხელოსნებისათვის მტაცებელ თავადაზნაურთა თავდასხმების თავიდან აცილება. გარდა ამისა, რადგან სოფლად შინახელოსნობა ძირითადად აკმაყოფილებდა მეურნეობის მოთხოვნილებას ხელოსნურ ნაწარმზე, ამიტომ ქალაქურ ხელოსნობის ნაწარმზე მოთხოვნილება პირველ ხანებში მეტად შეზღუდული აღმოჩნდა. ყოველივე ამას ემატებოდა ის გარემოებაც, რომ ქალაქი, რამდენადაც ეკონომიურად ვითარდებოდა, უფრო მიმზიდველი ხდებოდა სოფლიდან გამოქცეული ყმა გლეხებისათვის, რომლებიც აგრეთვე ხელოსნობას იწყებდნენ და, მაშასადმე, ხელოსნებს კონკურენციას უწევდნენ.

ყველა აქ მოტანილმა ფაქტმა წარმოშვა ხელოსნების შეკავშირების მოთხოვნილება, რის შედეგადაც წარმოიშვნენ ამქრები, გილდიები. მარქსი და ენგელსი ამ კავშირების წარმოშობას შემდეგნაირად ხსნიდნენ: „გაერთიანების აუცილებლობა გაერთიანებული ფეოდალური ყაჩაღების წინააღმდეგ, მოთხოვნილება ბაზრის საერთო საღგომებზე ეპოქაში, როცა მწარმოებელი ერთდროულად ვაჭარიც იყო, კონკურენცია გაფურჩქვნის პროცესში მყოფ ქალაქებში გამოქცეული ყმების მხრით, მთელი ქვეყნის ფეოდალური წყობილება — ყველა ამან ამქრები წარმოშვა"[1].

რა თქმა უნდა, გარკვეული დრო უნდა გასულიყო დღიდან ხელოსნების ახალ ადგილზე დაბინავებისა, ვიდრე მოხდებოდა მათი შეკავშირება. მაგრამ ამქრების ჩამოყალიბება თითქმის ქალაქების დაარსებასთან ერთად წარმოებდა. რადგან იტალიის ქალაქების წარმოშობა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადრევე დაიწყო, ამიტომ იქ ამქრების მოქმედება უკვე მეათე საუკუნეში შესამჩნევი გახდა. ხოლო საფრანგეთში, ინგლისში და გერმანიაში — XI—XII საუკუნეებში. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლურ ქვეყნებში ამქრები უფრო ადრინდელ ხანას მიეკუთვნებიან, თუმცა მათ ისეთი სრულყოფილი სახე ვერ მიიღეს, როგორც ევროპაში. ევროპული ამქრების საბოლოო გაფორმება (ამქრის წესდების შემოღება) მოხდა უფრო გვიან, XIII—XIV საუკუნეებში.

თვითეული პროფესიის ხელოსნები ადგენდნენ თავიანთ ამქარს; ამქართა რაოდენობა ქალაქებში დამოკიდებული იყო პროფესიათა რაოდენობაზე. თავდაპირველად პროფესიათა რაოდენობა შედარებით ნაკლები იყო. პატარა სახელოსნოში მნიშვნელოვანი შრომის

---

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. IV, გვ. 14—15.

განაწილება არ ხდებოდა. ამიტომ, როდესაც ტექნიკის ასე თუ ისე განვითარებასთან ერთად შრომის საზოგადოებრივი განაწილება გაფართოვდა, იგი გატარდა უმთავრესად ცალკეულ სახელოსნოთა შორის. საფეიქრო წარმოებაში ზოგმა სახელოსნომ იწყო მაუდის მოთელვა, ზოგმა—ძაფის გამომუშავება, ზოგმა—ქსოვა, ზოგმა—ქსოვილების შეღებვა და ა. შ. ამის შედეგად თვით ფეიქრების ამქარიც შესაბამისად დანაწილდა სხვადასხვა ამქრებად. ასეთივე სახეცვლილება პროფესიებისა ხდებოდა წარმოების სხვა დარგებშიც ისე, რომ თვითეულ ქალაქში ათეულობით ამქარი ჩამოყალიბდა; ამქართა რიცხობრივ გამრავლებას, მეორეს მხრივ, ახალი დარგების გაჩენა უწყობდა ხელს. XIV საუკუნის დასაწყისში პარიზში უკვე 300-მდე ამქარი მოიპოვებოდა.

ამქრის ჩამოყალიბებასთან ერთად ქალაქებში ხელოსნობა ამქრის მონოპოლიად გადაიქცა. ამიერიდან ქალაქში არავის არ შეეძლო სახელოსნოს გახსნა, თუ ის ამქრის წევრი არ იქნებოდა. ხოლო ამქრის წევრად შეიძლებოდა გამხდარიყო ის, ვისაც შეგირდობის გარკვეული სტაჟი გააჩნდა. მას ჯერ განვლილი უნდა ჰქონოდა შეგირდობა. შემდეგ — ქარგლობა (ეს უკანასკნელი საფეხური, ე. ი. ქარგლის სტაჟის გავლის აუცილებლობა, შემოიღეს უფრო გვიანდელ ხანაში) და ბოლოს, ენიჭებოდა უფლება ხელოსნისა, თუ წარმოშობით ხელოსნის შვილი იყო, იგი ხდებოდა ამქრის სრულუფლებიანი წევრი. „პარიზის ოლქის ფარგლებში" (ნათქვამია XIII საუკ. დროინდელ ფეიქართა წესდებულებაში) არც ერთ ფეიქარს და არც სხვას არ უნდა ჰქონდეს სახელოსნო, თუ მას პირადად არ შეუძლია ხელოსნობა, თუ იგი ხელოსნის შვილი არ არის"[1].

ამქრები ხელოსნობის გარკვეულ დარგებზე აწესებდნენ მონოპოლიას არა მარტო ქალაქად, არამედ ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ. 1323 წელს სენტ-ომერის სამი ამქრის წარმომადგენლებმა იჩივლეს იმის შესახებ, რომ ქალაქის გარშემო მდებარე სოფლებში აწარმოებენ მაუდის ქსოვას, რითაც ორგვარ ზიანს აყენებენ ქალაქის საფეიქრო ამქარს. ჯერ ერთი, რომ ამ სოფლებში ჰყიდიან მდარე ხარისხის ქსოვილს, რომელსაც სენტ-ომერის ქსოვილად ასაღებენ და ამით სახელს უტეხენ მას და, მეორე, რომ ისინი მდარე ნაქსოვს იაფ ფასებში ჰყიდიან და ამით კონკურენციას ეწევიან. სენტ-ომერის ამქართა წარმომადგენლების თხოვნა შეწყნა-

---

[1] Социальная история Средневековья, ტ. II, 1927 წ., გვ. 278.

რებულ იქნა და ხელისუფლებამ აღნიშნულ სოფლებში მაუდის ქსოვა სამუდამოდ აკრძალა[1].

ამგვარად, ამქარი ყოველმხრივ ცდილობდა მასში შემავალი პროფესიებისა და ხელოსნების დაცვას „გამანადგურებელ" კონკურენციისაგან, მაგრამ ამქრის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ხელოსნური წარმოების ორგანიზაცია. ამ მიზნით ის ახდენდა წარმოების მკაცრ რეგლამენტაციას. ამქრის წევრი, ხელოსანი ვალდებული იყო თავისი მუშაობა მთლიანად დაექვემდებარებინა იმ დადგენილებებისა და ინსტრუქციებისათვის, რომელთაც ამქრის ხელმძღვანელობა გამოსცემდა. „არც ერთ ფეიქარს არ შეუძლია მოქსოვოს ეტანფორ კამელენი (ქსოვილი დამზადებული თხის ბალნისა და აბრეშუმისაგან). თუ ქსოვილის სიგანეში 2200 ძაფი არ იქნება". ნათქვამია შალეულობის ფეიქართა სტატუტში: „არც ერთმა მღებავმა (ნათქვამია პარიზის მღებავების სტატუტში) არ უნდა ჩასდოს გაფუჭებული შაბი. არც ლაკმუსის ხის ხავსი, რადგან ისინი ცუდი საღებავებია"[2]. „არც ერთ მებაგირეს (მებაგირეთა სტატუტი) არ შეუძლია და არ უნდა გააკეთოს თოკი გუთნებისათვის, თუ ის დაგრეხილი არ იქნება ძაფებისაგან".

მდარე ხარისხით დამზადებული პროდუქცია ამქრის ყველა წევრის ინტერესზე გავლენას ახდენდა. ამიტომ ამქარში შემავალ ყველა ხელოსნის მუშაობას ამქრის წარმომადგენელნი თვალ-ყურს ადევნებდნენ და სისტემატურად ამოწმებდნენ დამზადებული პროდუქციის ხარისხს. ვისაც არ აღმოაჩნდებოდა იმ ფერის ქსოვილი, ან იმ მასალისაგან დამზადებული ფეხსაცმელი, რაც გათვალისწინებული იყო ამქრის მითითებებში, ჯარიმდებოდა. ჯარიმდებოდა აგრეთვე ის, ვინც მეტი რაოდენობით შეიძენდა ნედლ მასალას და უფრო მეტი რაოდენობის პროდუქციას დაამზადებდა. ვიდრე ეს გათვალისწინებული იქნებოდა ამქრის მიერ. საერთოდ კი, როგორც წესი, ამქარი ყიდულობდა ნედლ მასალას და თავის წევრებს თანაბრად უყოფდა. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ამქარი ცდილობდა ეკონომიური თანაბრობა დაეცვა თავის წევრებს შორის.

წარმოების რეგლამენტაციის საქმეში ზოგიერთი ამქარი უფრო შორსაც მიდიოდა. იგი ცდილობდა, რომ მის ყველა წევრს თანაბარი რაოდენობისა და ხარისხის სამუშაო იარაღები ჰქონოდა. პარიზელ ფეიქართა სტატუტში ნათქვამი იყო: „პარიზის თვითეულ ფეიქარს შეიძლება სახლში ჰქონდეს ორი განიერი და ერთი ვიწრო დაზ-

---

[1] Социальная история Средневековья, ტ. II, 1927 წ., გვ. 277.

[2] იქვე, გვ. 287.

ვა. ხოლო სახლის გარეთ არაფერი მსგავსი არ უნდა გააჩნდეს". „ისეთივე ჯარიმას იხდის ის, ვინც ორზე მეტ საფეიქრო დაზგაზე მუშაობს" (ფრანკფურტის მემაუდეების 1345 წ. წესდებიდან). ის ხელოსანი, რომელიც უფრო გაუმჯობესებულ სამუშაო იარაღს შეიძენდა, ასევე ჯარიმდებოდა. აკრძალული იყო რაიმე სიახლის შეტანა სამუშაო იარაღებში. ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ:

„დაე, ყველასათვის ცნობილი იყოს, რომ ჩვენთან გამოცხადდა ვალტერ კეზენგერი, რომელმაც წინადადება წამოაყენა, რომ აბრეშუმის დართვისა და გრეხისათვის ბორბალი იქნას გაკეთებული. მაგრამ მეგობრებთან დაფიქრებისა და რჩევა-დარიგების მიღების შემდეგ... საბჭომ ცნო, რომ ბორბლის შემოღებით ჩვენ ქალაქში უმოავლესობა, რომელიც ამ ხელობით ირჩენს თავს, განადგურდება. ამიტომ დადგენილ იქნა, რათა არ გაკეთდეს და არ დაიდგას ბორბალი არც ახლა და არც მომავალში რომელიმე დროს" (პარიზის XIII ს. ფეიქართა სტატუტები).

ამქრის ჩარევა ხელოსნურ წარმოების პროცესში სხვა მხრივაც ხდებოდა. იგი კრძალავდა ერთ სახელოსნოში ორი ხელოსნის მუშაობას. „ამქრის ორი ან რამდენიმე წევრი ხელოსანი, არ შეიძლება ერთი სახელოსნოს კომპანიონები (ერთად) იყვნენ". ამგვარად, ამქარი ყოველ ნაბიჯზე ცდილობდა ხელი შეეწყო მხოლოდ წვრილი წარმოების განვითარებისათვის. ეს ჩანს შეგირდების რაოდენობის განსაზღვრიდანაც. თითო ხელოსანს ორი შეგირდის მეტი არ უნდა ჰყოლოდა, ზედმეტი მას უნდა გაეგზავნა იმ ხელოსნისათვის, ვისაც შეგირდი სულ არ ჰყავდა. გარდა ამისა, ამქარი თვითონ აწესებდა გასასყიდ ფასებს ხელოსნურ პროდუქციაზე. არავის არ შეეძლო დაწესებული ფასებისათვის გადახვევა. სამუშაო დღე განისაზღვრებოდა აგრეთვე ამქრის წესდებით. ჩვეულებრივად მუშაობა იწყებოდა მზის ამოსვლიდან და თავდებოდა მზის ჩასვლამდე. ღამით დამატებითი მუშაობა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ყველასათვის იკრძალებოდა.

ამქრის სათავეში არჩეული პირი იდგა. ყოველ ამქარს თავისი წესდება ჰქონდა. წესდების ცხოვრებაში გატარება და ხელოსნებზე მეთვალყურეობა ევალებოდათ ამქრის ცალკეულ წარმომადგენლებს. დანაშაულში შემჩნეული ამქრის წევრების საქმე ამქრის სასამართლოში განიხილებოდა. ამქარში წევრად შესვლისათვის ხელოსანს ერთდროული გადასახდი შეჰქონდა. და გარდა ამისა, წევრად მიღების შემდეგ იგი სისტემატურად იხდიდა საწევრო ანარიცხებს. ამქარი თავისებურ ურთიერთდამხმარე ორგანიზაციასაც წარმოადგენდა. მას ჰქონდა საერთო სალარო. ამქრის წევრის გარდაცვალე-

ბის შემთხვევაში, მისი ოჯახი ამქრისაგან მატერიალურ დახმარებას ღებულობდა. ამქარი ასევე იქცეოდა იმ შემთხვევაში, თუ მის წევრს სტიქიური უბედურება (ხანძარი და სხვ.) თავს დაატყდებოდა.

ამქარი თავისებურ რელიგიურ კორპორაციასაც წარმოადგენდა. მას ხშირად საკუთარი ეკლესია გააჩნდა და ამქრის წევრები ვალდებულნი იყვნენ სალოცავად იქ წასულიყვნენ. ამქარს ჰქონდა საკუთარი დროშა, რომლითაც ის გამოდიოდა. როგორც სხვადასხვა დღესასწაულზე, ისე სამხედრო საქმიანობაში მონაწილეობის ჩასაღებად. ამგვარად, ამქარი თავისებური სამხედრო ერთეულიც იყო. იგი თავის წევრებს, ხელოსნებს მორიგეობით აგზავნიდა ღამ-ღამობით ქალაქის კედლების სადარაჯოდ.

ასეთი მრავალმხრივი საქმიანობის გასაადვილებლად ხელოსნები სახლდებოდნენ კომპაქტურად ქალაქის გარკვეულ უბნებში და ცალკეულ ქუჩებზე. იმდროინდელი ქალაქებისა და ქუჩების სახელწოდებაც ხშირად ცალკეული ხელობის სახელწოდებიდან წარმოიქმნებოდა, მაგ., „ვერცხლის ქუჩა", სადაც დასახლებულნი იყვნენ უმთავრესად ოქრომჭედლები, „მეთუნუქეთა უბანი", „სამეთუნეო ქუჩა" (Гончарная ул.) და სხვ.

ამქრების მოღვაწეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მათ მონაწილეობას ფეოდალური ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თავდაპირველად ისინი ფართოდ იყვნენ ჩაბმულნი სენიორების საწინააღმდეგო ბრძოლაში, რომელსაც ქალაქები აწარმოებდნენ თავიანთი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მას შემდეგ, რაც ქალაქმა მიიღო დამოუკიდებლობა და შეჰქმნა თავისი თვითმმართველობა, უფრო მძაფრად იჩინა თავი წინააღმდეგობამ ამქრებსა და პატრიციატს შორის, რადგან პატრიციატი ჩადგა გაბატონებულ მდგომარეობაში, ხოლო ამქრები უუფლებონი აღმოჩნდნენ. ამან აუცილებელი გახადა ამქრების ბრძოლა პატრიციატის წინააღმდეგ.

1368 წლის მეორე ნახევარში აუგსბურგის ხელოსანთა პატრიციატის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად პატრიციატი იძულებული გახდა ამქრებთან დათმობაზე წასულიყო. ქრონისტი გადმოგვცემს, რომ აუგსბურგის პატრიციული მცირე საბჭო იძულებული იყო გაეზიარებინა თავისი ძალაუფლება ქალაქის ამქრებისათვის. მმართველობის გარდაქმნისას პატრიციატის წარმომადგენელნი აცხადებდნენ: „ჩვენ მხედველობაში გვქონდა დიდი დაბეგვრა და ის ურთიერთ მტრული დამოკიდებულება, რომელშიაც ჩვენ ჩავარდით და შესაძლებელია კიდევ ჩავარდეთ", „ჩვენ შევეცადეთ დიდი დაბეგვრისა და შუღლის თავიდან აცილებას". ქრონიკაში ნათქვამია, რომ

ქალაქის 18 ამქრიდან საბჭოში წარმოდგენილი იქნება 29 კაცი, ხოლო პატრიციატის წარმომადგენლებიდან — 15. ამგვარად, მთელი საბჭო უნდა შედგებოდეს 44 კაცისაგან.

ამქრების ბრძოლას პატრიციატთან ქალაქების უმრავლესობაში ჰქონდა ადგილი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ზოგან ამქრები ახერხებდნენ სრული წარმატების მოპოვებას, ზოგან კი მათი ბრძოლა მარცხით თავდებოდა. ხელოსანთა დამარცხების შემთხვევაში პატრიციატი სასტიკად ახშობდა ხელოსანთა აჯანყებას. პატრიციატის მიერ კელნში XIV ს. ხელოსანთა აჯანყების ჩახშობის შესახებ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „ბატონები თავიანთი დროშებითა და „ძმობით" დადიოდნენ ქუჩებში და ძალით ფეიქრებს ატყვევებდნენ, მაგრამ მათ ბევრი ვერ მონახეს: ფეიქრები თხუნელებად იქცნენ და მიწაში ჩაძვრნენ. მეორე დღეს ქალაქის ხელისუფალნი „ძმობასთან" ერთად და ქალაქის დროშით გაჰყვნენ... ქუჩას ნაღარითა და ფლეიტებით... და სადაც კი წაასწრებდნენ ფეიქრებს, იქვე ჰკლავდნენ მათ ქუჩაში. ხელისუფალნი დაეძებდნენ ფეიქრებს სახლებში, ეკლესიებში და მონასტრებში; ისინი არ ინდობდნენ არავის, არც მოხუცს და არც ახალგაზრდას".

ამქრებმა პატრიციატთან ბრძოლებში დიდ წარმატებას მიაღწიეს ფლორენციაში, გენტში, კელნში და სხვა ქალაქებში. მაგრამ ძალაუფლება ახლა ამქრების ზედა ფენების ხელში აღმოჩნდა. დამყარდა ამქრული ოლიგარქიის მმართველობა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ეს მოვლენა შედარებით ქალაქის პატრიციატის მმართველობასთან მაინც პროგრესული იყო. საერთოდ, ვიდრე ხელოსნური წვრილი წარმოება წარმოების მოწინავე ფორმად ითვლებოდა (XI—XIII საუკ., ხოლო ქვეყნების უმრავლესობაში XIV—XV საუკ.), ამქრები საზოგადოებრივი განვითარების საქმეში პროგრესულ როლს ასრულებდნენ. მარტო ის გარემოება, რომ მათ შესძლეს განემტკიცებინათ როგორც ეკონომიურად, ისე უფლებრივად ხელოსნობა, ძოწმობს მათ დადებით საქმიანობას. უფრო განვითარებული ამქრული წარმოების არსებობა ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო დასავლეთ ევროპის ეკონომიკის სწრაფი წინმსვლელობისა XI—XV საუკუნეებში, რამაც მომავლისათვის საფუძველი ჩაუყარა კაპიტალიზმის განვითარებას. „შუა საუკუნეების ყმებიდან წარმოიშვა პირველ ქალაქთა თავისუფალი მოსახლეობა; მოქალაქეთა წოდებიდან განვითარდნენ ბურჟუაზიის პირველი ელემენტები"[1].

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1952 წ., გვ. 38.

მაგრამ ფეოდალურ საზოგადოებაში კაპიტალისტური ელემენტების ჩასახვის შემდეგ ამქრობა თანდათანობით რეაქციულ მოვლენად იქცა. ამქრები, იცავდნენ რა წვრილ ხელოსნურ წარმოებას ყოველგვარ ხელყოფისაგან, ხელს უშლიდნენ კაპიტალისტური მანუფაქტურის შემდგომ განვითარებას. ამ პერიოდში განსაკუთრებით თავი იჩინა ამქრების მიერ წარმოების რეგლამენტაციის უარყოფითმა მხარემ. ამქრებმა იწყეს სასტიკი დევნა ყოველგვარი ახალი გამომგონებლობისა, რაც კი მიმართული იქნებოდა წარმოებითი საშუალების გაუმჯობესებისაკენ. საზოგადოებრივ წარმოებაში ამქრების როლის შეცვლასთან ერთად იცვლებოდა მათი ორგანიზაციაც. ამქრის შიგნით გაიზარდა სოციალური დიფერენციაცია. ამას დაემატა წარმოების კაპიტალისტური ფორმების მიერ კონკურენციის წამოწყება ხელოსნობის მიმართ. იმ მიზნით, რომ ამქრის წევრ-ხელოსნებს შეენარჩუნებინათ თავიანთი მდგომარეობა, ისინი ჩაიკეტნენ პრივილეგირებულ წოდებად და თავის რიგებში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სხვებს აღარ ღებულობდნენ.

შეგირდების თავდაპირველი მდგომარეობის შეცვლა და მათი ბრძოლა ამქრების წინააღმდეგ. ამქრების წოდებრივი ჩაკეტილობა ევროპაში განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება XIV—XV საუკუნეებში, როდესაც ხელოსნობაში სოციალურმა დიფერენციაციამ თავის განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. მანამდე ყველა შეგირდს, ვინც კი გაივლიდა წარმოების გარკვეულ სტაჟს, დაუბრკოლებლივ შეეძლო მიეღო ხელოსნის წოდება და ამქრის წევრად გადაქცეულიყო. თავდაპირველად შეგირდების ეს სტაჟი განსაზღვრული იყო 3—5 წლით. შეგირდების ხელოსნად გადაქცევის შეფერხების მიზნით შემდეგში იგი განისაზღვრა 7—8 წლით და ბოლოს პრაქტიკაში შემოღებულ იქნა ახალი წოდება — „ქარგალი", რომელიც შეგირდებსა და ხელოსნებს შუა იდგა. შეგირდი დაამთავრებდა რა წარმოების სტაჟს, პირდაპირ ხელოსნად ვერ გადაიქცეოდა, იგი ჯერ ქარგალი უნდა გამხდარიყო.

შეგირდის ხელოსნად გახდომის სირთულე მარტო ამით არ ამოიწურებოდა. ქარგალი ხელოსნად უნდა გამხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის სათანადო გამოცდას ჩააბარებდა. იმდროინდელი ამქრის წესდებაში გათვალისწინებული იყო ის, რომ ქარგალს გამოცდის ჩაბარებისას (თავისი მასალით) უნდა „შედევრი დაემზადებინა". შედევრი ეწოდებოდა სანიმუშოდ დამზადებულ ხელოსნურ ნაწარმს, რომელსაც შეეძლო დაემტკიცებინა ქარგლის პროფესიულობა და მისი უნარი დამოუკიდებელ ხელოსნად ქცევისა. რაკი შედევრი სანიმუშოდ დამზადებულ ნაწარმს ეწოდებოდა, ამი-

ტომ სიტყვა შედევრში ახლაც გულისხმობენ ყველაფერ სრულყოფილსა და კარგს.

გასაგებია, რომ ყველა ქარგალი შედევრს ვერ დაამზადებდა და, მაშასადამე, ხელოსანიც ვერ გახდებოდა, მით უფრო, რომ ყველა შეგირდს ან ქარგალს არ შეეძლო ისეთი მძიმე გადასახადის გაღება, რაც ამქრებმა დააწესეს ამქრის წევრად გახდომისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ გამოცდის ჩამბარებელს უნდა „მაღარიჩი" გადაეხადნა და ამქრის წევრები დაეპატიჟებინა ან სადილზე, ან ვახშამზე და სხვ., ადვილი წარმოსადგენია ხელოსნად გახდომის სიძნელეები. მაგრამ საქმე ამითაც არ თავდებოდა. ამქრის წესდების მიხედვით შემდეგში ხელოსნის შვილები და სიძეები ყოველგვარ ზემოხსენებულ სიძნელეთა გარეშე პირდაპირ ხელოსნად იქცეოდნენ და ამქრის წევრებად ხდებოდნენ. ბოლოს კი ამქრობა იმდენად ჩაკეტილ კორპორაციად გადაიქცა, რომ მასში ხელოსნების მახლობელ ნათესავებს გარდა სხვას არავის ღებულობდნენ.

ამიერიდან შეგირდობა და ქარგლობა არსებითად მუდმივი გახდა. რაკი შეგირდსა და ქარგალს ფაქტიურად მოესპო შესაძლებლობა საკუთარი სახელოსნოს დაარსებისა, ისინი ძირითადად დაქირავებულ მუშებად გადაიქცნენ. ამ გარემოებამ რადიკალურად განასხვავა ხელოსნისა და შეგირდ-ქარგალის მდგომარეობა. პირველი გაძლიერა ექსპლუატაციის წარმოებით, ხოლო მეორე, მთლიანად ექსპლუატაციის ობიექტად გადააქცია. ბუნებრივია, რომ კლასობრივი ბრძოლა მათ შორის უფრო მეტად უნდა გამწვავებულიყო. ქარგლებმა საკუთარი კავშირების ჩამოყალიბება იწყეს. თავდაპირველად ქარგალთა კავშირები ურთიერთ დამხმარე სალაროების ან კლუბების როლს ასრულებდნენ, მაგრამ მალე ისინი გადაიქცნენ კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაციებად, რომელნიც ქარგლების გაფიცვებსა და ბოიკოტებს ხელმძღვანელობდნენ.

ქალაქის ხელისუფლება სასტიკად დევნიდა ასეთ კავშირებს. 1394 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩვენ ბიურგერმაისტერმა და ულმის დიდმა და მცირე საბჭოებმა განვიხილეთ საკითხი იმ დიდი ზიანის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბევრ ქალაქში (ამქრების), კლუბების(Trinkstube)[1] წყალობით. იმის გამო, რომ ამჟამად ასეთი კლუბები ჩვენშიაც ვრცელდე-

[1] Trinkstube— სიტყვა-სიტყვით ნიშნავს სამიკიტნოს, მაგრამ, რადგან მასში შეგირდების კრებები და ნადიმი ეწყობოდა, ამიტომ ამ სიტყვის ნაცვლად „კლუბია" ნახმარი.

ბა, ამიტომ ჩვენ, იმისათვის, რომ თავიდან აცილებული იქნეს ზიანი, რომლის მოტანაც მათ შეუძლიათ, საბჭოს საერთო კრებაზე დავადგინეთ მათი გაუქმება და აკრძალვა. ჩვენ ფიცით ვამტკიცებთ დაღგენილებას იმის შესახებ, რომ ამიერიდან ჩვენს ქალაქში არ უნდა ყალიბდებოდნენ არავითარი კლუბები...“

მართლაც, რაც დრო გადიოდა, ქარგალთა კავშირები სულ უფრო და უფრო აქტიურად აღმოჩნდნენ ჩაბმულნი კლასობრივ ბრძოლაში. 1470 წლის დასაწყისში ქ. ვილშტეტის ხელოსნებმა გადაწყვიტეს ქარგლები დაექვემდებარებინათ ერთნაირი ნორმებისათვის: ყოველგვარი გაცდენის შემთხვევაში ქარგლებისათვის დაექვითნათ შრომის ხელფასიდან, შობის წინ გარკვეული დრო დაედგინათ ქარგლების დაქირავებისა და, რაც მთავარია, მათი კავშირებისათვის მოესპოთ შუამავლობის უფლება ქარგლების დაქირავების საქმეში. ქარგლებმა ხელოსნების ამ გადაწყვეტილებას გაფიცვებით უპასუხეს და, რომ თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ ხელოსნები, თავიანთი პროფესიის ქარგლებს ქ. სტრასბურგში მოწოდებით მიმართეს, რათა ისინიც გაფიცულიყვნენ და მხარი დაეჭირათ ვილშტეტის ქარგლებისათვის.

თავიანთი ექსპლუატატორების წინააღმდეგ თანამედროვე პროლეტარიატის წინაპართა ბრძოლა თანდათან უფრო მწვავე ხასიათისა ხდებოდა. იგი იქცეოდა პოლიტიკურ ბრძოლად ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ქარგლები და შეგირდები, რომელნიც ახლა ფაქტიურად დაქირავებულ მუშებად იყვნენ გადაქცეულნი, ქალაქის მოსახლეობის სხვა დაბალი ფენების მხარდაჭერით ახდენდნენ სულ ახალ და ახალ აჯანყებებს. ფლორენციაში, კელნში და სხვაგან ხდება გამოსვლები ქალაქის არისტოკრატიის წინააღმდეგ.ასეთმა აჯანყებამ ყველაზე უფრო მკაფიო გამოვლენა ჰპოვა 1378 წელს ქ. ფლორენციაში „ჩომპის“ აჯანყების სახით.

ვაჭრობა და ვაჭართა გილდიები. ვიდრე მოხდებოდა სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნობის გამოყოფა და შემდეგ ხანებში ახალი, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შრომის განაწილება — ხელოსნობისაგან ვაჭრობის გამოყოფის სახით, მონათმფლობელურ საზოგადოებაში და ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაშიც ვაჭრობა უმთავრესად საგარეო ხასიათს ატარებდა. იმდროინდელი ვაჭრობის მეორე დამახასიათებელი პირობა იმაში მდგომარეობდა, რომ მაშინ ვაჭრობა ძირითადად გაძარცულ დოვლათსა და ნატურალურ მეურნეობაში შემთხვევით ზედმეტად დამზადებულ პროდუქციას ემყარებოდა. ჯერ კიდევ ძველი დროიდან რომში, შემდეგ კი ბიზანტიაში, ვენეციაში, პორტუგალიაში და ჰოლანდიაში ვაჭრობა უშუა-

ლოდ დაკავშირებული იყო მეკობრეობასთან, მონების ყიდვა-გაყიდვასთან, ხალხების დამონებასა და მათი სიმდიდრის გაძარცვასთან. დაბოლოს, კაპრობის განვითარების ამ საფეხურს ახასიათებდა ის, რომ კაპრები უმთავრესად მოხეტიალე და არაბინადარ საქმიანობას ეწეოდნენ.

ცენტრალურ ევროპაში მაშინ ვაჭრობას უმთავრესად უცხოელები მისდევდნენ: არაბები, ბიზანტიელები, ებრაელები, შემდეგში — იტალიელები, ფრიზები და სხვ. ყველა ესენი უმრავლეს შემთხვევაში ბითუმად მოვაჭრეებს წარმოადგენდნენ. მათ ევროპაში გასაყიდად უმთავრესად ფუფუნების საგნები შეჰქონდათ და მომხმარებლად. პირველ ხანებში, მხოლოდ ფეოდალები ითვლებოდნენ, შემდეგში კი ქალაქის მოსახლეობის შეძლებული ფენები. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (ახლო აღმოსავლეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ.) მათ მოჰქონდათ: პილპილი, მიხაკი, დარიჩინი და სხვ., რასაც იყენებდნენ ღვინისა და სადილების დასამზადებლად, კერძოდ. დამარილებული ხორცისათვის, რომლითაც ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იკვებებოდა. პილპილს იმდენად დიდი გასავალი ჰქონდა, რომ მას საქონლის ბრუნვაში ხშირად ფულის სანაცვლოდაც ხმარობდნენ და ვაჭრები პილპილს თავიანთ ქალიშვილებს მზითევშიაც კი ატანდნენ. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოჰქონდათ აგრეთვე ძვირფასი ხილი, საღებავები და ნარნარა ქსოვილები (აბრეშუმი, ფარჩა, ხავერდი და სხვ.).

ჯვაროსანთა ლაშქრობის დაწყებამდე ევროპას არ შეეძლო სამაგიერო ეკვივალენტური პროდუქციის მიწოდება აღმოსავლეთისათვის, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ვაჭრობა მისთვის არ იყო აქტიურ ბალანსზე დამყარებული. ევროპიდან აღმოსავლეთის ქვეყნებში უმთავრესად გაჰქონდათ ოქრო და ვერცხლი; უფრო ნაკლები რაოდენობით ნედლი მასალა და ზოგიერთი საკუთარი ნაწარმი მაუდისა და სხვ. სახით. იმდროინდელი ევროპის ექსპორტში უფრო მნიშვნელოვანი ადგილი მონობით ვაჭრობას ჰქონდა დათმობილი.

ფეოდალურ საზოგადოებაში, საზოგადოებრივი შრომის განაწილებისა და სასაქონლო წარმოების ზრდასთან ერთად ვაჭრობის განვითარებამ უფრო მეტი გასაქანი მიიღო, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ანტიკურ სამყაროში. განსაკუთრებით ეს ითქმის მას შემდეგ, როცა ევროპაში ხელოსნური წარმოება უფრო მეტად გაფართოვდა, რითაც შესაძლებელი გახდა პროდუქციის უკეთესი ხარისხითა და მეტი რაოდენობით დამზადება. თუ თავდაპირველად ქალაქის ხელოსნური წარმოების მიერ დამზადებული პროდუქცია საკმარისი

იყო მხოლოდ ქალაქისა და მის გარშემო მდებარე სოფლებისათვის, ახლა შესაძლებელი გახდა უფრო ფართო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ვაჭრობაც ზემოაღნიშნულ ჩარჩოებს გასცილდა.

ხელოსნურ ნაწარმებზე მოთხოვნილებათა ზრდამ ამქრების წინაშე მეტი რაოდენობის ნედლი მასალის შეძენის ამოცანა დააყენა. მაგალითად, სამშენებლოსა და იარაღის ამქრობას სჭირდებოდა მეტი რაოდენობის ლითონი, მაგრამ მადანი ყოველ ადგილას ხომ არ მოიპოვებოდა, მაშასადამე, იგი შემოტანილი უნდა ყოფილიყო სხვა ადგილებიდან. ეს გარემოება კი აუცილებელს ხდიდა სარაინონო და საქალაქთაშორისო ვაჭრობის გაშლასა და გაფართოებას. ხშირად ლითონი შორეულ ქვეყნებიდანაც შემოჰქონდათ: გერმანიიდან — ინგლისში, ევროპიდან — ეგვიპტეში და სხვ. რა თქმა უნდა, საქმე მარტო ლითონითა და მისი ნაწარმით არ განისაზღვრებოდა. ვაჭრობის საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სფეროში მალე ფლანდრიის მაუდი, ვენეციელი მინის ნაწარმი, გერმანული ტილო და ჩრდილო-იტალიის აბრეშუმის ნაწარმიც მოექცა.

საქონლის მიმოქცევის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა ბაზრობის მნიშვნელობაც. ევროპის ბაზრობათა შორის ყველაზე უფრო ცნობილი გახდა ის ბაზრობანი, რომელნიც ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთის შამპანის პროვინციაში ეწყობოდა. შამპანის პროვინციას მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. ეს იყო თავისებური გზაჯვარედინი ადგილი, სავაჭრო გზა, რომელიც ინგლისიდან იტალიაში მიიმართებოდა, ეს იყო ის სავაჭრო გზა, რომელიც ფლანდრიასა და გერმანიას აკავშირებდა. შამპანი სანაოსნო მდინარეთა სისტემით ხმელთაშუა ზღვას, ლამანშსა და ჩრდილოეთის ანუ გერმანულ ზღვას უკავშირდებოდა.

მნიშვნელოვანი ბაზრობა სხვა ადგილებშიც ეწყობოდა. გერმანულ ბაზრობათაგან პირველყოვლისა აღსანიშნავია ის ბაზრობები, რომელიც ეწყობოდა მაინის ფრანკფურტში. აქ ბაზრობათა მოწყობა უკვე XIII საუკუნის შუალედში დაიწყო. არანაკლები მნიშვნელობის მატარებელნი იყვნენ ბაზრობანი აახენში. ვორმსში, ოპენჰაიმში და სხვ. ინგლისში განთქმული ბაზრობანი ეწყობოდა სტემფორდში, ბოსტონში, უინჩესტერში და სტურბრიჯში. იმდროინდელ ვაჭრობაში უდავოდ მოწინავე ადგილი ეკავათ ბაზრობებს იტალიის ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა: მილანი, ვენეცია, გენუა და ფერარა.

მსოფლიო ვაჭრობის მთავარი მიმართულება ხმელთაშუა ზღვის აუზში გადიოდა. სამხრეთ-ევროპას იგი უკავშირებდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, ხოლო აქედან — ინდოეთს, არაბეთს, ჩინეთს

და სხვ. ხმელთაშუა ზღვიდან, პირველად ხმელეთით, ხოლო შემდეგ მდინარეებით — ლეხით, რაინითა და სხვ. საქონელს ეზიდებოდნენ ჩრდილოეთით შემდეგ ქალაქებში: აუგსბურგში, ნიურენბერგში, ბრიუგეში და ანტვერპენში. ამ ადგილებიდან სავაჭრო კავშირი ყალიბდებოდა ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების სანაპიროებთან.

საზღვაო და სამდინარო მიმოსვლა იმ ხანებში მეტად რთული და სახიფათო იყო. მართალია XIV საუკუნეში კომპასს უკვე იყენებდნენ, მაგრამ იალქნიანი ხომალდები ზღვაში არც თუ ისე საიმედონი იყვნენ. გარდა ამისა გავრცელებული იყო ზღვაზე მეკობრეების თავდასხმა სავაჭრო ხომალდებზე. არანაკლებ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული სახმელეთო მიმოსვლა. ახალი სახმელეთო გზები არ გაყავდათ, ხოლო რომაელების მიერ გაყვანილი გზები სიძველის გამო გაუვალნი იყვნენ. 1414 წელს რომის პაპი მოგზაურობის დროს ძლივს გადაურჩა ჭაობში ჩაღრჩობას. იმ ხანებში საუკეთესო გზად ითვლებოდა ის, რომელზედაც „პატარძალს შეეძლო გავლა ისე, რომ კუბოთი დატვირთული ურმისათვის გვერდი არ წამოეკრა“.

ვაჭრებისათვის სახმელეთო მიმოსვლა სხვა მხრივაც იყო გაძნელებული: საერთო სახელმწიფოებრივი კანონების არარსებობის, ან ნაკლებად არსებობის პირობებში ფეოდალები ხშირად თავს ესხმოდნენ ვაჭართა ქარავნებს და ძარცვავდნენ მათ. მსგავს ვერაგობას ხანდახან თვით მეფეებიც კი არ თაკილობდნენ. ასეთი ვერაგობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია კაპეტინგების წარმომადგენელი ფილიპე პირველი. ყოველივე ამის გარდა ვაჭრებისათვის სახმელეთო მიმოსვლა დაკავშირებული იყო უამრავ საბაჟო გადასახადებთან.

ფეოდალების სასარგებლოდ საბაჟო გადასახადთა ამკრეფნი ყველა ბაზარზე იყვნენ, მაგრამ გადასახადებს ჰკრეფდნენ იმ ადგილებშიაც, სადაც ვაჭრები გაივლიდნენ თავიანთი საქონლით. მაგალითად, მდინარეზე გადასასვლელ ბორნებზე და ხიდებზე. იმ მიზნით, რომ ფეოდალებს მეტი ბაჟი აეკრიფათ, ხანდახან, თუ ახლო-მახლო მდინარე არ მოიპოვებოდა, ხიდებს მშრალ ადგილებზეც აგებდნენ. როცა დაიწყებოდა ვაჭრობა, კვლავ ხდებოდა გადასახადების აკრეფა წონით თუ ცალობით გასასყიდ საქონელზე, ან საქონლის დასაწყობ ადგილზე და ა. შ. ერთი სიტყვით, ვაჭრობიდან სასულიერო და საერო ფეოდალებს უამრავი შემოსავალი ჰქონდათ, მაგრამ ეს გარემოება მნიშვნელოვან წინააღმდეგობას იწვევდა ვაჭრების მხრივ. ვიდრე ვაჭართა რაოდენობა და გავლენა ქალაქებში მცირე იყო, ფეოდალებთან ბრძოლის უნარი მათ არ შესწევდათ, მაგრამ

დროთა განმავლობაში ვაჭართა რაოდენობა გაიზარდა და ამასთანავე მათი მნიშვნელობაც გადიდდა.

ხელოსნობისაგან ვაჭრობის გამოყოფის შედეგად მოხეტიალე ვაჭრებს გარდა გაჩნდნენ და გამრავლდნენ ადგილობრივი ცალობით მოვაჭრენი; ბითუმად ვაჭრობასთან შედარებით ცალობით ვაჭრობა მომგებიანი იყო. გარედან მოსული ყველა ვაჭარი ვალდებული იყო ბითუმად გაეყიდა თავისი საქონელი. ამ გარემოებამ ვაჭართა შორის კონკურენცია უფრო მეტად გააძწვავა. რაკი ინდივიდუალურად მოქმედი ვაჭრისათვის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა, გარდაუვალი გახდა მათი შეკავშირება და ერთობლივი მოქმედება სიძნელეთა გადასალახავად. ეს საჭირო იყო მით უფრო, რომ შორეულ მოგზაურობაში წასვლისას ვაჭრებს უხდებოდათ ჯგუფურად წასვლა და თავიანთი საქონლის ყოველგვარი თავდასხმებისაგან დასაცავად მათ თან უნდა გაეყოლებინათ შეიარაღებული ბადრაგი. ამგვარად, ფეოდალურ სენიორებთან ბრძოლამ, კონკურენციამ და, საერთოდ, შუა საუკუნეების ვაჭრობის პირობებმა აიძულეს ვაჭრები შეექმნათ თავიანთი საკუთარი ორგანიზაცია — გილდია, ანუ ჰანზა.

დასავლეთ ევროპაში პირველი სავაჭრო გილდიები წარმოიშვა ინგლისში მეათე საუკუნეში. შემდეგ ისინი გავრცელდა ნორვეგიაში, იტალიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში, ყველაზე ბოლოს კი გერმანიაში. ერთი სიტყვით — მეთოთხმეტე საუკუნის მიწურულებში ისინი ყველგან მოიპოვებოდნენ.

სიტყვა „გილდია" წარმომდგარია gelten, gyldan, geldan-იდან, რაც ნიშნავს — გადახდას. ეს გარემოება მოწმობს, ერთი მხრივ, იმას, რომ გილდიის ჩამოყალიბების მიზანი იყო ფეოდალებისათვის ბაჟების გადახდის მოწესრიგება; მეორე მხრივ, შესაძლებელია, რომ „გადახდა" გულისხმობდეს ამ ორგანიზაციაში წევრად შესასვლელი გადასახადის გაღებას. გილდიის სათავეში იდგა ეგრეთ წოდებული საბჭო, რომელსაც ირჩევდა გილდიის წევრების საერთო კრება. გარდა ამისა, ყოველ გილდიას გააჩნდა კიდევ რამდენიმე არჩევითი თანამდებობა: მამასახლისი, რომელსაც დეკანი ეწოდებოდა (ლათინური სიტყვიდან — „დეკანუს"), მოლარე და სხვ. თვითეულ გილდიას ჰქონდა თავისი წესდება, რომელიც სავალდებულო იყო ვაჭართა ამ კორპორაციის ყველა წევრისათვის. ამ წესდების მიხედვით გილდიის მთელი კოლექტივი, ესე იგი ადგილობრივ ვაჭართა გაერთიანება, იცავს თავის კოლექტივში შემავალ ყვე-

ლა ცალკეული ვაჭრის ინტერესს; გილდიას არ შეეძლო დაეშვა, რომ რომელიმე მისი წევრი უცხო ქვეყანაში ყოფილიყო დაჩაგრული ან გაუპედურებული. ერთ-ერთი გილდიის წესდების პირველ მუხლში ამის შესახებ ნათქვამია: „თუ რომელიმე ვაჭარი, რომელიც იმყოფება ჩვენ ქალაქში ან მის გარეუბანში, ჩვენი გილდიის წევრი არ არის და, თუ ის გაემგზავრება უცხოეთში, სადაც დევნილი იქმნება, ან თავის ქონებას დაკარგავს, ან არა და გამოიწვევენ მას ორთა ბრძოლაში, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გამოვექომაგებით“. მაშასადამე, თუ უცხოეთში წასული ვაჭარი გილდიის წევრი იქნებოდა, მაშინ ის ჯეროვან დახმარებას მიიღებდა თავის კავშირისაგან.

გილდია თავის წევრებს რიგ უპირატესობებს ანიჭებდა სავაჭრო ოპერაციების წარმოებაში. სხვათა შორის, გილდია სამართლიანად ცნობდა, თუ მისი წევრი ჩაერეოდა გარიგებაში, რომელსაც მანამდე გილდიის გარეშე მყოფი ვაჭარი აწარმოებდა და საქონელს თვითონ იგდებდა ხელში. „თუ რომელიმე გილდიის გარეშე მყოფი ვაჭართაგანი სურსათ-სანოვაგეს და ან რაიმე მსგავსს ვისმეს შეევაჭრება, ხოლო გილდიის რომელიმე წევრი ჩაერევა ამ საქმეში, დაე უკანასკნელმა იყიდოს ის, რაზედაც გილდიის გარეშე მყოფი ვაჭარი ახდენდა შევაჭრებას. თუ გილდიის წევრთაგანი იწყებს შევაჭრებას რაიმე საქონელზე, რომელიც არ მიეკუთვნება სურსათ-სანოვაგეს და რომელიც ხუთ დიდ სოლიდზე [1] უფრო მეტად ეღირება და ამ დროს, თუ სხვა ვინმე, აგრეთვე გილდიიდან, ჩაერევა ვაჭრობაში, მაშინ უკანასკნელსაც შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ამ გარიგებაში“.

გარდა იმისა, რომ გილდიები იცავდნენ თავიანთ წევრებს გილდიის გარეშე მყოფ ვაჭართა კონკურენციისაგან და ფეოდალების ხელყოფისაგან, ისინი ცდილობდნენ აგრეთვე, უფრო მეტად შეემჭიდროებინათ თავიანთი წევრები ერთმანეთთან, დაენერგათ მათში მყარი საყოფაცხოვრებო ტრადიციები და ურთიერთთავდებობა. ამ მიზნით ისინი თავიანთი წევრებისათვის ხშირად აწყობდნენ ქეიფსა და დროსტარებას. ხანდახან გილდიებს ტყუილად კი არ უწოდებდნენ „convivia“-ს, რაც ქეიფს ნიშნავს. ქეიფის მოწყო-

---

[1] სოლიდი — ოქროს მონეტა, რომელიც იხმარებოდა რომის იმპერიაში და რომელიც 4,5 გრამს იწონიდა. იგი შემდეგ გამოყენებული იყო ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშიც, მაგრამ სხვადასხვა დროს მისი ნამდვილი ღირებულება სხვადასხვა იყო.

ბას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ ეს წესდებითაც კი იყო გათვალისწინებული.

რეგერსბურგის გილდიის წესდების მესამე მუხლში ნათქვამი იყო: „სმის დროის მოახლოებისას, საჭიროა, რომ დეკანმა თავის კაპიტულს (ე. ი. ორგანიზაციის წევრებს—გ. ტ.) აცნობოს დანიშნული დღე და მონაწილეობის მიღება სმაში და ბრძანება გასცეს, რომ ისინი დანიშნულ ადგილას ცხრა საათზე დაუგვიანებლად გამოცხადდნენ და რომ იქ არავინ ძველი უთანხმოება არ გაიხსენოს და ჩხუბი არ წამოიწყოს“, „§ 15. დადგენილია, რომ ღვინისა და ყველა იმის ხარჯები, რაც გილდიას დასჭირდება, გილდიის ქონებიდან იქნება დაფარული“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამხანაგური და კოლექტიური ქეიფების მოწყობით გილდიების კორპორაცია არა მარტო რომელიმე დღესასწაულს აღნიშნავდა, არამედ ცდილობდა თავისი წევრების სოლიდარობისა და თანამეგობრობის განმტკიცებას. გილდია ისე, როგორც ამქარი, თავის წევრებს და მათ ოჯახებს მატერიალურ დახმარებასაც უწევდა რომელიმე მათგანის დაავადების ან გარდაცვალების შემთხვევაში და მაშინაც, როცა რომელიმე მათგანი ან მისი ოჯახი სტიქიური უბედურებით დაზიანდებოდა.

ბანკების წარმოშობა და მათი საქმიანობა. ცნობილია, რომ საქონლის ბრუნვა და ვაჭრობის განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ბრუნვის საშუალებაზე, ფულზე. ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში და შემდეგშიაც გარკვეულ დროის მონაკვეთში ერთგვაროვანი და საკმაოდ მყარი ფულადი სისტემები არ არსებობდა. დაწყებული მეფიდან და დამთავრებული ეპისკოპოსით, ყველა ფეოდალი და მსხვილი ქალაქი თავის საკუთარ ფულს სჭრიდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო გერმანიაში 600-მდე ზარაფხანა არსებობდა. ეს გარემოება ძალზე ართულებდა ვაჭრობის განვითარების საქმეს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ერთი ფეოდალის მიერ მოჭრილ მონეტას სხვა საფეოდალოში არ ეძლეოდა გასაქანი და გარდა ამისა, თვითეული ფულის მომჭრელი ცდილობდა გამოეშვა არასრულფასოვანი მონეტა და ამით უფრო მეტად გამდიდრებულიყო.

გარდა ამისა, აღსანიშნავია სხვა გარემოებაც — მაშინ ხმარებაში უმთავრესად ვერცხლისა და სპილენძის ფულები იყო. როდესაც ვაჭარი თავის საქმეებზე შორეულ ქვეყნებში დააპირებდა წასვლას, მას თან დიდი თანხა უნდა ჰქონოდა. ფულის სიმძიმისა და უფრო მეტად იმის გამო, რომ გზაში ვაჭარს თავს დაესხმოდნენ, ასეთი თანხის გადატანა დანიშნულ ადგილზე მეტად ძნელი იყო. ერთი ფულის მეორეზე გადასაცვლელად და ამა თუ იმ მონეტის ნამდვი-

ლი ლირებულების დასადგენად შეიქმნა ზარაფთა (меняялы) სპეციალური პროფესია. ზარაფები არა მარტო ფულის გადაცვლას ეწეოდნენ, არამედ ფულის გადაგზავნას ახდენდნენ სხვადასხვა ქვეყნებში. ვაჭარს შეეძლო ზარაფისათვის ადგილობრივ ჩაებარებინა თანხა და მის მიერ თამასუქით გაცემული ფული მიეღო იმ ქალაქში, სადაც ის დააპირებდა წასვლას სავაჭროდ. ასე ეყრებოდა საფუძველი საკრედიტო საქმეს. ფულის გადახურდავებასა და საკრედიტო ოპერაციებს შედეგად მოჰყვა სპეციალურ საბანკო დაწესებულებათა ჩამოყალიბება.

სიტყვა „ბანკი" წარმომდგარია „banco"-დან — მაგიდიდან, რომელზედაც ზარაფები აწარმოებდნენ სხვადასხვა ფულის გადახურდავებას ან გაცვლას. როცა ესა თუ ის ზარაფი სხვადასხვა მიზეზით გაკოტრდებოდა, მუშაობის შეწყვეტის ნიშნად მაგიდას გადააბრუნებდა, აქედან კი, წარმოიშვა სიტყვა „ბანკროტი". საბანკო საქმე საკმაოდ განვითარებული იყო უკვე XIV საუკუნეში. ამ ხანებში ფლორენციის ბანკები უკვე აწარმოებდნენ მსხვილ საფინანსო ოპერაციებს. ასწლიან ომთან დაკავშირებით ინგლისის მეფემ, ედუარდ მესამემ ფლორენციის ბანკირებისაგან ბარდისა და პერუცისაგან 1365000 ფლორინი ერესხა. შემდეგში ინგლისმა „სახელმწიფოებრივი გაკოტრება" გამოაცხადა და ვალი აღარ დააბრუნა, რამაც იტალიელი ბანკირები და მათი მეანაბრეები გააკოტრა.

უფრო გვიან მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ბანკირად გამოდის ცნობილი მედიჩების გვარი. რომელსაც თხუთმეტამდე საბანკო განყოფილება გააჩნდა საზღვარგარეთ. მისი თანხების რაოდენობა ათჯერ უფრო მეტად აჭარბებდა პერუცის ქონებას. XVI საუკუნეში გაძლიერდნენ გერმანელი ფინანსისტები ველზერებისა და ფუგერების საგვარეულოდან; იაკობ ფუგერი იმდენად ძლიერი ფინანსისტი იყო, რომ გერმანიის იმპერატორ კარლოს მეხუთეს თავის ნება-სურვილს უკარნახებდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარების საქმეში.

ბანკირების ხელში ამ უზარმაზარი თანხების დაგროვებას, გარდა მეანაბრეების შენატანებისა, დიდად ეწყობდა ხელს მევახშეობა. გასესხებულ ფულზე ბანკირები დიდ სარგებელს ღებულობდნენ[1]. იტალიელი და სხვ. ბანკირებისათვის არანაკლებ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული „საგადასახადო იჯარის აღება", რომის პაპის კურიას უნდა მიეღო უამრავი სახსრები მთელ

[1] ფილიპე II ავგუსტუსის დროს საფრანგეთში ვახში დაკანონებული იყო 46%-ის რაოდენობით, ფაქტიურად კი იგი 100—200%-მდე აღწევდა.

ევროპაში მოქმედ სასულიერო წოდებისაგან. პაპის კურიას უძნელ-
დებოდა ამ სახსრების შეგროვება უზარმაზარ ტერიტორიიდან და
აი, აქ დამხმარედ ბანკირები გამოდიოდნენ. ისინი პაპისაგან იჯარით
ღებულობდნენ პაპის კურიის სასარგებლოდ აკრეფ გადასახადებს,
რისთვისაც წინასწარ უხდიდნენ პაპს დიდ თანხებს და შემდეგ თვი-
თონ იწყებდნენ ამ შემოსავლის აკრეფას. ასეთ შემთხვევაში გადა-
სახადების აკრეფის უფლების შემსყიდველი გადასახადებს უფრო
მეტი რაოდენობით ჰკრეფდა, ვიდრე ის დაწესებული იყო. კონტრო-
ლი გადასახადების ასეთ ამკრეფებზე არ არსებობდა. რა თქმა უნდა,
თავის მხრივ გაღებულ გადასახადებს სასულიერო წოდება თავის
მრევლისაგან ექაჩებოდა.

თ ა ვ ი IX

ბიზანტია IV—XI საუკუნეებში

ბიზანტიის სახელმწიფოების წარმოშობა. აღმოსავლეთ ნაწილის გამოყოფა რომის იმპერიისაგან

ბიზანტია უძველეს დროიდან ეწოდებოდა იმ კოლონიას, რომელიც ჯერ კიდევ VIII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეგარიდან წამოსულმა ბერძნებმა დააარსეს ბოსფორის ევროპულ სანაპიროზე—მარმარილოს ზღვის შესასვლელთან. მეორე საუკუნის ბოლოს, ბერძნებთან რომაელების ბრძოლის დროს სეპტიმიუს სევერმა იგი გაანადგურა. იმპერატორმა კონსტანტინემ ბიზანტიის ადგილზე ახალი ქალაქი ააშენა (326 ან 328 წ. წ.), რომელსაც კონსტანტინეპოლი ეწოდა. 330 წლის 11 მაისს იგი გამოცხადებულ იქნა რომის იმპერიის მეორე სატახტო ქალაქად, ხოლო ყოფილი ქალაქის, ბიზანტიის სახელწოდება შემდეგში შეერქვა იმ ტერიტორიას, რომლის ცენტრსაც ის ადრევე წარმოადგენდა.

როგორც ვიცით, მესამე საუკუნეში რომის იმპერია განიცდიდა ეკონომიურსა და პოლიტიკურ კრიზისს. მონათმფლობელური სამყარო, რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში, ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის გამო, საკმაოდ შეირყა. მისი საბოლოო დაღუპვის ჟამის მოახლოებასთან ერთად, მონათმფლობელობის ცენტრმა ადგილი ინაცვლა. იგი რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილიდან აღმოსავლეთში გადავიდა ისე, როგორც ძველი საბერძნეთის მონათმფლობელურმა ცენტრმა, ძველი საბერძნეთის დაღუპვის გამო, ადგილი ინაცვლა და რომის იმპერიაში გადავიდა. მარქსიზმი ავასწავლის, რომ მონათმფლობელური წარმოების ცენტრის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე არაა დაკავშირებული დიდ სიძნელეებ-

თან, ვინაიდან მონათმფლობელური წარმოების წესის დროს ხდება მხოლოდ დოვლათის დაგროვება და არა ამ უკანასკნელის დაბანდება წარმოებაში. დაგროვილი დოვლათის გადატანა კი ერთი ადგილიდან მეორეზე, განსხვავებით კაპიტალისტურ დაბანდებიდან, უფრო ადვილად ხერხდება.

ჯერ კიდევ იმპერატორ დიოკლეტიანესათვის (284—305) აშკარა გახდა, რომ მონათმფლობელობა დაღუპვის გზაზე იმყოფებოდა და რომ საჭირო იყო მისი გადარჩენა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა მის მიერ ჩატარებული რეფორმები, რომელთა მიხედვითაც რომის იმპერია დაიყო ცალკე ადმინისტრაციულ-სამმართველო ერთეულებად. დიოკლეტიანეს ასეთი პოლიტიკა მისმა მემკვიდრეებმა. პირველად იმპერატორმა კონსტანტინემ (306—337) და შემდეგ იმპერატორმა თეოდოსიმ (379—395) განაგრძეს. თეოდოსის გარდაცვალების შემდეგ რომის იმპერია პოლიტიკურადაც ორად დაიყო. რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილის იმპერატორად თეოდოსის შვილი, ჰონორიუსი გახდა (395—423), ხოლო აღმოსავლეთი ნაწილისა (ბიზანტიის) თეოდოსის მეორე შვილი, არკადიუსი (395—408), რომელიც ფაქტიურად შეიძლება ჩაითვალოს ბიზანტიის პირველ იმპერატორად.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რომის იმპერიის პოლიტიკური მთლიანობა ფორმალურად 476 წლამდე მაინც გრძელდებოდა იმ გაგებით, რომ რომის იმპერიის ერთი ნაწილი ფორმალურად უნდა დამორჩილებოდა მეორეს, როგორც „უმცროსი მემკვიდრის სამფლობელო ემორჩილება უფროსისას". 476 წელს, როგორც ვიცით, რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილის უკანასკნელი იმპერატორი რომულუს ავგუსტული ტახტიდან იქნა ვადმოგდებული ოდოაკრის მიერ, რაც დასაწყისი აღმოჩნდა რომის იმპერიის ცენტრალურ ნაწილში ბარბაროსთა ტომების გაბატონებისა. ამიერიდან ბიზანტია იძულებული გახდა ხელი აეღო იმ პრეტენზიებზე, რომელთაც ის უყენებდა მანამდე რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილს. თუმცა შემდეგში არა ერთხელ შეეცადა შეიარაღებული ძალებით მის დაპყრობას [1]. ახლა ის უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილის ტერიტორიით და საკუთარი ცალკე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა გადაქცეულიყო.

ბიზანტიის იმპერიის ძირითადი ტერიტორია უმთავრესად დასახლებული აღმოჩნდა ბერძნული და ელინიზირებული ხალხებით, რო-

---

[1] იხ. გ. ტივაძის. ფეოდალიზმის გენეზისი დასავლეთ აკროპაში, თავები XIII და XV.

პელნიც ბერძნულ ენაზე ლაპარაკობდნენ. მიუხედავად ამისა, რომაული ტრადიციები მათში იმდენად ფეხმოკიდებული იყო, რომ მხოლოდ მეშვიდე საუკუნეში გახდა შესაძლებელი ბერძნული ენა სახელმწიფოებრივ ენად გადაქცეულიყო. თუ ბერძნულ მოსახლეობას რამდენად დაღი დაასვა რომაულმა ყოფა-ცხოვრებამ, ჩანს ოუნდაც იქიდან, რომ თანამედროვე ბერძენი. მცხოვრები საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე, შეკითხვაზე. თუ რომელ ეროვნულ წარმოშობას ეკუთვნის იგი, ბერძნულ ენაზე პასუხობს: „ეღო რომეიმე", ე. ი. „მე რომაელი ვარო".

ბიზანტიის იმპერია, რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო მყარი აღმოჩნდა. თუ დასავლეთი ნაწილი. როგორც მონათმფლობელური სამყარო. მეხუთე საუკუნის ბოლოს უკვე მოისპო. აღმოსავლეთმა ნაწილმა, ბიზანტიის სახით. კიდევ დიდხანს განაგრძო თავისი არსებობა. რითი უნდა აიხსნას ეს გარემოება?

ბიზანტიის ეკონომიური ვითარება რომის იმპერიიდან გამოყოფის დროს. დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავითვალისწინოთ ბიზანტიის ტერიტორია და, რაც მთავარია, მისი ეკონომიური ვითარება. რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილისაგან განცალკევებისას, თორმეტი დიოცეზიდან ბიზანტიას წილად ხვდა რვა დიოცეზი: ეგვიპტე, აზია, პონტოსი, სირია, „აღმოსავლეთი", მაკედონია, საბერძნეთი და თრაკია. ეგვიპტე ჯერ კიდევ ამ დაყოფამდე იმპერიისათვის წარმოადგენდა „პურის ბეღელს". მცირე აზიაში, რომლის მთლიანი გაძარცვა რომაელებმა ვერ მოასწრეს, საუკეთესო საძოვრები იყო. იქ მესაქონლეობა წამყვან როლს ასრულებდა.

დიდი რაოდენობით მზადდებოდა მატყლი, ტყავი და სხვა ნედლეული წარმოებისათვის. არანაკლები ეკონომიური მნიშვნელობის მქონე იყო სირია თავისი მსხვილი სავაჭრო, სამრეწველო და კულტურული ცენტრებით, როგორებიცაა: ანტიოქია, ტირი, ბეირუთი და სხვ.

ვაფანიისა და თრაკიის პროვინციების შესახებ ერთ-ერთი ვაჭარი 350 წელს თავის შრომაში—„Expositio totius mundi" (მსოფლიოს სრული აღწერილობა) წერდა: „ჰელესპონტეს მიღმა მდებარეობს საოცარი ვიფინია, რომელიც დიდია და მდიდარი და რომელიც უხვად წარმოქმნის ყოველგვარ ნაყოფს. იქ ბევრი ქალაქია,

რომელთაგან შესანიშნავია ნიკეია და ნიკომედია... ნიკეია ყოველ-მხრივ შემკული და კეთილმოწყობილია. ნიკომედია საუკეთესოა და შესანიშნავი, იგი ყველაფრით აღსავსეა... ვიფინიას მოსდევს თრაკიის პროვინცია, რომელიც პროდუქტებით მდიდარია და რომელიც ბრძოლისუნარიან მამაკაცთა დიდ რაოდენობას მოითვლის... თრაკიას საუკეთესო ქალაქები გააჩნია: კონსტანტინეპოლი და ჰერაკლეა".

ბიზანტიის სამრეწველო და სავაჭრო ცენტრებს შორის მნიშვნელოვნად გამოირჩეოდა ეგვიპტის ქალაქი ალექსანდრია. იგი იმდროინდელ მსოფლიოში განთქმული იყო შუშეულობის ნაწარმითა და პაპირუსების (ფილი-ეტრატის) წარმოებით. „ალექსანდრია (ნათქვამია ძეგლში) მეტად დიდი ქალაქია. მას საუკეთესო ადგილმდებარეობა გააჩნია და მდიდარია დოვლათითა და პროდუქტებით. [ეს] ქალაქი იკვებება სამი სახის თევზეულობით — მდინარისა, ტბისა და ზღვისა, რაც სხვა ქალაქებს არ გააჩნიათ. მასში უხვად მოიპოვება სურნელებანი, არომატები და ბარბაროსთა სხვა საქონელი, რადგან ფიბაიდის მიღმა ინდუსური ხალხები იმყოფებიან, და ალექსანდრია ღებულობს რა ყველაფერს, ყველაზე უფრო მაღლა დგას...

ყველა უპირატესობასთან ერთად ალექსანდრიას კიდევ ერთი რამ გააჩნია — ის, რაც არსად არა მზადდება, გარდა ალექსანდრიისა და მისი ოლქისა. რის გარეშეც არც მართლმსაჯულება, არც კერძო საქმეები არ შეიძლება განხორციელდეს და რის გარეშეც თვით ადამიანის ბუნებას არ შეუძლია იარსებოს. რა არის ეს, რასაც ჩვენ ასე ვაქებთ? პაპირუსი (charta). რომელსაც ალექსანდრია ამზადებს, მთელ მსოფლიოში აგზავნის და ყველას აწოდებს ამ სასარგებლო საქონელს..." [1].

არანაკლებ გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა ქ. თესალონიკა, მაგრამ ყველაზე უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა თვით ბიზანტიის სატახტო ქალაქს—კონსტანტინეპოლს. ამ ქალაქის შესანიშნავი ადგილმდებარეობის გამო მარქსმა მას უწოდა „ოქროს ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის". ვიდრე აღმოჩნდებოდა ახალი საზღვაო გზა ინდოეთისაკენ, კონსტანტინეპოლი უზარმაზარი ბაზრის როლს ასრულებდა. საუკუნეების განმავლობაში კონსტანტინეპოლის მეშვეობით ხდებოდა ევროპული ქვეყნების დაკავშირება შავი ზღვის სანაპიროებზე მდებარე ქვეყნებთან და აგრეთვე ირანთან, ჩინეთთან და ინდოეთთან. მაგრამ, გარდა ამ მსოფლიო

---

1 Сборник документов по социально-экономической истории Византии, под редакц. Е. А. Косминского, გამოც. 1951 წ., გვ. 19.

მნიშვნელობის მქონე სატრანზიტო ვაჭრობისა, კონსტანტინეპოლი სამრეწველო ცენტრსაც წარმოადგენდა. მასში მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვებოდა საწარმოო წამოწყებანი, რომელნიც ამზადებდნენ ძვირფასი აბრეშუმისა და შალეულის ქსოვილებს, საიუველირო ნაწარმს და ყოველგვარ ფუფუნების საგნებს.

ერთ-ერთ დოკუმენტში („Жизнеописание Порфирия Газского") კონსტანტინეპოლის ფუფუნებრივი ცხოვრების შესახებ ნათქვამია: „დრო გადიოდა, და დადგა დღე, როცა გადასწყვიტეს ახალი მეფის, თეოდისის კურთხევა. მთელი ქალაქი გვირგვინებით, აბრეშუმითა და ფარჩით მოირთო ისე, რომ ქალაქის სილამაზის აღწერა ძნელი გახდა. ამასთან ქალაქში შეიძლებოდა იმის ნახვა, თუ როგორ იცვლებოდნენ სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის ტანსაცმელში გამოწყობილ მცხოვრებთა სხვადასხვა ჯგუფები. მე შესაძლებლობა არ მყოფნის იმ მორთულობის მშვენიერების აღწერისათვის. ეს უნდა გააკეთოს მან, ვინც მეტყველებაში დახელოვნებულია".

იმ დროს, როდესაც რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილს ეკონომიური კრიზისი შიგნიდან ღრღნიდა, და როდესაც მასში ვაჭრობისა და აღებ-მიცემის დაცემის შედეგად ნატურალური, თვითკმარი მეურნეობა ძლიერდებოდა, ბიზანტიის ფართო სატრანზიტო ვაჭრობა და მისი მრავალფეროვანი მრეწველობა ბიზანტიის იმპერატორებს დიდი თანხების და მატერიალური რესურსების დაგროვების შესაძლებლობას აძლევდა. იმპერატორმა ანასტასიმ მეხუთე საუკუნის ბოლოს სახელმწიფო სალაროს შემოსავალი იმდენად გაზარდა, რომ მისმა ღირებულებამ 130—140 მილიონ ოქროს მანეთს მიაღწია. იმ ხანებში დასავლეთ ევროპის არც ერთ სახელმწიფოს ასეთი ფინანსური რესურსები თავის განკარგულებაში არ გააჩნდა. ასეთი დიდი ფულადი რესურსები იმპერატორებისათვის გადაიქცა მძლავრ ბაზად აქტიური პოლიტიკის გატარების საქმეში, როგორც საშინაო, ისე საგარეო დარგში. საგარეო მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით საკმარისი იყო რომელიმე სახელმწიფოს მიერ ბიზანტიისათვის ომის გამოცხადება და ბიზანტიის მესვეურნი ამ თანხებს დაუყოვნებლივ იყენებდნენ სხვადასხვა ხალხებისაგან შემდგარ ჯარების დასაქირავებლად. ხშირად ისინი მტერთან ბრძოლაში ფულების გაღებით მოიპოვებდნენ ხოლმე გამარჯვებას.

ბიზანტიის იმპერიის დაღუპვისაგან გადარჩენის საქმეში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა მართვა-გამგებლობის ცენტრალი-

ზაციას. ადრინდელ შუა საუკუნეებში სამეფო ხელისუფლება არ-სად ისეთი მტკიცე და გავლენიანი არ იყო, როგორც ბიზანტიაში; ცენტრალური სამეფო ხელისუფლების სიმტკიცე თავის მხრივ ბიზანტიაში არსებულ თავისებურ აგრარულ წყობას ემყარებოდა. ბიზანტიის მსხვილ მიწათმფლობელთა შორის ყველაზე დიდი მი-წათმფლობელი თვითონ იმპერატორი იყო, რომელსაც დიდი მიწის ფონდები გააჩნდა იმპერიის თითქმის ყველა ნაწილში. ამ მამულე-ბის შემოსავალი არანაკლებ აძლიერებდა მეფის ხაზინას.

ბიზანტიის აგრარული წყობის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ყოფილი რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილ-ში დიდი ხნის მანძილზე შემონარჩუნებულ იქნა ეგრეთ წოდებული აღმოსავლური თემი, რის შედეგადაც თემში გაერთიანებული თა-ვისუფალი გლეხობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა მემამულეებს, რომელნიც ცდილობდნენ გლეხების დამორჩილებასა და ექსპლუა-ტაციაში ჩაბმას. თავისუფალი გლეხობის მნიშვნელოვანი რაოდენო-ბით არსებობა ბიზანტიაში, იმპერატორებს შესაძლებლობას აძ-ლევდა ძლიერი რეკრუტების შედგენისათვის, რაც აადვილებდა გარეშე მტრის შემოსევის უკუგდებას. მეორე მხრით, იგივე თავისუ-ფალი გლეხობა იმპერატორისათვის იქცეოდა საყრდენ სოციალურ ძალად იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მსხვილი მემამულე მოი-სურვებდა ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებიდან განდგომას.

ამგვარად, ვიდრე არსებობდა თემი და მასთან ერთად თავისუ-ფალი გლეხობა, ცენტრალური სამეფო ხელისუფლება და მაშასა-დამე, ბიზანტიის სახელმწიფოც, ცხოველმყოფელად უნარს ინარჩუ-ნებდა. მეშვიდე საუკუნეში ბიზანტიურ თემებს უკვე დაეტყოთ შინაგანი რღვევა, მაგრამ ამ გარემოებას დაემთხვა ის, რომ ბალკანე-თის ნახევარკუნძულზე სლავთა ტომებმა იწყეს მასობრივი შემოჭრა და ამ ადგილების კოლონიზაცია. სლავებმა აქ მოსვლისას თან მოი-ტანეს თემური წყობილება, რამაც ადგილობრივი თავისუფალი თე-მი ხელახლა განამტკიცა. ამან კი უზრუნველყო თავისუფალი გლე-ხობის კვლავ არსებობა კიდევ რამდენიმე საუკუნის მანძილზე.

ამას გარდა, ბიზანტიის აგრარული წყობა, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, მოიცავდა მსხვილ სასულიერო მიწათმფლობელობას, ოღონდ ევროპის სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, უფრო დიდი მასშტაბით. ბიზანტიის ეგრეთ წოდებულ „მართლმადიდებელ“ ეკლესიას დიდი პრივილეგიები ჰქონდა ხელისუფლებისაგან, ღე-ბულობდა აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგებლობის საქმეში და ხშირად თვითონაც ხელს უწყობდა სამეფო ხელისუფ-ლების განმტკიცებას. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ

ბიზანტიის ეკლესია იმ ხანებში ყველაზე უფრო ძლიერი იყო. ამის დასამტკიცებლად საკმარისია შემდეგი მაგალითები: მარტო კონსტანტინეპოლში VI საუკუნეში 70-მდე მონასტერი მოქმედებდა; ამავე დროს ეგვიპტის ექვსი მილიონი მოსახლეობიდან 500 ათასამდე მარტო ბერ-მონაზონი იყო.

მუქთახორების ეს ხროვა, საერო მსხვილი მიწათმფლობელების მიერ ხალხის უმოწყალო ექსპლუატაცია, მეტად გაზრდილი ბიუროკრატია, დესპოტური სახელმწიფოებრივი აპარატი, დაქირავებული შეიარაღებული ძალები — ყველა ერთად აღებული, აჩანაგებდა უშუალო მწარმოებლებს, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. გარდა ამისა, ბიზანტიის მოსახლეობის დაბალი ფენები იტანჯებოდნენ აქ დაწყებული ფეოდალიზაციის გაქიანურებული პროცესით. თუ რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში მძლავრმა სოციალურმა რევოლუციამ შედარებით სწრაფად მოსპო მონათმფლობელობა და ამავე დროს მნიშვნელოვნად შეარყია გაბატონებული კლასის მდგომარეობა მიწების ჩამორთმევითა და პოლიტიკური ძალაუფლების წართმევით, ხოლო მეორე მხრივ კი უშუალო მწარმოებელთა მდგომარეობა, თუნდაც დროებით, შეარბილა, — ასეთი რამ ბიზანტიაში არ მომხდარა. აქ ფეოდალიზაცია მიმდინარეობდა მთლიანად უშუალო მწარმოებელთა ხარჯზე.

უშუალო მწარმოებელთა კლასის სოციალურ-ეკონომიური ვითარება V—VI საუკუნეებში. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიაში ქალაქები მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვებოდა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაინც სოფლის მეურნეობას მისდევდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი შემადგენლობა არ იყო ერთგვაროვანი. ამ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მონებსა და კოლონებს შეადგენდა. ისინი მუშაობდნენ ყანებში, ვენახებში და ბაღებში. რიგი ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ კოლონების რაოდენობა მონებისას მნიშვნელოვნად აღემატებოდა. თავის მხრივ კოლონები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი: 1. თავისუფალი კოლონები (coloni liberi), რომელთაც იჯარით აღებული ჰქონდათ მიწა დასამუშავებლად და რომელთა გადასვლა სხვა ადგილზე, ასე თუ ისე, თავისუფლად ხდებოდა და, 2 მიწებზე მიწერილი კოლონები (ლათინურად— adscripticus"), რომელნიც რაოდენობით უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე პირველნი. ისინი მიმაგრებულნი იყვნენ მიწის ნაკვეთებზე და როგორც მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა მემამულის საკუთრებას, ისე მიწერილი კოლონიც ითვლებოდა მის საკუთრებად. ამგვარად, მიწერილი კოლონის მდგომარეობა მიწათ-

მოქმედ მონის (servi rustici) ძდგომარეობას უახლოვდებოდა.

მონათა ჯგუფს ეკუთვნოდნენ აგრეთვე ეგრეთ წოდებული ორიგინარიები (originarii) — მკვიდრნი მცხოვრებნი, ესე იგი შთამომავლობითი მონები, რომელნიც მონობაში დაიბადნენ და მემკვიდრეობით მიმაგრებულნი იყვნენ მემამულის მიწაზე. მონათა მდგომარეობა კოლონებთან შედარებით უფრო მწვავე იყო. რადგან ისინი მთლიანად გაიგივებულნი იყვნენ წარმოებით საშუალებებთან და მათ პატრონს თავისუფლად შეეძლო მონის ყიდვა-გაყიდვა, გასაჩუქრება და მოკვლაც კი. გასაგებია, რომ ასეთ შემთხვევაში ექსპლუატაციის უღლის დიდი სიმძიმე მათ აწვებოდათ კისერზე.

მიწათმოქმედებაში ჩაბმულ მუშაკთა შორის გვხვდება კიდევ მიწაზე მიმაგრებულების ერთი ფენა, რომლის წარმომადგენლებს „პარიკებს" უწოდებდნენ და რომელნიც ამუშავებდნენ საეკლესიო ან საეპისკოპოსო მიწებს. თავდაპირველად ისინი მოიხსენებიან სირიის ქრონიკებში. პარიკების რიგები უმთავრესად უშუალო მწარმოებელთა ყველაზე ღარიბი ნაწილისაგან ივსებოდა. რაც შეეხება თავისუფალ გლეხობას, ჩვენ მათზე უკვე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. აქ კი აღვნიშნავთ, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შემონარჩუნებული იყო იმ ოლქებში, რომელნიც ადრევე არ მოექცნენ კლასიკური ტიპის მონათმფლობელურ მეურნეობის გავლენაში (ზემო ეგვიპტე, ისავრია, თრაკია და სხვ.). თავისუფალი გლეხები მოიხსენებიან ეგვიპტურ პაპირუსებში და სირიულ დოკუმენტებში.

უშუალო მწარმოებელთა ყველა ფენა ვალდებული იყო ერთსა და იმავე დროს გაეღო გადასახადი უმთავრესად ნატურის სახით. როგორც მემამულისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. გადასახადების რაოდენობა, რომელიც სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა ყოფილიყო გაღებული, გამოიანგარიშებოდა მიწის ფართობისა და მისი შემოსავლიანობის მიხედვით. მხედველობაში იყო მიღებული ისიც, თუ რამდენი მიწის მუშა და მუშა საქონელი იყო ჩაბმული ამა თუ იმ მეურნეობაში. წყაროებიდან ჩანს, რომ მიწები გაზომილი იყო ჯერ კიდევ იმპერატორ დიოკლეტიანეს ხანაში. ერთხელ წარმოებული მიწების აღწერა, რომლის მიხედვითაც ხდებოდა გადასახადების გაწერა, ძალას ინარჩუნებდა 15 წლის განმავლობაში. ამ გარემოებამ შემდეგში საფუძველი ჩაუყარა ეგრეთ წოდებულ ინდიქტების გამოანგარიშებასაც.

რადგან გადასახადების გაღებაში მეურნეობის შემოსავლიანობა უნდა ყოფილიყო მიღებული მხედველობაში, ამიტომ მიწებიც ამის

მიხედვით იყო დახარისხებული. ერთნაირი გადასახადები ვაიწერებოდა პირველი ხარისხის 20 იუგერზე [1]. მეორე ხარისხის 40 იუგერზე და შესამე ხარისხის 60 იუგერზე. ასეთივე დახარისხებას ახდენდნენ ზეთის ხილის ხეებზე. ერთნაირი გადასახადი უნდა გაეწერათ: პირველი ხარისხის 225 ხეზე. მეორე — 450 ხეზე. გადასახადები იკრიფებოდა აგრეთვე სათიბ ადგილებზე და საძოვარ მინდვრებზე. ცალკე წარმოებდა ოთხფეხა საქონლის დაბეგვრა, როგორც ფულადად, ისე ნატურის სახით და სხვ. გარდა ამისა, მოსახლეობა ვალდებული იყო შრომითი ბეგარა შეესრულებინა. მოეზიდნა მასალა ცეხე-სიმაგრეებისა და ხიდების ასაგებად. გზის გასაყვანად, ან ჯარებისათვის გამოეცხო პური და ორცხობილა და ა. შ. განსაკუთრებით მძიმე ასატანი ხდებოდა ჯარის ნაწილების ჩაყენება ამა თუ იმ ადგილებში, რაც სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას პირდაპირ აჩანაგებდა.

ქალაქების ხელოსნები და ყველა ის პირნი, რომელნიც ფიზიკურად მუშაობდნენ, აგრეთვე იბეგრებოდნენ სხვადასხვა გადასახადებით. ზოგიერთ პროვინციებში, ჯერ კიდევ III საუკუნეში, ქალაქის მოსახლეობა სულადობრივ გადასახადს იხდიდა. განსაკუთრებით დიდ პროტესტს ქალაქის მოსახლეობაში ეგრეთ წოდებული ხრისარგია — „ოქროვერცხლის" გადასახადი იწვევდა. ეს გადასახადი ფულადი სახისა იყო და გაიწერებოდა ყოველგვარ ხელობაზე, ყოველგვარ ვაჭრობაზე, მეძავ ქალებზე და სხვ. როგორც იქნა, ეს გადასახადი 498 წელს გააუქმეს და მის ადგილას სხვა გადასახადები შემოიღეს. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს. რომ მთელ რიგ პროფესიებზე უშუალო მწარმოებლები ქალაქად ისევე მიმაგრებულნი აღმოჩნდნენ, როგორც კოლონები სოფლად. ასე, მაგალითად, მონეტარიები (ფულის მჭრელები) „თავიანთ წოდებაზე" მიმაგრებულნი იყვნენ და აკრძალული ჰქონდათ სხვა სამუშაოზე გადასვლა. დიდი ჯარიმები იყო დაწესებული იმათთვის, ვინც ტექსტრინიებიდან (სახელმწიფო საფეიქრო სახელოსნოები) და გინეკეებიდან გაქცეულს თავშესაფარს მისცემდა. ლითონის დამმუშავებელ სახელოსნოებში მომუშავე პირთ ხელებზე უკეთებდნენ „სახელმწიფოებრივ ასოებს" („სტიგმატები") იმ მიზნით, რომ ისინი სახელოსნოდან არ გაქცეულიყვნენ.

კლასობრივი ბრძოლების გამწვავება. ყოველივე ზემოაღნიშნული უშუალო მწარმოებელთა მძაფრ წინააღმდეგობას იწვევდა. ბევ-

---

[1] ბიწის საზომი ერთეული ძველ რომში, უდრიდა დაახ. 2500 კვ მეტრს.

რი მათგანი სტოვებდა დასახლებულ ადგილს და გარბოდა. მღელვარება თანდათან იზრდებოდა. მონებისა და კოლონების აჯანყება თავს იჩენდა მცირე აზიის სხვადასხვა ნაწილებში, ეგვიპტეში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. გლეხები, კოლონები და გაქცეული მონები ჰქმნიდნენ რაზმებს, რომელნიც მონათმფლობელების მამულებზე ახდენდნენ თავდასხმებს. განსაკუთრებული სიძლიერის მქონე სკამარების აჯანყება იყო, რომელიც დიდხანს (V—VI საუკ.) გრძელდებოდა თრაკიაში და ილირიაში. ვინმე მუნდოს ხელმძღვანელობით 505 წელს აჯანყებულებმა ბიზანტიის 10 ათასიანი ჯარი გაანადგურეს. მასების ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ ქალაქებში ეგრეთ წოდებული დემების ორგანიზაციაში ვლინდებოდა.

მეხუთე საუკუნეში ბიზანტიაში გავრცელდა სხვადასხვა სახის მწვალებლობა: არიოზობა, ნესტორიანელობა, მონოფოზიტობა და სხვ. ყველა მათგანი ოპოზიციურ მდგომარეობაში აღმოჩნდა გაბატონებული ეკლესიის მიმართ, ამიტომაც ბიზანტიაში დაწყებულმა მასების მოძრაობამ მწვალებლობის სახით გამოძებნა დარაზმულობის მზამზარეული ფორმა და რელიგიურ სამოსელში გაეხვია. მასებზე მეტ გავლენას უფრო მონოფიზიტობა ახდენდა, რადგან მისი მიმდევრები უარყოფდნენ ფუფუნებასა და გახრწნილ ყოფა-ცხოვრებას, როგორც სამღვდელოებისას, ისე საერთოდ გაბატონებულ კლასისას. მონოფიზიტობა უმთავრესად გავრცელდა ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში: სირიაში, პალესტინაში და ეგვიპტეში.

მაგრამ მწვალებლობის სხვადასხვა მოძრაობა თავისი სოციალური შემადგენლობით მეტად რთულ ელფერს ღებულობდა იმ დროს, როცა ამ მოძრაობაში ხალხის მასები საერთო ჩაგვრისაგან განთავისუფლების იმედს ეძებდნენ, საერო მსხვილი მიწათმფლობელები ცდილობდნენ მათ გამოყენებას სასულიერო მსხვილი მიწათმფლობელების წინააღმდეგ და პოლიტიკური ძალაუფლების მთლიანად თავის ხელში ჩასაგდებად. საქმე ისაა, რომ ამ ხანებში მომძლავრებული საერო და სასულიერო მსხვილი მიწათმფლობელები ერთიმეორეს ექიშპებოდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე. რადგან სასულიერო მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ წარმომადგენელნი ოფიციალური ეკლესიისა, რომელთაგან სხვადასხვა მწვალებლობა და განსაკუთრებით მონოფიზიტობა იყო ოპოზიციურად განწყობილი, ამიტომ საერო მსხვილი მიწათმფლობელნი მონოფიზიტებს იყენებდნენ თავიანთი მოქიშპეების წინააღმდეგ.

491 წელს მსხვილ მიწათმფლობელთა ამ ორ დაჯგუფებას შორის არსებული პოლიტიკური ბრძოლა საერო მსხვილ მიწათმფლობელთა წარმატებით დამთავრდა, იმპერატორის ტახტზე მათი კანდიდატი უზურპატორი ანასტასი ავიდა (491—518). იგი თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკით ანხორციელებდა საერო მსხვილი მიწათმფლობელების ინტერესებს და იმ მიზნით, რომ შეესუსტებინა სასულიერო მსხვილი მიწათმფლობელნი, მფარველობასა და დახმარებას უწევდა მონოფიზიტობას. ანასტასის მიერ გამოცემული კანონის მიხედვით ის კოლონები, რომელნიც 30 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ამუშავებდნენ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთს, მიმაგრებულად ცხადდებოდნენ ამ მიწაზე. გარდა ამისა, შეიცვალა გადასახადების აკრეფის წესი. თუ ადრე გადასახადების აკრეფა საქალაქო თემის მეშვეობით ხდებოდა, ახლა დაიწყეს გადასახადების აკრეფის უფლების იჯარით გაცემა ეგრეთწოდებულ ვინდიკებზე. გადასახადების აკრეფისას ასეთი მოიჯარადრეები ცდილობდნენ ერთიორად აენაზღაურებინათ ის თანხები, რომელნიც მათ წინასწარ გაიღეს სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ახალმა საგადასახადო წესებმა და ვინდიკების თავხედობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში, რასაც შედეგად მოჰყვა ბიზანტიის იმპერიის სხვადასხვა ნაწილში აჯანყებები. პირველი მნიშვნელოვანი აჯანყება დაიწყო ისავრიაში 498 წელს. ეს აჯანყება ხელისუფლებამ ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო. ასეთივე ბედი ეწია თვით ქ. კონსტანტინეპოლში მომხდარ აჯანყებას 512 წელს. არანაკლები მნიშვნელობის მქონე აჯანყება 515 წელს დაიწყო თრაკიაში. აჯანყებაში ჩაება მოსახლეობის თითქმის ყველა დაბალი ფენა. ეს აჯანყება უფრო საშიში გახდებოდა, რომ ხელისუფლების მიერ გამოყენებული მკაცრი ღონისძიებებით იგი დროზე არ ჩაეხშოთ.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინეპოლში მომხდარი ზემოაღნიშნული აჯანყება, რომელსაც ვიტალიანე ხელმძღვანელობდა, ჩახშობილ იქნა, მართლმადიდებელ სასულიერო წოდებას თავის მხარეზე გადმოჰყავდა თრაკიის უკმაყოფილო ელემენტები, სატახტო ქალაქის მცხები და ჯარის ერთი ნაწილიც კი. თუ ანასტასის სიცოცხლეში სასულიერო მსხვილი მიწათმფლობელობა ვერაფერს გახდა, ანასტასის გარდაცვალების შემდეგ სენატში მან ისეთი იერიშები მიიტანა საერო მსხვილ მიწათმფლობელებზე, რომ კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. გაბატონებული კლასის დაბნეულობამ იქამდე მიაღწია, რომ ვერცერთმა მისმა დაჯგუფებამ, ვერც საერო

და ვერც სასულიერო მსხვილმა მიწათმფლობელებმა იმპერატორის ტახტზე თავისი საკუთარი კანდიდატი ვერ წამოაყენეს.

ახალი დინასტიის გაბატონება ბიზანტიაში. სენატში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა არმიამ და იმპერატორის ტახტზე თავისი კანდიდატი იუსტინე წამოაყენა. იუსტინე უწიგნური ილირიელი გლეხის შვილი იყო. რომელმაც განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიპოვა არმიაში. დაწინაურდა და შემდეგ იმპერატორიც კი გახდა. იუსტინეს სხვისი დახმარების გარეშე ქვეყნის მმართველობა არ შეეძლო და ამიტომ სასახლეში თავისი ძმისწული იუსტინიანე მოიწვია და მის რჩევა-დარიგებას დაეყრდნო. თავისი დროისათვის იუსტინიანე მეტად განათლებული პიროვნება იყო. როგორც სახელმწიფო მოღვაწე ის მოქნილი და მოხერხებული აღმოჩნდა. სიმკაცრე და ვერაგობა მის „თანდაყოლილ თვისებას" წარმოადგენდა. 527 წელს პირადად იმპერატორი გახდა და დამოუკიდებლად განაგებდა ქვეყანას. როგორც ირკვევა იუსტინიანეს მართვა-გამგეობაში გარკვეულ როლს ასრულებდა მისი ცოლი თეოდორა. რომელიც გათხოვებამდე ცირკის მსახიობი ქალი იყო.

იმპერატორების ახალმა დინასტიამ გამეფებისთანავე რადიკალურად შესცვალა სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება სასულიერო წოდებასთან. თუ ანასტასი და სენატის წევრთა უმრავლესობა მხარს უჭერდა მონოფიზიტებს იმ მიზნით. რომ თავიანთი მდგომარეობა განემტკიცებინათ აღმოსავლეთში. იმპერატორი იუსტინიანე ცდილობდა დაყრდნობოდა ძლიერ ეკლესიას, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ბიზანტიის ევროპელ პროვინციებში. ის ცდილობდა მჭიდრო კავშირის დამყარებას ეკლესიასა და სამეფო ხელისუფლებას შორის.

იუსტინიანეს ერთ-ერთი ნოველის[1] წინასიტყვაობაში სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიის ერთობლივი კავშირის შესახებ ვკითხულობთ: „ღვთის უდიდესი ნაბოძვარნი. რაც კი ადამიანებს მიენიჭათ უმაღლესი ადამიანთმოყვარეობით. ეს არის ეკლესია და სახელმწიფო: პირველი საღმრთო საქმეს ემსახურება, მეორე ადამიანურ საქმიანობაზე მზრუნველობს, ორივე წარმოიშვა ერთი სათავიდან და ამშვენებს ადამიანურ ცხოვრებას. ამიტომ მეფენი ყველაზე უფრო მეტ მზრუნველობას იჩენენ კეთილმდგომარეობაზე სასულიერო წოდებისა, რომელიც. თავის მხრივ, მუდმივად მათ თავს ღმერთს შეავედრებს.

---

[1] ლათინურად — novellae ახალ კანონებს ნიშნავს.

როდესაც ეკლესია თავის სიმაღლეზე დგას. ხოლო სახელმწიფო სარგებლობს კანონიერი ძალაუფლებით, მათ შორის კეთილი თანხმობა იქმნება. რასაც კაცობრიობისათვის უდიდესი სარგებლობა მოაქვს".

რასაკვირველია, იუსტინიანე სულაც არ იყო გამსჭვალული ნამდვილი რწმენით. მას მხოლოდ ეკლესიის გულის მოგება უნდოდა და სურდა მისგან დახმარების მიღება. სამაგიეროდ ის ეკლესიასა და სასულიერო წოდებას უდიდეს პრივილეგიებს ანიჭებდა. იუსტინიანეს სასახლის ოფიციალური ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი თავის „საიდუმლო ისტორიაში" ამის შესახებ წერდა: „გამოდიოდა, რომ იუსტინიანეს რწმენა ქრისტესადმი ღრმა და მტკიცე იყო, მაგრამ ესეც კი მის ქვეშევრდომთა დამღუპველი აღმოჩნდა.

ის ხომ სასულიერო წოდებას ნებას რთავდა ძალადობა ეხმარა ერისკაცებზე და ფიქრობდა რა რომ ამით საღმრთო საქმეს ჩადიოდა, კიდეც უხაროდა, როცა სამღვდელოება აჩანაგებდა მოსახლეობას".

იუსტინიანეს მეფობა დაიწყო იმით, რომ მან გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც სასტიკი დევნა უნდა დაწყებულიყო, როგორც მონოფიზიტებისა, ისე ყოველგვარი მწვალებლების წინააღმდეგ. ბრძანებულებაში ხაზგასმით აღნიშნული იყო, რომ იმ მწვალებელს, რომელიც სამი თვის განმავლობაში თავს არ მიანებებდა მწვალებლობას და „მართლმადიდებელ" სარწმუნოებას არ დაუბრუნდებოდა, ყოველგვარი სამოქალაქო უფლება ჩამოერთმეოდა და სასტიკად დაისჯებოდა. ამ ბრძანებულების ცხოვრებაში გატარებას დიდი მსხვერპლი მოჰყვა. მონოფიზიტების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად განადგურდა.

იუსტინიანეს მიერ მართლმადიდებლური ეკლესიისადმი მხარდაჭერამ და მწვალებლობის დევნამ ფართო მასებში, და განსაკუთრებით კი ხალხის იმ ნაწილში, რომელიც თანაუგრძნობდა მწვალებლობას, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მასებში არა ნაკლებ სიძულვილს იწვევდა ისიც, რომ იუსტინიანემ მეტად გაზარდა ბიუროკრატიულ მოხელეთა რაოდენობა, რომლებზედაც უამრავი თანხები იხარჯებოდა. სასახლის ბრწყინვალე მორთულობამ, ნადიმებმა, დაქირავებული ჯარის ნაწილების გამრავლებამ და სხვ. უღიდესი ქონება შთანთქა და ანასტასის მიერ დაგროვილი დოვლათი ხაზინაში მთლიანად ამოწურა.. გარდა ამისა, ფართო მასშტაბით თავდაცვითი ობიექტების მშენებლობა მოითხოვდა სულ ახალი და ახალი მატერიალური რესურსების გამონახვას. საჭირო გახდა მოსახლეობაზე არსებული გადასახადების გაზრდა და ახალი სახის გადასახადების დამატებითი შემოღება.

„აი, რა შეიძლება ამ იმპერატორზე ითქვას, — წერდა იუსტინიანეზე თავის „საიდუმლო ისტორიაში“ პროკოპი კესარიელი,—... გარდა ამისა პრეტორიის ეპარქს (პრეფექტს) საიმპერატორო ნაბანაში ყოველწლიურად შეჰქონდა აკრეფილი გადასახადი ? ათასი გირვანქა ოქროს ღირებულებაზე უფრო მეტი. ამ ფულებს „საჰაეროს“ უწოდებდნენ (ἀέρυκόν — „ციდან ჩამოვარდნილნი“). ამ სახელწოდებით. მე ვფიქრობ. გულისხმობდნენ იმას, რომ ეს გადასახადი არ იყო კანონიერად დადგენილი, ან ჩვეულებრივი, არამედ წარმოიშვებოდა შემთხვევით. თითქოს „ციდან ჩამოვარდა“: უფრო სწორი იქნებოდა. რომ ამ გადასახადისათვის იუსტინიანეს სასაძაგლე გვეწოდებინა“ [1].

„ნიკას“ აჯანყება. ხალხის უკმაყოფილება ჩვეულებრივზე უფრო მეტად გაიზარდა 532 წლისათვის. რევოლუციური სიტუაცია პირველყოვლისა თვით სატახტო ქალაქში, კონსტანტინეპოლში გამომჟღავნდა. აღნიშნულ წელს აქ დაიწყო გრანდიოზული აჯანყება. რომელიც ისტორიაში ცნობილი გახდა „ნიკას“ აჯანყების სახელწოდებით. „ნიკა“ ბერძნულად გამარჯვებას ნიშნავდა და იგი აჯანყებულთა ლოზუნგად გადაიქცა. რაკი ამ აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა პარტიები და ეგრეთ წოდებული „დემები“. ამიტომ საჭირო იქნება მათი რაობისა და საქმიანობის მოკლე განმარტება.

კლასობრივი ბრძოლა ბიზანტიაში ხშირად დემებისა და პარტიების ბრძოლაში გადადიოდა. ბიზანტიური დემები ქალაქის უბნების თავისუფალ მოქალაქეთა ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. ქალაქის კეთილმოწყობაში ისინი სამეურნეო ფუნქციებს ასრულებდნენ და მის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ. დემები პოლიტიკურ პარტიებში ერთიანდებოდნენ, რომელნიც თავიანთ სახელწოდებას ღებულობდნენ ჰიპოდრომზე შეჯიბრში მონაწილე მეეტლეთა ტანსაცმლის ფერიდან. ჩვეულებრივად მეეტლენი გამოდიოდნენ მწვანე. ცისფერ. წითელ და თეთრ ტანსაცმელში. ამგვარად. კონსტანტინეპოლში არსებობდა რამდენიმე პარტია. რომელთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო „ცისფერისა“ და „მწვანე ფერის“ პარტიები. პირველ მათგანს ვენეტების პარტია ეწოდებოდა, ხოლო მეორეს — პრასინების პარტია.

ამ პარტიების სოციალური შემადგენლობა მეტად ჭრელი იყო. ორივე მათგანში შედიოდნენ: არისტოკრატები, ვაჭრები, ხელოს-

---

1 «Вестник древней истории». 1938 წ.. № 4. გვ. 330—332.

ნები და სხვ. „ვენეტების“ პარტიის ზედა ფენა სენატორული არისტოკრატიის მსხვილი მიწათმფლობელებისაგან შედგებოდა, და მასვე მიეკუთვნებოდა წამყვანი როლი. ხოლო პრასინების პარტიის ზედა ფენა მდიდარ ვაჭრებსა და საერო მსხვილ მიწათმფლობელებს მიეკუთვნებოდა. ამ პარტიების ძირითადი ნაწილი კი მოსახლეობის საშუალო და ღარიბი ფენებიდან ივსებოდა. რიგ შემთხვევაში ორივე პარტიის დაბალი ფენები ერთობლივად გამოდიოდნენ არსებული წესწყობილების წინააღმდეგ.

სატახტო ქალაქის პურით უზრუნველყოფა და მოსახლეობისათვის სანახაობათა უფასო ჩვენება ადრევე იყო შემოღებული რომის იმპერატორების მიერ. მაგრამ კონსტანტინეპოლის ჰიპოდრომი მაცნებს იზიდავდა არა მარტო იმიტომ, რომ იქ შეიძლებოდა გართობა, არამედ უფრო იმიტომ, რომ იმ ხანებში იგი იყო გადაქცეული ადგილად, სადაც პოლიტიკური კრებების მოწყობა შეიძლებოდა. ცირკის სანახაობებს სისტემატურად ესწრებოდა იმპერატორი თავისი ამალით. არსებული ჩვეულებების თანახმად მაყურებლებს შეეძლოთ შეკითხვით მიემართნათ იმპერატორისათვის და კიდეც გაესაჩივრებინათ რაიმე. ზემოთ დასახელებულ პარტიებიდან, როგორც აღვნიშნეთ, ორი ძირითადი და ანგარიშგასაწევი პარტია იყო. იმპერატორები ჩვეულებრივ ერთ მათგანს უპერდნენ მხარს და მისი საშუალებით გავლენას ახდენდნენ მეორეზე. იმპერატორი ანასტასი ადრევე „მწვანე პარტიას“ ეყრდნობოდა. ხოლო იუსტინიანე — „ცისფერს“.

532 წლის 11 იანვარს ჩვეულებისამებრ, კვირა დღეს, გაიმართა საცირკო სანახაობა. რომელსაც ესწრებოდა იუსტინიანე მთელი თავისი ამალით: მან მაშინვე შეამჩნია, რომ მაყურებლები ძლიერ აღგზნებულ მდგომარეობაში იყვნენ. ცირკის იმ საფეხურებზე, რომლებზედაც „მწვანეები“ იყვნენ ჩამომსხდარნი, გაისმოდა განუწყვეტელი ხმაური და სტვენა. „მწვანე ფერის“ პარტიას გადაეწყვიტა საჩივარი აღეძრა და კიდეც დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა „ცისფერთა“ პარტიაზე. იგი მეფისაგან მოითხოვდა ხალხისათვის საძულველ მოხელეთა გადაყენებას. იმპერატორისაგან თავიანთ თხოვნაზე უარყოფითი პასუხის მიღებისას მალე „მწვანეებმა“ აჯანყება დაიწყეს[1]. ეს აჯანყება მთელ ქალაქს მოედო. როგორც პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, იუსტინიანე იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. მან თანამდებობიდან გადააყენა ხალხისათვის

---

[1] აჯანყებულთა ლოზუნგი იყო „ნიკა!“, რაც ნიშნავს — „გაიმარჯვე“, აქედან აჯანყების სახელწოდებაა — „ნიკას“ აჯანყება.

საძულველი პირები: ეპარქი იოანე კაპადოკიელი და კვესტორი ტრიბონიანე, მაგრამ აჯანყებულნი ამით არ დაკმაყოფილდნენ, ისინი დაიძრნენ სასახლისაკენ. ხელისუფლებისათვის მდგომარეობა იმდენად კრიტიკული გახდა, რომ იუსტინიანემ გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ მისმა ცოლმა თეოდორამ მას შეაცვლევინა მიღებული გადაწყვეტილება და ხელისუფლებამ იწყო სამზადისი აჯანყების ჩასახშობად.

აჯანყების მეექვსე დღეს, როგორც იქნა, ველიზარის ჯარების დახმარებით ეს აჯანყება სასტიკად ჩაახშეს. პროკოპი კესარიელის თქმით „გამარჯვება სრული იყო; დახოცეს ხალხის დიდი უმრავლესობა. ფიქრობენ, რომ მაშინ 30 ათასზე მეტი დაიხოცა". თეოფანეს „ეამთაღწერილობიდან" ჩანს, რომ „მოხდა საშინელი ელეტა, და ადამიანთა მასები, რომელნიც იუპატიუსთან ერთად ჰიპოდრომზე იმყოფებოდნენ (ამბობენ, 35000 კაცი), დაიღუპნენ". ამის შემდეგ დაიწყო სასტიკი რეპრესიები, სიკვდილით დასჯა და ქონებათა კონფისკაცია. ყველაფერი ეს შეეხო არისტოკრატიის იმ ნაწილსაც, რომელიც მოძრაობის მონაწილე აღმოჩნდა.

იუსტინიანეს საშინაო პოლიტიკა. 532 წლის ამბებმა დიდი ვავლენა იქონია იუსტინიანეს საშინაო პოლიტიკაზე. იუსტინიანეს ეშინოდა კვლავ არ განმეორებულიყო ასეთი აჯანყება. „ნიკას" აჯანყების ჩახშობის შემდეგ ბიზანტიის ხელისუფლებამ დიდი რეორგანიზაცია ჩაატარა, კონსტანტინეპოლში და სხვა მსხვილ ქალაქებში გააძლიერეს პოლიციის ძალაუფლება. სათანადო ღონისძიებანი გატარებულ იქნა იმისათვის, რომ სამეფო ხელისუფლების უფრო მეტი ცენტრალიზაცია მომხდარიყო; საქმე ისაა, რომ ამ ხანებში იწყო გაძლიერება მონათმფლობელობის წიაღში ჩასახულმა ფეოდალურმა ელემენტებმა: პატრონატმა და კერძო უფლებრიობამ.

ბიზანტიის გლეხობა, ძნიშვნელოვანი ნაწილი, განაწამები გადასახადების ამკრეფთაგან და სახელმწიფო მოხელეების მექრთამეობისაგან, იძულებული იყო თავშესაფარი ეძია რომელიმე მსხვილ ძიწათმფლობელთან. ასეთი „მფარველის" მონახვის შემდეგ გლეხი თავს არიდებდა სახელმწიფო გადასახადებს და, სამაგიეროდ, თავისი „მფარველის" დავალებებს ასრულებდა. მონათმფლობელური სახელმწიფო აპარატისათვის ეს გარემოება მეტად საზიანო ხდებოდა არა მარტო იმიტომ, რომ სახელმწიფო ხაზინა ჰკარგავდა შემოსავალს, არამედ იმიტომაც, რომ ფეოდალური ელემენტების გაძლიერება ძირს უთხრიდა არსებულ წყობილებას.

გარდა ამისა, „პატრონატი" აძლიერებდა კერძო პირს, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად, რამდენადაც უშუალო მწარმო-

ებელთა მეტი რაოდენობა გადავიდოდა კერძო პირის მფარველობაში. იმდენად, მსხვილი მაგნატი თავის სასამართლოსა და შეიარაღებულ რაზმებს აყალიბებდა. ასეთნაირად გაძლიერებული კერძო ძალაუფლების მქონე პირი აღარ მოისურვებდა ცენტრალურ ხელისუფლებისადმი დამორჩილებას და ქვეყნად სეპარატიული ტენდენცია გაძლიერდებოდა.

იუსტინიანეს კოდექსში ნათქვამი იყო: „ჩვენ გვსურს, არავის არ მიეცეს უფლება რომ ქალაქში და არც მამულში ბუკელარიები, ისავრები და შეიარაღებული მონები ყავდეს, თუ კი ვინმე. ამ ჩვენი სასარგებლო ბრძანებულების საწინააღმდეგოდ, გაბედავს ბუკელარიები, ან ისავრები იყოლიოს თავის მამულში ან თავისთან ახლოს, ჩვენ ვბრძანებთ, რომ გარდა 100 გირვ. ოქროთი ჯარიმის გადახდისა, ის სასტიკად დაისაჯოს“.

იუსტინიანეს მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა არსებული წყობილების განმტკიცებას. და როგორც ქვემოთ დავინახავთ, მონათმფლობელობის აღდგენასაც კი ყოფილი რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში. ბიზანტიაში არსებული წყობილების განმტკიცების მიზნით, იუსტინიანემ გამეფების მეორე წელსვე (528 წ.) გამოჩენილი იურისტის ტრიბონიანეს მეთაურობით საკოდიფიკაციო კომისია ჩამოაყალიბა. ამ კომისიას დავალებული ჰქონდა თავი მოეყარა ყველა რომაული კანონისათვის, რომაელ იურისტთა განმარტებათათვის და ახალი კანონებისათვის. კომისია აღჭურვილი იყო უფლებით — მოესპო მათში არსებული წინააღმდეგობა და შეექმნა ერთი მთლიანი „კორპუს იურის ცივილის“-ი (corpus juris civilis) ანუ სამოქალაქო უფლებათა კრებული.

კომისიამ გარკვეული მუშაობის ჩატარების შედეგად სამოქალაქო უფლებათა კრებული შეადგინა. სამოქალაქო უფლებათა კრებული სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: 1. „იუსტინიანეს კოდექსი“. რომელსაც სისტემაში მოჰყავს რომის ყველა წინანდელი იმპერატორის კანონები და აუქმებს მოძველებულ „თეოდოსის კოდექსს“. 2. „დიგესტები“ ანუ „პანდექტები“ — ავტორიტეტული რომაული იურისტების შეხედულებანი და განმარტებანი უფლებაზე. 3. „ნოველები“. ე. ი. ახალი კანონები. რომელნიც გამოქვეყნებული იყვნენ იუსტინიანეს მიერ. ეს კოდიფიკაცია მიზნად ისახავდა მონათმფლობელური საზოგადოების რღვევის შეჩერებასა და იმპერატორის განუსაზღვრელი ძალაუფლების განმტკიცებას. კოდექსის ძირითადი დებულების მიხედვით „ყველაფერს, რასაც მეფე მოისურვებს, კანონის ძალა აქვს“. კომისიის მუშაობა 528 წლიდან გრძელდებოდა 534 წლამდე.

იუსტინიანეს დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე მშენებლობას. გაჰყავდათ გზები, აგებდნენ ხიდებს, ციხე-სიმაგრეებსა და სხვა ნაგებობებს. იმ ხანებში კონსტანტინეპოლში აშენებული „აია სოფიას" ტაძარი თავისი არქიტექტურით მსოფლიოს განცვიფრებას იწვევდა. იუსტინიანემ ხელახლა გააშენებინა ანტიოქია, რომელიც სპარსეთის მეფე ხოსროს მიერ იყო განადგურებული. ციხე-სიმაგრეების აგებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმპერიის საზღვრების ახლო მდებარე რაიონებს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბიზანტიას დიდი ხნის მანძილზე უხდებოდა ბრძოლები ირანთან. ეს გარემოება მებრძოლ მხარეთათვის საქართველოს ტერიტორიას დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რის გამოც იუსტინიანემ მთელი თავისი ყურადღება ამ მხარეს მიაპყრო და მთელი რიგი ციხე-სიმაგრეებისა ააგო. ჭანეთში, მაგალითად, აიგო ციხე-სიმაგრეები: გორონინი, ბარხონი, სისილისონი, ხარტონი, ბურგუსნოენი, სხიმალინხიონი, ცანაკონი (ლაზიკაში). ლოსორიონის ციხე და ხევებში გამაგრებული ადგილები სპეციალური კედლებით, რომელთაც კლისურები[1] ეწოდებოდათ; აშენებულ იქნა აგრეთვე — პეტრა, ბიჭვინთა და სხვ.[2]

იუსტინიანეს საგარეო პოლიტიკა. „ნიკას" აჯანყების ჩახშობის შემდეგ, მას შემდეგ, რაც იუსტინიანემ მოახერხა ბიზანტიის მდგომარეობის განმტკიცება, მან გადასწყვიტა აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება, როგორც იმპერიის დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მიმართულებით. დასავლეთის მიმართულებით მას მიზნად დასახული ჰქონდა იმავე რეაქციული ამოცანების გადაწყვეტა, რასაც ის ატარებდა საშინაო პოლიტიკაში, სახელდობრ — მონათმფლობელური ურთიერთობის აღდგენა ყოფილ დასავლეთ რომის იმპერიის იმ ნაწილებში, სადაც ბარბაროსული ტომების შემოსევების შედეგად ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, ვანდალებისა და ალანების სამეფო (ჩრდილო-აფრიკაში), ხოლო მეორე მხრით, ოსტგუთების სამეფო (იტალიაში). იუსტინიანე ფიქრობდა, რომ აღნიშნული ადგილების „კანონიერი" მემკვიდრე ბიზანტია იყო და რომ საჭირო იყო, მისი აზრით, რომის იმპერიის დიდების აღდგენა; იგი ცდილობდა ამ ადგილების შეიარაღებული ძალებით შემოერთებას ბიზანტი-

---

[1] სახელწოდება „კილასური" აქედან უნდა იყოს წარმომდგარი.

[2] იხ. Сборник документов по социально-экономической истории Византии, გვ. 42—43.

ასთან. ამგვარად, მის მიერ დასავლეთით წარმოებული ომი ისე, როგორც აღმოსავლეთით, აშკარად საშინაო, რეაქციული პოლიტიკის გაგრძელება იყო.

534 წელს ბიზანტიის შეიარაღებული ძალები, ცნობილი სარდლის ველიზარის ხელმძღვანელობით, დაიძრნენ ვანდალებისა და ალანების სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩრდილო-აფრიკაში [1]. იმის გამო, რომ მაშინ ეს სახელმწიფო დაუძლურებული იყო შინაგანი წინააღმდეგობებით, ველიზარიმ ადვილად მოახერხა მისი განადგურება. მაგრამ ბიზანტიის ხელისუფალთა რეაქციულმა პოლიტიკამ (მიწების გადაცემა რომაელ მონათმფლობელთა მემკვიდრეებზე, განთავისუფლებული მონებისა და კოლონების დაბრუნება ძველ მეპატრონეთათვის, ვაბატონებული ეკლესიის დაცვა და ეგრეთ წოდებულ მწვალებელთა დევნა და სხვ.) 536 წელს ჩრდილო აფრიკის ხალხთა მასებში მძლავრი აჯანყება გამოიწვია. აჯანყებულნი შეუპოვარ ბრძოლებს განაგრძობდნენ მონათმფლობელური იმპერიის წინააღმდეგ 542 წლამდე. ბოლოს, როგორც იქნა, ბიზანტიამ შემოიერთა ჩრდილო აფრიკა, რომელიც მის ბატონობაში დარჩა 698 წლამდე, ე. ი. მანამდე, ვიდრე ეს ადგილი არაბებმა დაიპყრეს.

ბიზანტიისათვის გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა ოსტგუთებთან ბრძოლა იტალიაში [2]. აქ ველიზარის სამხედრო ოპერაციები საბოლოოდ მარცხით დამთავრდა და, როგორც ცნობილია, იუსტინიანემ იგი ნარზესით შესცვალა. ოსტგუთებთან ბიზანტიელების ბრძოლა 535 წელს დაიწყო და დამთავრდა მხოლოდ 555 წელს. ამ ხანგრძლივი ბრძოლისათვის ბიზანტიას დასჭირდა უზომო მატერიალური სახსრების გაღება. ეგრეთ წოდებული „პრაგმატიული სანქციის" (554 წ.) გამოქვეყნებით იტალიაში, ისე როგორც ჩრდილო-აფრიკაში, იწყეს მონათმფლობელური ურთიერთობის აღდგენა და, რადგან მოსახლეობა ამის წინააღმდეგ წავიდა, ბიზანტიელმა მონათმფლობელებმა ქვეყანა ცეცხლსა და მახვილს მიაცეს, მაგრამ ბიზანტიამ იტალიის შენარჩუნება დიდი ხნით მაინც ვერ შესძლო. იუსტინიანეს გარდაცვალებიდან (565 წ.) სამი წლის შემდეგ იტალია ლანგობარდებმა დაიპყრეს, ბიზანტიამ ასევე მალე დაჰკარგა სამხრეთ ესპანეთი.

თუ იუსტინიანემ თავისი საგარეო პოლიტიკა დასავლეთით ასე თუ ისე წარმატებით განახორციელა, სამაგიეროდ ბიზანტიის ომები აღმოსავლეთით ირანთან, რომლის პოლიტიკური ძლიერება მნიშვ-

---

[1] იხ. გ. ტ ი ვ ა ძ ე, დასახ. შრომა, თავი XIII.

[2] ი ქ ვ ე, თავი XV.

ნელოვანი იყო და რომელსაც სასანიდების დინასტიის ისეთი წარმომადგენელი მართავდა, როგორიც იყო ხოსრო ანუშირვანი, უმეტეს შემთხვევებში მარცხით თავდებოდა. იუსტინიანე ხშირად იძულებული ხდებოდა ირანთან ზავი დაედო დიდი ხარკის გაღებით. ირანთან ბრძოლების წარმოება ნაკარნახევი იყო იმით, რომ ბიზანტიას სურდა შავი ზღვის სანაპიროებზე თავისი ჰეგემონია შეენარჩუნებინა, ხოლო ირანი, თავისი მხრით, ცდილობდა შავი ზღვის სანაპიროსაკენ გაჭრილიყო.

რადგან ირანის ბრძოლებით დამარცხება ძნელდებოდა, ამიტომ იუსტინიანე ფართოდ იყენებდა დიპლომატიურ ხრიკებს ირანის წინააღმდეგ. მან ხოსროს ყველა მეზობლები აუმხედრა. ირანის წინააღმდეგ წაქეზებულნი აღმოჩნდნენ: საბირელი ჰუნები, ირანის ჩრდილოეთი მეზობლები, სირიის უდაბნოს მოხეტიალენი (სამხრეთით), ნუბიის ბედუინები, იემენის არაბები, ეთიოპიის აქსუმის სამეფო. იუსტინიანე მხარს უჭერდა ლაზიკის მეფეებს, რომელნიც ირანელებს შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გზას უხშობდნენ. იუსტინიანეს ამ დიპლომატიურ ჭიდილში არა ნაკლებ დახმარებას უწევდა მისი ცოლი თეოდორა, რომელიც ირანის მეფეს ხოსროს წერდა: „იმპერატორი ჩემთან შეუთანხმებლად არაფერს არ წამოიწყებსო“ [1].

ბიზანტიას არანაკლები საშიშროება მოელოდა ჩრდილოეთიდან, დუნაის საზღვრებიდან. აქედან იერიშები დაიწყეს სლავთა ტომებმა, თავდაპირველად ჰუნებთან და ავარებთან ერთად, ხოლო შემდეგში მათგან დამოუკიდებლად სლავებმა გადალახეს საზღვრები, მოსპეს ბიზანტიელთა საზღვრისპირა გარნიზონები. შეიჭრნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და იწყეს დარბევა მეზიისა, თრაკიისა და ილირიისა. აქედან ისინი შუა საბერძნეთშიაც კი გადავიდნენ. იუსტინიანე მათ შემოსევებს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ მეექვსე საუკუნის ბოლოს სლავები თანდათან ახერხებდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის კოლონიზაციას, რამაც უფრო ფართო ხასიათი VII—VIII საუკუნეებში მიიღო და მისი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა საფუძვლიანად შეცვალა.

ბიზანტიის ვითარება VI საუკ. ბოლოსა და VII საუკუნეში. ბიზ ერთი შეხედვით ბიზანტია პოლიტიკურად ძლიერი იყო და გარეგნულად ბრწყინავდა, მეორე მხრივ, საშინაო და საგარეო წინააღმდეგობათა გაძლიერების შედეგად, ჯერ კიდევ იუსტინიანეს მმართველობის ხანაში, მისი ძლიერება მნიშვნელოვნად შეირყა.

---

[1] История дипломатии, ტომი პირველი. 1941 წ., გვ. 28.

რომ ყველაფერი ეს უცხოელებისათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო, საგარეო საქმეთა უწყება, რომელიც თვით პირველი მინისტრის (Magister officiorum, შემდეგში „დიდი ლოგოთეტი") გამგებლობაში იყო. უდიდესი შტატისაგან შედგებოდა, ჰყავდა თარჯიმნები ყველა ენაზე; მან ელჩების მიღების რთული წესი გამოიმუშავა; რითაც უნდოდა განცვიფრებაში მოეყვანა უცხოელი ელჩები და მათ წინაშე ბიზანტია ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ წარმოედგინა. ამავე დროს, ელჩების მიღება ისეთნაირად ეწყობოდა, რომ მათ შესაძლებლობა აღარ ჰქონოდათ ბევრი რამე ენახათ და გაეგონათ, რათა იმპერიის სუსტი მხარეები მათთვის უცნობი დარჩენილიყო[1].

ასეთივე მიზანი ჰქონდა დასახული იმპერატორის სასახლის ოფიციალურ ისტორიოგრაფიას. პროკოპი კესარიელი თავის შრომებში: „მშენებლობანი", „ომები სპარსელებთან", „ომები ვანდალებთან და გუთებთან" და სხვ. აქებდა და ადიდებდა როგორც ბიზანტიის პოლიტიკურ ძლიერებას, ისე იუსტინიანეს ნიჭსა და გამჭრიახობას, მის ქველმოქმედებასა და სიუხვეს. სამაგიეროდ იგივე პროკოპი კესარიელი თავის „საიდუმლო ისტორიაში" (ის მართლაც საიდუმლო იყო, რადგან აღმოჩენილი იქნა მხოლოდ XVII საუკუნეში) მუქი ფერებით აღწერდა ბიზანტიის დაძაბულობას, მასში გაბატონებულ უსამართლობას, მოხელეთა თაღლითობას და მათ მიერ ხალხის ძარცვასა და შევიწროებას, მასების გაღატაკებასა და სიდუხჭირეს და, ბოლოს, თვით იუსტინიანეს არაადამიანურ საქციელს, ვერაგობასა და გახრწნილებას.

პროკოპი თავის „საიდუმლო ისტორიაში" იუსტინიანეს შესახებ წერდა: „შეარჩევდა რა ყველაზე უფრო უვარგის ადამიანებს და დიდი თანხების გამორთმევით ნიშნავდა რა მათ მაღალ თანამდებობაზე, ის მათ ქვეყანას აძლევდა გასაძარცვავად... შემდეგში მან ისეთი რამ მოიგონა, რის დაჯერებაც ძნელი ხდება. ის მაგისტრატურები, რომელთაც იმპერატორი სთვლიდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად ბიზანტიაში და სხვა ქალაქებში, მან გადასწყვიტა აღარ გაეცა იჯარით ისე, როგორც ამას ძველად ჩადიოდა, არამედ სპეციალურად ისეთი პირები გამოენახა იქ დასანიშნავად, რომელნიც მისგან ჯამაგირს მიიღებდნენ და რომელნიც იქაურ ნაძარცვს მას მთლიანად გადასცემდნენ"[2].

იუსტინიანეს მეფობა გარეგნულად ბრწყინვალე იყო, მაგრამ იგი ეძიმე უღლად აწვა ფართო მასებს. მოსახლეობაზე გადასახადების

[1] История дипломатии, ტომი პირველი, 1941 წ., გვ. 100.

[2] Сборник документов по социально-экономической истории Византии, 1951, გვ. 46—47.

.გაწერა ერთიორად გაიზარდა, მიუხედავად ამისა, იუსტინიანეს სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო ხაზინა გაცარიელებული აღმოჩნდა. დამატებითი გადასახადების შემოღება შეუძლებელი ხდებოდა, რადგან უამისოდაც ხალხში დიდი უკმაყოფილება იყო შექმნილი, რაც აჯანყებებს იწვევდა. მდგომარეობა იმდენად რთული შეიქმნა, რომ იუსტინიანეს მემკვიდრემ — იუსტინე მეორემ (565—578) აღარ იცოდა თუ როგორ დაეღწია თავი ფინანსური კრიზისისაგან ასეთივე უსუსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მომდევნო იმპერატორები ტიბერიუსი (578—582) და მავრიკე (582—602).

ბიზანტიის საზოგადოებრივი წყობილება VI საუკუნის ბოლოსა **და VII საუკუნის პირველ ნახევარში** დიდი წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. მონათმფლობელობა ირღვეოდა. მონურ შრომას სდევნიდა თავისუფალი შრომა წარმოების თითქმის ყველა დარგიდან (სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და სხვ.), მაგრამ მონათმფლობელობა მთლიანად მოსპობილი არ იყო. ახალი, უფრო პროგრესული ფეოდალური ურთიერთობა ძალიან ნელი ტემპებით იკელევდა გზას, რის გამოც წარმოებითი ძალების განვითარება მნიშვნელოვნად ფერხდებოდა. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ოდესღაც ნაყოფიერი ადგილები დაუმუშავებელი რჩებოდა ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მცირე აზიაში.

ეკონომიურ კრიზისთან ერთად იქმნებოდა პოლიტიკური კრიზისიც. იმპერატორ მავრიკეს დროს ჯარის ნაწილები აჯანყდნენ. მათ ძალი დაუჭირეს მოსახლეობის ფართო ფენებმაც. აჯანყების ხელმძღვანელმა ცენტურიონმა ფოკამ 602 წელს ბრძოლა გაუმართა იმპერატორს. ამ ბრძოლაში მავრიკე თავისი ხუთი შვილით დაიღუპა და ძალაუფლება გადავიდა ფოკას (602—610) ხელში. მაგრამ არც მისი მმართველობა აღმოჩნდა ხანგრძლივი. გამოირკვა, რომ ახალ მთავრობას არ გააჩნდა რაიმე დადებითი მოქმედების პროგრამა. დაიწყო მასების ხელახალი გამოსვლები. ამას დაემთხვა ხოსროს ჯარების შემოჭრა სირიაში, მესოპოტამიაში და მცირე აზიაში. ასეთ ვითარებაში სენატის პარტიამ იმპერატორად აფრიკის ეგზარქოსი ირაკლი გამოაცხადა. ფოკა დამარცხებულ იქნა და 610 წელს იგი სიკვდილით დასაჯეს.

ბიზანტიის საგარეო მდგომარეობა ირაკლის იმპერატორობის დროს (610—641) ოდნავ გამოსწორდა. ირაკლიმ, ეკლესიისაგან დიდი სესხის მიღების შემდეგ, მოახერხა არმიის გარდაქმნა და აღიერკავკასიის ხალხების (იბერების, ლაზების, სომხების და სხვ.) დახმარებით ავარებისა და ირანელების თავდასხმა კონსტანტინე-

პოლზე ეკუაქცია. შემდეგში ირანის წინააღმდეგ თითონ გადავიდა შეტევაზე და კიდეც გაიმარჯვა. 627 წელს ბრძოლაში ხოსრო სასტიკად დამარცხდა. ბიზანტიამ აღმოსავლეთით აღადგინა თავისი საზღვრები, მაგრამ ახლა მას უფრო მეტი საშიშროება გაუჩნდა არაბების მხრიდან.

არაბები ბიზანტიაზე თავდასხმას იწყებენ ომარის ხალიფობის დროს (634—644). ისინი 634 წელს შეიჭრნენ სირიაში. სირიის ქალაქები არამც თუ წინააღმდეგობას უწევდნენ მომძლავრებულ მტერს, არამედ უბრძოლველად მას ზედიზედ ბარდებოდნენ იმის გამო, რომ არაბების მოსვლით ფიქრობდნენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას. 636 წელს მდინარე იარმუკთან ბრძოლისას არაბებმა ბიზანტიის ძირითადი შეიარაღებული ძალები გაანადგურეს. ხოლო 642 წლისათვის უკვე მათ ხელში აღმოჩნდა სირია, პალესტინა და მთელი ეგვიპტე. ამის შემდეგ არაბები კვლავ განაგრძობდნენ წინსვლას და იერიშები კონსტანტინეპოლზედაც კი მიიტანეს, მაგრამ საზღვაო ბრძოლა ამჯერად (673 წ.) ბიზანტიელების გამარჯვებით დამთავრდა და არაბთა ექსპანსიამაც იკლო. მიუხედავად ამისა, ბიზანტია პოლიტიკურად სუსტდებოდა. მეშვიდე საუკუნის ბოლოსათვის მან საბოლოოდ დაჰკარგა არმენია, ლიზიკა და ჩრდილო აფრიკა მთლიანად.

ბალკანეთის ნახევარკუნძულის სლავიანიზაცია და მისი მნიშვნელობა ბიზანტიის საზოგადოებრიობისათვის. მეშვიდე საუკუნის „აბობოქრებული ხანა", მეორე მხრივ დადებითი მოვლენებითაც ხასიათდებოდა. დაჰკარგა რა ბიზანტიამ თავისი ტერიტორიის ისეთი ნაწილები, როგორიც იყო ჩრდილო აფრიკა და სხვა, იგი ძირითადად ერთფეროვანი ბერძნული მოსახლეობის ადგილსამყოფლად გადაიქცა. ახლა იგი ბერძნულ-რომაულ ქვეყანას აღარ წარმოადგენდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეშვიდე საუკუნეში ბერძნული ენა სახელმწიფოებრივ ენად გადაიქცა. ალექსანდრიისა და ანტიოქიის დაკარგვასთან ერთად კონსტანტინეპოლის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა უფრო მეტად გაიზარდა. იმპერიის მთელი ყურადღება ახლა კონსტანტინეპოლისაკენ იყო მიქცეული.

დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, უპირველეს ყოვლისა, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სლავიანიზაცია. აღნიშნული იყო, რომ სლავთა ტომების შევრა ამ მხარეში ადრევე დაიწყო, ოღონდ სლავთა პირველი შემოსევები უფრო მტაცებლური ხასიათისა იყო. მეშვიდე საუკუნეში იგი მუდმივი კოლონიზაციით შეიცვალა. მოხდა სლავთა ტომების სხვადასხვა ადგილებში დასახლება. პირველად მათ დაიკავეს: მეზია, თრაკია, მაკედონია. ამავე დროს სლავთა

ტომების სვლა სამხრეთისაკენაც პელოპონესის მიმართულებით გაგრძელდა. VII საუკუნის პირველ ნახევარში ხორვატებმა და სერბებმა დაიკავეს ისეთი ადგილები, რომელნიც შემდეგში ცნობილი გახდნენ ბოსნიის, ჰერცოგოვინის, ჩერნოგორიის და სერბიის სახელწოდებით. სლავების ტომებმა ახალ ადგილებში თემური წყობილება მიიტანეს რითაც შესაძლებელი გახდა ბიზანტიის სოციალური წყობილების ერთგვარი დემოკრატიზაცია.

სლავების თემურმა წყობილებამ ბიზანტიაში მყოფი თავისუფალი გლეხების მდგომარეობა, ასე თუ ისე, განამტკიცა. სლავების მოსვლით გამრავლდა თავისუფალ გლეხთა რაოდენობა. ამგვარად. სლავებმა მისცეს იმპერიას ის, რაც მას აკლდა და რომლის საფუძველზედაც შესაძლებელი გახდა ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების დაჩქარება. ბიზანტიაში დასახლებულ სლავ გლეხთა მდგომარეობის საუკეთესო ამსახველია ეგრეთწოდებული „მიწათმოქმედების კანონი". ამ დოკუმენტიდან არსად არ ჩანს არც მისი შედგენის თარიღი და არც ის ადგილი, სადაც იგი შედგენილ იქნა. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით იგი უნდა მიეკუთვნოს მეშვიდე საუკუნეს, ხოლო მეორეთა თვალსაზრისით — მერვეს. უკანასკნელთა თვალსაზრისი კიდეც რომ სწორი იყოს. მაინც ეს დოკუმენტი მერვესთან ერთად ასახავს აგრეთვე მეშვიდე საუკუნის აგრარულ ურთიერთობასაც.

ამ კანონის მე-7 მუხლის მიხედვით სოფელს გააჩნია ყანები და იგი სხვა მეზობლებთან დავაში იცავს თავის მიწა-წყალს. ერთი სოფლის მცხოვრებთ შეუძლიათ ურთიერთ შორის გასცვალონ თავიანთი ნადელები (§ 3). თუ მიწების განაწილება თემის წევრებს შორის შეცდომით იყო ჩატარებული, დაშვებულია თემის მიწების ხელახალი გადანაწილება (§ 8). თემს გააჩნია საერთო განუყოფელი მიწები საძოვარ ადგილებისა და სხვ. სახით. 79-ე მუხლში ნათქვამია, რომ სახნავ-სათესი ადგილები ჭირნახულის აკრეფის შემდეგ საერთო საძოვრებად იქცევა.

ამავე დოკუმენტიდან აშკარავდება, რომ თემის წევრებს შორის დაწყებულია სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაცია. მე-15 მუხლში ნათქვამია, რომ მიწის ნაკვეთი დასამუშავებლად შეიძლება სანახევროდ გაიცეს, მაშასადამე, იყვნენ მცირე მიწის ნაკვეთების მფლობელნი, რომელთაც თავისი მეურნეობით არ შეეძლოთ წლის ბოლომდე ოჯახის გამოკვება და იძულებულნი იყვნენ მიწა იჯარით აეღოთ. ამასვე ადასტურებს მეათე მუხლი, რომლის მიხედვითაც მიწის პატრონს ყოველი მეათე ძნა უნდა მისცემოდა. გარ-

და ამისა, 37-ე მუხლით დაშვებული იყო უშუალო მწარმოებლის ჰეტეჯარე გლეხად გადაქცევა.

„სამოწამოქმედო კანონიდან" და უფრო გვიანდელი ხანის, რომან პირველის ნოველიდან ჩანს, რომ ბიზანტიის იმპერატორები ცდილობდნენ თემის წევრ-გლეხისათვის შეენარჩუნებინათ მისი მეურნეობა და იგი დაეცვათ „ძლიერთა ხელყოფისაგან". რა თქმა უნდა, ამას ისინი ჩადიოდნენ არა იმიტომ, რომ გლეხები ებრალებოდათ, არამედ იმის გამო, რომ ისინი ზრუნავდნენ შეენარჩუნებინათ მებეგარეთა და მებრძოლთა ის კონტინგენტი, რომელიც ასე ძალიან ესაჭიროებოდა ბიზანტიის სახელმწიფო ხაზინას და არმიას. სლავთა ბასებმა VII და VIII საუკუნეებში განამტკიცეს ბიზანტიის არმია და სახელმწიფოს შესაძლებლობა მიეცა შექმნილი რთული მდგომარეობიდან თავი დაეღწია. წვრილი გლეხური მეურნეობის საფუძველზე ბიზანტიაში ახალი სამხედრო წოდება წარმოიშვა სტრატიოტების[1] სახით.

სტრატიოტები ჰქმნიდნენ სამხედრო-დასახლებულ ადგილებს, რომელთაც დემები ეწოდებოდათ. დემებს ეგრეთ წოდებული სტრატეგები ედგათ მმართველობის სათავეში. სტრატეგის ხელში გაერთიანებული იყო როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ძალაუფლება და ემორჩილებოდა ცენტრალიზებულ ხელისუფლებას. რადგან დემები განლაგებულნი იყვნენ უმთავრესად საზღვრებთან მდებარე ადგილებში, ამიტომ მათი შეიარაღებული ძალების მთავარ დანიშნულებას თავდაცვა წარმოადგენდა. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ სამხედრო დემები, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში სლავებით იყვნენ დასახლებულნი; მაგრამ იყვნენ ისეთი დემებიც, რომელთა მოსახლეობას სხვა ტომები (ავარები, სომხები და სხვ.) წარმოადგენდნენ.

ბიზანტია ისავრელთა დინასტიის მმართველობის ხანაში (717—802). იმპერიის სოციალურ განახლებასთან ერთად შეიცვალა მისი ადმინისტრაციული ორგანიზაციაც. ეს ახალი ორგანიზაცია იყო სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემა, რომელმაც მიიღო დემური წყობილების სახელწოდება. ამგვარად, თემის თავისუფალი გლეხობა გადაიქცა ბიზანტიის ახალი ჯარის დასაყრდენ სოციალურ ბაზად. ეს ახალი და შედარებით უფრო ბრძოლისუნარიანი არმია ბიზანტიამ გამოიყენა თავისი ყველაზე უფრო საშიში საგარეო მტრის — არაბების წინააღმდეგ. ამ გარდაქმნათა დადებითმა მნიშვ-

[1] სტრატიოტები ბიზანტიაში სამხედრო-დასახლებულ პირებს ეწოდებოდათ, რომელნიც სამხედრო-მსახურეულ წოდებას ქმნიდნენ. ეს წოდება მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე.

ნელობამ განსაკუთრებით თავი იჩინა VIII საუკუნეში. როდესაც ბიზანტიის სათავეში ისავრელთა დინასტია მოექცა.

ისავრელთა დინასტიას საფუძველი ჩაუყარა ლეონ მესამემ, რომელიც წარმოშობით მცირე აზიაში სირიის საზღვართან მდებარე ისავრიის პროვინციიდან იყო. ვიდრე ის იმპერატორი გახდებოდა, ერთ-ერთი დემის ხელმძღვანელად, სტრატეგად ითვლებოდა. ლეონ III ისე. როგორც მისი მომდევნო იმპერატორი, კონსტანტინე მეხუთე (741—775) სამხედრო პირები იყვნენ და სამხედრო საქმეში დიდი გამოცდილება ქონდათ. ლეონ მესამეს ურთულეს პირობებში მოუხდა გამეფება. მის გამეფებამდე ბიზანტიაში შინაგან პოლიტიკურ კრიზისს ჰქონდა ადგილი. 22 წლის განმავლობაში ექვსი იმპერატორი გამოიცვალა. თვითეულ გადამდგარ იმპერატორს ასახიჩრებდნენ (სჭრიდნენ ცხვირს. სთხრიდნენ თვალებს და სხვ.) იმ მიზნით. რათა ისინი კვლავ არ დაბრუნებოდნენ იმპერატორის ტახტს.

მერვე საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის საგარეო მდგომარეობაც მეტად დაძაბული აღმოჩნდა. არაბები შეიჭრნენ მცირე აზიაში. მალე მათ დაიკავეს კუნძულები კიპროსი და როდოსი. არაბებმა 717 წელს ბიზანტიის სატახტო ქალაქ კონსტანტინეპოლს შემოერტყეს ალყა, რაც გრძელდებოდა 718 წლამდე. ამგვარად. ლეონ მესამის მოღვაწეობა კონსტანტინეპოლის დაცვით დაიწყო. კონსტანტინეპოლის დაცვაში ხელახლად გამოყენებული იქნა ეგრეთ წოდებული „ბერძნული ცეცხლი" (პირველად იგი გამოყენებული იყო 687 წელს), რომელიც მზადდებოდა ნავთობისაგან, გოგირდისაგან, გვარჯილასაგან და სხვადასხვა კუპრისაგან. მას ისეთი თვისება ჰქონდა, რომ წყალშიაც არა ქრებოდა. „ბერძნული ცეცხლით" ლეონ მესამემ შესძლო არაბების საზღვაო ფლოტის ძირითადი ნაწილის განადგურება და კონსტანტინეპოლისათვის ალყის მოხსნა. არაბებთან ბრძოლაში მას დიდი დახმარება აღმოუჩინეს ბულგარელებმა.

ამგვარად, ბიზანტიის იმპერია, რომლის „ბედიც ბეწვზე ეკიდა", გადარჩა დალუპვისაგან. გარეგანი საშიშროება თავიდან აცილებულ იქნა. მაგრამ ბიზანტიაში ფართო რეფორმათა გატარება მაინც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. ვინაიდან ბიზანტიაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები არსებულ წარმოებით ურთიერთობას ვერ ეგუებოდნენ. ჯერ ერთი, რომ ნიკას აჯანყების ჩახშობის შემდეგ გაბატონებული კლასის ერთმა ნაწილმა, სენატორულ არისტოკრატიის სახით, რომელიც ამ აჯანყების მონაწილე იყო. მერვე საუკუნისათვის დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ხშირი კონფისკაციების შედეგად მსხვილმა საერო მემამულეებმა დაკარგეს თავიანთი მიწები. რომელნიც უმთავრესად სტრატეგებს,

მათ მოადგილეებს (ტურმარხებს) და სამხედრო წოდების სხვა წარმომადგენლებს გადაეცათ. გარდა ამისა, ისავრელთა დინასტიის გაბატონებამდე, იმპერატორები უფრო მეტად ეყრდნობოდნენ სასულიერო წოდებას, რის გამოც ეკლესია მეტისმეტად გაძლიერდა. მეშვიდე საუკუნეში საუკეთესო მიწების თითქმის ნახევარი ეკლესიის ხელში აღმოჩნდა. ამასთან, სამონასტრო მამულები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. მათ სასარგებლოდ იმპერატორები უხვად გასცემდნენ სიგელებს, რომლებითაც ეკლესია თავისუფლდებოდა ბეგარისაგან და გადასახადებისაგან და შეუვალი ხდებოდა მართვა-გამგებლობის საქმეში. ამას ექსკუსია ეწოდებოდა, რაც დასავლეთ ევროპის იმუნიტეტს შეესაბამებოდა.

მაშასადამე, გაბატონებულ კლასში მომხდარი სოციალური ცვლილება, ერთი მხრივ, სასულიერო წოდებისა და საერთოდ ეკლესიის გაძლიერებაში გამოიხატა, ხოლო, მეორე მხრივ, საერო მსხვილი მიწათმფლობელი სენატორული არისტოკრატია სტრატეგებმა და ტურმარხებმა ჩაანაცვლეს. ეს უკანასკნელნი ფეოდალ ჯამაგირებთან ერთად მიწებსაც ღებულობდნენ და არსებითად ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სამხედრო-ფეოდალური წოდების წარმომადგენელნი იყვნენ.

არც სტრატიოტების ფენა იყო სოციალურად ერთფეროვანი. ჯერ კიდევ „სამიწათმოქმედო კანონიდან" ჩანდა, რომ თემის წევრებს სხვადასხვა ფართობის ნაკვეთები გააჩნდათ. რაც დრო გადიოდა თემს ახალი მიწათმფლობელები გამოეყოფოდა „ვლასტელებისა" ანუ „დინატების" სახით. ახლა ყველა სტრატიოტს სამხედრო საქმეში არ შეეძლო მოვალეობის თანაბარი შესრულება. სტრატიოტების ერთი ნაწილი—მიწათმოქმედნი ქვეითი ჯარის რიგებს ავსებდნენ, მეორე ნაწილი—ცხენოსნები წარმოადგენდნენ თავისებურ წვრილ-მეამულური ტიპის რაინდებს. ამგვარად, VIII საუკუნეში მსხვილი და წვრილი ფეოდალების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად უმიწაწყლო გლეხები ასევე სწრაფად ჰკარგავდნენ თავისუფლებას და ყმურ დამოკიდებულებაში გადადიოდნენ.

რაღვან დიდი მოთხოვნილება იყო სამხედრო წოდების რიცხობრივ ზრდაზე, ამიტომ ხდებოდა მიწების ახალი ფონდის გამონახვა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი საერო მსხვილი მიწათმფლობელობა თითქმის აღარ არსებობდა. თვით სამეფო მიწების ფონდიც ძალიან შემცირებული აღმოჩნდა. ბიზანტიას პოლიტიკური დასუსტების გამო აღარ შეეძლო მასობრივი დაპყრობების წარმოება. ერთადერთი გამოსავალი იყო ეკლესიის მიწების სამხე-

დროებზე გადაცემა, მაგრამ ეს გამოიწვევდა ძლიერი ეკლესიის წინააღმდეგობას. მაშასადამე, ვიდრე ჩატარდებოდა სამონასტრო მიწების ჩამორთმევა, საჭირო იყო ჯერ ეკლესიის გავლენის შესუსტება მასებში.

ფეოდალური ურიერთობის წარმოქმნასთან ერთად ბიზანტიაში დაიწყო მასების მძლავრი მოძრაობა, რომელიც ისტორიაში ცნობილი გახდა პავლიკიანელთა სახელწოდებით. პავლიკიანელთა მოძრაობა ეს იყო მასების პროტესტი დაყმევებისა და ფეოდალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ. პავლიკიანელები უარყოფდნენ ფუფუნებით ცხოვრებას, მოითხოვდნენ სოციალურ გათანაბრებასა და საეკლესიო იერარქიის მოსპობას. ამასთან ერთად, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ხატებისადმი თაყვანისცემა კერპთაყვანისმცემლობაა და ამიტომ ეკლესიებში ხატების ჩამოხსნას მოითხოვდნენ. მათი აზრით, არაბები იმარჯვებენ ბიზანტიელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში იმიტომ, რომ ისინი კერპთაყვანისმცემლები არ არიან, რადგან მათ ხატები არ გააჩნიათ. ამგვარად, პავლიკიანელობა „მართლმადიდებელ" ეკლესიის წინააღმდეგაც იყო მიმართული.

საფიქრებელია, რომ პავლიკიანელებმა თავიანთი სახელწოდება „ძოციქულ" პავლესაგან მიიღეს, რადგან მათი იდეოლოგები ამტკიცებდნენ, თითქოს მათი შეხედულებანი პავლეს სამოციქულოდან გამომდინარეობდა, რადგან პავლიკიანელები უფრო აქტიურ მებრძოლებად გამოდიოდნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ვიდრე ეგრეთ წოდებული მანიქეველები. ამიტომ პავლიკიანელობა უფრო სწრაფად გავრცელდა მოსახლეობის ფართო მასებში, განსაკუთრებით მცირე აზიასა და სომხეთში.

ახალი დიდკაცობის წარმომადგენლებმა ლეონ III და კონსტანტინე V მხარი დაუჭირეს პავლიკიანელობას[1] და, ამგვარად, ბიზანტიაში დაიწყო ეგრეთ წოდებული ხატმებრძოლეობა. როცა ბერებმა და საერთოდ ეკლესიამ გაილაშქრეს ხატმებრძოლეობის წინააღმდეგ, მაშინ ბიზანტიის ხელისუფლებმა იწყეს მონასტრების განადგურება: მონასტერთა შენობების უმრავლესობა ყაზარმებად აქცეს, ხატები დასწვეს და მათი წარმოება აკრძალეს, რის შედეგადაც ეკლესიის ავტორიტეტი მოსახლეობაში დაეცა და ეკლესიის შემოსავლიანობამაც იკლო. ეკლესიის შესუსტების შემდეგ კი დაიწყო ეკლესიის მიწების კონფისკაცია და მათი გადაცემა სამხედრო

---

[1] ამ საქმეში იმპერატორებს ამოძრავებდა არა პავლიკიანელთა იდეები, არამედ სამონასტრო მიწების ხარჯზე ჯარის გაძლიერების მოსაზრება.

დიდკაცობაზე. ხოლო ამ მიწების ნაწილი მოახმარეს სტრატიოტების ახალი ნადელების შედგენას. ეკლესიის მიწები ბიზანტიის ახლად ფორმირებულ რაინდობას ეძლეოდა დასავლეთ ევროპის ბენეფიციუმების მსგავსად: აქ მათ ეწოდებოდათ „ხარისტიკიები“.

ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცების მიზნით და, საერთოდ, ბიზანტიის პოლიტიკური გაძლიერებისათვის ისავრელთა დინასტიის მიერ ჩატარებულ იქნა სხვა ღონისძიებებიც. გამოქვეყნდა ეგრეთ წოდებული „სამხედრო კანონი“ და „საზღვაო კანონი“. პირველი ითვალისწინებდა ჯარების გარდაქმნას, დემური სისტემის გავრცელებას მთელს იმპერიაში; მეორე კანონი კი ფლოტის შემადგენლობას საგრძნობლად ამცირებდა იმის გამო, რომ საზღვაო ფლოტში ძლიერი იყო ოპოზიცია ხატმებრძოლეობის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამასთან, საჭირო გახდა ძველ-დროინდელი „იუსტინიანეს კოდექსის“ გარდაქმნა ახლად შექმნილი პირობების შესაბამისად. გამოცემულ იქნა ეგრეთ წოდებული „კანონთა ეკლოგი“, რომელიც ცდილობდა ფეოდალური ოჯახის განმტკიცებასა და ახლად წარმოქმნილი დიდკაცობის ინტერესების დაცვას.

თომა სლაველის აჯანყება. ისავრელთა დინასტიის წარმომადგენლების რეფორმებმა თავიანთ მიზანდასახულებას მიაღწია. ბიზანტია პოლიტიკურად იმდენად გაძლიერდა, რომ მისთვის გარეშე ძალების შემოსევა დიდად საშიში აღარ იყო. ხელოსნური წარმოება ქალაქებში მნიშვნელოვნად განვითარდა. მრეწველობისა და ვაჭრობის შედარებით კარგ დონეზე ყოფნის შესახებ მოგვითხრობს მეცხრე საუკუნის დროინდელი „ეპარქის წიგნი“. მასში უხვად მოცემული ცნობები იმდროინდელი მრეწველობის შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორ ახდენდა ხელისუფლება წარმოების რეგლამენტაციას.

ჩატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცებასაც. მაგრამ ფეოდალიზმის განვითარებას თან სდევდა ექსპლუატაციის ახალი ფორმები. უშუალო მწარმოებელთა დაყმევება უფრო სწრაფად წავიდა წინ. ოდესღაც თავისუფალი სტრატიოტები პირველ რიგში ჰკარგავდნენ მიწებს და შემდეგ მთლიანად დამოკიდებულნი ხდებოდნენ მემამულეებზე. დინატები[1] ანუ ვლასტელები თანდათან ხელთ იგდებდნენ თემის სახ-

---

[1] დინატები IX—XI საუკუნეებში ეწოდებოდათ მაღალი თანამდებობის მობელეებს, უმაღლესი სასულიერო წოდების წარმომადგენლებს და აგრეთვე ფეოდალური მიწათმფლობელი არისტოკრატიის წევრებს.

ნავ-სათეს მიწებსა და საძოვარ ადგილებს, ხოლო თვით სტრატიოტებს ყმებად აქცევდნენ. როდესაც მეცხრე საუკუნის დასაწყისში არაბთა თავდასხმები შეწყდა, გლეხი სტრატიოტების მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. განსაკუთრებული მწვავე ჩაგვრა სლავების მიერ დასახლებულ ადგილებში შეიმჩნეოდა.

ხალხის მზარდი უკმაყოფილების საფუძველზე 821 წელს მცირე აზიაში დაიწყო ახალი მძლავრი მოძრაობა, რომელსაც თომა სლაველის აჯანყება ეწოდა. თომა წარმოშობით სლაველი იყო (სხვა ვერსიით სკვითი ან სომეხი). ჯერ კიდევ ლეონ მეხუთის დროს (813—820) იგი ტურმარხად ანუ სამხედრო მეთაურად ითვლებოდა მცირე აზიის ერთ-ერთ თემში. მან ისარგებლა დაყმევების პროცესში მყოფი გლეხების უკმაყოფილებით, აჯანყების მეთაური გახდა და თავისი თავი იმპერატორად გამოაცხადა. ერთ-ერთი ქამთაღმწერლის მიხედვით, თომა სლაველი წარმოშობით ღარიბთა წრეს მიეკუთვნებოდა. „ერთნი, — ნათქვამია წყაროში,— რომელთაც მე ვენდობი, ზოგიერთი წერილობითი დოკუმენტების მიხედვით, ამბობენ, რომ თომა შვილი იყო ისეთი ღარიბი მშობლებისა ამასთან სლავებისა, როგორებსაც ხშირად შეხვდებოდით ალმოსავლეთში". იმავე ავტორის თქმით „მან აამხედრა მონები თავიანთ პატრონების წინააღმდეგ, ჯარისკაცები ოფიცეოთა წინააღმდეგ და ლოხარხი (ლოხის მეთაური, დაახლ. ასეულის მეთაური—გ. ტ.) სტრატეგის წინააღმდეგ".

აჯანყებულთა სოციალური შემადგენლობა მეტად ჭრელი იყო. მის ძირითად ბირთვს დამოკიდებული გლეხობა, მონები, სტრატიოტები, დაპყრობილი ტომები და სხვ. შეადგენდნენ. მოძრაობაში ჩაებნენ აგრეთვე პავლიკიანელები და ისინიც, ვინც წინააღმდეგნი იყვნენ ხატმებრძოლეობის პოლიტიკისა. აჯანყება მცირე აზიიდან ირაკიაზე და მაკედონიაზეც გავრცელდა. აჯანყებულთ ძლიერი შეიარაღებული ძალები ჰყავდათ და ფლოტიც კი გააჩნდათ. თომა სლაველის შეიარაღებულმა ძალებმა კონსტანტინეპოლს ალყა შემოარტყეს. რომელიც ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. 823 წელს გამცემლობის შედეგად და, მეორე მხრივ, ბულგარელების დახმარებით თომა სლაველის აჯანყება ჩახშობილ იქნა. თომა სლაველის ერთგული მომხრეები ამის შემდეგაც 825 წლამდე განაგრძნობდნენ ბრძოლას იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში.

ბიზანტია მაკედონელთა დინასტიის მმართველობის ხანაში (867—1057). ბიზანტიაში, ვიდრე მოხდებოდა ახალი დინასტიის მმართველობის სათავეში მოქცევა, ხატმებრძოლეობა თანდათან

შეწყდა. ჯერ კიდევ VIII საუკუნის ბოლოს დედოფალმა ირინემ სცადა ხატებისადმი თაყვანისმცემლობის აღდგენა, მაგრამ ეკლესიისადმი დამოკიდებულების პოლიტიკის რადიკალური შეცვლა მოხდა მხოლოდ მაშინ, როცა სამხედრო წოდება სავსებით დაკმაყოფილდა ეკლესიისაგან მიღებული მიწებით. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ ისავრელთა დინასტიის წარმომადგენელნი ბრძოლას უჭერდნენ ხატმებრძოლეობას არა იმიტომ, რომ ისინი პავლიკიანელთა იდეების მიმდევარნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ მათ ესაჭიროებოდათ ეკლესიის მიწების თავის მიზნებისათვის გამოყენება და როცა ასეთი საჭიროება დღის წესრიგიდან მოიხსნა, ახლა ხატმებრძოლეობა არამც თუ ზედმეტი გახდა, არამედ მავნეც. 843 წელს, დედოფალმა თეოდორამ, რომელიც თავისი მცირეწლოვანი შვილის მიხეილ III (842—867) სახელით მართავდა იმპერიას, ისევ აღადგინა „მართლმადიდებლობა" და ხატებისადმი თაყვანისცემა.

„მართლმადიდებლური" ეკლესიის პრივილეგიათა აღდგენა და მისი განმტკიცება გაბატონებული კლასისათვის მით უფრო აუცილებელი იყო, რომ ბიზანტიაში დაწყებული ფეოდალიზაციის იდეოლოგიური დასაყრდენი მტკიცე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ხელისუფლების შერიგებას ეკლესიასთან, თან უნდა მოჰყოლოდა ეკლესიის მოწინააღმდეგე მიმდინარეობის, პავლიკიანელობის სრული განადგურება. ბევრი პავლიკიანელი დახოცეს. პავლიკიანელთა ერთმა ნაწილმა დატოვა თავისი დასახლებული ადგილები და დაიწყო თავგამოდებული პარტიზანული ბრძოლა. საზღვრისპირა რაიონებში აღმართა პავლიკიანელთა რამდენიმე ციხე-სიმაგრე. აჯანყებულთა ბუნაური გახდა კარვეასი, რომელთანაც თავს იყრიდნენ გაქცეული პავლიკიანელები. მოძრაობის ცენტრად ქალაქი თეფრიკე გადაიქცა. შეიარაღებულმა გლეხებმა და ხელოსან-პავლიკიანელებმა სექტანტური ხასიათის რესპუბლიკა ჩამოაყალიბეს. ხელისუფლების მიერ მოძრაობის წინააღმდეგ წამოწყებული რამდენიმე ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. ბრძოლებში მოკლული კარვეასი ბისმა ნათესავმა ხრისოხირმა შესცვალა. პავლიკიანელთა მკაცრი, მაგრამ გმირული ბრძოლები გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე სამეფო ტახტი მაკედონელთა დინასტიის ხელში არ გადავიდა.

ამ დინასტიის პირველი წარმომადგენელი ბასილი I (867—886) იყო. წარმოშობით მაკედონელი გლეხი, რომელმაც ხელისუფლებისაკენ გზა გაიკაფა თავისი მფარველის მიხეილ III-ის მოკვლით. ბასილ პირველმა თავისი მეფობა პავლიკიანელებთან ბრძოლით დაიწყო. ეს ბრძოლა დამთავრდა მხოლოდ 872 წელს ხრისოხირის მო-

კვლითა და პავლიკიანელთა სასტიკი დასჯით. თუ როგორი კლასობრივი ზიზღით ეპყრობოდა ბასილ პირველი აჯანყებულთ, იქიდან ჩანს, რომ როცა მას მოუტანეს ხრისოხირის მოჭრილი თავი, მან მოჭრილ თავს კიდევ სამი ისარი ესროლა. მიუხედავად პავლიკიანელების ფანატიკური დევნისა, მან მაინც ვერ შესძლო ამ მოძრაობის სრული მოსპობა.

ახალმა იმპერატორმა ისავრელთა დინასტიის თითქმის ყველა რეფორმა გააუქმა და ხელახლა აღადგინა იუსტინიანეს კანონმდებლობა. ბუნებრივია, რომ ისავრელების ყველა ბრძანებულება, რომელიც კი ხატმებრძოლეობას ეხებოდა, გაუქმებულ იქნა. ბერობა კვლავ გაბატონებულ მდგომარეობაში ჩადგა. მის მიერ ხატმებრძოლეობის დროს მიღებული ზარალი ახალმა დინასტიის წარმომადგენლებმა ეკლესიას ერთიორად აუნაზღაურეს. ეკლესიას ისინი უხვად ასაჩუქრებდნენ მიწებით, ანიჭებდნენ მაა ექსკუსიებს, უშენებდნენ მრავლად ახალ მონასტრებს და სხვ.

მმართველობაში უფრო რეაქციული ხაზის გამტარებელი ბასილ პირველის მომდევნო მეფე ლეონ VI (886—912) აღმოჩნდა. მან სახელმწიფო აპარატის ცენტრალიზაციის მიზნით ქალაქების თვითმმართველობა მოსპო, აკრძალა მუნიციპალურ ხელისუფალთა არჩევნები. მოსპო ქალაქის დემების ყოველგვარი მნიშვნელობა. გაზარდა ბიუროკრატიული აპარატი. მის დროს მოხელეთა იერარქიის სათავეში ბრწყინვალე სასახლე იყო მოქცეული. „იმპერატორთან მიღებას ელჩები უნდა განეცვიფრებინა და დაებრმავებინა. იტალიის მეფის ბერენგარის ელჩი ლიუტპრანდი, რომელმაც კონსტანტინეპოლში იმოგზაურა X საუკუნეში, ბარბაროსული აღფრთოვანებით აგვიწერს იმპერატორთან პირველ აუდიენციას. მეფის ტახტის წინ იდგა ოქროს ხე, რომელზედაც დაფრინავდნენ და ჭიკჭიკებდნენ ოქროს ფრინველები. ტახტის ორივე მხარეზე იდგნენ ოქროს ან (აქ ეპვი ეპარება ლიუტპრანდს) შეიძლება, მოოქროვილი ლომები, რომელნიც კუდებს იქნევდნენ და ღმუოდნენ. როდესაც ლიუტპრანდი, ეტიკეტის მიხედვით, მეფის წინ მუხლზე დაეცა და შემდეგ თავი მაღლა ასწია, გაოცებულმა დაინახა, რომ ტახტი მასზე მჯდომ მეფითურთ ჭერამდე ამაღლებულიყო და რომ იმპერატორს უკვე სხვა მდიდრული ტანსაცმელი ეცვა"[1].

ლეონ მეექვსის დროს თანდათან მუშავდებოდა სასახლის ცხოვრების რთული ცერემონიალი, რომელიც მხატვრულადაა გადმოცემული იმპერატორ კონსტანტინე VII-ის (913 — 959) ტრაქტატში

---

[1] История дипломатии, ტ. I, გვ. 101.

„ცერემონიების შესახებ". მისი მიხედვით იმპერატორის ამალამ ხალხს უნდა მისცეს უზენაესი ხელისუფლების გაღმერთების მაგალითი: იმპერატორის წინაშე პირქვე უნდა დაეცნენ, თავი მიწაზე უნდა დახარონ, ემთხვიონ ფეხებზე და სხვ. ერთი სიტყვით, ხალხს იმპერატორი უნდა წარმოუდგინონ ზებუნებრივ არსებად.

ჯერ კიდევ იუსტინიანეს ხანაში ხელისუფლება ამჩნევდა იმ გარემოებას, რომ წვრილ მიწათმფლობელების გვერდით, მეზობლად მყოფი ძლიერი პიროვნება, პირველთ მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა და ამის გამო იუსტინიანეს კოდექსი ოლქის მმართველს უკრძალავდა რაიმეს შესყიდვას და საერთოდ შეძენას თავის ოლქში. ეს გარემოება უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ერთგვარად აფერხებდა მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარებას. ლეონ მეექვსემ უკვე არსებული ეს წესი 84-ე ნოველით შესცვალა. ამიერიდან „...დადგენილია, რომ უფროსთა შემადგენლობას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შეუძლია აშენოს და კიდეც შეიძინოს რამ თავისი სურვილების მიხედვით..." ამგვარად, დინატებს და სხვა ღიდკაცთ მიეცათ ფართო გასაქანი თავისი მამულების დამსხვილებისათვის.

ისავრელთა დინასტიის წარმომადგენლების ეგრეთწოდებული „ეკლოგები" შეიცვალა ახალი საკანონმდებლო კრებულით „ბასილიკებით" ან „ბაზილიკებით". ამ კრებულში სავსებით სრულად იქნა ასახული თავისუფალი გლეხური მეურნეობის ყოველმხრივი დაკაბალება და თვით გლეხის დაყმევების პროცესი. თავისუფალი გლეხები ჰკარგავდნენ თავიანთ მიწებს და „პარიკებად" იქცეოდნენ, მეორე მხრივ კი იზრდებოდა მსხვილი მიწათმფლობელობა, ძლიერდებოდა არისტოკრატია. ხელისუფლება ცდილობდა შეექმნა არისტოკრატიისათვის ყოველმხრივი პრივილეგიური მდგომარეობა.

ჯარში მყოფ მეთაურთა შესახებ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამი იყო: „არაფერი ხელს არ უშლის, რომ ისინი იყვნენ უფრო მეცად შეძლებულნი, წარმოშობით კეთილშობილნი და მამაცური სულის მქონენი. კეთილშობილება აგულიანებს ადამიანს სწრაფად გამოიყენოს ხელსაყრელი შესაძლებლობანი ბრძანებაზე ასასრულებლად; სიმდიდრე მათ საშუალებას აძლევს საჭიროების დროს თავის სახსრებიდან დახმარება გაუწიონ მებრძოლებს და თუ მეთაურთა ეს მატერიალური დახმარება უმნიშვნელო იქნება მათთვის დაქვემდებარებულ პირთათვის, მაშინ ერთგულება და მათდამი მეგობრობა მაინც აიძულებს მათთან ერთად იბრძოლოს (და თუ საჭირო გახდება ბოლომდე) საშიშროებაში, რომელიც ხშირად ბუნებრი-

ვად წარმოიქმნება ხოლმე ომში"[1]. ამგვარად, მეთაურთა შემადგენლობა ისე, როგორც საბოქალაქო დაოგის ალალ თანამდებობათა მოხელეები, ამ ხანებში მთლიანად მაღალ წოდებას ეკუთვნოდნენ.

ფეოდალიზაციის პროცესი მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენელთა დროს იმდენად სწრაფი ტემპებით წარიმართა, რომ მნიშვნელოვანი საშიშროება შეიქმნა არმიის მორიგი ჯარისკაცების რაოდენობის შემცირებისა თავისუფალი გლეხობის მასობრივად ყმებად გადაქცევის გამო. იგივე გარემოება ხაზინის შემოსავალს მკვეთრად შემცირებას უქადდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ შემდეგში თვით იმპერატორები გახდნენ იძულებულნი მიეღოთ ზომები ამ პროცესის შესანელებლად.

პირველი იმპერატორი, რომელმაც გაითვალისწინა ამ საშიშროებისა მნიშვნელობა, იყო რომანოზ პირველი, ლეკაპენი (919—944). მისი მეფობის დროს ბიზანტიაში თავისუფალი გლეხების მიერ მიწების დაკარგვის საფუძველზე გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა წარმოებდა. გლეხთა ამალავანი აჯანყება მოხდა მცირე აზიაში დაახ. 932 წელს ვინმე ბასილის (რომელსაც მეტსახელად „სპილენძის ხელს" უწოდებდნენ) ხელმძღვანელობით. 934 წელს დაიწყო სლავთა ტომების აჯანყება პელოპონესში და სხვ. ყველა ეს აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი. გლეხთა აჯანყებების უშუალო გავლენითა და იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებინა სულ ცოტა, ჯარის 120000-იანი კონტინგენტი და სახელმწიფო გადასახადები, იმპერატორმა 922, 934 და 943 წლებში გამოსცა ნოველები, რომლებითაც ცდილობდა შეეჩერებინა მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა გლეხურ მეურნეობათა ხარჯზე.

922 წელს გამოცემული ნოველის მიხედვით, გლეხური მიწის გასხვისების შემთხვევაში, მიწის შესყიდვის უფლება, პირველყოველისა, ამ გლეხის ნათესავებს, მეზობლებსა და თანასოფლელებს ჰქონდათ, და მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის შესყიდვის მსურველი არ აღმოჩნდებოდა, შეიძლებოდა ამ მიწის უცხო პირებზე გაყიდვა. ამავე ნოველის მიხედვით, დინატებს გლეხური მიწის შესყიდვა, საერთოდ, ეკრძალებოდათ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათ ექნებოდათ ამ სოფელში საკუთარი მიწები. დამნაშავე ამ კანონის დარღვევაში ისჯებოდა იმით, რომ იგი შესყიდულ მიწას უკან აბრუნებდა საფასურის მიღებლად და, გარდა ამისა, ფულად ჯარიმას გაიღებდა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

---

[1] Сборник документов по социально-экономической истории Византии, გვ. 145.

სხვა ნოველები ფაქტიურად განმეორება იყო 922 წლის კანონისა. მაგრამ მათი გატარება ცხოვრებაში მთელ რიგ წინააღმდეგობებს აწყდებოდა, ხოლო მსხვილი მიწათმფლობელობა უფრო მეტად გზას იკაფავდა. ასეთივე მარცხით დამთავრდა მომდევნო იმპერატორის (კონსტანტინე VII) ანალოგიური ღონისძიებანიც. 963 წელს ტახტზე ავიდა ნიკიფორე II ფოკა, რომელიც აგრესიული პოლიტიკის ვატარების მომხრე იყო, როგორც აზიაში, ისე ევროპაში. ნიკიფორე მცირე აზიის სამხედრო დიდკაცობის წარმომადგენელი იყო. რის გამოც საშინაო პოლიტიკაში დინატების ინტერესებს ატარებდა. მის მიერ 967 წელს გამოცემულ კანონში იგი ამტკიცებდა, რომ მისი წინამორბედი იმპერატორები გადაჭარბებულ ზრუნვას იჩენდნენ გლეხების მიმართ, რაც „უსამართლობას“ წარმოადგენდა მსხვილი მიწათმფლობელებისათვისო.

ამგვარად. მაკედონელთა დინასტიის ექსპანსია მეათე საუკუნეში, ორი მიმართულებით გამოვლინდა; ერთი მხრივ, მისი წარმომადგენელნი ბიზანტიის პროვინციებში შიგნით ახდენდნენ გლეხური საკუთრების ლიკვიდაციას, ხოლო მეორე მხრით, ისინი აფართოებდნენ ბიზანტიის ტერიტორიას აზიასა და აფრიკაში არაბებისა და ბულგარელების ტერიტორიის ხარჯზე. ნიკიფორე ფოკამ ისარგებლა რა არაბთა სახალიფოს დაშლით წვრილ-წვრილ ფეოდალურ ერთეულებად, მთელი რიგი ადგილები დაიკავა. მომდევნო იმპერატორმა იოანე ციმისხემ (969—976) ხელი შეუწყო ეკლესიის გაძლიერებას და მსხვილი მიწათმფლობელების მიერ გლეხთა დაყმევებას. ყველა ძალების მობილიზაციით მან შესძლო ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან კიევის მთავრის სვიატოსლავის განდევნა. 972 წელს იმპერიას მან დუნაისპირეთის ბულგარეთი შემოუერთა. ხოლო 974—975 წლებში ლაშქრობათა მოწყობით უკან დაუბრუნა იმპერიას არაბების მიერ მიტაცებული სირია და მესოპოტამიის ერთი ნაწილი.

ბიზანტიაში ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვება და ბიზანტიის პოლიტიკური შესუსტება. ერთი შეხედვით ჩანდა. რომ ბიზანტიის პოლიტიკური სიძლიერე მეათე საუკუნის მეორე ნახევრისათვის მნიშვნელოვანი იყო და მაკედონელთა დინასტიის საგარეო პოლიტიკაც თითქოს მიზანსწრაფული გახდა. მაგრამ. ამავე დროს. ბიზანტიაში ფეოდალიზაციის განვითარების შედეგად იზრდებოდა ცალკეულ კერძო პირებისა და ხანდახან ცალკეულ გვარეულობათა პოლიტიკური მნიშვნელობა, რაც საფუძველს უთხრიდა ბიზანტიის პოლიტიკურ მთლიანობას და. მაშასადამე, სიძლიერესაც. ჯომნენოების. კანტაკუზინების. დუკების და სხვ. ფეოდალურ გვარეულო-

ბათა სიმდიდრე და გავლენა დღითიდღე იზრდებოდა. XI—XII საუკუნეებში ფეოდალიზაციის დამთავრებასთან ერთად ბიზანტიაში სახელმწიფოს ცენტრიდანული ძალები მეტად გაიზარდა.

ნაცვლად იმისა, რომ ასეთი ტენდენცია საიმპერატორო ხელისუფლებას აღმოეფხვრა, მეთერთმეტე საუკუნეში იგი თვითონ იწყებს მისთვის უფრო მეტად ხელისშეწყობას. ფართოდ ვრცელდება ეგრეთ წოდებული პრონიების (ბენეფიციუმების) გაცემის სისტემა. პრონიები დინატებზე გაიცემოდა არა მარტო სახელმწიფო მამულის სახით, არამედ ის მიწებიც, რომელნიც ადრევე გლეხურ თემებს ეკუთვნოდა. პრონიის მიმღები დინატი სენიორის უფლებებს მოიპოვებდა იმ გლეხებზეც, რომელნიც მანამდე ამ მიწის, ან მამულის თავისუფალ დამმუშავებლად ითვლებოდნენ. ამგვარად, პრონიების სისტემა, თუ ერთი მხრივ, ზრდიდა დინატების რაოდენობას, მეორე მხრივ, შემონარჩუნებულ თავისუფალ გლეხთა მეურნეობის ლიკვიდაციასაც ახდენდა.

მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთა მიერ გატარებულმა პოლიტიკის შედეგმა მალე თავი იჩინა. ბიზანტიის პოლიტიკური სიძლიერე იმდენად შეირყა, რომ ბასილ მეორის გარდაცვალების (1025 წ.) შემდეგ ბიზანტიელნი იძულებული გახდნენ ყველა საზღვარზე შეტევიდან თავდაცვაზე ელაპარაკნენ. 1043 წელს პაჭანიგებმა მდინარე დუნაი გადალახეს და თრაკია ადრიანოპოლამდე საშინლად დაარბიეს. მათ დაამარცხეს კონსტანტინე მონომახი (1042—1055) და უკანასკნელი აიძულეს დიდი ხარკი გადაეხადა და მათთვის მიწებიც დაეთმო. აღმოსავლეთის საზღვრებთან ახალი დიდი საშიშროება გაჩნდა. 1055 წელს, მას შემდეგ, რაც თურქ-სელჯუკებმა აიღეს ბაღდადი, დაიწყო მათი შემოსევები სირიაში, მესოპოტამიაში, სომხეთში, ბიზანტიასა და სხვა ბიზანტიურ სამფლობელოებში. სელჯუკების მიერ ამ ადგილების დაპყრობათა შედეგად ბიზანტიის ჯარები იძულებულნი იყვნენ ზღვის სანაპიროებისაკენ დაეხიათ.

ბიზანტიის საერთაშორისო მდგომარეობა იმითაც რთულდებოდა, რომ 1054 წელს მოხდა ქრისტიანული ეკლესიის საბოლოოდ ორად განაწილება: დასავლეთისა ეგრეთ წოდებულ რომაულ კათოლიკური და აღმოსავლეთისა—ე. წ. მართლმადიდებლურ ეკლესიად. ქრისტიანული ეკლესიის ორად გაყოფას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში რომის იმპერიის ორად დაყოფის შედეგად. მას შემდეგ ქრისტიანობის ორი ცენტრი წარმოიშვა. დასავლეთით ქ. რომი — დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთათვის, ხოლო აღმოსავლეთით კონსტანტინეპოლი — აღმოსავლეთი ქვეყნე-

პისათვის, რომლისკენაც ჰიილტეოდნენ თვით ბიზანტია, ბალკანეთის სლავები და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები. დროებითი განხეთქილება ამ ორ ცენტრს შორის ხდებოდა V, VI და VII საუკუნეებში.

ეკლესიათა შორის მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში, რაც დაკავშირებული იყო მორავიისა და ბულგარეთის გაქრისტიანებასთან. თვითეულს ამ ორ ეკლესიათაგან სურდა თავისი გავლენა გაევრცელებინა ამ ქვეყნებში. 1054 წლის განხეთქილების უშუალო საბაბს წარმოადგენდა შემდეგი გარემოება: 1043 წელს რომის პაპმა ლეონ XI-ემ თავისი კანდიდატი აკურთხა სიცილიის არქიეპისკოპოსად, რითაც კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიხეილ კემულარის უფლებები შელახა. ამის საპასუხოდ უკანასკნელმა ბიზანტიაში დახურა ყველა ის ეკლესია და მონასტერი, რომელიც რომაული კათოლიკობის მიმდევარი იყო. 1054 წელს ორივე ეკლესიის მესვეურებმა ერთმანეთი შერისხეს და ეკლესიიდან განკვეთეს. ეკლესიის ამ განხეთქილებამ ბიზანტიას მოუსპო პაპის მხარდაჭერა ნორმანებთან ბრძოლაში. რომლებმაც სამხრეთი იტალია დაიპყრეს და ახლა იწყეს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეჭრა.

ასეთ გართულებულ საერთაშორისო ვითარებაში ბიზანტიის შინაგან სიმტკიცეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჯერ კიდევ ადრე (1040 წ.) ბულგარეთში მძლავრი აჯანყება დაიწყო. ბიზანტიის ხელისუფლებამ, როგორც იქნა, მოახერხა ამ აჯანყების ჩახშობა. მაგრამ ბიზანტიის სამხედრო წოდების წარჩინებულთა ფენა სისტემატურად ცდილობდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და ამ მიზნით ხელისუფლების წინააღმდეგ აწყობდა გამოსვლებს იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში. როცა ამ მხრივ სამეფო ხელისუფლების მდგომარეობა გართულდა, მან გადასწყვიტა შეემცირებინა სამხედრო დიდკაცების მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებში. ხელისუფლებამ, ამასთან დაკავშირებით, შეამცირა ასიგნობანი სამხედრო დარგში.

მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთა ძიერ სახელმწიფო პოლიტიკის ამგვარ შეცვლას მცირე აზიის სამხედრო-ფეოდალურმა დიდკაცობამ 1057 წელს მძლავრი აჯანყებით უპასუხა. მან ბრძოლაში დაამარცხა ხელისუფლების შეიარაღებული ძალები და მცირე აზიის ერთ-ერთი მსხვილი ფეოდალი ისააკ კომნენოსი იმპერატორად გამოაცხადა (1057—1059). ისააკის გამეფებასთან ერთად ხელახლა დაიწყო ფეოდალური ანარქია, რამაც ბიზანტიის სახელმწიფო უფრო მეტად შეასუსტა. 1071 წელს

თურქ-სელჯუკებთან ბრძოლაში იმპერატორი რომანოზ IV დიოგენი მანციკერტთან საშინლად დამარცხდა. თურქ-სელჯუკებმა იგი ტყვედ ჩაიგდეს ხელში. ბიზანტიაში ანარქიას ბოლო მოეღო მხოლოდ 1081 წლიდან, როცა იმპერატორად სამხედრო-ფეოდალური დიდკაცობის წარმომადგენელი ალექსი კომნენოსი (1081—1118) გახდა[1]. ამგვარად, საფუძველი ჩაეყარა კომნენოსების დინასტიის ბატონობას (1057—1185).

როგორც მარქსი აღნიშნავს[2] ალექსი კომნენოსი განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდა შინაგან ამბოხებათა წინააღმდეგ და აგრეთვე გარეშე მტრების მიმართ—რობერტ გიუისკართან და მის შვილთან ბოემუნდთან; 20 წლის შემდეგ, კვლავ ბრძოლა ბოემუნდთან; იმპერიის ჩრდილოეთით პაჭანიგებისა და კუმანების გამანადგურებელი თარეშები; აღმოსავლეთით სელჯუკების სულთანებმა იმპერიას ნიკეია და იკონია ჩამოაცილეს. მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. თურქ-სელჯუკების მესვეურმა ჩახამ, რომელმაც თავის საზღვაო ფლოტი კონსტანტინეპოლს მიაყენა, პაჭანიგებთან კავშირი დაამყარა და ერთობლივი მოქმედებით ბიზანტიას ემუქრებოდა. ალექსი კომნენოსმა დახმარება სთხოვა დასავლეთ ევროპას. მაგრამ რეალური დახმარება მან ძამინ ვერ მიიღო. სამაგიეროდ, აღნიშნული მტრების წინააღმდეგ მან ყივჩაყნი და სლავები გამოიყენა. საფრთხე დროებით აცილებულ იქნა და ჯვაროსანთა ლაშქრობების დაწყების წინ ბიზანტიაში მდგომარეობა ასე თუ ისე სტაბილური შეიქმნა.

---

[1] ალექსი I კომნენოსი იყო ისაკ კომნენოსის ძმისწული.

[2] იხ. Архив Маркса и Энгельса, т. V, зз. 188.

თ ა ვ ი X

ჯვაროსანთა ლაშქრობანი

ზოგიერთი ბურჟუაზიული იდეოლოგის შეხედულებათა კრიტიკა ჯვაროსანთა ლაშქრობების წარმოშობის მიზეზების საკითხთან დაკავშირებით. ჯვაროსანთა ლაშქრობები, რომელნიც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე (1096—1270) გრძელდებოდნენ და რომელთაც ადამიანთა ძალებით გაანყიერეს ახლო აღმოსავლეთის მიდამოები. ფართო გამოხმაურება ჰპოვეს როგორც ამ ლაშქრობათა თანამედროვე საზოგადოებრივობაში, ისე ისტორიოგრაფიაში. შეიქმნა სხვადასხვა მიმართულებანი, რომელთა მიზანდასახულობას წარმოადგენდა „ადამიანთა ამ უგუნური ჭიდილის“ გამომწვევი მიზეზის ახსნა. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ბურჟუაზიულ-განმანათლებელთა ფუძემდებელმა მარი-ფრანსუა არუე დე ვოლტერმა (1694—1778), რომელიც ფეოდალური საფრანგეთის ხელისუფლებამ არაერთხელ მოაქცია ბასტილიის კედლებში, წამოაყენა აზრი იმის შესახებ, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობების გამომწვევი მიზეზი იყო კათოლიკური ეკლესიის მიერ გაღვივებული ფანატიზმითა და ცრუმორწმუნეობით ხალხთა მასების ამოძრავება.

ჯვაროსანთა ლაშქრობების წამოწყების მიზეზს ანალოგიურად განმარტავდა იმდროინდელი აღმავალი ბურჟუაზიის მეორე წარმომადგენელი ედუარდ გიბონი (1737—1794), რომელიც ვოლტერიანული სკოლის უკანასკნელი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ინგლისში. მისი აზრით, ევროპა აღმოსავლეთის წინააღმდეგ პაპების ინტრიგამ აამხედრა. კათოლიკური ეკლესია. თავისი შაებნელი საქმიანობით კაცობრიობას უდიდეს ზიანს აყენებდა, მაგრამ გიბონის აზრით, ამ მხრივ უფრო მეტად გამოირჩეოდა პაპობა—ეს „ცრურწმენათა და სიცრუის სახელოსნო, ცრუმორწმუნეობის უდიდესი

ფაბრიკა, რომელიც ძალით იცავს მის მიერ მოტყუებით მოპოვებულ ხელისუფლებას"[1].

ვოლტერიცა და გიბონიც, როგორც აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგები, ილაშქრებდნენ რა ფეოდალიზმის წინააღმდეგ საერთოდ, ამავე დროს ცდილობდნენ მისი დასაყრდენი იდეოლოგია კათოლიკური ეკლესიის სახით გაენადგურებინათ. თავის დროისათვის, რა თქმა უნდა, მათი ასეთი სწრაფვა პროგრესული იყო, მაგრამ მტკიცება იმისა, თითქოს ჯვაროსანთა ლაშქრობების ძირითად გამომწვევ მიზეზს კათოლიკური ეკლესია და რომის პაპობა წარმოადგენდა, არ იყო სწორი. მართალია, კათოლიკურმა ეკლესიამ და პაპობამ ჯვაროსანთა ლაშქრობების წამოწყების საქმეში თავიანთი თაღლითური როლი შეასრულეს, მაგრამ ამ ლაშქრობათა გამომწვევი მიზეზი იმდროინდელი ევროპის მეტად რთულ სოციალურ-ეკონომიურ ვითარებაში იქმნებოდა.

მეცხრამეტე საუკუნეში ბურჟუაზიის პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა. ახლა პოლიტიკური ძალაუფლება თვით ბურჟუაზიის ხელში გადავიდა. ამითი ბურჟუაზიისათვის რევოლუცია სავსებით დამთავრდა. ამიერიდან რევოლუციური იდეების წამოყენება ბურჟუაზიულ მკვლევართათვის არამც თუ ზედმეტი, არამედ მავნეც კი იყო. რომანტიზმის მიმდევართა რეაქციონულმა ნაწილმა თავის შემოქმედებაში კათოლიკური ეკლესია და პაპობა ძველ დიდებას დაუბრუნა და ჯვაროსნულ ლაშქრობათა წამოწყების მიზეზად კვლავ ისინი დატოვა, ოღონდ განსხვავებით „განმანათლებლებისაგან", ბურჟუაზიულ მკვლევართა ამ ნაწილმა პაპობა და ეკლესია ევროპის ქრისტიანული სამყაროს „მომძლავრებულ ისლამისაგან" გადარჩენის ინიციატორად წარმოადგინა. ბურჟუაზიის იდეოლოგებმა ახლა იწყეს მტკიცება იმისა, რომ თითქოს იერუსალიმში მყოფი ქრისტეს საფლავი ურწმუნოებმა წაბილწეს და ქრისტიანულმა ევროპამ მახვილი იშიშვლა მათ წინააღმდეგ ქრისტეს საფლავის გასანთავისუფლებლად და, საერთოდ, ქრისტიანობის დაღუპვისაგან გადასარჩენად.

მაგრამ, თუ XIX საუკუნის რეაქციონერი ისტორიკოსები თავიანთ მსჯელობაში მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ბურჟუაზიული მკვლევარები, სულაც არ გასცილებიან პირველთა დონეს. მათი აზრით XI საუკუნეში, თითქოს, მუსლიმანებმა იერუსალიმში იმდენად შებღალეს „წმინდა ადგილები", რომ ამან უდიდესი

[1] О. Л. Вайнштейн, Историография средних веков, 1940 г., стр. 127.

რელიგიური წყენა გამოიწვია ევროპის ქრისტიანულ მოსახლეობაში. პაპმა, ურბან მეორემ საჭიროდ ჩათვალა მოწოდებით მიემართნა თავის მრევლისადმი და მიუთითა მას თუ რა საშუალებით შეიძლებოდა ქრისტიანობის შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს გადახდა. პაპმა მოითხოვა ამხედრება და ასე დაიწყო 1096 წელს ჯვაროსნული ლაშქრობა აღმოსავლეთისაკენ ისლამის წინააღმდეგ.

საკითხის ასეთ ინტერპრეტაციას საფუძვლად დაუდეს XII საუკუნის ქრონიკების დამწერთა ცნობები, რომელთა მიხედვითაც საქმე ისე იყო წარმოდგენილი, თითქოს „აღმოსავლეთის ქრისტიანები", რომელნიც მოჰყვნენ თურქ-სელჯუკების ბატონობაში, საშინლად შევიწროებულნი აღმოჩნდნენ; თითქოს ასეთივე დევნას სელჯუკებისაგან განიცდიდნენ ის ქრისტიანები, რომელნიც დასავლეთიდან აღმოსავლეთში მიდიოდნენ სალოცავად. და მართლაც, დასავლეთის მექრონიკენი, ბერებისა და აბატების სახით, უხვ მასალას იძლეოდნენ ამგვარი მსჯელობებისათვის, მაგრამ სხვა წყაროებიდან ამ ბერმონაზვნების მონაცემი არაფრით არ დასტურდება. ერთ-ერთი ბურჟუაზიული მკვლევარი, კ. კაენი, რომელიც უფრო ობიექტურობას იჩენს ამ საკითხში, ამტკიცებს, რომ „...სელჯუკთა დაპყრობანი არავითარ რეალურ „საშიშროებას" არ უქმნიდა არც დასავლეთის ქრისტიანობას" (სალოცავად წასულებს), არც მცირე აზიაში ან პალესტინაში მყოფთ (გარდა ბიზანტიის პროვინციებისა). „სელჯუკების მოსვლას თავის თავად არ შეეძლო გამოეწვია „ჯვაროსნული ლაშქრობა ისლამის წინააღმდეგ..." [1].

ჯვაროსანთა ლაშქრობების ერთ-ერთი ფრანგი ბურჟუაზიული მკვლევარი პოლ რუსე მთლიანად უბრუნდება რეაქციონერი რომანტიკოსების მიმდინარეობას და უარყოფს ყოველგვარ სოციალურ-ეკონომიურ მოტივებს ამ ლაშქრობათა წამოწყების საკითხში. მისი აზრით ჯვაროსნებს ამ საქმეში ამოძრავებდა არა პირადი ინტერესები, ან პოლიტიკური მოსაზრებანი, არამედ „სულიერი განწყობილება" და მათი „რელიგიური იდეალები". ამასთან რუსეს პაპი ურბან მეორე ისეთ „გამბედავ" და „ინიციატივიან" პირად ყავს წარმოდგენილი, რომელმაც მსოფლიო გარდაქმნა, თითქოს ის იყო „ნამდვილი ხელმძღვანელი ჯვაროსანთა ლაშქრობისა". ასეთივე აზრს იმეორებს ამერიკელი მკვლევარი ჯონ ლამონტი. ისიც ამტკიცებს, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობა პაპის მიერ იყო ორგანიზებული იმ მიზნით, რათა დაეხსნა „ქრისტეს საფლავი" უწმინდურთაგან.

---

[1] М. А. Заборов, Крестовые походы в «Докладах» X Международн. конгресса в Риме («Средние века», ტ. VIII. 1956 წ., გვ 402).

ინგლისელი ისტორიკოსი სტივენ რენსიმენი საკითხის შემდეგ ინტერპრეტაციას იძლევა: XI საუკუნის რომაელი მღვდელმთავარნი გამოდიოდნენ რა ქრისტიანული რწმენიდან, რომლის მიხედვითაც ომი დანაშაულებაა, პირველყოვლისა ცდილობდნენ ევროპაში მშვიდობა დაემყარებინათ. როცა მათ ვერ შესძლეს ამ მიზნის მიღწევა „საღმრთო ზავისა" და „საღმრთო დაზავების" მოწყობით, მაშინ მათ გადასწყვიტეს დასავლეთის საბრძოლო ენერგია გამოეყენებინათ „ურჯულოთა" წინააღმდეგ იმ ანგარიშით, რომ საბოლოოდ ევროპაში მშვიდობა დაემყარებიათ. რენსიმენის აზრით, პაპობამ პირველად ნება დართო სარაცინების წინააღმდეგ ბრძოლას ესპანეთში, ხოლო მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს დასავლეთ ევროპის რაინდობა დასძრა აღმოსავლეთ ქვეყნების წინააღმდეგ. ამგვარად, ურბან მეორის გეგმა თითქოს მიზნად ისახავდა მშვიდობის დამყარებას ევროპაში.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ბურჟუაზიული მიმდინარეობა ჯვაროსანთა ლაშქრობის წამოწყების მიზეზებისა და მათი ამოცანების გაშუქების საკითხში არამც თუ მეცნიერულ სიმართლეს ემყარება, არამედ ისტორიის მეცნიერების გაყალბებას წარმოადგენს და მიუღებელია ობიექტურობის თვალსაზრისით. რაც შეეხება კერძოდ რენსიმენის დებულებებს, ისინი გასაგებია იმ შემთხვევაში, თუ პაპების მოქმედების ნამდვილი მიზანდასახულება მთლიანად იქნება გამომჟღავნებული და დადგინდება, რომ ჯვაროსნული ომების წამოწყებით მმართველ წრეებს და პაპებს სურდათ ევროპის მეამბოხე ელემენტების თავიდან მოცილება და მათი გამოყენება თავიანთ სასარგებლოდ აღმოსავლეთის ქვეყნებში. ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ იმ ნამდვილ სოციალურ-ეკონომიურ პირობებს, რომელთაც გამოიწვიეს ჯვაროსანთა ლაშქრობანი.

დასავლეთ ევროპის გლეხობის მდგომარეობა XI საუკუნეში. როგორც აღნიშნული იყო, მეთერთმეტე საუკუნისათვის დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში დამთავრდა ფეოდალიზაციის პროცესი. გლეხების დიდი უმრავლესობა ყმებად გადაიქცა. უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ნორმა უზომოდ გაიზარდა. მარტივ სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან ერთად ფეოდალი აღარ კმაყოფილდებოდა ყმებისაგან ზედმეტი პროდუქტების მიღებით მარტო თავისი პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ახლა მას სურდა გლეხობისაგან მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის ბაზარზე გატანა. ქალაქების წარმოშობასა და აღებ-მიცემის გაფართოებასთან ერთად ფეოდალი აღარ კმაყოფილდებოდა თავის მეურნეობაში დამზადებული ნაწარმით, მას უნ-

დოდა შეეძინა აღმოსავლური ნარნარა ქსოვილები, სურნელოვანი სანელებლები, ფუფუნების საგნები, ქალაქებში დამზადებული საუკეთესო ღვინოები, ტანსაცმელი და უკეთესი საომარი იარაღები და სხვ. ყველაფერ ამას ესაჭიროებოდა მნიშვნელოვანი რაოდენობით ფულის ამოქაჩვა, რა თქმა უნდა, უშუალო მწარმოებელთაგან. ეს კი აუცილებელს ხდიდა რენტის სახეობის შეცვლას, პროდუქტიულ გადასახადების ნაცვლად ფულადი გადასახადების შემოღებას ან, როგორც ამ პროცესს უწოდებდნენ, კომუტაციას.

გლეხობისათვის დაკისრებული გადასახადები და ფეოდალური ვალდებულებანი სულ უფრო და უფრო მატულობდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საეკლესიო ყმები. საეკლესიო ფეოდალური მეურნეობა ვაჭრობაში უფრო ადრე ჩაება, რის გამოც უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ფორმები საეკლესიო მიწათმფლობელობაში უფრო მკაცრი და აუტანელი გახდა. კამბრეს ქრონიკების ავტორი აღნიშნავს, რომ საეპისკოპოსოს ერთ-ერთი ციხე-კოშკი, მის გარშემო მყოფი მოსახლეობისათვის პირდაპირ „უბედურებად" გადაიქცა. ეს ციხე-კოშკიო, დასძენს ავტორი, საეპისკოპოსოს მთელ მოსახლეობას უდიდეს ზიანს აყენებდა. ერთ-ერთი ქამთაღმწერელის გადმოცემით ბამბერგის ეპისკოპოსმა ყმებს იმდენად მძიმე გადასახადები შეაწერა, რომ ისინი სიგიჟემდე მიიყვანაო. მეორე ქამთაღმწერელი გადმოგვცემს ბრემენის ეპისკოპოსის თაღლითური საქციელის შესახებ ყმების მიმართ და სხვ.

გლეხთა მდგომარეობა იმითაც მწვავდებოდა, რომ მათ შესაძლებლობა არ ჰქონდათ თავიანთი მეურნეობა მშვიდობიანად წარეგართათ. დასავლეთ ევროპაში მტკიცე, ცენტრალიზებული ხელისუფლების არ არსებობის გამო მეთერთმეტე საუკუნეში ფეოდალურმა ანარქიამ თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. რაინდების მხეცური თავდასხმები, პირველ რიგში, გლეხობას აჩანაგებდა. ფეოდალთა თავდასხმები გლეხურ ნათესებს სპობდა და აოხრებდა. ამას ემატებოდა ხშირი გვალვიანი წლები და მოუსავლიანობა. დაწყებული 970 წლიდან, ვიდრე 1040 წლამდე ორმოცდარვა წელი მოუსავლიანი იყო. შიმშილი და სიღატაკე ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით გადამდები სნეულებანი გლეხობას პირდაპირ მუსრს ავლებდა.

შექმნილმა მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ მოსახლეობის ფართო ფენებში დიდი მღელვარება გამოიწვია. გამძაფრდა კლასობრივი ბრძოლა, რომელიც სულ სხვადასხვა ფორმაში ვლინდებოდა—დაწყებული მწვალებლობიდან და დასახლებული ადგილე-

ბის ძიტოვებიდან. ვიდრე შეიარაღებულ გაძოსვლებამდე. ქრონიკის ბაძწერლები იტყობინებიან, რომ გაჩანაგებული გლეხების მხრივ ადგილი ჰქონდა მემამულეთა სახლ-კარისათვის ცეცხლის წაკიდებას, მათ ძარცვას. განადგურებასა და სხვ., იმავე ქრონიკებიდან ჩანს, რომ ღარიბები უსწორდებოდნენ მდიდრებს, რომელნიც, სარგებლობდნენ რა ღარიბთა გაჭირეებით, სესხს აძლევდნენ მათ დიდი სარგებლის მიღების პირობით და უკანასკნელთ უსპობდნენ არსებობის ყოველგვარ საშუალებას.

გლეხობა მთელი სოფლებით იყრებოდა დასახლებულ ადგილებიდან და მიუვალ ადგილებში მიდიოდა. XI საუკუნის ბოლოსათვის, ჯვაროსანთა ლაშქრობის დაწყების წინ, გლეხთა გაქცევამ დასახლებულ ადგილებიდან საყოველთაო ხასიათი მიიღო. ქრონიკებსა და ეგრეთ წოდებულ „წმინდანების ცხოვრებაში“ გლეხთა გაქცევის შემთხვევები საფრანგეთში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში ბევრჯერაა ნახსენები. წმ. დიზიბოდის მონასტრის „ანალების“ ავტორი 1094 წელს იტყობინებოდა, რომ ნორმანდიის ლე ბეკ-ელუანის სააბატოდან წავიდნენ ის ყმა გლეხები, რომელნიც სიკვდილს გადაურჩენენ. „თეოგერიის ცხოვრებაში“ შემონარჩუნებულია ცნობა იმის შესახებ. რომ შვარცვალდში მყოფ წმ. გიორგის სახ. მონასტრის ბერებმა და გლეხებმა გადასწყვიტეს დაშლილიყვნენ, რადგან „მათ საშველი აღარ, ჰქონდათ“. კლუნის აბატი გადმოგვცემს, რომ ყმები ხშირად იძულებულნი იყვნენ უცხო ადგილებში წასულიყვნენ. ორდერიკ ვიტალიუსის თქმით ნორმანდიიდან „ბევრი მოსახლე გაიქცა“; „გლეხებსა და მშვიდობიან მოქალაქეებს აღარ შეეძლოთ დამშვიდებით ყოფნა თავიანთ სახლებში“[1].

აუტანელმა და დუხჭირმა ყოფა-ცხოვრებამ ევროპის მოსახლეობის დაბალი ფენები ჰესიმიზმში ჩააგდო—ისინი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ პოულობდნენ. შექმნილი უბედურების მიზეზებს კათოლიკური ეკლესია ხსნიდა იმით, რომ თითქოს ეს უბედურებანი გამოწვეული იყო ადამიანების შეცოდებით ღვთის წინაშე და რომ ადამიანი გადაურჩეს საბოლოო დაღუპვას, საჭიროა ცოდვათა წინასწარი გამოსყიდვა. ეკლესიის აზრით მივიწყებული უნდა იქნეს ამ ქვეყნიური ლტოლვა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისადმი, ნაცვლად იმისა, რომ ფართო მოსახლეობამ ბრძოლა აწარმოოს მდიდართა წინააღმდეგ. საჭიროა ბედისადმი დამორჩილება და შეგე-

---

[1] М. А. Заборов. Папство и организация первого Крестового похода იხ. «Средние века», ტ VII, გვ. 273.

დრება ღვთისადმი, რათა მან საიქიოში სასუფეველი დაუმკვიდროს მათ.

მეთერთმეტე საუკუნის მიწურულისათვის ასკეტიზმი იმდენად განვითარდა ევროპაში, რომ მონასტრები გაივსო ბერ-მონაზვნებით, შვაბელი ყამთაღმწერლის თქმით 1091 წელს მთელს გერმანიაში შეიმჩნეოდა გლეხი ქალიშვილების მიერ მასობრივი უარის თქმა გათხოვებაზე. ვიდრე ჯვაროსანთა ლაშქრობანი დაიწყებოდა, ადგილი ჰქონდა აგრეთვე სოფლებში ჯგუფობრივ თვითმკვლელობებს. ამასთან, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სტოვებდა ყველაფერს და სალოცავად მიდიოდა სხვადასხვა მხარეში განსაკუთრებით კი, აღმოსავლეთისაკენ. ასე მაგალითად, 1054 წელს კამბრეს ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით 3 ათასი კაცი წავიდა სალოცავად. 1064 წელს მაინცის არქიეპისკოპოსის მეთაურობით 7 ათასი კაცი წავიდა იერუსალიმისაკენ და სხვ.

მლოცველთა ცალკეული ჯგუფები თავიანთ მიზნებს უკავშირებდნენ აგრეთვე სავაჭრო საქმიანობასაც. მლოცველებთან სხვადასხვა ადგილებიდან თავს იყრიდნენ ვაჭრები, ხელოსნები და რაინდებიც კი, რომელნიც ცდილობდნენ შორეულ ქვეყნებში გამდიდრებას მტაცებლობითა და ძარცვით. ასეთი საღმრთო-სავაჭრო და არა ყოველთვის უანგარო მოგზაურობა დიდ როლს ასრულებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთ გაცნობის საქმეში. მოგზაურნი ეცნობოდნენ იმ მიმართულებებს, რომლებითაც შემდეგში წარიმართა ჯვაროსანთა ლაშქრობანი.

ამგვარად, ჯვაროსანთა ლაშქრობების წამოწყების მიზეზი „ქრისტეს საფლავის განთავისუფლებაში" კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ იმდროინდელ აბობოქრებულ კლასობრივ ბრძოლებში, რაც ფეოდალურ ურთიერთობას დაღუპვით ემუქრებოდა. ფეოდალების გაბატონებულ კლასს (როგორც საეროს, ისე სასულიეროს) უნდა თავიდან აეცილებინა მომავალი კატასტროფა და ამიტომ იყო, რომ მან გლეხთა ეს მძლავრი მოძრაობა წარმართა თავისათვის სასურველი მიმართულებით, იგი გადაიტანა დასავლეთ ევროპიდან აღმოსავლეთის ქვეყნებში. გლეხთა მასობრივი მონაწილეობა ჯვაროსანთა პირველ და მეორე ლაშქრობაშიც სწორედ ამითი უნდა აიხსნას.

ფეოდალური კლასის ცალკე ფენების მონაწილეობა ჯვაროსანთა ლაშქრობებში. როცა ვეხებით ჯვაროსანთა ლაშქრობების წამოწყების მიზეზებს უნდა გვახსოვდეს, რომ მათში მონაწილე მასა სხვადასხვა ფენისაგან შედგებოდა და, მაშასადამე, მათი მონაწილეობაც ამ ლაშქრობებში სხვადასხვა ინტერესებით განისაზღვ-

რებოდა. რადგან ამ სხვადასხვა ფენათა შორის ჯვაროსანთა ლაშქრობებში ერთ-ერთი წამყვანი როლი რაინდობას მიეკუთვნებოდა, ამიტომ საჭირო იქნება მათი მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვაც.

ჯერ კიდევ კარლოს მარტელისა და განსაკუთრებით კარლოს დიდის დროს ფრანკთა მონარქიაში მოხდა აგრარული გადატრიალება. ბენეფიციუმები ფეოდებით შეიცვალა. ფეოდი მამიდან შვილებზე მემკვიდრეობით გადადიოდა და ამგვარად, იგი ქუცმაცდებოდა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპაში წვრილი რაინდების დიდი რაოდენობით გაჩენას და ბოლოს, რაინდის მამული იმდენად შემცირდა, რომ მან ფეოდალურ მეურნეობაში სულ უფრო და უფრო დაკარგა თავისი წინანდელი მნიშვნელობა. დაწყებული პროცესი რომ უფრო არ გაღრმავებულიყო, შემდეგში შემოღებულ იქნა ეგრეთწოდებული მაიორატის წესი, რომლის მიხედვით რაინდის მამული აღარ უნდა დანაწილებულიყო მის შვილებს შორის, არამედ რაინდის უფროს შვილს უნდა გადასცემოდა, რაც შეეხებოდა დანარჩენ (უმცროს) შვილებს, მათ თავიანთი თავი და ოჯახი თვითონ უნდა გამოეკვებნათ მამიდან მემკვიდრეობის მიღების გარეშე.

მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, მაიორატის წესის შემოღების შედეგად უმიწაწყლო რაინდების რაოდენობა ძალიან გაიზარდა. განსაკუთრებით ეს შესამჩნევი გახდა გერმანიასა და საფრანგეთში, სადაც ახოს აღება და ახალი მეურნეობის მოწყობა, თავისუფალი ადგილების უქონლობის გამო, შეუძლებელი იყო. ამგვარად, უმიწაწყლო რაინდების მდგომარეობა არა ნაკლებ სავალალო გახდა, მაგრამ რაკი ისინი სამხედრო წოდებას წარმოადგენდნენ და საომარ იარაღებსაც ფლობდნენ, შეეძლოთ თავიანთი არსებობის განგრძობა თავდასხმების მოწყობით, ძარცვა-გლეჯის წარმოებით, სამხედრო-ავანტურისტული წამოწყებებით და სხვ. როცა ევროპაში გამოცხადდა ჯვაროსანთა ლაშქრობა, წვრილი რაინდობა ამ ამბავს სიხარულით შეხვდა, რადგან მის წინაშე იშლებოდა კარგი პერსპექტივა აღმოსავლეთის სიმდიდრის ხელში ჩაგდებისა.

რაც შეეხება მსხვილ ფეოდალებს (მეფეები, გრაფები, ჰერცოგები და სხვ.), რასაკვირველია, ისინი არაფრით არ იყვნენ იძულებულნი მიენებებინათ თავი თავიანთი ადგილებისათვის, რათა სხვაგან, შორს მოენახათ საარსებო საშუალება. და თუ ისინიც ღებულობდნენ მონაწილეობას (მეფეები არ ღებულობდნენ მონაწილეობას პირველსა და მეოთხე ლაშქრობაში) ეს იმიტომ, რომ მათი მიზანი იყო ტერიტორიალურად გაეფართოებინათ სამფლო-

ბელოები. გაეზარდათ შემოსავალი და ამასთან ერთად თავიანთი ჯავლენა გაევრცელებინათ აღმოსავლეთზე. მსხვილ ფეოდალობაში შიგადაშიგ მოიპოვებოდნენ ისეთებიც, რომელთაც საშინაო საქმეები აწეწილი ჰქონდათ ან რომელიმე მეზობელ ძლიერ ფეოდალურ საგვარეულოსთან ისინი სისხლის აღების მიზნით განუწყვეტელ ბრძოლებს აწარმოებდნენ და, ეშინოდათ რა მოწინააღმდეგისა, ცდილობდნენ მოსისხლე მტერს გასცლოდნენ აღმოსავლეთში წასვლით.

იტალიის ქალაქებისა და რომის პაპების მონაწილეობა ჯვაროსანთა ლაშქრობებში. ჯვაროსანთა ლაშქრობაში გაცხოველებულ მონაწილეობას ღებულობდნენ იტალიის ისეთი ქალაქები, როგორებიც იყო გენუა, პიზა, ვენეცია ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ თურქ-სელჯუკების ლაშყრობებმა შეაფერხეს ევროპელთა ხმელთაშუა ზღვის ვაჭრობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რითაც ზემოხსენებული ქალაქები ეკონომიურად მნიშვნელოვნად დაზარალდნენ. იტალიის ქალაქებს შეეძლოთ ახლა სავაჭრო ოპერაციების წარმოება მხოლოდ შავ ზღვაზე გასვლით, მაგრამ აქ მათ მძლავრ კონკურენციას ბიზანტიის ქალაქები, უმთავრესად, კონსტანტინეპოლი უწევდა. საჭირო იყო ამ წინააღმდეგობათა გადალახვა, მაგრამ ეს შეუძლებელი ხდებოდა შეიარაღებული ძალების გამოუყენებლად. ამგვარად, ჯვაროსანთა ლაშქრობაში იტალიის ქალაქები ორგვარ მიზანს ისახავდნენ: 1. გაერღვიანა თურქ-სელჯუკების რკალი და უშუალოდ დაკავშირებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებს და 2. გაენადგურებინათ კონსტანტინეპოლის სიმძლავრე და ამით მოესპოთ თავიანთი მძლავრი კონკურენტი.

ყველაფერი ეს აიძულებდა იტალიის ქალაქებს აქტიურად ჩაბმულიყვნენ ჯვაროსანთა ლაშქრობაში. ამ მხრივ მათი როლი მართლაც მნიშვნელოვანი იყო. მხოლოდ მათ შეეძლოთ ჯვაროსანთა ლაშქრობის უზრუნველყოფა საომარი იარაღებითა და ფინანსური დახმარების აღმოჩენით. მათი მონაწილეობა ჯვაროსანთა ლაშქრობაში მით უფრო საგრძნობი ხდებოდა, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობანი ხშირად ზღვით წარიმართებოდა ხოლმე და საზღვაო ფლოტი კი ჯვაროსნებს თვითონ არ გააჩნდათ. იტალიის ქალაქები თავიანთი საზღვაო ფლოტით რეგულარულად ახდენდნენ ჯვაროსანთა მოლაშქრეების გადაყვანას ერთი ადგილიდან მეორეზე და თვითონაც უშუალოდ ებმებოდნენ ბრძოლაში.

გენუელი კონსული კაფარო დე კასკიფელონე პალესტინისათვის ბრძოლებში გენუელების მონაწილეობის შესახებ წერდა: „მართალია, რომ ქალაქი იერუსალიმი აიღეს ფრანკების აღნიშნულმა ჯა-

-რებმა ზოგიერთი გენუელის, სახელდობრ გუილერმოს, ემბრიაკოს და პრიმოს, მისი ძმისა და სხვა ბევრი მამაცი გენუელი ვაჟკაცის მონაწილეობით. ისინი იქ აკეთებდნენ მანქანებს. მათი გამჭრიახობით ქალაქი აღებულ იქნა 1099 წლის ივლისში. გენუელებმა და მეფე ბალდუინმა ბრძოლებით დაიპყრეს ცეზარია და აზოტი... როცა ამ ორი ქალაქის დაპყრობის შემდეგ გენუელები სამშობლოში ბრუნდებოდნენ. მოვიდნენ ბიზანტიაში და იტაკის კუნძულთან ისინი შეხვდნენ კონსტანტინეპოლის იმპერატორის ფლოტს. რომელსაც ლანდულფი ხელმძღვანელობდა. ძას თან ახლდა სამოცი შელანდა[1]. გენუელებმა შვიდი მათგანი დასწვეს. ხოლო დანარჩენთა წინააღმდეგ ოცდა შვიდი გალეათი[2] გამოვიდნენ. რათა შეიარაღებული ძალებით ისინი ხელში ჩაეგდოთ".

როგორც აღვნიშნეთ, X—XI საუკუნეები ფეოდალური ანარქიის ეპოქა იყო დასავლეთ ევროპისათვის. ცენტრალიზებული ხელისუფლების არარსებობა, ან მისი ნაკლები ეფექტურობა, ჰქმნიდა იმის საშიშროებას. რომ გამძაფრებულ კლასთა ბრძოლების პირობებში. ფეოდალების კლასი დაჰკარგავდა თავის გაბატონებულ მდგომარეობას. რადგან საერთო ხაზით ვერ მოხერხდა მდგომარეობის განმტკიცება. ამიტომ ეკლესიამ, როგორც ფეოდალურმა ორგანიზაციამ, სცადა თავისი რიგების განმტკიცება ეკლესიის შიგნით ბტკიცე დისციპლინის დამყარებით, დოვლათის დაგროვებითა და მოსახლეობაში საკუთარი ავტორიტეტის ამაღლებით. როგორც ვიცით, სწორედ ამ მიზნებს ისახავდა კლუნიური მოძრაობა. ამასთან, ისიც ცნობილია. რომ კლუნიური მოძრაობის ინიციატორები (პირველ რიგში გრიგოლ VII) ცდილობდნენ საერო ხელისუფლების ეკლესიისადმი დამორჩილებას და მსოფლიო თეოკრატიული მონარქიის შექმნას.

რომის პაპების ამ გეგმის განხორციელება. უპირველეს ყოვლისა. გულისხმობდა რომისადმი აღმოსავლეთის ბიზანტიურ-მართლმადიდებლური ეკლესიის დამორჩილებას. ჯერ კიდევ პაპმა გრიგოლ VII-ემ გადაწყვიტა „ბერძნულ სქიზმატიკოსებისათვის" ბოლო მოეღო. მაგრამ რადგან იგი მაშინ ჰენრიხ IV ბრძოლაში იყო ჩაბმული, ამიტომ ვერ განახორციელა თავისი გადაწყვეტილება. ამ ყაჩაღური წამოწყების ქადაგება და მისი ორგანიზაცია წილად ხვდა პაპს ურბან მეორეს. ამ უკანასკნელის სურვილების მი-

---

[1] შელანდა—ორსართულიანი სამხედრო ხომალდი იყო, რომელიც 150 კაცამდე იტევდა.

[2] გალეა -სამხედრო ხომალდი. რომელიც თავისი სისწრაფით გამოირჩეოდა.

ხედვიდ უნდა მომხდარიყო „მართლმადიდებლური“ ეკლესიის დამორჩილება ბიზანტიის ტერიტორიის ხელში ჩაგდებით, მაგრამ რადგან ქრისტიანების ბრძოლა ქრისტიანებისავე წინააღმდეგ საზოგადოებრივი თვალსაზრისით დაუშვებელი იქნებოდა, ამიტომ თავდაპირველად ბრძოლა უნდა წარმართულიყო სირია-პალესტინის „ურჯულოთა“ წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ ბიზანტიის დასამორჩილებლად.

რომის პაპს თავისი ავანტიურისტული საქმის წამოსაწყებად სხვა მხრივაც უნდა გაეკეთებინა ნიღაბი, თავისი მტაცებლური ზრახვები საღმრთო საქმედ უნდა გამოეცხადებინა, უნდა მომხდარიყო „ქრისტეს საფლავის“ დახსნა „ურჯულოთაგან“; თითქოს უფალი მოითხოვდა ადამიანთა მსხვერპლს თვით ადამიანთა საბოლოო წაწყმენდისაგან დასახსნელად და აი ის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ევროპას. მისი მოსახლეობის მიერ ჩადენილი ცოდვები ადამიანებს ბრძოლის ველზე უნდა სისხლით გამოესყიდათ და ამითი დაემკვიდრებინათ თავიანთვის სასუფეველი. მაგრამ ურბან მეორემ კარგად იცოდა, რომ მარტო ასეთი „ციური“ დაპირებებით დიდ გავლენას ვერ მოახდენდა თავის მსმენელებზე და ამიტომ თავის მოწოდებაში აღნიშნა, რომ „ისინი ვინც აქ მწუხარენი და ღარიბნი არიან, აღმოსავლეთში მხიარულნი და მდიდარნი იქნებიან“. საფიქრებელია, რომ პაპის სიტყვიდან ყველაზე უფრო მეტად ამ არგუმენტმა იქონია გავლენა, რადგან ზოგიერთი ჟამთაღმწერლის თქმით, პაპის სიტყვა ამ დროს შესწყვიტეს წამოძახილებით—„ღმერთს ასე სურს“.

ურბან მეორე თავის სიტყვაში მიმართავდა რაინდებს: „უძლეველ წინაპართა შთამომავალნო, უძლეველნო მხედრებო!... თქვენ ხელთ იგდებთ თქვენი მტრების განძეულობას... თქვენ უნდა დაიმორჩილოთ იერუსალიმის მიწა-წყალი“ და სხვ.. რა იყო ყოველივე ეს, თუ არა რაინდობის პირდაპირი მოწოდება ძარცვა-გლეჯისაკენ?

იმ მიზნით, რათა ევროპიდან დაეჩქარებინა „მეამბოხე ელემენტების“ გასვლა და რაც შეიძლებოდა მეტი მასები ჩაება ამ საქმეში, პაპმა თავის სიტყვაში აღმოსავლეთის დაპყრობა ყოვლად გაადვილებულ ფორმებში წარმოადგინა. მან განაცხადა, რომ გზა იერუსალიმამდე—მოკლეა, რომ თითქოს იერუსალიმამდე მიღწევა არ შეიცავს რაიმე რთულ სიძნელეებს: „გზა მოკლეა, შრომა კი—არართული“—დასძენდა ის. ამასთან პაპი აღნიშნავდა, რომ ის ვინც ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებდა, მის ქონებას დაიცავდა ეკლესია მანამდე, ვიდრე ლაშქრობის მონაწილე უკან არ დაბრუნდებოდა.

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა[1]. ურბან მეორის მოწოდება ჯვაროსანთა ლაშქრობის წამოწყების შესახებ წარმოთქმული იყო 1095 წელს ქ. კლერმონში (საფრანგეთი) მოწვეულ ეგრეთწოდებულ საეკლესიო კრებაზე. ამ კრების საქმიანი ნაწილის დამთავრების შემდეგ. კრებას ესწრებოდა: 14 არქიეპისკოპოსი. 250 ეპისკოპოსი და 400-მდე აბატი. გარდა ამისა კრებაზე თავი მოიყარა უამრავმა დაბალი სასულიერო წოდებისა და ფეოდალური რაინდობის წარმომადგენლობამ. მარტო ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობის წამოწყების შესახებ ქადაგება ადრევე იყო დაწყებული. პაპის მიერ წარმოთქმული სიტყვის შემდეგ ყველა დამსწრემ სურვილი გამოსთქვა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე, რის გამოც ტანსაცმელზე წითელი ნაჭრის ჯვარის გამოსახულება გაიკეთა (აქედან—„ჯვაროსანი").

საეკლესიო კრებაზე გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობა „ურჯულოთა" წინააღმდეგ 1096 წლის ზაფხულში (15 აგვისტო) დაწყებულიყო. პაპმა დასავლეთის ყველა ეპისკოპოსს დაავალა ჯვაროსანთა ლაშქრობის სასარგებლოდ გაეწიათ აგიტაცია თავიანთ მრევლში. გარდა ამისა, სპეციალურად პაპის ლეგატები გაემგზავრნენ სხვადასხვა მხარეებში მოსახლეობის დასარაზმავად. მქადაგებელთა შორის მალე სახელი გაითქვა პეტრე მწირმა, ანუ პეტრე ამიენელმა. ამ ფანატიკოს განდეგილს, მარქსის თქმით—„ბრიყვს, როგორც ვირს", არ შეეძლო გაეთვალისწინებინა ყველა ის სიძნელე, რაც მოლაშქრე გლეხობას გადაეღობებოდა შორეულ ქვეყნებში.

პეტრე ამიენელმა ჩრდილო და ცენტრალურ საფრანგეთში მალე შესძლო გლეხკაცობისა და ღარიბების გადმობირება. მალე მათ დასავლეთ გერმანიის გლეხობაც შეუერთდა და ათეული ათასობით ჯვაროსნები, მოხუცები თუ ახალგაზრდები, პეტრე ამიენელის ხელმძღვანელობით დაიძრნენ აღმოსავლეთისაკენ. მათი შეიარაღება და ბრძოლის უნარიანობა სრულიად არ უპასუხებდა აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას. პეტრე ამიენელმა ვერ გაითვალისწინა ისიც, რომ უზარმაზარ მანძილზე, რომელზეც ჯვაროსნებს უნდა გაევლოთ, საჭირო იყო მათი გამოკვება. არავითარი სურსათ-სანოვაგის მარაგი ჯვაროსნებს თან არ ჰქონდათ. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ მოლაშქრე გლეხობას დიდი რაოდენობით მიეტმას-

---

[1] ჯვაროსნების ლაშქრობათა რაოდენობას ბურჟუაზიული ისტორიკოსები სხვადასხვა რიცხვით განსაზღვრავდნენ. საბოლოოდ დადგენილია ჯვაროსანთა რვა ლაშქრობა.

ნენ დეკლასირებული ელემენტები, რომელნიც ცდილობდნენ მოახლეობის ძარცვითა და რბევით გამდიდრებულიყვნენ.

თავიდანვე აშკარად ჩანდა, რომ ეს წამოწყება სრული მარცხით უნდა დამთავრებულიყო მით უფრო, რომ პეტრე ამინელმა არ დაუცადა კლერმონის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადას და 1096 წლის გაზაფხულის დასაწყისში იწყო სვლა აღმოსავლეთისაკენ. მიმართულებად აღებული იყო მდინარე რაინის დინება, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გასვლა და შემდეგ, კონსტანტინეპოლიდან მცირე აზიის ტერიტორიაზე ბრძოლებში ჩაბმა. ჯვაროსნებს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი მანძილი არ ჰქონდათ გავლილი, რომ შიმშილის გამო იძულებულნი გახდნენ რაინის პირა ქალაქები დაერბიათ. ასე მოიქცნენ ისინი მაგალითად, ქ. კელნში, მაინცში და სხვ. მათი ძარცვა-რბევა მაშინაც გრძელდებოდა, როცა ისინი გადიოდნენ უნგრეთისა და ბულგარეთის ტერიტორიას. ბუნებრივია, რომ ამ ეარემოებას უნდა მოჰყოლოდა ჯვაროსნების ბრძოლა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ყოველივე ამის შედეგად, ვიდრე ჯვაროსნები მიაღწევდნენ კონსტანტინეპოლს, მათი შემადგენლობის ნახევარი გზაშივე განადგურდა.

როცა ჯვაროსანთა ლაშქრობის მონაწილენი მივიდნენ კონსტანტინეპოლში, ერთ-ერთი ქამთაღმწერლის გადმოცემით, ბიზანტიის იმპერატორმა მათ ნება დართო თავისუფლად ევაჭრათ... და უთხრა მათ: „ზღვაზე (იგულისხმება მარმარილოს ზღვა) ნუ გასცურავთ, ვიდრე არ მოვა მთავარი ქრისტიანული ჯარი, რადგან თქვენ მცირერიცხოვანი ხართ იმისათვის, რომ შესძლოთ თურქებთან ბრძოლა". მაგრამ, როცა ჯვაროსნებმა თვით კონსტანტინეპოლში იწყეს უწესოებათა ჩადენა, იმპერატორი განრისხდა და უბრძანა ჯვაროსნები დაუყოვნებლივ გადაეყვანათ სრუტეზე. აქედან მათ ნიკომედიას მიაღწიეს და ოთხი დღის შემდეგ დაიკავეს ციხე ექსეროგორგო.

მალე ამ ციხეს თურქებმა ალყა შემოარტყეს. რვა დღის ალყის შემდეგ გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა. ჯვაროსნების მნიშვნელოვანი ნაწილი ბრძოლაში გაწყდა. მეორე ნაწილი, რომელიც ტყვეობაში მოჰყვა, მონებად გაჰყიდეს. მანამდე კი პეტრე ამიენელმა ჯვაროსანთა მცირე რაზმებით მოახერხა კონსტანტინეპოლში გაპარვა. ამგვარად, გლეხების ცდა გაქცეულიყვნენ თავიანთ მებატონე ფეოდალებისაგან აღმოსავლეთში და იქ მოეპოვებინათ მიწა და თავისუფლება, სასტიკი მარცხით დამთავრდა. მხოლოდ დარჩენილმა გლეხთა უმნიშვნელო რაზმებმა შემდეგში რაინდებთან ერთად მო-

ნაწილეობა მიიღეს იმ ბრძოლებში, რომლებიც ანტიოქიის მისადგომებთან გაიმართა.

ჯვაროსანთა ეს ლაშქრობა თავისი სოციალური შემადგენლობითა და ამოცანებით არსებითად განსხვავდებოდა შემდეგში მოწყობილ ჯვაროსანთა ლაშქრობებისაგან. მიუხედავად ამისა, იგი ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის პირველ შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის მეორე ტალღა, რომელიც უფრო ორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა, სხვაგვარი შედეგებით დამთავრდა.

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის მეორე შემადგენლობა უმთავრესად რაინდობით განისაზღვრა. მასში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, იტალიისა და ნაწილობრივ დასავლეთ-გერმანიის რაინდებმა. რაინდობის ცალკეულ დაჯგუფებებს სხვადასხვა პირები ხელმძღვანელობდნენ. თავდაპირველად თავისი შეიარაღებული რაზმებით დაიძრა საფრანგეთის მეფის ფილიპე პირველის ძმა ჰიუგი. იგი მიდიოდა სამხრეთიდან. იტალიაზე გავლით. აქედან მან გასცურა ადრიატიკის ზღვა და, როგორც ფულკერი შარტრელი აღნიშნავს, მიადგა ბულგარელების ქალაქ დურაცოს. იგი აქ მოსახლეობამ ტყვედ იგდო ხელში და ბიზანტიის იმპერატორს გადასცა. ალექსი I კომნენოსს ერთხანს ჰიუგი საპატიო ტყვედ ჰყავდა.

ჰიუგის შემდეგ, აპულიელი ბოჰემუნდი, ტორენტის ჰერცოგი, რობერტ გუისკარის შვილი, სამხრეთ იტალიიდან ბალკანეთზე გავლით ბიზანტიაში გადავიდა. ამავე ხანებში ლოტარინგიის ჰერცოგი გოტფრიდი, რომელიც ცნობილი იყო გოტფრიდ ბულონელის სახელწოდებით, დიდი ჯარით დაიძრა უნგრეთისაკენ. რაინდების სხვა დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა გრაფი რაიმონდ პროვანსელი ანუ ტულუზელი. ისა და ეპისკოპოსი ადემარი, რომელიც პაპის ლეგატს წარმოადგენდა ჯვაროსანთა ლაშქრობაში, წავიდნენ დალმაციაზე გავლით. ოქტომბერში თავისი შეიარაღებული ძალებით გამოვიდა ნორმანდიის გრაფი რობერტი, რომელსაც თან ახლდნენ ბლუას გრაფი სტეფანე და ფლანდრიის გრაფი რობერტი. ყველა მოლაშქრე რაინდების საერთო რაოდენობა 30-დან 40-ათასამდე კაცს აღწევდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ საჭურველმტვირთელებს და სხვ.

ჯვაროსნებმა კონსტანტინეპოლში თავი მოიყარეს მხოლოდ 1097 წლის გაზაფხულზე, მაგრამ ვიდრე დაიწყებოდა ლაშქრობა მუსლიმანების წინააღმდეგ, ჯვაროსნებსა და ბიზანტიას შორის თავი იჩინა მძაფრმა წინააღმდეგობამ. საქმე ისაა, რომ ჯვაროსნებს

უნდა გაენთავისუფლებინათ თურქ დამპყრობელთაგან ის ადგილები. რომელნიც ადრევე ბიზანტიის კუთვნილებას წარმოადგენდა. იმპერატორი მოითხოვდა, რომ ეს ადგილები ბიზანტიას უკან დაბრუნებოდა, ხოლო ჯვაროსნები მათ მისაკუთრებას ცდილობდნენ. ჯვაროსნებსა და იმპერატორს შორის მოლაპარაკება გაჭიანურდა. პირველნი დაჟინებით მოითხოვდნენ თავისას. ანა კომნენოსის თქმით, იმპერატორმა შემდეგ ხერხს მიმართა. მან მოლაპარაკება ჯვაროსნებთან ცალ-ცალკე ჩაატარა. ზოგი მოსყიდვით გადაიბირა, ზოგი კი დაპირებებით.

მოლაპარაკება ბოლოს ერთგვარი კომპრომისით დამთავრდა. განთავისუფლებული ადგილები ფაქტიურად ჯვაროსანთა ვასალურ-გულებაში დარჩებოდა, ოღონდ ლაშქრობათა მეთაურებს იმპერატორის წინაშე ერთგულების ფიცი უნდა დაედოთ. ამგვარად, ბიზანტიის იმპერატორი მათ სიუზერენად ცხადდებოდა, ხოლო ჯვაროსანთა ლაშქრობის ხელმძღვანელნი — მის ვასალებად.

მხოლოდ ამ შეთანხმების შემდეგ, 1097 წლის ზაფხულში ჯვაროსნები გადავიდნენ მცირე აზიაში. აქ მათ მეგობრულად შეხვდნენ კილიკიის სომხები. მიუხედავად ამისა, ბოდუენმა დაიკავა სომხების ქალაქი ედესა, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა იმის გამო, რომ იგი მესოპოტამიიდან სირიაში მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ასე დაარსდა ეგრეთ წოდებული ედესის საგრაფო. შემდეგში ჯვაროსნები ბრძოლებით მიუახლოვდნენ ქ. ანტიოქიას. ეს ქალაქი მეტად გამაგრებული აღმოჩნდა. მისი კედლები იმდენად სქელი იყო, რომ მათზე თავისუფლად შეეძლო გავლა ოთხი ცხენით შებმული ეტლს. ჯვაროსნების პირდაპირი იერიშები ქალაქზე უშედეგოდ მთავრდებოდა. ქალაქის ალყამ დიდხანს გასტანა. ბოლოს, ამ ქალაქის გარნიზონის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ღალატის შედეგად, ქალაქი აიღეს. ჯვაროსნებმა ამოხოცეს არა მარტო ტყვეები; მათ არ დაინდეს მოხუცები, ქალები და ბავშვები. ანტიოქიის აღების შემდეგ მთელი მისი მიდამოებიც დაკავებულ იქნა. ამ მიდამოებში დაარსდა ეგრეთ წოდებული ანტიოქიის სამთავრო, რომლის მმართველად ბოჰემუნდ ტარენტელი იქნა გამოცხადებული. ანტიოქიის სამხრეთით მდებარე ტრიპოლის ოლქი ხვდა მესამე მსხვილ ფეოდალს რაიმონდ ტულუზელს.

ამ ადგილების დაპყრობისას ჯვაროსანთა ლაშქრობის ხელმძღვანელნი სულაც არ ჩქარობდნენ თავიანთი „მთავარი“ მიზნის განხორციელებას—იერუსალიმის აღებასა და „ქრისტეს საფლავის“ განთავისუფლებას. მათ თითქმის ერთი წელიწადი მოანდომეს დაპ-

ყრობილი ადგილების ძარცვასა და მოსახლეობის აწიოკებას. მხოლოდ 1099 წლის გაზაფხულზე მათი შეთხელებული რიგები დაიძრა იერუსალიმისაკენ. მაგრამ იერუსალიმის აღება ერთი შეტევით შეუძლებელი გახდა. ჯვაროსნებს არ აღმოაჩნდათ საკმაო რაოდენობის კიბეები ქალაქის კედლებზე ასვლისათვის. სათანადო სამზადისის ჩატარების შემდეგ ჯვაროსნებმა იერუსალიმზე კვლავ მიიტანეს იერიშები. ბოლოს როგორც იქნა იერუსალიმი აიღეს.

იერუსალიმის აღების შემდეგ ჯვაროსნებმა იქ ისეთი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს, რომლის წინაშე ანტიოქიის განადგურება არარად მოჩანდა. მარტო სოლომონის ტაძარში 10 ათასამდე კაცი აღმოჩნდა დახოცილი. ფულკერი შარტრელი აღნიშნავს: „და თქვენ, რომ იქ ყოფილიყავით, თქვენი ფეხები ბარძაყებამდე მოკლულთა სისხლით მოისვრებოდა. რა უნდა ითქვას? ვერც ერთმა მათგანმა სიცოცხლე ვერ შეინარჩუნა. არ დაუნდვიათ არც ქალები და არც ბავშვები.

თქვენ შეგეძლოთ გენახათ... ჩვენი საპურველ-მტვირთველნი და უფრო ღარიბი ქვეითნი, რომელთაც შეიტყვეს სარაცინების ეშმაკობა, მოკლულებს როგორ უფატრავდნენ მუცლებს, რათა იქიდან ამოეღოთ ოქროს მონეტები, რომელნიც მათ სიცოცხლეში გადაეყლაპათ... საქმის გასაადვილებლად რამდენიმე დღის შემდეგ მათ ცხედრები ერთ ადგილას დააწყვეს, დასწვეს და ფერფლად აქციეს, რათა უფრო სწრაფად მოენახათ აღნიშნული ოქროები“.

იერუსალიმის სამეფოს დაარსება. იერუსალიმის აღების შემდეგ ჯვაროსნებმა განაგრძეს დაპყრობები. მათ მთლიანად დაიკავეს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროები და ვენეციელების, გენუელების და პიზელების დახმარებით ხელთ იგდეს რამდენიმე სანავსადგურო ქალაქი. ასე წარმოიშვა აღმოსავლეთში ჯვაროსანთა პატარ-პატარა სამთავროები და მათ შორის იერუსალიმის სამეფოც. ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი იყო. იგი მოიცავდა მთელ პალესტინასა და სირიის სამხრეთი მიდამოების ნაწილს. იერუსალიმის სახელმწიფოს პირველი მეფე გოტფრიდ ბულონელი იყო, ხოლო ამ სამეფოს საბოლოო გაფორმება მისი მომდევნო მეფის ბოდუენის (1100—1118) დროს მოხდა.

იერუსალიმის სამეფოზე პოლიტიკურად დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ ტრიპოლის საგრაფო, ანტიოქიის სამთავრო და ედესის საგრაფო. ფორმალურად ისინი იერუსალიმის სამეფოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, ხოლო ფაქტიურად დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ. როგორც ენგელსი აღნიშნავს, იერუსალიმის სამეფო ყველაზე უფრო წმინდა ფეოდალური

ხასიათის მატარებელი იყო. ენგელსი წერდა, რომ, „იგი (ე. ი. ფეოდალიზმი— გ. ტ.) თავის ცნებას უფრო მეტად დაუახლოვდა იერუსალიმის ეფემერულ სამეფოში, რომელმაც „იერუსალიმის ასიზებში" ფეოდალური წყობილების ყველაზე უფრო კლასიკური გამოსახულება დატოვა"[1].

„იერუსალიმის ასიზები" ცნობილია მხოლოდ XIII საუკუნის რედაქციით. ეს წარმოადგენდა თავისებურ ფეოდალურ კონსტიტუციას, რომლის მიხედვითაც მეფე ფეოდალების მიერ უნდა ყოფილიყო არჩეული. მაშასადამე, იერუსალიმში მეფობა მემკვიდრეობით არ გადადიოდა. სამეფო ხელისუფლება მართვა-გამგებლობის სფეროში შეზღუდული იყო ეგრეთ წოდებული უმაღლესი დარბაზით. ყოველგვარი მნიშვნელოვანი საკითხი მეფეს უნდა გადაეწყვიტა დარბაზის წევრ მსხვილ ფეოდალებთან შეთანხმებით. იერუსალიმის ასიზებში მეფისა და დარბაზის წევრების ურთიერთობა მთლიანად დამყარებულ იქნა ფეოდალურ დევიზზე—primus inter pares (პრიმუს ინტერ პარეს — პირველი თანასწორთაგანი), რომლის მიხედვითაც მეფე იყო პირველი თანასწორ ფეოდალთა შორის.

იერუსალიმის ასიზებით დადგენილი იყო, რომ მეფის ვასალებს წელიწადში რამდენიმე დღე უნდა გაეწიათ მისთვის სამხედრო სამსახური, ზედმეტის მოთხოვნა დაუშვებელი იყო. იმ შემთხვევაში, თუ მეფე რომელიმე ფეოდალის უფლებათა შეკვეცას შეეცდებოდა, ყველა ფეოდალს უფლება ენიჭებოდა უარი ეთქვა მეფისათვის სამსახურის გაწევაზე. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალების უმაღლესი დარბაზი წარმოადგენდა სასამართლოს უმაღლეს ინსტანციას, სადაც განიხილავდნენ ფეოდალების დავასა და საჩივრებს.

იერუსალიმის სამეფო თავისებურ სამხედრო-ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რაც ჯვაროსანთა ცვალებადი შემადგენლობით აიხსნებოდა. რაინდების ერთი ნაწილი გამდიდრდებოდა თუ არა, სტოვებდა აღმოსავლეთს და თავის სამშობლოში ბრუნდებოდა. მართალია, ევროპიდან ხელახლა სხვა რაინდები მოდიოდნენ, მაგრამ ჯვაროსანთა სამეფოს და სამთავროების თავდაცვა ამ დენადობის გამო სუსტდებოდა. გარდა ამისა, ახლად შექმნილი პოლიტიკური ერთეულების სტრატეგიული მდგომარეობაც მაინცა და მაინც არ აღმოჩნდა სახარბიელო. ჯვაროსნები ლაშქრობის დროს ღრმად ვერ შეიჭრნენ ქვეყნის შიდა ნაწილებში და მათ მიერ

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 534.

დაარსებული სამეფო-სამთავროები გადაჭიმული აღმოჩნდნენ 1200 კილომეტრის მანძილზე ზღვისპირა ადგილებში, რაც თავდაცვის საქმეს აძნელებდა. ამასთან ისლამის მიმდევარნი სისტემატურად აწყობდნენ მათზე თავდასხმებს.

აი, როგორ აგვიწერს იერუსალიმის სამეფოს ვითარებას ჯვაროსანთა ერთი ნაწილის ევროპაში დაბრუნების შემდეგ ვილჰელმ ტირელი[1] (XII საუკ. 80-იანი წლები): „ჩვენი შესაძლებლობანი და მეომართა რიცხვი ისე მცირე იყო, რომ, როდესაც ისინი დაიბარეს და სასწრაფოდ გამოცხადდნენ, ძლივსძლივობით სახეზე აღმოჩნდა სამასი რაინდი და ორი ათასი ქვეითი. ქალაქები, რომელნიც ჩვენს გამგებლობაში მოექცნენ, მცირე რაოდენობით იყო და არეულად განლაგებული იმ ადგილებში, რომელნიც მტერს ეკუთვნოდა. დიდი შიშით გვიხდებოდა ერთი ქალაქიდან მეორეში გადასვლა მაშინ, როდესაც ეს აუცილებელს წარმოადგენდა. ჩვენს ქვეყანაში ყველა სასოფლო ადგილი დასახლებული იყო ურწმუნოებითა და სარაცინებით; მათზე უბოროტესი მტრები ჩვენ ხალხს არ ჰყავდა...“

ჯვაროსნებმა დაპყრობის შემდეგ ამ ადგილებში მნიშვნელოვანი სიმაგრეები ააგეს. ასეთები იყო: მონრეალი, კრაკი (რომელიც მდინარე იორდანეს მიღმა მდებარეობდა), საფეტი, ბელვუარი, სალეფი (რომელიც აკონსა და გენისარეტის ტბის შუა მდებარეობდა) და სხვ. ქვეყნის უკეთ გამაგრების მიზნით იერუსალიმის სამეფო დანაწილებული იყო სხვადასხვა მთავრებსა და ბარონებს შორის, ომლებსაც მეფის ხელმძღვანელობით უნდა მოეწყოთ თავდაცვა. თვით მეფეს მიკუთვნებული ჰქონდა ქ. იერუსალიმი, ნეაპოლი, აკონი და ტირი ზოგიერთი ციხე-სიმაგრით. მეფის ვასალების (ტრიპოლიტანიის გრაფი, გალილეის მთავარი, იაფისა და ასკალონის გრაფი და სხვ.) ვალდებულნი იყვნენ გარკვეული რაოდენობის რაინდებით გამოსულიყვნენ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად.

იერუსალიმის სამეფოში მიწათმფლობელობა ასევე დამყარებული იყო სამხედრო პრინციპებზე. რაინდობას ეძლეოდა ფეოდები და იმ შემთხვევაში, თუ მათი მიმღებნი არ შეასრულებდნენ სამხედრო ვალდებულებას, მათ მიწები ჩამოერთმეოდათ. ფეოდებს აძლევდნენ აგრეთვე ლაშქრობის მონაწილე ევროპელ გლეხებსაც, რის შემდეგ ისინიც რაინდებად ხდებოდნენ. ეს აიხსნება იმ

---

[1] ვილჰელმი იყო ტირის არქიეპისკოპოსი, რომელმაც დაწერა „საღმრთო ომის ისტორია“. იგი ეხება ჯვაროსანთა პირველ ლაშქრობას და იერუსალიმის სამეფოს ისტორიას 1184 წლამდე.

გარემოებით, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაინდების რიცხვი შედარებით მცირე იყო და ქვეყანას კი დაცვა სჭირდებოდა, რაინდობა უმთავრესად ცხოვრობდა ქალაქებში და გამაგრებულ ადგილებში. ადგილობრივი (სირიისა და პალესტინის) გლეხობა მათ სხვადასხვა გადასახადს აძლევდა. მიწების მნიშვნელოვანი რაოდენობა დასავლეთის კათოლიკურ სასულიერო წოდებას მიეკუთვნა. იერუსალიმის კათოლიკე პატრიარქი იერუსალიმის სამეფოში, მეფის შემდეგ, პირველ პირად ითვლებოდა და მეფის იქ არ ყოფნის დროს იგი განაგებდა სამეფოს.

იმდენად, რამდენადაც იერუსალიმის სამეფო ჩამოყალიბდა იტალიის ქალაქების აქტიური დახმარებით, ამ ქალაქების ვაჭრებმა იერუსალიმის სამეფოში დიდი პრივილეგიები მიიღეს. განსაკუთრებით ეს ითქმის ვენეციელებზე. 1124 წელს ვენეციასა და იერუსალიმის სამეფოს შორის ხელშეკრულება დაიდო. ამ ხელშეკრულების მიხედვით „ყველა ქალაქებში, რომელნიც ხსენებულ მეფეს, მის მემკვიდრეებსა და ყველა მის ბარონებს ექვემდებარებიან, ვენეციელებს უნდა ჰქონდეთ ეკლესია და მთელი ქუჩა, ერთი მოედანი და აბანო, აგრეთვე პურის საცხობი; ყველა ამათ ისინი უნდა ჰფლობდნენ მუდმივად მემკვიდრეობითი უფლების საფუძველზე, ყოველგვარი გამოსაღების გადახდის გარეშე, სამეფო საკუთრების თანაბრად“. ამავე ხელშეკრულების ძალით ვენეციელ ვაჭრებზე არავითარი გადასახადი ან ბაჟი არ ვრცელდებოდა, არც საქონლის გაყიდვისა და არც შესყიდვის დროს. საქონლის შემოტანა და გატანა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ. გარდა ამისა, მათ უფლება ჰქონდათ ჰქონოდათ თავიანთი სასამართლო. ისინი სხვა სასამართლოს არ ექვემდებარებოდნენ.

იერუსალიმის სამეფო ეთნიკური თვალსაზრისით ძალზე ჭრელი იყო. ვიდრე ჯვაროსნები დაიპყრობდნენ ამ ადგილებს, ადგილობრივი მოსახლეობა უმთავრესად შედგებოდა სირიელებისაგან, სომხებისაგან, ბერძნებისაგან, არაბებისაგან და თურქებისაგან. ჯვაროსნების აქ მოსვლით დამატებით გაჩნდნენ: ჩრდილო და სამხრეთ საფრანგეთის მოსახლეობა, ბრეტონელები და პროვანსელები, გერმანელები, სკანდინავიელები, შოტლანდიელები, უნგრელები, იტალიელები და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგი მოსახლეობა რაოდენობით ყველა მოსულს სჭარბობდა, რის გამო იერუსალიმის სამეფოში ყველა მოსულს ფრანგს უწოდებდნენ. ყველა დამპყრობელნი, ძირითადად, გაბატონებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა ყმებად იქცა.

იაკობ ვიტრიელი თავის „იერუსალიმის ისტორიაში“ ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ აღნიშნავდა: „არიან (იქ) სხვა ადამიანებიც, რომელნიც ძველთაგანვე ამ ქვეყანაში ცხოვრებისას განიცდიდნენ ბერძნების, რომაელების, ლათინების, ბარბაროსების, სარაცინებისა და ქრისტიანების ჩაგვრას, ისინი დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვა ფორმებში ეწევიან მონობის უღელს; იმყოფებიან რა მონებად და იხდიან რა გადასახადებს, მათი ბატონების მიერ ისინი ყველგან განწესებულნი არიან სოფლის მეურნეობის სამუშაოებზე და სხვა საქმეებზე“.

იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ ბატონყმური ურთიერთობა აქ უფრო მკაცრი აღმოჩნდა. ყველა მიწათმოქმედი მიმაგრებული იყო მიწაზე. სირიელი ყმის მოცილება მიწიდან და ოჯახიდან ადვილად ხდებოდა. შეიძლებოდა მისი გაყიდვა, გასაჩუქრება, მზითევში გატანება და ა. შ. კიპროსელი იურისტი ფილიპე ნოვარელი ასეთ ყმებს მუშა საქონელსა და სამუშაო იარაღებს უთანაბრებდა; ისინი ყოველგვარი პირადი უფლებების გარეშე აღმოჩნდნენ რაინდების ხელში. ყველაფერმა ამან და იმ გარემოებამ, რომ ყმა არც რაიმე ტრადიციული ჩვევებით იყო დაცული, ბატონყმური ურთიერთობა აღმოსავლეთში უფრო მკაცრი გახადა.

გლეხობის დიდი უმრავლესობა რაინდების სასარგებლოდ შემოსავლის ნახევარზე უფრო მეტს იხდიდა. გადასახადები გაიღებოდა, როგორც ფულადი, ისე პროდუქტიული სახით. თუმცა XIII საუკუნის ცნობილი მოგზაური რუბრუკვისი(Roubrouque)აღნიშნავდა, რომ სირიელი ყმები შემოსავლის მესამედს იხდიანო, მაგრამ სხვა წყაროების მიხედვით გადასახადების რაოდენობის რაიმე განსაზღვრა XII საუკუნეში არ არსებობდა. თითქმის ყველა სახის გადასახადი ნებისმიერი იყო და ბატონს რამდენიც მოეპრიანებოდა ყმას იმდენს ახდევინებდა. სხვანაირად ეს წარმოუდგენელიც იყო, რადგან ჯვაროსნების უმრავლესობა ამ ადგილებში თავის თავს დროებით მაცხოვრებლად სთვლიდა და ცდილობდა მოკლე ხნის განმავლობაში გამდიდრებულიყო და სამშობლოს დაბრუნებოდა. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის ნორმა დიდად უნდა გაზრდილიყო და რომ ამ გარემოებას უნდა გაემძაფრებინა კლასობრივი ბრძოლა.

ადგილობრივი გლეხობა მიმართავდა კლასობრივი ბრძოლის ყველა საშუალებას დაწყებული პასიური წინააღმდეგობიდან და დამთავრებული შეიარაღებული გამოსვლებით. ვილჰელმ ტირელი ადგილობრივი გლეხობის შესახებ წერდა: „ისინი არა მარტო

ჰკლავდნენ და ჩვენ მტრებს მონებად მიჰყიდდნენ ტყვექმნილ რაინდებს, რომელნიც მანამდე მოურიდებლად გზებზე დაიარებოდნენ. არამედ უარსაც აცხადებდნენ სასოფლო სამუშაოებზეც, რომ შიმშილით ჩვენები დაეთრგუნათ. ისინი მზად იყვნენ თვითონ ეშიმშილათ, ვიდრე რაიმე მომსახურეობა გაეწიათ ჩვენებისათვის, რომელთაც ისინი თავიანთ მტრებად თვლიდნენ". გლეხობის დიდი ნაწილი აღარ ხნავდა და აღარ თესავდა ყანებს. მთელ რიგ შემთხვევებში ჯირნახულის აკრეფასაც კი გაურბოდა. 1125 წელს ბეირუთში დაიწყო გლეხთა ძლიერი აჯანყება, რომელიც ძლივს-ძლივობით ჩაახშეს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ იერუსალიმის სამეფოს პოლიტიკური ვითარება სრულიადაც არ იყო სახარბიელო. როგორც უკვე აღვნიშნეთ მეფეთა არჩევითობის გამო სამეფო ხელისუფლება მეტად მერყევი გამოდგა. მსხვილი ფეოდალები ხშირად მეფისადმი ურჩობას იჩენდნენ. დისციპლინა არც საშუალო და არც წვრილ ფეოდალებში არ იყო საპატიოდ მიჩნეული. ხშირად ფეოდალები ერთი მეორის წინააღმდეგ აწარმოებდნენ ბრძოლას და რიგ შემთხვევებში თავიანთ დამხმარედ მაჰმადიანებს ეპატიჟებოდნენ. ამგვარად, ერთი მხრივ, გაბატონებული ფეოდალური კლასის შინაგანი შესუსტება, ხოლო, მეორეს მხრივ, გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლები აუცილებელს ხდიდნენ ისეთ ღონისძიებათა გატარებას, რომელნიც შესაძლებელს გახდიდნენ იერუსალიმის სამეფოს შერყეული მდგომარეობის გამოსწორებას. ამ მიზნით ჩამოყალიბებულ იქნა მუდმივი სამხედრო ორგანიზაციები, ეგრეთ წოდებული ორდენების სახით.

ეს ორდენები ერთდროულად წარმოადგენდნენ, როგორც საასულიერო, ისე სამხედრო ორგანიზაციებს. ორდენის წევრი ბერი იმავე დროს მეომარი რაინდიც იყო. რაინდული იარაღით აღჭურვილი, იგი ზემოდან ატარებდა ბერის მოსასხამს, მანტიას. ორდენის თვითეული წევრი გადიოდა სპეციალურ სამხედრო წვრთნას, რის შედეგადაც ის კარგად ჰფლობდა ლახვარსა და მახვილს. როგორც წესი, ორდენის წევრებად ღებულობდნენ რაინდს, ან რაინდის ოჯახის რომელიმე წევრს. ორდენებს ჰქონდათ თავიანთი წესდება. ორდენები რომის პაპს ემორჩილებოდნენ და საერო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. როგორც პალესტინაში, ისე ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში ორდენები ჰფლობდნენ უამრავ მამულებს, რომელთა შემოსავალი ორდენების მიერ წარმოებულ სავაჭრო ოპერაციებთან ერთად მათი არსებობის ძირითად მატერიალურ ბაზას წარმოადგენდა.

აღმოსავლეთში ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის შედეგად სამი ორდენი ჩამოყალიბდა: ტამპლიერების (temple —ფრანგულად, templum — ლათინურად, ტაძარს ნიშნავს. აქედან, ტამპლიერები, ტაძროსანნი), იონატების ანუ ჰოსპიტალერების (სიტყვა ჰოსპიტალიდან) და ტევტონების ანუ გერმანელების. ფრანგების ორდენი ჩამოყალიბდა 1119 წელს ტამპლიერების სახელწოდებით. ეს სახელწოდება მან მიიღო იქიდან, რომ მეფე ბოდუენ II (1118—1131) მათ განკარგულებაში გადასცა სასახლის ნაწილი, რომელიც ეგრეთ წოდებულ სოლომონის ტაძარს ემიჯნებოდა.

ვილჰელმ ტირელის თქმით ორდენში დაარსებისას სულ ცხრა წევრი იყო, ხოლო პაპის, ევგენის დროს წევრთა რაოდენობა, რაინდების სახით, სამასამდე გაიზარდა და ეგრეთ წოდებულ „უბრალო ძმების“ რიცხვი გაცილებით უფრო დიდი გახდა. ამასთან, ვილჰელმი დასძენს: „ამბობენ, რომ მათი სამფლობელოები, როგორც ზღვის აქეთ, ისე ზღვის იქითა მხარეზე დიდია, რომ ქრისტიანულ სამყაროში არაა ოლქი, რომელსაც თავის სამფლობელოების ნაწილი აღნიშნულ ძმებისათვის არ გადაეცეს. და ამბობენ, რომ ეს ძმები ახლა თავიანთი სიმდიდრით მეფეებთან თანაბარნი არიან“. მართლაც, ტამპლიერების ორდენი მოკლე ხნის განმავლობაში იმდენად გაძლიერდა, რომ მას 10 000-მდე ეკლესია ექვემდებარებოდა სხვადასხვა ადგილებში, ორდენს ჰქონდა უამრავი მამულები. XIV საუკუნის დასაწყისში (1307 წ.). როცა საფრანგეთის მეფემ, ფილიპე IV ლამაზმა დაშალა ეს ორდენი, მან მისი 10 000 მამულის კონფისკაცია მოახდინა. ორდენს ჰყავდა საკუთარი საზღვაო ფლოტი. მას ჰქონდა ბანკები, რომელთა მეშვეობით იგი მსხვილ მევახშეობას ეწეოდა. ამ ორდენის ფინანსურ შესაძლებლობას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მან კუნძულ კიპროსის შესაძენად 100 000 ოქრო გაიღო.

გაცილებით უფრო ადრე მოქმედებდა ეგრეთ წოდებული საქველმოქმედო ძმობა, რომელიც იოანიტების სახელწოდებას ატარებდა. ამ ძმობამ ჰოსპიტალი დააარსა და ამიტომ ძმობას სხვანაირად ჰოსპიტალიერებს უწოდებდნენ. თავდაპირველად ძმობის მიზანს წარმოადგენდა დასავლეთიდან აღმოსავლეთში წამოსულ მლოცველთათვის მომსახურეობის გაწევა, მაგრამ მალე იგი ტამპლიერების მსგავსად ორდენად გადაიქცა და სამხედრო ხასიათი მიიღო. ჰოსპიტალიერების ორდენს, ისე როგორც ტამპლიერებისას, თავისი საკუთარი ეკლესიები და მამულები გააჩნდა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებშიაც. ერთხანად ეს ორივე ორდენი აქტიუ-

რად იყო ჩაბმული ესპანურ რეკონკისტაში და ბრძოლებს აწარმოებდა მავრების წინააღმდეგ. ჰოსპიტალიერების ორდენის შემადგენლობაში ჰარბობდნენ იტალიელები.

ბოლოს, მეთორმეტე საუკუნის მიწურულში წარმოიშვა მესამე—ტევტონთა ორდენი. მისი სახელწოდება განსაზღვრა მისმა ეროვნულმა შემადგენლობამ. მასში უმთავრესად გერმანელები ღებულობდნენ მონაწილეობას[1]. ეს ორდენები ჯვაროსანთა სამფლობელოების ყველაზე ორგანიზებულ ძალას წარმოადგენდნენ. აღმოსავლეთის საზღვრებზე ამ ორდენებს გააჩნდათ უამრავი ციხე-სიმაგრე. როცა ისლამის მიმდევრებმა ჯვაროსნები შეავიწროვეს, რაინდების ორდენებმა ყველაზე ბოლოს დასტოვეს ეს ადგილები.

აღმოსავლეთიდან წასვლის შემდეგ ორდენებმა თავიანთი მუშაობის ცენტრი ევროპაში გადაიტანეს. როგორც აღვნიშნეთ, ტამპლიერების ორდენმა შესწყვიტა თავისი არსებობა საფრანგეთის მეფე ფილიპე მეოთხესთან დამოკიდებულების შედეგად. რაც შეეხება ტევტონთა ორდენს, მან თავისი მუშაობა მთლიანად ბალტიისპირეთში გადაიტანა. თავდაპირველად იგი პოლონეთის ფეოდალებმა მიიწვიეს ადგილობრივ „წარმართების", პრუსიელების წინააღმდეგ. ტევტონთა ორდენმა მალე „მახვილოსანთა" ორდენი შეიერთა და შექმნა თავისი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც საშიშ მოვლენად გადაიქცა თვით პოლონეთისათვის და სხვა სლავთა ტომებისათვის. ტევტონთა ორდენს პირველად მნიშვნელოვანი დარტყმა ალექსანდრე ნეველმა ჩუდის ტბაზე აგემა 1243 წელს, ხოლო 1410 წელს გრიუნვალდის ბრძოლაში ტევტონთა ორდენის პოლიტიკური ძალა საბოლოოდ განადგურდა.

1291 წელს, მას შემდეგ, რაც ჰოსპიტალიერების ორდენმა დასტოვა იერუსალიმის სამეფო, თავისი საქმიანობის ცენტრი მან კუნძულ კიპროსზე გადაიტანა. 1310 წელს ჰოსპიტალერებმა დაიმორჩილეს კუნძული როდოსი, სადაც იმყოფებოდნენ 1522 წლამდე. შემდეგში (1530 წ.) დამკვიდრდნენ კუნძულ მალტაზე და ამის შემდეგ ერთხანს განაგრძობდნენ თავიანთ არსებობას ახლა უკვე მალტის რაინდების სახელწოდებით (მალტის ორდენი).

ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა. ორდენების ჩამოყალიბებით ჯვაროსანთა სამეფო-სამთავროებმა აღმოსავლეთში ერთგვარი პოლიტიკური სიმტკიცე მოიპოვეს, მაგრამ ეს მაინც საკმარისი არ აღმოჩნდა, ვინაიდან ამ სამეფო-სამთავროთა შინაგანი ვითარება კვლავ

---

[1] ტევტონთა ორდენი პალესტინაში რაიმე მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდა.

დაძაბული იყო. ჯვაროსნების ცალკეული მესვეურები გამუდმებით ერთიმეორის წინააღმდეგობაში იყვნენ და, რაც მთავარია, შიგნით განუწყვეტლივ იზრდებოდა კლასობრივი ბრძოლა. ამ მდგომარეობით ისარგებლა მოსულის ათაბაგმა და 1144 წელს მოულოდნელი იერიშით დაიკავა ედესა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ედესის საგრაფოს ჯვაროსნების სამფლობელოთა სისტემაში მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი ეკავა. იგი იცავდა იერუსალიმის სამეფოს ჩრდილოაღმოსავლეთის მისადგომებს. ამასთან დაკავშირებით იერუსალიმის მეფემ თხოვნით მიმართა პაპს თურქების წინააღმდეგ ევროპიდან რაინდების ახალი ნაკადები გამოეგზავნათ. რომის კათოლიკურმა ეკლესიამ კვლავ დაიწყო აგიტაცია ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის სასარგებლოდ. ამას შეღეგად მოჰყვა ის, რომ საფრანგეთის მეფემ ლუი VII-ემ და გერმანიის იმპერატორმა კონრად III-ემ იწყეს მზადება მეორე ლაშქრობის წამოწყებისათვის. დიდძალი შეიარაღებული ძალების თავმოყრის შემდეგ 1147 წ. დაიწყო ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა წინა აზიაში.

მეორე ლაშქრობის მიმართულება იწყებოდა მეციდან. სამხრეთიდან გაუვლიდა ჩეხეთს, შემდეგ უნგრეთისა და ბულგარეთის ტერიტორიაზე გადასვლითა და კონსტანტინეპოლის გავლით წარიმართებოდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ. ამ მიმართულებით პირველად გამოსული გერმანელების შეიარაღებული ნაწილები თურქებმა მცირე აზიაში გაანადგურეს. ფრანგები კი იტალიის ნავსადგურიდან საზღვაო გზით გაემართნენ პალესტინისაკენ. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგების ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობდნენ გლეხებიც. რომელნიც ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი. ხომალდებში ჩასხდომისას რაინდებმა გადასწყვიტეს, რომ გლეხების შემდეგი თანხლება ზედმეტ ბარგად გადაიქცეოდა მათთვის და, ამიტომ, ისინი თან აღარ გაიყოლიეს. ხომალდების ნავსადგურიდან გასვლის შემდეგ იქ დარჩენილი გლეხობის მეტი ნაწილი თურქებმა ამოწყვიტეს. ხოლო დარჩენილმა სამი ათასამდე კაცმა ისლამის სარწმუნოება მიიღო და თურქების მხარეზე გადავიდა.

აღნიშნული მიმართულებით ჯვაროსნები დამასკომდე მივიდნენ. მათ ამ ქალაქს ალყა შემოარტყეს. მაგრამ მისი აღება ვერ შესძლეს. ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა 1149 წლამდე გაგრძელდა და ბოლოს იგი სრული კრახით დამთავრდა იმის გამო, რომ ბრძოლებში სირიაში უკვე დაბინავებული ბარონები ჯვაროსნებს არავითარ დახმარებას არ უწევდნენ. ეს ბარონები შიშობდნენ, რომ გამარჯ-

ვების შემთხვევაში ახლად მოსული ჯვაროსნები თვითონ ჩაიგდებდნენ ხელში ყველა ძველ მონაპოვარს და გაბატონდებოდნენ პირველთა ხარჯზე.

ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობა. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი. ედესის დაკარგვით იერუსალიმის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მეტად დიდი საშიშროება შეექმნა. შემდეგ ამას დაემატა ახალი გართულებანი. მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმის სამეფოს ახლა სამხრეთიდანაც მოელოდა იერიშების მიტანა. ეგვიპტეში ფატიმიდების დინასტიის დაცემის შემდეგ (1171), როცა ეგვიპტის მმართველი გახდა ნიჭიერი მხედართმთავარი, წარმოშობით ქურთი სალაჰ-ედ-დინი (სალადინი), ეგვიპტე, სირიის მუსლიმანური ტერიტორიები და ჰიჯასი ერთ სამეფოში გაერთიანდა. ამგვარად, ეს ახალი სამეფო ძლიერი აღმოჩნდა არა მარტო ეკონომიურად, არამედ პოლიტიკურადაც.

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში სალადინი შეეცადა ჯვაროსნების განდევნას. მან ჯვაროსნებს „საღმრთო ომი" გამოუცხადა და ისინი სასტიკად დაამარცხა ტიბერიადასთან. რამდენიმე კვირის განმავლობაში მან ხელთ იგდო სიდონი, ბეირუთი, ასკალონი, იაფა და, ბოლოს (1187 წ.), თვით იერუსალიმი. იერუსალიმის აღებისას, ჯვაროსნებისაგან განსხვავებით მას ქალაქში ხოცვა-ჟლეტა არ მოუწყვია, იგი გამოსყიდვით შესცვალა. „გამოსყიდვაში სალადინმა თვითეულ მამაკაცზე 10 ოქროს დენარი, ქალზე 5 ოქროს დენარი და ბავშვზე 1ოქროს დენარი აიღო. ის პირნი, რომელთაც გამოსასყიდი არ გაიღეს, სალადინმა მონებად აქცია"[1].

დაწყებული 1189 წლიდან ჯვაროსანთა განკარგულებაში დარჩა მხოლოდ ანტიოქია, ტრიპოლი, ტირი და ჰოსპიტალიერების ციხე-სიმაგრე მარკატი. მაგრამ სირიის ამ კოლონიებს მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც დასაყრდენ პუნქტებს აღმოსავლეთთან ვაჭრობის საქმეში. ამიტომ მათი დაკარგვა ევროპელებისათვის მეტად საზიანო საქმე იყო. იერუსალიმის სამეფოს დაცემა უკვე ნიშნავდა ამ დასაყრდენი პუნქტების ხელიდან გამოცლას, ამიტომ იყო, რომ იერუსალიმის დაცემას დაუყოვნებლივ მოჰყვა ჯვაროსანთა ახალი, მესამე ლაშქრობა. იგი დაიწყო 1189 წელს და გაგრძელდა 1192 წლამდე.

---

[1] Н. А. Сидорова. Крестовые походы в страны восточного Средиземноморья. იხ. Всемирная история, ტ. III, 1957, გვ. 335

სალადინის წინააღმდეგ ევროპაში წამოწყებულ მესამე ლაშქრობაში ჩაება სამი ძლიერი სახელმწიფო: გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი. ამ ლაშქრობას პირადად მათი მეფეები ხელმძღვანელობდნენ. გერმანიის მეფე ფრიდრიხ ბარბაროსა ადრევე ცნობილი იყო თავისი ბრძოლებით, რომელთაც ის აწარმოებდა იტალიის ქალაქების წინააღმდეგ. საფრანგეთის მეფე ფილიპე მეორე ავგუსტუსი ცნობილი იყო იმით, რომ ინგლისის მეფე იოანე „უმიწაწყლოს" მიწების დიდი ნაწილი ჩამოართვა საფრანგეთის ტერიტორიაზე და პირველმა ჩაუყარა საფუძველი მძლავრი სამეფო ხელისუფლების წარმოქმნას საფრანგეთში. ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული განთქმული იყო თავისი ვაჟკაცობით, თუმცა მისი „გმირობა" უფრო მეტად გამოიხატებოდა დამარცხებული მოწინააღმდეგის მიმართ მკაცრ მოპყრობაში.

ლაშქრობა პირველად დაიწყო ფრიდრიხ ბარბაროსამ. მან თავისი შეიარაღებული ძალებით გაიარა ბიზანტიის ტერიტორია. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ბიზანტია სალადინთან მეგობრულ კავშირში იმყოფებოდა და ცდილობდა ხელი შეეშალა ჯვაროსანთა ლაშქრობისათვის, ფრიდრიხ ბარბაროსმა მაინც შესძლო მცირე აზიაში გადასვლა დარდანელის სრუტით. მაგრამ სირიაში პატარა მდინარის, სალეფის გადასელის დროს იგი წყალში ჩაიხრჩო. ამის შემდეგ გერმანიის მთავარმა შეიარაღებულმა ძალებმა 1190 წ. შესწყვიტეს ლაშქრობა და შინ დაბრუნდნენ.

დანარჩენი ორი მეფე ფილიპე ავგუსტუსი და რიჩარდ ლომგული ადრევე ერთი მეორის მტრები იყვნენ. ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობის დაწყებისას მათ დროებით მიივიწყეს ეს მტრობა და ორივემ დაიწყეს ლაშქრობა აღმოსავლეთისაკენ ხმელთაშუა ზღვით, მაგრამ მათში არსებულმა წინააღმდეგობამ ლაშქრობისას კვლავ იჩინა თავი და ამიტომ ერთობლივი მოქმედება ისლამის მიმდევართა წინააღმდეგ მათ ვერ განახორციელეს, მიუხედავად იმისა, რომ 1191 წელს აკრის წინააღმდეგ ისინი გაერთიანებული ძალებით გამოვიდნენ. ამავე წლის ზაფხულში აკრა ჯვაროსნებმა აიღეს და მალე ფილიპე მეორე თავისი შეიარაღებული ძალებით ევროპაში გაბრუნდა.

რიჩარდი ამის შემდეგ კვლავ განაგრძობდა თავის საქმიანობას პალესტინაში 1192 წლამდე. ამ წელს მან მოახერხა სამი წლით საზავო ხელშეკრულების დადება სალადინთან. ამ ხელშეკრულების თანახმად ეგრეთ წოდებულ იერუსალიმის სამეფოს დარჩა მხოლოდ ზღვის სანაპირო ზონა ტირიდან დაწყებული იაფამდე. ამიერიდან ამ სამეფოს ცენტრად ნავსადგური აკრა გადაიქცა. ახლა

სირიაში განაგრძობდა თავის არსებობას ანტიოქია-ტრიპოლისის გაერთიანებული სამთავრო. ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობის შედეგად ახალი კოლონიები გარდა კიპროსისა არ შეუძენიათ შეუთანხმებელი მოქმედების გამო.

ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობის ერთადერთ თვალსაჩინო შედეგს წარმოადგენდა რიჩარდ ლომგულის მიერ ბიზანტიელთა კუნძულის კიპროსის ჩამორთმევა. უფრო გვიან აკრადან აქ გადმოვიდა იერუსალიმის მეფე თავისი სასახლით. კიპროსის სამეფოს არსებობა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა ჯვაროსანთა დანარჩენ სამფლობელოებთან შედარებით. იგი მოისპო მხოლოდ მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში. ამგვარად, მისმა არსებობამ გასტანა 250 წელზე მეტ ხანს.

ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობა, მისი მიმდინარეობა და შედეგები. როგორც ზემოთ დავინახეთ ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობამ თავის მიზანს ვერ მიაღწია—იერუსალიმის გათავისუფლება ისლამის მიმდევართაგან ვერ მოხერხდა. ასევე—კვლავ განაგრძობდა თავის დამოუკიდებელ არსებობას ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია. ამგვარად. პაპობის ამოცანა, რომელიც მდგომარეობდა რომის კათოლიკურ ეკლესიისადმი ახლო აღმოსავლეთისა და კერძოდ ბიზანტიური ეკლესიის დამორჩილებაში, ვერ იქნა გადაწყვეტილი. 1198 წელს რომის პაპად ინოკენტი III გამოცხადდა (1198 — 1216). მისი პონტიფიკატის (მმართველობის) ხანაში პაპის ხელისუფლებამ თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ინოკენტი მესამე ძლიერ პიროვნებას წარმოადგენდა. იგი თავისი დროის ყველაზე უფრო ცნობილი და ცბიერი დიპლომატი იყო. ინოკენტი ისევე ფანატიკურად მიილტვოდა მსოფლიო ბატონობისაკენ, როგორც პაპი გრიგოლ VII.

ინოკენტი მესამემ თავდაპირველად თავისი ძალაუფლება ცენტრალურ იტალიაში განამტკიცა. შემდეგში თანდათანობით იტალიიდან გერმანელები განდევნა. ამავე დროს თავისი გავლენა მან გაავრცელა ორივე სიცილიის სამეფოზეც იმის გამო, რომ სიცილიის ყოფილი მეფის ჰენრიხ VI უმცროსი შვილის (მომავალი ფრიდრიხ II) მეურნე გახდა. ამგვარად. სიცილიის სამეფო, შვეიცია და ღანია მის ვასალებად გადაიქცნენ. ჯერ კიდევ ადრე (1144 წ). პორტუგალია პაპებისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. პორტუგალიამ ხელახლა ვასალური ფიცი დასდო ინოკენტი მესამის წინაშეც. 1204 წელს არაგონიის მეფემ პედრომაც ინოკენტი მესამე სცნო თავის სიუზერენად. ბულგარეთის და სერბიის მეფეებიც ლამობდნენ ინოკენტი მესამის მფარველობაში შეს-

ვლას, რისთვისაც პაპს პირდებოდნენ თავიანთი ეკლესიების გაერთიანებას რომის კათოლიკურ ეკლესიასთან.

ამით გათამამებულმა ინოკენტიმ თავის პონტიფიკატის დასაწყისშივე იწყო პროპაგანდა ჯვაროსანთა ახალი ლაშქრობის წამოწყებისა, იმ მიზნით, რათა უფრო მეტად გაეზარდნა პაპობის გავლენა სხვადასხვა ხალხებზე. მთელ რიგ ქვეყნებში დაგზავნილ იქნენ პაპის წარმომადგენელნი მოსახლეობის დარაზმვის მიზნით. ამასთან, დაიწყო სათანადო სახსრების შეგროვებაც. 1199 წელს პაპმა მოითხოვა ყველა ეკლესიის შემოსავლის 1/20 ნაწილის გადადება ჯვაროსანთა ლაშქრობისათვის. როგორც მეოთხე ლაშქრობის მონაწილე ჟოფრუა ვილაურდენი აღნიშნავს: „ყველა ის, ვინც ჯვარს მიიღებდა და ღმერთს მოემსახურებოდა ჯარში ყოფნით ერთი წლის განმავლობაში, უნდა გათავისუფლებულიყო ყოველგვარი ცოდვისაგან, რაც მას ჰქონდა ჩადენილი“. მაგრამ, ეს დაპირება მარტო იმქვეყნიური როდი იყო. ამა თუ იმ ფეოდალის მიერ ჩადენილი ცოდვა იმაშიაც გამოიხატებოდა, რომ იგი ერთგულების ფიცს დაარღვევდა მეფის, ან რომელიმე თავის სიუზერენის წინაშე. ამ შემთხვევაში, თუ ის ჯვარს მიიღებდა, ე. ი. გადასწყვეტდა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას, არა მარტო ცოდვისაგან თავისუფლდებოდა, არამედ ხელშეუხებლადაც ითვლებოდა, და არავის არ ჰქონდა უფლება მის სამფლობელოზე თავდასხმა მოეწყო.

ჯვაროსანთა ლაშქრობის მოწყობის ქადაგებას განსაკუთრებით მეტი გასაქანი მიეცა საფრანგეთში. როგორც უკვე აღვნიშნეთ საფრანგეთის მეფე ფილიპე მეორე და ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული ურთიერთშორის განუწყვეტელ ბრძოლებს აწარმოებდნენ. ამ ბრძოლებში საფრანგეთის მსხვილი ფეოდალების ერთი ნაწილი ინგლისის მეფეს უჭერდა მხარს. 1199 წლის 16 აპრილს რიჩარდი მოულოდნელად გარდაიცვალა. ფილიპე მეორის მოწინააღმდეგე ფეოდალების წინაშე დიდი საშიშროება წამოიჭრა. ახლა ფილიპეს შეეძლო მათი განადგურება, რადგან მათ მხარდამჭერი აღარ ჰყავდათ. ერთადერთი გამოსავალი მათთვის ჯვაროსანთა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება იყო და, როდესაც (1199 წლის დეკემბერში) ეკრიში (შამპანის საგრაფო) მოწყობილ იქნა ტურნირი, მათ სურვილი განაცხადეს ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე.

ვილარდუენი ზემონათქვამის შესახებ წერდა: „...შამპანში იყო ტურნირი ერთ კოშკში, რომელსაც ეკრი ეწოდებოდა, და ღვთის განგებით შამპანისა და ბრის გრაფმა ტიბომ, აგრეთვე ბლუასა და შარტრის გრაფმა ლუდოვიკომ, მიიღეს ჯვარი... ისინი საფრანგეთის მეფის ძმისწულები და ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ,

ხოლო მეორე მხრით, — ინგლისის მეფის დისწულები. ამ ორ ვრაფთან ერთად ჯვარი მიიღეს საფრანგეთის ყველაზე წარჩინებულმა ბარონებმა სიმონ დე მონფორმა და რენო დე მონმიერელმა. ამ ცნობილ პირთა მიერ ჯვრის მიღებას ქვეყნად დიდი გამოხმაურება მოჰყვა...“ ამის შემდეგ ავტორი ჩამოთვლის მრავალ სენიორს, რომელთაც აგრეთვე გამოთქვეს ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების სურვილი და მათ შორის თავის თავსაც ასახელებს. ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე იტალიელმა რაინდებმაც. ამ ლაშქრობის ხელმძღვანელად დაინიშნა გრაფი ტიბო, ხოლო მის ერთ-ერთ მრჩეველად თვით ჟოფრუა ვილარდუენი.

ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის ძირითადი მიზანი თავდაპირველად იერუსალიმის დაბრუნება იყო. მისმა მონაწილეებმა წინა ლაშქრობათა გამოცდილებანი გაითვალისწინეს და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თავდაპირვანდელი მარშრუტი ამ ლაშქრობებისა, რომელიც ხმელეთით უნდა წარმართულიყო, არ იყო ხელსაყრელი, ვერ ერთი იმიტომ, რომ მანძილი დიდი იყო. გარდა ამისა, ამ მიმართულებით სასმელი წყალი საკმაოდ არ მოიპოვებოდა და, რაც მთავარია, საშინელი სიცხეების გამო აბჯარ-მუზარადებში ანუ ჩაფხუტებში მოქმედება შეუძლებელი ხდებოდა. ახალი ლაშქრობის მარშრუტად მათ აირჩიეს სამხრეთ იტალიიდან ეგვიპტეში გადასვლა და მისი დაპყრობა. ეგვიპტის ხელში ჩაგდება ჯვაროსნებს საკვებით დააკმაყოფილებდა სურსათ-სანოვაგით; გარდა ამისა, ჯვაროსნები კარგ სტრატეგიულ ადგილს დაიკავებდნენ იმ მხრივ, რომ ისინი მუსლიმანებს გვერდიდან შემოუვლიდნენ სამხრეთის მიმართულებით.

ზემოხსენებული მიმართულებით სვლა თავის მხრივ მოითხოვდა ჯვაროსნების ეგვიპტეში გადასვლას ზღვით, ჯვაროსნებს კი საკუთარი საზღვაო ფლოტი არ გააჩნდათ. ამ საკითხზე თათბირების მოწყობის შემდეგ ჯვაროსნებმა გადაწყვიტეს დახმარებისათვის მიემართათ ვენეციისათვის, რომელსაც ყველაზე ძლიერი საზღვაო ფლოტი გააჩნდა. ვენეციის არჩევანი იმითაც განისაზღვრა, რომ გენუასა და პიზას შორის ამ დროს სისხლისმღვრელი ბრძოლა წარმოებდა. 1201 წლის თებერვალს ჯვაროსნებმა თავიანთი წარმომადგენლები ვილარდუენის ხელმძღვანელობით მოსალაპარაკებლად გაგზავნეს ვენეციის დოჟთან (მმართველი) ენრიკო დანდოლოსთან.

90 წლის მოხუცი ენრიკო დანდოლო თავისი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეთაგანი იყო. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, იგი აღსავსე იყო ენერგიითა და გაბედულად მოქმედებდა.

დანდოლო. თუმცა მხედველობას მოკლებული იყო. მაინც ყველა-ფერში კარგად ერკვეოდა. დაქსაქსულ საერთაშორისო ვითარებაში ის ყველაზე უკეთ მოქმედებდა. დანდოლო კონსტანტინეპოლს ვენეციისათვის ყველაზე საშიშ მოქიშპედ მიიჩნევდა, ამიტომ ელოდა ხელსაყრელ მომენტს მისი განადგურებისათვის მით უფრო, რომ ბიზანტიამ ვენეციის ხარჯზე კონსტანტინეპოლში მეტი პრივილეგიები პიზელებს მიაკუთვნა.

ნიკიტა ხონიატა თავის „ისტორიის მესამე წიგნში" წერდა: „ვენეციელები, რომელთაც მხედველობაში ჰქონდათ ბერძნებთან ძველად დადებული ხელშეკრულებანი, შეურაცხყოფილნი იყვნენ იმით, რომ მათი მნიშვნელობა ამჟამად პიზელებს მიენიჭა და რამდენადაც ისინი გვცილდებოდნენ ჩვენ, ყოველ ნაბიჯზე ჩვენდამი იჩენდნენ მტრულ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით ძაშინ, როცა ალექსიმ (ლაპარაკია იმპერატორ ალექსი III-ზე—გ. ტ.) ანგარებიანი მოსაზრებით არ მოისურვა გადაეხადნა 200 მინი ოქრო, რომელიც... იმპერატორ მანუილს მათთვის უნდა მიეცა. უფრო ძეტი ბოროტება სურდა ჩვენთვის ვენეციის დოჟს ენრიკო დანდოლოს, რომელიც ბრმა და გაწამებული იყო სიბერისაგან; მას აშკარაღ სძულდა ბერძნები და მტრობდა მათ; იგი ცბიერი და იმდენად თავხედი ადამიანი იყო, რომ თავისი თავი ბრძენთა ბრძნად მიაჩნდა და პატივმოყვარეობაში ყველას აჭარბებდა. ის სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებდა თუ ბერძნების მიერ თავისი მოქალაქეების შეურაცხყოფას სამაგიეროს გადახდით ვერ უპასუხებდა. დანდოლო განუწყეტლივ იხსენებდა ყველა იმ უბედურებას, რაც მის თანამემამულეებმა განიცადეს ბიზანტიაში ანგელოსების მმართველობისა და ანდრონიკესა და მანუილის დროს"[1].

ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, რომ ენრიკო დანდოლო მოისურვებდა ჯვაროსნების გამოყენებას ბიზანტიის წინააღმდეგ, ამით მოსპობდა ბიზანტიას და თავის მძლავრ მოქიშპე კონსტანტინეპოლს მსოფლიო ვაჭრობის სფეროში საბოლოოდ გაანადგურებდა. „...მან გადაწყვიტა, რომ ჯვაროსნული სიტუტუციდან ს ა ვ ა ჭ რ ო ო პ ე რ ა ც ი ა მოეწყო"[2]. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ჯვაროსანთა მიზანი იერუსალიმის დაპყრობისა დანდოლოს არ მოეწონებოდა. ეს მისთვის მეორე მხრითაც მიუღებელი იყო. მანამდე ვენეცია გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა ეგვიპტესთან, რომლის დაპყრო-

---

[1] Сборник документов по социально-экономической истории Византии. გვ. 240 — 241.

[2] Архив Маркса и Энгельса. ტ. V. გვ. 194.

ბა ჯვაროსანთა გეგმაში პირველ პლანზე იყო წამოყენებული. ვენეცია ეგვიპტესთან ვაჭრობით უდიდეს მოგებას პოულობდა. ეგვიპტიდან სავაჭრო გზები გადიოდა ისეთ ქვეყნებში, როგორებიც იყვნენ ინდოეთი, ჩინეთი და სხვ. ასეთი მოგების დაკარგვა „ქრისტეს საფლავის" განთავისუფლებისათვის ვენეციას სულაც არ სურდა. ჯვაროსანთა ასეთი „მიზანი" ვენეციისათვის მიუღებელი იყო მით უფრო, რომ ცოტა უფრო ადრე, ვიდრე ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობა დაიწყებოდა, ვენეციელები მუსლიმანების ჯარებს საომარი იარაღითა და სურსათ-სანოვაგით ამარაგებდნენ.

ჯვაროსნებისათვის დახმარების გაწევაზე უარის თქმაც დანდოლოს მიზანშეუწონლად მიაჩნდა, რადგან ამ ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობდნენ საფრანგეთის ყველაზე მდიდარი ბარონები, რომელთაც არაფერი არ ენანებოდათ დასახული მიზნის მისაღწევად. მაშასადამე მათგან უამრავი თანხების მიღება შეიძლებოდა. აი, როგორ გადმოგვცემს ვილარდუენი დანდოლოს პასუხს მათ თხოვნაზე: „ბატონებო,—სთქვა დოჟმა,—ახლა გაგაცნობთ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მივიღეთ იმ პირობით, თუ შევძელით ჩვენი დიდი საბჭო და სახალხო კრება დავითანხმოთ მის დამტკიცებაზე, ხოლო თქვენ მოითათბირეთ, რათა განიხილოთ შესძლებთ თუ არა ამ გადაწყვეტილების შესრულებასა და დამტკიცებას. ჩვენ ვაგებთ გემებს ოთხიათას ხუთასი ცხენისა და ცხრა ათასი საჭურველმტვირთველის გადაყვანისათვის; ხოლო ხომალდებით გადავიყვანთ ოთხი ათას ხუთას რაინდს და ოცი ათას ქვეითს; და ყველა ეს ცხენები და ადამიანები ჩვენ მიერ უზრუნველყოფილნი იქნებიან ჩვენი სურსათ-სანოვაგით ცხრა თვის მანძილზე. აი, რას გავაკეთებთ იმ პირობით, თუ (თვითეულ) ცხენზე გადაიხდით ოთხ მარკას, ხოლო (თვითეულ) კაცზე ორ-ორს... ზემოაღნიშნული ხარჯის საერთო ჯამი ოთხმოცდა ხუთი ათას მარკას შეადგენს".

85 ათასი ვერცხლის მარკა იმ დროისათვის ძალიან დიდ თანხას წარმოადგენდა, მიუხედავად ამისა ჯვაროსანთა ლაშქრობის წარმომადგენელნი ყოველგვარი შევაჭრების გარეშე დათანხმდნენ. მათ ქალაქში ძლივს-ძლივობით ისესხეს ხუთი ათასი მარკა და გადასცეს დოჟს გემების ასაგებად, თვითონ კი სამშობლოში დაბრუნდნენ. ამასობაში, ვენეციიდან წარმომადგენლების დაბრუნების შემდეგ (1201 წ.) გარდაიცვალა ჯვაროსანთა ლაშქრობის ხელმძღვანელი შამპანის გრაფი ტიბო. მის ადგილზე ლაშქრობის ხელმძღვანელად იტალიელი მარკიზი. ბონიფაციუს მონფერატელი დაინიშნა.

დანდოლო ფიქრობდა, რომ ჯვაროსნები დიდ დავალიანებას ვერ გადაიხდიდნენ და ისინი იძულებულნი გახდებოდნენ მის ნებასურვილს დამორჩილებოდნენ. ამით ისარგებლებდნენ ვენეციელები, შეცვლიდნენ ჯვაროსნული ლაშქრობის მიმართულებას და კონსტანტინეპოლის დასაპყრობად გაემართებოდნენ. როგორც ქვემოთ დავინახავთ, დანდოლოს იმედი გამართლდა, რასაც ხელი შეუწყო ბიზანტიაში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ. 1195 წელს ალექსი ანგელოსმა თავისი ძმა, ბიზანტიის იმპერატორი ისაკ მეორე ტახტიდან ჩამოაგდო, თვალები დათხარა და თვითონ გახდა იმპერატორად (1195—1203), ხოლო ისაკი და მისი შვილი ალექსი სატუსაღოში გამომამწყვდია. 1201 წლის ივნისის ბოლოს, თუ ივლისის დასაწყისში, მეფისწული ალექსი სატუსაღოდან გაიქცა. იგი გადავიდა გერმანიაში თავის სიძესთან, ფილიპე შვაბელთან (გერმანიის იმპერატორის ჰენრიხ VI-ის ძმა) დახმარების სათხოვნელად. ფილიპე თავის მხრივ დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ბონიფაციუსს და სთხოვა დახმარების გაწევა მეფისწულ ალექსისთვის.

ალექსისა და ფილიპე შვაბელის წარმომადგენლებმა ჯვაროსნებს დახმარების გაწევისათვის შესთავაზეს შემდეგი პირობები: 1. თუ მოხდებოდა ისაკ მეორის ხელახლა ტახტზე აღდგენა, ის ბიზანტიას დაუქვემდებარებდა რომს, 2. ბიზანტიის იმპერატორი ჯვაროსნების სასარგებლოდ გაიღებდა 200 ათას ვერცხლის მარკას, 3. ჯვაროსანთა ლაშქრობას დაეხმარებოდა იერუსალიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და სხვ. ამ დაპირებათა შემდეგ ბონიფაციუსი, ბოდუენი, გრაფი ლუდოვიკო და ჯვაროსანთა სხვა ხელმძღვანელები ამ საკითხის თაობაზე მოეთათბირნენ ენრიკო დანდოლოს, რის შემდეგ ისაკის შვილის ალექსის დახმარების აღმოჩენაზე დათანხმდენ. ყველაფერი ეს მოხდა ჯვაროსნების მიერ ქალაქ ზარას აღებიდან ორი კვირის შემდეგ (1202 წლ. ნოემბერი).

ვიდრე მოხდებოდა შეთანხმება ალექსისა და დანდოლო-ჯვაროსნებს შორის, 1202 წლ. გაზაფხულზე ჯვაროსნებმა იწყეს თავის მოყრა ვენეციაში ლაშქრობის დასაწყებად, მაგრამ გამოირკვა, რომ დანდოლოსათვის დაპირებული თანხის ნახევარიც კი, მათ ვერ შეაგროვეს. ამით ისარგებლა დანდოლომ და ჯვაროსნებს მოსთხოვა, რომ დავალიანების დასაფარავად ვენეციისათვის ბრძოლით დაეპყროთ ქალაქი ზარა, რომელიც დალმაციაში მდებარეობდა და რომელიც უნგრეთს მიეკუთვნებოდა. ეს ქალაქი კონსტანტინეპოლისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა და დანდოლო ფიქრობდა, რომ ამ ქალაქის აღების შემდეგ ჯვაროსნების მიმართულების შეცვლა ადვილი გახდებოდა.

ჯვაროსნები დანდოლოს წინადადებას დათანხმდნენ. 1202 წელს მათ ბრძოლებით დაიკავეს ზარა. ვილარდუენი წერს: „თითქმის არ იყო ქუჩა, რომელშიაც არ წარმოებულიყო დიდი ბრძოლა მახვილებით, მშვილდებით და შუბებით. და მრავალი ხალხი დაჭრილი და მოკლული აღმოჩნდა... ეს იყო ყველაზე დიდი უბედურებათაგანი, რომელიც ოდესმე შემთხვევია ჯარს, და კინაღამ აქ მთელი არმია დაიღუპა". ზარას მოსახლეობა ქრისტიანული იყო. ამგვარად, ჯვაროსნები ისლამის მიმდევართ კი არ ეომებოდნენ, არამედ ერთმორწმუნეებს. ამ გარემოებას, რომ არ გამოეწვია საზოგადოებრივი აზრის აღშფოთება რომის კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, პაპი ინოკენტი მესამე თავის მიმართვაში მოჩვენებით გმობდა ჯვაროსანთა საქციელს. ის წერდა: „თუმცა ზარას მცხოვრებლებმა ქალაქის კედლებთან ჯვარცმა გამოიტანეს, ისინი (ჯვაროსნები—გ. ტ.), ჯვარცმულ ქრისტეს ბილწავდნენ. მათ ძალდატანებით აიძულეს ქალაქი ჩაბარებულიყო".

ზარას აღება გვიან შემოდგომით მოხდა. ზამთრის მოახლოებისას ლაშქრობის გაგრძელება შეუძლებელი იყო, ამიტომ ჯვაროსნები საზამთროდ ზარაში დაბანაკდნენ (1202—1203). 1203 წლის აპრილს ჯვაროსანთა ლაშქარი კუნძულ კორფუზე გადავიდა. 24 მაისს ვენეციელთა ფლოტი გავიდა ზღვაში, მთელი თვე მოგზაურობას მოანდომეს. ჯვაროსნები თავდაპირველად ბოსფორის აზიურ ნაპირზე გადასხდნენ, აქ (სკუტარიში) გამოცხადდა ალექსი მესამის ელჩი, რომელმაც ჯვაროსნებს დახმარება შესთავაზა უორწმუნოებთან ბრძოლის საქმეში, მაგრამ ჯვაროსნებმა მოითხოვეს ალექსი მესამის დაუყოვნებლივი გადადგომა და მისი ძმის ისაკის ხელახალი გამეფება. ცხადი იყო, რომ ჯვაროსნებს ბრძოლა უნდა დაეწყოთ კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ, მაგრამ თავდაცვისათვის იმპერატორს არავითარი სამზადისი არ ჩაეტარებინა.

ჯვაროსნების იერიშებს დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, მათ სწრაფად დაიკავეს ქალაქის მნიშვნელოვანი ადგილები. მოსალოდნელი იყო კონსტანტინეპოლის მთლიანი დაცემა. 1203 წლის ივლისის ბოლოს იმპერატორი ალექსი მესამე თავისი ხაზინით კონსტანტინეპოლიდან გაიქცა. სამეფო ტახტზე კვლავ ბრმა ისაკ მეორე ავიდა. ჯვაროსნებმა მოითხოვეს მეფისწულის, ალექსის მიერ დაპირებული თანხები. რადგან სამეფო ხაზინა გაცარიელებული აღმოჩნდა, ამიტომ ისაკმა ვერ შესძლო აღნიშნული თანხის გადახდა. კონსტანტინეპოლში დაიწყო მღელვარება. ისაკის გარდაცვალებასთან ერთად, იმპერატორად ალექსი V მურზუფლი გამოცხადდა, მაგრამ ჯვაროსნების ვალის გადახდა მანაც ვერ მოხერხდა.

აუცილებელი გახდა ახალი სამხედრო ოპერაციების წამოწყება ჯვაროსნების მხრით.

ნიკიტა ხონიატი წერს, რომ: „ქალაქის (კონსტანტინეპოლის— გ. ტ.) მოსახლეობა, რომელიც საკუთარი ბედის ანაბარად დარჩა, გამოვიდა ლათინების დასახვედრად ჯვრებითა და ქრისტეს ხატებით, როგორც ეს მიღებულია საზეიმო და სადღესასწაულო შემთხვევებში; მაგრამ არც ამ სანახაობამ მოალბო ლათინთა გული... მათ არ დაინდეს არა მარტო კერძო ქონება, არამედ, იშიშვლეს რა მახვილები, ღვთის წმინდა სამლოცველოები გაძარცვეს...". ჯვაროსნებმა კონსტანტინეპოლის უბნებს ცეცხლი წაუკიდეს და მატერიალური კულტურის ძეგლები გადაწვეს.

ვილარდუენი თავის მხრივ აღნიშნავს: „ხოლო სხვები (იმათ გარდა, ვინც გართული იყო სასახლეების დატაცებით) გაიფანტნენ ქალაქში და იწყეს დავლის შეგროვება; ნადავლი კი ისე დიდი იყო, რომ თქვენ ვერავინ ვერ ღაგიდგენდათ მონახულ ოქროს, ვერცხლის, ჭურჭლეულობის, ძვირფასი ქვების, ხავერდის, აბრეშუმის ქსოვილების, ბეწვეული ტანსაცმელის და სხვა საგნების ზუსტ რაოდენობას. ჟოფრუა ვილარდუენი, შამპანის მარშალი სინდისითა და ჭეშმარიტებით გიდასტურებთ თქვენ, რომ მრავალი საუკუნეების განმავლობაში არასოდეს ერთ ქალაქში არავის არ მოუპოვებია ამდენი ნადავლი".

კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ (1204 წ.) ბიზანტიის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ჯვაროსნებმა დაიპყრეს, რის შემდეგ მათ სრულიად მიივიწყეს ყოველგვარი იერუსალიმები და „ქრისტეს საფლავები". ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის შესწავლა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ამ ლაშქრობიდან ცხადზე უცხადესი ხდება საერთოდ ჯვაროსანთა ლაშქრობების ნამდვილი მიზანი და მათი მტაცებლური ხასიათი. ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობამ საესებით ნათელჰყო ის, რომ ევროპელთა აგრესია აღმოსავლეთის მიმართ განისაზღვრებოდა არა „ქრისტიანული სარწმუნოების დაცვით", არამედ ახალ-ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდებისა და მათი სიმდიდრის დატაცების სურვილით.

ლათინთა იმპერიის დაარსება და მისი დაცემა. როგორც აღვნიშნეთ კონსტანტინეპოლის დაცემით მოისპო ბიზანტიის იმპერია და „ლათინთა იმპერია" დაარსდა. ჯვაროსანთა ახალმა სახელმწიფომ ასეთი სახელწოდება მიიღო იმის გამო, რომ ჯვაროსანთა უმრავლესობის ოფიციალურ ენად ჯერ კიდევ ლათინური ენა ითვლებოდა, რის გამოც აღმოსავლეთში მათ ლათინებს უწოდებდნენ. ამ ახალ სამეფოს იმპერატორად არჩეულ იქნა ჯვაროსანთა ლაშქრობის

ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფლანდრიელი ბოდუენი. ლათინთა იმპერია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ოთხი სახელმწიფოსაგან შედგებოდა: ლათინთა იმპერია სატახტო ქალაქ კონსტანტინეპოლით, თესალონიკის სამეფო, ახაის სამთავრო (პელოპონესში) და ათენთებეს საჰერცოგო. თვითეული მათგანი თავის მხრივ იყოფოდა ცალკეულ საგრაფოებად და სენიორიებად.

მაგრამ ყველაზე მეტი სარგებელი ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის შედეგად წილად ხვდათ ვენეციელებს. ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლზე იერიშების მიტანამდე დაიდო „1204 წლის მარტში ახალი ხელშეკრულება ვენეციელებისა ჯვაროსანრეგვენებთან. რომელნიც შეუბრალებლად მოატყუეს და რომელნიც თავიანთი გაუთლელი მთავრებით ერთად, მხოლოდ იარაღს წარმოადგენდნენ ამ მეწვრილმანეთა (Geldmacher) ხელში"[1]. მთელი ბიზანტიის სამი მერვედი დანდოლოს განკარგულებაში აღმოჩნდა. ვენეციამ მიიღო კონსტანტინეპოლის ერთი ნაწილი, იონიისა და კიკლადების კუნძულების ნაწილი, პელოპონესის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, გალიპოლი, ზოგიერთი მიწა ალბანეთში, შემდეგში—კუნძული კრეტა და სხვ.

ვენეციელებმა პოლიტიკური პრივილეგიებიც მიიღეს, 1205 წლის აქტით იმპერატორთან დაარსებულ იქნა ეგრეთ წოდებული საბჭო, რომელშიაც შედიოდა ვენეციის პოდესტა თავისი ექვსი მრჩეველით. ეს საბჭო ადგენდა შეიარაღებული ძალების მოწვევის ვადას და სწყვეტდა თავდაცვის მნიშვნელოვან საკითხებს. იგივე საბჭო განსაზღვრავდა იმპერატორის უფლებებს მსხვილი ფეოდალების სასარგებლოდ. ამგვარად, ლათინთა იმპერიის მართვა-გამგებლობის საქმეშიც ვენეციელები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

ყოფილ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე, გარდა ლათინთა იმპერიისა, ბერძნული ცენტრებიც წარმოიშვნენ. ჯერ კიდევ ადრე, კიდრე დაიწყებოდა ჯვაროსნების შეტევა კონსტანტინეპოლზე, ქ. ტრაპიზონი და მისი მიდამოები ამეღავნებდნენ განკერძოების ტენდენციას. ბიზანტიის იმპერიის დაშლის შედეგად ტრაპიზონმა, თამარ მეფის ჩარევით, დამოუკიდებლობა მოიპოვა და ეგრეთ წოდებულ ტრაპიზონის იმპერიად გადაიქცა. ტრაპიზონის იმპერია კარგა ხანს განაგრძობდა არსებობას. იგი თურქების მიერ დაპყრობილ იქნა მხოლოდ 1461 წ. გარდა ამისა, ასევე დამოუკიდებელ იმპერიად

---

[1] Архив Маркса и Энгельса, ტ. V, გვ. 197.

ვამოცხადდა ნიკეა, რომელიც მცირე აზიაში მდებარეობდა. 1261 წელს, ბიზანტიის აღდგენის შედეგად იგი ბიზანტიას შეუერთდა. მესამე ბერძნულ ცენტრს ეგრეთ წოდებული ეპირის დესპოტატი წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი 1462 წელს თურქებმა საბოლოოდ დაიპყრეს.

ჯვაროსანმა დამპყრობლებმა ბიზანტიელ ფეოდალ-არხონტებს არ ჩამოართვეს მიწები. დამპყრობლებმა დასავლეთ ევროპულ ლენური სისტემის საფუძველზე თავიანთ ვასალებს გაუნაწილეს ის მიწები, რომლებიც მანამდე ბიზანტიის იმპერატორის სახელმწიფო მიწებს წარმოადგენდა. დამპყრობლებს გადაეცათ აგრეთვე გაქცეული ბიზანტიელი ფეოდალების მამულები. დამპყრობელთა შორის მიწების განაწილება ტარდებოდა ფეოდალური იერარქიის მიხედვით. ვინც ლათინთა იმპერატორის უშუალო ვასალს წარმოადგენდა, ლენების უმრავლესობასაც ის ღებულობდა. ანგარიშად, ლენების რაოდენობა 6-დან 200-მდე ფეოდალს ეძლეოდა იმისდა მიხედვით, თუ ვინ იმყოფებოდა ფეოდალური იერარქიის ამა თუ იმ საფეხურზე.

ლათინთა იმპერიაში დიდი იყო ფეოდალთა იმუნიტეტური უფლებები. იმპერატორის არც ერთ მოხელეს არ ჰქონდა იურისდიქცია ფეოდალებისადმი დაქვემდებარებულ ყმა გლეხების მიმართ. ჯვაროსნულმა დაპყრობებმა უფრო გააუარესეს ყმების მდგომარეობა. ლათინური იმპერიის ფეოდალებს დიდი უფლებები მიენიჭათ თავიანთ ყმებზე. პირველნი განაგებდნენ უკანასკნელთა ქონებას, ისე როგორც მათ მოეპრიანებოდათ. უფრო მეტიც, ფეოდალებს შეეძლოთ თავიანთი ვილანები თავისუფლად განესხვისებინათ და კიდეც მოეკლათ ისე, რომ პასუხი ამისათვის არ ეგოთ არავის წინაშე.

უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციაში ჯვაროსნებმა აქაც დიდი სიმკაცრე გამოიჩინეს. ცდილობდნენ რა მოკლე დროში გამდიდრებას და შემდეგ თავის საშობლოში დაბრუნებას, გლეხობას ისინი უმოწყალოდ აჩანაგებდნენ. ეს გარემოება, თავის მხრივ, კლასობრივი ბრძოლების უფრო მეტ გამწვავებას იწვევდა. ლათინთა იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში ეწყობოდა გლეხთა მთელი რიგი გამოსვლები და აჯანყებანი. ამასთან, ჯვაროსნებს უხდებოდათ ხშირი ბრძოლა მეზობელ ბულგარეთის მეორე სამეფოსთან, რომელიც წარმოიშვა მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრის ბოლოს თითქმის ნიკეასა და ტრაპიზონის იმპერიების ჩამოყალიბებასთან ერთად.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ნიკეის იმპერია წარმოიშვა ბიზანტიის იმპერიის დაშლის შედეგად. ნიკეიაში არსებულმა ეკონომიურმა პირობებმა და მისი მესვეურების სწორმა პოლიტიკამ მოკლე ხნის განმავლობაში იგი მნიშვნელოვნად გააძლიერა. განსაკუთრებით ეს ითქმის იოანე მესამის ვატაცის მმართველობის ხანაზე. მარქსი თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში" აღნიშნავდა: „1222—1255 ვატაცისი (იოანე) უკანასკნელ წელს თავის ნიკეის სამეფოს შინაგან მდგომარეობას ამაგრებს. მასში მალე კეთილდღეობა მყარდება იმ დროს, როცა მეზობლად მყოფ თურქულ მიწაწყალზე გაბატონებულია უდიდესი გაჭირვება... (ვატაცის) გარდაცვალების მომენტში ნიკეის სამეფო უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე ლათინთა სამეფო ყოფილა; მისი მემკვიდრე, მისი შვილი თეოდორე ლასკარისი II გახდა. ვატაცისის დროს ნიკეია ბერძნული პატრიოტიზმის ცენტრად გადაიქცა"[1].

მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში გამწვავდა ბრძოლა იტალიის ქალაქებს გენუასა და ვენეციას შორის. გენუა ვერ ითმენდა თავისი კონკურენტის, ვენეციის გაძლიერებას ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის შემდეგ. ამ მდგომარეობით მოხერხებულად ისარგებლა ნიკეის იმპერატორმა მიხეილ VIII პალეოლოგმა. მან გენუასთან სამხედრო კავშირი შეკრა და გენუელების საზღვაო ფლოტის დახმარებით ომი დაიწყო ლათინთა იმპერიის წინააღმდეგ[2]. ლათინთა ბატონობით განაწამები ბერძნები მიხეილ პალეოლოგის მხარეზე გადავიდნენ. ეს ომი ლათინთა სრული კრახით დამთავრდა. 1261 წელს მოისპო ლათინთა ბატონობა და ბიზანტიის იმპერია კვლავ აღსდგა, მაგრამ ახლად აღდგენილი ბიზანტიის იმპერია აღარ იყო პირველხარისხოვანი სახელმწიფო. იგი ტერიტორიულადაც და პოლიტიკური მნიშვნელობითაც ძველი ბიზანტიის იმპერიის მხოლოდ აჩრდილსღა წარმოადგენდა. ჯვაროსანთა მიერ მისთვის მიყენებული ზიანი ბიზანტიამ ვერასოდეს ვეღარ გამოასწორა.

ჯვაროსანთა შემდგომი ლაშქრობანი. ვიდრე გადავიდოდეთ ჯვაროსანთა შემდგომი ლაშქრობების განხილვაზე, საჭიროა ზოგადად მაინც შევჩერდეთ ჯვაროსანთა იმ მოძრაობაზე, რომელიც წამოწყებულ იქნა ევროპაში ბავშვების მიერ და რომელიც წინ უძღოდა ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობას. მეორე და მესამე ლაშქრობის

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. V, гз. 205—206.

[2] გენუამ, 1261 წელს დადებული ხელშეკრულებით, ბიზანტურ სამფლობელოებში მიიღო მნიშვნელოვანი პუნქტები.

მარცხით დამთავრების შემდეგ, საფრანგეთში გავრცელდა სულელური ხმა იმის შესახებ, თითქოს ევროპელთა მარცხი ამ ლაშქრობებში გამოწვეულია იმით, რომ ქრისტეს საფლავის განთავისუფლების საქმეში მონაწილეობდნენ მხოლოდ მოზრდილი ადამიანები, რომელთაც თავიანთ ცხოვრებაში დიდი რაოდენობით ცოდვები ჰქონდათ ჩადენილი; თითქოს ღმერთმა არ მოისურვა ცოდვილი ადამიანებისაგან სარწმუნოების დაცვა და ამიტომ ხელი არ შეუწყო ჯვაროსნებს წარმატების მოპოვების საქმეში. მაშასადამე, საჭიროა ქრისტეს საფლავის დასახსნელად წავიდნენ უცოდველნი, ესე იგი, ბავშვები.

ეტყობა, რომ ამ ხანებში უპატრონო ბავშვთა რიცხვი და საერთოდ ღარიბების შვილთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. 1212 წელს საფრანგეთში გამოჩნდა ყმაწვილი—მწყემსი, სახელად სტეფანე, რომელიც თავის თავს ღვთის მიერ გამოგზავნილად სთვლიდა ქრისტეს საფლავის განთავისუფლების საქმეში. მან დაიწყო ქადაგება ბავშვებში. მის ქადაგებას მნიშვნელოვანი წარმატება მოჰყვა. ბავშვებს მოზრდილებიც უერთდებოდნენ. მალე 30 ათასამდე ბავშვი და მოზრდილი ყოველგვარი მნიშვნელოვანი შეიარაღების გარეშე დაიძრნენ იმ იმედით, რომ ღვთაებრივი ძალა დაეხმარებოდა მათ წმინდა საქმეში. მიუხედავად მეფის ფილიპე მეორის მიერ ამ წამოწყების აკრძალვისა, ისინი გაემართნენ სამხრეთით მარსელისაკენ. მარსელში ხომალდების მეპატრონეებმა ისინი ჩასვეს და გაემართნენ პალესტინისაკენ, მაგრამ ქარიშხალის გამო მათი ნაწილი გზაში დაიღუპა, ხოლო გადარჩენილები გადაიყვანეს ეგვიპტეში და იქ მონებად გაყიდეს[1].

დაახლოებით ამავე ხანებში, გერმანიაში ანალოგიურ ქადაგებას მამის წაქეზებით აწარმოებდა 10 წლის ბავშვი ნიკოლოზი. როგორც შემდეგში გამოირკვა, მისი მამა მონებით ვაჭრობას მისდევდა. ნიკოლოზმა 20 ათასამდე ბავშვი შეაგროვა და გასწია სამხრეთ იტალიისაკენ. აქ ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისინი დააკავეს და უკან დააბრუნეს სამშობლოში, მაგრამ უკან დაბრუნებისას ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა. ამგვარად, ზემო აღნიშნული ფაქტები ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმას, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობანი, რაგინდ ღვთისნიერი სამოსელითაც არ უნდა ყოფილიყვნენ შენიღბულნი, მათი წამომწყებნი პირველყოვლისა ბიწიერი ზრახვებით იყვნენ გამსჭვალულნი. ისინი

---

[1] История средних веков, ტ. I. გამოც. 1911 წ., გვ. 260.

აბრიყვებდნენ მასებს და მართლაც „ჯვაროსნულ სიტუტუციდან
ს ა ვ ა ჭ რ ო ო პ ე რ ა ც ი ა ს აწყობდნენ“.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის შემდეგ მომდევნო ლაშქრობებს არ მიუღიათ მასობრივი ხასიათი. მათ თავიანთი შემადგენლობითა და თავიანთი შედეგებით არ ჰქონიათ დიდი მნიშვნელობა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ მეხუთე ლაშქრობის დაწყებამდე თითქმის მოისპო ძირითადად ის მიზეზები, რომელთაც აამოძრავეს ევროპის მოსახლეობის ესა თუ ის ფენები. მეცამეტე საუკუნის დასაწყისისათვის წარმოებითი ძალების შემდგომმა განვითარებამ ევროპაში სოფლის მეურნეობა შედარებით წინ წასწია. ქალაქურმა ხელოსნობის განვითარებამ მოსახლეობის მეტი რაოდენობა მიიზიდა ქალაქებში. ვაჭრობა აღმოსავლეთთან ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობების შედეგად უფრო მეტად გაცხოველდა. რაინდობის ცალკეული ჯგუფები ახლა არჩევდნენ ლაშქრობების მოწყობას ბალტიისპირეთში, რადგან აღმოსავლეთში გაძლიერებულ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ.

ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობა, რომელიც დაიწყო 1217 წელს და დამთავრდა 1221 წელს მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ მას მიზნად დასახული ჰქონდა მეოთხე ლაშქრობის თავდაპირველი გეგმის განხორციელება. ე. ი. ჯვაროსნები უნდა გადასულიყვნენ ეგვიპტეში და იქიდან წასულიყვნენ იერუსალიმისაკენ. ჯვაროსნებმა როგორც იქნა ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი დამიეტა, მაგრამ შემდეგში, წარუმატებლობის გამო ისინი იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ მდინარე ნილოსის მიდამოები და 1221 წელს უკან გაბრუნებულიყვნენ. ამ ლაშქრობის მარცხით დამთავრება, პირველ ყოვლისა, უნდა აიხსნას ჯვაროსანთა შორის აოსებული უთანხმოებით და სამხედრო ხელმძღვანელობის უუნარობით.

ჯვაროსანთა მეექვსე ლაშქრობა (1228—1229) ფრიდრიხ ბარბაროსას შვილიშვილმა ფრიდრიხ II შტაუფენმა წამოიწყო. ფრიდრიხ მეორე მანამდე რომის პაპთან გრიგოლ IX-თან მტრულ განწყობილებაში იმყოფებოდა, რის გამოც იგი პაპმა ეკლესიიდან განკვეთილად გამოაცხადა. გასაგებია, რომ ფრიდრიხ მეორის ხელმძღვანელობით მოწყობილი ჯვაროსნული ლაშქრობა პაპისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა ფრიდრიხ მეორემ ჯვაროსანთა ლაშქრობაში ერთგვარი წარმატება მოიპოვა. მან ისარკებლა იმ გარემოებით, რომ ეგვიპტის სულთანი დაკავებული აღმოჩნდა შინაგანი ბრძოლებით, რის გამოც სულთანს არ შეეძლო შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა ჯვაროსანთა ლაშქრობისა-

თვის. იგი დათმობაზე წავიდა და ფრიდრიხ მეორემ უბრძოლველად იერუსალიმი და რამდენიმე პუნქტი დაიკავა.

ფრიდრიხ მეორემ ვერ ისარგებლა მოპოვებული წარმატებით, რადგან, როგორც მათე პარიზელი გადმოგვცემს ,თავის შრომაში („ინგლისის დიდი ისტორია"), გრიგოლ მეცხრემ გადასწყვიტა ფრიდრიხი გადაეყენებინა ტახტიდან და მის ადგილზე ისეთი პიროვნება გაემეფებინა, „რომელიც პაპის ერთგული და მორჩილი იქნებოდა". ფრიდრიხის ლაშქრობაში ყოფნისას პაპმა კიდევაც წამოიწყო ბრძოლა გერმანიაში, სადაც ჯარი გააგზავნა იოანე ბრიენელის მეთაურობით. ფრიდრიხი იძულებული გახდა მალე დაეტოვებინა აღმოსავლეთი და უკან გაბრუნებულიყო. ფრიდრიხის უკან წასვლის შემდეგ ჯვაროსნებში დაიწყო უთანხმოება. 1244 წელს მუსლიმანებმა კვლავ დაიბრუნეს იერუსალიმი ამჯერად კი, საბოლოოდ.

ორი უკანასკნელი, მეშვიდე და მერვე ლაშქრობა საფრანგეთის მეფემ ლუი IX-ემ წამოიწყო. ფრანგებს სურდათ გაბატონებულიყვნენ ჩრდილო აფრიკაში. ჯვაროსანთა მეშვიდე ლაშქრობა გრძელდებოდა 1248 წლიდან 1254 წლამდე. სამხედრო ოპერაციები კვლავ ეგვიპტის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, მაგრამ ეს ლაშქრობაც მარცხით დამთავრდა. თვით ლუი IX მოწინააღმდეგის ხელში ტყვედ ჩავარდა, რის გამოც იძულებული იყო უამრავი თანხა გაეღო თავის გამოსასყიდად.

1270 წელს იმავე ლუი IX-ემ გადაწყვიტა ახალი (მერვე) ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობა. მაგრამ მის მოწოდებას ბევრი არ გამოეხმაურა. მეფეს რომ ეს ხარვეზი შეევსო, ფულით ქირაობდა რაინდობას. ეს ლაშქრობა ახლა ტუნისის საწინააღმდეგოდ წარიმართა. ტუნისში ყოფნისას ჯვაროსნებში გავრცელდა ჭირი. რის გამო ჯვაროსნების მნიშვნელოვანი ნაწილი (და თვით ლუი მეცხრეც) დაიხოცა. დანარჩენები იძულებულნი გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ.

ამის შემდეგ პაპები კვლავ მოუწოდებდნენ ჯვაროსანთა ახალი ლაშქრობის მოწყობისაკენ, აწარმოებდნენ სახსრების შეგროვებას, ეწეოდნენ სხვა მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარებას, მაგრამ მოწოდებას აღარავინ გამოეხმაურა და ახალი ჯვაროსანთა ლაშქრობაც აღარ შედგა. ამგვარად, სირიაში დარჩენილი ჯვაროსანთა კოლონიები ევროპიდან აღარ ღებულობდნენ დამხმარე ძალებს. მარტო საკუთარი ძალებით კი მათ არ შეეძლოთ ისლამის მიმდევართა გახშირებული იერიშების უკუგდება. რის გამოც ჯვაროსნები ზედიზედ ჰკარგავდნენ ქალაქებსა და გამაგრებულ პუნქტებს. 1268 წ.

ჯვაროსნებმა დაკარგეს ანტიოქია, 1289 წელს—ტრიპოლი, ხოლო 1291 წელს—თავიანთი უკანასკნელი დასაყრდენი აღმოსავლეთში, აკრა.

ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგები. ტერიტორიული შენაძენებისა და სამხედრო ექსპედიციების თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ჯვაროსანთა ლაშქრობანი სრული კრახით დამთავრდა. ევროპელებმა ვერც ერთი მნიშვნელოვანი ადგილი აღმოსავლეთში ვერ შეინარჩუნეს. ამ მხრივ ორი საუკუნის მანძილზე წარმოებული „უგნური ჭიდილი", რამაც ათასობით ადამიანების სიცოცხლე შეიწირა, ფუჭი აღმოჩნდა, მიუხედავად ამისა, ჯვაროსანთა ლაშქრობებმა ევროპის შემდგომი განვითარების საქმეში მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ჯვაროსნულ ლაშქრობათა შედეგად აღმოსავლეთთან ვაჭრობის საქმეში არაბებისა და ბიზანტიის მონოპოლია გაბაღგურებულ იქნა და იტალიის, ამბრეთ საფრანგეთისა და კატალონიის ქალაქების ჰეგემონია დამყარდა. ამ ლაშქრობათა შედეგად ევროპა აღმოსავლეთს უფრო მეტად დაუახლოვდა და ლევანტთან მისი ვაჭრობა უფრო გაცხოველდა.

ღასავლეთიდან პალესტინის სანაპიროებისაკენ გაჰქონდათ საომარი იარაღი, მაუდი, ხორბალი, ცხენები და სხვ., ხოლო სირიიდან ეზიდებოდნენ ხილს, ღვინოს, შაქარს, ბამბას, აბრეშუმს და სხვ. მაგრამ ევროპისათვის უფრო საჭიროს წარმოადგენდა აღმოსავლური სანელებელი, საღებავები და სხვ. განთქმული ამბრი მოჰქონდათ არაბეთიდან. ბალზამით განთქმული იყო ეგვიპტე, მიხაკის მნიშვნელოვანი რაოდენობა მოლუკის კუნძულებზე მოიპოვებოდა. კოჭა (имбирь) ინდოეთიდან მოჰქონდათ, ხოლო დარიჩინი—ჩინეთიდან და ცეილონიდან. საუკეთესო საკმეველი კიპროსსა და მცირე აზიაში მზადდებოდა, ხოლო კარგი მუშკი (мускус) ტიბეტში. ზაფრანა (шафран) და შაქრის ლერწამი მოიპოვებოდა აგრეთვე სამხრეთ ევროპაში და პალესტინაში, მაგრამ უკეთესი ხარისხისა მოჰქონდათ ირანიდან და ეგვიპტიდან. არაბეთიდან მოჰქონდათ აგრეთვე გუნდუკი. ინდიგო გავრცელებული იყო ქაბულის მახლობლად და ირანში, ხოლო ქაფური (камфара) ჩინეთში და სუმატრაზე.

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა დაუახლოვეს ევროპა აღმოსავლეთის ქვეყნებს. ამით ევროპა გაეცნო აღმოსავლურ კულტურას, რის შედეგადაც აღმოსავლეთის გამოცდილება სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში გადმოტანილ იქნა ევროპაში. თუმცა აღმოსავლური კულტურა მანამდეც იჭრებოდა ევროპაში კუნძულ სიცილიისა და განსაკუთრებით კორდოვას სახალიფოს მეშვეობით, მაგრამ დასავლეთ ევროპაზე აღმოსავლური კულტურის უფრო ეფექ-

ტური გავლენა იწყება ჯვაროსანთა ლაშქრობის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში ამ დროიდან ხდება ევროპის სოფლის მეურნეობის კულტურის გამდიდრება. ევროპაში ვრცელდება სიმინდი, საზამთრო, გარგარი, ლიმონი, წიწბურა (гречиха), ქუნჯუთი და სხვა. ამავე დროს ფართო ხმარებაში შემოდის შაქარი, რომელიც მზადდებოდა შაქრის ლერწმისაგან.

ტექნიკის განვითარებასაც გარკვეული შედეგი მოჰყვა. ფიქრობენ, რომ ქარის წისქვილები ევროპელებმა სირიიდან გადმოიღეს. ფეოდალურ ჯარებში დაიწყეს არბალეტის გამოყენება, დაფისა და ნაღარის ხმარება. ჯვაროსანთა ლაშქრობის დროს გამოყენებული იქნა კომპასი, რამაც გაუმჯობესა ზღვაოსნობის ტექნიკური პირობები. ამავე დროს ფართოდ იქნა შემოღებული იალქნიანი გემების ხმარება. „ეს იყო ახალი პერიოდის დასაწყისი ზღვაოსნობის განვითარებაში, ზღვაოსნობის სტრატეგიისა და ტაქტიკის განვითარებაში“[1].

---

[1] Е. А. Разин. История военного искусства. ტ. II. გვ. 193.

თავი XI

დასავლეთ-ევროპის ადრინდელი ფეოდალური კულტურა (V—XI საუკ.)

მონათმფლობელური კულტურის დაცემა. ჩვეულებრივ, ტერმინი „კულტურა" ფართო და ვიწრო გაგებით იხმარება. ფართო გაგებით კულტურა მოიცავს მატერიალურსა და სულიერ ღირებულებებს, რაც კი ადამიანის შრომით შექმნილია ისტორიის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. მატერიალური კულტურის ქვეშ იგულისხმება ტექნიკა, ტრანსპორტის სხვასხვა საშუალებანი, შენებლობანი, საერთოდ მატერიალურ-კულტურული ძეგლები და ა. შ., ხოლო სულიერი კულტურის ქვეშ — ცოდნის განვითარების დონე, მისი გავრცელება მასებში, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარების ხარისხი, ხელოვნების (კინო, თეატრი, მუსიკა, მხატვრობა და სხვ.) აყვანა განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, ხალხური შემოქმედების გაფართოება და სხვ. ტერმინ „კულტურას" უფრო ხშირად ამ უკანასკნელი გაგებით ხმაობენ.

ლენინის განმარტებით[1] ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კულტურის ორი საწყისია მოცემული ერთ ნაციონალურ კულტურაში: ერთი მათგანი საზოგადოებაში გაბატონებულია, იგი მონოპოლიის მწვერვალებს ფლობს და გაბატონებულ კლასს მიეკუთვნება. მაშასადამე, ამ შემთხვევაში კულტურა ბურჟუაზიულია; მეორე- -დაქვემდებარებულ პირობებში იმყოფება, ის ხალხურია, უფრო სწორად, მოცემული ელემენტების სახით დემოკრატიული, სოციალისტური კულტურაა. რამდენადაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ბურჟუა-

---

[1] В. И. Ленин, თხზ., ტ. 20, გვ. 10.

ზიაა მასებზე გაბატონებული. იმდენად ბურჟუაზიული კულტურა გაბატონებულია დემოკრატიულზე და ამ უკანასკნელს განვითარების არავითარ გასაქანს არ აძლევს. ასეთივე კლასობრივ ხასიათს ღებულობს კულტურა ყველა ანტაგონისტურ საზოგადოებაში.

როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურა წარმოადგენს ზედნაშენს, რომელსაც თავისი შესაფერი ბაზისი გააჩნია. ბაზისსა და ზედნაშენს ი. ბ. სტალინი შემდეგნაირად განმარტავდა: „ბაზისი არის საზოგადოების ეკონომიური წყობილება მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ზედნაშენია საზოგადოების პოლიტიკური, უფლებრივი, რელიგიური, მხატვრული, ფილოსოფიური შეხედულებანი და მათი შესაბამისი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა დაწესებულებანი.

ყოველ ბაზისს აქვს საკუთარი, თავისი შესაბამისი ზედნაშენი. ფეოდალური წყობილების ბაზისს აქვს თავისი ზედნაშენი, თავისი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა შეხედულებანი და მათი შესაბამისი დაწესებულებანი, კაპიტალისტურ ბაზისს თავისი ზედნაშენი აქვს. სოციალისტურს—თავისი. თუ იცვლება და ისპობა ბაზისი, ამას მოჰყვება მისი ზედნაშენის ცვლა და მოსპობა, თუ წარმოიშობა ახალი ბაზისი, ამას მოჰყვება მისი შესაბამისი ზედნაშენის წარმოშობა"[1].

ამგვარად, ბაზისის შეცვლა აუცილებლად იწვევს ზედნაშენის შეცვლასაც. მაგრამ ზედნაშენი არაა დაკავშირებული წარმოებასთან უშუალოდ და ამიტომ ბაზისის მოსპობასთან ერთად ზედნაშენის მთლიანი მოსპობა დაუყოვნებლივ არ ხდება. მით უფრო ეს ითქმის ზედნაშენის ისეთ ელემენტზე, როგორიცაა სულიერი კულტურის გადმონაშთები. სულიერ კულტურას, ამა თუ იმ დარგში, კიდევ ერთხანს ინერციით შეუძლია განაგრძოს თავისი არსებობა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ როცა იტალიაში ეკონომიური და კულტურული აღმავლობის შემდეგ, XVI საუკუნის მეორე ნახევარში, ძრწველობა და ვაჭრობა დაცემის გზას დაადგა, კულტურის სფეროში იქმნებოდა ხელოვნების გენიალური ნაწარმოებები. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდიოდნენ გამოჩენილი მოაზროვნეები და სწავლულები, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ დიდხანს არ გასტანა და უკვე XVII საუკუნის დასაწყისშივე იტალიაში, ეკონომიური დასუსტების შემდეგ, კულტურის დაცემაც დაიწყო.

---

1. ს ტ ა ლ ი ნ ი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. 1951 წ., გვ. 3.

რომის იმპერიაში ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, დაწყებული მეოთხე საუკუნიდან. მონათმფლობელური კულტურაც დეგრადაციის გზას დაადგა. ეს, პირველყოვლისა, ანტიკურ ფილოსოფიას დაეტყო. ანტიკური ფილოსოფიის ორიგინალურ მოაზროვნეთაგან უკანასკნელი იყო ნეოპლატონიკი ეგვიპტელი ბერძენი პლოტინი (204—270). უკვე მის მოწაფეთათვის წარმართული ფილოსოფია უბრალო რიტორიკად და მჭერმეტყველების დახელოვნებაში უნაყოფო ვარჯიშობად გადაიქცა. ანტიკური ფილოსოფიის დაკნინებასთან ერთად მოისპო მასთან დაკავშირებული მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიც იყო მათემატიკა და ბუნებისმეტყველება. განსაკუთრებით ეს ითქმის შემდეგ პერიოდზე (IV საუკ.), როცა ქრისტიანობის მესვეურებმა, კერძოდ ეპისკოპოსმა თეოფილემ, გადაწვა ალექსანდრიის მდიდარი ბიბლიოთეკა და მოსპო წარმართულ მეცნიერებათა ეს დიდი ცენტრი.

ანალოგიური ბედი ეწვია ანტიკურ ისტორიულ მეცნიერებას. მეოთხე საუკუნეში ერთადერთი პიროვნება, რომელიც შეიძლებოდა ჩათვლილიყო ნამდვილ ისტორიკოსად, ეს იყო ამიანე მარცელინე. რომელიც დაახლოებით 400 წელს გარდაიცვალა. ასევე დაკნინების გზას ადგა იმდროინდელი პოეზია. პოეტები და მწერლები მთლად დაშორდნენ რეალურ ცხოვრებას. ორიგინალური და მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი აღარ იქმნებოდა. პოეზიის მოღვაწენი ახლა აქებდნენ და ადიდებდნენ რომის წარსულ ძლიერებას და ამასთან ხოტბა-დიდებას ასხამდნენ იმპერატორებს, გავლენიან სახელმწიფო მოღვაწეებსა და მხედართმთავრებს. პანეგირიკული ნაწარმოები სულ უფრო და უფრო მეტ გასაქანს პოულობდა. პანეგირიკოსთა ყველაზე თვალსაჩინო პიროვნებას კლავდიანე წარმოადგენდა (დაბადების წელი უცნობია. გარდაიცვალა 404 წელს). თავის ლექსებში ის ქება-დიდებით იხსენიებდა იმპერატორ ჰონორიუსს, თუმცა აღმოსავლეთის იმპერატორ არკადიუსს და მის მახლობლებს აძაგებდა, სთვლიდა რა მათ იმპერიის დანაწილების მიზეზად.

პოეზიაში ანალოგიურ მიმდინარეობას ვერ ასცდნენ ვერც თავისი ლექსებით ცნობილი გალიის გამოჩენილი პოეტი ავსონე და ვერც გალიის მეორე ცნობილი მწერალი სიდონიუს აპოლინარიუსი, რომელიც მოხუცებისას ქალაქ კლერმონის ეპისკოპოსი გახდა. ის პოეტები, რომელნიც მიმართავდნენ ხოლმე ისტორიას, თავიანთ ნაწარმოებში იმპერატორებისა და სასახლეში მყოფ პირთა ცხოვრებიდან უმთავრესად ანეგდოტებს გადმოსცემდნენ იმ მიზნით, რათა თავიანთი ნაწარმოებები მკითხველთათვის მიმზიდველი გაეხადნათ. ყველაფერი ეს ლაპარაკობდა იმაზე, რომ ანტიკური კულტურა

ხრწნის პროცესში იმყოფებოდა და მის წარმომშობ მონათმფლობელურ წყობილებასთან ერთად უფსკრულისაკენ მიდიოდა.

არქიტექტურამ და დეკორატიულმა ხელოვნებამ უფრო ადრე დაკარგა თავისი ორიგინალობა. მათ ვერ გადაიტანეს მონათმფლობელური საზოგადოების ღრმა ეკონომიური კრიზისი და ეკონომიური რეგრესი. არქიტექტურა და ხელოვნება ისევე არისტოკრატიულ ხასიათს ღებულობს, როგორც ლიტერატურა და პოეზია. არქიტექტორები იმპერატორების პატივსაცემად აგებდნენ საზეიმო თაღებს, დიდებულ სასახლეებს და წარჩინებულთათვის ვილებს. მოქანდაკენი მმართველთა უზარმაზარ ქანდაკებებს აკეთებდნენ და ამით ცდილობდნენ გამოეხატათ მათი „ზეკაცური“ დიდება. რაც დრო გადიოდა არქიტექტურა უფრო მეტად კარგავდა თავის მნიშვნელობას და იმპერატორ კონსტანტინესა და მისი მემკვიდრეების ხანაში მან არავითარი მნიშვნელოვანი ხელოვნების ძეგლები არ დაგვიტოვა. უფრო მეტიც, ამ ხანაში იწყება არსებული ძეგლების ნგრევა-განადგურება.

ამგვარად, ანტიკური კულტურის ცალკეული მონაცემები მონათმფლობელური საზოგადოების კრიზისის შემდეგ, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, ისპობოდა და საბოლოოდ კი მთლიანად განადგურდა. ანტიკური კულტურის დაღუპვა მნიშვნელოვნად დააჩქარა ქრისტიანული რელიგიის ბრძოლამ წარმართობის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ აფრიკანელმა ტერტულიანემ (დაახ. 160—222 წ.) გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ფილოსოფიას სარწმუნოებაში ყოველთვის ეპვი შეჰქონდა, იგი წარმოქმნიდა ურწმუნოებას და ეკლესიას ასუსტებდა. ჟქედან ტერტულიანე ასკვნიდა, რომ ქრისტიანობა ფილოსოფიასთან შეუთავსებელია. ამის შესახებ მარქსი თავის დროზე აღნიშნავდა: „.... ქრისტიანობას, როგორც ამას პროტესტანტული თეოლოგების ყველაზე უფრო ნიჭიერი და თანმიმდევარი ნაწილი ამტკიცებს, არ შეუძლია შეთანხმება გონებასთან. რადგან „საერო“ გონება „სასულიერო“ გონებასთან წინააღმდეგობაშია, რაც ტერტულიანემ უკვე გამოთქვა თავის კლასიკურ ფორმულაში: „verum est, quia absurdum est“ (ეს ჭეშმარიტია, რადგან უაზროა)“ [1].

ანტიკური კულტურის წინააღმდეგ უფრო მეტი სიმძაფრით „ნეტარმა“ ავგუსტინემ (354—430) გაილაშქრა. მან ასამდე შრომა დაწერა მეცნიერებისა და მატერიალისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ, რათა განემტკიცებინა ქრისტიანული რელიგიის საფუძვლები.

---

[1] Маркс и Энгельс. თხზ., ტ. I, გვ. 181—182.

ნის კალამს ეკუთვნის: „აკადემიკოსების წინააღმდეგ“, „სულის უკვდავების შესახებ“, „ნებისყოფის თავისუფლების შესახებ“, „ქრისტიანული მეცნიერების შესახებ“, „აღსარება“, „მწვალებლობათა შესახებ“ და სხვ. ამ ნაწარმოებებში ავტორი ცდილობდა უკანასკნელი მახვილი ჩაეცა ანტიკური აზროვნებისათვის და ამით გზა გაეკაფნა ახალი იდეოლოგიის საბოლოო გაბატონებისათვის.

ქრისტიანობის გამარჯვება და მისი სახელმწიფოებრივ რელიგიად გადაქცევა უშუალოდ დაკავშირებული იყო წარმართული ფილოსოფიური აზროვნების ლიკვიდაციასთან რომის იმპერიის ყველა ადგილებში. წარმართული ფილოსოფიის უკანასკნელი წარმომადგენელნი. რომელთაც თავი მოეყარათ ათენის უმაღლეს სასწავლებელში 529 წელს იმპერატორმა იუსტინიანემ განდევნა. ჯერ კიდევ ადრე (415 წ.) მოკლულ იქნა ქალი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი ჰიპატია. ამგვარად. მონათმფლობელური საზოგადოების რღვევამ და კათოლიკური ეკლესიის ბრძოლამ წარმართულ მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ანტიკური კულტურა თითქმის მთლიანად გაანადგურა.

ფეოდალურ-საეკლესიო კულტურა. ფრიდრიხ ენგელსი ზემოაღნიშნულ ვითარების შესახებ წერდა: „შუასაუკუნეობრიობა სრულიად პრიმიტიულ საფუძველზე განვითარდა. მან სავსებით აღგავა პირისაგან მიწისა ძველი ცივილიზაცია. ძველი ფილოსოფია. პოლიტიკა და იურისპრუდენცია. რათა ყოველივე თავიდან დაეწყო. ერთადერთი, რაც მან დაღუპულ ძველ სამყაროდან ისესხა. იყო ქრისტიანობა და რამდენიმე ნახევრადდანგრეული, ცივილიზაციისაგან გაძარცული ქალაქი. ამის შედეგად. როგორც ყოველთვის ხდება განვითარების აღრინდელ საფეხურზე. გონებრივი განათლების მონოპოლია ხუცებმა ჩაიგდეს ხელთ და ამიტომ თვით განათლებამ უაღრესად თეოლოგიური ხასიათი მიიღო. ხუცების ხელში პოლიტიკა და იურისპრუდენცია, ისევე როგორც ყველა დანარჩენი მეცნიერება, ღვთისმეტყველების უბრალო დარგებად იქცა და იმავე პრინციპებს დაექვემდებარა, რომელიც ამ უკანასკნელში ბატონობდა“ [1].

სხვანაირად ეს არც შეიძლებოდა მომხდარიყო. რადგან მეხუთე საუკუნეში ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად იქმნებოდა ახალი ეკონომიური ბაზისი. ყალიბდებოდა ახალი გაბატონებული კლასი ფეოდალების სახით. რომელთა მოთხოვნას ანტიკური კულტურა ვეღარ უპასუხებდა. ახალი ბაზისი ჰქმნიდა თავისათვის ახალ ზედნაშენს, ახალ კულტურას. ფეოდალების

---

[1] ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი, გლეხთა ომი გერმანიაში, 1956, გვ. 39.

კლასი, რომელმაც შეცვალა მონათმფლობელების ბატონობა. იდეოლოგიის ისეთ ფორმებსა ჰქმნიდა, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამებოდნენ მის კლასობრივ ინტერესებს და მის ბატონობას გაამტკიცებდნენ. ფეოდალების კლასი თავის გაფორმებასთან ერთად ნაწილობრივად თავის რიგებიდან და ნაწილობრივად მოსახლეობის ღარიბი ფენებიდან გამოჰყოფდა საკუთარ ინტელიგენციას. დღიდან ფეოდალიზმის წარმოქმნისა ეს ინტელიგენცია თითქმის მთლიანად სასულიერო წოდებას მიეკუთვნებოდა; თვით სიტყვა „clericus" „კლირიკი" --- ეკლესიის მსახური — სწავლული, წერა-კითხვის მცოდნე პირის სინონიმად იყო გადაქცეული.

თუ ვინმე საეროთაგანი წერა-კითხვის მცოდნე იყო (რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენდა), მას უთუოდ სასულიერო წოდებას მიაკუთვნებდნენ, უფრო მეტიც, ასეთი პიროვნება, რა სამუშაოს პატრონიც არ უნდა ყოფილიყო, ბერების მსგავსად უცოლოდ უნდა ღარჩენილიყო მთელ თავის სიცოცხლეში, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავდა ბენეფიციუმს, ანუ „ჯრებენდას" (საეკლესიო შემოსავალს), რითაც შუა საუკუნეების სწავლულები ირჩენდნენ თავს. ასე მაგალითად, პარიზის უნივერსიტეტის მედიცინის მეცნიერების დოქტორებმაც კი, რომელნიც სხვა მეცნიერებთან შედარებით უფრო შორს იდგნენ რელიგიიდან, დაქორწინების ნებართვა მიიღეს მხოლოდ XV საუკუნის შუალედში.

კათოლიკური ეკლესია ყოველმხრივ ცდილობდა ადამიანთა სულიერი საქმის მართვის საქმეში მონოპოლისტი გამხდარიყო. ის ყველაფერს უმორჩილებდა თავის ინტერესებს და აქცევდა მას ეკლესიის ერთგულ მსახურად. ანტიკური წარმართული საერო ხასიათის ფილოსოფია გადაიქცა კათოლიკურ თეოლოგიად. მეცნიერებათა ის ელემენტები, რომელნიც ასე თუ ისე დაღუპვას გადარჩნენ, გადააკეთეს და ახლა ეკლესიის მოძღვრების საყრდენად გადააქცეს. ეგრეთ წოდებულ, არარსებულ წმინდანთა ყოფა-ცხოვრება საუკუნეების მანძილზე გადაიქცა ლიტერატურული შემოქმედების სახეობად, რის გამოც საერო ხასიათის ნაწარმოები სავსებით ეოისპო. ისტორიული მეცნიერება საეკლესიო ქრონიკებმა შესცვალეს; პოეზია და მუსიკა, ისევე როგორც სხვა ხელოვნება, ამიერიდან მხოლოდ ეკლესიას ემსახურებოდა. ახლა ქალაქების ნაცვლად კულტურის ცენტრად მონასტერი იქცევა. სკოლები ჩამოყალიბდნენ მონასტრებთან, საეპისკოპოსო კათედრებთან და ეკლესიის მორჩილებაში აღმოჩნდნენ. მათი ცალკე მოქმედება ისევე წარმოუდგენელი იყო, როგორც ბიბლიოთეკების არსებობა მონასტრების გარეშე.

იმ დროს არსებული სკოლები (როგორც საეპისკოპოსო, ისე სამონასტრო) სასულიერო წოდების ხელში იმყოფებოდა. ბუნებრივია, რომ როგორც სკოლის ხელმძღვანელები, ისე მასწავლებლები სასულიერო პირნი იყვნენ. ეკლესია ადგენდა მათთვის პროგრამას და ახდენდა მოსწავლეთა ჩარიცხვას სკოლებში. ამასთან ეკლესიის მიზანს წარმოადგენდა მოემზადებინა თავისთვის ისეთი კადრები, რომლებიც ქადაგების მეშვეობით შესძლებდნენ მოსახლეობის ფართო ფენებზე გავლენის მოხდენას, მათ მორჩილებაში ყოლას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თავის მსახურთაგან ეკლესია არსებითად სულ ცოტას მოითხოვდა — ლოცვების ცოდნას, სახარების წაკითხვას ლათინურ ენაზე (თუნდაც ტექსტის გაუგებრად) და ეკლესიის მომსახურების გაწევას. ის პირნი, რომელნიც თავიანთი ცოდნით გასცდებოდნენ აღნიშნულ პროგრამას, VI—X საუკუნეებში ძალზე იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდნენ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ეკლესია, რომ გადაქცეულიყო ნამდვილ მონოპოლისტად, ამისათვის მაინც აუცილებელი ხდებოდა, თუნდაც ცოდნის მინიმუმის დაუფლება. მაშასადამე, ეკლესია, ანადგურებდა რა ანტიკურ მეცნიერებათა დარგებს, ამასთან იძულებული იყო ანტიკურ მეცნიერებათა ნაშთებიდან ზოგი რამ აეთვისებინა და გადაერჩინა დაღუპვისაგან. იმდროინდელი სასულიერო წოდების ზოგიერთი პირი (იერონიმე, ამბროსი მილანელი, პრუდენციუსი და სხვ.) თვითონ იყო აღზრდილი ანტიკური კულტურის ნიადაგზე და, ბუნებრივია, რომ ის შეეცდებოდა ანტიკური კულტურის ამა თუ იმ ელემენტების გამოყენებას ეკლესიის სასარგებლოდ.

ერთ-ერთ ასეთ პირთაგანს ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში, ჰიპონის ეპისკოპოსი ავგუსტინე წარმოადგენდა. ანტიკურ კულტურას ის უტილიტარული თვალსაზრისით უყურებდა. ბიბლიისა და „ეკლესიის მამათა“ გაგებისათვის, წარმართობისა და მწვალებელთა წინააღმდეგ საბრძოლველადო, — ამბობდა ის, — საჭიროა რიტორიკის, გრამატიკის, დიალექტიკის, ისტორიის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ ავგუსტინე გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა წარმართული ფილოსოფიის და სხვ. წინააღმდეგ, იგი მაინც ამბობდა: „არ უნდა იქნას ათვალისწუნებული კარგი რამ, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ იგი ნათქვამია წარმართების მიერ“.

მეხუთე საუკუნის დასაწყისში ეკლესიამ გაშალა მუშაობა იმ ცოდნის მინიმუმის შესაძენად, რაც აუცილებელ საჭიროებად იყო აღიარებული მის მიერ. დაახლოებით 430 წლისათვის აფრიკანელმა

მწერალმა მარციანუს კაპელამ (Martianus Capella) თავისი ცნობილი შრომის ცხრა წიგნში, რომელსაც ეწოდებოდა „ფილოლოგიის დაქორწინება მერკურიზე“ თავი მოუყარა ელემენტარულ დებულებებს. რომელნიც მოცემულნი იყვნენ ანტიკურობაში ცნობილ ეგრეთ წოდებულ „შვიდ თავისუფალ ხელოვნებაში“: გრამატიკა. რიტორიკა. დიალექტიკა. გეომეტრია. არითმეტიკა. ასტრონომია და მუსიკა.

კულტურის დაცემასთან და ეკლესიის გაბატონებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ცოდნის ამ დარგებში ანტიკურ მეცნიერთა მიერ მოცემული ღრმა შინაარსი. შუა საუკუნეების პერიოდში დაყვანილ იქნა ელემენტარულ ცოდნაზე, რომელიც საჭირო იყო საეკლესიო წიგნების გაგებისათვის[1]. რიტორიკა—როგორც საშუალება საეკლესიო ქადაგებათა მჭერმეტყველურად წარმართვისათვის, ასტრონომია—საეკლესიო დღესასწაულთა გამოანგარიშებისათვის, დიალექტიკა—მწვალებლებთან დავის გადაწყვეტისათვის, არითმეტიკა—აგრეთვე საეკლესიო დღესასწაულთა გამოანგარიშებისათვის, მისტიკური განმარტებისათვის, ხოლო მუსიკა—როგორც კათოლიკური ეკლესიის საგალობელთა დამხმარე საშუალება.

მეექვსე საუკუნეში „შვიდი თავისუფალი ხელოვნება“ ბოეციუსისა და კასიოდორეს მიერ ორად იქნა დანაწილებული: ტრივიუმად (trivium, რაც ნიშნავს სამგზოვანს) და კვადრივიუმად (quadrivium , ეს სიტყვა კი ნიშნავს ოთხგზოვანს). პირველ ნაწილში შედიოდა გრამატიკა. რიტორიკა და დიალექტიკა, ხოლო მეორეში—არითმეტიკა. გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა. ტრივიუმი თავისებურ დაწყებითი სწავლისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო კვადრივიუმი შემდეგ საფეხურზე ისწავლებოდა. ასეთი სისტემის განათლება გვიანდელ ეპოქაში საბოლოოდ კლასიკური გიმნაზიების სისტემით შეიცვალა.

---

[1] გრამატიკა გულისხმობდა მხოლოდ ზოგიერთი კლასიკური ავტორის კითხვასა და მის კომენტარიებს; დიალექტიკა შეეფარდებოდა ფორმალურ ლოგიკას ჩვენი გაგებით, ე. ი. ასწავლიდა იმას, თუ მოცემულ წანამძღვარებიდან როგორ უნდა გაეკეთებინათ სწორი დასკვნა; არითმეტიკაში იგულისხმებოდა უბრალო თვლა ან იმ ვადების გამოთვლა, როდესაც უნდა დამდგარიყო საეკლესიო, ესა თუ ის დღესასწაული. გეომეტრია იძლეოდა ელემეტარული ფიგურების ცოდნას, რაც საჭირო იყო „ტაძრების აგებისათვის“.

ქრისტიანული მოძღვრება, როგორც ფეოდალური იდეოლოგია. უკვე აღნიშნული იყო, რომ ფეოდალურ წყობილებაში ეკლესია ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. უფრო მეტიც, ფეოდალურ დაქსაქსულობის ხანაში იგი ქვეყნის გამაერთიანებელ ცენტრადაც იქცეოდა. ამიტომ იყო რომ, საერო ფეოდალობასთან ერთად სასულიერო ფეოდალები ხელიხელჩაკიდებულნი ერთად გამოდიოდნენ გლეხურ აჯანყებათა ჩასახშობად და, საერთოდ, უშუალო მწარმოებელთა დასათრგუნავად. გამძაფრებულ კლასობრივ ბრძოლებში, თუ საერო ხელისუფალნი გამოდიოდნენ ცეცხლითა და მახვილით უშუალო მწარმოებელთა წინააღმდეგ, ეკლესია არანაკლებ დახვეწილი იარაღით აწარმოებდა ბრძოლას. მის განკარგულებაში იყო იმ დროისათვის ისეთი ქმედითი საშუალება, როგორიცაა ვისმეს შერისხვა და საერთოდ ეკლესიიდან განკვეთა, ინტერდიქტის გამოცხადება, ვისმეს მწვალებლად აღიარება და კოცონზე დაწვა და ბოლოს, რაც მთავარია, საერთოდ ქრისტიანული მოძღვრება.

ამ მოძღვრების თანახმად სამყარო ორადაა დაყოფილი საიქიო და სააქაო. ადამიანის ცხოვრება იწყება ამ ქვეყნად და შემდეგ, ის ცხოვრებას განაგრძობს საიქიოში. ამასთან, თუ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება რაღაც რამდენიმე ათეული წლით განისაზღვრება, საიქიოში იგი მარადიული ხდება. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად ამქვეყნიური ცხოვრება ფაქტიურად არარაობაა. ადამიანი ამ ქვეყნის მოკლე ხნის სტუმარია, მაშასადამე, ადამიანის მთავარი საფიქრებელი უნდა იყოს თავის თავზე ზრუნვა არა ამქვეყნიურ ცხოვრებაში, არამედ საიქიოში. საიქიო, თავის მხრივ, ძირითადად ორადაა დაყოფილი სამოთხედ და ჯოჯოხეთად. პირველი სანეტარო რამეს წარმოადგენს, ხოლო მეორე — დაუსრულებელი ტანჯვა-წამებაა. ამქვეყნიური ცხოვრების დამთავრების შემდეგ ადამიანთა ერთი ნაწილი მოხვდება სამოთხეში, ხოლო მეორე — ჯოჯოხეთში.

მას შემდეგ, რაც ადამმა და ევამ, ეშმაკის წაქეზებით შეცოდება ჩაიდინეს, ყველა მათი შთამომავალი ცოდვილია და ვერ მოხვდება სამოთხეში, თუ მან ეკლესიის მეშვეობით სააქაოში არ მოინანია თავისი ცოდვები. ეკლესიის გარეშე ადამიანი ცოდვებს ვერ მოინანიებს, მხოლოდ ეკლესიას შეუძლია თავისი მადლით იხსნას ის მარადიულ ტანჯვა-წამებისაგან — ჯოჯოხეთისაგან. მადლის მიღება შეიძლება ნათლობით, აღსარებით, ზიარებით და ყველა იმით, რაც მხოლოდ სასულიერო წოდების წარმომადგენელს შეუძლია. ამგვარად, ადამიანთა ბედ-იღბალი მთლიანად დამოკიდებულია ეკლესიაზე, ანუ სასულიერო წოდებაზე, მაშასადამე, ადამიანი ეკლესიისადმი მორჩილი უნდა იყოს.

ეკლესიის მიერ ამქვეყნიური ცხოვრების უგულებელყოფა და მთელი ყურადღების გადატანა საიქიო ცხოვრებაზე მიზნად ისახავდა იმას, რომ მასები არ ცდილიყვნენ თავიანთ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას ამ ქვეყნად, დაკმაყოფილებულიყვნენ მცირედით, არ დაეწყოთ ბრძოლა მათი ექსპლუატატორების წინააღმდეგ იმ იმედით, რომ საიქიოში მოიპოვებდნენ ისინი თავიანთ ნეტარებას. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ადამიანები უნდა იყვნენ მორჩილნი არა მარტო ეკლესიისადმი, არამედ თავიანთ საერო ბატონების მიმართაც. ის, ვინც ცდილობს ამქვეყნად გამდიდრებას ან საერთოდ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ღვთის საწინააღმდეგო საქმეს ჩადის (რა თქმა უნდა, ეს ფეოდალური კლასის წარმომადგენლებს არ ეხება). ურჩობა და აჯანყება ბოროტებაა, „ვინც მახვილს აიღებს, მახვილითვე დაიღუპება"; თვითეული ადამიანი ამ ქვეყნად თავშეკავებულ ცხოვრებას უნდა ატარებდეს, მარხვა, მარხულობა და ლოცვა უმსუბუქებს ადამიანს სამოთხეში მოხვედრას, ვინც ფეოდალების „მორჩილებაში იქნება, ის სამოთხეში დაიმკვიდრებს, „მიეცით კეისარს კეისრისა, ღმერთს — ღვთისა".

მონასტრების წარმოშობა და მათი მნიშვნელობა. იმ მიზნით, რომ მასებში დაენერგათ მოთმინება და მორჩილება, ეკლესია მათ მოუწოდებდა მიწიერ სიკეთისაგან ჩამოცილებას და საერთოდ ამ ქვეყნიურობიდან განდგომას. ასკეტიზმი. აი, რა გახდა მთავარ დევიზად ქრისტიანულ მოძღვრებაში — ფეოდალურ იდეოლოგიაში, თუმცა თვით ეკლესიის მსახურნი და ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენა, ამ საკუთარ დევიზიდან ძალიან შორს იდგნენ. ასკეტიზმისაკენ ლტოლვამ ჯერ კიდევ ადრე (მეოთხე საუკუნეში) იჩინა თავი. საყოველთაო კრიზისის პირობებში, როცა მოუსვენარმა ცხოვრებამ დაკარგა თავისი მიმზიდველობა, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მიანება თავი სოფლებსა და ქალაქებს და მიუვალ ადგილებში წავიდა, სადაც ამქვეყნიურ ცთომილებათაგან ადვილად შეიძლებოდა თავის დაღწევა და „სულის ხსნა". ასეთ ადგილებში პირველად წარმოიშვა ეგრეთ წოდებული მონასტრები ბერ-მონაზონთათვის.

პირველი მონასტრები დაარსდა აღმოსავლეთში: ეგვიპტეში და სირიაში. მონასტრის წესდება ბერებისაგან მოითხოვდა მოთმინებასა და მორჩილებას თავიანთი უფროსებისადმი, თავიანთ საკუთრებაზე ხელის აღებას და მის გადაცემას მონასტრისათვის და გარდა ამისა შეუღლებაზე უარის თქმას, ცელიბატის აღთქმის დადებას.

მალე მონასტრების წარმოშობა დაიწყო დასავლეთშიაც. აქ მონასტრების დაარსება პირველად ნურსიელმა ბენედიქტემ წამოიწყო. თუ თავდაპირველად მონასტრები წარმოადგენდნენ განდეგილთა თავშესაფარს, სადაც მონასტრებში შემსვლელთ უნდა ფიზიკური შრომით ერჩინათ თავი, სადაც დაცული უნდა ყოფილიყო ზომიერი ყოფაცხოვრება ასკეტიზმის შესაბამისად და სადაც დამყარებული უნდა ყოფილიყო თანასწორუფლებიანობა, მეექვსე საუკუნიდან მდგომარეობა შეიცვალა. თუ ადრე კათოლიკური ეკლესია ეჭვის თვალით უყურებდა მონასტრების საქმიანობას, მალე უმაღლესი სამღვდელოება მიხვდა იმას, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ბერობის დაქვემდებარებას ეკლესიის გაძლიერების საქმეში.

ეკლესიამ იწყო ბერებისადმი მფარველობის გაწევა და მათთვის სათანადო დახმარების აღმოჩენა, რის შედეგადაც ბენედიქტეს ხელმძღვანელობაში მყოფი მონასტრები ბენედიქტიანელთა ორდენად გადაიქცა. ამის შემდეგ შეიცვალა სხვა მონასტრების ყოფაცხოვრებაც. მონასტრები იწყებენ ქონების დაგროვებას, სხვადასხვა შეწირულებებისა და ზოგჯერ ძალდატანების შედეგადაც თავს უყრიდნენ სახნავ-სათეს მიწებსა და მამულებს, იქცეოდნენ მსხვილ მიწათმფლობელებად და ამით ამტკიცებდნენ კათოლიკური ეკლესიის მატერიალურ ბაზას. ბენედიქტიანელთა ორდენი აძლიერებდა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტსა და სასულიერო წოდების პრესტიჟს მოსახლეობის ფართო მასებში.

ჯერ კიდევ ადრე, ბენედიქტეს მიერ შემოღებულ სამონასტრო წესდების მიხედვით, ბერებს ლოცვისა და ღვთისმსახურების შესრულების შემდეგ თავისუფალი დრო უნდა გამოეყენებინათ ფიზიკური და გონებრივი შრომისათვის. ეს უკანასკნელი გულისხმობდა წიგნების კითხვას და მათ გადაწერას. მონტე-კასინოს მონასტერში (რომელიც თვით ბენედიქტეს მიერ იყო დაარსებული) შეიქმნა ბიბლიოთეკა, რომელიც შედგებოდა ბერების ხელით გაფაწერილ სასულიერო და საერო ხასიათის წიგნებისაგან. ამგვარად, მონასტრები, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ ისახავდნენ მიზნად ანტიკური კულტურის ნაშთების დაღუპვისაგან გადარჩენას, ობიექტურად მაინც აქამდე მიდიოდნენ, თუმცა რიგ შემთხვევაში ანტიკურ ეტრატის ხელნაწერებს რეცხავდნენ და პერგამენტის ქაღალდს ლოცვების ჩასაწერად იყენებდნენ.

ანტიკური კულტურის ზოგიერთი ნაშთის შემონახვაში გარკვეული როლი შეასრულეს ირლანდიის მონასტრებმა VI—VII საუკუნეებში. იმ დროს, როცა დასავლეთი ევროპა ხშირ თავდასხმებს

განიცდიდა ბარბაროსთა ტომებისაგან და მისი კულტურა განადგურების გზას ადგა. ირლანდია თავდასხმებს მაშინ არ განიცდიდა. მეხუთე საუკუნეში გალიიდან გაიქცნენ ანტიკური სწავლულების უკანასკნელი წარმომადგენლები და ირლანდიას შეაფარეს თავი. მათი მეშვეობით ირლანდიაში შეტანილი იქნა რომაული და ბერძნული ლიტერატურის ნიმუშები. ირლანდიის მონასტრების ბერების ნაწილმა ბერძნული ენაც კი აითვისა მიუხედავად იმისა, რომ ეს ენა ევროპაში უკვე დავიწყებული იყო.

მეშვიდე საუკუნის ბოლოს ანგლო-საქსებშიაც ვრცელდებოდა მონასტრები. მონასტრების სკოლები იწყებენ მოქმედებას იორკში, იაროუში და მალმსბერში. იაროუში და ნორტუმბრიაში მოღვაწეობდა თავის დროისათვის ცნობილი „ფრიად პატივცემული“ ბედა (დაახლ. 673—735). მან დასწერა „ანგლების ხალხის საეკლესიო ისტორია“. რომელიც ლეგენდებთან და თქმულებებთან ერთად შეიცავს ინგლისის ისტორიას 731 წლამდე. იორკის საეპისკოპოსო სკოლაში იზრდებოდა მეორე ცნობილი პიროვნება, წარმოშობით ანგლო-საქსი ალკუინი, რომელიც ერთ-ერთი მონაწილე გახდა „კაროლინგური აღორძინებისა“.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა. VIII საუკუნის მეორე ნახევრამდე ევროპის ძირითადი ტერიტორია გალიისა და იტალიის ჩათვლით მოცული იყო ბნელეთით. აზროვნებას არავითარი გასაქანი არ ეძლეოდა. საგნებზე და მოვლენებზე მეცნიერული წარმოდგენა ან სულ არ არსებობდა. ანდა იგი მეტად პრიმიტიული იყო. ეს თვალსაჩინოდ ჩანს. თუნდაც შემდეგი გარემოებიდან. სევილიის ეპისკოპოსმა ისიდორემ (დაახლ. 570—636) სცადა შეედგინა თავისებური ენციკლოპედია, რომელსაც ავტორმა „ეტიმოლოგია“ უწოდა იმის გამო, რომ მასში თვითეული საგნის განმარტებას წინ უძღოდა ამ სიტყვის ფანტასტიური ეტიმოლოგია. ასე მაგალითად, მასში აღნიშნული იყო, რომ ყველა ცხოველს პირველად სახელი ადამმა შეარქვა ებრაულ ენაზე, რომ ქვები შეიცავენ სასწაულთმოქმედების ძალას, რომ რიცხვები შედგებიან ლუწისა და კენტისაგან და ა. შ. ისიდორეს ეს ეტიმოლოგია საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა სიბრძნისა და შემეცნების წყაროს.

მაშინდელი აზროვნებისა და შემეცნების უაღრესად დაბალი დონის არანაკლებ ამსხველია ბიზანტიელი კოზმა ინდიკოპლეისტის (VI სუკ.) „ქრისტიანული ტოპოგრაფია“. მასში ავტორი ცდილობს ბიბლიაზე დაყრდნობით დაამტკიცოს, რომ დედამიწას ბრტყელი პარალელოგრამის ფორმა გააჩნია, რომელსაც გარშემო

ოკეანე არტყავს. ოკეანეს მიღმა არის სამოთხე, რომლის უკიდურესი საზღვრებიდან ამართულია კედლები. ეს კედლები თავს იყრიან ჩვენს ზემოთ და ჰქმნიან ცის თაღს. ავტორის ფიქმით მზე, მთვარე და სხვ. მოძრაობენ იმ მაღალი მთის გარშემო, რომელიც ჩრდილოეთით მდებარეობს: ზამთარში მათი მოძრაობა ხდება მთის ძირთან, რის გამოც დღე პატარავდება; ზაფხულში — მთის მწვერვალთან, რის გამოც დღე იზრდება და სხვ.

„კაროლინგური აღორძინება“. იმდროინდელი კულტურის დაბალი დონე, პირველ ყოვლისა, აიხსნებოდა წარმოებითი ძალების განვითარების დაბალი დონით. დაღუპვის გზაზე დამდგარი რომის იმპერიის ბატონობამ უკანასკნელ საუკუნეებში, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, ბარბაროსთა დაპყრობებმა „წარმოებითი ძალების მასა გაანადგურა“; მიწათმოქმედება დაეცა, მრეწველობა შესუსტდა, ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ჩაკვდა, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობამ იკლო. ფეოდალური წარმოების წესი, რომელმაც მონათმფლობელური წარმოების წესი შესცვალა, ჯერ კიდევ უსუსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. როგორც ენგელსი აღნიშნავს, ახალ, ფეოდალურ წარმოების წესს სამი საუკუნე დასჭირდა იმისათვის, რომ დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა მონათმფლობელურ წარმოების წესთან შედარებით. მაშასადამე, ფეოდალური წარმოებითი ძალების განვითარება, ასე თუ ისე, შესამჩნევი ხდება მხოლოდ მერვე საუკუნიდან.

წარმოებითი ძალების შემდგომ განვითარების საფუძველზე ფეოდალური ურთიერთობა ფრანკთა მონარქიაში უფრო მეტად განმტკიცდა. კარლოს მარტელის დროიდან დაწყებულმა და კარლოს დიდის დროისათვის დამთავრებულმა საფუძვლიანმა აგრარულმა გადატრიალებამ გააძლიერა ფეოდალთა კლასი და, მეორე მხრით, უშუალო მწარმოებლები გლეხობის სახით ძირითადად ყმურ მდგომარეობაში მოაქცია. ამავე აგრარულ გადატრიალებიდან გამომდინარეობდა კარლოს დიდის ექსპანსიური საგარეო პოლიტიკა, რამაც ფრანკთა მონარქიის ტერიტორია დიდად გაზარდა. ასეთი საგარეო პოლიტიკის გატარებისას და უზარმაზარ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის პირობებში კათოლიკურ ეკლესიას უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭა. ჯერ ერთი, რომ სხვადასხვა ქვეყნების დაპყრობას თან სდევდა „წარმართთა გაქრისტიანება“ და, მეორეც ის, რომ იმპერიის მართვა-გამგებლობას სჭირდებოდა ასე თუ ისე მომზადებული კადრები, რომელთაც შეეძლებოდათ თუნდაც მეფის ბრძანებულებათა გაცნობა მოსახლეობისათვის.

ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა პირველყოვლისა ეკლესიის მეშვეობით უნდა მომხდარიყო. მას უნდა მოემზადებინა აღნიშნული კადრები. გარდა შიშველი ძალადატანებისა ფეოდალებს თავიანთი ბატონობის განმტკიცებისათვის სჭირდებოდათ სისტემატური იდეოლოგიური ზემოქმედება მასებზე ეკლესიის მეშვეობით, მაგრამ ეკლესიის გავლენა მასებზე იმ შემთხვევაში იქნებოდა უფრო ქმედითი, თუ მისი ავტორიტეტი სათანადო სიმაღლეზე იდგებოდა. კარლოს დიდის გამეფებისას გამოირკვა, რომ ამ მხრივ ეკლესია ვერ ამართლებდა თავის დანიშნულებას. რადგან საეკლესიო შემოსავალი დიდი იყო, ამიტომ სასულიერო თანამდებობაზე ხშირად წერა კითხვის უცოდინარი ფეოდალებიც ინიშნებოდნენ. ეს კი, ეკლესიის ავტორიტეტს მოსახლეობაში დაბლა სცემდა.

კარლოს დიდის მიერ 769 წელს გამოცემულ პირველ კაპიტულარში ნაბრძანები იყო, რომ გადაეყენებინათ ყველა ხუცები ვინც წერა-კითხვის უცოდინარი იქნებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ კაპიტულარის სრული განხორციელება მაშინ ვერ მოხერხდა. რის გამოც 787 წელს ეპისკოპოსებისა და მონასტრებისადმი მიმართვებში კარლოს დიდი კვლავ მოითხოვდა წერა-კითხვის უცოდინარ სასულიერო პირთა შეცვლას მცოდნე პირებით. ამ მხრივ მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა საზღვარგარეთიდან მოეწვია სწავლული პირები სათანაღო კადრების მოსამზადებლად. კარლოსის სასახლეში თავი მოიყარეს გრამატიკოსებმა, რიტორებმა და სხვ. იტალიიდან, ბრიტანეთიდან და ირლანდიიდან. მათ წინაშე დასახულ იქნა ამოცანა — შეედგინათ სახელმძღვანელოები მონასტრებთან არსებულ სკოლებისათვის.

კარლოსის სასახლეში თავმოყრილ მოღვაწეთა შორის გამოირჩეოდა ანგლო-საქსელი ბერი ალკუინი, რომელიც კარლოსს შეხვდა პარმაში (იტალია) 781 წელს. მოლაპარაკების შედეგად ალკუინმა მეფისაგან გასამრჯელოდ მიიღო სამი საბატოს შემოსავალი, რის შემდეგაც იგი მეფის მრჩეველად დაინიშნა განათლების საკითხებში და ამავე დროს გახდა მისი და მისი შვილების მასწავლებელი. ალკუინის ხელმძღვანელობით ხდებოდა მონასტრებთან სკოლების დაარსება. მან შეადგინა სახელმძღვანელოები გრამატიკისა, რიტორიკისა, ასტრონომიისა და სხვა დარგებში. ეს სახელმძღვანელოები მარციანე კაპელას, ბოეციუსის და ისიდორე სევილიელის შრომათა კომპილაციას წარმოადგენდნენ. ამგვარად, ალკუინის საქმიანობა, ისე როგორც დანარჩენებისა, ანტიკურ მეცნიერებათა ნამდვილ აღორძინებას კი არ ნიშნავდა, არამედ ანტიკურ მეცნიერებათა ნაშთების

თავმოყრას და მათ გამოყენებას ფეოდალური იდეოლოგიის განმტკიცების საქმეში.

ალკუინი თავის თხზულებებში ადრინდელი ფეოდალური განათლების ერთგვარ სისტემატიზაციას ახდენდა. მისი თხზულებანი სიტყვიერ-სქოლასტიკური და მკაფიოდ ღვთისმეტყველური ხასიათის მატარებელი იყო. მისი სახელმძღვანელოები შედგენილი იყო გასაუბრების ფორმით, ხოლო არითმეტიკული კრებული — სხვადასხვა გამოცანების თავმოყრით. კერძოდ, კარლოს დიდის შვილის პიპინისათვის შედგენილ დიალოგში ნათქვამი იყო: „პიპინი. რა არის ასო?—ალკუინი. ისტორიის მცველი. პიპინი. რა არის სიტყვა?— ალკუინი. სულის გამცემი... პიპინი. ვისა ჰგავს ადამიანი? — ალკუინი. სფეროს... პიპინი. როგორ მდგომარეობაში იმყოფება ადამიანი? — ალკუინი. ისე როგორც ლამპარი ქარში... პიპინი. რა არის ოავი? — ალკუინი. სხეულის მწვერვალი.... პიპინი. რა არის სხეული? — ალკუინი. სულის სადგომი... პიპინი. რა არის ზამთარი? — ალკუინი. განდევნილი ზაფხულის მიერ. პიპინი. რა არის გაზაფხული?—ალკუინი. მიწის მხატვარი“ და სხვ.

თვით კარლოსის, მისი ოჯახის წევრებისა და მისი ამალის თვითგანვითარებისათვის იმპერატორმა დააარსა ეგრეთ წოდებული „სასახლის აკადემია“. აქ იმართებოდა მსჯელობა იმის შესახებ თუ როგორ მოძრაობს მზე. მთვარე და სხვ.. განმარტავდნენ ამა თუ იმ ლათინური სიტყვის მნიშვნელობას. კითხულობდნენ „ეკლესიის მამათა“ და ძველი ავტორების ნაწარმოებებს და სხვ. ამ წრეში ალკუინის გარდა მონაწილეობას ღებულობდნენ: გუთი თეოდულფი, ლანგობარდი პავლე დიაკონი და კიდევ სხვები.

„კაროლინგური აღორძინების“ წარმომადგენელთაგან ალკუინის შემდეგ ყველაზე თვალსაჩინო თეოდულფი იყო. იგი წარმოადგენდა ადრინდელ შუა საუკუნეების პოეტს და ღვთისმეტყველს. 798 წელს იგი ეპისკოპოსი გახდა. ხოლო შემდეგში ორლეანის არქიეპისკოპოსად დაინიშნა. თეოდულფი თავის ნაწარმოებში „მოსამართლეთა წინააღმდეგ“ აშკარავებდა გაბატონებული კლასის ზნე-ჩვეულებებს. გრაფებისა და მათი თანაშემწეების თვითნებობას. თეოდულფმა სხვა დანარჩენებზე უფრო მეტად შეიტანა ფეოდალურ კულტურაში ანტიკური ცოდნის ელემენტები. მან დაამუშავა და საბოლოოდ დაადგინა „შვიდი თავისუფალი ხელოვნების“ სწავლის მეთოდიკა. თეოდულფმა შეადგინა რუკა, რომელშიაც დედამიწა წარმოდგენილია სფეროს სახით.

პავლე დიაკონი წარმოშობით ცნობილ ლანგობარდულ გვარს მიეკუთვნებოდა. მან თავის დროისათვის კარგი განათლება მიიღო.

ადრევე მუშაობდა ლანგობარდიის მეფესთან დეზიდერისთან, ხოლო ლანგობარდების სამეფოს კარლოს დიდის მიერ დაპყრობის შემდეგ პავლე კარლოს დიდთან გადავიდა სამუშაოდ. მის მთავარ ნაშრომს წარმოადგენს „ლანგობარდების ისტორია" (6 წიგნად). მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე რიგი სხვა ისტორიული ნაწარმოებისა და პოეტური თხზულებებისა. იგი მოწვეულ იქნა კარლოს დიდის სასახლეში, როგორც გრამატიკის, ბერძნული ენის, ლათინელი ავტორების და სხვ. მცოდნე.

მიუხედავად იმისა, რომ „კაროლინგურ აღორძინებაში" გ-ტარებული ღონისძიებანი ძალზე შეზღუდული იყო და იგი შეეხო გაბატონებული კლასის მხოლოდ ზედა ფენას, ამითი მაინც ნაბიჯი წინ იყო გადადგმული შედარებით წინა პერიოდთან. ამ ხანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხელნაწერების გარეგნული გაფორმება. უშნო და გაურკვეველი ხელით ნაწარმოებთა გადაწერა შეცვალა გარკვეულმა და ლამაზმა ნაწერებმა, რომელმაც მიიღო კაროლინგური მინუსკულის სახელწოდება და რომელიც თანამედროვე ლათინური ასოების მოყვანილობას საფუძვლად დაედო. გადაწერისას გარკვეული ხელის გამომუშავებაში არა ნაკლები როლი შეასრულა ეგრეთ წოდებული სკრიპტორიუმების ჩამოყალიბებამ.

ეს სკრიპტორიუმები, ანუ სახელოსნოები ჩამოყალიბებულ იქნა უმთავრესად მსხვილ მონასტრებთან. სკრიპტორიუმებში რამდენიმე ბერი ერთი პიროვნების კარნახით ახდენდა შრომათა გადაწერას. იგივე მკარნახებელი გადამწერთა ხელს ამოწმებდა და საჭირო შემთხვევებში სათანადო მითითებებს იძლეოდა. ამ გზით ხელნაწერთა რაოდენობაც მატულობდა. მონასტრებთან გაჩნდნენ ისეთი ბიბლიოთეკები, რომელნიც 300—400-მდე ხელნაწერს ითვლიდნენ. სკრიპტორიუმებში ახდენდნენ არა მარტო რელიგიური წიგნების გადაწერას, არამედ საერო ხასიათის წიგნებისაც. ასე მაგალითად, სკრიპტორიუმებში გადაწერილ იქნა ცეზარის, ტაციტუსის, სვეტონიუსის, ლივიუსის, ვირგილიუსის და სხვ. ანტიკურ მწერლების ნაწარმოებნი.

კარლოს დიდის სამეფო ხელისუფლების პოლიტიკურად საკმაო გაძლიერებამ, ფრანკთა სამეფოში შექმნილმა მყარმა სიტუაციამ, ქვეყნად არსებულმა შედარებითმა სიმშვიდემ, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, მატერიალური რესურსების მნიშვნელოვანმა დაგროვებამ კარლოსს მისცა შესაძლებლობა ხელოვნების განვითარების ერთგვარი წაქეზებისათვის მით უფრო, რომ კარლოსმა მიიღო იმპერატორის ტიტული და ახლა საჭირო გახდა ბიზანტიის იმპერატორისა და მისი სასახლის ბრწყინვალებისათვის წაბაძვა. აახენში,

ინგელჰაიმში, ვორმსში და ნიმვეგენში, სადაც მეფეს თავისი ამალით ასე თუ ისე დიდი ხნით უხდებოდა გაჩერება. იწყეს სასახლეებისა და ეკლესიების შენება. მეფეს ამ საქმეში ბაძავდნენ აგრეთვე მსხვილი ფეოდალები.

წამბაძველობა დიდ გასაქანს პოულობდა არა მარტო შენობათა რაოდენობრივ ზრდაში, არამედ თვით ამ შენობების აგების საქმეშიც, რადგან „კაროლინგურ აღორძინების" ხანაში ორიგინალური არქიტექტურის განვითარება შეუძლებელი ხდებოდა. ამა თუ იმ შენობების აგებისას ხელოსნები და ხუროთმოძღვრები უმთავრესად ბაძავდნენ ბიზანტიურ ან სხვა ქვეყნების ხელოვნებას. კაროლინგური ძეგლი, აახენის კაპელა, რომელიც აგებულ იქნა 805 წელს, თავისი გაფორმებით მთლიანად წააგავს არსებულ წმ. ვიტალიუსის ეკლესიას, რომელიც ბიზანტიური ხელოვნების უძველეს ძეგლს წარმოადგენს. ასევე ითქმის კარლოს დიდის სასახლეზე, რომელიც აგებული იყო აგრეთვე აახენში. მას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი აღწერილობიდან ჩანს, რომ იგი მთლიანად წააგავდა ოსტგუთელი თეოდორიხის სასახლეს რავენაში.

სააღმშენებლო ტექნიკა იმდროინდელ დასავლეთ ევროპაში დაბალ დონეზე იდგა. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მშენებლობისათვის უმთავრესად ხის მასალას იყენებდნენ. ხის მასალიდან დამზადებული ნაგებობანი მალე ნადგურდებოდა. ასეთი ბედი ეწია მაგალითად, იმ ხიდს, რომელიც ხისაგან ათი წლის განმავლობაში შენდებოდა მდინარე რაინზე მაინცთან. მას ცეცხლი გაუჩნდა და ერთი დღის განმავლობაში დაიწვა. კარლოსმა გადასწყვიტა ახლა ქვის ხიდი აეგო. მაგრამ გამოირკვა, რომ ამისათვის სახელმწიფოს საკმაო სახსრები არ ჰქონდა და, რაც მთავარია, მშენებლებმა ვერ იკისრეს ამავე ზომის ქვის ხიდის გაკეთება. ასეთივე მარცხით დამთავრდა კარლოსის ცდა — მდინარე რაინისა და დუნაის შეერთება არხის მეშვეობით.

გარდა ამისა, იმდროინდელი ტექნიკისა და არქიტექტურის განვითარების დაბალ დონეს მოწმობს ის გარემოებაც, რომ ფრანკთა ჰონარქიაში სასახლეებისა და ეკლესიების მშენებლობისათვის მშენებლებს, კარლოს დიდის ბრძანებით, იტალიიდან მოჰქონდათ შენობათა დამზადებული მთელი ნაწილები და შენობათა მორთულობანი: სვეტები, კაპიტულები(სვეტის თავები), კოზმიდები (фризы) და სხვ. ამგვარად, კაროლინგური აღორძინების ძირითად მიზანს იმ კულტურის ელემენტების თავმოყრა და გადამუშავება წარმოადგენდა, რომელიც მან IV—V საუკუნეებიდან მიიღო.

ხალხური შემოქმედება ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში. მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში გაბატონებული იყო ფეოდალური იდეოლოგია, რომელიც მიილტვოდა რა მონოპოლიისაკენ, თავის გზაზე ყველაფერ სხვას ანადგურებდა. მან საკმაოდ ვერ შეძლო ხალხური შემოქმედების მთლიანი ჩახშობა, რის გამოც ხალხური სულიერი შემოქმედების ესა თუ ის ელემენტები ფეოდალური იდეოლოგიის პარალელურად განაგრძობდნენ თავიანთ არსებობას და ხშირ შემთხვევაში, კიდეც იჭრებოდნენ ფეოდალური კულტურის სხვადასხვა სფეროში. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეობრივი ეპიკური ნაწარმოებნი საფუძვლად ღებულობდნენ ხალხურ თქმულებებს. ხალხური თქმულებანი განსაკუთრებით გავრცელებული იყო ევროპის ჩრდილოეთ და ჩრდილოდასავლეთ ქვეყნებში, სადაც გვაროვნული წყობილებიდან ფეოდალიზმზე გადასვლა ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რის გამოც თავისუფალი გლეხობის დიდი რაოდენობა კარგა ხნის მანძილზე შენარჩუნებული იყო.

„სიმღერა ნიბელუნგებზე" შეიქმნა დაახ. 1200 წელს, მაგრამ ამ პოემის ისტორიულ საფუძვლად აღებულია ბურგუნდის სამეფოს განადგურება 437 წელს ჰუნების მიერ. რაკი, პოემა XII საუკუნის ბოლოს შეიქმნა, ბუნებრივია, რომ ეს ნაწარმოები უფრო მეტადაა დაკავშირებული ამ ხანის ფეოდალურ-რაინდულ გერმანიასთან, ვიდრე მეხუთე საუკუნის ბარბაროსთა ცხოვრებასთან. მიუხედავად ამისა, „სიმღერა ნიბელუნგებზე" სულაც არაა ფეოდალური ურთიერთობის აპოთეოზი, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობენ უცხოელი კრიტიკოსები. ამ ნაწარმოებში ჩვენ ვხვდებით ფეოდალური სამყაროს ბოროტებათა ნამდვილ სურათს. სწორედ, ამაში გამოვლინდება გერმანული პოემის ხალხურობა და რეალიზმი, რაც გერმანული წარსული ეპოსის ტრადიციასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული.

ფრანგული ხალხური გმირული ეპოსის უდიდეს ძეგლს წარმოადგენს „სიმღერა როლანდზე". თავისი ძველი რედაქციით (ამ ნაწარმოების ოქსფორდისეული ტექსტი შედგენილია ინგლისში დაახ. 1170 წ.) ის საბოლოოდ უნდა გაფორმებულიყო XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში. ალბათ მანამდე ის, დაწყებული ისტორიული ფაქტიდან (როლანდის სიკვდილი), ხალხური თქმულებებით გადმოდიოდა. რა თქმა უნდა, ეს ხალხური თქმულებანი გზადაგზა გადაკეთებულ იქნა გაბატონებული ფეოდალური კლასის ინტერესების შესაბამისად. მიუხედავად ამისა ხალხური შემოქმედება ამ ნაწარმოებში მაინც თავს იჩენს სხვადასხვა სახით. კერძოდ, ეს აშკარად ჩანს პოემის იმ ადგილებიდან, სადაც ლაპარაკია

„ᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ საფრანგეთისადმი სიყვარულზე“ და მტრებისადმი სიძულვილზე და სადაც დაგმობილნი არიან ის ფეოდალები, რომლებიც პირადი ინტერესებისათვის ღალატობენ სამშობლოს.

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ საუკუნიდან დაწყებული, ვიდრე XI საუკუნემდე, ხალხურ შემოქმედებაში უდავოდ დიდი როლი ენიჭებოდა მუსიკასა და პოეზიას. ფრანკთა საზოგადოებაში ყველაზე უფრო მეტი გასაქანი მოიპოვა ხალხურმა სიმღერებმა, საგმირო თქმულებებმა, ყოველგვარმა სახუმარო და სატირული ხასიათის მქონე ლექსებმა. განსაკუთრებით ცხოველმყოფელი აღმოჩნდა ხალხური ცეკვები და ვართობანი, რომელნიც ხშირად წარმართული სარწმუნოების ელფერს ატარებდნენ. ხალხურ მომღერლებს მიმები ეწოდებოდათ, ხოლო მოცეკვავეებს — ჰისტრიონები.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ შემოქმედება არა ნაკლებ თავს იჩენდა სახვით ხელოვნებაში. მიუხედავად იმისა, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მთლიანად ეკლესიისადმი იყო დაქვემდებარებული. უცნობ დახელოვნებულ ხელოსნებსა და მხატვრებს, რომელნიც აკეთებდნენ ეკლესიისათვის საჭირო საგნებს (ზარებს, ბარძიმებს, ჯვრებს, შანდლებს და სხვ.) ან ასურათხატებდნენ თვით ეკლესიის შენობას და ცდილობდნენ სამუშაოები შეესრულებინათ ისე, როგორც ამას ხუცები მოითხოვდნენ, თავისდა უნებურად, ხალხური გავლენა გაეჰქონდათ თავიანთ ნახატებში. ეს გამოვლინდებოდა ადამიანთა ფიგურების რეალისტურ მოხაზვაში, ხალხური ორნამენტების გამოყენებაში და სხვ. საეკლესიო ხელნაწერებშიაც მინიატურების შესრულებისას ხატავდნენ სხვადასხვა ცხოველებს და მხეცებს, „მხეცური ორნამენტიკა“, როგორც ცნობილია, ხალხურ შემოქმედებაში შემონარჩუნებული იყო ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან.

კათოლიკური ეკლესია დევნიდა ყველაფერ იმას, რაც წარმართული იყო, რაც ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ რელიგიას. იქნებოდა ეს ხალხური პოეზიის, მუსიკის, ცეკვების თუ მხატვრობის სახით. ის დაჟინებით მოითხოვდა მათ აკრძალვას და ყველა მათი შემსრულებლის დასჯას. აი, რატომ აცხადებდა ალკუინი, რომ „კაცი, რომელიც თავის სახლში უშვებს ჰისტრიონებს, მიმებსა და მოცეკვავეებს, ვერ ერკვევა იმაში, თუ უწმინდური სულების რა დიდი ბრბო დასდევს მას კვალდაკვალ“. ხალხური შემოქმედების გარშემო არა ერთხელ აღძრულა საკითხი საეკლესიო კრებებზე, სადაც სათანადო განაჩენებიც გამოჰქონდათ. თავის მხრივ კარლოს დიდი სჯიდა ასეთ „დამნაშავეებს“ და ამგვარად, სასულიერო და საერო ხელისუფალნი ერთად მოქმედებდნენ ყოველივე ხალხურის წინააღმდეგ, მაგრამ

ხალხური შემოქმედების საბოლოო აღმოფხვრა მათ მაინც ვერ შეძლეს.

სულიერი კულტურის ვითარება IX საუკუნის მეორე ნახევრიდან XI საუკუნის დამთავრებამდე. კარლოს დიდის შემდეგ ძირითადად დამთავრდა ფრანკთა მონარქიის ფეოდალიზაცია. კათოლიკური ეკლესია ახლა ცდილობდა ეს პროცესი იდეოლოგიურ სფეროშიაც დაემთავრებინა. ის ხალხური საერო ხასიათის ელემენტები, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ეკლესიის მიერ განიდევნენ ლიტერატურიდან, პოეზიიდან, ხელოვნებიდან. ახლა კულტურა მთლიანად რელიგიურ სამოსელში გაეხვია. ყველაფერი იწერებოდა რელიგიურ თემაზე. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებნი იმდენად გახშირდა (კრებული „სიმონ მეტაფრასტეს ცხოვრება" მეათე საუკუნეში შედგა), რომ ყველასათვის მომაბეზრებელი გახდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ასეთ ხასიათის ნაწარმოებებს წარმტაც სათაურებს („ვარდთა თაიგული" და სხვ.) უკეთებდნენ, რათა მკითხველი დაეინტერესებინათ.

ამ მხრივ ეკლესიის რეაქციას არა ნაკლებ ხელი შეუწყო კარლოსის მემკვიდრემ, ლუდოვიკო ღვთისმოსავმა, რისთვისაც ჭან. ეკლესიისაგან ასეთი სახელი დაიმსახურა. იგი ზიზღით უყურებდა ანტიკურ ლიტერატურას და ამბობდა, რომ არც თვითონ წაიკითხავს ჰორაციუსის, ვირგილიუსის და სხვათა ნაწარმოებებს და არც სხვას მისცემს ამის ნებას. რეაქციული სამღვდელოების რჩევით მან მონასტრებში ჩაატარა ისეთი ღონისძიებანი, რომელთა საშუალებითაც უნდა განედევნათ ყოველგვარი საერო ელემენტი. რიგი მონასტრო სკოლებისა, რომელნიც საეკლესიო კადრებს უშუალოდ ამზადებდნენ, მან დახურა. გადაკეთებულ იქნა ნურსიული ბენედიქტესეული მონასტრების წესდებაც. ბერების ფიზიკურმა შრომამ ჯერ კიდევ ადრე დაკარგა მნიშვნელობა. მონასტრების გადაკეთებული წესდებით ახლა ბერების გონებრივი შრომაც ზედმეტად იყო აღიარებული. ამგვარად, ეკლესიის რეაქციის შედეგად კულტურის დონემ მნიშვნელოვნად დაბლა დაიწია.

მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული კულტურული დაქვეითება უნდა აიხსნას იმითაც, რომ ამ ხანიდან მოყოლებული, ვიდრე მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე დასავლეთი ევროპა არახელსაყრელ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდა. ჯერ ერთი, რომ ფრანკთა მონარქია პატარ-პატარა პოლიტიკურ ერთეულებად დაიყო და ამ პოლიტიკური დაქუცმაცების პირობებში ატყდა განუწყვეტელი ბრძოლები, და მეორე, გახშირდა და პირდაპირ ... ...

ბული სარაცინების შემოსევები ევროპაში სხვადასხვა მიმართულებით. ამ გარემოებამ მოშალა სოფლის მეურნეობა. შიმშილი და გაღამდები სნეულებანი ადამიანებს მუსრს ავლებდა. ასეთ ვითარებაში კულტურის წინ წაწევისათვის ან არავის ეცალა, ან არა და, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უმრავლესობა ამისათვის უძლური აღმოჩნდა.

აზროვნების სფერო ძალზე შეიზღუდა. გონებრივი შემოქმედება ფაქტიურად ჩაკვდა. ლიტერატურულ ნაწარმოებთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო კლებულობდა. არა მარტო შემცირდა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი საერო პირთა შორის, არამედ თვით სასულიერო წოდებაშიც გამრავლდნენ უცოდინარნი. თვით მეფეებიც კი რიგ შემთხვევაში წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ. გერმანიის იმპერატორმა, ოტონ პირველმა, მხოლოდ მოხუცებულობის დროს მოჰკიდა ხელი სწავლას. თუ რამდენად სავალალო იყო ამ მხრივ მდგომარეობა, ჩანს იქიდანაც, რომ უმაღლეს სასულიერო წოდებაშიაც კი რამდენიმე განათლებული პირი ძლივს აღმოჩნდა. ესენი იყვნენ: ალკუინის მოწაფე რაბან მავრი და ირლანდიელი იოანე სკოტ ერიგენა.

რაბან მავრი (776—856) ერთ დროს ფულდას მონასტრის აბატად ითვლებოდა, ხოლო შემდეგ მაინცის არქიეპისკოპოსი გახდა. ფულდას მონასტერში ყოფნის დროს მან თავი მოუყარა ხელნაწერებს და მონასტერთან ბიბლიოთეკა დააარსა. რაბან მავრი ბევრს წერდა თეოლოგიურ საკითხებზე. მის კალამს ეკუთვნის უამრავი ლექსები და პროზაული ნაწარმოებნი, რომელნიც კომპილაციური ხასიათის მატარებელნი არიან. მის ნაწარმოებებში ტექსტის დიდი ნაწილი უბრალოდ გადმოწერილია სხვადასხვა „საღმრთო წიგნებიდან“ ანდა „ეკლესიის მამებიდან“. საკუთარი შემოქმედებითი რამ რაბან მავრს არ დაუტოვებია.

რაბან მავრისაგან მნიშვნელოვნად განირჩეოდა მისი თანამედროვე იოანე სკოტ ერიგენა, რომელიც ერთადერთი ორიგინალური მოაზროვნე პოეტი, გრამატიკოსი და თეოლოგი იყო. როგორც აღვნიშნეთ, ერიგენა ირლანდიელი იყო 845 წელს, როცა ირლანდიას ნორმანები განუწყვეტლად თავს ესხმოდნენ, მან დატოვა თავისი სამშობლო და ფრანკთა მონარქიაში გადასახლდა. ერიგენა მიღებულ იქნა კარლოს დიდის შვილიშვილის, კარლოს მელოტის მიერ. უკანასკნელის სასახლეში ერიგენა ისეთივე საქმიანობას ეწეოდა, როგორც ალკუინი კარლოს დიდთან. მისი ცოდნა გაცილებით ღრმა და ყოველმხრივი იყო. იგი კარგად ჰფლობდა ბერძნულ ენას, რამაც შესაძლებლობა მისცა გასცნობოდა ნეოპლატონიკების

მოძღვრებას. მისი ნაწარმოები, ბუნების დაყოფის შესახებ არსებითად ნეოპლატონიკურ მოძღვრებიდან გამომდინარეობდა. ეს შრომაში ერიგენა ამტკიცებდა. რომ ღმერთი და მისი შემოქმედების ნაყოფი მსგავსნი არიან. ასეთმა მტკიცებამ ერიგენა პანთეიზმამდე მიიყვანა. მაგრამ რელიგიისათვის უფრო სახიფათო აღმოჩნდა ერიგენას მტკიცება იმის შესახებ. რომ გონებას უნდა მიეკუთვნოს უპირატესობა ავტორიტეტთან შედარებით. ეკლესია ღრმად ვერ ჩასწვდა მაშინ ერიგენას მოძღვრების ძირითად მოტივებს და ამიტომ იყო, რომ მიიღო ერიგენას შეხედულებანი. სამაგიეროდ. როცა XIII საუკუნეში „მწვალებლებმა" ერიგენას ძირითადი ნაშრომი ეხერხებულად გამოიყენეს კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. პაპა ჰონორიუს მესამემ გასცა ბრძანება (1225 წ.) ამ ნაშრომის დაწვის შესახებ.

თუ მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში „კაროლინგური აღორძინება" რაბან მავრისა და ერიგენას სახით ჯერ კიდევ ერთგვარ ვავლენას მოიპოვებდა. სამაგიეროდ მეათე საუკუნეში მისი ძალა თითქმის მთლიანად ამოიწურა. ამგვარად. „კაროლინგური აღორძინება" არც ხანგრძლივი და არც დიდად ეფექტური იყო. ამ ხანაში დაეცა სკრიპტორიების მნიშვნელობაც. იმდენად აღარ ხდებოდა წიგნების გადაწერა. რის გამოც წიგნზე ფასი დიდად გაიზარდა. XI საუკუნეში პრისტიანეს გრამატიკის ფასი ერთ სახლსა და ბისთვის განკუთვნილ საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ფასს უდრიდა. ხოლო უბრალო „კურთხევანი" მთელ ვენახად ფასდებოდა. მონასტრებში ექა-იქ კვლავ ხდებოდა წიგნების გადაწერა. მაგრამ ეს ეხებოდა მხოლოდ საეკლესიო წიგნებსა და მონასტრის სამამულო დოკუმენტებს, რომლებშიაც ფიქსირებული იყო მონასტრის უფლებანი ამა თუ იმ მოძრავ ან უძრავ ქონებაზე.

კულტურული ცხოვრების წინსვლა ოდნავ შესამჩნევი გახდა გერმანიაში მეათე საუკუნის ბოლოსა და მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში. ეს პერიოდი განეკუთვნება საქსონიის დინასტიის ისეთ წარმომადგენელთა მეფობას, როგორებიც იყვნენ ოტონ I, ოტონ II და ოტონ III (936—1002). ამიტომ მას „ოტონის აღორძინებას" უწოდებენ.გერმანიის აღნიშნულმა მეფეებმა იმპერატორის ტიტულთან ერთად ხელთ იგდეს ჩრდილოეთი იტალია და ლამობდნენ იტალიის სხვა ნაწილების დამორჩილებასაც. მათ ექსპანსიურ პოლიტიკასა და განდიდებას ესაჭიროებოდა ისეთივე ბრწყინვალე მორთულობა, როგორც კარლოს დიდის სასახლეს, ამიტომ ოტონ პირველმა მოისურვა კარლოს დიდისადმი წაბაძვა არა მარტო პოლიტიკაში, არამედ განათლების საკითხებშიაც. მან თავის სა-

სახლეშიაც ჩამოაყალიბა სკოლა კარლოსის მსგავსად. ოტონმა სასახლეში მოიწვია უცხოეთიდან ისეთი სწავლული პირები, როგორიც იყვნენ: ლანგობარდელი ისტორიკოსი, დიპლომატი ლიუტპრანდი და ბერი გერბერტი.

ლიუტპრანდი თავიდანვე კრემონის ეპისკოპოსად დაინიშნა, მის კალამს ეკუთვნოდა რამდენიმე ისტორიულ-პოლიტიკური ნაწარმოები. გერბერტი კი, რომელიც ოტონ პირველმა იტალიაში ყოფნის დროს წამოიყვანა, თავდაპირველად რეიმსის სკოლაში „შვიდ თავისუფალ ხელოვნების“ მასწავლებლად დაინიშნა. შემდეგში გერბერტი ოტონ III-ის მასწავლებელიც იყო. ამ უკანასკნელმა გერბერტი სილიბისტრო მეორის სახელწოდებით რომის პაპადაც კი გახადა.

გერბერტი ერთ ხანს სწავლობდა ეგრეთ წოდებულ ესპანეთის მარკაში, რომელიც კორდოვას სახალიფოს საზღვართან იმყოფებოდა. კორდოვას სახალიფოში არაბული კულტურა მნიშვნელოვნად განვითარებული იყო. იგი ერთგვარ გავლენას ახდენდა ევროპის სხვა ქვეყნებზეც, რის შედეგად „კვადრივიუმის“ სწავლება ესპანეთის მარკაში ფეხმოკიდებული იყო. ეტყობა, რომ გერბერტი აქ დაეუფლა მათემატიკას, რომლითაც შემდეგში მას გაკვირვებაში მოჰყავდა თანამედროვენი. გერბერტმა არაბებისაგან გადმოიღო ეგრეთ წოდებული „აბაკი“ (საანგარიშო დაფა), რომლითაც ადვილად აწარმოებდა არითმეტიკულ მოქმედებებს. გერბერტმა ასევე პირველად გამოიყენა არაბული ციფრები ნაცვლად რომაულისა, თუმცა ნულის სრული მნიშვნელობა მან მაინც ვერ გაიგო.

გერბერტმა თავისი კომენტარიები გაუკეთა ბოეციუსის არითმეტიკულსა და მუსიკალურ ნაწარმოებებს. ამ კომენტარიებიდან ჩანს, რომ გერბერტის ხელში არითმეტიკამაც კი მიიღო კლასობრივი ელფერი. მისი აზრით, არსებობს ორი კატეგორიის რიცხვები: სხეულოვანი, რომელიც გარესამყაროს კონკრეტულ საგნებს ეხება და უსხეულო, რომელიც მუდმივსა და გარდაუვალ არსებობას წარმოადგენს. კონკრეტული რიცხვი ადამიანის ცხოვრებაში გამოსახავს ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში: „ასე, მეფე არის დიდი რიცხვის გამომსახველი მაშინ, როცა არიან ადამიანები, რომელნიც თავიანთი უმნიშვნელობით არავითარი რიცხვის განსახიერების შემცველნი არ არიან“. სხეულოვანი რიცხვი ადამიანს დამშვიდებას აჩვევს და მიუთითებს უბრალოებაზე, ხოლო უსხეულო რიცხვი ადამიანს ეხმარება ღვთის ძლიერების გაგებაში. ამ თვალსაზრისით არითმეტიკა გვასწავლის, რომ „უსხეულო საგნები ჩაითვალოს უფრო გამძლედ, ვიდრე კონკრეტული საგნები“.

გარდა გერბერტისა, გერმანიაში აქა-იქ კულტურის ფრონტზე სხვებმაც წამოიწყეს მუშაობა (სენ-გალენის მონასტრის ბერი, ეკეგარდი, ჰანდერსჰაიმსის მონასტრის მონაზონი გროსვინტა და სხვ.), მაგრამ კულტურის საერთო დონე გერმანიაში მაინც ჩამორჩებოდა „კაროლინგურ აღორძინებას". საერთოდ უნდა ითქვას, რომ ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში ფეოდალურმა იდეოლოგიამ შეძლო ოავისთვის გზის გაკაფვა და მეთერთმეტე საუკუნეში თავისი მთავარი დასაყრდენი — ღვთისმეტყველება ძირითადად გააფორმა. ლათინური ენა, როგორც აზროვნების გამოსახვის გაბატონებული ფორმა საბოლოოდ განმტკიცდა. ნამდვილი ჭეშმარიტების დადგენა ცდებისა და გონების გამოყენებით სავსებით უარყოფილი იქნა და მის ადგილზე, პირველ რიგში, ავტორიტეტი იქნა აღიარებული.

———

I და II ტომში მოხსენებულ პირთა სახელების საძიებელი[1]

ა

აბდალაჰ იბნ-იასინი, II, 145.
აბდ-ერ-რაჰმან, II, 132, 135.
აბდ-ერ-რაჰმან I, II, 136, 140.
აბდ-ერ-რაჰმან II, II, 137, 138, 193.
აბდ-ერ-რაჰმან III, II, 137, 139.
აბდურახმან, I, 226.
აბუ-ზორა-თარიფა, II, 131.
აგილულფი, I,169.
ადალბერტი, II, 65.
ადამ ბრემენელი, II, 151.
ადელაიდა, II, 65, 66, 69, 92.
ადელბერტი, II 75.
ადელგიზი, I, 165.
ადემარი, II, 253.
ადემარ დე შაბანი, II, 52.
ადრიანე, I, 5, 11, 78, II, 236, 243.
აეციუსი I, 60, 135, 196.
ავგუსტინე, I, 182, II, 288.
ავგუსტუსი, I, 9, 11, 78, II, 130.
ავრელიანე, I, 58,
ავრელიუსი, I, 54, 58, 59.
ავრინია, I, 94.
ავსონე, II, 284.
ავტარისი, I, 162.
აზ-ზალიაკა, II, 145.
ათენონი, I, 31.
აისტულფი, I, 163, 165, 166, 170, 233, 234.
აიხორნი, II, 163.
აკვილეოსი, I, 163.
ალარიხი, I, 68, 112—115, 125, 197, 199.
ალარიხი II, I, 119, 122.
ალატეა I, 110.
ალბიონი, I, 160—162.
ალბერტ გერნფელდელი, II, 88.
ალექსანდრე დიდი, I, 255.
ალექსანდრე მაკედონელი, II, 130.
ალექსი კომნენოსი, II, 239.253.
ალექსანდრე ნეველი, II, 262.
ალექსი III, II, 268, 272.
ალექსი ანგელოსი, II, 271.
ალექსი, II, 271.
ალექსი V, II, 272.
ალკუინი, II, 295, 296, 300, 302.
ალტამირა, I, 119,124.
ალ-მანსური, II, 142.
ალ-მუტადიმი, II, 144.
ალფონსი, II, 135,145.
ალფონს II, I, 242, II, 135.
ალფონს VI, II, 144, 145.
ალფრედი, I, 175, II, 106, 107.
ალფრედ დიდი, II, 102, 104.
ალ-ხურამი, II, 132.
ამადი, I, 58.
ამალაზუნტა, I, 150—153, 155.
ამბროსი მილანელი, II, 288.
ამედეი, II, 88.
ამიანე მარცელინე, I, 11, 110, 111, II, 284.
ანა კომნენოსი, II, 254.
ანასტასი, I, 148, 199, II, 206, 212—214, 216.
ანდრონიკე, II, 269.
ანეუს ფლორუსი, I, 87.
ანსელმი, I, 240.
ანტონინე, I, 11.

[1] მოხსენებულ პირთა სახელების საძიებელი და გეოგრაფიული სახელწოდებანი შედგენილია თამარ ტივაძის მიერ.

აპიანე. I, 11, 12.
აპოლინარიუს სიდონიუსი, I. 117, 132. 199.
არალდი, II, 82.
არიმინი, I. 78. 81. 82.
არიოზი, I. 45.
არიოვისტი. I, 75.
არკადი, I, 37, 112.
არნულფი. I, 221.
არნულფი. II, 46. 62.
არტური. I. 172.
არტური (ბრეტანის გრაფი), I, 249.
ატაულფი, I, 115, 116.
ატანარიხი, I, 150, 151.
ატელსტანი, I. 191, II. 104.
ატილა. I, 135, 196.
აუსტრელფი, I. 167.
აქსიდო. I, 51.

ბ

ბალამირი. I, 110.
ბალდუინი. II. 239, 249.
ბარდი. II. 200.
ბასილი. I. 114. II. 232. 233.
ბასილი II, II, 237.
ბასილი („სპილენძის ხელი"), II, 235.
ბედა. II. 293.
ბელოვი. I. 25. II. 163.
ბენედიქტე. II. 70. 292.
ბერანჟე. II. 32. 33.
ბერენგარიუსი. II, 65, 66.
ბერტერი, I, 233.
ბერტოლდი, II. 62, 88.
ბერტრანდა I. 236.
ბეხცელი. I. 84.
ბოდუენი. II. 271. 274.
ბოდუენ I. II. 254. 255.
ბოდუენ II. II. 261.
ბოემუნდი. II. 239. 253. 254.
ბოეციუსი. I. 149, 151. II. 289. 295.
ბონიფაციუს მონფერატელი. II. 270. 271.
ბონუელი. I. 167.
ბრეკინი. I. 216.
ბრუნგილდა. I. 218. 219. 220.
ბურარდი. I. 233.

გ

გაიუს ველეუს პატერკულესი, I, 8, 9.
გაიუს იულიუს ცეზარი, I. 5—7, 54, 55. 58. 59. 66. 67, 75, 77—80, 86, 88, 90—99, 101. 102, 109, 201, 203. II, 101. 104, 297.
გაიუს პლინიუს უფროსი, I, 9, 10, 32. 47.
გალესვინტა, I. 218. 219.
განდენბერგი. I. 17.
გარდიკანუდი. II. 107, 108.
გერბერტი. II. 304, 305.
გერონი (მარკგრაფი), II, 66.
გიბონი, I, 50. II, 241.
გვიბერტი. II. 174, 175.
გეიდონი, II, 174.
გიზო. I, 18, II, 161.
გიზულფი. I. 161.
გიზელბერტი, II, 63.
ვილდასი. I, 172.
გილიომი. II. 32.
გილიომ ქიუმეველი. II. 22.
გირკე. II 163.
გლიკარიუსი. I, 163.
გოდრი. II. 54. 174. 175.
გოდვინი. II. 107. 110.
გოდფრიდი. II. 152.
გონგორა. I. 65.
გორდიანე. I. 56.
გოტიე. II. 174.
გოტფრიდ ბულონელი. II. 253. 255.
გრაციანე. I. 13, 111.
გრაკხი (ტიბერიუსი და გაიუსი), I, 29.
გრეველინგი. II. 178.
გრიგოლი, I. 163, II. 103.
გრიგოლ ტურელი. I. 16. 197—200, 210—212, 215. 230.
გრიგოლ II, I. 169.
გრიგოლ VII. II. 82—88. 249, 266.

გრიგოლ IX. II 278. 279.
გრიმი. I. 20. 21, 22.
გრიმოალდი, I, 163.
გრიპონი, I, 231. 232, 233.
გროსვინტა, II. 305.
გუგონი, I, 230.
გუილერმო, II, 249.
გუნალდი, I, 235.
გუნდიოხი. I, 135.
გუნდობალდი. I, 135, 138
გუნტრუმი. II, 102.
გუნტუფრიდი, I, 167.

დ

დაგობერტი. I. 221. 222.
დეზიდერი. I. 170. 236. II. 297.
დეზიდერატა, I, 236.
დე ლა მარში. I. 249.
დელბრუკი, II. 68.
დეუდეფრედა. II, 129.
დიოკლეტიანე, I, 5. 37. 39, 40, 41, 43. 58. II, 203, 209.
დიონ კასიუსი. I, 12, 13.
დიუკანჟი, II, 35.
დომიციანე. I, 78.
დონატი, I, 49, 50.
დოპში. I. 6. 23, 84, II. 163.
დუბლერი II, 142.
დუნსტანი, II, 104.

ე

ებერჰარდი. II, 62, 63.
ებროინი. I, 223.
ეგბერტი. II. 104.
ეგიგარდი, I, 240.
ეგიდიუსი, I, 196, 197.
ეგიკა, II, 129.
ედგარი, I, 181, II. 104.
ეღვინი. I. 183, II, 112.
ედი. II. 45—47, 50.
ედმუნდი. I, 191, II, 105.
ედუარდ აღმსარებელი, I, 175, II, 106. 108—110.
ედუარდ გიბონი, II. 240.
ედუარდ III. II, 200.
ევგენი, II, 261.
ევმენიუსი, I, 54.
ევმოლპე. I, 47.
ევნოსი, I, 31.
ევტეხი, I. 169.
ევტიხინე, I, 38.
ევტროპიუსი, I. 56, 58.
ეინგარდი. I, 222, 238, 240, 241.
ეირიხი. I. 117—120.
ეიხგორნი, I, 20.
ეკბერტი, I, 175.
ეკეგარდი, II, 305.
ელემი, I. 172.
ელიანე, I, 58.
ელფერიკი. I, 175.
ემა, II, 105, 106.
ემბრიაკო II. 249.
ენგელსი. I, 22. 24—26. 35. 38, 41, 70—73. 76, 79. 81. 87—89, 96, 102. 120. 201. 205. 215. 216. 223, 227. 230, 247, 248. II. 36, 165. 166, 170, 185. 255. 256. 286, 294.
ენეოსი, I, 12.
ენოდიუსი, I, 143.
ენრიკო ღანდოლო, II. 268, 270—272, 274.
ერვიგი, II, 129.
ეტელბერტი, I, 182.
ეტელვეიდ, I. 175.
ეტელსტანი. II, 123.

ვ

ვაიცი. II, 75.
ვალენტი, I, 13, 44, 110, 111.
ვალენტინიანე I, I, 13. 44, 52.
ვალენტინიანე II, I, 13.

ვალენტინიანე III, I, 130, 131, 135.
ვალენტინიანე, II, 49.
ვალია, I, 116, 129.
ვალიდა, II, 130.
ვალტერ კეზენგერი, II, 188.
ვამბა, II, 129.
ვარი, I, 78.
ვაშერო, I, 18.
ვაცლავი, II, 66.
ვეინოლტი, II, 31.
ველეია, I, 94.
ველესი, I, 160.
ველიზარი, I, 133, 152, 153, 156, 157, II, 217, 220.
ველეი, II, 88.
ვენანციუ ფორტუნატი, I, 16.
ვერანიანე, I, 129.
ვერნერ ზომბარტი, II, 161.
ვეფიენდი, I, 238.
ვილდა, II, 163.
ვილიამ მელმსბერიელი, I, 190.
ვილჰელმ დამპყრობელი, I, 175, II, 44, 56, 81, 104, 109, 121, 124.
ვილჰელმ ფეანონოდმობილი, II, 56,
ვილჰელმ II მწითური, II, 121, 122.
ვილჰელმი, ფლანდრიის გრაფი, II, 178.
ვილჰელმ ტირელი, II, 257, 259, 261.
ვინოგრადოვი, I, 67.
ვირგილიუსი, II, 297, 301.
ვიტალიანე, II, 212.
ვიტალიუსი, I, 153.
ვიტიგესი, I, 152—154.
ვიტიკა, II, 149.
ვიტიხი, I, 25.
ვიხმანი, II, 67.
ვოკცია, I, 75.
ვოლტერი, II, 240.

ზ

ზაქარია, I, 233.
ზეკი, I, 50.
ზენონი, I, 141, 142.
ზოლიგერი, I, 25.
ზოსიმე, I, 60, 114, 115.

თ

თარიკი, I, 127, II, 131—133.
თამარ მეფე, II, 274.
თევდორე ლასკარისი, II, 276.
თეოდატი, I, 150—152, 154.
თეოდებერტი, I, 212.
თეოდორა, II, 213, 217, 221, 232.
თეოდორიხი, I, 61, 141—151, 153, 155, 159, 163, 197.
თეოდოსი, I, 38, 39, 52, 111—113, II, 203, 206, 218.
თეოდულფი, II, 296.
თეოფანო, II, 70.
თეოფანე, II, 217.
თეოფილე, II, 284.
თეოფრასტე, I, 9.
თომა სლაველი, II, 230, 231.

ი

იაკობ ვიტრიელი, II, 259.
იაკობ ფუგერი, II, 200.
იანი, I, 21.
იახია-იბნ იახია, II, 137.
იბნ-იასინი, II, 145.
იბნ-ფირნასი, II, 42.
იერონიმე, II, 287.
ილიადი, I, 154.
ინოკენტი III, II, 266, 267, 272.
იოანე ბრიენელი, II, 279.
იოანე III, II, 276.
იოანე ემიწაწყლო, I, 249, II, 265.
იოანე ციმისხე, II, 236.
იოანე სკოტ ერიგენა, II, 302, 303,
იოანე კაპადოკიელი, II, 217.
იოანე III, I, 216.

ოანე VIII. II. 41.
ოანე XII. II. 69, 70.
ორდანე. I. 110. 111, 118. 143, 144.
ბატია, II, 286.
ირაკლი. II. 223. 224.
ირინე, I. 242. II, 232.
ისაკ კომნენოსი. II, 238.
ისაკ II. II. 271. 272.
ისიდორე. II, 293. 295.
ტალიკი, I. 101, 140.
ულიუს ნეპოტი, I. 139.
ულიანე. I. 13. 44. 52, 196.
ულიანე, II, 130. 131.
უპატიუსი, II. 217.
უსტინე, II, 217.
უსტინე II, II, 233.
უსტინიანე. I. 133. 148. 151, 152, 154. 155. 157, II. 213. 223. 233, 234, 286.
უსუფ იბნ-ტაშფინი, II, 145.

კ

აინი კ. II. 242.
ალიკსტ II, II. 89.
არვეასი, II. 232.
არლოს დიდი. I. 170. 231. 235. 236, 238. 240—247. 250. 253—257, II, 30. 38. 39. 69. 41, 45. 58, 59, 61, 92. 97. 103. 135. 136. 164, 166, 247. 294—298. 300—303.
არლოს მარტელი I. 169, 170, 215, 225—233. 237. 240. 241, 247, II, 24. 25. 132. 247. 294.
არლოს მელოტი. I, 250. 257, II, 29, 38—41, 44. 45. 91, 302.
არლოსი, II, 36.
არლოსი, I. 225. 226.
არლოსი. II, 91.
არლოს მიამიტი, II, 46, 47, 51.
არლოს III, II, 41, 45, 46, 50, 91.
არლოს V. II, 200.
არლომანი, I, 230. 232, 235.
არლომანი, II, 41.
არინე, I, 58.
არო, I, 25, II, 163.
ასიოდორე, II, 289.
ატონი, I, 30, 31.
ატელა, I, 77.
აფალო დე კასკიფელონე, II, 243.
ლავდიანე, II, 284.
ლავდიუსი, II, 101.
ლავდიუს II. I, 57, 58. 67.
ლემონი. I, 31.
ლეფი, I, 161. 163.
ლიმენტი VII, II 49.
ლოტილდა, I. 197, 198.
ნუდი, II, 105. 107, 153, 157.
ოვალევსკი, I, 24, 25.
ოზმა ინდიკოპლეისტი. II. 293.
ოიტგენი, II. 153.
ოლუმელა, I. 32. II, 18, 166.
ომოდი, I. 55, 56. 83.
ონრად ფრანკონელი, II, 60.
ონრადი, II. 63, 64. 66. 68.
ონრად II, II, 75. 77. 78, 85, 94, 97,
ონრად III. II. 263.
ონსტანტინე, II, 285.
ონსტანტინე I. I, 34. 39. 43. 44, 48, 128, 146. 234. II. 203.
ონსტანტინე V. II. 227, 229.
ონსტანტინე VI, I, 242.
ონსტანტინე VII. II, 233. 236.
ონსტანტინე მონომახი, II, 237.
ონსტანცი II, I. 13, 49.
ოსიოდორე. I. 145. 146, 150.
რიუგერი, I, 12.
უდრიავცევი. I. 109. 150, 163.
ენიმუნდა (გეპიდების მეფე), I, 101.

ლ

ამორტი, II, 242.
ანფრიკ მსხვილი, II, 180.
ანდელფი, II, 82, 249.
ანფრაკი, II. 116, 117.
ენინი, I, 97, II, 5, 6, 9, 15.
ეოვიგილდა, I. 121.

ლეოდეგარი, I, 223, 224.
ლეონ III. I, 169, 242, 243, II, 227, 229, 231.
ლეონ VI, II, 233, 234,
ლეონ VIII, II, 70.
ლეონ IX, II, 79, 84, 238.
ლივიუსი ტიტე, I, 10, 11, II, 297.
ლიუვიგილდი, I, 125, 126.
ლიუგტე ფრიდრიხი, I, 84.
ლიუტპრანდი,II, 233,304.
ლიკინიუსი,I, 43.
ლონგინუსი, I, 159, 162.
ლორენცო ვალა, I, 234.
ლოტარი, ლანგობარდების მეფე. I, 163.
ლოტარი, ლუდოვიკოს შვილი, I, 256, 257. II, 37. 38. 39. 65, 91, 92.
ლუდვიგ მემველგარდელი, II. 75.
ლუდოვიკო, II, 91.
ლუდოვიკო. I. 240.
ლუდოვიკო, ბლუას გრაფი. II, 267, 271.
ლუდოვიკო გერმანელი. I. 254. 256. 257, II. 36, 37. 38, 40, 58. 91.
ლუდოვიკო ზღვის მიღმელი. II, 47
ლუდოვიკო ღვთისმოსავი. I. 254, 256. II. 37. 38. 44. 301.
ლუდოვიკო ყმაწვილი. II. 60.
ლუდოლფი. II. 66.
ლეი IV, II. 63.
ლეი VI, II, 54, 173, 175.
ლეი VII. II. 173. 263.
ლეი IX. II, 49. 279.
ლუსიციანე. I, 110.
ლუციუს ანეუს ფლორუსი. I. 11, 89.

მ

მაიორიანე, I. 60, 132.
მაიერი ე.. II, 7.
მაკრიკე. II, 223.
მათე პარიზელი, II. 279.
მაკარი, I. 49.
მაკლაკოვი, II, 111.
მარი, I, 16.
მარიუსი. I. 77, 87, 89.
მარიუს ავანშელი. I. 136.
მარიუს გაიუსი, I. 11.
მარკუს ავრელიუსი. I, 83, 128.
მარკუსი, I, 212.
მარკულფი, I, 206.
მარციანუს კაპელა, II, 289, 295..
მაურერი, I, 20, 22. 23. 24. 25, II, 161, 163.
მატერნუსი, I, 56, 57.
მარტინე

ნიკიტა ხონიატა. II. 209. 273.
ნიკიფორე. I. 243.
ნიკიფორე ფოკა. II. 70, 236.
ნიკოლოზი II. 277.
ნიკოლოზ II (პაპი), II, 83, 84.
ნინი. II, 163.
ნუმონიუსი, I, 78.

ო

ოდებერტ პერიგორელი. II, 52.
ოდერიკე ვიტალიუსი, 56, 245.
ოდოაკრი. I. 139 –144. 159. II. 203.
ოდონი. I. 225. 226.
ოდონი, ბლუას გრაფი. II, 26.
ოლაფ I. II. 104. 156.
ოლაფ II. II. 157.
ოლაფ-შეტკონუნგი, II, 159.
ოლიბრიუსი. I, 135.
ომარი. II. 224.
ომარ იბნ-ხალედი, I. 227.
ოპასი. II. 131.
ორბელიანი გრიგოლ. II, 16.
ორესტე. I. 139.
ორმიზდი. I. 149.
ოროზიუსი. I. 54, II, 103.
ოტონ I, II. 47, 60, 62—64, 66, 70, 76. 78. 95. 302—304.
ოტონ II. II. 68. 70, 76, 95, 99, 303.
ოტონ III. II. 76. 77. 95, 303, 304.

პ

პაკლე. I. 49.
პაკლე დიაკონი, I, 163. II, 296, 297.
პალადიუსი. II. 18. 170.
პართენიონი. I. 212.
პატერკულუსი. I. 78.
პეტრო. II. 266.
პელაგიუსი. II. 130.
პელაგიუსი. I. 156.
პერუცი. II. 200.
პეტრე მარცელიანე. I, 145.
პეტრე მწერი (ამიენელი), II, 251, 252.
პეტრონიუსი. I, 47.
პეტრეიკი. I. 58.
პილგერინი, II. 31.
პირენი. II. 163. 164.
პიპინ გერისტალიელი. I. 223, 225.
პიპინ მოკლე, I, 170. 221, 230, 232—237, 241, 247, 256.
პიპინი, II. 37, 38, 296.
პლეკტრუდა. I. 225.
პლინიუსი, II. 18. 166.
პლინიუს უმცროსი, I, 9.
პლოტინი. II. 284.
პლუტარქე. I. 10, 11. 77, 87 –89.
პოლ რუსე. II, 242.
პოსიდონიუსი, I, 21.
პრიმო, II. 249.
პრისკუ (პრისკოლუს). I, 45.
პრობუსი. I. 80.
პროსპერე, I, 60.
პროკოპი კესარიელი, I, 132, 151, 153—158, II. 147, 214 –217, 222.
პრისტიანე. II, 303.
პრუდენციუსი, II, 288.
პტი-დიუტაი. II, 55, 104.
პტოლემეოსი. I. 160. II, 147.

ჟ

ჟან-იბელინი. II, 25.
ჟებელევა. I, 12.
ჟოფრეა დე-პრელი, II, 35.
ჟოფრეა ვილარდუენი, II, 267, 268, 270. 272, 273.

რ

რაბან მავრი, II, 302, 303.
რაგნასერი, I, 197, 207.
რაგანაცრეული, I. 226.
რაგბოდი, I. 225.
რაზინი, II. 25. 112.
რაიმონდ პროვანსელი, II, 253, 254.
რახიერდ ლლამბარი, II. 121, 122,
რასინ, II. 97.
რაფელ ვერმენიელი, II. 57.
რაფელი, II, 23. 50.
რაფელ გლაბერი, II, 19, 27.
რახილი, I. 163. 170.
რეკარეული, I. 124.
რემიგიუსი, I. 198. 210.
რენიერი, II, 161.
რენო დეკერტელ, II. 180.
რენო დეპონბიერელი, II. 268.
რიგბალდი, I. 247.
რიბერა, II. (ბერეგი), II. 23. 51.
რიბარდ ლომგელი, II, 265—267.
რიბელი, II. 163. 164.
რიეიმერი, I. 139.
რიხარი, I, 200.
რობერტი, II, 26. 53.
რობერტ II, 55. 56.
რობერტ გიესკარი, II. 84. 239. 253.
რობერტი, II. 253.
როდრიგო, I. 126. II. 130 -132. 135.
როდოლფი, I, 160.
როზამუნდა, I. 161.
როლანდი, I. 240, II, 299.
როლონი, I, 46.
რომულ ავგუსტელი, I. 118. 139, 140, II, 203.
რომან I. II, 226.
რომანოზ I ლეკაპენი II, 235.
რომანოზ IV დიოგენი, II. 239.
რუტი, I. 215. 247. II. 161.
რუტარი, I. 162. 165—167.
რუბრიკვისი, II, 259.
რუდოლფი, II. 85.
რუფინიუსი, I. 112.

ს

საბინიანი, I, 61.
საგიტარიუსი, I. 230.
სავინი, I. 22. II. 161.
სალაჰ-ედ-დინი (სალადინი), II, 264, 265.
სალონიუსი, I. 230.
სალვიანე, I. 54. 60. 117. 130.
სალვიუსი, I. 31.
სებეტიუს სეკერი, I. 57.
სვენი, II. 104. 105. 153.
სვენონი, II, 153.
სვეტონიუსი, II. 297.
სვიატოსლავი, II. 236.
სიაგრიუსი, I. 197.
სიბომი, I, 67. 182.
სიგებერტი, I. 199. 217—219.
სიგერიხი, I. 116.
სიდი, II, 145. 146.
სიდონიუს აპოლინარიუსი, II, 284.
სილიბისტრო II. II. 304.
სილვესტრი, I. 234.
სილვერიუსი, I. 152.
სიმახი, I. 149. 151.
სიმონ დე მონფორი, II, 268.
სისბერტი, II. 129, 131
სოფრაკი, I. 110.
სპარტაკი, I. 31. 42.
სტალინი, I. 255. II. 283.
სტეფანე, II. 277.
სტეფანე (გრაფი), II. 253.
სტეფენსონი, II. 164.
სტილიხონი, I. 112. 113.
სტივენ რენსიმენი, II. 243.
სტოინევი, II. 67.
სტოლიეტოვა-ტერეშკოვი, II. 94.
სტრაბონი, I. ७. 8. 82.
სუგერიუსი, II. 180.

ტ

ტანკმარი, II, 63.
ტაკიტუსი, I, 9, 10, 13, 72, 75, 80, 86, 91, 94, 96—102, 107, 125, 186, 201, 203, 208, 210, 238, II, 147, 150, 297.
ტეია, I, 157, 158.
ტერტულიანე, II, 285.
ტეტრიკი, I, 57, 58.
ტიბატი, I, 60.
ტიბერიუსი, I, 8, 13, 78, II, 223.
ტიბო, II, 267, 268, 270.
ტიკი, I, 17.
ტოსტი, II, 110, 112.
ტოტილა, I, 153—157.
ტრაიანე, I, 11.
ტრიბონიანე, II, 217, 218.

უ

ულრიხ ფონ ლიხტენშტაინი, II, 31, 32.
ულფილა, I, 46, 109.
უნი, II, 152.
ურაია, I, 154.
ურბან II, II, 89, 242, 243, 249—251.

ფ

ფაზირი, I, 51.
ფერნანდო, II, 144.
ფილიპე I, II, 54—57, 196, 253.
ფილიპე II, I, 249, II, 57, 173, 265—267.
ფილიპე IV ლამაზი, II, 261, 262.
ფილიპე V, I, 57.
ფილიპე ნავარელი, II, 259.
ფილიპე შვაბელი, II, 271.
ფილიპონი, I, 66.
ფილიპსი, I, 17.
ფირმი, I, 52, 53.
ფიუსტელ დე კულანჟი, I, 18, 19, 23, 25.
ფრამონი, II, 34.
ფრედეგონდა, I, 218—220.
ფრიტი გენრი, I, 110.
ფრიდრიხ I, II, 25.
ფრიდრიხ ბარბაროსა, II, 265, 278.
ფრიდრიხ II, II, 266, 278, 279.
ფოკა, II, 223.
ფოლრადი, I, 233.
ფულკერი, II, 253, 255.
ფულკი ნერა, II, 52.

შ

შატობრიანი, I, 18.
შლეგელი, I, 17.
შტერნეგი ინამა, I, 24.
შულცი, I, 6.

ჩ

ჩახა, II, 239.

ც

ცივილისი, I, 82.
ციბრიანე, I, 149.
ცისა, I, 172.
ციცერონი, I, 90.

ხ

ხარარიკი, I, 200.
ხარიბერტი, I, 217.
ხილდერიხი, I, 133, 196, 197.
ხილდებერტ I. I, 15, 162, 219, 220.
ხილდებრანდი, I, 170.
ხილდეგარდი, I, 236.
ხილპერიკი, I, 206, 212. 213, 215, 217—220.
ხილპერიკ III, I, 232, 233.
ხინდალაზ-ენტა. I. 125.
ხინდასვიტი. I, 122.
ხლოდვიგი, I, 15, 197—200. 210, 211, 213, 215. 227. 228.
ხლოდერიკი, I, 199.
ხლოტარ I. I. 15. 213. 217. 218.
ხლოტარ II, I, 220, 221.
ხოსრო, II, 219, 221., 223.
ხრისოხორი. II. 232, 233.

ჰ

ჰანიბალი,I, 12.
ჰაკამ I. II, 137. 138.
ჰაკამ II. II. 140.
ჰარალდ ჰაარვაგრი. II. 156.
ჰარალდ ლურჯკბილიანი. II. 152.
ჰარალდ მებრძოლიკბილი. II. 152.
ჰაროლდი, II. 109. 112.
ჰაროლდი, II. 107. 113, 114..
ჰარუნ არ რაშიდი. I, 242.
ჰაქსტჰაუზენი. I. 24.
ჰიშამ I. II. 137.
ჰიშამ II. II. 142.
ჰიშამ III. II, 143.
ჰეკაეოს მილეტელი, I, 65.
ჰელმერი. I, 133.
ჰენზერიხი.I. 130—132, 146.
ჰერმანრიხი, I, 109.
ჰენრიხი.II. 63.
ჰენრიხ I. II. 55. 56.
ჰენრიხ Iფრინველმჭვერი. II. 60—62, 73. 74. 122.
ჰენრიხ II. II 77. 97.
ჰენრიხ III შავი. II. 77.—79. 85.
ჰენრიხ IV. II. 84—89. 249. 266.
ჰენრიხ V. II. 89. 172.
ჰენრიხი. მარკგრაფი. II. 75.
ჰენრი სომნერ მეხი. I. 24.
ჰილებრანდი. II. 83. 84. 87.
ჰიუგი. II. 253.
ჰიუგო. II. 47. 48.
ჰინორიუსი. I. 112—116. II. 303.
ჰორაკიუსი. II. 301.
ჰუგო კაპეტი. II. 48—52. 55. 56.

I და II ტომში აღნიშნული გეოგრაფიული სახელწოდებანი

ა

აახენი. I, 242, II, 170, 195, 196, 297, 298.
ადრიატიკის ზღვა, II, 98, 253.
ადრიანეპოლი, I. 111. II. 237.
ავგუსტოდინი. I, 57. 58.
ავენტა. I, 16.
ავსტრაზია, I. 218—221, 223—226, 231, 235, 244.
ავსტრალია, I, 71.
ავსტრია, I, 21.
აზ-ზალიაკა, II, 145.
აზია. I. 8. 39. II. 204. 236.
აზოტი. II. 249.
ათენი. II. 286.
აკვიტანია. I. 60. 65. 116. 118. 198, 218. 225—226. 235. 240, 250, II, 37, 52. 53.
აკონი. II. 257.
აკრა. II. 265. 266. 280.
ალანტო. II. 27.
ალბანეთი, II, 274.
ალპიონი, I, 199.

ალეპო. II, 145.
ალკმაია. I. 226. 231. 235. II, 59.
ალექსანდრია. I. 11. 45. II. 205. 224, 264.
ალეგანტე. II. 139.
ალეპპა. II. 135.
ალმერია. II. 142. 145.
ალპები. I. 57. 58. 77, 170, 217, 234, II. 39.
ალპარი. I. 50. II, 145.
ალფონსიანი. II, 131.
ალპეხია. I. 7.
ალბერიკა. I. 71. II. 44.
ამიენი. II. 171, 172.
ამიერკავკასია. I. 24.
ამბერიანი. II. 136.
ანდალუზია. II, 133. 145.
ანტრედუნესტერი. I, 172.
ანკონა. I. 157. II. 257.
ანგლ. I. 249. II. 48. 52.
ანტვერპენი. II. 196.
ანტიოქია. I. 13. 111, II, 204, 224, 253--255. 264. 280.
ანეინის ნ-ი. I. 27. 156.
ანგლია. I. 155. 156. II, 253.
არაბეთი. II, 132. 195. 196, 280.
არაბული ესპანეთი, I, 227.
არაგონია. II, 135, 136, 148, 266.
არასი. II, 178.
არდენები, I, 221.
არმენია. II, 224.
არმორიკა. I. 60. 173. II. 52.
არპაკონი. II. 49.
ასკალონი. II. 257. 264.
ასტი. II. 82. 95.
ასტურია, I, 242, II. 132, 134, 135, 137, 142. 143.
ატინიონი. I, 213.
ატლანტიკის ოკეანე. II, 43, 130.
აუგსბურგი. II, 67, 68. 169, 170. 182, 189, 196.
აფრიკა. I, 40, 45, 47—49, 51--53, 129--131, 133, II. 42. 131. 133, 136.
აქვილეია, I. 113.
აღმოსავლეთ-ბრეტონი. I. 255.
აღმოსავლეთ-ინგლისი. I. 173, 175, 183. II, 102. 152.
აღმოსავლეთ-ევროპა. II. 42, 238.
აღმოსავლეთ-რომის იმპერია. I, 148, 159. 199.
აღმოსავლეთ-საფრანგეთი, I. 120, II, 40. 52.
ახლო-აღმოსავლეთი. I, 27. II. 167, 198, 240.

ბ

ბაგაია, I, 51.
ბადაოსი. II. 139. 144. 145.
ბადენი. I, 77.
ბავარია, I, 22. 77, 225. 226, 233, 236 241, 256, II, 37, 59, 61, 62. 67.
ბალკანეთის ნ-ი. I, 27. 61. 66. 109. 111. 112. 131. 141. 142. II, 211, 221. 223. 224. 236. 238, 252, 253, 273.
ბალტიის ზღვა, I. 74. 80, 107, II, 43, 147. 196.
ბალტიის პირეთი, I, 108, II, 262, 278.
ბამბერგი. II, 75, 244.
ბანონგი, II, 178.
ბარსელონა. I. 116. II, 136.
ბალდაღი, II, 237. 238.
ბეირუთი. II, 204. 260. 264.
ბელგიური გალიჯ. II. 38.
ბელფუარი, II, 257.
ბენევენტი, I. 159. II. 99. 100.
ბეოტია. I. 10.
ბერგამი. I. 162.
ბერნი, I. 213.
ბერნხოლმი, I. 134.
ბესალუ, II. 136.
ბიზანტია, I, 132. 140. 141, 148. 153, 154. 156—158. 168. 169. 200, 221, 242, 243. II. 5, 44. 65, 70, 80, 99. 130, 158. 170, 193, 202—208. 211. 213. 215. 217--225,

227—232, 235—239, 242, 248—250, 252—254, 265, 269, 271, 274—276, 280, 298.
ბიზანტიის იმპერია, I, 40, 148, II, 203, 204, 206, 227.
ბირკე, II, 152, 158.
ბლეკინგი, II, 152, 157.
ბლუა, II, 56, 184, 253, 267.
ბორდო, I, 217, 227.
ბოსნია, II, 225.
ბოსტონი, II, 195.
ბოსფორი, II, 202, 272.
ბოჰემია, I, 66, 221.
ბრაბანტი, II, 180.
ბრანდენბურგი, II, 61.
ბრანიბორი, II, 61.
ბრემენი, II, 75, 244.
ბრეტანი, I, 66, 173, 249, II, 37, 51, 52, 56.
ბრეშია, I, 159, 162, 165.
ბრი, II, 267.
ბრიენი, I, 234.
ბრიტანეთი, I, 24, 40, 66—68, 113, 171—175, 182, 181, 237, II, 52, 101, 294.
ბრიუგე, II, 51.169, 196.
ბრუტია, I, 156.
ბუდიშინი, II, 77.
ბულგარეთი, I, 110, II, 234, 238, 252, 253, 263, 266, 275.
ბურგოსი, II, 142.
ბურგუნდარხელმი, I, 134.
ბურგუნდია, I, 200, 218, 220, 221, 223, 231, 235, 257, II, 19, 46, 53, 54, 88, 89, 91, 92, 299.

ვ

გალია, I, 6, 8, 12, 13, 16, 25, 27, 38, 40, 44, 52, 54—61, 66, 68, 69, 75, 77, 82, 87, 90, 96, 113, 116—118, 135, 171, 196—200, 202, 208, 209, 211, 214—218, 223, 228, 240, II, 37, 39, 42, 48, 132, 178, 293.
გალიპოლი, II, 274.
გალისია, I, 129, II, 133, 135, 137, 144.
განა, II, 61.
განდშუსგეიმი, I, 206.
გარონა, I, 227, II, 43, 45.
გასკონია, II, 53.
გატინე, II, 57.
გენტი, II, 51, 190.
გენუა, I, 163, II, 95, 97, 98, 99, 177, 195, 268, 276.
გერმანია, I, 8, 9, 21, 23, 85, 235, 240, 250, 252, 257, II, 5, 25, 28, 35, 37, 40, 49, 58, 59, 61, 62, 63, 65, 66, 68—74, 76—82, 87, 89, 94, 117, 159, 164, 176, 179, 180, 185, 195, 197, 199, 246, 247, 263, 265, 271, 277, 279, 303 305.
გერმანული ზღვა, I, 84.
გერტა, I, 61.
გიბრალტარი, I, 126, 130, II, 130, 131.
გოტლანდი, I, 107.
გრადოსი, I, 163.
გრანადა, II, 142, 145.
გრენლანდია, II, 43.
გრიუნვალდი, II, 262.
გუთური ესპანეთი, I, 121—123.

დ

დაკია, I, 109, 128.
დალმაკია, I, 114, 157, II, 253, 271.
დამასკოს სახალიფო, II, 130.
დამიეტა, II, 278.
დანია, I, 172, 173, 256, II, 42, 76, 101, 105—107, 148, 150, 153, 157, 159, 266.
დარდანელის სრუტე, 265.
დასავლეთ-გერმანია, I, 84, II, 253.
დასავლეთ-ევროპა, II, 5, 17, 22, 24, 30, 35, 36, 42, 94, 158, 160, 170, 177, 180, 190, 197, 206, 239, 243

244. 246. 247. 249, 292, 298, 299, 301.
დასავლეთი ალპები, I, 65.
დასავლეთ რომის იმპერია, I, 131, 139. 140. 195.
დელფი, I, 28.
დიეტენი, II. 56.
დნეპრი, I. 80. 108. II, 44.
დნესტრი. I. 80. 107. 108.
დონი. I, 110.
დრე, II. 56.
დრეზდენი. II. 181.
დუკერი. II. 108. 109.
დუნაი. I. 8. 9, 33, 66. 75. 77, 78, 80, 83. 88. 111. 160. 221, II. 59, 221, 237. 298.
დურაცო. II. 253.

ე

ებრო. I. 211, II. 39.
ეგვიპტე. I. 7. 8. 11. 27, 29. 35. 36. 39. 47. 48, II, 138, 195, 204, 205, 208. 211. 224. 268, 269, 270, 277, 278 280. 284, 291.
ედესა. II. 254. 263, 264.
ევროპა. I. 8. 17. 20, 24, 66, 71. 195, 234. II. 28. 33, 42, 44, 51, 74. 80. 98. 116. 120. 160, 162, 163, 166. 167, 171, 185, 191, 194, 195, 201. 236. 240. 241. 243. 246. 250. 259. 262. 264, 265. 276. 280, 281, 293. 299.
ეთიოპია. II. 221.
ეიდერი. I. 237.
ეისელი. I. 196.
ეკზეტერი. II. 114.
ეკრი, II, 267.
ელბა. I. 76. 80. 87, 160, 240, 256, II, 59. 61, 66.
ელზასი, I, 77, 235.
ენა, I, 31.
ენი (დეპარტამენტი). II, 174.
ეპირი. I. 157, II, 275.
ერაყი, I, 46.
ერესბურგი, I, 238.
ერფურტი, II, 62.
ესექსი, I. 175. 176, 183. 186. II, 127.
ესიხა, II, 141.
ესპანეთი, I, 7. 8, 27, 56, 65. 66. 87, 88. 113. 116. 118—129, 135, 171, 126, 235, 240. 241. II. 5. 80, 129--136. 140--143, 145, 243.
ესტლანდი. II, 156.
ეტამპი, II, 49.
ეტლანდი. II, 158, 159.
ეტრურია, I. 151, 152, 154.
ეფესი, I, 46.
ექსი, I, 77.

ვ

ვაასის ოლქი, II, 48.
ვალენსია. II. 139, 145, 146.
ვალენსიენი. II, 48.
ვარავილე. II, 56.
ვასერბილიხი, II, 75.
ვატიკანი. I, 234.
ვეზერი, II. 59.
ვეზუვი, I, 9, 157, 158.
ვენა. I, 21.
ვენეცია, I. 114, 161, II, 98, 99, 193 177. 195, 248, 258, 268—271, 274, 276.
ვენეციის ოლქი, I, 161.
ვერბერი, I, 213.
ვერდენი, I, 238.
ვერონა. I, 113, 150, 161.
ვერონის ოლქი, II. 96.
ვესტფოლი, II, 156.
ვეტერუსი (ქალაქები), I, 62.
ვიზეუ. II. 144.
ვილშტეტი. II, 193.
ვინჩესტერი, II, 120.
ვისლა, I. 74. 76, 80. 107, 108.
ვიფინია, II. 204, 205.

ვიურტენბურგი, I, 77.
ვიჩენცა, I, 161.
ვოგატისბურგი, I, 221.
ვოგეზები, I, 217, 221.
ვოლგა, II, 44.
ვოლგისპირეთი, I, 109.
ვორმსი, I, 131, II, 46, 68, 86, 87, 195, 297.

ზ

ზარა, II, 271, 272.
ზემო ეგვიპტე, I, 59, II, 209.
ზემო დიუსანსი, I, 134.

თ

თესალონიკა, II, 205, 274.
თეფრიკა, II, 232.
თრაკია, I, 8, 39, 61, 111, II, 204, 205, 209, 211, 212, 221, 224, 231, 237.
იარმეკი, II, 224.
იაფა, II, 257, 264, 265.
იზონკო, I, 142.
იდრისი, II, 141.
იემენი, II, 221.
იერუსალიმი, II, 246, 248, 250, 254—260, 263, 264, 266, 268—271, 278, 279.
იკონია, II, 239.
ილ დე ფრანსი, II, 48, 49, 52.
ილი, I, 177.
ილირია, I, 39, 61, 83, 111—114, II, 211, 221.
ინგელჰაიმი, II, 298.
ინგლისი, I, 23, 24, 31, 67, 68, 120, 175—177, 182, 183, 186, 189, 190, 192, 249, II, 5, 29, 35, 37, 43, 44, 51, 57, 79, 80, 81, 101, 112, 114, 128, 153, 174, 175, 178, 179, 181, 185, 195, 197, 200, 240, 265, 299.
ინდოეთი, I, 7, 8, 24, 36, II, 130, 194, 195, 205, 270, 280.
იონია, II, 274.
იორდანე (მდინარე), II, 257.
იორკი, II, 112, 115, 170, 273.
ივრი, II, 51.
ირანი, II, 205, 219—221, 224, 280.
ირლანდია, I, 66, II, 43, 101, 292, 293, 294.
ისავრია, II, 209, 212, 227.
ისლანდია, II, 43.
იტაკის კუნძული, II, 249.
იტალია, I, 7, 8, 12, 27—29, 32, 39, 44, 47, 68, 77, 88, 113—115, 117, 120, 131, 139—148, 150, 152—163, 165—171, 184, 227, 232, 234, 236, 241, 257, II, 5, 30, 37—42, 65, 66, 68, 69, 76—81, 83, 87—89, 91—100, 164, 167, 170, 172, 177, 179, 180, 195, 197, 219, 220, 233, 248, 253, 258, 265, 266, 276, 277, 280, 283, 292, 294, 298, 303.
იუტლანდია, I, 74, 76, 87, 172, II, 12, 146, 148.

კ

კავკასია, I, 8, 66.
კალაბრია, I, 155, 156, II, 76, 84, 99.
კამბერი, I, 200.
კამბრე, II, 48, 176, 244.
კანოსა, II, 65, 88, 97.
კანტაბრია, II, 135.
კაპუა, II, 99.
კართაგენი, I, 130, 131, 133.
კარლშტატი, I, 238.
კარტახენი, I, 129.
კარტეია, II, 131.
კასტილია, II, 134, 144, 145.

კასპიის ზღვა, II, 44.
კატალონია, II, 144, 180.
კატალაუნის ველი, I, 134, 141, 196.
კელნი, I, 80, II, 170, 179, 190, 193, 254.
კემბრიჯი, I, 172.
კენტი, I, 174, 176, 178, 182, 186.
კერკია, I, 157.
კიევის რუსეთი, II, 80.
კიკლადების კუნძულები, II, 274.
კილიკია, II, 254.
კიპროსი, II, 227, 261, 262, 266, 280.
კირენაიკა, I, 130.
კლერმო, II, 251.
კლერმონი, II, 252, 284.
კლუნი, II, 55, 245.
კობლენცი, I, 78.
კოვადონგი, II, 135.
კომპანია, I, 157.
კომპიენი, I, 213.
კონსტანტინეპოლი, I, 112, 130, 141, 149, 168, 169, II, 44, 202, 205, 206, 208, 212, 215—217, 219, 224, 227, 231, 233, 237—239, 248, 252, 253, 263, 269, 271—274.
კორპი, II, 57.
კორდოვა, I, 127, 210, II, 131, 132, 135—142, 145, 280, 304.
კორდოვას საემირო, II, 143.
კორდოვას სახალიფო, I, 127, II, 136, 138, 140, 142—144.
კორნუელსი, I, 66.
კორსიკა, I, 157, II, 99.
კრემონა, II, 95, 304.
კრეტა, II, 274.

ლ

ლაბა, I, 74, II, 76, 77.
ლაზიკა, II, 219, 221, 224.
ლათინთა იმპერია, II, 273, 275.
ლამანში, II, 195.
ლამეგუ, II, 144.
ლანგეზაკი, II, 86.
ლანგედოკი, II, 53.
ლანი, II, 54, 178—180.
ლეიპციგი, II, 181.
ლეონი, II, 133, 142.
ლეხი, II, 59, 68, 196.
ლიგურია, I, 77, 161.
ლინკოლნშირი, II, 126.
ლიონი, I, 60, 135, II, 170, 179.
ლიუბეკი, I, 21, II, 181.
ლიონის ოლქი, I, 135.
ლიმოჟი, I, 212, 213.
ლომბარდია, I, 161, II, 65, 66, 82, 95, 97, 98.
ლონდონი, II, 102, 104, 105, 109, 112, 114, 121, 181.
ლოტარინგია, II, 48, 59, 91, 253.
ლუარა, I, 66, 117, 217, 225, II, 43, 45, 49, 50, 52, 53.
ლუზიტანია, I, 129.
ლეკანეკი, I, 156.

მ

მაასი, I, 196, 197, II, 39, 48.
მავრიტანია, I, 40, 48, 52, II, 130.
მაინცი, I, 247, 254, II, 170, 246, 252, 298.
მაინი, II, 59, 172.
მაკედონია, I, 8, 39, II, 204, 224, 231.
მაკონი, II, 49.
მალტა, II, 262.
მალსბერი, II, 293.
მანტი, II, 172.
მანტუა, I, 161,
მანციკერტი, II, 239.
მარკატი, II, 264.
მარმარილოს ზღვა, II, 202.
მარნა, I, 58, 61.
მაროკო, II, 145.
მარსელი, I, 146, II, 170, 177.
მაუენმეინსტერი, II, 75.
მეგარა, II, 202.
მეზია, I, 110, II, 221, 224.

მელანერის ტბა, II, 148, 158.
მელენი, I, 217.
მენაპიკე, I, 254,
მენი, II, 52, 121.
მერიდა, II, 132, 134. 138.
მერსია, I, 175, 176. II, 102, 104, 110.
მესოპოტამია, I, 46, II, 223, 236, 237. 254.
მეცი. I, 221. II. 263.
მილანი. I. 43, 161 –163, II, 82, 95, 96, 195.
მალეკის კენძელები, II, 280.
მონრეალი, II, 257.
მონტეგარგანო. II. 109.
მონტეკასინო. II. 292.
მონტე-ლეტერე. I. 157.
მონტრეილი. II, 49.
მონცეფელიზე. I. 161.
მორავია, I. 80. 221. II. 61. 238
მურსია, II. 138. 142. 145.
მცირე აზია. I. 7, 12, 27, 41, 45, 66, 109. 111, II. 80. 204. 223, 226, 229. 231, 235 –238, 242, 252 254, 263, 265, 275, 280.

ნ

ნავარა, II, 135, 136.
ნანტი, II, 45, 181.
ნარბონა, I, 116, 135.
ნეაპოლი. I. 146. 152. 156, 159, II, 76, 99, 125, 253.
ნეგლი, II. 221.
ნიდერლანდები. II. 110, 170.
ნიკეია. I, 12, 45. II. 205, 239, 275, 276.
ნიკომედია. II. 205, 225.
ნილოსი, II. 278.
ნიმეგენი, II. 298.
ნიურენბერგი, II, 181, 196.
ნოვგოროდი. II. 157.
ნოიენგემი. I. 206.
ნორეა. I. 87.
ნორვეგია. II. 42. 101. 105, 107, 148. 153 –158, 196.
ნორიკუმი, I. 61. 75. 77. 83. 87. 114.
ნორმანდია. II. 23. 51. 55. 57. 106. 107. 108. 121. 122. 145. 153.
ნორტუმბრია. I, 175, 183, II, 102, 110. 293.
ნუმიდია, I, 48.

ო

ოდერი. I. 76. 107. 128.
ოვერნი. I. 117. 135, 198, 199, 217.
ოვიდეო. II. 142.
ოვრეი. II. 91.
ოპენჰაიმი. II. 195.
ორლეანი. I. 217, II. 19. 50, 54, 177, 296.
ოსერი. II. 27.
ოსკარი, II. 39.
ოსტია. I, 114.
ოტენი. I. 57..
ოტრანტე. I. 157.
ოქსფორდი. II. 169.
ოქტავა, I, 51.

პ

პადუბორნი. I. 238. 242.
პადუა. I. 161.
პავია. I, 161—163. 236, II. 66, 69, 82.
პალესტინა. I. 242. II. 211, 224, 242. 255. 258. 259, 263. 265. 277, 280.
პაპლონა. II. 139.
პანონია. I. 8. 61. 83. 128. 142, 160, 161. 241. II. 61.
პარიზი, I. 189. 216—218. 248. II, 45—47. 49. 50. 51. 152. 171, 174,

177, 181, 186—188, 287.
ჰარმა, II, 295.
ჰეგეხი, II, 112, 114.
ჰელიოპოლისი, II, 225, 235, 274.
ჰიზა, II, 268.
ჰიკარდია, II, 172, 176.
ჰირენეი, I, 66, 116, 217, 240, II, 43, 48, 53, 130, 135, 136, 138, 142—144.
ჰირენეის ნ-ი, I, 66, 127, 129
ჰიკეა, I, 154.
ჰრ, I, 77.
ჰოლაბეთი, II, 60, 76, 77.
ჰოლონეთი, II, 77.
ჰომერანია, II, 105.
ჰონტოსი, II, 204.
ჰორტუგალია, I, 129, II, 135, 144, 193, 266.
ჰროვანსი, I, 199, 200, 217, 218, 248, II, 38, 9[illegible]/2.
ჰრესია, I, 20, 21.
ჰუატიე, I, 199, 217, 227, II, 25, 53, 132.

ქ

ქენეკის ტბა, I, 134.

რ

რავენა, I, 114, 142, 143, 146, 150, 153, 157, 159, 161, 168—170, 233, 234, II, 76, 99, 298.
რაინი, I, 9, 13, 15, 33, 66, 76, 78, 80, 83, 88, 108, 113, 134, 195, 196, 205, 257, II, 36, 37, 39, 59, 70 91, 196, 252, 298.
რეგენსბურგი, I, 78, II, 199.
რეგიომი, I, 115.
რეიმსი, I, 198, 230, 251, 254, II, 52, 177, 304.
რეკია, I, 83, 113.
რეინი, I, 157.
რეგიანი, I, 77, 89.
რეგე, I, 199.
რეგოსი, II, 227, 262
რომანია, II, 97, 98.
რომი, I, 6, 11—13, 19, 20, 27, 33, 35—39, 42—44, 47—49, 52—58, 60, 68, 72, 78, 81—83, 85, 87, 90, 101, 108, 110—115, 117, 118, 129—131, 135, 139, 146, 148—150, 152, 153, 156, 157, 159, 161, 168—170, 196, 233, 234, 236, 242, 248, II, 65, 69, 70, 87—89, 95, 97, 98, 162, 170, 193, 237, 249, 263, 267.
რომის იმპერია, I, 8, 12, 20, 25, 26, 28, 31, 33, 34, 36, 38 42, 45, 47, 48, 54, 55, 60—62, 68, 69, 78, 90, 109, 109, 111, 112, 117, 123, 133 135, 140, 171, 196, 197, II, 48, 72, 99, 130, 161, 165, 166, 202, 203, 204, 206, 219, 237, 294.
რონა, I, 117, 134, 135, II, 39, 91.
როსტოკი-დონზე, II, 169.
რუანა, II, 177.
რუსეთი, I, 24, II, 44, 158.
რუსილიონი, II, 136.

ს

საბერძნეთი, I, 7, 8, 22, 39, II, 43, 202, 204.
სავოია, I, 134.
სალერნო, II, 99.
სალეფი, II, 257, 265.
სამხრეთ გალია, I, 77, 116, 121, 122, 129, 134, 255, 256, II, 132.
სამხრეთ-ესპანეთი, I, 134, 220.
სამხრეთ-ინგლისი, I, 172.
სამხრეთ-იტალია, I, 144, 161, 168, II,

44, 70, 74, 76, 84, 89, 92, 99, 238, 253.
სამხრეთ-ნეისტრია, I, 235.
სამხრეთ-საფრანგეთი, I, 120, II, 37, 177.
სამხრეთ-სკანდინავია, II. 153.
სამხრეთ-შვეცია, II, 150, 159.
სანლისი, I, 217. II, 49.
სანსი, II, 56.
სარაგოსა, I. 240. II. 144, 145
სარდინია, I. 157. II. 99.
საფრანგეთი, I. 20, 21, 23. 116. 233, 249, 250, 252, 257, II, 5. 15, 16, 20, 28. 35. 36. 37. 40. 42. 43—55. 57. 70. 71. 79, 103. 104. 111. 118 121, 124. 164. 247, 251. 253, 263, 265. 267, 277.
საფეტი, II, 257.
საქართველო, I, 8. II, 80. 219.
საქსონია, I. 241. 244. 254, II, 58, 59, 60. 67. 71. 72. 85. 86.
სეგოელი, II, 132.
სევილია, II. 132. 142, 145.
ზელტი, I, 254.
სენა, I. 58. 66, 217, II, 39, 43, 45, 46. 48. 50. 53, 152.
სენ-გალენი, II. 305.
სენ-დენი, II, 45.
სენ-კატენი, II. 172.
სენ-ჟერმენი, II. 169.
სენტ-ომერი, II, 178, 179, 186.
სენტ-ოლბანსი, II, 169.
სეპტიმანია, I, 199, 233.
სერბია, II, 225. 246.
სესექსი, I. 175, 176.
სიგუბერკი, I. 235.
სიდონი, II, 264.
სილეზია, I. 80.
სირაკუზები, I. 146.
სირია, I, 7, 13. 46, II. 204. 209, 211, 223, 224. 236. 237. 254. 255. 258. 263, 264—266. 279. 280. 281. 291.
სირმია, I, 61.
სიცილია, I, 31, 115. 131. 144. 152, 153, 157. II, 42. 44. 65, 89. 93, 141. 238. 256. 280.
სკანდინავიის ნ-ი, I. 74. 76. 103. II, 42, 43. 45, 101. 147. 149. 150. 152. 155—157.
სკონე. II. 152. 157.
სკეტარი. II. 272.
სომა, I, 196. 211.
სორენტო, I. 159.
სპარსეთი, I, 8. 13. 133. 159.
სპოლეტო. I. 192, 236. II. 91.
სტამფორდბრიჯი. II. 112.
სტემფორდი. II. 195.
სტიგანდი. II. 116.
სტრასბურგი, I, 257. II. 169. 181, 193.
სტურბრიჯი, II. 195.
სუანსი, I, 217.
სუანოსი, I, 197. 210. 211. 233, 248.
სომატრა, II, 280.

ტ

ტაგინი, I, 157.
ტამინი, I, 156.
ტარამონა, II, 136.
ტარასკონი. I. 118.
ტარენტი. I, 157, II, 76, 99.
ტახო, II, 141.
ტემზა. I. 173. II, 105.
ტერტრი. I. 223.
ტიბეტი, II, 280.
ტივერიადა, II, 257.
ტიპოსი, I, 52.
ტირი, II, 204, 257, 264, 265.
ტიროლი, I, 77.
ტიურინგია, I, 200. 231. 235. II. 59.
ტოლედო. I. 127, II. 132. 136. 139, 141, 142. 144. 145.
ტონგრი, II. 170.
ტორტოსა. II. 136.
ტოსკანა, I, 114, 151, 161. II. 97.
ტოსკანდრია. I, 196.
ტრანსალპიური გალია, I, 60. 61, 63, 90.
ტრაპიზონი, II, 274.
ტრიპოლი, I, 50. II, 264, 280.

ტრიპოლიტანია. II. 257.
ტრარი. I. 212. 230.
ტრენელაგე. II, 154. 155.
ტრეა. I. 134.
ტულეზა. I, 115. 116, 197, 199.
ტუნისი, I, 50. II, 279.
ტურენი. II, 52.
ტური. I, 199, 200, 217, 248.
ტურნე, I. 196, II, 48.

უ

უელსი. I, 66. 178. 182.
უესექსი, II, 102, 103, 106, 109.
უინჩესტერი, II, 195.
უმბრია, I, 161.
უნგრეთი, I, 241. II, 78, 252, 263, 271.
უპლანდი, II, 148.

ფ

ფერარა, II, 195.
ფიბაიდი. II. 205.
ფივანი. I. 59.
ფლანდრია, I, 254, II, 49, 51, 121, 164. 167, 172, 178, 179, 180, 195, 253.
ფლორენცია, II, 178, 190, 193, 200.
ფონტენუა. I. 257, II, 39.
ფონტეი, I, 90.
ფრანკთა მონარქია, II, 5, 29, 36, 37, 39, 47, 58, 247, 294, 298, 301, 302.
ფრანკფურტი, I, 21, 22, II, 169, 195.
ფრანკფურტი ოდერზე, II, 169, 192.
ფრანკონია. II. 58. 59, 63, 85.
ფრანშკონტე, II, 48.
ფრიზეთი, I, 225. 226, 238.
ფრისლანდია, I, 9, II, 168.
ფრიული, I, 159, 161—163, 236 II, 91.

ქ

ქაბილი, II, 280.
ქვემო რაინი, I, 237.

შ

შაინ ზღვა. I, 8, 80, 107—109, 163, II, 44, 205, 221, 248.
შალონი, II, 49.
შამპანი. II, 48. 49, 53. 173, 195, 267.
შარტრი. I, 217, II, 45, 181, 253, 267.
შელდა, I. 196, 217. 257. II, 39, 48.
შვაბია, I. 76, II, 58, 59—61.
შეეცია, II, 42, 105, 148, 153. 157, 158, 266.
შლეზვიგი. II. 152.
შლეზვიგ ჰოლშტინია, I, 172, 173.
შოტლანდია, I, 66, 67, 242, II, 10
შპანეე. I, 247, II, 77.
შუა იტალია, I, 255, II, 92, 93.
ჩერნოგორია, II, 225.
ჩეხეთი, II, 263.
ჩინეთი, II, 130. 194. 205. 270, 280.
ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთი, II, 195.
ჩრდილო-დასავლეთ აფრიკა. II. 138.
ჩრდილო აფრიკა. I. 8. 25, 27, 48, 115, 128—133, 145. 146, II, 80, 130, 139. 219, 220. 224. 279.
ჩრდილო ესპანეთი, II. 39, 132. 136.
ჩრდილო საფრანგეთი, II, 47, 49, 172, 174, 175.
ჩრდილო ინგლისი, II, 114.

ჩრდილო იტალია, I, 13, 65, 88, 140, 144, 153, 161, II, 82, 92, 93, 95, 168.
ჩრდილოეთის ზღვა, I, 76, 196, II, 195, 196.
ჩუდის ტბა, II, 262.

ც

ცეზარეია, II, 249.
ცეილონი, II, 280.
ცენტრალური ევროპა, II, 19.
ცისფერი გალია, I, 68, 90, 161.

წ

წინა აზია, II, 263.

ჭ

ჭანეთი, II, 219.

ხ

ხანდის ტბა, I, 127, II, 131.
ხელგე, II, 157.
ხენდეხემი, I, 177.
ხენიდი, II, 141.
ხერონა, I, 10, II, 136.
ხმელთაშუა ზღვა, II, 42, 43, 139, 125, 248, 255, 256.

ჰ

ჰაეტე, I, 159.
ჰალახდი, II, 152.
ჰამბურგი, II, 169.
ჰასტინგი, I, 175.
ჰეიდელბერგი, I, 22.
ჰელესპონტი, II, 204.
ჰელვეცია, II, 38.
ჰემპშირი, II, 127.
ჰენეგაუ, II, 48.
ჰოლანდია, I, 172, 173, 196, II, 193.
ჰერაკლეა, 205.
ჰერკოგოვინა, II, 225.
ჰესენი, I, 235, 237
ჰიჯასი, II, 264.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორისაგან

თ ა ვ ი I

დასავლეთ ევროპის ადრინდელი ფეოდალური საზოგადოება და მისი დამახასიათებელი ნიშნები . . . . . 5—35

თ ა ვ ი II

საფრანგეთი X—XI საუკუნეებში . . . . . 36—57

თ ა ვ ი III

გერმანია X—XI საუკუნეებში . . . . . 58—90

თ ა ვ ი IV

იტალია X—XI საუკუნეებში . . . . . 91—100

თ ა ვ ი V

ინგლისი X—XI საუკუნეებში . . . . . 101—128

თ ა ვ ი VI

ესპანეთი არაბთა დაპყრობიდან XI საუკუნემდე . . 129—140

თ ა ვ ი VII

სკანდინავიის ქვეყნები ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში . 147—159

თ ა ვ ი VIII

ფეოდალური ქალაქები . . . . . 160—201

თავი IX

ბრიტანეთი IV—XI საუკუნეებში . . . . . 202—239

თავი X

ჯარ-სანთა ლაშქრობა . . . . . 240—281

თავი XI

დასავლეთ-ევროპის ადრინდელი ფეოდალური კულტურა (V—XI საუკ.) . . . . . 282—305

• •

I და II ტომ. მოხსენებულ პირთა სახელების საძიებელი

I და II ტომ. აღნიშნული გეოგრაფიული სახელწოდებანი.

რედაქტორი გ. ჟორდანია
გამომცემლობის რედაქტორი ლ. ცერცვაძე

კორექტორები: მ. თადუმაძე.
ნ. ქანთარია

Георгий Константинович Тивадзе

ФЕОДАЛЬНАЯ ЕВРОПА
В X — XI ВЕКАХ

(На грузинском языке)
Издательство ТГУ им. Сталина
Тбилиси — 1960

შეკ. № 390 ტირაჟი 1000 უე № 02865

გადაეცა წარმოებას 4/III-60 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VI-60 წ.,
ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×92; სასტამბო ფორმათა
რაოდენობა 20.5 სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა
რაოდენობა 18,0

ფასი 14 მან. 20 კაპ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства ТГУ им. Сталина, Тбилиси
проспект И. Чавчавадзе, 1.